

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაელის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ქართული ხალხური
საისტორიო
სიტყვიერება

I

ტექსტების მომზადება, რედაქცია,
შესავალი და შენიშვნები
ქსენია სინაგულიძის



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი

რედაქტორი გ. ლ ე ო ნ ი ძ ე

წინასიტყვაობა

ეს ნაშრომი წარმოადგენს ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა შედარებით სრული სახის კრებულს. ჩვენ ვეცადეთ თავი მოგვეყარა სხვადასხვა კრებულებში, პერიოდულ გამოცემებში, არქივებსა და სპეციალისტთა პირად კოლექციებში არსებული მასალებისათვის. არქივებსა და პირად კოლექციებში უთუოდ კიდევ იქნება მასალები მისაგნები. ამას გარდა მომავალი საველე მუშაობის პროცესში კვლავაც მოპოვებული იქნება ახალი მასალები. ეს გარემოება ოდნავადაც არ გაამართლებს ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა სრული სახის კრებულის გამოცემის დაყოვნებას. ზეპირსიტყვიერების სპეციფიკა, მისი დიდი უნარი ვარიაციისა, არ იძლევა ტექსტების ამომწურავი სისრულით გამოცემის საშუალებას. ამ სახითაც წიგნი, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება, როგორც ფოლკლორისტებისათვის, ისევე—ლიტერატორებისა და ისტორიკოსებისათვისაც. კრებულში მასალები დალაგებულია ისტორიული პრინციპით—ციკლობრივად—ხალხური სიტყვიერების ამ უბნის განვითარების პერიოდების შესაბამისად, თითოეულ ციკლში კი—უანრობრივად: უფრო სრულქმნილი ნაწარმოებნი და შედარებით ძველი ჩანაწერები ძირითადი ტექსტების სახით წარმოდგენილია წიგნის პირველ ნაწილში. მეორე ნაწილი წიგნისა შეიცავს შენიშვნებსა და ვარიანტებს. ვარიანტების დიდი ნაწილი თავისი შინაარსითა და ფორმით ძირითადი ტექსტების თანაბარი ღირსებისაა. რაკი გამოცემა დოკუმენტური ხასიათისა არის, ტექსტებში ცვლილებები არ შეგვიტანია. შესწორებანი, გამონაკლისის სახით, შეტანილია მთაში ადრე ჩაწერილ ტექსტებში, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ჩამწერის აშკარა შეცდომასთან გვაქვს საქმე. ამ თვალსაზრისით ტექსტები, ჩვენი თხოვნით, შეასწორა დავით გოგოჭურმა შესწორებულია აგრეთვე ადრინდელი გამოცემების კორექტურული შეცდომები და გადამწერთა დამახინჯებანი.

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების კრებულის გამოცემა ნაწარადეგია ორ ტომად. პირველ ტომს წამძღვარებული აქვს შესავალი წერილი და ერთვის გამოყენებული ლიტერატურისა და მასალების სახელწოდებათა შემოკლებანი. მეორე ტომს დაერთვის საძიებლები და ზოგიერთი სიტყვისა და გამოთქმის ახსნა კონკრეტული მნიშვნელობით.

ქს. ხახარულიძე



შესავალი

ხალხური საისტორიო სიტყვიერების შესწავლის ამოცანები

დიდი ქართველი მწერალი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ილია ჭავჭავაძე წერდა: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძვე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თვისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას...“

...ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ¹. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება ქართველი ხალხის სულის ღონისა და ბგერის, მისი ზნეობისა და გონების სიმალის, მისი ვინაობისა და თვისების ერთგვარი სარკეა. ხალხური საისტორიო სიტყვიერება მართლაც ხელთუქმნელი ისტორიაა ქართველი ერისა, ამავე დროს მისი მნიშვნელობა არ იფარგლება ეროვნული ჩარჩოთი და მას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ქართული ხალხური შემოქმედების ამ მდიდარი დარგის რეალური საფუძველი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიით არის განსაზღვრული. თემატიკურად მდიდარი და უანროპრივად მრავალფეროვანი ქართული ხალხური საისტორიო ნაწარმოებნი შექმნილია იმ გამუდმებული ბრძოლების საფუძველზე, რასაც ქართველი ხალხი ეროვნული ღირსების დასაცავად საუკუნეთა მანძილზე მამაცურად ეწეოდა აგრესორთა თუ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ. ეს ნაწარმოებნი შექმნილია თავდადებულ შრომაში, რითაც ხალხი ამაგრებდა ბურჯს ქარ-

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1955, გვ. 9 და 29.

თული ყოფის, ენის, სიტყვიერებისა და საერთოდ მთელი ერისა. თავდადებულ შრომასა და ბრძოლაში განვითარდა და განმტკიცდა საუკეთესო თვისებები ქართველი ერისა, რაც გულმართლად და დამაჯერებლად აისახა ზეპირსიტყვიერებაში. ეს გარემოება ზრდის ინტერესს ხალხური შემოქმედებისადმი და მეცნიერების წინაშე აყენებს მისი ყოველმხრივ შესწავლის ამოცანას.

საისტორიო სიტყვიერება ზეპირი პოეტური შემოქმედების ერთი წამყვანი დარგია. საისტორიო ნაწარმოებთა რეალური საფუძველია კონკრეტული ისტორიული მოვლენები. ამ ნაწარმოებთა ფონი ისტორიაა. ზეპირ პოეტურ საისტორიო ნაწარმოებთა, ისე როგორც ლიტერატურულის—საისტორიო რომანის ან მოთხრობის, ძირითადი სპეციფიკური ნიშანი არის ის, რომ ისინი წარმოადგენენ ისტორიული ფაქტების განსახიერებას. ისტორიის მქონე ყველა ხალხი მხატვრულად წარმოგვიდგენდა და წარმოგვიდგენს მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს, გამოჩენილი პირების სახეებს. მაქსიმ გორკის სახელმძღვანელო დებულებით:

«От глубокой древности фольклор неотступно и своеобразно сопутствует истории, и у него свое мнение о деятельности Людовика XI, Ивана Грозного, и это мнение резко отличается с оценками истории, написанной специалистами, которые не очень интересовались вопросом о том, что именно вносила в жизнь трудового народа борьба монархов с феодалами»¹

ეს დებულება მკვლევარს ავალებს საისტორიო ნაწარმოებთა პრობლემების გადაწყვეტისას სათანადო ადგილი დაუთმოს ისტორიული სინამდვილის ინტერპრეტაციას. ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებთა ისტორიული ფონის სწორი ინტერპრეტაცია აუცილებელია ამ ნაწარმოებთა სოციალური შინაარსის, იდეური მხარის შესასწავლად, მთლიანად შემოქმედებითი, მხატვრული პროცესის დასადგენად. ამ მხრივ საისტორიო სიტყვიერება, ზეპირი პოეტური შემოქმედების დარგებს შორის, ყველაზე ხელშესახებ და სანდო მასალებს იძლევა. ზეპირსიტყვიერების ისტორიული ღირებულების გათვალისწინებისას არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ისტორიული ფაქტი პოეტური შემოქმედების მხოლოდ წყაროა, რომ მხატვრული შემოქმედება ისტორიული დოკუმენტი არ არის. თავიდანვე დაზღვეული უნდა ვიყოთ ისტორიული სკოლის შეცდო-

¹ М. Горький, О литературе, Изд. 3-е, стр. 456.

მებისაგან. ყოველი დარგისა და ქანრის კოლექტიური ნაწარმოები, მათ შორის საისტორიოც, მხატვრული შემოქმედებაა ზეპირსიტყვიერების ყველა თავისებურებით—პიპერბოლებით, ანაქრონიზმებით, ციკლიზაცია-კონტამინაციით და ტრადიციული სიუჟეტების მოტივებისა თუ სახეების გაახლებით.

საისტორიო სიტყვიერების შესწავლისას ყოველთვის სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს ზეპირი პოეტური შემოქმედების ამ თავისებური განყოფილების ქანრობრივ მრავალფეროვნებას. ეს თავისებურება ჩანს ისტორიული თემის დამუშავების მანერაშიც. და პოეტური გამომსახველობის ხერხების გამოყენებაშიც.

ისტორიულ თემებზე შექმნილი ნაწარმოებები რა გინდ ფანტასტიკურად და ლეგენდარულად არ უნდა იყოს მათში ასახული ეს ფაქტები, მაინც საისტორიო ნაწარმოებებია. თუ ფანტასტიკური ნაწარმოებები რეალისტურისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ისინი უფრო დაშორებული არიან პირველი საფუძვლისაგან, მათი უშუალო წყაროსაგან, ამან არ უნდა მისცეს საბაზი მკვლევარს. არ ჩათვალოს ისინი საისტორიო ნაწარმოებებად. საისტორიო სიტყვიერებაში უნდა აღინიშნოს სხვადასხვა ქანრის ნაწარმოებები და უნდა დადგენილ იქნას საისტორიო ნაწარმოების რომელი ქანრი არის წამყვანი ზეპირი პოეტური შემოქმედების განვითარების ცალკე საფეხურებისათვის. უნდა გაირკვეს ისტორიულ ფაქტთა განსახიერებისას თითოეული საფეხურისათვის შემოქმედების რომელი მეთოდია დამახასიათებელი. როდესაც ვადარებთ ზეპირსიტყვიერების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შექმნილ ნაწარმოებებს, ცხადი ხდება, რომ შორეული ისტორიული წარსულის ფაქტებთან დაკავშირებული ნაწარმოები მეტწილად ფანტასტიკური ხასიათისა არის. მას ახასიათებს მოვლენათა მეტი განზოგადება და ტიპიზაცია. განზოგადებული ფაქტები ერთ გმირთან არის დაკავშირებული. შედარებით ახალ ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებულ ნაწარმოებებში კი კონკრეტული მოვლენები განსახიერებულია რამდენიმე გმირის მოქმედებით.

საისტორიო სიტყვიერების შესწავლის პრობლემასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს მკვლევართა გატაცება მხოლოდ ლექსების შესწავლით. ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია საისტორიო ლექსების შესწავლა საისტორიო ხალხური პროზისაგან მოწყვეტილად.

საისტორიო ნაწარმოებთა განვითარების გზებისა და მხატვრული თავისებურების საკითხების გადასაწყვეტად მთლიანობაში უნდა შევისწავლოთ ისტორიულ თემებზე შექმნილი ყველა ჟანრის ნაწარმოებები. ამას მნიშვნელობა აქვს საისტორიო ნაწარმოებებში ასახულ ხალხის მსოფლმხედველობის შესწავლისათვის. უნდა დაისვას პრობლემა საერთოდ ყველა ჟანრის საისტორიო ნაწარმოებთა და არა მხოლოდ საისტორიო ლექსების. საკითხის ამგვარი დაყენებით ნათელი მოეფინება ხალხური შემოქმედების განვითარების გზებს და შესაძლებელი გახდება ღრმად ჩავწვდეთ ხალხური პოეტური ხელოვნების განვითარებისა და ცვალებადობის პროცესებს. საისტორიო სიტყვიერების შესწავლისას კი ეს გარემოება ხშირად არ არის გათვალისწინებული. საისტორიო სიტყვიერება მთლიანობაში უნდა იქნას შესწავლილი. ქართულ საისტორიო ნაწარმოებებში სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა სოციალური ფენის დამახასიათებელი თვალსაზრისით ასახულია საქართველოს ისტორია, მისი მდიდარი წარსული, პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ვითარება.

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება წარმოდგენილია ჟანრობრივად მრავალფეროვანი ნაწარმოებებით—ლირიკული, ლირიკო-ეპიკური და ეპიკური ლექსებით, გადმოცემებით, თქმულებებით, ანეგდოტებითა და ლეგენდებით. ეს მეცნიერული ტერმინები სათანადოდ უნდა იქნეს გამოყენებული¹.

ხალხი ზეპირსიტყვიერების ამ თავისებურ უბანს გარკვევით ასხვავებს სხვა ჟანრის ნაწარმოებებისაგან. ეს გარემოება იგრძნობა ტერმინოლოგიაშიც. საქართველოს ბარში პროზაული ჟანრის საისტორიო ნაწარმოებს, ზღაპრისაგან განსხვავებით, აღნიშნავენ ტერმინით **ა მ ბ ა ვ ი ა ნ ძ ვ ე ლ ი ა მ ბ ა ვ ი**.

საქართველოს მთაში, კერძოდ ხევსურეთში, ზღაპარს უწოდებენ **ა მ ბ ა ვ ა ს**, საისტორიო ნაწარმოებს. **კი—ა ნ დ რ ე ზ ს**; სვანეთში ზღაპარს უწოდებენ **ც ი გ ი ნ ს**. საისტორიოს კი—**ჯ ვ ი ნ ე ლ ჰ ა რ ა ჯ ა ნ ჯ ვ ი ნ ე ლ ნ ა მ ბ ა ვ ს**².—რაც შეეხება პოეზიის ნიმუშს, მას აღნიშნავენ ტერმინით **ლ ე ქ ს ი** და ხშირად ურთავენ ისტორიული მოვლენის ან პიროვნების სახელწოდებას, რასაც იგი უკავშირდება... მაგალითად „არსენას ლექსი“. ხალხი თავისი ტერმინოლოგიით ხაზს უსვამს ნაწარმოების სინამდვილესთან—ისტორიულ მოვლენასთან კავშირს.

¹ სიხ., საგმ., გვ. 8—9.

² იქვე, გვ. 9—10.

ქართულ ხალხურ ხაისტორიო ნაწარმოებთა განვითარების მიზნითაღი პერიოდები და მომენტები

პერიოდიზაციის საკითხი საისტორიო სიტყვიერების ერთი ძირითადი საკითხთაგანია. საისტორიო სიტყვიერების განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან. ახალი საფეხურები ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენები, ბრძოლები გარეშე მტრებთან თუ შიგნით—სოციალური ბრძოლების წინააღმდეგ, ღირსშესანიშნავი ფაქტები ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში ქმნიდნენ პერიოდებს ხალხური შემოქმედების განვითარებაში და აძლევდნენ ამ შემოქმედებას სოციალურ შინაარსსა და თავისებურ გამომსახველობის ფორმას. ყველაზე რელიეფურად ეს გარემოება, როგორც აღვნიშნეთ, საისტორიო სიტყვიერებაში ჩანს.

ზოგადი ხასიათის ძველი ცნობებისა და გვიანი ჩანაწერების ნიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ V—VI საუკუნეებში საქართველოში ძლიერი ყოფილა საისტორიო ზეპირსიტყვიერების ტრადიცია. V—VI საუკუნეებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე შექმნილი უმდიდრესი საისტორიო ზეპირსიტყვიერება მრავალფეროვანია თემატიკურად, სოციალური შინაარსითა და ჟანრობრივად. ქართული ზეპირსიტყვიერების ამ თავისებური დარგის განვითარებაში აღსანიშნავია რამდენიმე პერიოდი.

პირველი პერიოდი დაკავშირებულია საკმაოდ ვრცელ ისტორიულ მანძილთან. ეს არის ხანა აღრინდელი ფეოდალიზმის, ფეოდალიზმის გამარჯვების და საქართველოს სამეფოს გაძლიერების. ეს პერიოდი შეიცავს სხვადასხვა ციკლის ჟანრობრივად მრავალფეროვან ნაწარმოებებს—ლექსებს, გადმოცემებს, თქმულებებსა და ლეგენდებს დაკავშირებულს ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, სვეტიცხოვლის ოსტატის, თამარ მეფის, შოთა რუსთველის, შალვა და ივანე ახალციხელების და რუსუდანის სახელებთან.

ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების განვითარების მეორე პერიოდი დაკავშირებულია XV—XVII საუკუნეებთან. ამ პერიოდიდან აღსანიშნავია ცალკეული ლექსები სამშობლოს დაცვის თემაზე. შაჰ-აბას პირველისა და შაჰ-აბას მეორის აგრესიის ამსახველ ნაწარმოებთა ციკლი, ბახტრიონისათვის ბრძოლის ამსახველი ნაწარმოებები და კლასთა ბრძოლის ამსახველ ნაწარმოებთა ციკლები

დაკავშირებული სვანეთის თავადების, ზურაბ ერისთავის და შიოლა ლულუშაურისა და მთარხელის სახელებთან.

მესამე პერიოდის ნაწარმოებები ასახავენ XVIII საუკუნის მღვლვარე ეპოქას, ბრძოლებს საქართველოს გარეშე მტრებისა და შინაური სოციალური ბოროტების წინააღმდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ციკლები ნაწარმოებებისა დაკავშირებული ერეკლე მეორის, მათა წყნეთელის, თამრო ვაშლოვანელის, თინა წავკელის, ზამიკაურის, გელა ნათელაშვილის, სოლომონ პირველის, სოლომონ მეორის და სხვათა სახელებთან.

მეოთხე პერიოდის ნაწარმოებები XIX საუკუნის პირველ ნახევართან არის დაკავშირებული. ეს არის ბატონყმური ურთიერთობისა და თვითმპყრობელობის ამსახველი ნაწარმოებები—„ამილახვარი ჩაძალდა“, „არსენას ლექსი“, „ბუნტი გურიაში“, ლექსები და გადმოცემები უტუ მიქავასა და მართალი თოდუას შესახებ და სხვ.

მესხეთე პერიოდს ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების განვითარებისა წარმოადგენს ნაწარმოებთა ციკლები შექმნილი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე. ეს პერიოდი განსაკუთრებით საინტერესოა რეალიზმის. როგორც მხატვრული მეთოდის განვითარების ისტორიის შესასწავლად. ეს შედარებით მოკლე პერიოდი ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების განვითარებისა დიდ თავისებურებას იჩენს იმ მხრივ, რომ მასში რამდენიმე ეტაპი აღინიშნება. პირველ ეტაპს წარმოადგენს ბატონყმობის გაუქმების ამსახველი ნაწარმოებები; მეორე ეტაპს—მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ამსახველი ნაწარმოებები; მესამე ეტაპია 1905—1907 წლების რევოლუციის. რევოლუციის შემდეგ მძვინვარე რეაქციის, იმპერიალისტური ომისა და სალდათობის და საქართველოში მენშევიკების ხანმოკლე თარგმის ამსახველი ლექსები და გადმოცემები. ამ პერიოდის საისტორიო ნაწარმოებთა სამივე ეტაპს აერთიანებს საერთო თვისება რეალიზმის როგორც მხატვრული მეთოდისა თითოეული პერიოდის სხვადასხვა ნაწარმოებთა განვითარებაში აღსანიშნავია ორი ძირითადი მომენტი: 1) ისტორიულ მოვლენებსა და პირებთან დაკავშირებით ახალი სიუჟეტების შექმნა; 2) არსებული ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირება. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების ძირითად ფონდს პირველი გზით შექმნილი ნაწარმოებნი წარმოადგენენ. ეს ნაწარმოებები ისტორიული მოვლენების თავისებური მხატვრული

გამოვლენაა. ისინი უაღრესად კოლორიტულია და ხშირ შემთხვევაში ვიწრო ლოკალური ხასიათი აქვთ.

ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში არაიშვიათია ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიური დამუშავების შემთხვევებიც. საისტორიო ნაწარმოებთა განვითარების ეს მომენტი ხალხური სიტყვიერების ცოცხალი ტრადიციის, დიდი შემოქმედებითი ძალის მაჩვენებელია. მთქმელები ტრადიციულ სიუჟეტებსა და მოტივებს იყენებენ ისტორიული მოვლენების განსახიერების საშუალებად—შეაქვთ მასში ახალი სოციალური შინაარსი. ეს უკვე ახალი შემოქმედებითი პროცესია. შეიძლება სიუჟეტი და მოტივი ადგილობრივი წარმოშობისა არც იყოს, მაგრამ შემოტანილი სიუჟეტი-სა თუ მოტივის გაახლებას, მის ნაციონალურ ნაწარმოებად ქცევას ყოველთვის სოციალური სარჩული და საზოგადოებრივ-ისტორიული ნიადაგი აქვს. ხალხური შემოქმედების განვითარების ეს მომენტი აღნიშნა პოლ ლაფარგმა: «сюжет порой может быть занесен извне, но принимается только в том случае, когда соответствует духу и обычаям тех, кто его усваивает»¹.

ამიტომ ბუნებრივია, რომ ამგვარ საისტორიო ნაწარმოებებს რომელთაც ეპიური დამუშავების შედეგად კოლორიტული ხასიათი აქვთ, გააჩნიათ მსოფლიო პარალელები და ანალოგიები. ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიური დამუშავების თვალსაზრისით საისტორიო ნაწარმოებთა ყველა ციკლი ერთგვარი არ არის. ზოგ ციკლში ძლიერია შემოქმედებითი პროცესის ასეთი მომენტი; ზოგში იგი უფრო იშვიათად გვხვდება; ზოგში კი—სრულებით არ არის იგი. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს ცალკეულ ციკლთარეალური საფუძვლის ხნოვანებასა და მის ხასიათს. რაც მეტად დაშორებულია მთქმელისაგან ისტორიული სინამდვილე, ან კიდევ რაც უფრო დიდი მნიშვნელობისა არის ეს სინამდვილე, რომელსაც ასახიერებს იგი, მით უფრო ძლიერია ნაწარმოებში ამა თუ იმ ამბის პოეტიზაცია. ეს გარემოება საზღვრავს ძირითადად ციკლის ჟანრობრივ თავისებურებასაც. აღრინდელი პერიოდის ციკლები უფრო მდიდარია ტრადიციული სიუჟეტებითა და მოტივებით, ვიდრე გვიანდელი პერიოდისა. ასე მაგალითად, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის; თამარ მეფის და სხვ. სახელებთან ზოგ შემთხვევაში დაკავშირებულია მითოლოგიაში ცნობილ ღვთაებათა ძლევა-

¹ По лъ Ла ф а р г. Свадебные песни и обряды. Очерки по истории культуры, стр. 55.

სიღების, სიბრძნისა და სიწმინდის ამსახველი მოტივები. ერეკლე შეგორის, მაია წყნეთელის, ხიმიკაურის და სხვათა სახეები რეალისტურად არის მოცემული: კიდევ უფრო რეალისტურია სახალხო გმირების: არსენა ოძელაშვილის, ზვიადა ლობჯანიძის და რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილე პარტიზანების—დათიკო შევარდნაძის, სიმონა დოლიძის და სხვ. სახეები.

ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების გაახლება ისტორიულ-ნაციონალურ ნიადაგზე ხდება. ასეთი პროცესი, ისევე როგორც ახალი სიუჟეტების შექმნა, სოციალური გარემოთი არის განსაზღვრული. თვით ერთსა და იმავე ხალხში ერთი და იგივე სიუჟეტის ან მოტივის გაახლება სხვადასხვაგვარია, ისევე, როგორც სხვადასხვაგვარია ახალშექმნილი სიუჟეტის სოციალური შინაარსი. სოციალურ გარემოს გარდა ამ შემთხვევაში მსაზღვრელი მთქმელთა პოეტური მანერაც არის. ამაშია ზეპირსიტყვიერების ცოცხალი ტრადიცია, შემოქმედებითი ძალა. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების იდეა, შინაარსი და მხატვრული მხარე იმის მაჩვენებელია, რომ ქართველმა მთქმელებმა ახლად შექმნილ სიუჟეტებთან ერთად ტრადიციული სიუჟეტები და მოტივები აქციეს ისტორიული სინამდვილის პოეტური განსახიერების საშუალებად. ერთი და იგივე ტრადიციული სიუჟეტი და მოტივი ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ეპოქის მოვლენებთან არის დაკავშირებული. ამიტომ მთავარი ის კი არ არის, აღვნიშნოთ მხოლოდ ამგვარი ნაწარმოებები, არამედ, უნდა ავხსნათ მათი სოციალური შინაარსი. ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში აღსანიშნავია აგრეთვე ლიტერატურული გზით შექმნილი ნაწარმოებები. თითოეული პერიოდის ცალკეულ ციკლთა ნაწარმოებების ანალიზისას უნდა ვაჩვენოთ, რა არის ჭეშმარიტად ხალხური და რა არ არის ხალხური. ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების ძირითადი ფონდი ჭეშმარიტად ხალხურია, ისინი შეიცავენ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ პროგრესულ იდეებს, რომლის მხატვრულ განსახიერებასაც წარმოადგენენ. ცალკეულ ციკლებში გამონაკლისის სახით გვხვდება ისეთი ნაწარმოებებიც, რომელთაც ხალხურად ვერ მივიჩნევთ, რადგანაც ისინი არ გამოხატავენ მათში ასახული ეპოქის დამახასიათებელ პროგრესულ იდეებს.

ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა შეკრებისა და შესწავლის ისტორია

ზეპირსიტყვიერი საისტორიო ნაწარმოებებისადმი საქართველოში ადრევე არსებული ლიტერატურულ-ისტორიული ინტერესების მაჩვენებელია ძველ წერილობით ძეგლებში დაცული ამგვარი ნაწარმოებები ან კიდევ ცნობები მათ შესახებ. „ქართლის ცხოვრებაში“, ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორიაში, ვახუშტი ბაგრატიონისა და სხვათა ნაწარმოებებში შესულია გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და სხვათა შესახებ, ან კიდევ დაცულია ცნობები სხვადასხვა სოციალურ ფენაში ამგვარი ნაწარმოებების ტრადიციისა თუ შესრულების წესების შესახებ. ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა უშუალო ჩანაწერები XIX საუკუნიდან არის ცნობილი. ამ საუკუნის პირველი ნახევარი შემკრებლობითი მუშაობით ხასიათდება. ამგვარ მუშაობას ეწეოდნენ ქართული კულტურის გამოჩენილი მოამაგენი: პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, მ. ბროსე-აღნიშნულ პირთა მიერ შეკრებილი მასალები დაცულია ლენინგრადის არქივებში¹. ეს მასალები, სხვა უნარის ნაწარმოებებთან ერთად, შეიცავს საისტორიო სიტყვიერების ნიმუშებსაც. სისტემატური შეკრებისა და შესწავლის საგნად ქართული ხალხური შემოქმედება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა. ხალხური შემოქმედებისადმი ინტერესის ზრდა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში უშუალოდ იყო დაკავშირებული ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან. დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების—გამოჩენილი მოაზროვნისა და კრიტიკოსის ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის, ნ. ნეკრასოვის იდეებს დანათესავებული ქართული მოწინავე ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლები ხალხის სამსახურისათვის იყვნენ მოწოდებულნი. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ხახანაშვილის, პეტრე უმიკაშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა ფშაველას, თედო რაზიკაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგისა და სხვებისათვის ხალხური შემოქმედება ფართო მასებში პროგრესული იდეების დანერგვის ერთი საუკეთესო საშუალება იყო. მათი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ჩამოყალიბდა თავისუფალი საზოგადოებანი (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზო-

გაღობა), რომელთა მიერ შეკრებილსა და გამოქვეყნებულ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საისტორიო ნაწარმოებებს. დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი სხვადასხვა ჟანრის საისტორიო ნაწარმოებები იმ დროინდელი პრესის ფურცლებზე. ხალხური სიტყვიერების ნიმუშები დაიბეჭდა „დროებაში“, „ივერიაში“, „კრებულში“, „აკაკის კრებულში“, „ჯეჯილში“, „მოგზაურში“. იბეჭდებოდა ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, კერძოდ საისტორიო ნაწარმოებებიც რუსულად. აღსანიშნავია ამ მხრივ «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа» და გაზ. «Кавказ». XIX საუკ. მეორე ნახევრიდან გვაქვს მეცნიერული მიზნით ჩანაწერები, რაც საფუძვლად დაედო საინტერესო ნარკვევებსა და წერილებს ქართული ხალხური სიტყვიერების შესახებ. მათ შორის საკმაო რაოდენობით არის სხვადასხვა ჟანრის საისტორიო ნაწარმოებები. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრების დიდი ინიციატორის პეტრე უმიკაშვილის მდიდარი კოლექცია. ნაწილი პეტრე უმიკაშვილის მიერ შეგროვილი მასალებისა გამოაქვეყნა პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა¹. პეტრე უმიკაშვილის მიერ შეკრებილი მასალები არ წარმოადგენს რედაქტირებულ ტექსტებს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი მასალები წარმოდგენილია დიალექტების დაცვით. ტექსტების დიდ ნაწილს დართული აქვს სათანადო ცნობები და საინტერესო კომენტარები.

„კრებულისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის მიერ ჩაწერილი მასალები ხალხური სიტყვიერებისა. ნაწილი მის მიერ შეკრებილი მასალებისა, როგორც ეს ზემოთ დასახელებული წიგნის შენიშვნებიდან ჩანს, ილია ჭავჭავაძეს პეტრე უმიკაშვილისათვის გადაუცია. ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილ მასალებში წარმოდგენილია საისტორიო სიტყვიერებაც. ეს მასალები ჩაწერილია ზუსტი მეცნიერული პრინციპით. ილია ჭავჭავაძეს გამოთქმული აქვს მეტად საგულისხმო მოსაზრებანი ცალკეულ საისტორიო ნაწარმოებთა შესახებ.

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური, ისტორიული და ესთეტიკური ინტერესი ხალხური სიტყვიერებისადმი, საისტორიო ნაწარმოებებისადმიც იყო მიმართული. საისტორიო ნაწარმოებებისადმი ესთეტიკური ინტერესის მაჩვენებელია მისი მოსაზრება ერეკლე მეორის

¹ უმიკ., ივ., № 39, 1898.

პოეტური სახის „რკინის კარის“ შესახებ. ეროვნული გმირის ამ სიზბოლოს დიდმა პოეტმა მალალი შეფასება მისცა¹.

თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი საისტორიო ნაწარმოებთა ქართული ხალხური სიტყვიერების დიდი მოამაგის აკაკი წერეთლის მიერ შეკრებილ მასალებში. ეს მასალები გამოქვეყნებულია „აკაკის კრებულში“ განსაკუთრებით საინტერესოა მწერლის ცნობები საისტორიო ნაწარმოებთა რეალური საფუძვლის შესახებ².

აკაკი წერეთელი დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხურ ნაწარმოებთა ისტორიულ ფონს³. საისტორიო ნაწარმოებებისადმი აკაკი წერეთელი დიდ ესთეტიკურ ინტერესს იჩენდა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი მოსაზრება გავრცელებული სიმღერის „თამარ მეფე ღმერთს უყვარდა“ შესახებ. პოეტმა ეს ლექსი ჩახრუხაძისა და შავთელის პოემებზე მალა დააყენა⁴.

მდიდრად არის წარმოდგენილი საისტორიო სიტყვიერება თედო რაზიკაშვილის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილ მასალებში. ნაწილი ამ მასალებისა გამოქვეყნებულია თედო რაზიკაშვილის მიერ⁵, ნაწილი გამოაქვეყნეს აკ. შანიძემ და მიხ. ჩიქოვანმა⁶. თედო რაზიკაშვილის გამოქვეყნებულ საისტორიო ტექსტებს ზოგჯერ გააჩნია ვრცელი კომენტარები. კომენტარებში ხშირად აღნიშნულია ტექსტის რეალური საფუძველი და ვარიანტები.

საისტორიო ნაწარმოებთა შეკრება-შესწავლის საქმეში არა მცირეა როლი დიდი პოეტის ვაჟა ფშაველასი. ნაწილი პოეტის მიერ ჩაწერილი ტექსტებისა გამოქვეყნებულია პერიოდულ გამოცემებში, ნაწილი კი დაცულია არქივებში. ამადლებული პატრიოტული გრძობით არის დაწერილი ვაჟას ფელეტონები საისტორიო ნაწარმოებთა შესახებ. ამ ფელეტონებში ხაზგასმულია საისტორიო ნაწარმოებთა დიდი ისტორიული და შემეცნებითი ღირებულება⁷. საისტორიო ნაწარმოებებისადმი ვაჟას ესთეტიკურ შეხედულებებს გვაცნობს მეტად საინტერესო წერილი „კრიტიკა ბ. იბ. ვართაგავასი“⁸. ამ წე-

¹ ივ., № 39, 1898.

² აკ. კრბ., 1889, № IX და სხვ.

³ აკ. კრბ., 1897, № 1.

⁴ თმ., 1913, № 118.

⁵ რაზიკ., I—II, 1909; ძვ. საქ. ჯჯლ., 1892, № 6; კვ., 1893, № 22; 1884.

№ 20.

⁶ შან., ხალხ. სიტყ., III, 1952.

⁷ ორი ამბავი შეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი, ივ., 1902, № 196; თიანური ფელეტონი, ივ., 1901, № 263.

⁸ ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, III.

რილში აღნიშნულია ის გარემოება, რომ ღრმად პატრიოტული პოემის „ბახტრიონის“ წერილსა პოეტი შთაგონებული იყო ხალხური პოეზიით. ვაჟას წერილებში ხალხური შემოქმედებისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე ხაზგასმულია ხალხური შემოქმედების მკიდრო კავშირი ფართო მასების ყოფა-ცხოვრებასთან. პოეტმა ხალხური შემოქმედება შეაფასა, როგორც „ხალხის აზრის“ გამომხატველი. ამით მან ნათლად გამოხატა რევოლუციონერ-დემოკრატთა თვალსაზრისი მხატვრულ შემოქმედებაზე.

საისტორიო ნაწარმოებთა მიმოხილვა არის მოცემული ნიკო ხიზანიშვილის (ურბნელი) ნარკვევებში¹. საისტორიო ნაწარმოებთა ფიქსაციისა და პუბლიკაციის თვალსაზრისით საინტერესოა დიპტრი ჯანაშვილის წერილი „ისტორიული სურათები“², იაკობ გოგებაშვილის შესანიშნავი სახელმძღვანელოები და მოსე ჯანაშვილის ნაშრომები საქართველოს ისტორიის შესახებ.

საისტორიო ნაწარმოებთა შეკრება-შესწავლის საქმეს ამაგი დასდეს აგრეთვე ზ. ჭიჭინაძემ,³ ივ. ბუქურაულმა,⁴ ზ. ბილანიშვილმა⁵; გ. წერეთელმა⁶, ი. დავითაშვილმა,⁷ იონა მეუნარგაამ⁸. ვასილ ბარნოვმა⁹, ს. გორგაძემ¹⁰ და სხვებმა.

ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების, კერძოდ საისტორიო ნაწარმოებთა შეკრება-შესწავლის საქმეში დიდია როლი გასული საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ინტელიგენციის—მწერლების ისტორიკოსების და სხვა საზოგადო მოღვაწეების, მაგრამ სისტემატური მეცნიერული კვლევის საგნად იგი პროფ. ალ. ხახანაშვილმა გახადა. ალ. ხახანაშვილი იცნობდა ხალხური სიტყვიერების ცოცხალ შემოქმედებით პროცესს. სხვა უანრის მასალებთან ერთად მის მიერ არის ჩაწერილი საისტორიო სიტყვიერებაც. ალ. ხა-

¹ ურბნ.

² ურბნ., ივ., 1882, № 12.

³ თამარ მეფე ზეპირის ამბებით, 1911. გელა ნათელაშვილი, დრ., 1878, № 169; ირაკლი მეფის მტრები ალა-მაჰმად-ხანის მოსვლის დროს საქართველოში, დრ., 1878, № 190 და სხვა.

⁴ მზბ., 1896, № 11; თაყ., 1, გვ. 60—64; ივ., №№ 118, 119, 121, 122, 125.

⁵ დრ., 1885, № 25 და სხვ.

⁶ კვ., 1896, № 24; ო. არქ., გვ. 10 ფ. 10 ფ. 114 და სხვ.

⁷ დრ., 1978, № 149.

⁸ ივ., 1890, № 225.

⁹ ქართული სიტყვიერები ისტორიის გაკვეთილები, 1919.

¹⁰ ს. გორგაძე, ჩვენი მწერლობა.

ხანაშვილს ეკუთვნის საყურადღებო წერილები, რომლებშიაც მოცემულია მისი თვალსაზრისი ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა დარგის და კერძოდ საისტორიო ნაწარმოებთა შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ვრცელი წერილი „კვალი საერო პოეზიისა „ქართლის ცხოვრებაში“¹. იგი დაწერილია პროფ. პატკანოვის საპასუხოდ. პატკანოვი ამტკიცებდა „ქართლის ცხოვრებაზე“ სომხურ გავლენას და უარყოფდა ხალხურ ნაწარმოებთა ისტორიულ ღირებულებას. ალ. ხახანაშვილმა ამ მცდარ მოსაზრებას დაუპირისპირა თავისი სწორი მოსაზრება, საისტორიო ზეპირსიტყვიერების ისტორიული ღირებულების შესახებ. მეტად საგულისხმოა ალ. ხახანაშვილის სხვა წერილებიც გამოქვეყნებული როგორც ქართულ ისე რუსულ პერიოდიკაში². ამ წერილებში გარკვეულია საისტორიო ნაწარმოებთა ხასიათი, მათი გენეზისი, დამოკიდებულება სხვა ქანრის ნაწარმოებებთან და სხვა საკითხები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კაპიტალური ნაშრომი «(Черки по истории грузинского словесности)», выпуск I, М., 1895. ამ ნაშრომში მოცემულია ცდა ხალხურ ნაწარმოებთა წარმოშობის საკითხის დადგენის, მისი სხვადასხვა ქანრის განსაზღვრის და სოციალური შინაარსის ანალიზისა, ტრადიციის გათვალისწინების, ისტორიული ფონის გარკვევისა და სხვ. ალ. ხახანაშვილმა ხალხური სიტყვიერების შესახებ მეცნიერული მსჯელობისას ზოგ შემთხვევაში განიცადა ბურჟუაზიული თეორიების ერთგვარი გავლენა, მაგრამ იგი ამ თეორიების ტყვეობაში არ იმყოფებოდა. ძირითადად მისი კვლევა შედარებით-ისტორიული მეთოდის გამოყენებით იყო წარმართული. ალ. ხახანაშვილმა თავისი საქმიანობით ფოლკლორისტიკის დარგში სავსებით გამოხატა ძისკეპოქის მოწინავე ინტელიგენციის სულისკვეთება.

ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერებისადმი ინტერესი გამოიჩინეს რუსმა მეკლუეარებმაც. ამ მხრივ აღსანიშნავია ვს. მილერისა და ალ. ვესელოვსკის ნაშრომები. ვს. მილერმა გამოაქვეყნა თამარ მეფის შესახებ არსებული ლეგენდის ოსური ვარიანტი³. ალ. ვესელოვსკიმ ერთ წერილში დასვა საკითხი ლერმონტოვის ბალადი-

¹ ივ., 1888, № 135, 156, 214, 218, 242 და სხვ.

² „საერო პოეზია“, მშბ. 1894. № 10; ბახტრონის აღება. ივ., № 220, 1880; ყიზლარი, ივ., 1888, № 131; М е с х и, Этнографическое обозрение, X, და სხვ.

³ Осетинские этюды, III, М., 1887.

სა და თამარ მეფის შესახებ არსებულ ნაწარმოებთა ურთიერთობისა¹. მეორე წერილის მიხედვით ლეონტოვის ბალადის წყაროში მიჩნეულია ფრანგი მოგზაურის გამბას მიერ გადმოცემული მოხვეუერი ლეგენდა თავადას ქალის დარბას შესახებ².

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე შეკრებილ მასალებს ქართული ხალხური შემოქმედებისა და ნარკვევებს მათ შესახებ თავის დროზე უდავოდ დიდი საზოგადოებრივი და მეცნიერული მნიშვნელობა ჰქონდა. ბევრ მათგანს ახლაც გააჩნია ამგვარი ღირებულება.

ხალხური შემოქმედების შეკრებისა და შესწავლის საქმე მყარ მეცნიერულ ნიადაგზე საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დადგა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამეცნიერო ექსპედიციების მიერ შეკრებილია მრავალფეროვანი მასალა ამ მასალებში მდიდრად არის წარმოდგენილი საისტორიო სიტყვიერება. გამოცემულია მნიშვნელოვანი კრებულები. რომლებიც შეიცავენ საისტორიო სიტყვიერების ნიმუშებს³. გამოქვეყნდა საყურადღებო წერილები და ნარკვევები რომლებშიც მარქსისტულენინური თეორიის საფუძველზე გაშუქებულია ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების საკითხები.

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების ძირითადი ციკლები. ხალხურობისა და შემოქმედებითი მეთოდის საკითხები

ლექსები, გადმოცემები და თქმულებები ვახტანგ გორგასალზე. საისტორიო სიტყვიერების თემატიკური მიმოხილვა მიზნად ისახავს ზეპირსიტყვიერების ამ დარგის ხალხურობისა და შემოქმედებითი მეთოდის საკითხების გარკვევას. აღრინდელი ფეოდალიზმის ხანასთან დაკავშირებულ ნაწარმოებთა ციკლებში თემატიკურად და ჟანრობრივად საინტერესოა ვახტანგ გორგასლის სახელთან დაკავშირებული ნაწარმოებები. V—VI საუკუნეების ქართლის რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, ბრძოლა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესაქმნელად. წარჩინებულთა ოპოზიცია და მშენებლობა ის მნიშვნელოვანი მოვლენებია, რაც ასახულია ვახტანგ გორ-

¹ Царница Тамара в народной легенде и у Лермонтова, „Кавказ“, 1898, № 6, 7.

² Еще о царице Тамаре, „Кавказ“, 1898, № 66.

³ შან; კოტ.; სვან. I; ღლ. გურ, ცაიშ. თამ: ცაიშ., ელ. ვირსალ., მასალ. I; И. Мегрелидзе, Руставели и фольклор, 1960 და სხვ.

ჯასლის სახელთან დაკავშირებულ ნაწარმოებთა ციკლებში. ამ ციკლის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩევა საგმირო-პატრიოტული ლექსი „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“. ამ ლექსის სოციალურ არსს ღრმა გააზრება მისცა პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ პოემა „სამგორის“ მაღალ პოეტურ შეფასებულში. ეროვნული მთლიანობისა და თავისუფლებისადმი მისწრაფება გამოხატული ავრეთვე ხევისურულ ფრაგმენტულ ლექსში „პირდაპირ შამაგხედვედი“¹. ამ ციკლის ნაწარმოებთა ძირითადი ფონდი ღრმად ხალხურია. უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ გორგასლის შესახებ შექმნილ ნაწარმოებთა განვითარება ერთიან წაკადს არ წარმოადგენს. ციკლი თქმულებებისა ვახტანგ გორგასლის ბრძოლებზე ხასიათდება რთული სოციალური შინაარსით და ზოგჯერ ერთგვარი წინააღმდეგობებითაც. თქმულებათა ამ ციკლში გაერთიანებულია სხვადასხვა სოციალურ ფენაში და გორგასლისადმი სხვადასხვაგვარად განწყობილ პირთა მიერ შექმნილი ნაწარმოებები. ამ ციკლის ნაწარმოებთა ერთი ძირითადი თემა არის გორგასლის მიერ საქართველოში მოთარეშე ჩრდილო-კავკასიელთა ალაგმვა. თქმულების მიხედვით, გორგასალმა მტერი ვერაგულის მოქმედებით ე. ი. ფიცის გატენით დაამარცხა². ვერაგული მოქმედების მოტივი შექმნილი უნდა იყოს გორგასლისადმი არა კეთილად განწყობილ ტომში ან სოციალურ გარემოში. მასში იგრძნობა ტენდენცია ძლევამოსილი გმირის სახის დაჩრდილვისა. ეს მოტივი გამოყენებულია გორგასლის დაღუპვაზე შექმნილ თქმულებებში³. ეს თქმულებები შეიცავენ საერთაშორისო ხასიათის მოტივებს⁴. რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ეპოსის შედარებითი მეთოდით შესწავლისას⁵. საერთოდ კი ამ მოტივის შემცველ თქმულებათა ვარიანტები ძირითადად ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის იდეაზეა აგებული. ისინი თავის დროისათვის პროგრესულია და ამდენად ხალხურიც.

ვახტანგ გორგასლის ციკლის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია ანაქრონიზმები და კონტამინაცია-ციკლიზაციის მოვლენე-

¹ შან., გვ. 79.

² შან. 1917, № 9—10: უზიკ., გვ. 563; Сторник сведений о кавк. горцах, т. V, 1871, стр 60; СМОК, т. 27, стр. 42.

³ დრ., 1885, № 25.

⁴ სიხ., საგმ., გვ. 203—210.

⁵ В. Жирмунский. Эпическое творчество славянских народов и проблемы сравнительного изучения эпоса. „Вопросы литературы“. 1958, № 6, стр. 122—133; Viktor Schirmunski, Vergleichende Epenforschung, I, Berlin, 1951, B. 71.

ბი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ციკლის ნაწარმოებებს ზოგადი ხასიათი აქვს. მათში გადმოცემულ ამბებს საუკუნეთა გრძელი მანძილის გამოვლის შედეგად დაკარგული აქვთ კონკრეტულობა.

XI—XII საუკუნეების საისტორიო ნიტევიერება

ლექსები მცხეთის მშენებლობაზე. ჩვენამდე მოღწეულია მშენებლობის თემაზე შექმნილი ლექსები, რომელნიც გაძლიერებული სამცხეთოს—XI საუკუნის საქართველოს ამბებთან არის დაკავშირებული. საინტერესოა საქართველოს ძველი სატახტო ქალაქის მცხეთის მშენებლობის ამსახველი ციკლი ლექსებისა. ფრაგმენტული ხასიათი აქვს ვარიანტებად ცნობილ ლექსს ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლის სვეტიცხოვლის ტაძრის აშენებელი ოსტატის შესახებ. ეს ლექსი დღესაც ღრმად გაგვაცდევინებს მშრომელთა წარსულ ძნელებდობას; გვაცნობს წარსულში ტრაგედიას იმ დიდოსტატთა, რომელნიც მსხვერპლნი ხდებოდნენ სოციალური ბოროტებისა. შორეული წარსულის ამსახველი ეს ლექსი ღრმა ლირიზმით ხასიათდება, ხალხი პატრიოტი ოსტატის პირით გვაცნობს მის მწარე ხვედრს:

ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, ხელი მიამკრეს,
კარგად რისთვის აგიგია.

ცნობილია ამ ლექსის უფრო ვრცელი ვარიანტები. არსებობს სვეტიცხოვლის ტაძრის აშენებაზე შექმნილი ლექსების ახალჩაწერილი ვარიანტებიც. ეს ლექსები ასახავენ ჩვენი ქვეყნის მდიდარი წარსულის იმ საინტერესო ფურცელს, რამაც შთააგონა კონსტანტინე გამსახურდია რომანის „დიდოსტატის მარჯვენას“ შექმნისას.

ლექსები, გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები დავით აღმაშენებელზე. ქართულ საისტორიო ნაწარმოებთა მდიდარ ციკლს წარმოადგენს დავით აღმაშენებლის სახელთან დაკავშირებული ლექსები, გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები. დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით საქართველოში მოთარეშე თურქების ალაგმვა, სელჩუკიან სულტანისათვის ხარკის შეწყვეტა და გამუდმებული თავდასხმებისაგან აოხრებული ქვეყნის აღდგენა ისეთი

მოვლენები იყო, რაც შთამაგონებელი უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხისათვის. ამ ნიადაგზე ქართველმა მთქმელებმა შექმნეს პატრიოტული ნაწარმოებები, რომელნიც დავით აღმაშენებლის სახელთან არის დაკავშირებული. ბრძოლა ცენტრალიზებული სახელმწიფოს წესაქმნელად ამ ციკლის ნაწარმოებებშიც, ისევე როგორც ვახტანგ გორგასლის ციკლის ნაწარმოებებში, მხოლოდ ეროვნული გმირის სახელთან არის დაკავშირებული. ეროვნული გმირის სახეშივეა მოცემული ქართველი ხალხის ამალღებელი ჰუმანიზმი. ამ ციკლის ნაწარმოებთა ერთი ძირითადი თემა საქართველოს გარეშე მტრების ალაგმვაა. ამ პატრიოტულ ნაწარმოებებს საგმირო ხასიათი აქვს.

ამ ციკლის ნაწარმოებთა ძირითადი თემა არის აგრეთვე შშენებლობა. თურქების თავდასხმებისაგან აოხრებული ქვეყნის აღდგენა, ბუნებრივია, გახდა საგანი ქართველი ხალხის მხატვრული შემოქმედებისა. დღემდე ცოცხალია ზეპირსიტყვიერებაში რეალისტური გადმოცემები და ფანტასტიკური თქმულებები და ლეგენდები დავით აღმაშენებლის მიერ გელათის მონასტრისა და სხვა ეკლესიებისა და ციხეების აშენების შესახებ. მკვიდრი ისტორიულ-ნაციონალური საფუძვლის მქონე ეს ნაწარმოებები, ისევე როგორც საგმირო ამბებზე შექმნილი ნაწარმოებები, ზოგ შემთხვევაში ტრადიციულ, საერთაშორისო ხასიათის სიუჟეტებსა და მოტივებზეა აგებული¹.

ამ ციკლის ნაწარმოებებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გადმოცემას, რომლითაც ლეკთა მთავარმა შეცდომაში შეიყვანა დავით აღმაშენებელი, რასაც ერთგვარი ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს, არ გვხვდება ისეთი ნაწარმოები, რომელიც თავისი დროისათვის პროგრესული იდეების მატარებელი და ამდენად ხალხური არ იყოს.

მთლიანად დავით აღმაშენებლის ციკლი უანრობრივი მრავალფეროვნებით, საგმირო ხასიათით, ნაწარმოებთა რეალურ საფუძველთან დამოკიდებულებით და ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიური დამუშავებით არსებითად ისეთივეა, როგორც ვახტანგ გორგასლის სახელთან დაკავშირებული ნაწარმოებები. მართალია ამ ორი სხვადასხვა ციკლის ნაწარმოებთა რეალურ საფუძველებს შორის ექვსი საუკუნეა, მაგრამ მათი უმრავლესობა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან არის ჩაწერილი. XIX—XX საუკუნეთა მთქმელებისათვის დავით აღმაშენებლის ეპოქაც შორეული წარსულია, რვა-ცხრა საუკუნე ვრცელი ისტორიული მანძილია ზეპირსიტ-

¹ სიხ., საგმ., გვ. 210—216.

ყვერების განვითარებაში. იგი სავსებით საკმარისია ნაწარმოებში ასახულ კონკრეტულ ფაქტთა განზოგადებისათვის.

ხალხური ნაწარმოებნი შოთა რუსთაველზე. ფეოდალიზმის ხანასთან დაკავშირებულ ზეპირსიტყვიერებაში საინტერესოა დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის შესახებ არსებულ ნაწარმოებთა ციკლი. „ვეფხისტყაოსანი“, ეროვნული კულტურის ეს ზვირფასი საუნჯე, ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში. ბუნებრივია, რომ მისი გენიოსი შემოქმედი ხალხის პოეტური შემეცნების საგანი გახდა. ამ ციკლის ნაწარმოებთა შექმნა მხოლოდ ფეოდალიზმის ხანას არ ეკუთვნის. შოთა რუსთაველი ყოველთვის იყო და დღესაც არის პოეტური შთაგონების წყარო. ამ ნაწარმოებთა მნიშვნელოვანი ნაწილი დიდი ქართველი პოეტისა და თამარ მეფის ურთიერთობაზეა შექმნილი. ეს ურთიერთობა ზეპირსიტყვიერებაში ისტორიული და ლეგენდარული ამბების ჩვეულებრივი შერევითაა გადმოცემული. ამ ნაწარმოებთა ერთი წამყვანი მოტივია გენიალური ქართველი პოეტის გამგზავრება იერუსალიმში და იქ, ქართველთა მონასტერში ბერად შედგომა. მწერალ პლოტკინის მიერ იერუსალიმში მოგზაურობის საინტერესო აღწერასთან დაკავშირებით ამ მოტივის რეალური საფუძვლის გარკვევას ცნოვლად გამოეხმაურა პრესა¹. სსრ მეცნიერებთა აკადემიამ რუსთაველის ბიოგრაფიის დასაზუსტებლად იერუსალიმში 1960 წლის ოქტომბერში გაგზავნა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ექსპედიცია. ექსპედიციაში შედიოდნენ აკადემიკოსები—ა. შანიძე, გ. წერეთელი და პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე. ექსპედიციამ მიაკვლია ჯვარის მონასტრის კედელზე მუქი საღებავებით დაფარული რუსთაველის პორტრეტი. გადაიღო და ჩამოიტანა. ამით დადასტურდა ლეგენდა-თქმულებათა ცნობები რუსთაველის იერუსალიმში ყოფნის შესახებ.

არსებობს გადმოცემები, რომლებითაც შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების ცალკეული სტროფების შექმნა შოთას და თამარის ურთიერთობითაა ახსნილი. სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ერთად იხსენიება სახელები ერთი ეპოქის ორი დიდი წარმომადგენლისა.

თამარ მეფის სახე ზეპირსიტყვიერებაში. ყველაზე დიდს, მრავალფეროვან და ფართოდ გავრცელებულ ციკლს უძლიერესი ქარ-

¹ იხ. კ. კეკელიძის, გ. ლენინძის, ალ. ბარამიძის, მიხ. ჩიქოვანის, ელ. მეტრეველის წერილები 1960 წლის „კომუნისტა“ და „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე.

თული ფეოდალური მონარქიის ხანასთან დაკავშირებულ ნაწარმოებთა შორის წარმოადგენს თამარ მეფის შესახებ შექმნილი ლექსები, გადმოცემები და ლეგენდები. თამარ მეფეს, მისი თანამედროვე ისტორიკოსის ცნობით, სიცოცხლეშივე უმღეროდა ხალხი. ამ ციკლის ნაწარმოებთა დიდი ნაწილი თამარის თანამედროვეთა მიერ არის შექმნილი. მაგრამ სახე მეფე ქალისა, რომელსაც ღირსეულად ეპყრა ხელში მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე გამოსული საქართველოს—ცენტრალიზებული სახელმწიფოს კულტურული და ეკონომიური ძლიერების საჭე, შთაბაგონებელი იყო მტრებისაგან აკლებული ქართველი ხალხისათვის მომდევნო საუკუნეებშიც. თამარ მეფის შესახებ არსებული ზეპირსიტყვიერება შთაგონებულია ცენტრალიზებული სახელმწიფოს ძლიერებით, ხალხის თვითშეგნებითა და იმედით, კულტურისა და მშვიდობიანი მშენებლობის იდეით. ხალხის შემოქმედებითა ფანტაზიამ შექმნა ძლევამოსილი და უღაპარესი მეფე ქალის გრანდიოზული სახე—განსახიერება საქართველოს ისტორიის მეტად საინტერესო ეპოქისა. ბოლო დრომდე სეანური სახალხო დღესასწაულების აუცილებელი ელემენტი იყო მხატვრული სიტყვისა და ხალხური სიმღერის საუკეთესო ნიმუში, მრავალვარიანტად ცნობილი საფერხულო „თამარ დედოფალი“:

ო, სიხარულო თამარ დედოფალო,
 ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო!
 თმები გქონდა ხუჭუქურ,
 თვალები გეჭდა გიჟრისა.
 კბილები გქონდა მარგალიტისა,
 შიგნით გეცვა ატლასი,
 გარეთ გეცვა აბჯარი,
 ფეხზე გეცვა, ო, ჩექმები.
 თავზე გედგა ზუჩი:
 ცხენი გყავდა ქვიშისფერისა,
 უნაგირი გედგა ომ, მოქედლო,
 აღვირი გედგა მოვერცხლილი,
 მათრახი გქონდა ოქროსი,
 თამარ დედოფალო, თამარო,
 ყველაზე უკეთეს თამარს!

თამარის პოეტურ სახეში ერთად არის მოცემული ისტორიული და ფანტასტიკური, ნამდვილი და მითოურ-ზღაპრული. თამარის ციკლში შესული ზოგი ნაწარმოები წარმართული ხანიდან უნდა მომ-

¹ სვან., I, გვ. 3.

დინარეობდეს, მითიური ლეტაება ხალხს დაუკავშირებია ისტორიული თამარისათვის. თქმულებებისა და ლეგენდების რომანტიკულ საღებავებსა და ფანტაზიის გამჭვირვალე სამოსელში, რომლითაც თაძარი წმინდანია, ზებუნებრივი, მითიური თუ ზღაპრული, იგრძნობა ისტორიული თამარი, რომლის მეფობის დროსაც საქართველოს მტრები იძულებული იყვნენ წამოეჩოქათ ძლიერი სახელმწიფოს წინაშე.

ამ ციკლის ნაწარმოებთა ძირითადი თემებია: ა) ბრძოლა გარეშე მტრების წინააღმდეგ; ბ) მშენებლობა; გ) თამარ მეფის პიროვნება; დ) თამარ მეფის გარდაცვალება და მისი დასაფლავების ადგილი. ამ თემებზე შექმნილ ნაწარმოებთა ძირითადი ნაწილი ისეა წარმოდგენილი, რომ გვაცნობს ქართველი ხალხის მგზნებარე პატრიოტიზმს, ამაღლებულ იდეას სამშობლოს ერთიანობისა. ისინი თავისი დროისათვის პროგრესული იდეების შემცველი და ამდენად კუშმარიტად ხალხური ნაწარმოებებია.

წინაარსით, ჟანრობრივად და ხასიათის მიხედვით განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ღრმად პატრიოტული ნაწარმოებები. პატრიოტულია აგრეთვე მშენებლობის თემებზე შექმნილი ნაწარმოებები. შემოქმედებითი პროცესის თვალსაზრისით საინტერესოა თამარის პიროვნებაზე არსებული ნაწარმოებები.

ისე როგორც ვახტანგ გორგასლის, თამარ მეფის სახელთან დაკავშირებულ ნაწარმოებთა ციკლშიც იგრძნობა ხალხური შემოქმედების განვითარების სხვადასხვა ნაკადი.

მთელი რიგი ნაწარმოებებით თამარ მეფე შეუბრალებელი და მრისხანეა. 1947 წელს ყვარჯელში მოპოვებული ლეგენდით თამარ მეფემ ბრძანა არხის გაყვანა. არხზე აგებული წისქვილით დაფქვილ ხორბალს სისხლი გასდინდა. ეს იმის მათუწყებელი იყო, რომ არხის მშენებლობას თაობები შეეწირა.

თამარის სისასტიკეს ასახავს აგრეთვე ლეგენდა, რომლის მიხედვითაც თამარის სურვილის თანახმად აბოზოქრდა ტბისა თუ მდინარის ტალღები და შთანთქა მასზე გამიჯნურებული ჭაბუკი. ამგვარი ნაწარმოებები უდავოდ თამარისადმი არა კეთილად განწყობილ სოციალურ წრეშია შექმნილი.

ძირითადად კი თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ციკლი ნაწარმოებებისა ხალხურია. ისინი შთაგონებულია პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად ძლიერი, გაერთიანებული სამ-

შობლოს სიყვარულის იდეით. აღსანიშნავია, რომ ამ ციკლში, ისევე როგორც ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის სახელებთან დაკავშირებულ ნაწარმოებებში, ხალხი ან მასა მხოლოდ ზოგადად არის აღნიშნული და დახასიათებული. უსახელოდ არიან გამოყვანილი თამარის მსახურები და მისთვის თავდადებული ქაბუკები. არ არის აღნიშნული ხალხის როლი ქვეყნის დაცვისა და აშენების საქმეში. ქალთა ამაღლა თუ ლაშქარი, რომლის საშუალებით საქართველოს მკვფე უმკლავდებოდა შემოსეულ მტერს და ეწეოდა მშენებლობას, ზოგადად არის ნახსენები თქმულებებსა და ლეგენდებში. თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებშიც მდიდარ მასალებს შეიცავენ ეპოსის შედარებითი მეთოდით შესასწავლად¹.

სიმღერები შალვა და ივანე ახალციხელებზე. გიორგი ლეონიძემ დაადგინა, რომ საფერხულო „შავლეგოს“ და თურქების წინააღმდეგ მებრძოლი ორი ძმის—შალვა და ივანეს შესახებ შექმნილი სხვა სასიმღერო ლექსების აღრესატებია შალვა და ივანე ახალციხელები. სიმღერები შალვა და ივანე ახალციხელების შესახებ სამშობლოს სიყვარულსა და მისი თავისუფლებისათვის ბრძოლაზე სიმღერებია. შალვა და ივანე ახალციხელები თამარ მეფის თანამედროვე სახელოვანი გმირები იყვნენ. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, მათ არა ერთხელ ისახელეს თავი სამშობლოსათვის ბრძოლებში.

უფრო ნათლად ხალხს შალვა ახალციხელის ხსოვნა დაუცავს. ის გარემოება, რომ შალვა ახალციხელი მძვინვარე შაჰის კარზე მთელი წლის განმავლობაში მტკიცედ იდგა სჯულზე და შემდეგ წამების გვირგვინი დაიდგა, შთამაგონებელი იყო როგორც გმირის თანამედროვე, ისე მომდევნო თაობების მთქმელებისათვის². სავსებით ბუნებრივია ის ანაქრონიზმები. რაც ამ ციკლში გვხვდება. მომდევნო საუკუნეებში მომძლავრებული ლეკიანობით სულშეხუთულმა ხალხმა ახალციხელები გამოიყვანა, როგორც თურქების, ისევე ლეკების წინააღმდეგ მებრძოლებად.

ეროვნული გმირის პოპულარობის. მისდამი ხალხის დიდი სიყვარულის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ შალვა ახალციხელზე შექმნილი სიმღერა ბოლო დრომდე შრომის პროცესში სრულდებოდა. ამ ციკლის სიმღერები ისევე, როგორც ვახტანგ გორგასლის,

¹ სიხ., საგმ., გვ. 201—206. 216—219. 221—236.

² გ. ლეონიძე, შალვა-შავლეგო, „კომუნ.სტი“, 1941, № 260.

დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ნაწარმოებთა დიდი ნაწილი. შთაგონებულა სამშობლოს თავისუფლებისა და ერთიანობის იდეით. ამით აიხსნება მათი საგმირო-პატრიოტული სასიათი.

* * *

ჯერ კიდევ გაუშიფრავი ლექსები რუსუდანის¹, ყუენის, თურქების და სხვათა შესახებ უნდა ასახავდეს იმ მძიმე ხანას საქართველოს ისტორიისა, რომელიც ჯალალ-ედინის შემოსევიდან დაიწყო. ამავე ხანას უნდა ეკუთვნოდეს ზოგი ლექსი, რომელთა მიხედვითაც ქართველი ხალხის მტრებად ლეკებია გამოყვანილი. 17—18 საუკუნეებში თურქებზე შექმნილი ზოგი ლექსი შევიდა მომძლავრებული ლეკიანობის ამსახველ ნაწარმოებთა ციკლში.

XV—XVII საუკუნეების საისტორიო სიტყვიერება

თემურ-ლენგის შემოსევებმა და ამის შედეგად XV საუკუნეში საქართველოს სამეფოს დაშლამ განსაზღვრეს ის ბრძოლები, რასაც თავისი დამოუკიდებლობისათვის XV—XVII საუკუნეებში აწარმოებდა ქართველი ხალხი. ამ საუკუნეებში განმტკიცდა საბოლოოდ ბატონყმობა. ფეოდალების ლტოლვა თავიანთი სამთავროების გაფართოებისადმი გარეშე მტრების შემოსევასთან ერთად სულს უხუთავდა თავისუფლების მოყვარე მშრომელ მოსახლეობას. ყოველივე ამან თავისი გამოხატულება პოვა ზეპირსიტყვიერებაში. მეზობელი ს.ხელმწიფოების—ირანისა და ოსმალეთის მუდმივმა აგრესიამ და სამთავროების სისტემამ ფიზიკურად დაასუსტა ქართველები, მაგრამ ვერ გატეხა მათი მხნეობა. ვერ ჩაკლა რწმენა მომავალი გამარჯვებისა. უდრეკი ნებისყოფა ქართველი ხალხისა გამოხატულია ამ საუკუნეებში შექმნილ ხალხურ ნაწარმოებებში, რომლებშიც ისმის პროტესტი ეროვნული ჩაგვრისა და სოციალური ბოროტებისადმი. არ უნდა იყოს სადავო, რომ ამ საუკუნეთა მოლექსეების შემოქმედების ნაყოფია ისეთი შესანიშნავი პატრიოტული ლექსები, როგორიცაა:

¹ თაყ., 1, გვ. 177.

ისევაც დაიწრდებიან
ალკეთს ლეკვები ძგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან,
ჯავრი შექამონ მტრისანი;

ან კიდევ:

ის უღბნია დუშმანსა,
ალარ არიან წახდესო,
ის კი აღარვის უთქომის,
თუ ლომს ლეკვები დარჩესო,
აისხას იარაღები,
სამტეროს გზაზე შადგესო,
ისევ მოიდან ცოცხალნი,
მამის კერაზე დასხდესო.

კლასთა ბრძოლა XVI—XVII საუკ. საისტორიო სიტყვიერებაში. ხალხი XVI საუკუნეს უკავშირებს გადმოცემას ბეჩოს ხევის მმართველის სორთმან დადგეშქელიანის შესახებ¹. სორთმან დადგეშქელიანის მიერ სვანი მოსახლეობის საშინელი შევიწროება, ძმების ვიცბილისა. და მაცბილის მეთაურობით ყმების აჯანყება და სისხლისმსმელ ბატონზე შურისძიებაა გადმოცემული შესანიშნავ საფერხულ სიმღერაში. სიმღერა ვიცბილისა და მაცბილის შესახებ ბოლო დრომდე სრულდებოდა სახალხო დღესასწაულებზე, რითაც ხალხი გამოხატავდა თავის დიდ სიყვარულს სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირებისადმი. მშრომელი ხალხის ჩაგვრის სამარცხვინო ინსტიტუტი—ბატონყმობა საქართველოს ზოგ კუთხეში არ ყოფილა. ამ მირივ გამონაკლისს წარმოადგენდა ფშავ-ხევსურეთი და სვანეთის ნაწილი. ფეოდალები ვერ ურიგდებოდნენ სვანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ამგვარ თავისუფლებას. დამორჩილებისა და დაბეგვრის მიზნით ისინი ახდენდნენ თავდასხმებს ფშავ-ხევსურეთის და სვანეთის მშრომელ მოსახლეობაზე.

დიდი ისტორიული, შემეცნებითი და მხატვრული ღირებულება აქვს ციკლს ნაწარმოებებისა, რომელიც გვაცნობს არაგვის ერისთავების—ნუგზარისა და ზურაბის წინააღმდეგ მშრომელთა თავდაცვით ბრძოლებს. ჩვენამდე მოღწეული ხალხური სტრიქონები „ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“ ახასიათებს XVI—XVII საუკუნეების საქართველოს, როგორც საგარეო ისე შინაურ მძიმე მდგომარეობას. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ადგილებში ჩაწერილი სხვადასხვა ჟანრის

¹ ნარკვ., გვ. 143.

ნაწარმოებნი ამსახველნი მთის მშრომელთა თავგანწირული ბრძოლებისა ზურაბ ერისთავის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ ზურაბ ერისთავის სახე გაორებულია ზეპირსიტყვიერებაში. ზოგი ლექსის მიხედვით იგი დახასიათებულია როგორც სანატრელი ბატონი, დამცველი თვისი სამშობლოსი. ერთი ლექსი ასე ახასიათებს არაგვის ერისთავს:

ზურაბისთანა ბატონი
ვინღა გამოვა ხმლიანი,
განჯა, მირანა ამტვრივა,
დღესაც კი სახელი არი...
...ისაჰაჰანამღი გაითქვა,
ყვენთან გაიზარდაო!

ამგვარი ლექსების საფუძველია ის გარემოება, რომ ზურაბ ერისთავი განთქმული მხედართმთავარი იყო. სამწუხაროდ მან თავისი მხედართმთავრული უნარი მშრომელი ხალხის სავალალოდ გამოიყენა, რისთვისაც სიძულვილით ახსენებს ხალხი.

მთლიანად ზურაბ ერისთავის სახელთან დაკავშირებულ ნაწარმოებთა ციკლი მეტად საინტერესოა ზეპირსიტყვიერების მხატვრული პროცესების გასათვალისწინებლად. ამ ნაწარმოებებში ჩანს ზეპირსიტყვიერების ვარიაციის დიდი უნარი. ამ ციკლში გვხვდება ძველ ნაწარმოებთა გაახლების ნიმუშები. გვხვდება აგრეთვე მომდევნო საუკუნეებში შექმნილ ნაწარმოებთა ზურაბის სახელთან დაკავშირების მაგალითებიც. ამ ციკლის ნაწარმოებთა რეალური საფუძველი ისე შორეული არ არის, როგორც მაგალითად ვახტანგ გორგასლის, ან თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებებისა. ამით აიხსნება მისი თავისებურებაც. ადრინდელი საუკუნეების ნაწარმოებთა ციკლებისაგან განსხვავებით ამ ციკლს ახასიათებს მოვლენათა კონკრეტიზაცია და პერსონაჟების სიმრავლე. მეტწილად ნაწარმოებში ოამდენიმე გმირის მოქმედება არის ასახული.

არაგვის ერისთავების მიერ მშრომელთა შევიწროების ამსახველია ხევსა და ხევსურეთში გავრცელებული ლექსები და თქმულებები შიოლა ლუღუშაურისა და მთრეხელის შესახებ².

სვანური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები გელოვანისა და დადეშქელიანების წინააღმდეგ მშრომელი ხალხის აჯანყებისა და აღმო-

¹ უმკ., გვ. 88—89.

² შან., გვ. 07, 14—15, 336—342; მაკ., ხევ., გვ. 42—44.

სავლეთ საქართველოს მთიან ადგილებში გავრცელებულ ნაწარმოებთა ციკლები ერისთავებისა და შიოლა ლუღუშაურის წინააღმდეგ ხალხის ბრძოლისა საქართველოში კლასთა ბრძოლის ისტორიის ძვირფასი მასალებია. თუმცა ეს ნაწარმოებნი, მიუხედავად მათი მახვილი სოციალური მოტივებისა, გამოხატავენ ხალხის სტიქიურ პროტესტს სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

შაჰ-აბასის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ამსახველი ნაწარმოებნი. საისტორიო ნაწარმოებთა განვითარების ამ პერიოდს ეკუთვნის შაჰ-აბასის სახელთან დაკავშირებული ციკლი პატრიოტული თქმულებებისა და ლეგენდების. შაჰ-აბას პირველისა და შაჰ-აბას მეორის აგრესია საქართველოში მწარე მოგონებად დარჩა ქართველ ხალხს.

ბახტრიონის ბრძოლის ამსახველი ხალხური სიტყვიერება. XVII საუკუნის ნაწარმოებთა ციკლებში პატრიოტული მოტივებითა და საგმირო ხასიათით გამოირჩევა ბახტრიონის ბრძოლის ამსახველი ლექსები, გადმოცემები და თქმულებები. ამ ციკლის ნაწარმოებები ბოლოდრომდეა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში, ისინი შთაგონებულია სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობით. ამ ნაწარმოებთა თემა არის კახეთის განთავისუფლება თურქმენთათრებისაგან.

ბახტრიონის ციკლის ნაწარმოებებში რელიეფურად ჩანს მათი შექმნის საფუძველი. ამ ციკლისათვის უცხო არ არის ზეპირსიტყვიერების ისეთი მოვლენები, რაც დროთა ვითარებაში შემოქმედებითი პროცესის შედეგად ამკრთალებს ნაწარმოების რეალურ საფუძველს. მასში გვხვდება კონტამინაციის შემთხვევები, მაგრამ ანაქრონიზმებისა და ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიური დამუშავების მოვლენები მისთვის დამახასიათებელი არ არის. ეს გარემოებაც მას ასხვავებს ჰრველი პერიოდის—ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის სახელებთან დაკავშირებულ, უფრო ფართო გავრცელების არის მქონე ციკლებისაგან. ამგვარი თავისებურება ამ ციკლის ნაწარმოებთა მათი რეალური საფუძველის ხნოვანებითა და შედარებით ვიწრო ლოკალიზაციით აიხსნება.

XVIII საუკუნის საისტორიო სიტყვიერება

ერეკლე მეორის ციკლი. ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ნათლად არის ასახული XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მღელვარე

ეპოქა. თემატიკური და უანრობრივი მრავალფეროვნებით და მდიდარი სოციალური შინაარსით გამოირჩევა ციკლი ნაწარმოებებისა დაკავშირებული ერეკლე მეორის სახელთან. ამ ციკლის ნაწარმოებთა თემებია: საქართველოს გაერთიანების მიზნით ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის ბრძოლები გარეშე და შინაურ მტრებთან, ბატონყმობის გამწვავება, რეაქციონერ თავადებისადმი გლეხების პროტესტი: აყრა-გ:ქცევათ. ლეკთა ქურდული თავდასხმების ასაცილებლად მორიგე ლაშქრის დაწესება, საგარეო ორიენტაციის საკითხი, რუსეთთან საქართველოს შეერთება, ერეკლეს გარდაცვალება და სხვ.

ხალხურ სიტყვიერებაში სიყვარულით არის დახასიათებული ერეკლე მეორე, როგორც დიდი ეროვნული გმირი. მიუხედავად, იმისა, რომ ამ ციკლის ნაწარმოებნი ძირითადად რეალისტური ხასიათისა არის, ერეკლეს სახე ზოგჯერ მითითური ელფერით არის მოსილი.

ჰეროიკა, ღრმა ლირიზმი და ამალღებული პატრიოტიზმი ახასიათებს ერეკლე მეორის გარდაცვალებაზე შექმნილ ლექსებს¹.

მეტად მრავალრიცხოვანია გარეშე თუ შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლების ამსახველი ამ ციკლის ნაწარმოებები.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას რეალისტურად გვიხატავენ ლექსები რეაქციონერი ფეოდალების—გივი ამილახვრისა, აბდულა ბეგისა და გაბრიელ ჩოლოყაშვილის შესახებ. ხალხი სიძულვილითა და დაცინვით იხსენიებს ფეოდალებს, რომელნიც ძალა-უფლების ხელში ჩაგდების მიზნით მშობლიურ კუთხეში ათარგმებდნენ უცხო ტომებს.

ზეპირსიტყვიერებაში სხვადასხვა შეხედულებათა ბრძოლის თვალსაზრისით საინტერესოა ლექსი „ბაქარიანთა დაღევა“². ამ ლექსშიც ასახულია ერეკლე მეორის ბრძოლა სათავადოების სისტემის წინააღმდეგ. მასში გადმოცემულია ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმული თავადების დასჯა. ეს ლექსი ფეოდალურია და არა ხალხური. იგი ერეკლეს მიმართ მტრულად განწყობილ რეაქციონერთა ბანაკშია შექმნილი. რეაქციონერ თავადებს სამეფო ტახტის მემკვიდრეებად ბაქარის ძმა და შვილები მიაჩნდათ, შეთქმულების ხელმძღვანელი ვახტანგ მეფის უკანონო შვილი პაატა იყო. დასახელებულ ლექსში აღნიშნულია ბაქარიანთა ფიზიკური დასჯა.

¹ კოტ., გვ. 21; კრბ., 1872, № 8 და სხვ.

² უმიკ., გვ. 108.

ლექ-ოსმალ-ერანელთა თუ შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველ ნაწარმოებებში აღწერილია მამაცობა ერეკლე მეორის თანამებრძოლ გმირთა. ციკლი ლექსებისა შექმნილია ერეკლე მეორის უმცროსი ვაჟის, სამხედრო ნიჭითა და სიმამაცით სახელგანთქმული ლევან ბატონიშვილის შესახებ. ლექსებში რეალისტურად არის გადმოცემული მისი ხელმძღვანელობა მოთარეშე ლეკების ამლაგმველ მორიგე ლაშქრისადმი.

ხალხურ პოეზიაში დიდი გულისტკივილით აოის გადმოცემული ჰატრიოტი გმირის უდროოდ დაღუპვა¹.

XVIII საუკუნის მღელვარე ეპოქას ასახავენ ციკლები ნაწარმოებებისა სახალხო გმირების—გელა ნათელაშვილის, მათა წყნეთელის, თამრო ვაშლოვანელის, თინა წავეკლის, ქრისტინეს, ხიმიკაურის, დილოიძის და სხვათა შესახებ. მომძლავრებული ლეკიანობის და მოთარეშე მტრების წინააღმდეგ ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლების ეპიზოდია შემონახული გელა ნათელაშვილის შესახებ არსებულ ლექსებ²ა და გადმოცემებში³.

ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით საქართველოს გარეშე თუ შინაური მტრების წინააღმდეგ სამართლიანი ბრძოლების ამსახველი ნაწარმოებები მხატვრული სიმართლით აშუქებენ ჩვენი ქვეყნის გმირულ ისტორიას. ამ ნაწარმოებებს უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ რეალიზმის, როგორც მხატვრული მეთოდის შექმნის ისტორიის გასათვალისწინებლად.

XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს ვითარების ამსახველ ნაწარმოებთა ციკლები. ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში აღსანიშნავია XVI საუკ. დასავლეთ საქართველოს ვითარების ამსახველი ნაწარმოებნი დაკავშირებული სოლომონ პირველის, სოლომონ მეორის, სოლომონ ლიონიძის, როსტომ ერისთავის. ზურაბ წერეთლის, გლეხების—თევდორაძისა და ბრეგაძის და სხვათა სახელებთან. ამ ნაწარმოებებში ძირითადად რეალისტური ხერხებით არის გადმოცემული სათავადოების სისტემის გაბატონება, ოსმალთა აგრესია იმერეთში, იმერეთის მეფეების—სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის ბრძოლა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესაქმნელად და გარეშე მტრების ასალაგმავად. სათავადოების სისტემისა და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაზეა შექმნილი აქაი წე-

¹ ბრძ. სამშ., გვ. 39—42; სიხ., საგმ., გვ. 168—169.

² ბრძ. სამშ., გვ. 39—42; სიხ., საგმ., გვ. 166.

³ სახ. გმ., გვ. 11—12, 54.

ჩეთლის მიერ გადმოცემული „წმინდა გიორგის რაზმი“¹. ლექსები: „რაჯაბა“², „რეჯება და არჩილ გიყი“³ და „რაჯაბ ბელადი“⁴ ასახავენ ქართველების მიერ ოსმალების დამარცხებას. თანამედროვის მიერ მონათხრობ გადმოცემაში. რომლის ვარიანტები ჩაწერილია უკანასკნელ წლებშიც. „სოლომონ პირველი დიდი“⁵, დაწვრილებით არის აღწერილი რაქა-იმერეთის მაშინდელი ვითარება, სოლომონ პირველის სამეფო ტახტზე ასვლიდან ურჩი რაქის ერისთავის როსტომის დასჯამდე. გადმოცემაში დაცულია ხრესილის ომის ეპიზოდები.

ცნობილია სოლომონ მეორისა, სოლომონ მსაჯულის და ზურაბ წერეთლის ურთიერთობის ამსახველი ნაწარმოებები. გადმოცემებში დაწვრილებით არის მოთხრობილი ისტორიული და ფსევდოისტორიული ამბები⁶.

XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ვითარების ამსახველ ნაწარმოებთა მსგავსად ამავე საუკუნის დასავლეთ საქართველოს ამბებთან დაკავშირებული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია მოვლენათა კონკრეტიზაცია და პერსონაჟების სიმრავლე. ამ ნაწარმოებთა ძირითადი ფონდი ქეშმარიტად ხალხურია. ისინი გამოხატავენ ქართველი ხალხის ჰუმანიზმსა და ამალღებულ პატრიოტიზმს.

ბატონყმობის მახინჯი მხარეების მამხილებელი და გამწვავებელი კლასთა ბრძოლის ამსახველია საფერხულო სიმღერა და გადმოცემა რაქველი სახალხ ა გმირების—ზვიადა ლობჯანიძისა და გულითად გავაშელაშვილის შესახებ⁷. ამ ნაწარმოებებში სიმართლით არის გადმოცემული ყმა გლეხთა შურისძიება დაბალი ზნეობის ბატონებზე—არეშიძეებზე. სახალხო გმირის შთამომავალ ონისიმე ლობჯანიძის ცნობით, ზვიადა და გულითადი XVIII საუკუნეში ცხოვრობ-

¹ აკ. კრბ., 1898, № 11.

² ჩაწერილი ეთერ არჯევანიძის მიერ რაქაში 1945 წ. არჩილ მილაშვილისაგან.

³ თაყ., 1, გვ. 6—7.

⁴ იქვე, გვ. 414—415.

⁵ აკ. კრბ., 1898, № 9, სიხ., საგმ., გვ. 184—192.

⁶ იქვე, გვ. 190—195.

⁷ ივ., 1890, № 251; მაკ., რაქ., გვ. 22—24; სნჯ., II, გვ. 387—396; დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948, გვ. 520—524; გადმოცემა ჩაწერილი ვ. კველიშვილის მიერ ონისიმე ლობჯანიძის თქმით 1951 წ. პროფ. მიხ. ჩიქოვანის კოლექციიდან; ნარკვ., I, გვ. 158—159; სახ. გმ., გვ. 21—22 და 70—75.

დნენ. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ ნაწარმოებებში გადმოცემული ამბები XIX საუკუნისთვისაც არის დამახასიათებელი. შესაძლებელია საფერხულო სიმღერასა და გადმოცემაში ასახული იყოს XIX საუკუნის პირველ ნახევარში სიმართლისათვის ამბობებულ გლეხთა აჯანყება—კერძოდ, 1819 წელს გლეხთა აჯანყება რაჭაში¹.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საისტორიო სიტყვიერება

რუსეთთან საქართველოს შეერთება XIX საუკუნის დასაწყისში, ახალი ერა საქართველოს ისტორიაში, ახალი საფეხურია ქართული ხალხური სიტყვიერების განვითარებაში. ზეპირსიტყვიერებაში მხატვრული სიმართლით აისახა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღმავლობა საქართველოში, რაც უშუალო შედეგი იყო ირანისა და თურქეთის აგრესიით შევიწროებული ქვეყნის რუსეთის მფარველობაში შესვლისა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში კაპიტალისტური განვითარების გზაზე მდგარ საქართველოში ბატონყმობამ მწვავე ხასიათი მიიღო. ამ ნიადაგზე შეიქმნა ციკლი ნაწარმოებებისა, რომელშიაც დამაჩერებლად არის გადმოცემული თვითმპყრობელობის სამსახურში შესული თავად-აზნაურობის მიერ ყმა-გლეხთა არაადამიანური ექსპლოატაცია, შევიწროებულ მშრომელთა კლასობრივი თვითშეგნების გაღვიძება და მათი პროტესტი სოციალური ბოროტებისადმი სტიქიური გამოსვლებითა თუ ორგანიზებული აჯანყებებით.

ბატონყმობის დამახასიათებელი შემზარავი ამბებია გადმოცემული ხალხურ ნაწარმოებებში გულქვა ბატონების—ამილახვრების, ამირაჩიბის, მიქელაძის და სხვათა შესახებ შექმნილ ნაწარმოებებში. ყმა-გლეხის არაადამიანურ ჩაგვრაზეა შექმნილი ამაღელვებელი ლექსი „ამილახვარი ჩაძაღლდა“². ეს ლექსი გაბედული პროტესტია ბატონყმობის სამარცხვინო ინსტიტუტის წინააღმდეგ. ლექსში გადმოცემულია შემადრწუნებელი ამბავი—ამილახვარის მიერ გლეხის ზეზვას ოჯახისა და სახლ-კარის გაყიდვის შესახებ. გულქვა ამილახვრისადმი მიმართულ ზეზვას სიტყვებში ისმის შევიწროებულ გლეხთა გაბედული პროტესტი უსამართლობისადმი.

¹ Акты Казказа археологической комиссии, т. VI, ч. I, д. 826, стр. 594.

² სნჯ., I, გვ. 324—316.

კლასთა ბრძოლის საფუძველზეა შექმნილი ციკლი ლექსებისა ლორღვას შესახებ¹.

ხალხური ნაწარმოებები არსენა ოძელაშვილზე. ქართ-
ველი ხალხის ხსოვნაში უკვედევია XIX საუკუნის პირველი ნახევრის
გმირის არსენა ოძელაშვილის სახელი. არსენა ოძელაშვილის შეუ-
პოვარი ბრძოლა ბატონყმობის, ჩარჩ-ვაჭრების და თვითმპყრობე-
ლობის წინააღმდეგ მშრომელი ხალხისათვის დამახასიათებელი
გულმართლობით არის დახასიათებული ხალხურ პოეზიაში. მრავალ
ვარიანტად არის ცნობილი მესტირეთა მიერ შექმნილი, საქართვე-
ლოს ყველა კუთხეში გავრცელებული „არსენას ლექსი“². სახალხო
გმირზე შექმნილ პოემანი დიდი გულწრფელობით, რეალიზმის ხერ-
ხებით არის ასახული ჩვენი ქვეყნის წარსულის დამახასიათებელი
მრავალგვარი უსამართლობა და მშრომელი ხალხის პროტესტი ამ
უსამართლობის წინააღმდეგ. არსენა ოძელაშვილის დიდი ამაგი და-
ბეჩავებული გლეხებისადმი, უშიშარი ბრძოლა დამპყრობელთა წი-
ნააღმდეგ პროფესიულ სახალხო მომღერლებს მომხიბვლელი უშუ-
ალობითა და გულწრფელობით—სახალხო გმირისადმი დიდი სიყ-
ვარულით აქვთ გადმოცემული. გმირის ღრმა ჰუმანიზმსა და მებრ-
ძოლ ბუნებას გვაცნობს პოემის სტრიქონები.

არსენა ოძელაშვილის სახელი ვაჟკაცობის სიმბოლოდ იქცა,
იგი. მხატვრულ სახედაც არის გამოყენებული საგმირო-სახოტბო
პოეზიაში³. არსენა ოძელაშვილის გმირობით არის შთაგონებული
XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა და საბჭოთა მწერლების შე-
მოქმედება⁴.

XIX საუკ. 40—50 წლებში საქართველოში გლახთა აჯანყების
ამსახველი საისტორიო ნაწარმოებნი. XIX საუკუნის 40—50 წლე-
ბის საისტორიო ნაწარმოებთა თემატიკაში აღსანიშნავია 1841 წლის
გლახთა აჯანყება გურიაში. გურიაში ახლაც იციან ზეპირად ლექსე-
ბი და გადმოცემები აჯანყების მონაწილეებზე—ამბაკო შალიკაშვი-
ლზე, ათარმიზა თოიძეზე, ნაკაშიძეზე, ხასანბეგ თავდგირიძეზე,
ბრუსილოვზე და სხვ.

ფაქტების დაწვრილებით გადმოცემით გამოირჩევა გასული
საუკუნის 70-იან წლებში ჩაწერილი ლექსი „ბუნტი გურიაში“⁵.

¹ შან., გვ. 347 და სხვ.; ნარკვ., I, გვ. 162.

² მესტვ., გვ. 156—177; ნარკვ., I, გვ. 163—165.

³ თაყ., I, გვ. 323.

⁴ გ. კაკიაშვილი, არსენა ქართულ ლიტერატურაში, 1955, გვ. 106.

⁵ უმიკ., გვ. 128—129.

ლექსის შესავალში მოცემულია გლეხთა მოძრაობის სურათი. გლეხთა ამ დიდ მოძრაობაზე რეალისტური ხასიათის გადმოცემები ჩაწერილია აჯანყების უშუალო მონაწილეთა თქმით¹. გურიის გლეხთა აჯანყებაზე შექმნილ ხალხურ ნაწარმოებთა ისტორიული ღირებულების შესახებ განსვენებულ პროფესორ სიმონ ხუნდაძეს აღნიშნული აქვს: „...თუ ოფიციალური დოკუმენტები თვითმპყრობელობისა და ადგილობრივი მთავრობის თვალსაზრისით აშუქებდნენ საქმის ვითარებას, უშუალოდ ხალხში დარჩენილი, გადმოცემით შენახული ცნობები, მოძრაობაში მონაწილეთა და დამსწრეთა ნაამბობი უბრალოდ, მაგრამ სინამდვილით აშუქებდნენ მას, რამაც გურიის ხალხის ეს გიგანტური ბრძოლა გამოიწვია და რისთვისაც ეს ენერგიული ხალხი იბრძოდა“. 1841 წლის გლეხთა მოძრაობის შესახებ შექმნილი ხალხურ ნაწარმოებთა ციკლი არის წყარო ეგნ. ნინოშვილის ისტორიული რომანისა „ჩაჩყი გურიაში“².

ამავე პერიოდის საისტორიო ნაწარმოებთა თემატიკიდან აღსანიშნავია აგრეთვე 1857 წელს სამეგრელოში გლეხთა სერიოზული აჯანყების ამსახველი ლექსები და გადმოცემები. ხალხის ხსოვნაში შემონახა სახელები აჯანყებულ გლეხთა მეთაურების—უტუ მიქაეასა და მართალი თოდუასი³. უტუ მიქაეასა და მართალი თოდუას შესახებ შექმნილი ნაწარმოებები გვაცნობენ ხალხის თვალსაზრისის სამეგრელოში არსებულ მაშინდელი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ. ამ მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოში კლასთა ბრძოლის ისტორიის შესასწავლად.

XIX საუკ. მეორე ნახევრისა და XX საუკ. დასაწყისის საისტორიო სიტყვიერება

ბატონულობის გაუქმების ამსახველი საისტორიო ლექსები. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ საისტორიო ზეპირსიტყვიერებაში აღინიშნება მისი განვითარების რამდენიმე ეტაპი.

ამ პერიოდის ყველა ეტაპზე შექმნილ საისტორიო ნაწარმოებებში მოცემულია ისტორიული ფაქტის ღრმა ანალიზი. ამ ნაწარმოე-

¹ იხ. სიმონ ხუნდაძის შენიშვნები ეგნ. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებულის, ტ. 1, გვ. 288, 290—291.

² იქვე, გვ. 288.

³ С. А. Авагиანი, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, стр. 166—174.

ბებში გამოხატულია ხალხის მაღალი კლასობრივი თვითშეგნება, რაც დამახასიათებელია კრიტიკული რეალიზმისათვის. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პერიოდის ნაწარმოებთა განვითარების ყველა ეტაპზე კრიტიკული რეალიზმი, როგორც მხატვრული მეთოდი თანაბარი ძალით არ არის დაუფლებული.

ფეოდალიზმზე კაპიტალიზმის გამარჯვება საქართველოში ახალი საფეხური იყო სიტყვიერი ხელოვნების განვითარებაში. ამ პერიოდის პირველ ეტაპზეა შექმნილი ციკლი ლექსებისა და გადმოცემებისა ბატონყმობის გაუქმებაზე. ყირიმის ომის შედეგებმა აიძულეს რუსეთის მეფე დაესვა ბატონყმობის გაუქმების საკითხი. ამ ისტორიული ფაქტის კვალიფიკაცია მოცემული აქვს ვ. ი. ლენინს¹.

ბატონყმობის გაუქმების პირველი წლების დამახასიათებელია სატირული ლექსების ციკლი მიმართული უქნარა თავადაზნაურთა წინააღმდეგ. მაშინდელ საისტორიო ზეპირსიტყვიერებაში ასახულია ის გარემოება, რომ ყველას სწორად არ ჰქონდა შეგნებული რეფორმის მიზეზი, მისი ხაზიათი და სოციალური არსი.

რეფორმამ შრომელთა იმედი არ გაამართლა. ამის მიზეზი მისი სოციალური არსი იყო, ვ. ი. ლენინის სიტყვებით, „გლეხებს“ ათავისუფლებდნენ რუსეთში თვით მემამულეები, მემამულეთა მთავრობა, თვითმპყრობელური მეფის მოხელეები და ამ „განმათავისუფლებლებმა“ ისე წაიყვანეს საქმე, რომ გლეხებმა მიიღეს „თავისუფლება“ მათხოვრის მდგომარეობაში. მემამულეთა მონობიდან გამოსულნი ისევ ჩავარდნენ ამავე მემამულეთა და მათგ დამქაშების ბრკყალებში... არც ერთ ქვეყანაში გლეხობას „განთავისუფლების“ შემდეგ არ განუცდია ისეთი განადგურება, ისეთი სიღატაკე, ისეთი დამცირება და აბუჩად აგდება, როგორც რუსეთში“². ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოშიც. მაშინ ხალხში გავრცელებული იყო სასიმღერო ლექსი, რომელშიც გამოხატულია იმედგაცრუებულ გლეხთა დიდი უკმაყოფილება მეფისადმი, უკმაყოფილება რეფორმის მიმე შედეგების გამო.

ამ ეტაპზე შექმნილ საისტორიო ნაწარმოებებში რეალისტურად არის ასახული სინამდვილე, მაგრამ ყველა ნაწარმოები თანაბრად მებრძოლი ხასიათისა არ არის. ყველას ჭერ კიდევ არ ახასიათებს რევოლუციური პათოსი და ურყევი რწმენა ხალხის გამარჯვებისა, რაც წარმოადგენს კრიტიკული რეალიზმის თვისებას.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. XV, გვ. 177.

² იქვე.

80—90—900 წლების ლექსები და გადმოცემები სახალხო გმირებზე. XIX საუკუნის ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების განვითარებაში ახალ ეტაპს წარმოადგენს 80—90—900 წლებში ნაციონალური ჩაგვრისა და სხვა სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ ყაჩაღ-ფირალებზე შექმნილი ლექსებისა და გადმოცემების ციკლები. ეს ლექსები და გადმოცემები მაჩვენებელია უსამართლო გადასახადებით, საშინელი სიღატაკითა და დამცირებით აღმფოთებული ხალხის კლასობრივი თვითშეგნების ზრდისა. XIX საუკუნის 80—90 წლებიდან თანდათან გაიზარდა მოძრაობა თვითმპყრობელური რეჟიმისა და შინაური კლასობრივი მტრების წინააღმდეგ. გახშირდა გაყაჩაღება-გაფირალება. გაძვალტყავებული, აბუჩად აგდებული მშრომელი ხალხის შვილები იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ მშობლიური კერა, შეფარებოდნენ ტყე-ღრესს და შური ეძიათ მჩაგვრელებზე. საჩონგურო ლექსები და ღრმა რეალისტური გადმოცემები კოწია ცეცხლადის, პროკოფი ჭყონიას, ნიკოლოზ მეხუზლას, ძმების სიმონ (სისონა) და ვასილ დარჩიების, მიხეილ ღლონტის და სხვათა შესახებ გვაცნობენ მშრომელი ხალხის სტიქიურ ბრძოლებს ადამიანური ღირსებისა და უფლების დასაცავად, ისინი გვაცნობენ სახალხო გმირების თავგანწირვას თავისუფლებისათვის¹, დადებით გმირებს გარდა ეს ნაწარმოებები გვაცნობენ თვითმპყრობელური რეჟიმით გარყვნილ პირებს. ამ ნაწარმოებებში ზიზღით იხსენიება ჯაშუშები და გამცემლები, ისინი, ვინც მუხანაოური ხერხით მეფის პოლიციის ხელში აგდებდნენ ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს.

ეს ლექსები ასახავენ თვითმპყრობელობის უხეში რეჟიმით შექმნილ მშრომელთა ბედუკუდმართობას წარსულში და სტიქიურ მემბოხეთა სამართლიან შურისძიებას ექსპლოატატორებსა და სხვა ბნელ ძალებზე. თავის დროზე ამ ნაწარმოებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ არა მხოლოდ სინამდვილის სიძლიერით ასახვის თვალსაზრისით, არამედ ფართო მასების დასარაზმავად უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისტორიული ფაქტები ამ ნაწარმოებებში კლასობრივად სწორად არის შეფასებული. ამ ეტაპის საისტორიო ნაწარმოებთა განვითარება, შეიძლება ითქვას, კრიტიკული რეალიზმის მეთოდით წარიმართა.

1905—1907 წლების რევოლუციის ამსახველი ქართული საისტორიო ხალხური ლექსები. ახალსა და სრულიად თავისებურ ეტაპს

¹ მათ შესახებ დაწვრილებით იხ. ხინთ.

ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების განვითარებაში წარმოადგენს 1905—1907 წლების, რევოლუციის შემდეგ მძვინვარე რეაქციის, იმპერიალისტური ომისა და სალდათობის და საქართველოში მენშევიკების ხანმოკლე თარეშის ამსახველი ხალხური სიტყვიერება¹. მეფის მთავრობის რეპრესიებმა ვერ შეაწინააღმდეგეს მშრომელთა ამბოხებანი. მუშათა კლასის ხელმძღვანელობით მშრომელთა მოძრაობა თანდათან ორგანიზებული გახდა. მუშათა და გლეხთა ამაღლებულ კლასობრივ შეგნებას, მათ შვიდრო დარაზმულობას გვაცნობს რევოლუციური პათოსით სავსე სიმღერები მიმართული მეფის ხელისუფლებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამ ეტაპზე შექმნილი სააგიტაციო დანიშნულების მგებრძოლი სიმღერების წამყვანი თემა არის მეფის ხელისუფლების დამხობა. პოპულარული „მარსელიოზას“, „ვარშაულას“ და სხვ. ერთად ქართველი მუშები და გლეხები თავისუფლებისა და სიმათლისადმი დიდი სიყვარულით მღეროდნენ მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო ლექსებს. საქართველოს ყველა კუთხეში იყო გავრცელებული 1905—1907 წლების რევოლუციის ლოზუნგით „ძირს თვითმპყრობელობა“ შთაგონებული, ვარიანტებად ცნობილი სასიმღერო ლექსი: „ძმობა, ერთობა, სიყვარულს“.

ამგვარივე ლოზუნგის საფუძველზე შეიქმნა ციკლი სატირული შაირებისა. ხალხის სატირა მიმართულია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მშრომელთა ყვლეფისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს სატირა მაჩვენებელია მუშათა და გლეხთა რევოლუციური სულისკვეთების ზრდისა, მათ მიერ ისტორიული ფაქტის სწორად შეფასებისა.

მართალია ამგვარი შაირები არ გამოირჩევიან მაღალმხატვრულობით, მაგრამ ეს არის ცარიზმთან რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში შექმნილი სიმღერები. 1905—1907 წლების რევოლუციის მგზნებარე დღეებში კი მათ დიდი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და შემეცნებითი ღირებულება ჰქონდათ.

რევოლუციის და შემდეგ მძვინვარე რეაქციის წლებშიც მუშათა და გლეხთა შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო სიმღერა არსენა ჯორჯიაშვილის შესახებ, რომელმაც მოკლა მეფის ჯალათი პირისისხლიანი გრიანოვი. მშრომელებმა მათი ინტერესების დაცვისათვის სიკვდილით დასჯილი გმირის პირით გადმოგვეცეს მისი სამართლიანი შურისძიება უხეშ ძალაზე.

¹ დაწვრილებით იხ. რევ. საქ., გვ. 517--531; ცან., მუშ.

ეს სიმღერა განსაკუთრებით უყვარდა ვლ. მაიაკოვსკის. იგი მას აცონებდა საქართველოში გატარებულ სიყრმეს.

ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში მოცემულია შეზანიშნავი სახეები და ჭასიათები 1905—1907 წლების რევოლუციის მონაწილე სახალხო გმირებისა—სადარა არაბულის, მამუკა გოგოჭურის, მიხა ჭუჭულაშვილის, აფრასიონ მერკვილაძის, დათიკო შევარდნაძის, სიმონა დოლიძისა და სხვათა. ეს პირები მძვინვარე რეაქციის წლებში გმირულად დაეცნენ ბნელი ძალების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლებში. მათი გმირობა უკვდავყო ხალხმა საფანდურო და საჩონგურო სიმღერებითა და გადმოცემებით.

1905—1907 წლების სახალხო გმირებზე შექმნილ ნაწარმოებთა ციკლებში გვხვდება ტრადიციული საგმირო ლექსის გაახლების ნიმუშიც¹. ამგვარ საისტორიო ლექსებში დიდი სიმართლით არის დაზნისათებული სუსხიანი რეაქცია, ღრმა განცდით არის გადმოცემული ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლთა თავგანწირვა ბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამგვარად ხალხის ფანტაზიას ამ შემთხვევაშიც რეალური საფუძველი აქვს. ძველი საგმირო პოეზიის ნიმუშის გაახლებით მიღებული ეს საისტორიო ლექსიც კრიტიკული რეალიზმის მეთოდით არის შექმნილი.

1914 წლის იმპერიალისტური ომისა და სალდათობის ამსახველი ლექსები. მსოფლიო ომი, რომელმაც შესწყვიტა რეაქციის სუსხიანი წლების შემდგომი რევოლუციური აღმავლობა, გახდა აქტუალური თემა ქართული ხალხური საისტორიო ლექსებისა. ქართული ხალხური ლექსები იმპერიალისტურ ომსა და სალდათობაზე შექმნილია მშრომელი ხალხის ცარიზმთან ბრძოლის წლებში. ამ ლექსებში უტყუერად არის ასახული მსოფლიოს გადანაწილებისათვის დაწყებული მძარცველური ომის საშინელებანი. ბურჟუაზია ატყუებდა ხალხს, უმაღავდა ომის ნამდვილ მიზნებს. ახალგაზრდობას თითქოს სამშობლოს დაცვის მიზნით აშორებდნენ მშობლიურ კერას, მაგრამ თანდათან იზრდებოდა ხალხის შეგნება. ხალხი თანდათან ხვდებოდა იმპერიალისტური სახელმწიფოს ბნელ ზრახვებს. ამგვარი შეგნების გამომხატველია ქართული საისტორიო ლექსებიც. ქართულ საისტორიო ხალხურ პოეზიაში ისმის გოდება ომის საშინელებაზე. მეფის მთავრობის მიერ მობილიზებული ახალგაზრდები სიმღერებით გამოხატავდნენ თავიანთ მწარე ხვედრს:

¹ კოტ., გვ. 270. 271.

საღდათი ვარ ნაფიცო,
სად ჩააკედები, არ ვიცი!

სამხედრო სამსახურში გაწვეულთა სიმღერები აღვივებდა ხალხის სიძულვილს მძარცველური ომისადმი. საღდათად გაწვეულები გულისტკივილით ეთხოვებოდნენ მშობლიურ კუთხეს, საყვარელ კარმიდამოს.

კარიზმის წინააღმდეგ მიმართული იმპერიალისტური ომის საშინელების ამსახველი ლექსების დამახასიათებელია სისადავე, უშუალობა და გულწრფელობა. ეს გულმართალი ლექსები შექმნილია ომის უშუალო მონაწილეთაგან.

თვისობრივად ასეთივე ხასიათისა არის საისტორიო ლექსები საქართველოში ხალხის მტრების—მენშევიკების ხანმოკლე თარეშის შესახებ. ხალხი მძულვარებით იგონებს მენშევიკების მუხანათურ პოლიტიკას მუშებისა და გლეხებისადმი. საისტორიო ლექსებში ასახულია გლეხთა რევოლუციური აჯანყებანი მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ.

ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერების განვითარების ამ ეტაპზე შექმნილ ნაწარმოებებში მოცემული ისტორიული ამბების სწორი ანალიზი, მათში გამოხატული მაღალი კლასობრივი შეგნება ხალხისა და რევოლუციური პათოსი დამახასიათებელია რეალიზმისათვის.

მეხუთე პერიოდში ყველა თემაზე შექმნილ საისტორიო ნაწარმოებებს თავის დროზე დიდი ზარგანიზებელი—ქმედითი ძალა ჰქონდა. ამ ნაწარმოებთა მხატვრული სიმართლე უკეთეს მომავალზე მხოლოდ ოცნების გამომხატველი კი არ იყო, არამედ ეს იყო ამგვარი მომავლისათვის აქტიური ბრძოლის საუკეთესო საშუალება. ანალოგიური დანიშნულების მქონე ლიტერატურულ ნაწარმოებებთან ერთად საისტორიო ხალხური სიტყვიერების ეს ნიმუშები ქმნიდნენ ნიადაგს კრიტიკული რეალიზმიდან ახალი მხატვრული მეთოდის—სოციალისტური რეალიზმის განვითარებისათვის.

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების მხატვრული ფორმის თავისებურებანი

შემოქმედებით მეთოდსა და ხალხურობის საკითხთან არის დაკავშირებული საისტორიო სიტყვიერების მხატვრული ფორმის თავისებურების საკითხი.

¹ ჩაწერილი ჩვენს მიერ 1933 წელს ჩონხატაურის რ. ს. გოგილიის უბანში დარღო სიხარულიძისაგან.

ღიდი იდეების, ეროვნული და სოციალური თვითშეგნების განსახიერების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. იგი ვრცელ ისტორიულ მანძილზეა შექმნილი და ამიტომ რთულია, არა მხოლოდ სოციალური შინაარსით, — პოეტიკითაც. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება ხალხის ფიქრისა და განცდის, უკეთესი მომავლისათვის მოქმედების ასახვის თავისებური ხერხებით ხასიათდება. ეს ხერხები იცვლებოდნენ იმის მიხედვით, თუ განვითარების რომელ პერიოდთან იყო იგი დაკავშირებული.

თითოეული პერიოდი საისტორიო სიტყვიერების განვითარებისა და ცალკე პერიოდების თითოეული ეტაპი თავისებურია არა მხოლოდ თემატიკისა და სოციალური შინაარსის თვალსაზრისით. არამედ მხატვრული ფორმითაც, ისტორიული ფაქტების ანალიზის მხატვრული ხერხებითაც. მეცნიერული ჩანაწერები საისტორიო ნაწარმოებთა, ისე როგორც საერთოდ ქართული ხალხური სიტყვიერების ყველა ქანრის ნიმუშებისა, ძირითადად მხოლოდ XIX საუკ. მეორე ნახევრიდან გვაქვს. ამგვარად ყოველმხრივ სანდო მასალები ხალხური პოეტიკის შესასწავლად გვაქვს საისტორიო ნაწარმოებთა განვითარების ჩვენს მიერ აღნიშნულ მხოლოდ მეხუთე პერიოდთან. წინა ოთხ პერიოდთან დაკავშირებული მრავალფეროვანი მასალების პოეტიკა, ენა და სტილი მათი პირველი სახის ყოველმხრივ დამახასიათებელი ვერ იქნება. ისინი რედაქტირებული არიან სხვადასხვა მხატვრული მეთოდით, სხვადასხვა ეპოქაში, საუკუნეში, წლებში, სხვადასხვა მთქმელთა პოეტური მანერის მიხედვით. მიუხედავად ამგვარი რედაქტირებისა. საისტორიო ნაწარმოებებს მაინც აქვთ შერჩენილი ნიშნები. დამახასიათებელი მისი განვითარების ცალკეული პერიოდების პოეტიკისა. მაინც ხერხდება თითოეულ პერიოდთან და ეტაპთან დაკავშირებულ საისტორიო ნაწარმოებთა პოეტიკის ზოგიერთი თავისებურებების აღნიშვნა. ყველა პერიოდის ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებებში, როგორც ეს მათი თემატიკური და სოციალური შინაარსის მიმოხილვიდან ჩანს, ისტორიული ფაქტის ანალიზის, გმირის წარმოსახვის და მისი შინაგანი ბუნების გახსნის მხატვრული მეთოდი არის რეალიზმი. საისტორიო ნაწარმოებთა რეალიზმი მეტად რთულია. იგი იცვლებოდა და ახალ თავისებას იძენდა იმის მიხედვით. თუ რომელ ეპოქასთან, მხატვრული შემოქმედების განვითარების რომელ პერიოდთან და ეტაპთან იყო და არის დაკავშირებული. საისტორიო ნაწარმოების რეალიზმის თავისების განმსაზღვრელი მასში ასახული ისტორიული ფაქტის ანა-

ლიზის ხასიათია. რამდენად ღრმაა ისტორიული ფაქტის ანალიზი, რამდენად სწორია ხალხის სოციალური და კლასობრივი თვითშეგნება, იმდენად რეალიზმი, როგორც მხატვრული მეთოდი, მისი განვითარების მაღალ საფეხურზეა. თუ ამ თვალსაზრისით შევადარებთ სხვადასხვა პერიოდის ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებებს, შათ შორის განსხვავებაა. გმირთა სახეები და ხასიათები, აგრესორთა თუ შინაური სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლების გადმოცემა პირველი პერიოდის—V—XV საუკუნეებთან დაკავშირებულ ნაწარმოებებში უფრო ზოგადია, ვიდრე მაგალითად, მეორე პერიოდის—ბახტრიონის ბრძოლასთან ან კიდევ ზურაბ ერისთავის სისხლიან ლაშქრობებთან დაკავშირებულ საისტორიო ნაწარმოებებში. თანდათან კონკრეტულ ხასიათს ღებულობს ისტორიული ფაქტები და გმირთა სახეები, თანდათან ღრმავდება ისტორიული ფაქტების ანალიზი მესამე პერიოდის საისტორიო სიტყვიერებაში, როგორცაა ნაწარმოებები დაკავშირებული ერეკლე მეორის, სოლომონ პირველის, მაია წყნეთელის, ხიმიკაურის, გელა ნათელაშვილის და სხვათა სახელებთან. ისტორიული ფაქტების კიდევ უფრო ღრმა ანალიზი და ხალხის მიერ ამ ფაქტების სწორი კლასობრივი შეფასება არის მოცემული შემდეგი პერიოდების ნაწარმოებებში. ასეთებია—არსენას ლექსი, ბატონყმობის გაუქმების ამსახველი ნაწარმოებები, მუშათა და გლეხთა რევოლუციური სიმღერები და სხვ. საისტორიო ნაწარმოებთა რეალიზმის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის კლასობრივი თვითშეგნების და ისტორიული ფაქტების სწორი შეფასებისა და ღრმა ანალიზის უნარის თანდათან ზრდას. ამით უნდა აიხსნას საისტორიო ნაწარმოებთა რეალიზმის, როგორც მხატვრული მეთოდის თანდათან ახალი თვისებებით გამდიდრება, მისი გადაზრდა კრიტიკულ რეალიზმში, რისი საუკეთესო გამომხატველია მუშათა და გლეხთა რევოლუციური სიმღერები და გადმოცემები. ამ სიმღერებმა და გადმოცემებმა, როგორც აღვნიშნეთ, მოუშადა ნიადაგი ახალ მხატვრულ მეთოდს—სოციალისტურ რეალიზმს.

რეალიზმის როგორც მხატვრული მეთოდის განვითარების საკითხთან არის დაკავშირებული საისტორიო ნაწარმოებთა ქანობრივი თავისებურების საკითხი. საისტორიო ნაწარმოებთა რეალიზმს თავისებურ ხასიათს აძლევდა ის გარემოება, რომ თაობიდან თაობაზე გადასვლისას მკრთალდებოდა აღრინდელ ხანასთან დაკავშირებულ ნაწარმოებთა რეალურ საფუძველზე წარმოდგენა. მომდევ-

ნო საუკუნეების მთქმელებისათვის ძნელი ხდებოდა ზეპირ ნაწარ-
მოებში ასახული ამბის კონკრეტულად წარმოდგენა. ამბავი თან-
დათან ლებულობდა არა მხოლოდ ზოგადს, არამედ მითითრსა და
ლეგენდარულ ხასიათსაც. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს თანამედრო-
ვენი არ ხდიდნენ ლეგენდარულს გმირსა თუ ისტორიულ მოვლენას.
თანამედროვე მთქმელებიც კმნიან ლეგენდებსა და ფანტასტიკურ
თქმულებებს, მაგრამ ამ შემთხვევაში საისტორიო ნაწარმოებთა რეა-
ლური საფუძვლის ხნოვანებასაც აქვს მნიშვნელობა. ამ გარემოებამ
უდავოდ თავისებური ხასიათი მისცა საისტორიო ნაწარმოებებს,
განსაზღვრა მისი ჟანრობრივი თავისებურება.

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების ძირითადი
ფონდი საგმირო ხასიათისა არის.

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების ციკლები ჟან-
რობრივად ერთგვარნი არ არიან. ადრინდელ—პირველ პერიოდთან
დაკავშირებულ ნაწარმოებებში ლეგენდები და ფანტასტიკური ლექ-
სები სკარბობენ სხვა ჟანრის ნაწარმოებებს. ასე მაგალითად, დავით
აღმაშენებლისა და თამარ მეფის სახელებთან დაკავშირებული ციკ-
ლები საისტორიო სიტყვიერებისა ძირითადად ლეგენდებითა და
თქმულებებითაა წარმოდგენილი. მათში უხვადაა შესული ტრადი-
ციული საერთაშორისო ხასიათის მოტივები. შემდეგი პერიოდების
ციკლებში რეალისტური გადმოცემები და ლექსები სკარბობენ ლე-
გენდებს და ფანტასტიკურ თქმულებებს. ახალი ციკლების ნაწარ-
მოებები ნაკლებად არიან დამორებული პირველ წყაროებს. ამ ციკ-
ლებში უფრო იშვიათია ტრადიციული, საერთაშორისო ხასიათის მო-
ტივები.

რაც შეეხება ლექსებს, ისინი ჟანრობრივ მრავალფეროვნებას
იჩენენ, როგორც ძველს, ისე ახალ ციკლებში. ყველა პერიოდის ქარ-
თული ხალხური საისტორიო სიტყვიერება წარმოდგენილია სხვადა-
სხვა ჟანრის ლექსებით—ლირიკის, ლირო-ეპიკის და ეპიკის ნიმუშე-
ბით, ბალადებითა თუ გოდების ჟანრით შექმნილი ლექსებით¹. ად-
რინდელი პერიოდების ქართულ საისტორიო სიტყვიერებაში თითქ-
მის არ გვხვდება სატირული და იუმორული ნაწარმოებები. ეს ბუ-
ნებრივიცაა. სატირის გამოყენება ძნელია ზოგადი ამბების ან თვი-
სებების წინააღმდეგ. სატირა და იუმორი მეტწილად გამოყენებუ-
ლია კონკრეტული ამბებისა და თვისებების მიმართ. ქართულ საის-
ტორიო სიტყვიერებაში სატირისა და იუმორის ნიმუშები დამახასია-

¹ სიხ., საგმ., გვ. 243—245.

თებელი ხდება მხოლოდ შედარებით გვიანდელ მეორე და მესამე პერიოდებიდან. XVII—XVIII საუკუნეებიდან. ასეთია მაგალითად, აბდულა ბეგზე შექმნილი ლექსი. ხალხის მახვილი სატირა მიმართულია ანტიპატრიოტი რეაქციონერი ფეოდალის წინააღმდეგ. ხალხურ ლექსში მოცემული აბდულა ბეგისა და ერეკლე მეორის დიალოგი სისტეკი დაცინვაა ქართლის მეფობის მონატრულ დამარცხებულ ფეოდალისადმი:

დაჯე აბდულ. პური ქამე,
რაზე კვდები შიმშილითა?
რა პურისა შეცხელება,
კუპი მტკივა სირბილთა!¹

ამავე პერიოდის მოხდენილი იუმორის ნიმუშებია ანეგდოტისებური გადმოცემები დაკავშირებული სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის სახელებთან².

საისტორიო ნაწარმოებთა სატირა თანდათან ვითარდება საქართველოში კლასთა ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით. მრავალი სატირული ლექსია შექმნილი მუქთახორა თავადაზნაურებზე და მღვდლებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1905—1907 წლების რევოლუციის ამსახველი ლექსების სატირა მიმართული მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. ახლაც ახსოვთ საქართველოში მაღაროს მუშებს ცარიზმთან ბრძოლის ცეცხლში შექმნილი სატირული სიმღერები³.

ქართულ ხალხურ საისტორიო ციკლებში პროზაული და პოეტური ტექსტების ოდენობა არ არის თანაბარი. ვერ ვიტყვით, რომ ცალკე პერიოდები ქართული საისტორიო სიტყვიერების განვითარებისა ამ მხრივ იჩენდნენ რაიმე თავისებურებას. პროზაული და პოეტური ტექსტების რაოდენობას ციკლში მისი რეალური საფუძვლის ხნოვანება კი არ საზღურავს, არამედ—გეოგრაფიული გავრცელების არე. ფართო გავრცელების ციკლები წარმოდგენილია, როგორც პროზაული, ისე პოეტური ნაწარმოებებით, რადგანაც ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხის პოეტურ თავისებურებებს ავლენენ. გავრცელების ვიწრო არის მქონე ციკლების ნაწარმოებები ერთი ან რამდენიმე კუთხის პოეტური თავისებურების მაჩვენებელია. ისინი ძი-

¹ უმიკ., გვ. 104.

² ავ. კრბ., 1897, № 3, განყ. 2.

³ ცან., მუშ., გვ. 39.

რითადად წარმოდგენილია იმ ქანრებით, რაც წამყვანია იმ კუთხისათვის, სადაც გავრცელებულია ამ ციკლების ნაწარმოებები¹.

ლექსისა და პროზის ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა თითქმის ყველა პერიოდის ციკლებში გვხვდება შერეული ფორმის ნაწარმოებები².

სიუჟეტთა მთლიანობა ერთი დამახასიათებელი თვისებაა საისტორიო ნაწარმოებებისათვის საისტორიო ნაწარმოებებში მეტწილად ან თითო ისტორიული მოვლენაა გადმოცემული, ხოლო სიუჟეტის განვითარებაში ზოგ შემთხვევაში რამდენიმე ეპიზოდი ან მომენტი აღინიშნება. მოცულობის მხრივ საისტორიო ნაწარმოებებს შედარებით სიმოკლე ახასიათებს³. საისტორიო ნაწარმოებთა აგებულების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა მათში მოვლენათა ეპიზოდების, მომენტების და პერსონაჟების რაოდენობისა და ურთიერთობის გათვალისწინება. ზღაპრებს, ეპიური ციკლის ნაწარმოებებსა და რუსულ ბილინებს ახასიათებთ მასის პერსონიფიკაცია. ამ ქანრის ნაწარმოებებთან ამ მხრივ ახლოს არის აღრინდელ პერიოდთან დაკავშირებული ნაწარმოებების ციკლები, როგორცაა ლექსები, თქმულებები და ლეგენდები ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის შესახებ. ამ ნაწარმოებებში, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, ისტორიულ მოვლენებს ზოგადი სახე აქვთ მიღებული. ამიტომ ნაკლებად არის წარმოდგენილი მათი ეპიზოდები და მომენტები. ამ ნაწარმოებებში არსებითად ერთ გმირზე და ზოგადად მასზეა ლაპარაკი. მათში ასახული აგრესორთა მოქმედებანი აძლიერებს ეროვნული გმირის სახეს.

ისტორიული მოვლენების, გმირების ხასიათის, შინაგანი ბუნების და მასის როლის ასახვის მეთოდი შეცვლილია გვიანდელ პერიოდებთან დაკავშირებულ ნაწარმოებებში. ეს გავლენას ახდენს მათ კომპოზიციაზეც. გვიანდელ პერიოდებთან დაკავშირებულ ნაწარმოებებში კონკრეტულად წარმოსახულ ისტორიულ მოვლენათა ეპიზოდები და მომენტები მრავალრიცხოვანია. ნაწარმოებთა სიუჟეტები რამდენიმე გმირის მოქმედებით ან დახასიათებით არის განვითარებული.

¹ სიხ., საგმ., გვ. 247.

² იქვე, გვ. 249—253.

³ იქვე, გვ. 253.

საისტორიო სიტყვიერებისათვის უცხოა ზღაპრებისათვის დამა-
ხასიათებელი შესავლისა და დასასრულის ტიპური, მზა ფორმულე-
ბი. საისტორიო ნაწარმოებს ფაქტის სინამდვილით გადმოცემის პრე-
ტენზია აქვს. ამიტომ მას შინაარსის გასააზრებლად არ სჭირდება
ტრადიციული ფორმულები. გადმოცემა, თქმულება თუ ლეგენდა
ჩვეულებრივი სასაუბრო ენით, მარტივად, ყოველგვარი შესავლის
გარეშე იწყება:

ყოველი მხრივ დაჩაგრული
მე ვარ სიმონა დოლიძე¹.

ხშირად ლექსი ისტორიული პირისადმი მიმართვითაც იწყება:

შენ ერეკლე ოქმიანო,
ცხენ ლამაზ უნაგრიანო².

გამონაკლისს წარმოადგენს პოემები, რაც შედარებით ახალი
მოვლენაა საისტორიო ეპოსის განვითარებაში. საისტორიო პოემებ-
საც, მსგავსად სხვა ხასიათის პოემებისა, გააჩნიათ ექსპოზიცია-შე-
სავალი. ამის მაგალითია პოემა შექმნილი 1905—1907 წლების რე-
ვოლუციის შემდეგ მძვინვარე რეაქციის წლებში დაღუპული გმირის
მიხა ჭუჭულაშვილის შესახებ. პოემის ღრმა იდეასთან დაკავშირე-
ბულ მის შესავალში, რაც ბუნებისადმი მიმართვას წარმოადგენს,
გრძნობიერად არის გადმოცემული ხალხის გულწრფელი სურვილი
თავდადებული გმირის სიცოცხლის გახანგრძლივებისა:

ამოდი, შუქურ-ვარსკვლავო,
მთვარეს უბრუნე პირია,
დილის მზევ, ამომავალო,
შენ გადმოგვფინე სხივია.
ამოდი შუა ქიზიყში,
გვიცოცხლე სოფლის გმირია,
იკითხე მიხას სახელი,
გვარად დუქულაშვილია.

საერთო ადგილების გამოყენება სიუჟეტის განვითარებისას,
ეპიზოდთა დაკავშირების მიზნით, პროზაული ქანრის საისტორიო

¹ სახ., გმ., გვ. 88.
² უმიკ., გვ. 106.

ნაწარმოებებში, მცირე გამოწაკლისის სახით გვხვდება. ამ შემთხვევაში მთქმელები ზღაპრებისა და ეპიური ციკლის ნაწარმოებთა გავლენას განიცდიან.

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება მდიდარია მხატვრული სახეებით. საისტორიო ნაწარმოებთა მოხდენილი პოეტური სახეები ყოველთვის მათ ღრმა შინაარსთან და მაღალ იდეასთან არის დაკავშირებული. ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა მაღალი შეფასება მისცეს ღრმად პატრიოტული ქართული ხალხური საისტორიო პოეზიის მხატვრულად წარმოსახვის უნარს. ილია ჭავჭავაძე აღტაცებული იყო ხალხური შედარებებითა და ეპითეტებით. ერეკლე მეარის გარდაცვალებაზე შექმნილი ლექსის კეთილშობილური, ჰუმანიური იდეის გამომხატველი მოხდენილი სიმბოლო დიდმა პოეტმა ასე შეაფასა: „ერმა ამისთანაებში მოსწრებული და ზედგამოჭრილი სიტყვა იცის, იმიტომ, რომ ბაგენი მისნი მეტყველებენ მარტო ნამეტნობისაგან გულისა, ე. ი. მაშინ, როცა გული სავსეა“.

ვერ გაიგეთა ქართველნო,
შეგეხსნათ რკინის კარიო,
ალარ გყავთ მეფე ერეკლე
ბაგრატიონთა გვარიო.

ასე ამოიკენცსა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი მისი ისტორიული ხატი ეს არის და, თუ არ დიდ-ბუნებოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლია რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას¹.

აკაკი წერეთელმა მაღალი შეფასება მისცა სასიმღერო საისტორიო ლექსის („თამარ მეფე ღმერთს უყვარდა“) ღრმა შინაარსსა და მხატვრულ ფორმას².

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება მდიდარია პოეტური სახეებით. სიმბოლოები, ეპითეტები და შედარებანი საისტორიო სიტყვიერებაში ღრმად არის გააზრებული. ისინი, როგორც ეს აღნიშნულიც გვაქვს, მეტწილად პატრიოტული მიზნებითა და კლასთა ბრძოლის იარაღად არის გამოყენებული. საისტორიო სიტყვიერების ყველა ენარის ნაწარმოებებს ახასიათებს უძველესი სიმბოლიკის ანტითეზები— ს ი ნ ა თ ლ ე და ს ი ბ ნ ე ლ ე, ს ი თ ბ ო და

¹ ივ., 1898, № 39.

² აკ. კრბ., 1897, № 1.

სიცივე¹, ანტითეზები გამომხატველია მოვლენისა თუ გმირისად-
მი ხალხის დამოკიდებულებისა. სინათლე და სითბო ნათელ
წარმოდგენებთან, გამარჯვებასა და სიხარულთან არის დაკავშირებუ-
ლი. ხოლო სიბნელე და სიცივე—უბედურებასთან. ავიდა-
იი, ღრუბელი, ნისლი, მზის ჩასვლა, სიბნელე
და საერთოდ ბუნების სტიქია სამშობლოს ან გმირის განსაცდელის
მხატვრული სახეებია. ესენი ტრადიციული ქართული პატრიოტული
სიმბოლოებია. მიწისძვრა და შავი ღრუბელი, პატრიოტუ-
ლი ლეგენდის მიხედვით, ძლიერი აგრესორის შაპ-აბასის სიმბოლოე-
ბია². სამშობლოს განსაცდელის სიმბოლოა ღრუბელი აგრეთვე
ასპინძის ომის შესახებ შექმნილ ლექსში³. აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბი-
ლისის აოხრებაზე შექმნილ გავრცელებულ ლექსში ავი დარი
ამაფრებს წარმოდგენას სამშობლოს უბედურებაზე⁴.

ცის რისხვა, სიბნელე, მზის ჩასვლა, ან დაბ-
ნელე ბა გმირის სიკვდილის სიმბოლოებია.

ვარსკვლავების ტირილი. ცის ნამის დაშლა,
ქარის ზუზუნი ხალხის გლოვის პოეტური შემეცნებაა.

ერეკლე მეორის გარდაცვალებაზეა ნათქვამი:

ატირდნენ წვრილნი ვარსკვლავნი,
ცამაც დაშალა ნამიო⁵.

ბნელი რეაქციის ხანაში ჯალათების ხელით მოკლულ გმირ მიხა
ჭუჭულაშვილზეა ნათქვამი:

დახუჟა ორიე თვალები,
ზუზუნი შექნა ქარმა⁶.

ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა ეროვნული და სო-
ციალური მოტივები გამახვილებულია საგმირო პოეზიის ტრადიცი-
ული ეპითეტების მოხდენილად გამოყენებით. ამ ნაწარმოებებში
სამშობლოს დამცველი და სოციალური ბოროტების წინააღმდეგ

¹ ამ საკითხის შესახებ უფრო ვრცლად იხ. სიხ., საგმ., გვ. 262—268.
² იქვე, გვ. 203.
³ იქვე.
⁴ კოტ., გვ. 216.
⁵ კიხიყის პოეტური ფოლკლორი ს. ებრაღიძისა და შ. დლონტის რედ.
გადაბეჭდილია, სახ., გმ., გვ. 110.

მებრძოლი გმირების პოეტური სახეებია—ლომი, ვეფხვი, ხარი, ჭიხვი, შევარდენი, არწივი, მიმინო, ქორი და სხვ.

ხალხი ასე მიმართავს პირისხლიანი ფეოდალის ზურაბ ერისთავის მკვლელს:

ელუმო თულემიშვილო,
ვეფხვი ხარ, ველის კანჯარი...
შენ მოჰკალ ერისთვის შეილო,
ზურაბს შენ დავეც ხანჯალი!

ერეკლე მეორის თანამებრძოლი სახალხო გმირი ხთისია ატაბიონი ხევსურული ლექსის მიხედვით „შაორდენია მკრიანი“².

მამუკა გოგოჭურის დაღუპვა ბნელ ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში საგმირო ლექსში ასეა გადმოცემული:

თავდაც ამანდ დამრჩალა,
დავლათი აღარ კრისაო.
დაუძინებავ რქაზედა,
რო ჩიქვი ქაუხისაო³.

ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში უხვად არის გამოყენებული აგრეთვე გარეგნული მშვენიების განსახიერების ეპითეტები⁴.

ქართულ ხალხურ საისტორიო პოეზიაში, მსგავსად საგმირო პოეზიისა, დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი შაირის წყობისა და ზომის ლექსები. როგორც ადრინდელი ისე გვიანდელი პერიოდის პოეზიაში იშვიათი არ არის ხუთ და ათმარცვლოვანი ლექსებიც. ასეთია მაგალითად, შალვა ახალციხელის სახელთან დაკავშირებული საფერხული სიმღერა ამსახველი ქართველთა თავგანწირული ბრძოლისა ჯალალედინის მრავალრიცხოვანი ჯარის წინააღმდეგ:

შაჟლეგ ჩამოხტა
შავსა გრილოსა,
ომი მოგეხდა.
ომი, რა ომი.
ლეშის ნაეუწი

¹ ფშ. ლექს., გვ. 5.

² შან., გვ. 21.

³ იქვე, გვ. 99.

⁴ სიხ., სავმ., გვ. 265—268.

ბორად დგებოდა,
სისხლის ნალვარი
ზღვას ერუოდა,
შუბის ნამტვრევი
მცასა ზედებოდა¹.

ქართული ხალხური საისტორიო პოეზია ზომის მხრივ უფრო მრავალფეროვნებას იჩენს მისი განვითარების მეხუთე პერიოდში. ამ მხრივ გამოირჩევა 1905—1907 წლების რევოლუციის ამსახველი ლექსები. ხშირ შემთხვევაში ამ ლექსების ცალკეული სტრიქონებიც კი სხვადასხვა ზომისაა.

აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება ლექსებს ხდის განსაკუთრებით. რიტმიულს და აძლიერებს მათ სატირას, მიმართულს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამავე პერიოდის პოეზიაში ხშირია აგრეთვე ათმარცვლიანი ლექსებიც².

საგმირო ლექსების მსგავსად საისტორიო პოეზიაშიც გვხვდება ქართული კლასიკური ლექსის თითქმის ყველა სახის რითმა.

აღნიშნული პოეტური თავისებურებანი ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერებისა მაჩვენებელია მისი სოციალური შინაარსისა და მხატვრული ფორმის მჭიდრო კავშირისა.

¹ სიხ., სამგ., გვ. 265—268

² იქვე; ცან., მუშ., გვ. 24—25.





ვახტანგ გორგასალი

1. ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციღგან ჩამოესმა რეკა;
იალბუზზედ ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა შეჰქჳნა ღრეკა;
ოსებში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა.

2. ვახტანგ ნეფე

ვახტანგ ნეფე ღეიბადა, —
საქართველომ გეიხარა.
ვახტანგ ნეფე მეინათლა, —
საქართველოს ნათელია.
ვახტანგ ნეფე ომში ჩხუბობს,
ღმერთმა ხმალი მიაწოდა.
ვახტანგ ნეფე ღვინოს სვამდა,
ღმერთმა ყანწი მიაწოდა.

3. გორგასლამ

პირდაპირ შამაჯხედევი
ციხის გაღვენის პირსაო.
ნეფე ყოფილას გორგასლამ,
მშვილდ უქეხებავ გმირსაო.

4. ვახტანგ მეფეო რომ კვდებოდა,
ცაი ღრუბლებით იმოსებოდა,
აზნაურიო, გლენობა
სატირლად ემზადებოდა.

5. უჯარმაში მოუკლავთ
ჩვენი მეფე გორგასლანი,
თურმე ცოლმა უღალატა
მაცდურია ყველგან ქალი.
მეფეს ვერაფერ უშველეს
ქართველთ წამოავლეს ხმალი.
სულ ამოსწყვიტეს სპარსელი,
იქვე გორავს მათი თავი.
გვერდზე ჩამოდის იორი,
ზედ დაჰყურებს დიდი მთანი.
როცა იორი დიდდება,
გასაეღვლად არი ჩქარი.
შიგ ჩაცვივდნენ სპარსელები,
ადგებოდათ დიდი ქარი.
სპარსელები რო გაიქცნენ,
არეოდათ გზა და კვალი.
საქართველოს ვერ დასძლიეს,
გადიოდა დრო და ქამი.
საბოლოოდ განადგურდა
სპარსელების აბდულ ხანი.

6. ნარს სოფელს ნუზლა საჟღარზედ დაწერილნი ლექსნი

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი
ჩარჯონიძე ჰარხილანი.
ოს ბაყათარ, დავით სოსლან,
ოთხ სამეფოდ მებრძოლანი.
ფიდაროზ, ჯადაროზ, სააყურ და გიორგი,
მტერთა რისხვით შემხედვარნი
ჩვენნი ძმანი სამნი ბერნი
ისაკ, რომანოზ და ბასილ
იქმნენ ქრისტეს კარგნი ყმანი

ჩვენ გვიჭირავს მიმავალთა
 ოთხის კუთხივ ვიწრო გზანი,
 კასარაზედ სიმაგრე მაქუს და საბაუო,
 აქ მიჭირავს ხიდის კარი.
 საიქიოს მოიმედე,
 სააქაოს კარგა მდგარი.
 ოქროსა და ვერცხლის მიწა
 ამდენი მაქუს ვითა წყალი.
 კავკასიონნი დავიპყარ,
 ოთხ სამეფოთ გავუმკლავდი-
 ქართველს ბატონს და მოვსტაცე,
 არ დავაგდე ჩემი გვარი.
 მამწუდა, ფიცით მილალატა,
 მან დაიდვა ჩემი ბრალი.
 ბალათარ წყალსა მიეცა,
 აღიხოცა ოსთა ჭარი.
 ვინცა ეს ლექსი იხილოთ
 მცირე ბრძანეთ შენდობანი.

7. თბილისის აშენება ვახტანგ გორგასლის მიერ

ის ადგილი, სადაც ეხლა თბილისია, მეხუთე საუკუნეში დაფუ-
 ნილი იყო ატეხილი ტყით, რომელშიაც ბუდობდა მრავალი ნადირი.
 ვახტანგი ერთხელ ნადირობდა აქა და გაჩეუული მიმინო გამოუყე-
 ნა ხოხობსა. ორივენი ჩაიმაღენ ხევში და აღარც ერთი არ გამოჩნდა.
 მაშინ ვახტანგი თავის ამალით ჩავიდა ამ ხევში, ნახა მომდინარე
 ცხელი წყალი და შიგ მოხარული მიმინო—ხოხობით. გაუშინჯა ამ
 ადგილს არე-მარე. მიხვდა ამ ცხელის წყლის მარგებლობას და
 გადაჰსწყვიტა აქ ქალაქის აგება. უბრძანა გაეკაფნათ ტყე, გაეწმინ-
 დათ ადგილი და მიჰყოლოდენ სახლების აშენებასა. გამომდინარე
 თბილისის წყლის გამო ამ ქალაქს უწოდა თბილისი.

8. ხალხური გადმოცემა ვახტანგ გორგასანლზე

ამ არე-მარეზედ, რომელიც ამ სიმაღლიდამი მოჩანს, უცხოვრია
 საქართველოს მეფეს გორგასლანს. აიმ დახვრეტელ მთას რომ ეხე-

¹ ბოქორმის მთიდან,—ქ. ს.

დავთ, ის ყოფილა იმის სასახლე, ნანგრევები აგერ ეხლაც მოჩანს. ქვემოდ რუსის ყაზარმებთან რომ ნანგრევებია, ეს კიდევ მეფის სა-
ნადარო ყოფილა. უჯარჰაც რომ ჩანს, ის კიდევ ქალაქი ყოფილა. ეს
სიმაღლე, რაზედაც ჩვენა ვართ, მაგარი ციხე ყოფილა ...მართლაცა
და, აბა გაიხედეთ, რომელ სიმაღლეზე გინდათ, რომ ციხისა და ამ
საყდრის ნანგრევი არ იყოს მომდგარი? აი, ამ ადგილიდამ განაგებდა
ჩვენი მეფე ქართლ-კახეთსა. ძალუმი ყოფილა და ისეთი ღვთისნი-
ერი, რომ ცილამ ზარის რეკა ესმოდა. ამაზე ჩვენ ეხლაცა ვმღერით
ბოლმე: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ცილამ ესმოდა რეკაო“.
საყდრები ბევრი უშენებია, „ქალაქიც“ იმას გაუკეთებია; მაგრამ
ცოლი პუოლია ცუდი ზნისა, თითონაც თავისივე სიტყვა გაუტეხია
და იმიტომ ბოლო კარგა ვერ მოსვლია. ჭერ თოთხმეტი წლისა ყო-
ფილიყო, როცა მეფედ დამჯდარიყო. დიდი ხანი არ გამოსულიყო,
რომ ერთი ხელმწიფე შეპბრძოლებოდა; მოდი ხალხს ნუ დავხოცავთ
და მეფეებმა გამოვსინჯოთ ერთმანეთიო,—ეთქო სხვათა ხელმწიფეს.
სირცხვილი იყო ვაჟკაცს უკან დაეხია, როცა საფალავნოდ ითხოვ-
დენ და საქართველოს მეფეც გასულიყო; მსლებლებს ეთქოთ მე-
ფისთვის: ეგ გმირია, გამოცდილი და სახელგანთქმული ფალავანიო,
გაჯობებს, თუ მოტყუებით არ დაიმორჩილეთ. მეფეს ჭერ არ ექნა,
მაგრამ ბოლოს გაეტეხა თავისი სიტყვა და როცა საბრძოლველად მე-
იდანზე გამოსულიყვნენ, დაეძახნა სხვის მეფისთვის: „ეგ რა ვაჟკა-
ცობაა, რომ მაგდგნი მშველელი უკან მოგდევსო“— ბეჩავსაც უკან
მიეხედნა და ამ დროს გორგასლანს შვილდ-ისარი შიგ მობრუნებულ
კისერში-კი ეკრა.

ერთხელ გორგასლანი ქართველი ჯარებით ინდოეთს წაბრძანე-
ბულიყო სადავლაოდ და ცოლი კი ამ გახვრეტილ გორის სასახლეში
დაერჩინა ამ ძირ ვაჟეში, საცა ეხლა რუსები დგანან. ცხოვრობდა
თურმე ჩავახეთ-გუთნიდგდა. იგი თურმე მადლიანი ვაჟკაცი იყო და
ხენა-თესვით ცხოვრობდა, მოსავალიც ზღვა მოსდიოდა. მეფის ცო-
ლი ხენის დროს ზევიდამ დასცქეროდა ხოლმე. კაი ნამუსის ქალი არ
ყოფილიყო და ეს პატროსანი გუთნიდგდა შეეცდინა. რადგან ისეთ
დროს ვერ შეხვდებოდენ ერთმანეთს, იმიტომ გუთნიდგდას ღამ-ღა-
მე კლდე ეთხარნა, რო გორის წვერამდის ამძვრალიყო. ის ნახვრე-
ტები რო მოჩანს, ისინი არიან, რა ღამესაც ახვრიტა და ავიდა დე-
დოფალთან, მეფეც ინდოეთიდან მაშინ მოვილა და სასახლეში მოას-
წრო გუთნიდგდას:

დღისითა ეხნავდი გუთანსა,
ლამით ვანგრევიდი სალს კლდესა,
შუალამეს შევეყარე
ტანდაბალ და პირად მზესა,
ნამუსზე ხელი ავიღე,
ღმერთიც უშველის ჩემ მკვლელსა...

ეთქო ლექსად გუთნიდედას მეფისთვის: მაგრამ მეფეს არ მოეკლა ის, მხოლოდ ჭავახეთისკენ გაეძევებინა. ქართლ-კახეთის მოსაველიც თურმე თან გაჰყვა იმ გუთნიდედას და დიდხანს აღარათფერი მოდიოდა ჩვენში, ჭავახეთი კი—მოსაველის ზღვად გადაიქცა. მერე გაგზავნეს ჭავახეთს გუთნიდედასთან კაცი, რომ უკან დაბრუნებულყო, მაგრამ თითონ აღარ წამოსულიყო და რამდენიმე ფეშვი კი—ქირნახულისა გამოეტანებინა. გადააბნიეს თუ არა ეს თესლი, იმ წლიდგან ქართლ-კახეთში ისევ მოსაველი დაბრუნდა, მაგრამ ჭავახეთი მაინც დღესაც სჯობნის ორივე მხარეს...

მეფე გულკეთილი ჰრძანდებოდა და არ-რა ცოლს დაუშავა-რა; მაგრამ ცოლმა კი—არ დაინდო ის. დიდძალი ურჯულო დაეცა ჩვენს ქვეყანას. სამგორის მინდორი სუ დააბნელეს და მოადგნენ უჭარმას. გორგასლანი კი—მაგრა დაუხვდა იმათ: დღისით მუსრს ადენდა და ღამე ამ გორაზედ ციხე დარბაზში ბრუნდებოდა. დედოფალმა პირობა შეკრა ურჯულოთ მეფესთან: ოღონდ შემირთე ცოლადო და ჩემ ქმარს მოგაკვლევინებთო. ღამე იმის რაშს ბევრს მარილს ვაჭმევო და დილით იორში რომ შემოვა, წყალს ძაან დაუწყებეს სმასა, მეფე ჭაგამს ზევით მოზიდაეს, გაღმიდან ჩასათგრებულეებმა იღლიაში სტყორცნეთ ისარი და მოკვდებო. ეს შეთქმულება დედოფალმა შეასრულა და მეორე დღეს ისრით იღლიაში დაჭრილი მეფე მოასვენეს ციხე-დარბაზში. უიმისოდ ვერ მოჰკლავდენ, რადგან თავით ფეხთამდის ამჯარში იჯდა. ორი დღის უკან მოკვდა ეს გათქმული მეფე ქვეყნის სატირლად. დედოფალიც-კი ზედ მიაყოლა ურჯულოთ მეფემ: „ისეთი გმირი და სახელოვანი ქმარი არ შეიფერე და მე შემიფერებო!“ უთხრა იმან და მოაბმევინა რა გორგასლანის რაშის კულ-ზევე, სუ ლუკმა-ლუკმა აქცევინა...

9. გორგასლანის ციხე

ვისაც კახეთისაკენ უმოგზაურნია, იმას უეჭველად ეხსრმება სოფელი უჭარმა და ისიც, რომ უჭარმის ზემოდ, საცა საკახეთო გზატკეცილი მთაზედ აღის და მერე ივრისაკენ ეშვება, იმ უღელტეხილ-

ზედ, გზიდან მარჯვნივ არის ძველი, დანგრეული და მიტოვებული ციხე-დარბაზი. სდგას მთის განმარტოებულს ცხვირზედ, საიდანაც ამაყად გადაჰყურებს ივრის შემკულსა და ლაზათიანს ხეობას. გარ-წემო დიდი შეკრული ტყე აკრავს, რომელიც თავდება დაბლა—ზედ ივრის პირად. აქედან გადახედვა კარგა საგრძნობელს შიშს აუძრავს კაცს, ისეთს სიმაღლეზეა ციხე-დარბაზი. თუმცა ბებერია, თუმცა გავერანებულაია, მაინც ძველის რიხით გადაჰყურებს ბატონურად შორს დაბლა მოქუხარს და მოჩანჩქარე იორს. ივრის გაღმა ფერდობებიც აგრეთვე ტყით არის შემოსილი. სამის მხრით. ეს ციხე-დარბაზი შემოფარგლულია ხეებით, მეოთხით კი უერთდება მთის დედაძარღვს, რომელსაც ეკუთვნის თვითონ ციხის მტვირთველი ბორცვი. ზემოდან რომ გადაიხედოთ, დაინახავთ, რომ ციხიდან ივრის პირამდის ფერდობზედ ჩაყოლებული რამდენიმე ხავსმოკიდებული ჩორსო კოშკი არის შიგ ტყეში. ამბობენ, ეს კოშკები წყლის გზას იცავდნენ ომიანობის დროს. აი ამ ციხე-დარბაზის ძველ დროის პატრონზედ დარჩენილია ხალხში ერთი ლეგენდა, რომელიც ეხლა მსურს გავუზიარო „მოგზაურის“-ს მკითხველებს.

ოდესღაც, დიდი ხნის წინად,—როგორც გვიამბობს ხალხი,—აქ უცხოვრია ამ „ჯვარპატიოსნის“ ციხე-დარბაზის პატრონი—ვახტანგ მეფეს. მაშინ ეს ციხე ყოფილა მაგარი, მტკიცე, მტრის შეუვალი და პატრონის გამხარებელი, ხოლო მტრისთვის გულის მომკვლელი. ვახტანგი სცხოვრობდა აქ თავისს ცოლითა და ყმებით მშვიდად და არხეინად, რადგანაც მტრებისა ისე აღარ ეფიქრებოდა. ისინი დამარცხებულნი ჰყვანდნენ. მხოლოდ შორიდან კი შურით უყურებდნენ მისს კეთილ ცხოვრებას და ელოდებოდნენ მოხერხებულს შემთხვევას, რათა სამაგიერო მიეწყოთ წინანდელის მარცხისათვის. ერთი ოსის მთავარი, რომელსაც გული ძალიან ჰქონდა ნატკენი ვახტანგისაგან, მალ-მალე მოვიდოდა ციხის ახლო-მახლოებში, უდარაჯებდა და ცდილობდა, როგორმე მოეკლა ვახტანგი, მაგრამ ვერაფერს აწყობდა. პირიქით, თითონ დიდის ზარალით ბრუნდებოდა შინ. ბევრს ეცადა, მაგრამ ვერა გააწყო რა. პირისპირაც შეჰხვედრია, როცა ვახტანგს თავის ცხენი წყალზედ მიჰყოლებია; ჩუმად ჩასაფრებულსაც უცდია ბედი, მაგრამ ამაოდ. ბევრი ცდისა და ნადირობის შემდეგ გადასწყვიტა, ხერხი ეხმარა და საწადელისათვის ისე მიეღწია. ეგრეც მოიქცა, ის წინადვე კარგად იცნობდა ვახტანგის ცოლსა; ისინი შეზობელნი იყვნენ და ერთმანეთიც უყვარდათ, მხოლოდ ერთმანეთს კი ვერ ეკუთვნოდნენ, რადგან ძლიერმა მეფემ საქართველოსმა—

ვახტანგმა წამოიყვანა ის თავის ცოლად. ეს იყო მიზეზი და საბუთი მთავრისათვის, რომ შური ეძია, მეფის მოკვლა სდომებოდა და საყვარლის მოტაცება. ამიტომ ძალით რომ ვერას გახდა, ეს ხერხი იხმარა: ადგა, მისწერა თავის საყვარელს არსებას, წერილი, რომელშიაც რასაკვირველია, ჯერ უცხადებდა სიყვარულს და მერე ატყობინებდა, რომ მას ჰსურს მისი გატაცება, მაგრამ ვერ მოუხერხებია, რადგანაც ვახტანგის ციხე შეუფალია. შემდეგ სთხოვდა ესწავლებინა რამე ხერხი, რომ მისი ქმარი გამოესალმებინა სიცოცხლისათვის და თითონ ქალი კი წაეყვანა თავისთან. ბოლოში მიაწერა, რომ აქვე ახლოს ვარ და პასუხს მალე ველიო. დაკეცა ეს წერილი, შეაბა ისარს და გაისროლა ქალის ოთახის ფანჯარისაკენ, ისარი მართლაც შეიჭრა ვახტანგის ცოლის ოთახში. ქალმა შეხედა, ისარს ქალღლი აბია, შეხსნა, წაიკითხა: ჯერ კი შეყოყმანდა, ქმრის გაცემა და ლაღი არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს სიყვარულმა დასძლია და პასუხად მისწერა: „ამაღამ მე ვახტანგის ცხენს მარილის ნატეხს დაუდებ სალოკავად, წყალი ძლიერ მოსწყურდება; ხვალ რომ ვახტანგი ცხენს წყალზედ წამოიყვანს, შენ იქვე ახლო წყლის პირას ჩაუსაფრდი და როდესაც ხელს აუქნევს ცხენსა, რადგანაც ბევრს წყალს არ ასმევს ხოლმე, მაშინ ესროლე ისარი ილიაში; იქ თუ დასჭრი და ისე მოკლავე, თორემ სხვაგან არსად იარაღის მისადგომი ალაგი არა აქვსო. ეცადე, ისარგებლო ამ შემთხვევით და მერე მეც შენი ვარო“. შეაბა წერილი იმავე ისარს და ფანჯრიდანვე გასტყორცნა გარეთ.

ოსის მთავარმა პასუხი რომ მიიღო. მაშინვე მოემზადა. ქალმა კი იმ ღამეს ჩუმად ცხენს მარილის ნატეხი ჩაუდო ახურში და დილით ადრიან, ვიდრე ვახტანგი ჩავიდოდა მოსავლელად, ისევე ააცალა, რომ ეჭვიც კი არ აეღო ქმარსა.

ვახტანგსა ჰყვანდა ერთი მშვენიერი და მოყვანილი ბედაური, რომლის ფასი პატრონისათვის მთელს ქვეყანაზედ არ მოიპოვებოდა. ისე უფრთხილდებოდა. როგორც თვალის ჩინს. იმის გაფრთხილება და სიყვარული იქამდის მიდიოდა, რომ მეფე ყმებს არ ენდობოდა და თითონ უვლიდა, ჩაიყვანდა ხოლმე წყლის დასალევივებლად. მტერს ამ დროსაც არ შეეძლო ევნო რამე ვახტანგისათვის, რადგანაც ის მუდამ შეიარაღებული იყო და ჯაჭვ-ჯავშანში გამოწყობილი, ასე რომ ერთი ბეწო აღგილიც არა ჰქონდა ტანზედ. რომელიც რკინით დაფარული არ ჰქონიყო, გარდა ილიებისა. ეს ერთადერთი ადგილი იყო. სადაც შეიძლებოდა მისი დაჭრა ისრით, ან სხვა რითიმე. თავისი ჩვეულება ვახტანგმა ახლაც გაიმეორა. გამოიყვანა ცხენი. მაგრამ აღარ ისვენებს ბედაური, გიჟობს. ტოტსა სცემს. იწევს და

წალსხედ დგება, ისეა გახურებული მარილისაგან. ვახტანგი აზრსაც ვერ მოღის. იმასა ჰგონია, ქერი მეტი მოსვლია და იმისაგან არისო. ჩაიყვანა იორზედ, მიუძო დასალევად. ცხენი გაფოთებული ეცა წყალს და დაეწაფა. უყურებს მზრუნველი პატრონი, რომ პირუტყვი ძღომას ვერ ეკიდება; უკვირს და თან ეშინიან არ გახეთქოს ამოდენა წყალმაო. აუკრა ხელი ავშარას ერთხელ, ვერ ააღებინა თავი; თან ფიქრობს, რა დამართნია ამ ცხენსაო! მერე მეორეთ აუქნია... გაიწუწუნა ამ დროს მტრის მოშხამულმა ისარმა, მოხვდა შიგ მარჯვენა ხელის ილიაში და განეწო გულ-მკერდში. მაშინ კი მიჰხვდა მეფე, რომ მუხანათად წაართვეს სიცოცხლე, რომ უღალატეს... მერე ვინ? ცოლმა. რომელმაც იცოდა, სად შეიძლებოდა მისი დაკოლვა. შეპ-ზიზღდა შინაური გამცემი და პირმცინარი მტერი... ბოლოს შეებრა-ლა თავი, წაამაგდარი ქვეყანა, შვილები, რომელნიც სხვაგან სცხოვრობდნენ... მიიხედა იქითკენ, საიდანაც ისარი გამოვარდა და დაინახა თავისი მოსისხლე მტერი, ოსის მთავარი. გაიბრძოლა. უნდოდა სამაგიერო გადაეხადა, შეენანებინა თავხედობა... მაგრამ შხამმა გას-ქრა და გმირს მეფეს ძალა წაერთო, მუხლები ჩაეკეცა... ოსის მთავარი გახარებული გაექანა ციხისაკენ, გაიტაცა ვახტანგის ცოლი და თან მთელი ციხე-დარბაზიც ააფორიაქა...

10. როგორ შეიქმნა სახელწოდება „მეტეხი“

როცა გორგასალი ჯერ კიდევ პატარა ყოფილა, ქართლს დას-ცემია ბაყათარ ოსი, მოუტაცნია ვახტანგის და და ხარკად წაუყვანია. ამ ამბავს ვახტანგს დედა არ უმხელდა დრომდინა, მაგრამ ერთ-მა შემთხვევამ ყველაფერი გამოაშკარავაო. ერთხელ ვახტანგი თ-მაშობდა ტოლებში და რალაც მიზეზის გამო ერთს მოთამაშეთაგანს სილა გააწნა. გულმოსულმა გალახულმა უთხრა: „აქ რას იკრივები, თუ ყოჩალი ხარ. წადი. შენი და დაიხსენ ოს ბაყათარისგან, რომელსაც ის ხარკად უზისო“. ეს სიტყვები ისე სწყენია ვახტანგს, რომ მაშინვე წამოსულა შინ. მისულა დედასთან, თავი კალთაში ჩაუდგია და უთხოვინა: „ძუძუ მომეცი, დედი, უნდა უკანასკნელად მოვწოვო და სიკბაბუკეს გამოვეთხოვო“. დედას მიუცია. ვახტანგს კბილები მო-უჭკერია ძუძუსთვის და თან უთქვამს: „მითხარი სად არის ჩემი და, თორემ ძუძუს მოგაკვნიტამო!“ დედა ჯერ უარზე მდგარა, მაგრამ ვახტანგი რო არ მოჰშვებია, ყველაფერი დწვრილებით უამბინა და ბოლოს უთქვამს. „ამ ამბავს შვილო, აქამდისინ გიმალავდი და ახ-

ლა, როცა გატყობ, რომ დავაყვაციდი, შენ იცი, როგორ უშველი დას და ქართლსაო“.

ვახტანგი ამის შემდეგ ბეჯითად შესდგომია მზადებას, ჯარის მოგროვებას და სხვათა შორის დისტვისაც მიუწერია საიდუმლო წერილი თავისს განძრახვაზე. დას პასუხად მოუწერია: „ბაყათარი, ძმაო, გოლიათი კაცია, მას ბევრი ფალავანი გამოუსალმებია ამ წუთისოფლისათვის და უმჯობესია შენს განძრახვას თავი დაანებოვო. მაგრამ, თუ მაინცა და მაინც არ დაგიშლია, ვატყობინებ, რომ ბაყათარის მოკვლა მარტო ილღიაში დაქრით შეიძლებაო, რადგან ის მუდამ ჯაჭვ-აბჯრით ჩაცმული დადისო“.

ვახტანგმა მოამზადა ჯარი თუ არა, კაცი გაუგზავნა ბაყათარს და გამოითხოვა საომრად. ბაყათარი ჯაგრისაგან ცეცხლსა ჰყრიდა, თავი მოუყარა ოსებს და წამოვიდა ვახტანგზე, რომელიც იდგა იქ, სადაც ახლა მეტეხის ტაძარიაო. მოვიდა ბაყათარი და დადგა მტკვრის მეორე კიდეზედ. ვახტანგმა გამოიწვია ის საბრძოლველად. ბაყათარმა ჩამოართვა ფიცი, რომ სანამ წყალში გამოვიდოდე, ისარი არ მესროლოვო და შეაგდო ცხენი მტკვარში. მოაპობს ცხენი მტკვრის ტალღებსა და ვახტანგი კი თვალს არ აშორებს გალაღებულს ოსსა, რომელიც თავს ძლივს უჭერდა ცხენსა. აი ვახტანგმა თვალი მოჰკრა, რომ ბაყათარს ილღიაში ღია ადგილი უჩანს, იდროვა და თვალის დახამხამებაში ისე მარჯვედ სტყორცნა ისარი ბაყათარს, რომ იგი სასიკვდილოდ დაქრილი ცხენიდან გადმოვარდა და, მტკვრის ტალღებმა ქვეით გააქანეს. ვადრკა ოსის ჯარი. ვახტანგი კვალდაკვალ მიჰყვა მათ, შევიდა ოსეთში, დაიპყრო იგი და გაანთავისუფლა დაო.

აი ამ ფიცის მოსანანიებლად ააგო ვახტანგმა ხუთი ტაძარი: აღ-
ბოსავლეთისკენ—წილქანისა, სამხრეთისკენ—სიონისა (თბილისში).
დასავლეთისკენ—ერთაწმიდისა, ჩრდილოეთისკენ—სამთავისისა და
ამათ შუა—მეტეხის ტაძარიო, რომელსაც უწოდა ეს სახელი ნიშ-
ნად იმისა, რომ აქ მე ვ ტ ე ხ ე ფიცით, ამბობს ხალხი.





დავით აღმაშენებელი

11. დავით აღმაშენებელი

როს ნაქარმაგევს მეფენი
შვიდნივე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი
საზღვარსა იქით გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან
იმერთა შიგან ჩამესხნეს,
და აწ ამისსა მოქმედსა
ქელნი გულზედა დამესხნეს.

12. მკელი ლექსი დავით აღმაშენებელზე

გიამბობ სიფრიადესა
დავითის აღმაშენთასა,
მტკიცესა მკლავსა განმგესა,
წყობასა სპარაზენთასა.
მალღობი განცდასა ქუჭნათა,
ლალვათა აღნაგზენთასა,
და ქუჭლთა საქმეთა ურიცხუთა,—
გლახაკთად მინაფენთასა.
გითხრობ წმიდათა ადგილთა
ნიკთა მათ მოსახსენთასა,
ვინა მიიღო საზომი —
უთუალაეთა მათ ძღუენთასა,—

ხილთა, გზათა და ზღუდეთა,
ხანაგათ, კელავ საყენთასა,
და იყო დიდი სიმრავლე —
განარკჳთა, თქმულთა ბრძენთასა!—
მკურნალთ კადოდის სულისა
და კორცთ შექმნილთა სენთასა,
მოწლედ სწყალობდის მოძღუართა,
ათონით მონავლენთასა,
ათენსა სწვრთნიდის ჳაბუკთა,
იყალთოს მონასმენთასა,
და სთესდის მადლსა და სიზარძენსა, —
სულმნთებთა აღმაფრენთასა.

13. დარუბანდის კარები დავიო აღმაშენებლისაგან მოტანილი ცელათში

ერთ ქართველ ვაჳარს საქონელი წაელო დარუბანდში გასასყიდათ. გზაში თურმე ლეკები დაეცნენ და თუ რამე ებადა, ყველაფერი წაართვეს. ვაჳარი მიიქცა ლეკის უფროსისადმი თხოვნით: — შენს საბრძანებელში მოვედი, საქონელი მოვიტანე გასასყიდათ და შენმა ხალხმა სულ წამართვა, სამართალს ვითხოვ, წართმეული დამიბრუნეთო.

— შენ სადაური ხარ? ჳკითხა ლეკის უფროსმა.

— მე ქართველი ვარ.

— ჳო, აბა მიდი საქართველოში და შენს მეფეს დავითს ფეხქვეშ ჩაუგორდი და სამართალი იმას თხოვეო, უთხრა ლეკმა.

— სამართალს მე შენა გთხოვ. თვარა დავითს რომ ეს უთხრა, საქმე ცუდათ წავა.

— ჳამ!.. ცუდათ წავა!.. რას მიზამს დავითი? დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნას!..

ვაჳარი დაბრუნდა საქართველოში და ყოველივე უამბო დავითსა. ისიც დასძინა, ლეკმა რა სთქვა „დავითმა დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნასო“.

დავითმა ვაჳარს უბრძანა:—რადგან შენ ლეკებმა საქონელი წაგართვეს და მათმა უფროსმა შენი თხოვნა არ შეიწყნარა, ამისათვის მერ იმ დაკარგულ საქონელს საქონლითვე უკან დავიბრუნებო.

ეს სთქვა და მიაყვანინა ათასი ცხენი, ათასივე მათი წინამძღოლი, გააკეთებინა ორი ათასი კილობანი და თითოში ჩასვა თითო შეიარაღებული ქართველი. ცხენების წინამძღოლები გამოაწყო ვაჭრულათ. ყველა ამაებს წინ გაუმძღვარა მომჩივანი ვაჭარი და გაისტუმრა დარუბანდში თითონ-კი უკან წაჰყვა. როცა დარუბანდს მიუახლოვდნენ, დავითმა გაგზავნა კაცი ლეკის უფროსთან, საქონელი მომაქვს გასაყიდათა და ქალაქის კარები გააღეთო. ლეკებს გაუხარდათ, უფრო მეტ საქონელს ვიშოვითო და გააღეს კარები. დაღამდა. შუაღამისას დავითმა გაახსნევინა კილობნები და ამოაშვებინა იქიდან შეიარაღებული კაცები. ფეხზე იდგა სამიათასი გულადი მეომარი. ამათ აიღეს დარუბანდი, წაართვეს ქალაქის კლიტეები ლეკთა მთავარს და ნადავლით დაბრუნდნენ შინ. დავითმა ჩამოახსნევინა რკინის კარები, რომელიც დარუბანდში შესავალ გზას იცავდა, შეუბა შიგ ლეკები და ისე ჩამოიტანა გელათში. ერთი ამ კართაგანი დღესაც მოწმობს დავითის სიდიადეს.

ლეკების მთავარს მეფე ღმობიერათ მოეპყრო, დანაშაული აპატია, დაჰკერილი ჰყავდა და გაუშვა. მაშინ, განთავისუფლებულმა უთხრა მეფეს:—რადგან ამდენი სიკეთე მიყავ, ეს მაღლიც ზედ დასძინე, ერთი ხარის ტყავის სიფართე ადგილი მიბოძე დასასახლებლადო. დავითმა უბოძა. ლეკთა მთავარმა მოატანინა ხარის ტყავი, დასჭრა იგი წვრილ-წვრილ თასმებათ, გადააბა ერთიმეორეზე და ამ სახით თასმა იმ სიგრძე შეიქნა, რომ თელ დარუბანდს გარს შემოუარა.

დავითმა ვერაფერი ვეღარ თქვა და დარუბანდი ისევ ლეკებს ღარჩათ.

14. დავით აღმაშენებლის მიერ ანის აღება

როდესაც დავითი შევიდა ანის უმთავრეს ტაძარში, იგი მიუახლოვდა ერთი დედოფლის საფლავსა და ჩასძახა: „გიხაროდენ, დედოფალო, უფალმა იხსნა შენი ეკლესია ურწმუნოთაგან“ და პასუხად მოესმა საფლავიდგან: „დიდებაა ღმერთსა!“

15. დავით აღმაშენებელი და მურვან ერუ

მურვან ყრუ ყოფილა. უშველებელი ჯარი ყოლია. შემოესია საქართველოს. იბრძოდენ ჩვენი ჯარები დიდხანს. მერე უთხრა დავით აღმაშენებელს:

— რათ ვწყვეტთ ამ ხალხს, მოდი დავეჭიდოთ ჩვენაო. რომელიც მოვერევი, იმის იყოს სახელმწიფოო.

იქედეს, იქედეს, სამი დღე იქედეს. უთხრა სადამოს დავითმა თავის მწიგნობრებს:—მერევა ეს მამაძალი მურვან ყრუ, სახელმწიფო მიაქვს და რალა ვქნაო?

მწიგნობრებმა უთხრეს:—უღალატოთო!

უკუთხეს. აღმასი დავითს.

მეოთხე დღე ბრძოლა რომ იყო, ამოუსვა მუცელში დავითმა აღმასი მურვან. ყრუს და მეერია.

— მე ხომ მიღალატეო, მურვან ყრუმ უთხრა;—მაგრამ ამასაო (გელათზე უთხრა), ჩემი შვილი აგიწვავსო. მართლაც იმას აუწვია ორჯერ. სამჯერ ყოფილა დამწვარი გელათი. ეხლაც ეტყობა ნაკვლევი.

16. გელათის ტაძრის აგება

იქ, სადაც დღეს მონასტერია აგებული, ესახლა თურმე გლეხი ლევისარაშვილი. მეფე მონასტრისთვის საგანგებო ადგილს ეძებდა, ხან კტეში (კლდეში) დოუწყიათ აშენება, ხან ელისქედზე, ბოლოს არჩევნებში ლევისარაშვილის ეზო მოსვლია. მეფე ეწვია თურმე გლეხს, მიიარ-მეიარა, მეეწონა აქოურობა და პატრონს უბრძანა: შენც ეზო უნდა მოქვეცე, აქ სახტარი უნდა ავაშენოთო. გლეხს ეს ამბავი ტყვიასავეით მოხვთა, მარა რას იზამდა? მეფეს მოახსენა: თუ იმის ღირსი გავხტები, რომ ჩემი ეზო სახტრის ეზოთ ივარგებს, უკეთესს რაღას მოვესწრებით? მეფეს ზრდილობიანი პასუხი იამა და მილისტრს (მინისტრი) უბრძანა, ლევისარაშვილს ოქროებით ოუფსეთ კალთაო. ბრძანება იქვე შეასრულეს. ლევისარაშვილი მიწაზე დავარდა და ისე მადლობდა მეფეს.—სამოსახლო მიბოძეო, სთხოვა. მეფემ უბოძა, სადაც ეირჩევდა. ლევისარაშვილი ჭიშკარს რო მიუახლოვდა, უკან მეიხედა. მეფე თურმე თვალს აყოლებდა, შეამჩნია—და ბრძანა: ალბათ გული წყტება, მოუმატეთ კიდოო, გულნაწყვეტზე სიკეთე არ აშენდებაო! გლეხს ერთი ნიჩაფი ოქრო კიდო მოუმატეს და მადრიელი გოუშვეს.

17. ლეკენდა დავით აღმაშენებელზე

დავით აღმაშენებელი იყო ძალიან მოწყალე და ღვთის მოყვარე. იმას უყვარდა ეკლესიების შენება და ძალიან ხალისიანათაყ ასრუ-

ლებდა ამ საქმეს. ერთი ომის გათავების შემდეგ მოისურვა დავითმა, აეგო დიდებული გელათის მონასტერი. მისი სურვილი, რასაკვირველია, სისრულეში უნდა მოსულიყო. მუშები დაიბარეს და დაიწყეს შენება.

წყევლმა ეშმაკმა მოინდომა ხელი შეეშალა მისთვის ამ წმინდა ღვთის სასიამოვნო საქმეში კედლები რამდენჯერ ააშორეს ბალავერს, იმდენჯერ ანგრევდა ი წყეული ღამლამობით. დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ და არ იქნა, კედლები ბალავერს ვერ ააშორეს. მეფე, რასაკვირველია, მიხვდა, რომ მისი ხელის მცარავი ეშმაკი იყო და გადასწყვიტა, როგორც უნდა დაჯდომოდა. ეშმაკი ხელთ ეგდო. იმან აიღო ჯამი, აავსო წყლით და დადგა ბალავერის მახლობლად; თითონ კი კუთხეში მიიმალა და დაუწყო დარაჯი. როგორც კარგად დაბნელდა, სად იყო, სად არა, გაჩნდა ი წყეული და გულმოდგინეთ შეუდგა თავის საქმეს. ამ დროს იმან შენიშნა წყლიანი ჯამი და ზედ მივიდა. უცებ საფარიდამ გამოხტა დავითი და ხელები სტაცა. ეშმაკი ჯორად იქცა, მაგრამ გულადი ზეფე მაინც არ შეშინდა; იმან ამოსდო ჯორს პირში ლაგამი და სწრაფად მოახტა ზედ.

ამ დღის შემდეგ ის ამ ჯორს არ იშორებდა. ამის შემდეგ ადვილად მოათავა გელათის მონასტერიც. აგრეთვე ააშენა ვარძია და სხვები.

გელათის მონასტრის აგებაზე მეფე დავითს დიდი შრომა გაუწევია. წყალწითელიდან თავის ხელით ამოუტანია ორი უზარმაზარი ქვა. ეს ქვები მეტათ დედებია. ისინი არიან დატანებული სამხრეთ-დასავლეთის კუთრეში. ერთ მათგანზე დღემდისაც არის, ვითომ დავითის მიერ გაკეთებული მზის საათი. დარუბანდიდან ჩამოუტანია დიდი უშველებელი კარები და მონასტრის გალავანზე დაუკიდია.

ეს „ეშმაკ ჯორი“—კი ისევ ემსახურებოდა დავითს: დადიოდა ის აქეთ-იქით იმ ჯორით. გაჭირვების დროს. ცუდ გზაზე. როცა მათრახი მოხვდებოდა ხოლმე, ისეთი სიმწარით ადგამდა ჯორი ფეხს, რომ ყველგან კვალს აჩენდა. დღესაც იმერეთში უჩვენებენ ერთ კლდეზე ჩიშანს, რომელსაც „ჯორის კვალს“ ანუ „ეშმაკის ნაფეხურს“ ეძახიან. ის ორი ვეება ქვა და დარუბანდის კარებიც თურმე იმ ჯორით მოიტანა დავითმა—უკან შემოკრული. დავითიც ამ ჯორს თავის ხელით უვლიდა: დაყავდა წყლის დასალევად და საძოვრად, რადგანაც სხვას არ ენდობოდა: „ეშმაკია, მოატყუებს და გაექცევალ“.

ერთხელ მეფეს მოუტყუელობის გამო არ შეეძლო თითონ წაეყვანა წყალზე ეშმაკ-ჯორი. დაუძახა მეჭინებეს და უბრძანა ჯორი

წყალზე წაეყვანა. ამასთანავე უთხრა: „არამც და არამც აღვირი არ წაჰყარო“.

მეჩინიბემ მიიყვანა ეშმაკ-ჯორი წყალზე. ჯორმა დასუნა წყალს, თავი ისევ მალა აილო და მოყვა საშინლად ფრთხვენას და წიხლებს ისროდა. მეჩინიბემ იფიქრა: საწყალს იქნება აღვირი უშლისო და წაჰყარა. ეშმაკ-ჯორმა სიხარულით დაიფრთხვინა, წყაროში ჩახტა და გაუჩინარდა.

18. გელათის აშენება

გელათზე აღრე იმ ადგილს ზემოთ, ბალავერი იყო და პატარა ეკლესია მდგარა თურმე. იქ მოვა დილით ბიჭი, ხედავს, ეს ცხენი გალუპულა ოფლად. ატყობს ბიჭი ცხენს, რომ ნახედარია ნამეტანი. მთელი ღამე უვლია თითქოს ვილატას ამ ცხენით. თან ესმის ბიჭს ციდან რეკვა. გაქცეულა ბიჭი დავითთან. მოუხსენებია ეს ამბავი. წამოყვა დავითი ბიჭს. მოვიდნენ იმ ადგილს. დავითს არ ეყურება რეკვა.

ბიჭმა უთხრა:—აბა დამადე ფეხზე ფეხიო.

დაადო დავითმა ფეხზე ფეხი და იმანაც გაიგონა ციდან რეკვა— და დაიწყო იქ გელათის შენება. ერთდროულად აშენებდა მარტვილს, მცხეთას და გელათს. დღეს იქ იყო, ხვალ — აქ. მფრინავი რაში ჰყოლია.

დავითი რომ დაიძახებდა: ჰეო! სამგანვე ერთად დაიდგებოდა ის დიდი ქვები.

ძველად ხარაჩოები არ ყოფილა. რამდენ ქვასაც დადგამდენ, იმდენ მიწას მიაყრიდენ თურმე და ზევით ამოდიოდენ. რომ გააშენებდენ ეკლესიას. მერე მიწას გადათხრიდენ და გამოჩნდებოდა შენობა.

19. გელათის მშენებლობა

გელათის მშენებლობა რომ მიდიოდა, შენების დროს მიწას აყრიდენ გარედან, რომ ქვა ეგორებიათ ზედ. მერეთ ის მოხერხება უხმარია დავითს აღმაშენებელს, ფული დუუტნეგია და გადაწიკვის დროს მიქონდა ფული, ვითომ მიწაში ნახულობდენ. ეს განგებ გააეცა დავითმა, რომ ხალხს ემუშავა—ერთი რომ ნახავდა, მეორეს ეტყოდა მეზობელს და ისიც წამევიდოდა.

20. ოჯესტის ცისე

ოჯესტის ციხე ხრესილთან არის. იმდენად მაღალი არ არის, მაგრამ ორი მხრით წყალი ჩამოუღის და ამიტომ მეტად მიუვალი იყო. დავით აღმაშენებელი 17 წლის რომ გამხდარა, უთქვამს თათრებისათვის:—წადით აქედან და ხარჯებს გადაგიხდითო.

დაუჭერეს თათრებმა, გაიყვანეს ჯარები. მაშინ შეუგროვებია საკუთარი ჯარი დავითს და გაუღენია თათრები. ოჯესტის ციხეში გაუმართა ბრძოლა და ვინც კი დარჩენილი იყო, ყველა გაულიტა.

21. აღმაშენებელი და ავშანდაძე

ოდეს დარუბანდით გამოვიდა ავშანდაძის გუარის კაცი, დიდად ნამსახური ნეფისა, როდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა და გალ(ა)ენიდაღმა გარდმოვარდა, სამას და ხუთი აქიმი მოასხეს და ვერა (უშვ)ელეს, მაშინლა სხუა ერთი აქიმი მოვიდა ყუელას უკანის ბოლოსა. მან ასრე თქუა: „თუ არა ირმის რძეშიგან დავაწუნთო არა ეშველებს რაო“. ქნეს მოკითხული, შეღონდეს, წამოდგა კაცი, ასრე თქუა: „ავშანდაძესა უთქსო თორმეტი ფური ირმის მეწველიო“. სხუა ქუეყანასა ზედან არ იშოებოდა. მოიღო ავშანდაძემან. იპრიანა ღმერთმან, დარჩა აღმაშენებელი.






სვეტიცხოვლის ოსტატი

22. ხეკორძულას წყალი მისვამს.
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, ხელი მომჭრეს,
რატომ კარგი ავიგია.

23. იმ ადგილას
იქ კი, იქა, იმ ადგილას,
სადაც მცხეთა არი,
ტაძარია აგებული
მეფე მირიანის.
უწოდებენ სვეტიცხოველს
ეკლესიას მცხეთის,
რომ აშენეს ხალხის, სოფლის
სადიდებლად ღმერთის.
აშენებდნენ იქ ორ ტაძარს
ვაითა და ვიშით,
სამთავროს და სვეტიცხოველს
ერთნაირის გეგმით.
სამთავროსა აშენებდა
ოსტატი ნაქები,
სვეტიცხოველს—კალატოზი,
ოსტატის შეგირდი.
სსვეტიცხოველს ერგო თურმე
ხალხის მოწონება,
სამთავროსა არ აქებდნენ,
იყო დაღონება.
ოსტატი ბრაზმორეული

იყო სპარსეთელი
და მის შეგირდ კალატოზსა
თურმე მოსკრა ხელი
და შეგირდის სისხლმა მორწყა
ტაძრის გალავანი!
სადაც ღმერთსა ლოცულობდა
მეფე ქრისტიანი.





თამარ მეფე

24. თამარს უამბო დედამა
შენზედ სიზმარი ვნახეო. ,
ერთსა სარკეში ჩავხედე,
კმელეთ სულ დავინახეო,
შენ იყო, შვილო, ქვეყანა,
შაგნებით შაინახეო.

25. ბძანებდა დამბადებელი

ბძანებდა დამბადებელი:
რო დავდგი მიწა—მყარო,
სულ თავის მორთულობითა
შამკდარი მთა და ბარო, —
მურგვალთ სამი ზღვა მუავლე:
თეთრი, წითელი, შავიო.
ზედ გადავხურე ზეცა და
სინა, კიქა და რვალიო;
შიგ გავაჩინე მზე-მთვარე,
მავალი დღე და ღამეო!...
დუნია გამიჩენავის —
რჭულად ათასი გვარო.
სამას სამ წმინდა გიორგი
ოთხსავე კუთხეზე კბძანია.
ქრისტიანთ სალოცავადა
გამოსახული ჯვარია.

ღვთიშვილთა, ღვთის ნაბადებთა
 ქრისტიანთ სალოცავია...
 ღვთიშვილთა ჰყავის წმინდათ
 თამარი დედოფალიო.
 უფლისა იყო ბძანება —
 შაირტყა მამის კმალიო!
 მამის სამეფო აიღო,
 თვითონ ბძანდება ქალიო;
 ხმელეთ თავისად მაიგდო,
 იმდენიცა აქვს ძალიო;
 შუა ზღვას ჩადგა სამანი,
 სამანი — რკინის სარიო;
 სატახტო საბძანებლადა
 თვითონ ხმელს გორზე კბძანია;
 პირდაპირ უდგა გორზედა
 ლალი ლაშარი ჯვარია;
 შაძლებულ მიდგებ-მოდგება,
 წელზედა კრტყავის ხმალიო;
 გვერდს უდგა ნისლის ფერაი,
 ტრედივითა ჰქონ მხარნიო;
 ოქროს უნაგირ ზედ ადგა,
 ოქრო წყლის ლაგმის ტარიო.
 დალოცვილ შამზადებულა:
 დაფანტულნი მყვან ყმანიო!
 მიეშველება ერთგულთა —
 არ იყოს მისეღის ხანიო...

• 26. ქალო თამარო

ქალო თამარო,
 მინდორს გეძინა,
 ზედ რა გეხურა?
 — ზარი, ზარბაბი...
 — მოველ აგხადე,
 სამი გაყოცე,
 სამმა კოცნამა,
 ფერი გიცვალა,
 ფერმა ნაცვალმა

- წიგნი დაწერა...
 ახ, ვის მისწერა?
 — დავით მეფესა.
 — რითი დაწერა?
 — ბროლის თითითა
 — შიგ რა ჩასწერა?
 — დიბა, ატლასი...
 — რითი გაგზავნა?
 — ნიავექართა.
 — რით წაიკითხა?
 — სისხლის ცრემლითა...

27. თამარ მეფის ლექსი

ქალი ვიყავ, თამარ ქალი,
 საქართველოს დედოფალი,
 ჩემი საბედო ეს არი,
 ვინც რომ დამიმშვენა მხარი.
 დიდუბეში ქორწილი ვქენ,
 სადაც რომ საყდარი არი,
 ასი სული ცხვარი დავკალ
 და ორასი ნიშა ხარი,
 ლურჯი სუტრა გაუშალე,
 იქნებოდა ასი მხარი,
 ქვრივ-ობოლსა ვუწყალობე
 : აქრო-ვერცხლი დიდი ძალი.

28. თამარ მეფე და ხონთქარი

თამარ მეფე და ხონთქარი
 მალალმა ღმერთმა წაჰკიდა,
 ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,
 ზედ ალმასები დაჰკიდა,
 შიგ ჩასხა ქართველთ ლაშქარი,
 მრავალ წყალობას დაჰპირდა.

29. თამარ დედოფალი

ო, სიხარული თამარ დედოფალო,
ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო!
თმები გქონდა („გედგა“) ხუჭუჭი,
თვალეები გეჯდა გიშრისა,
კბილები გქონდა მარგალიტისა;
შიგნით გეცვა ატლასი,
გარეთ გეცვა აბჯარი,
ფეხზე გეცვა, ო ჩექმები,
თავზე გედგა ზუჩი;
ცხენი გყავდა ქვიშისფერისა,
უნაგირი გედგა, ოჲ, მოჭედილი,
აღვირი გედგა მოვერცხლილი,
მათრახი გქონდა ოქროსი,
თამარ დედოფალო, თამარს,
ყველაზე უკეთეს თამარს!

30. თამარ დედოფლის მოგზაურობა

ჰაჲ, მალალსა მოხვალ,
თეთრი მთიანი,
ოქროს თელიანი,
მეფე სვანეთსა და-მობრძანდა.
„სვანეთი ვაკე მეგონა,
თურმე მთა-გორა ყოფილა“.
ნეფემ ბარგი დაყარაო,
ბრაგიბრუგი აადინაო.
„კალას დევიდგი კარვები,
ეცერში კაცი გავგზავნეთ:
გვანმარეთ თქვენნი ძალოო.
სვანებმა ძალა გვანმარეს,
დასჭრეს და კეტი გვიმართესო“.

31. ფერხული

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,

თუ ერთმანეთს არ ვახარეთ,
ამის მეტი რა შეგვრჩება.
ჰეე... და ფერხული ჩაებათ,
ბიჭებო გენაცვალებით.
თამარ მეფე ხალხს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზედ ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექმნეს ღრეკა.
ლეკებსა შემოუტია,
ჩერქეზეთში გადარეკა,
ახლა კი შემოუაროთ,
მარცხნივაც შემოუაროთ,
მარჯვნივაც შემოუაროთ,
თამარ მეფე ხალხს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა.
იალბუზზედ ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექმნეს ღრეკა.

32. თამარ ქალი

თამარ ქალო. ქვეყნის თვალო,
რა ლამაზი რამე ხარო,
ნეტავ რა არის მისთანა?
ამომავალი მზისთანა,
ნეტავ რა არის მისთანა?
მეფე თამარისთანა,
ნეტავ რა არის მისთანა?
საყდარი გელათისთანა.

33. თამარ ნეფემ ამაშენა

ბოდავის წმინდა გიორგი
ვაბრძანივარ ულრანს ტყესა,
თამარ ნეფემ ამაშენა
სისხლის წვიმას წინას წელსა,
არაგვიდან ქვა მოზიდეს,
ქელით მიაწვდიდენ კელსა.

34. ვარძია ვნახე

ვარძია ვნახე ლამაზი,
თამარის გამოჭრილია,
სხვა მონასტრებიც ააგო
გაკუთხული და თლილია.
ააგო ციხე-ქალაქიც.
უწყლოს ადინა წყალია,
სუყველანი გააკვირვა:
რა არის თამარ ქალია.
იმ დროს ცხოვრობდა უკვდავი
ჩვენი მელექსე შოთაო.
აჯობა ჭკუით ყველასა;
მათ შეუყენა შფოთვაო.
იმათ შეუქნეს ქვეყანას
სახელოვანი ხანაო,
შოთას ვინ შეედრებოდა,
ვინ იყო იმისთანაო.

35. პონტოს ზღვით გურგენის ზღვამდე
ამერნი ხაზარეთამდე,
თვით გელაქუნი ჩრდილოთ კერძ,
მპყრობელი სულ ყივჩაყამდე.

36. თამარის ეშობა

ათასი კაბა ყმა მყავდა,
ყველანი ოქროს ღილითა.
ვაკმევდი დედალ ხოხობსა.
ვასმევდი ბროლის კიქითა,
ვინც კი შემება, შევები
ალაღითა და ჭიქითა...
აწი თქვენ იცით მეფენო,
ვინც დარჩით ამას იქითა.

37. თამარ ქალი დიდებული

თამარ ქალი დიდებული
სახელად არის ქებული,
ტანადობა მაღალი აქ,
ბეჭეები აქ სქელია,
ორი დაწვნი ბანალი აქ
მეტად უზომო გქელია.
თავზე ქუდი ახურია
მზისა და მთვარის ხელია,
ეს, რო თათრებმა გაიგეს,
დეეკარგებათ ფერია.
მათი თოფი-ზარბაზანი
სულ ნაცარი და მტვერია.
თამარომ სთქვა: ლექსათ ყველას მოვახსენებ
ჩემს ძველად გაკირვებასა,
მე რომ თათრებს შევებრძოლე,
სამი დღე და ღამე ვკაფე,
არც გვისვამს, არც გვიჭამია,
არც გაგვიხდია სამოსი.
სამძღვრათ დავდევი, ვაშენე
გორად კონსტანტინეპოლი,
კარის თავზე დავაწერე,
მე რომ დედოფლად ვიყავი,
საქართველოს მხედვარე.
ათასი კაბა ყმა მყავდა,
ათი ათასი შინა ყმა,
ეხენით და იარალითა,
ვაკმევდი დედალ ხოხობსა,
ვასმიდი ღვინოს თიხითა.
აწ გაგიპირდეს ნეფობა,
ვინც წახვალთ ამას იქითა,
არაბი შემომმესია
თბილის ქალაქამდის მდია
ბარაკონში ერისთავმა.
ნუ გეშინია თამარი,
ჩემი სახელი ახსენე,

თათრებს მოელება ბოლო.
ხიდიკარში ჯარი დადგა
თამარის და ერისთვისა.
თათრებს ყურები დაუდგა
ჯაზაირის დიდი ხმისა.
თათრებმა სთქვა ხიდიკრისა,
ეს რა ვნახეთ ამ კდის ძირსა,
ჩვენ თამარს ველარ დავიჭერთ,
გზას ვეწიოთ სირბილითა.
ვფიცამთ თამარის მზესა
ჩვენ იმას ხელი არ ვახლოთ;
თუ გადაგვარჩინოს დღესა.
ტყიბულში სადილი ვჭამოთ,
ვახშმათ ქალაქს ჩავიდეთა.

38. დაბნელებულა ქართლის მზე

დაბნელებულა ქართლის მზე.,
დღედა ქართლისა თამარი,
სიმშვენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი,
სიკვდილის შემდეგ მშობლებმა
მკვდარიც ვერ კპოვეს, სად არი.

39. თამარ დედოფალი ვიყავ

თამარ დედოფალი ვიყავ.
თავი ძირს აღარ დავიღე.
ზღვაში ჩავეყარე სამნები,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,
ქაჯებსა დავდე იჯარა,
ისპაანს ხარჯი ავიღე,
სტამბულს ხმალი ვკარ, დარუბანდს,
შამს საბალახე ავიღე,
უსიერი მთა გავკაფე,
დიდი შარა-გზა გავიღე,
ლადა-ლუდა ტყე ვიარე,

ქვაზე საყდარი ავიგე,
ამდენი საქმის მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე.

40. აქ ვარ ძია

ერთხელ თამარი, როცა პატარა გოგო იყო, ბიძამისმა წამოიყვანა დღევანდელი ვარძიის ალაგას. იქვე გაუშვა თამარი კლდეებთან. თითონ კი ნადირობდა. როცა ნადირობიდან დაბრუნდა, ნახა, რომ თამარი იქ აღარ იყო, თურმე ასულიყო და კლდეებში თამაშობდა. ბიძას შეეშინდა, ხეარსად გადაეარდაო და დაიწყო ძახილი: „გოგო თამარ სადა ხარო“. თურმე თამარმა გაიგონა ბიძის ხმა და უპასუხა: „აქ ვარ ძიაო“. მერე როცა თამარი ხენწიფე გახდა და იმ კლდეში საყდარი გააკეთა, ეს სახელი დაარქვაო.

41. ლეგენდა თამარზე

თამარს უნებო დედამა. შვილო, სიზმარი ვნახეო.
საწუთროს ჭამში ჩაეხედე, სოფელი დავინახეო.
შენ იყო მთელი ქვეყანა. შეგნებით შეინახეო.

მალე ასრულდა დედის სიტყვები. თამარი შეიქნა მპყრობელი მართლა მთელი საქართველოსი; იმის ხმალს ველარავის ფარმა ვერ გაუძლო; — ყველას უნდა ქედი მოეხარა იმის დიდების წინაშე და ეძლია ხარჯი. თამარმა ყველას ხარჯი დასდვა. მარტო ზღვალა იყო თავისუფალი და ჯერ კადევ არ უხრიდა თავს. მაგრამ ისიც მალე მოღრიკა თამარმა. უბძანა ქარს, მოატანიხა ზღვის პირზედ ჩალა-ბზე, თივა-ფიჩხი, გადააყრეინა ზღვაში და დაასხა ნავთი. ზღვამ თივა ზეით მოიგდო; მემრე მიაკიდებინა ცეცხლი; აპრიალდა ცეცხლი, და გაერთხა ბოლი ზღვის პირს. შესწუხდა ზღვა, შაიძრა თავით ბოლომდე, შასწუხდენ ზღვის ცხოველები, — ზღვას ეგონა. ცეცხლი მეკიდებო, და გამოუგზავნა კაცი თამარს: ოლონდ ნუ დამწვავ და რაც ჯინდა, ის ხარჯი გამომართვიო. თამარმა შეიწყნარა ზღვის თხოვნა, გამართვა კამეჩები, ქარვა, მრავალი თვალ-მარგალიტი და ცხოველები. ამის შემდეგ გაჩნდა ქვეყანაზედა კამეჩები და თვალ-მარგალიტი.

42. გორის ჯვარი

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, თამარ დედოფალი გორში ბრძანებულა და რაღაც შემთხვევის გამო გაპფრენია საყვარელი ქორი. იმ გორაზე მჭდარა ეს ქორი, სადაც ეხლა გორი-ჯვრის ეკლესია არის აშენებული.

იმ დროს მტკვარი აღიდებულნი ყოფილა ისე, რომ გასვლა არავის შეძლებია, რომ ქორი გამოეყვანათ და ამისათვის თამარს უბძახებია:

— ვინც ჩემს ქორს გამომგვრის, რასაც მთხოვს, იმას მიცემ.

ერთი ყმაწვილი კაცი წამომდგარა და მოუხსენებია დედოფლისათვის „მე ვარ თქვენი ბრძანების ამსრულებელიო“ და კიდევ შეცურებულა მტკვარში.

მაგრამ ამ დროს თამარს აზრათ მოსვლია: რასაც მთხოვ, იმას ძოგცემო, რო ვუთხარიო, ვაი თუ ისეთი რამ მთხოვოს ამ კაცსო, რომლის მიცემაც არ შეიძლებაო. პირჯვარი გადაიწერა თურმე დედოფალმა და თქვა:

— ღმერთო, თუ ეს განზრახვა ჰქონდეს იმ ყმაწვილ კაცს, ცოცხალს ნუ გაიყვან, მართლაც და ამ სიტყვისთანავე დაძირა თურმე მტკვარში ის კაცი, ამის მნახავმა თამარმა ძრიელ მოიწყინაო, რომ მისი სიტყვით ის კაცი დაიხრჩოვო, მაშინვე შეგზავნა მცურავი კაცები, რომ გამოეყვანათ ის დამხვრჩალი კაცი. მცურავებმა დამხვრჩალის გამოტანა გამოლმა ვერ შესძლესო და გალმა გაიტანესო, თან ქორიც გამოგვარეს და მოახსენეს დედოფალსაო:

— დამხვრჩალი კაცისას, რას გვიბრძანებთო?

დედოფალმა უბრძანა:—გადით, ის კაცი იქ დამარხეთ, სადაც ქორი იყო და ჯვარი დაადგით, რომ იმ ადგილს მივაგნოთ; მე მსურს ზედ ეკლესია დავადგა და თქვენც იცოდეთ ამ ეკლესიას „ქორის ჯვარი“ ერქმევაო. მართლაც ერთი კვირის შემდეგ იქ ეკლესია ააგო, რომელსაც ეხლა „გორის ჯვარს“ ეძახიანო.

43. ლეგენდა თამარზე

თამარ მეფისთანა ლამაზი ქალი დედამიწაზედ არ მოიპოებოდა. მთხოვნელი ბევრი ჰყავდა მას, მაგრამ არ უნდოდა გათხოვება. ბევრს ხელმწიფის შვილს უთხრა თამარმა უარი: იმას უნდოდა სულ ქალწულად დარჩენილიყო. ამისთანა სიწმინდისათვის ღმერთმა დააჯილ-

დოვა იგი იმითი, რომ სარკმლიდან შემონათებულს სხივზე. ეკიდა ხოლმე მისი ტანისამოსი. მაგრამ სასახლის კაცები და დიდებულები ძეტად დაფიქრებულნი იყვნენ, რომ თამარი ქმარს არ ირთავდა და ამით ქვეყანა უმემკვიდრეოთ რჩებოდა. არჩიეს ამ დიდებულებმა და შემდეგ ამ გადაწყვეტილებას დაადგენ: უნდა ღამე, ჩუმად შეეგზავნათ თამარის ოთახში კაცი:.. შეგზავნეს ერთი ზანგი--შავი კაცი. თამარს იმ ღამეს ღრმად ეძინა და არა გაუგია რა...

მეორე დღეს ადგა თამარი ზეზე, აიღო ტანისამოსი და დაჰკიდა სხივზედ, მაგრამ სხივმა აღარ დაიმაგრა იგი და ძირს დაეცა. მაშინ მიხვდა თამარი თავის შეცოდებას და ძალიან დაღონდა, მაგრამ რაღას იქმოდა...

გავიდა ხანი, თამარი დაროსულდა და მიეცა ვაჟი. მოიხმო მოსამსახურე და უბრძანა ახლად დაბადებული მთაში წაეყვანა და იქ დაეტოვებინა. რცხვენოდა უკანონო შვილის ყოლა. მოსამსახურემ ბრძანება შეასრულა.

დაიწყო ბავშვმა ტირილი—მთაში. ტირილის ხმაზედ მოვიდა ირემი. ნახა ბავშვი, შეებრალა და დაუწყო ძუძუს წოვება. ირმის რძით ბავშვი გაიზარდა.

ერთხელ მონადირე წააწყდა ირემს მთაში. ირემმა როგორც კი შენიშნა მონადირე, გაიქცა, მონადირე უკან გამოედევნა. ცოტა ხანს შემდეგ ირემი მივიდა ერთ ადგილას, სადაც მას მოეგება კარგად მოზრდილი ბავშვი. ბავშვმა ირმის ძუძუს წოვა დაუწყო. გაოცებულმა მონადირემ დაანება ირემს თავი, წამოვიდა და უამბო ყველაფერი თამარს, თამარი მაშინვე მიხვდა, ვინც იყო ის ბავშვი. შეეკრა პერანგი და თავის ამოსაყოფი საყელო არ დაატანა, მისცა მონადირეს და უთხრა: წაიღე ეს პერანგი, მიიტანე და დააგდე იმ ადგილზე, სადაც ბავშვი ნახე. შენ კი ნუ ეჩვენები, იქვე დაიმალე. ბავშვი პერანგს ნახავს, აიღებს და ჩაიცვამს. მაგრამ თავს ვერ ამოპყოფს მაღლა. ამ დროს მიუხტი, დამიჭირე იგი და მომიყვანე.

მონადირემ აასრულა ყოველივე დანაბარები. თამარმა გაზარდა ეს თავისი უკანონო შვილი და დაარქვა სახელათ გიორგი. რადგან გიორგი ირმის გაზრდილი იყო, იმის ჩამომავლობა ირმის ხორცს არა სჭამს.

44. შუქურ ვარსკვლავის შეპრობა

როდესაც თამარ მეფემ შუქურ ვარსკვლავი (ციცკარი) დაიჭირა და ყუთში დაამწყვდია, საქართველოში ზამთარი სრულებით ამოი-

კვთა, იმიტომ რომ ზამთარი შუქურ ვარსკვლავის ძალით მოდიოდა. ზამთრის ამოკვეთის შემდეგ, თამარ მეფე რომ ბაღდადში მიბრძანდებოდა მონასტრის ასაშენებლად, მოახლეს ჩააბარა ყუთი შუქურ ვარსკვლავით და უბძანა: „არამც და არამც ეს ყუთი არ გააღო, თორემ მოუკლავს არ გაგიშვებო“.

მონასტერს ქერი-ლა აკლდა, რომ მოახლემ ყუთს ახადა. თამარ მეფის საბრძანებელი მაშინვე გაბრწყინდა. შუქურ ვარსკვლავი ყუთიდან ამოფრინდა და ზეცას გაფრინდა. თამარ მეფეს კალატოზებმა მოახსენეს: „დიდებულო მეფეო! მონასტრისთვის დამზადებულ ქვას კირხლი მოჰკიდებია, ვეღარ ვეწევეითო“.

ბაღდადში კირხლი მაშინ მოდიოდა ხოლმე, როდესაც საქართველოში ზამთარი დადგებოდა. თამარ მეფე მიხვდა, რომ ზამთრის მოსვლის მიზეზი უთუოდ შუქურ ვარსკვლავის გაშვება იქნებო. ძრიელ შეწუხდა, სიმწუხარით თავში ორივე ხელი შემოიკრა. იმ წამსვე წყეული მოიხმო, ღვთის ნაკურთხი ლაგამი პირში ამოუდო, შებძანდა ზედ და გამოსწია საქართველოსაკენ. იალბუზის მინდვრებთან მოვიდა თუ არა, დაინახა თოვლით გადალესილი იალბუზის მთები, სადაც მეფესა ჰქონდა სამუდამოდ საცხოვრებელი სასახლე. გასწია პირდაპირ თავის ბინისკენ. მაგრამ ძრიელმა ქარბუქმა საშინლად შეაწუხა, ვეღარ ჰიყიდა. ძალა-უნებურად უკან დაბრუნდა და ვარძიის მონასტერში წაბძანდა. იქ გარდაიცვალა თამარ მეფე და იქ ასაფლავია.

45. თამარ დედოფლის პირის მეღვინე

თამარ დედოფალს ჰყვანდა პირის მეღვინე (ღვინო ვისაც ებარა). გაიხედა თამარ დედოფალმა ფანჯრიდან და ნახა,—პირის მეღვინეს სძინავს, პირს ნათელი დასდგომია. გააღვიძა და ჰკითხა, მასწავლე, პირს ნათელი სიცოცხლით როგორ დაგადგაო. მეც ვიქ იმ საქმესაო, მეც დამადგესო. პირის მეღვინემ უარი სთქვა, სვეტი ნათელსა მე ვინ დამაყენებს სიცოცხლითაო. არა, უარს ნუ ამბობ, მე თვითონ გადმოვიციქირე ფანჯარაშიგა და მე თვითონ გნახეო. კიდევ უარი უთხრა, შენ ამდენი საქმე გაგიკეთებია,—სივანს ციხე, ახალციხეს ყველა წმინდა,—შენ არ დაგადგა სვეტი ნათელიო და მე სიღამ დამადგება, შენი პირის მეღვინე ვარო. მერე გამოუცხადა პირის მეღვინემ, შენ რომ საქმელს მიგზავნიდი, მე ვიკლებდი და მშვიერს ეძღვებდიო და ამიტომ დამადგაო.

46. ბოლოსტიკეს ომში ქართველების გამარჯვება ნუქარდინ სულთანზე

თამარ მეფეს ოსმალებთან ომი ჰქონდა, ომში ქრისტიანებმა გაიმარჯვეს და სულთანი ტყვეთ ჩაუვარდათ. პყრობილი თამარ მეფეს მიჰგვარეს. როცა პყრობილი თამარ მეფის წინაშე წარსდგა და სახეზედ შეხედა, უცბათ შეკრთა, უკან დაიწია და ყვირილი დაიწყა:

„მიშველეთ, მიშველეთ,

იქ მყოფთ საჩქაროდ ჰკითხეს:—რა იყო, რა დაგემართა, რის შეგეშინდა .

— მე მისი შემეშინდა, რომ თამარ მეფის გვირგვინს გარს ერთი ხმლით ამოღებული კაცი უვლის და იმ გალესილ ხმალს სულ აქეთ-იქით ატრიალებს მტრის წინააღმდეგ.

47. თამარ დედოფალი და მურვან ყრუ

თამარ დედოფალი მურვან ყრუს რომ დაამარცხებს, შამანდის ზიარეკებს. მურვან ყრუ სთხოვს შერიგებას, თამარ დედოფალი აძლევს ორ წინადადებას: თუ შენ მრევლს ქალის ლეჩაქს დახურავ და ჭაღურად დაყუყულ შეგირიგდებიო.

მურვან ყრუმ ეს შეასრულა, რის ნიშნათაც დარჩენილია სარული და თათრების დაყუყული.

ამიერიდან მურვან ყრუ დადგა პოლიტიკურ გზას, თავისი სამფლობელო რომ გამოეხსნა. მოინდომა ხალხის გამრავლება.

გასცა ბრძანება, რომ თითო კაცს შეერთო შვიდი ქალი. ორმოც წელიწადში გამრავლდა იმდენი. რომ უთვალავი. შემოეხიენ საქართველოს და ააოხრეს.

48. თამარ მეფე და ქისტები

თამარ მეფის აგებული აქ ეკლესია ას ქისტებში. ვერ მოუქცევია ქისტები თამარ მეფეს. დაუკოცავ მღვდლები ქისტებს.

— ჩვენ რჯულს არ გავწირავთო.

— მაშო უთხრავ, ჩემ წესი ერთი მაინც დაიკირეთაო, დედაკა-

ცი ორ მიაო, მამაკაც კი არ ორო. მე თუ არ ჩამოვჭექი, ვერ..... ჩამოვჭექით, ახლა ამას გაგიწირავთ და ცუცქით ჩამოსხდენ და...

— ეგ ჩემი რგული დაიკრეთო, ეს განსოვდეთო, გაგტეხეთო. ასე წეს რომ დაუცუცქებლად წყალს არ დასდინან.

49. თამარ დედოფლის მიერ ეიზილბაშების დამარცხება

თამარ დედოფალი დაბანაკებული ყოფილა ემპელოს ციხეში. ეიზილბაშები კი ყოფილან საგულეს. შემოუთვლის თამარ დედოფალს: ან ცოლად წამომყვე, თუ არა—საქართველოს ავაოხრებო.

თამარ დედოფალს შეუთვლია: ერთი დღე-ღამე მაცადე, ან შენი ასრულდება, ან ჩემიო.

თამარ დედოფალს ერთ დღე-ღამეში გაუჭრევინებია დიდი არხი და დაუხურავთ ისე, რომ შეუმჩნეველი ყოფილიყო. მეორე დღეს თამარს შეუთვლია ომი. გაბრაზებული ეიზილბაშების ცხენოსანი რომ წამოვა, სულ არხში ჩაცვივა. ასე დაუმარცხებია თამარ დედოფალს ეიზილბაშები.

50. თამარ მეფის ბრძოლა თათრებთან

თამარ მეფე მეფობდა საქართველოში. დიდი ყოფილა. იგი მეფობდა საქართველოში. როცა თათარი გამოვიდა და საქართველოს ართმევდენ, თამარ მეფეს ყოლია დადიანი, დადიანმა შავ სვანეთში (მეშხე შვან) გამოგზავნა წიგნი. შავი სვანეთი მეემზადა, თვითო ფუთი ცერცვი წაიღეს. სვანეთის ჯარი ძველი სენაკის ტეხურზე დადგა. იმ ღამეს ცერცვი ტეხურის რიყეში დათესეს. თათრის ხენწიფემ გამოიხედა. მეორე დილას ადგა შავი სვანეთის ჯარი და რიყეში ცერცვს დაუწყეს კრეფა და ჭამა. თათრის უფროსმა თქვა:

— არიქა, უკან დევიზიოთ, თვარა სვანეთი გამევიდა და იგენიქვას ჭამენ და ჩვენ რას გვიზამენო, გაგვწყვეტენო. დაბრუნდა თათრის ჯარი, ჭოროხს გადასცილდა. არ დააყენეს აქით.

51. თამარის ბრძოლა თათრებთან

ღავითის შემდეგ სახელმწიფო გადაუვიდა თამარს. თათრების უფროსმა თამარს ცოლობა სთხოვა უარი რომ მიიღო, დემეშქრა საქართველოს მეტად.

აღდგომები იყო და ამ დროს ხრესილში ყოფილა ხალხი შეგროვილი. დეეცა თათარი და ააწიოკა ქართველები—სულ მირეკ-მო-რეკა.

თამარს უთქვია:—მაგიორ პატივს მე გადაგიხდით. წაუყვანია ჯარი თამარს. ტრაპიზონში ერთ გორას ეხლაც თამარის გორას ეძახიან. იქ ჯვარი დგას, იმას ხელს არ ახლებენ. წაუყვანია ჯარი თამარს აქლემებით. ვითომ ჯორკიდებული საქონელი მიაქვს ხურჯინებით. იმ დროს დაეცა თავის ჯარით, რომ თათრებსაც თავისი დიდი უქმე ჰქონიათ. აუღია მთლათ ის ქალაქი, გადაუწვავს და ჰკუა უსწავლებია თათრებისათვის. სხვა დროს თამარის მეფობისას აღარ ბედავდენ მოსვლას.

52. თამარი და სტამბოლის ფაშა

თამარს ნიძლავი მოუგია სტამბოლის ფაშისათვის. ნიძლავში უთხოვია: ერთი ხარის ტყავის ოდენა მიწა მომეციო. ფაშამ უთხრა თანხმობა რასაკვირველია.

ვიღო თამარმა, მოაყვანინა ერთი უშველებელი ხარი. იმხელა, რომ იმისთანა არ იყო სულ სამიცი მთელ საქართველოში. დააკვლევინა ეს ხარი. ააქნევინა ტყავი. მერე აიღო თვითონ და დასჭრა ის ტყავი თასმებად. თალა, თალა, თალა, თალა და რაზედაც შემოუწვდა მიწას, შემოაწყო ეს თასმები მიწას, რასაც კი გასწვდა, დარჩა ის მიწა თამარს.

ფაშა შეფიცული იყო და ველარას იტყოდა.

53. ლეგენდა თამარ მეფეზე

თამარ მეფე დედოფალს ერთი მოსამსახურე თათარი ჰყავდა, ამ თათარს სახელად მახმედი (მახმად) ერქვა. ეს თათარი იყო მეტად მარჯვე, ცქვიტი, ერთგული და თავაზიანი. ისე შეაყვარა კეთილ დედოფალს ამ თათარმა თავი, რომ არ იცოდა რა ნაირად დაეჭილდოებინა ასეთი საუცხოვო მოსამსახურე. ერთხელ თამარმა უთხრა მახმედს: „ჩემო მახმედ! რადგანაც შენ ამდენ ხანს და ასე კარგად შემსახურები, ეხლა შენი დასაჩუქრება მინდა. მთხოვე რაც გინდა

ჯა მოგცემო“. ცბიერმა თათარმა ქვეშ-ქვეშ ჩაიციხა და მოახსენა: ერთი ხარის ტყავი რამდენ მიწასაც შამოიცავს, ის მომეციო.

— აგრე ცოტა!? ბევრი მთხოვე თორემ, ეგ რას გეყოფაო, — უთხრა გულუბრივეილო დედოფალმა.

— თუ თქვენი მოწყალება არ მომეშალა, ესეც ბევრი იქნება ჩემ უღირს თავზეო, — მიუვო ცბიერმა თათარმა.

თამარი დათანხმდა და თათარი გაისტუმრა: „ხვალ მოდი და მიიზომე საცა გინდაო“. თათარი წავიდა, იყიდა დიდი ხარის ტყავი, ხარახს მიუტანა და უთხრა: „ერთიან წვრილ თასმად ასკერი ეს ტყავი და კარგ ხელფასს მოგცემო“. ხარაზი ასეც მოიქცა. იფიქრეთ, რა იქნებოდა ერთი ხარის ტყავის ერთიანი თასმა. მახმედიმ დაახვია ეს თასმა ჯოგრზე და მივიდა სასახლეში.

— აბა, მიმიზომეო, — დაელრიჭა დედოფალს. თამარმა შეხედა ჯოგრზე დახვეულ თასმას და ძლიერ შესწუხდა: „ამ ბილწმა თათარმა რაღა მომატყუაო“. მაგრამ რაღას იზამდა: ფიცი ჰქონდა მიცემული და ფიცს ის არას გზით არ უღალატებდა. ძველი დრო იყო მაშინ... გაგზავნა სანდო ჯაცები და მიაზომინა, სიტყვა ისე იყო ნათქვამი, რომ სადაც აირჩევდა. იქ უნდა მიეზომათ. თათარმა აირჩია ვარძია. შორაპანი და მათ შუა ახლო-მახლო მდებარე ადგილები. ეს თასმა კიდევ მემოსწვდა ამ ადგილებს.

შემდეგ ამისა გახარებული მახმედი წავიდა სათათრეში და იქიდან თათრები მოიყვანა და დაასახლა ისინი შორაპანსა და ვარძიის ახლოს. ეს თათრები ძლიერ აწვალებდნენ გამვლელ-გამომვლელს: დახვდებოდნენ წინ და თუ რამე ჰქონდათ. ართმევდნენ, კაცს იჭერდნენ და ტყვედ ჰყიდდნენ ხოლმე ღამ-ღამე ჩუმად. ისეთი უხაროდათ თათრებს თავის ახალი მდგომარეობა; რომ არ იცოდნენ, რითი გადაეხადათ თავის მოკეთე მახმედისათვის. ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი ეგონათ ის. მახმედიც ისე იქცეოდა, თითქმის მართლად ვითისაგან მოგზავნილი მოციქული ყოფილიყოს.

იმან დაუნიშნა ურჯულო თათრებს მარხვები, ლოცვები და სხვა.

მახმედი, ვითომც უგნური ბავშვი იყო, ისევე ძველებურად დაიარებოდა სასახლეში და ცდილობდა განრისხებული დედოფლის გული მოეგო, რომ არ დაესაჯათ ამ უსინდისოთ მოტყუებისათვის. თამარს კი ძლიერ ეზიზღებოდა უსინდისო თათარი.

დიდებულებმა იცოდნენ, თუ როგორ დარდობდა თამარი თავის ასე მოტყუებას და გადასწყვიტეს მახმედი თამარის გაუგებლად მო-

ეკლათ. ამისათვის სასახლეში შესასვლელ კიშკრებში ორმო ამოთხარეს, ვაავსეს ის კუბრით. ზედ ფიჩხი წაათარეს და ზედაც მიწა წააყარეს ისეთ ნაირად, რომ კაცი ვერაფერს შეატყობდა. მანმედი დიდი ხნის მოუსვლელი იყო სასახლეში. დიდბოლებმა თამარის უცნობელად გაგზავნეს კაცი და შეუთვალეს მანმედს: დედოფალს რაღაც საჩქარო საქმე აქვს და გზარებსო. როდესაც მანმედი სასახლეში წავიდოდა, თავისიანებს დაუბარებდა, ღმერთთან მივდივარ სამუსაიფოდო. დაბრუნებაზე კი უჩვეულო ტყუილებს ეტყოდა ხოლმე. ეხლაც უთხრა თავისიანებს: „ღმერთი მიბარებსო“ და წავიდა სასახლეში. შეადგა თუ არა ფეხი სასახლის კიშკრებში, კუბრში ტვლები: გახდა. მანმედს ყოველთვის თან ახლდა ერთი თავისი ნათესავი, რომელიც იმას ძლიერ უყვარდა და არასოდეს არ იშორებდა. ეს კაცი ეხლაც აქ იყო და ცოტა მოშორებით მოკვეებოდა მანმედს და ამიტომ ის არ ჩავარდნილა კუბრში. კუბრში მოტივტივე მანმედი ცდილობდა ამოსულიყო, მაგრამ ამაოდ. ვერც ეს კაცი დაეხმარა. ბოლოს მანმედმა უთხრა: „მე აწი თავის გამოყოფა აღარ შემეძლება, რომ აქ ჩვენთაგანმა მნახოს ვინმემო. რადგანაც ყველას წმინდა კაცად მივაჩნივარ. ამისათვის, მოდი თავი მომპერი და სადმე დაქარგე. ხალხს კი უთხარი, რომ „მანმედი ღმერთმა აღიტაცა გზაზე, თავის ადგილი კი მე დამიტოვათქო. ამის სანიშნებელად ჩემი ჩალმა (ქუდი) წაიღე და აჩვენე ხალხსაო“. ეს კაცი ასე მოიქცა. მანმედს თავი მოსჭრა და საღდაც გადაქარგა. ხალხს კი უთხრა. რომ „მანმედი ღმერთმა აღიტაცა, თავის დიდება და ადგილი მე დამიტოვაო. ნიშნად ამისათვის ქუდი (ჩალმა) გადმომიგდო მალლიდანო“. ხალხი გაოცდა და ღმერთს მადლობას სწირავდა. მანმედი გააღმერთეს და თაყვანისცემა დაუწყეს.

ის კი არ იცოდნენ, რომ მისი უთაო გვამი კუბრში ღვებოდა. ამნაირად წარმოდგა თათრობა, ე. ი. მაჰმადიანობა. თამარს თუმცა ეწყინა ეს ღვთის საწინააღმდეგო საქმე, მაგრამ რაღა ექნა. როდესაც თათრებმა არ დაიშალეს თავის უცნაური საქციელი: ცარცვა-გლეჯა და ტყვის გაყიდვა. თამარმა ჯარი მიუსია და ყველა გარეკა.

ბრწყინვალე დედოფალი გარდაიცვალა, მაგრამ არ იციან სად არის. მისი გვამი ღმერთმა დამალა, რომ შემდეგში აღედგინა. ხალხი კი ძლიერ შეაწუხა მისმა გარდაცვალებამ. მაგრამ რადგანაც ის მაინც უნდა აღდგეს, ამისათვის იმედს არ ჰკარგავენ და ხშირად იმღერაიან ხოლმე:

აღსდგე, თამარ დედოფალი,
შენთვის სტირის საქართველო.

იყო ერთი სახელგანთქანი ქართველი მეფე. ამას ძეტად მშვენიერი ქსლიშვილი ჰყავდა სახელად თამარი. თამარს სჭირდა ავი ჰირი. ამ ჰირის მოსარჩენად მამა მისმა აუარებელი ფული დახარჯა. მარა მისი მორჩენა შეუძლებელი გახდა. მეფემ დახედა, რომ მისი ქალიშვილი თანდათან უძლურდებოდა, ფუჭდებოდა და ყველასაგან საზარელი ხდებოდა. უბანა მოსამსახურეებს; გადაეგდოთ შორს სადმე; რათა მისი საზიზღარი თავი აღარ დაენახა. მოსამსახურეებმა წაიყვანეს იარებიდგან შევქმული თამარი და ერთ ბალახოვანს ფერდობზე დააგორეს. თამარს სიარულის არაქათიც აღარ ჰქონდა ისე დასუსტებულიყო. რა დააგორეს თამარი ამ რბილ ბალახზე გორვა გორვით ერთ სწორ ადგილამდის იარა და გორაობაში ბალახების შეხებით მორჩა ავი ჰირისაგან თამარი (მგონიად თუთუნს ასახელებენ მაარინაო). თამარი გახდა მალე ისეთივე ლამაზი და მშვენიერი, როგორც იყო უწინ, თითქმის მალე უკეთესიც შეიქნა. მისი სიმშვენიერე კაცს თვალს მოსტაცებდა. ისეთი იყო ი დალოცვილიშვილი. როდესაც მორჩა თამარი, ადგა. ბევრი იარა თუ ცოტა, ვანის ქვაბების ძირში (ვარძიას მონასტრის გაღმა ქვაბებში) ერთ დედაკაცს შეხვდა და მიეკედლა მას. ესენი ორივე ერთად ცხოვრობდნენ. ერთხელ წეროებმა რო გადაიარეს თბილი ქვეყნებისაკენ, იმ დროს თამარმა თავისთან ახლოს ერთი ფთა და ფეხმოტეხილი წერო დაინახა, მივიდა პარვით და დაიჭირა. მაშინვე ჰინჭით შეუხვია ნატყენი ადგილები და პატარა ხანში მოარჩინა წერო. წერო მოშინაურდა და ქათმებთან ცხოვრებასაც მიეჩვია. თამარს ძალიან უყვარდა ეს წერო. მეორეთ რო გადმოიარეს წეროებმა, ეს წეროც მათ გაჰყვა. თამარს ძალიან ეწყინა საყვარელი წეროს გაპარვა და ბევრიც იტირა მისთვის. მეორე წელიწადს რო გადმოიარეს წეროებმა კიდევ, თამარმა დაინახა და სთქვა: ნეტავი თუ ჩემი წეროც ურევია იმათშიო. ამის თქმა და ერთი წეროს გამოცალკეება წეროებიდგან ერთი იქნა. დაინახა ამ წეროს ორი ნაფოტი ეჭირა ნისკარტში—ერთი ყვირელი და ერთი თეთრი; ორივე ლამაზები იყვნენ.

მივიდა თამარის სადგომ ქვაბთან (კლდეში) დაჭდა და ორნივე ჩხირები იქ დატოვა და თვითონ კი გაფრინდა.

მოირბინა თამარმა და ჩამოიღო ის ლამაზი წეროს მიტანილი ნაფოტები და სთქვა: ესენი ჰდეთ კარგიაო და მაშინათვე თავის ძროხის მონაწველი რძე ჰდო. რძე ვერცხლად იქცა—თეთრი ნაფოტით

ნაქდე, სოლო საღამოს ყვითელი ნათოტი ჰდო და ოქროთ იქცა რძე-
ასე წყალსაც რო ჰდოზდა, ოქროთ იქცეოდა და ვერცხლად. ამგვარად
ბევრი ოქრო-ვერცხლი რო გააჩინა თამარმა, დედოფლად დაჯ-
და და იწყო საყდრების შენება მთელს საქართველოში. გავარდა ხმა
თამარის სილამაზისა და სიმდიდრისა. იყო მოწყალე აღმამიანიც ლა-
რბებებისათვის.

გაიგო სპარსეთის შამ თამარ დედოფლის სიმშვენიერე და წა-
მოვიდა დიდის ჯარით საომრად, რათა ბოლოს წაეყვანა კიდეც, დაა-
მარცხა ერთხელ თამარმა შაი. დაამარცხა მეორეთ, მარა მესამეთ კი
შაიმ დაძლია და რა დააპირა წაყვანა თამარის, იმ დროს თამარი ჰაე-
რად წავიდა და უჩინო იქნა ქართველი დედა.

55. ფერია დედოფალი საქართველოსა

საინგილოში ძველი თქმულებანი და ლეგენდები ბევრი არ და-
ცულა. რაც შენახულა, ისიც ხალხის მესხიერებას აუო-დაურევია.
ერთი ამ გვარი ისტორიულ-ლეგენდარული თქმულება შეეხება სა-
ქართველოს დედოფალ თამარს, რომელსაც საზოგადოდ აღმოსავ-
ლეთის პოეზია ფერიას უწოდებს.

საინგილოში დღესაც იხილება ნაშთნი და ნანგრევნი ძველისა
და დიდებულის ქალაქის ფერი-ყალისა, რომელიც გადმოცემის სიტ-
ყვით, აუშენებია თამარ დედოფალს და რომელსაც თვით სახელიც
მისივე დარქმევია. თამარს ამ ქალაქში ცხოვრება ჰყვარებია და ამი-
ტომაც იგი ყოველის ფერით შეუმკია და გაუშაგრებია ციხე-კოშკე-
ბით.

იქ, საცა ჰყვავებულა ფერი-ყალა, საცა საქართველოს უდიდე-
ბულესს მეფე-დედოფლის ტახტი მდგარა, იქ ვამბობთ დღეს ერთი
პაწია ეკლესია-ლა დაშთენილი და ისიც მტრისაგან გაცარცული და
აკლებული. დანაშთნი-კი ულმობელ მტერს მიუხვრ-მოუხვრევია,
მიუღეწ-მოუღეწია, და საძირკვლიანად გადაუთხრია.

გადმოცემის თქმით, ფერია ფრიად ლამაზი ყოფილა. იმისთანა
ლამაზი ქალი სხვა ჯერ არ შობილა და არც იშობება. ფერია თავის
სიცოცხლეში ქალწულად დაშთენილა. ქმარი არ შეურთავს. მისი
სილამაზის ამბავი გაითქვა ქვეყნის ოთხივ-ყუთხივ, მადრიბიდგან
მასრიყამდე ფერიას სილამაზე საარაკო მოთხრობათა საგნად შეიქმ-
ნა. იმ დროს აღმოსავლეთის მგონებისა და აშულების ყოველივე
ხელოვნება ფერიას ქება-დიდებაში ილეოდა აღმოსავლეთისა და

დასავლეთის მეფენიც გაკვირვებულ განცვიფრებულნი იყვნენ ფერის სილამაზითა, ჰკუთნა და დიდებით. საქართველო მის მეოხებით ისე გაძლიერდა, რომ ისპაანი, სტამბოლი და სხვა ქალაქნი ყველანი დაბეგრილნი იყვნენ. საქართველო აღყვავდა. დიდებით გალაღებულნი მეომარნი ვაჟკაცურად გამოიყურებოდნენ. მწიგნობრობა მთელს ქვეყანას მოეფინა. ტაძარნი, ციხენი, კოშკნი ამშვენებდნენ მრავალს ღელე-ყურეს. მათა ბორცვებს და მინდორ-ველებს. ქალაქები მრავალი იყო. შიგ მიღებით გაეყვანათ წყალი. მინდვრები უხვად ირწყოდა არხებით. კარგი დრო იყო ფერის დრო. ეს ანგელოზი არსება ყველა ქართველს დედობას უწევდა, ყველას ერთნაირად უვლიდა და ეპატრონებოდა, მაგრამ სადღაა ის დრო! წახდა, წარვიდა და, ვინ იცის, მოვესწრებით-ლა ოდესმე?!

ამ ანგელოზ დედაკაცის შერთვა მოინდომეს სხვადასხვა მეფეებმა და მეფის შვილებმა, მაგრამ თამარს ღმერთისთვის ქალწულობა აღეთქვა და რად გათხოვდებოდა. ყველა მთხოვნელს უარი უთხრა და მათ შორის სპარსეთის შაჰსაც.

სპარსეთში ამ დროს მეფობდა შაჰ-აბაზი. შაჰ-აბაზს ძლიერ უყვირდა, როდესაც მისნი კარის მგოსანნი და აშულნი თამარის სილამაზეს დამღეროდნენ და აღიდებდნენ. „მინამ ჩემის თვალთ არა ენახავ, არ დავიჭერებ რომ მართლა ადამიანის შვილი ეგეთი ლამაზი იყოსო“, ამბობდა შაჰ-აბაზი.

ყენმა გადაწყვიტა პირადად ენახა დედოფალი. თავის სურვილის აღსასრულებლად იგი მიებარა შაგირდად იმ მკალავს, რომელიც ფერის ჰურჭელს ჰკალავდა. დედოფლის მკალავი სოფელ ილისიდა იყო. წავიდა ფერიყალას დედოფლის ჰურჭლის დასაკალავად. დაიწყეს მუშაობა და ბევრი ჰურჭელი მოჰკალეს. რამდენისამე დღის შემდეგ დედოფალი წავიდა მოკალულ ჰურჭლის სანახავად. დათვალეირების დროს მკალავის შეგირდმა მიიქცია დედოფლის ყურადღება. დედოფალს მრავალი მეფეების სურათები ჰქონდა და მათ შორის შაჰ-აბაზისაც. მკალავის შეგირდი კი სრულიად ჰგვანდა შაჰის სურათს. დედოფალი დარწმუნდა, რომ იგი ნამდვილად შაჰ-აბაზია. გარისხდა მკალავის ამ გვარ საქციელის გამო. და ორთავენი დაითხოვა. დიდად შერცხვენილი მეფე-მკალავი დაბრუნდა თავის სამეფოში და მაჰმადის წვერი დაიფიცა, რომ ან გავხდები მფლობელი ამ მშვენიერთა მშვენიერის არსებისა და ან თავს მოვიკლავო.

სპარსეთში მოსვლისთანავე შაჰმა შეაგროვა დიდი ჯარი და წამოვიდა საქართველოზე. თამარმაც თავის ჯარს საჩქაროდ თავი მოუყარა საინგილოში, იქ, საცა ეხლა „სისხლის ღელეა“ (ყანუ-ყობი). ამ

ლელის ნაპირას მოჰხდა სასტიკი ომი. ყიზილბაშნი უთვალავნი იყვნენ, ფერის ჭარი მცირე იყო. მიუხედავად ამისა, ქართველნი, გამხნეებულნი თავის საყვარელ დედოფლის ხილვით, ლომებრ იბრძოდნენ. დაიხოცა მრავალი ქართველი, ხოლო ყიზილბაში—ასჯერ კიდევ მომეტებული. მთელი ღელე სისხლით აივსო და კაცის სისხლმა შიგ რუსავით დენა დაიწყო. უკანასკნელმა ქართველმა მეომარმა თავი რომ შეაკლა ჭერ ისევ რიცხვით მრავალს სპარსელებს. მაშინ. და მხოლოდ მაშინ, დედოფალი ფერი უკუ იქცა მცირე ამალით. ყიზილბაშნი დაედევნენ. ფერი ჩაიკეტა ერთს მიუვალს ციხეში. ეს ციხე აგებულია ზედ ფრიალო მთის წვერზედ. შიგ გაკეთებულია წყლის აუზები, გარშემო გალავანი აქვს და გალავნის გარდა—ღრმა თხრილები, აბასი ციხეს შამოერთყა. ბევრი ეცადა, უნდოდა აეღო და ფერი ხელში ჩაეგდო, მაგრამ ამაოდ. ციხეს ვაჟაკურად იცავდნენ. ბოლოს, საქმე რომ მეტად გასჭირდა. აბასმა ასეთი ხერხი იხმარა. დამე. საიდუმლოდ ციხის თხრილი ერთ ადგილას თავის ცხენოსან ჭარის უნაგირებით გალავნის პირამდე გაავსებინა და დილით მთელის თავისის ძალ-ღონით შეუტია მტერს და ციხეში შევიდა. შაჰმა მაშინათვე დაიწყო ფერის ძებნა. ბევრი ეძებდა. მაგრამ ვეღარ იპოვნა—რა. რაკი ქართველები დამარცხდნენ, ფერია, რომ მტერს ხელში არ ჩაეარდნოდა, ციხის სიმაღლიდან ღრმა უფსკრულში გადაეშვა. შაჰ-აბაზს ძლიერ ეწყინა. რომ დედოფალი ვერ შეიპყრო. შესწუხდა, დანაღვლიანდა და ამ ნაღველმა თან გადიტანა კიდევ.

56. თამარ მეფე და ევფრატის ტაძარი

თამარ მეფე შავშეთიდან კარჩხალის მთაზე გადმობრძანდა, ევფრატელებმა და მაჰახლელებმა თამარ მეფეს მაჰახელში მობრძანება სთხოვეს. თამარ მეფემ შეისმინა ეს თხოვნა და ბრძანა:

— რამდენიმე ხანს აქ მთაზე დავრჩებით და მერე, დაბრუნების დროს, მაჰახალაში გიახლებით. ერს ძლიერ ესიამოვნა მეფის ბრძანება. მეფის ბრძანებით კარჩხალის მწვეროზე მდებარე ერთ ვაკე ალაგს დაარქვეს „თავ-კალო“. ამავე თავ-კალოზე მისივე ბრძანებით ალაგს დუქნები და გააჩინეს ტბა. თვით თამარ მეფისთვის გააკეთეს მშვენიერი კოშკი, რომელსაც გარს ირმის რქები ეკრა. სამეფო საქმეების გაკეთების შემდეგ თამარ მეფე სტუმრებს მიიღებდა ხოლმე. სტუმრები სამეფო ტანსაცმელით უნდა გამოცხადებოდნენ. სოფელ ევფრატში გაკეთებული იყო ერთი დიდი სასახლე, სა-

დაც აუარებელი ტანსაცმელი ეწყო, აქ მოვიდოდნენ თამარ მეფის მნახველნი, თავიანთს ტანსაცმელს ჩაიცვამდნენ და თავშიშველა წავიდოდნენ კარჩხალის მთაზედ. თამარ მეფის სანახავად. ნახვის შემდეგ, ესენი დაბრუნდებოდნენ ევფრატს, სამეფო ტანსაცმელს გაზოცივლიდნენ, ისევ თავიანთსას ჩაიცვამდნენ და ისე წავიდოდნენ. მალე თამარის ბრძანებით კარჩხალიდგან ევფრატამდის საურამე გზა გააკეთეს. კარჩხალიდგან ხალხი ურმით ჩამოდიოდა ევფრატს.

ერთს საღამოს ჟამს, როცა თამარ მეფე თავისს კოშკში ბრძანდებოდა და აქეთ-იქით იმზირებოდა, ევფრატის ეკლესიის გვერდით შენიშნა ერადი მეტად საუცხოვო ბრწყინვალე ცეცხლის შუქი. თამარ მეფემ კარჩხალიდგან მალე ისურვა ევფრატში ჩამოსვლა და ნახვა იმ ეკლესიისა, სადაც მან შუქი მფინე ცეცხლი დაინახა. საქმე აღარ დაახანა, მალე ჩამოვიდა ევფრატში და ნახა ის ადგილი და ეკლესია, საიდგანაც მან ცეცხლი დაინახა. ევფრატის კარგი ეკლესია მაინც-და-მაინც დიდად არ მოეწონა და ბრძანა:

— მე ჩემის ხარჯით ერთი კარგი ეკლესია ხერთვისში უნდა ავაშენო სამახსოვროთ ჩემის აქ მოსვლისა და კარჩხალის მთაზედ ყოფნისა. რამოდენიმე დღის შემდეგ ხერთვისში ეკლესიის კეთება დაიწყეს. დღისით ხელოსნები და მუშები მუშაობდნენ. საღამოთი იარაღს უკლესიის შენობასთან აწყობდნენ და თითონ ისვენებდნენ; დილა რომ გათენდებოდა, ხელოსნები მოვიდოდნენ ეკლესიასთან სამუშაოთ, მაგრამ თავიანთ იარაღს იქ ვეღარ ნახავდნენ, არამედ რვა ვერსის მოშორებით, სოფ. ევფრატის ეკლესიის გვერდით ნახავდნენ იარაღს დაწყობილს. რამდენჯერმე მოხდა ასეთი მაგალითი და ხელოსნები ერთობ გაკვირვებულნი იყვნენ ასეთის საკვირველი მოქმედებით. ესენი წავიდნენ და თამარ მეფეს მოახსენეს ყოველისფერი დაწვრილებით. თამარ მეფე დაფიქრდა და ბრძანა შემდეგ:

— მაშ დაანებეთ თავი ხერთვისში ეკლესიის კეთებას. დარჩეს ისევ ისე ევფრატის ეკლესია ამ ხეობის მცხოვრებ ქართველთა დედა ეკლესიად. თუმცა ეს ეკლესია ღარიბად არის ნაშენი, მაგრამ მე გაემდიდრებ, მე შევმოსავ მას ყოველივე სამკაულებით.

ხელოსნები თავთავიანკენ წავიდნენ. მესამე დღეს. თამარი ჩამობრძანდა ევფრატში. ეკლესია შემოსა ძვირფას განძეულობით. სასულიერო წოდებას გადაახდევინა პარაკლისი და შემდეგ ამისა მაქახლის გზით დაბრუნდა ლივანას. მაშინ მთელს მაქახელში საურამე გზა ყოფილა გაკეთებული. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ეკლესია შეამკეს ძვირასის ფარჩა-მარგალიტებით, რომლის კედლის თავზედაც

თამარ მეფემ მეტად სხივოსანი კვამლი დაინახა. გაკეთების შემდეგ წყევლა-კრულვა დაუღიათ, რომ არამც და არამც ეკლესია არავინ დააქციოს, თუ თავისით დაიქცეს ოდესმე, ეცადნენ, რომ მაშინ ეს კედელი მაინც დარჩეს საშვილიშვილოთაო. ამავე დროს თამარ მეფეს გაუკეთებია ხერთვისის ორი ხიდი, სოფ. ჩხუტუნეთის აბლოს და ერთი დიდი კოშკი სოფ. აჭარალმართას ზემოთ, მაჭახლის წყლის პირას, რომლის ციხის კედლები დღევანდლამდე სდგას. მაჭახლის პირიდგან მტერი რომ შემოსულიყო, ის მხოლოდ ამ ციხემდის მოაღწევდა და ამას აქეთ ფეხს ვერ შემოსდგამდა, რადგანაც გზაში კარები დაკეტილი დახვდებოდა.

57. თამარ მეფე და მისი ძმა

თამარ მეფეს ძმა ჰყოლია დოღეთში (სად არის ეს დოღეთი არ ვიცო). იქ ქვასა სჭრიდა თურმე ის მისი ძმა სულ ზომაზე და ისე უგზავნიდა თამარს საქართველოს საშენებლად. სულ ზომაზე მოსდიოდა ეს ქვები და იმიტომ აშენებდა ასე ბევრსა. აი ეს ჩვენი ღვთაებაც იმ დროს არის აშენებული.

58. თამარ მეფის ამბავი წრომის ეკლესიის აგების შესახებ

ხაშურის რაიონის სოფ. წრომში აგებულია ეკლესია, რომელზეც ასეთი თქმულება არსებობს—ვითომ ამ სოფელში ერთ დროს ცხოვრობდა თამარ მეფე ძმით. ერთ მშვენიერ დღეს და-ძმანი დასხდნენ და ლაპარაკობდნენ, რამოდენიმე წუთის შემდეგ გადასწყვიტეს, რომ თამარს აღნიშნულ სოფელში ეკლესია აეშენებია, მის ძმას კი მდინარე ძამა უნდა გამოეყვანა სოფ. ახალსოფელში.

და-ძმანი შეუდგნენ საქმის სისრულეში მოყვანას, მხოლოდ თამარის ძმამ საქმისადმი სიცრუე გამოიჩინა: იშოვა ბევრი წყლისფერი ტილოები და გადაფინა იმ გზაზე, სადაც წყალს უნდა გამოეფლო. ამის შემდეგ მივიდა დასთან. და სთხოვა გადმოეხედა ეკლესიიდან და შეემოწმებია ნამუშევარი. თამარს ცოტა უკლდა ეკლესიის დამთავრებას, ის გულწრფელი გულით შეუდგა საქმეს, და ძალიანაც იტანჯებოდა, თან ბავშვს არწევდა და თან ეკლესიას აშენებდა. აი სწორედ ამ საქმეშია თამარი, როდესაც მიდის მისი ძმა და

სთხოვს გადმოეხედა თამარს, თამარი დგება. აუსხლტება ფეხი, მოხვდება აკვანს და ბავშვი აკვნინან ვარდება ძირს, თამარი კი იქვე იქცევა. ბოლოს თამარი მოვა გონს და ხედავს ბავშვი უკვე მკვდარია, ამ სურათის დამნახავი თამარი უხერხულობაში ვარდება, ბოლოს კი გადასწყვეტს სამუდამოდ მიატოვოს სოფ. წრომი, მართლაც ასეთი სიტყვებით დასწყევლის თამარი წრომს: „არ გაიზარდოს ვაჟი და ქალი, არ გაიზაროს ლამაზმა პატარძალმა და არ იხეიროს კაკლის ხემო“.

ამის შემდეგ სტოვებს თამარი ყოველივეს და მიდის. მისი ძმის ამბავი კი არ ვიცი, იმის შემდეგ თუ რა მოუდის.

59. თამარ მეფის ეკლესია

თამარ ნეფესა რა უვალ კმელეთზე, აქ გადმოსულა. იმის აგებული ეკლესია ქისტებჩი. იერდას ეტყვიან. სრუ ქალაღი წერია ჴედა. თოფით, კმლით უხეხავ ქისტებს. იმისთანა შენობა არსად არ მინახავ საქართველოჩი აგებული.

60. თამარ დედოფლის მიერ ეკლესიების აშენება

თამარ დედოფალი ეკლესიებს აშენებდა. დიდ მწვერვალებზე ხალხი ყავდა ეკლესიების ასაშენებლად. ფუსცაგერზე აშენებდა ეკლესიას, ხალხი ყავდა გამწკრივებული მდინარე ფუშკვერიდან მთის წვერამდე. საშენი მასალა—კირი, ქვიშა და წყალი ხელიდან ხელში გადადიოდა და აღწევდა მწვერვალამდის, სადაც მშენებლობა მიმდინარეობდა შენდებოდა ეკლესია ფუსტ არაშუ ახდომ. ეხლაც არის ის ეკლესია, რომელიც დაუნგრევიათ თათრიანობის დროს. მასვე აუშენებია მეორე ეკლესია გახაშზე ლენჯვარში, ისიც ნახევრად დანგრეულია.

61. „მაფა-წყარი“

(„მეფის წყარო“)

ქალაქ ხოფას აქეთ, აღმოსავლეთისაკან, ნახევარი საათის სავალზე ბუჯალში არის „მაფა-წყარი“ („მეფე-წყალი“, „მეფის წყარო“). მთელ ხოფაში სხვა ასეთი კარგი წყალი არ არის.

ძველებისაგან (წინაპრებისაგან) ჩვენ გავგიგონია, რომ სამას ორმოცი წლის წინათ ამ ადგილებში მეგრელები ყოფილან. იმ ხანებში თურქების ხელმწიფემ (ფადიშაჰმ) სულტან ხელიმმა ლაზის-ტანი დაამარცხა და აიღო. იქაური მეგრელები თანდათანობით („ცოტცოტათი“) მუსულმანები გამხდარან. ჩვენც ახლა ვრწმუნდებით, რომ ჩვენი და მეგრელების მეტყველება („სიტყვა“) ერთი მეორეს გავს.

სხვა ადგილას „მაფა-წყარ“-იდან ას ნაბიჯს ქვემოთ, ერთი ძველი ბალავერი იყო. იმის შიგნით—„ეს რა არის“—მეთქი, რომ ვიკითხე, ძველმა კაცებმა მოთხრეს, რომ „ძველი ქრისტიანების ღვინის საწნახელი არისო“.

სხვაგან კიდევ, „მაფა-წყარ“-იდან ზევით, ნახევარი საათის სავალზე, ნოსიტონეს ზემოთ, მაღალ გორაკს „გიაურის საფლავი“ ეწოდება. ამ გორაკზე სასაფლაოებია, საფლავის ქვები ახლაც ჩანს.

„მაფა-წყარ“-იდან მარჯვნივ, ერთი საათის სავალზე ნადირათის გორაკზე დიდი ძველი ეკლესიის ბალავერებია (საძირკველებია).

მე ეს ნიშნები რომ ვნახე, თანაც ბერი-კაცების ნათქვამი გამიგონია, რომ ჩვენი ძველები მეგრელები იყვნენ და ძველ ტრაპიზონამდის (ქვეყანა) ქართველთა მეფის („ფადიშაჰის“) თამარ მეფის ხელში ყოფილა. ამიტომაც, რომ ამ ბუჯალურ წყაროს „მეფის წყარო“ („მეფე-წყალი“, „მაფა-წყარი“) ეწოდება.

ვარდა ამისა ათინას იქით ზღვაში დიდ ქვაბზე ერთი ორსართულიანი ძველი, ოთხკუთხე ციხე დგას. იმასაც „კიზლ-კულე“ (ქალიშვილის ციხე) ჰქვია. ესეც თამარ მეფის ყოფილა.

62. აზღაღელების გაქცევა სამეგრელოში

აზღაღის ტაძრის („სალოცავის“) თავზე ეკლესიები იყო. ზღვაზე რომ ნავები („ფელუკები“) მიმოდრიოდნენ, სიმღერით თოფებს ისროდნენ (ზოლმე). ეკლესიაში რომ იყვნენ ბერები, იმათ ატყობინებდნენ.

მერე მეფე სულტან სელიმმა აიღო. იმ გორასაც „სულთან სელიმი“ დაარქვა. მაშინ („იმ ხანებში“) ბევრი მცხოვრები გაიქცა სენაკისა და ზუგდიდისაკენ. თამარ მეფეს სთხოვეს და იქ ადგილი მისცა და დაასახლა.

„სამი და და ორი ძმა დარჩა აზღაღას. სხვა ყველა წავიდა. რომ დარჩნენ, მათ ერქვათ: ერთს—ლია, მეორეს—კოსტა; ქალებს რა

ერქვათ, არ ვიცი. დღემდის მათი გვარი კიდევ არსებობს. კოსტ-ოლ-ლი და ლი-ოლლი.

63. დედოფლის ქვა

თამარ მეფე ხშირად დადიოდა სხალთის ტაძარში სალოცავად. აქაურ მთა-გორიან ბილიკებზე სავლელად სულ მუდამ ჯორი ჰყავდა, ამ ჯორით სწორედ ამ ფურტიოს ანუ „დედოფლის ხიდზე“ გამოდიოდა თურმე. ხიდს რომ მოადგებოდა, „ძირს ჩამობრძანდებოდა და ფეხით გაბრძანდებოდა მეორე ნაპირასო“. ხიდის მარცხნით ნაპირზე ახლაცაა განკერძოებულად მიწაში ღრმად ჩამჯდარი ლოდრ ერთ ოთხკუთხის ადლის სიფართისა, თითქმის ერთ ადლზე ამოწეული ნიადაგიდან. ამას „დედოფლის ქვას“ ეძახიან. თამარ მეფე ყოველთვის ამ ქვაზე შესდგამდა ფეხს და ისე შებრძანდებოდა თავის ჯორზეო.

64. თამარ მეფის მიერ ციხეების აშენება

მახუნცეთის, დანდალოს და ფურტიოს ხიდი ერთად გააშენა თამარმაო... გვირგვინოსანს ხირსათის ციხესა და დანდალოს შუა ხალხი ეყენა და სიგრძეზე გამწკვრივებულნი ხიდისთვის საჭირო მასალას ერთმანეთს აწვდიდნენო. მაშინდელი მონარჩენი ქვა დანდალოს ხიდთან ახლაც ჰყრიაო.

65. ვარძია

ვარძია თამარ დედოფალმა ააშენა. ხერთვისთან რომ გახვალ, იქ მალაროებია, პავლი ყაია (თაფლიანი კლდე). იქ დაუწყია პირველად ვარძიის კედლები თამარს. ღამე იარაღი გაპარულა და იმ კლდეში, ახლანდელ ვარძიაში უპოვნიათ. მეორეთ კიდევ მოუტანია ის იარაღი, დაუწყია იქ, მაგრამ ღამით კიდევ გაპარულა. დილით მისულან და უნახავთ, იარაღი კიდევ ვარძიაშია.

მაშინ უთქვამს, რომ ეს ღვთის საქმეა და ამის შემდეგ იქ გაუკეთებიათ მალაროები. წელიწადში რამდენი დღეა, იმდენი მალარო გაუკეთებიათო. ამბობენ შუადღემდე კლდე ყველივით ეთლებოდაო, ნაშუადღევს კი კლდესავით მაგრდებოდაო.

66. თამარ დედუფლის არსი

თამარ დედუფალი იყო. არხი უნდა გეუყვანა. პატარა-ბალებს წაიყვანდა ბეგარაზე და ბერდებოდა კაცი ბეგარაზე და ის არხი კი ვერ გამაიყვანა. როდესაც გაიყვანა არხი და წისქვილი ჩადგა არხის ბოლოში, დააყარა პური და სისხლი ჩამოიღა. მაშინა თქო რომაო— ექეო, ახლა კი მე ცოდო მამდებიაო, არ გაგონილა პურის სისხლიო. ის არხი შაწყვიტა, გაბრუნდა ალაზანზე და გამაუშვა წყალი: ნაარხალი ეხლაც არი. ეძახიან თამარ დედუფლის არხს.

67. ხეთაგი

თამარის დროს ლექთა თარეშს ქონდა ადგილი. ლექთა ბასრი მახვილი მოხვდა როგორც საქართველოს სხვა კუთხეებს, ისევე ხეცსაც.

განა რა ქონდა განზრახული ლეკებს მოხევეთა თავდასხმის დროს, თუ არა შინაური საქონლის მოტაცება. აი სწორედ ამ მიზნით ესხმოდნენ ისინი თავს მოხევეებს.

მოხევეებზე ამ განზრახვით მოუხდენიათ ლეკებს თავდასხმა, მაგრამ დარიალის ციხესთან მისვლა მათ ვერ გაბედეს, რადგან იცოდნენ, რომ ციხე მეციხოვნეებს კარგად ექნებოდათ გამაგრებული და ამიტომ ციხეს მათ გზა აუქციეს და ხდეზე გადმოვიდნენ.

თამარის ციხეში, რომელშიც გამაგრებული იყვნენ მოხევეები, ვერ გაიგეს ლეკების უეცარი თავდასხმა. მტრის თავდასხმის დროს მოხევეებმა აუტენეს ლეკებს სროლა, ხოლო ერთი მოხევე მეომართაგანი გაიქცა ყაზბეგში და დარეკა საგანგაშო ზარი. ზარის ხმაზე თავი მოიყარა უამრავმა მოხევემ. მათ მოითათბირეს და გადაწყვიტეს ლეკების ერთიანი ამოხოცვა. ხევის ჯარს ხელმძღვანელობდა იმ დროისათვის გამოჩენილი გმირი ხეთაგი. ხეთაგმა არ დაინდო კარზე მომდგარი მტრის ურდოები და ძლიერი შეტაკებით მთლიანად ამოხოცეს ლეკების ჯარი და ნაწილი გადაჩენილი მეომრებისაც ტყვედ წამოიყვანეს.

როგორც წესი იყო მათ დალისტნელ ლეკებს არ დაუბრუნეს ტყვეები, სანამ გამოსაყიდი არ მიიღეს მტრისაგან.

ამ გმირობის გასამრჯელოდ თამარ დედოფალმა ხეთაგს შესთავაზა ბატონობა სოფელ გარბანში და თოთში. გარდა ამისა ხეთაგს უფლებას აძლევდა შეეწერა გადასახადი აქ მაცხოვრებელ მოხევეე-

ბესათვის ყველა საჭირო დროს. აქ იგულისხმება ბრძოლა, მტრის შემოსევა. მაგრამ ხეთაგმა მოძმე ხალხზე გაბატონება. იუკადრისა, რადგან ხევში ბატონობა იმ დროს სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა.

ხეთაგმა თამარს სთხოვა, რომ მოებრძანებინათ ხატები ყოველ ახალ წელს წმინდა სამების ტაძრიდან და ელოცა ხალხს მის საგვარეულოში.

ამ დღის აღსანიშნავად დღემდე არის ხეთაგების კარზე, მათ საგვარეულოში აგებული ნიში.

ხალხი ყოველ ახალწელს წმინდა სამების ტაძრიდან გამოიტანენ ხატებს, ჩაიტანენ ხეთაგების ნიშთან და ხეთაგებს ულოცავენ ახალწელს. ამ დღესასწაულზე თავმოყრილი ბერი კაცი თუ ახალგაზრდა ყველა მღერის, ადიდებს ხეთაგის სახელს, ხოლო მის შთამომავლობას კი უსურვებენ დლეგრძელობას.

თამარის მიერ გადაცემული დოკუმენტი, ხევზე ბატონობისა იხსენებოდა ცნობილ მონადირე გახუტა ხეთაგურის ოჯახში. გახუტა ხეთაგური, როგორც მის დროინდელები ახასიათებდენ, იყო კარგი მონადირე. რომელსაც დამარხული ქონდა ხუთი თოფი. თოფის დამარხვა ერთგვარი მონადირეთა მაშინდელი წესი იყო. მაგალითად, მონადირეს, რომელსაც მოკლული ყავდა 100 ნადირი, მას უფლება ქონდა რომ დაემარხა ერთი თოფი ე. ი. იგულისხმება რომ გახუტას ყოლია სულ 500 ნადირი დახოცილი და ქონია 5 თოფი დამარხული. გახუტა ხეთაგური ანუ ხეთაგი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა და შემდეგ ეს დოკუმენტი გადაეცა გვარის უფროსს ნიკოლოზ ხეთაგურს. ნიკოლოზ ხეთაგური ამჟამადაც ცოცხალია და იქნება დაახლოებით 80 ან 90 წლის. მას ეს დოკუმენტი ქონია 1932 წ. შენახული. შესაძლებელია მას ეს დოკუმენტი დღესაც აქვს შენახულიო. მე დოკუმენტი 1932 წლის შემდეგ აღარ მინახავსო.

68. თქმულება თამარ დედოფალზე

თამარ დედოფალი შეხვდა გორში ერთ თავის სარდალს; ამ სარდალმა გაცურა არაგვი და იქიდან ნანადირევი გამოიტანა თამარ-მ. უთხრა:

მიჩუქნია რეთი,
ბრეთი, არადეთი,
გორს წისქვილი,
ატენს ზვარი,
ვითამ მწვანე,
კიტრი არი.

თამარ მეფის მონარული ყოფილა ყველა ერი. ყოლია ექვსი ერი—კუთხე. ყველა ერს დიდათ ყვარებია თამარი და მოუთხოვით, სიკვდილის შემდგომ ჩვენთან იყოსო დასაფლავებულო. თითო-ეულს თავისთან ნდომია. დეეთანხმა თამარი ერთგულ ერს.—კი ბატონო, თქვენთან იყოსო. ექვს ერთან რაფერ იქნებოდა ერთი მიცვალებული.

შახაბაზი დამუქრებია თამარს, სტამბოლი რომ ჩამოართვა თაძარმა მოხერხებით. თამარს უთხრობია:—ვაქრობის ნება მომეციო, დათანხმდა შახაბაზი. თამარმაც მოამზადა ჭარი, რამდენი ათასი ცხენი, თითო ცხენზე ორი იაშვიკი. ერთ იაშვიკში თითო კაცი მოამზადა და შეიყვანა სტამბოლში ექვსიათასი ცხენი და შევიდა შიგ სავაჭროდ. იმ დამეს არ გახსნა. თორმეტ საათზე ღამის გახსნა და ამეიყვანა ჭარი და შეუთვალა—დამნებდიო. დაატოვებია შახაბაზს სტამბოლი თამარმა. რა ექნა ახლა შახაბაზს. მერეთ უიმისოთ არ შეიძლებოდა მისი მეფობა. უთხრა:—იმ ჩემ წართმეულ ადგილზეო ერთი ხარის ოღენა ტყავი რომ დეეტევა, ამოღენა ადგილი დამითმეო. თამარმაც დაუთმო. შახაბაზს დეექრა აბრეშუმის ძაფის დენა. წვრილად, შემუარტყა ის სტამბოლს და დაატოვებია თამარს. მაშინ დაჩეჩებია შახაბაზი, რომ ამ შიტყუებისთვის ცოცხალი ხომ ვერ ჩაგიგდებულში და მკვდარს მაინც გიშოვიო. რომ გარდაიცვალა. ახლა შეიქნა მის შემდგვ თამარის დასაფლავებაზე დავა. ექვსმა ერმა მოითხოვა თავისთან ყოფილიყო დასაფლავებული. არავის არ უნდა ცოდნოდა, სად არის დასაფლავებული. გარდა თავის ოჯახისა. თავის ოჯახს სადაც უნდოდა, იქ დაასაფლავებდა. ექვს კუთხეს ყველას მუუთხოვია, ჩვენთან უნდა იქნესო. გაუკეთებიათ ექვსი სასახლე, ექვსივე ერთნაირი. ოქროებში გაკეთებული. უბრალო კი არა. ვერ გაარჩევდა ერთმანეთსაგან ვერაფერი ადამიანი. ხოლო მუუთხოვია, თითო ოჯახიდან ოთხი კია. ამ ოთხ ძმას წეეყვანათ ეს თამარი. რომ დაასაფლავებდენ იმას, მათი დაბრუნება იქიდან აღარ შეიძლებოდა, საიღუმლოება არ უნდა წასულიყო. ის ოთხი ძმა იქ უნდა დარჩენილიყო. მათი წამოსვლა არ შეიძლებოდა. მომკვდარიყო უნდა იქ. თამარი აქ მარხია, მარა აქ არ არის. ეს იყო მისი ანდრესი. ამიტომ არ იციან, სად არის.

70. თამარ მეფის საფლავი ვარძიაში

თამარ მეფის სილამაზე ბევრს დიდებულს უძგერებდა გულსა, ბევრსა ჰსურდა მისი ცოლად შერთვა. მათ შორის ოსმალოს დიდი ფაშაც იყო. ერთხელ ოსმალოს დიდმა ფაშამ შემოუთვალა თამარ მეფეს: „უთუოდ ცოლად უნდა გამომყვეო“. თამარ მეფე ძლიერ განრიხნდა და უარი შეუთვალა. ფაშამ უარის თქმა იწყინა და თამარ მეფეს შემოუთვალა: თუ ცოცხალი ვერ გიხილე, სიკვდილის შემდეგ უთუოდ ამოვიღებ სამაროდან შენს გვამს და დავატყვევებო.

თამარ მეფე დაფიქრდა, ვაი თუ მართლა მიცვალების შემდეგ ჩემი გვამი ამ ურჯულოს ხელში ჩაუვარდესო. ბევრი ფიქრის შემდეგ შეუდგა ვარძიის მონასტრის აშენებას, მონასტერი რომ დაასრულა, გაათლევინა სამი ბოძი და უბძანა მხლებლებს: „როდესაც ჩემი აღსასრულის დღე მოვიდეს და გარდავიცვალო, ამ მონასტერში მიწის პირად დამასაფლავეთ და ეს სამი ბოძი ამ მონასტერს მაშინ შეუდგითო“.

თამარ მეფე გარდაიცვალა. კარის კაცებმა მეფის ანდერძი შეასრულეს. ჯერ დასაფლავეს მონასტერში უნიშნოდ და მერე ის სამი ღამზადებული ბოძი მონასტრის ჰერს შეუდგეს.

ფაშამ გაიგო თუ არა თამარ მეფის გარდაცვალება, მაშინვე აუარებლის ჯარით შემოესია საქართველოს და პირდაპირ ვარძიის მონასტერს მიადგა, დაიბარა მაშინვე კარის-კაცები და ჰკითხა: „სად ასაფლავია თამარ მეფეო? ერთი კარის კაცი ფაშას გამოუტყდა და მოახსენა:

- აი ამ მონასტერშია დასაფლავებული.
- რა ნიშანი აქვს საფლავსო?
- ნიშნად სამი ბოძი აქვს დადგმული.

შევიდა ფაშა მონასტერში, ნახა სამი ბოძი და შედგა: არ იცოდა რომელი ბოძისთვის მოეკიდნა ხელი, რომელი ბოძი გადმოეჭვია და ამოეღო სამაროდან თამარის გვამი. ბევრი ფიქრის შემდეგ ფაშა პირველ ბოძს მიადგა და დაუწყა ნგრევა. ბოძმა ხმა ამოიღო და ფაშას უთხრა:

— მე ტყუილად მანგრევე. აგე ამ მეორე ბოძის ქვეშ არის თამარ დასაფლავებულიო!

ფაშამ პირველ ბოძს თავი დაანება და მიადგა მეორე ბოძს დასანგრევად. მეორე ბოძმაც ასე უთხრა:

— აქ არ ასაფლავია თამარ მეფე, აგე იმ მესამე ბოძის ქვეშ არისო. მესამე ბოძმაც აგრევე უთხრა და პირველზე ანიშნა.

გაუკვირდა ფაშას, ღმერთს დიდება შესწირა და სთქვა:

— ცოცხალიც დიდებული და ძლიერი იყავ და მიცვალებულიც არა ჰქარგავ შენს დიდებასა და ძლიერებასო.

ღმერთს თაყვანი სცა და სთხოვა შეცოდების შენდობა. მერე მთელი ღამის ნამუშევარი და ნაბრძოლი მონასტრიდან გამოვიდა და თავის გზას გაუდგა.

71. თამარ მეფის საფლავი სვანეთში

თამარ მეფე ცხადია, რომ სვანეთში მარხია, ეს გათავებული ანგარიშია. რამდენი ამაზე ყოფილა ანგარიში. მას სვანეთში, უშგულში ქონდა სადგომი. საპაო თურმე უშგული ქონდა, სვანეთი და საზამთრისი საქართველო ჩვენ თამარ დედოფალს. თამარ მეფე ბოლოს მევიდა თვარა, სხუმის რუსუდანი, თეოდორე. ეკატერინე წინ ყოფილა. თამარი ახალ მოსულია, მე ასე გამიგონია და ასე უბნობენ. თამარი ეკლესიებს აშენებდა. თამარის მოქმედება ბევრია სვანეთში. ისე, რომ სხვები რომ იყო. იმაზე სამით მეტი იყო, თვარა ნაკლებთ არა. დიდს მუშაობდა თურმე თამარ დედოფალი. ვაწყობდით კაცთაბაგს. ყეჯიბრებოდით ერთმანეთს ნაირ-ნაირი საქმლის მომზადებაში და ვპატიყებდით ხალხს. ვინც უფრო კარგს გააწყობდა, ამაზე მეტი მადლობელი იყვნენ. თამარიც დადიოდა კაცთაბაგაზე. თამარის საფლავზე უშგულში ბევრი ნაძვებია და ვერავინ გაიგო ეს კი ცხადია, რომ იქ მარხია. უბნობენ, რომ მას ბარგი ქონდა ბევრი, სად არის, არ იციან. მე ვარ წასული იმაზე. ეძებდენ, სადმე არისო დაწერილი წიგნში, ეკლესიაში, მარა ვერაფერი ვერ გავიგე.


72. თამარ მეფე სვანეთში

თამარ მეფე დიდი ყოფილა. თამარ მეფეს ბევრი აულია თათრისაგან და ყველგან დიდი ნაჩხუბარია იგი. თამარ მეფის დონეთი არავინ იყო, რუსუდანიც, ეკატერინეც, თამარ მეფე ღვთის მლოცველი ყოფილა, მღვდელი ყოლია ჭარში, ყველაფერი და ღმერთის შეხვეწნით ჩხუბობდა თურმე. სვანეთში მარხია.

73. თამარ მეფის თმები

თამარ მეფე ფთავია დასაფლავებული, თმები გადაწნული აქვს და ვისაც უნდა მიდის და ნახულობს.





შალვა ახალციხელი

74. დემურ ყენი

დაიძრა დემურ ყენი,
დააგდო ხორასანია,
წყალი არ ეყო სასმელად —
მტკვარი და ალაზანია,
ბალახი საძოვნელადა —
თრიალეთისა მთანია.
აგლაბრის ბაზარს ჩამოხტა,
ადგილი უეზარია,
დასცა და დასცა კარავეი,
სვეტი ოქროსი მყავრია;
შიგ დაჯდა დემურ ყენი,
რა ტურფა სანახავია!
სამი ბიჭი შეიკაზმა,
შალვა, ივანე ძმანია,
შავიდეს, გადაიარეს
ის ურჯულოთი მთანია.
შალვას ცხენი წამოეჭცა,
ვიწრო სავლელი გზანია.
სამი ქურთი ზედ მიადგა,
სამნივ ძალიან მთვრალნი

— დაჰკა, ქურო, ნუ გებრალეზი,
თუ გული გქონდეს ავია!

75. შალვასი ანუ შავლეგოსი

შალვა იყო ვაჟიკაცი,
ქამარ-ხანჯლით შექედილი,
შალვას ჰყვანდა კარგი ცხენი,
კოჭ-მალალი, გავა-სქელი.
შალვა ცხენს მოაგოგებდა
ვიწროსა და ავს ალაგსა.
შალვას ცხენი წამოეჭკა
ვიწროსა და ავს ალაგსა.
თავსა თურქი წამოადგა,
ვიწროსა და ავს ალაგსა.
— დამკარ, თურქო, რასა ჰშიშოჰ,
თუ გული გაქვს მამაციისა!
დაჰკრა თურქმა, დასჰკრა შალვა
თეძოსა და ავს ალაგსა...
დედას კაცი მოუვიდა:
„შენი შავლეგ მოგიკლესა“.
შალვას დედა მოტიროდა!
მოიშლიდა გიშრის თმასა:
— ჩემსა შალვას რა მოჰკლავდა,
თუ არ იყო ბედის წერა
ას-ორასი მაგისთანა
ხორასნიდან ტყვე მოჰყვანდა, —
არცა თოფო, არცა ხმალო,
სულ მათრახით გადმოჰყვანდა!
(დედა მოთქმით ტირის)
შალვაჲ, შენი უაწიმები
გულხადარაზე ვნახეო;
შავლეგ შენი თეთრი ჩონხა
შავად შეგიხამებია...

76. შავლეგო

შავლეგ ჩამოხტა
შავსა გრილოსა,
ომი მოგვიხდა,
ომი რა ომი!
ლეშის ნაკუწი
ხორათ დგებოდა,
სისხლის ნადვარი
ზღვას ერევოდა.
შუბის ნამტვრევი
მცასა ხვდებოდა!

77. შალვა შურისა მძებნელი


მთას ქორებულად ჰკიოდა,
მე მონადირე მეგონა,
მას თურმე გული სტკიოდა,
წაიგდეს ვიწრო ხევშია!
მთა-ბარი სუ ზედ ხვიოდა,
გულს ერქვა თეთრი ისარი,
კილოზე სისხლი სდიოდა,
თავის თავს არა სჭაევრობდა,
თავისს სწორებსა სჩიოდა,
ორასი თურქის მომკვლელი
უომრობასა სჩიოდა.....

78. შავლეგ შენი შავი ჩოხა, შავლეგო

დიდ მინდორში ფენიაო, შავლეგო,
შავლეგ შენი შავი ჩოხა, შავლეგო,
გულხადარას აცვიაო, შავლეგო.

ის შენი კარგი ჩექმებიც, შავლეგო,
გულხადარას აცვიო, შავლეგო
ის შენი ქამარ-ხანჯალი, შავლეგო,
გულხადარას არტყიო, შავლეგო.





მითა ზუსთაველი

79. რუსთაველისადმი მიძღვნილი ტურნირი

თამარ მეფის დროს, რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დასრულების გამო, დიდუბის მინდორზე ტურნირი მოაწყვეს. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს რჩეული რაინდები, უმამაცესი ბეომრები, მოჭირითეები, მუტრიბები და პოეტები.

ბრწყინვალე რაინდებითა და მანდილოსნებით გარშემორტყმულ შომალო ადგილს მჯდომ თამარ დედოფალს ამკობდა ოქროს ვარსკვლავებით მოქარგული საჩრდილობელი.

დაიწყო შეჯიბრება ჭირითში, შუბის ტყორცნაში, ქიდაობასა და სხვადასხვა სამუსიკო ინსტრუმენტებზე. დაკვრაში. რუსთაველი გახლდათ ზეიმის გმირი არა მარტო იმიტომ, რომ ტურნირი მისი პოემის დასრულებისადმი იყო მიძღვნილი, არამედ იმიტომაც, რომ მან, როგორც საუკეთესო მხედარმა. მოჭირითემ და შესანიშნავმა დამკვრელმა ყველას აჯობა და დამსწრენი, განსაკუთრებით თამარ დედოფალი და მისი კარის მანდილოსნები, დიდად განაცვიფრა.

გამარჯვებულებს რომ დათქმული მოოქველი ხარჯები და ხმლები, ხავერდის სამოსლები და სხვა საჩუქრები დაურიგეს. თამარ მეფემ ბრძანა: ყველასათვის გასაგონად გამოაცხადეთო. რომ უკანასკნელსა და უძვირფასეს ჭილდოს—ოქროს გვირგვინს—ის მიიღებს, ვინც ისარს იმ ვაშლს მოახვედრებს, რომელიც მე თითებით თავს ზემოდან შეკავებაო.

ეს მართლაც გამოაცხადეს. ხალხი ახმაურდა, არასწორად გასროლილ ისარს შეუძლია თამარის დაჭრა. და მეტიც, მისი სიკვდილიცაო, და მაშინ ჩვენ აუწერელ მწუხარებაში ჩავევარდებითო.

მანდილოსნებმა მაინც სხვა აზრი გამოთქვეს. მათ ცნობისმოყვარეობა აღაგზნებდათ, მოუთმენლად ელოდნენ დედოფლის მიერ

დათქმული შეჯიბრების შედეგებს, და ისინი ამიტომ ამბობდნენ: „დედოფლის სურვილიდან გადახვევის უფლება არავის არა აქვს; თუ მას ასეთი შეჯიბრების ხილვაც სურს, ეს მისი უდავო ნებაა“.

ერთმანეთს შორის მოთათბირების შემდეგ, რჩეული მოისარნი: როსტომ, დონიკე, ზურაბ და ამირიღონი თამარის წინ წარდგნენ, დედოფალს დაუჩოქეს და შეევედრნენ, რომ მას შეჯიბრება მოეხსნა. თანაც დასძინეს, რომ თუ ეს მაინც მოხდებოდა, მასში მონაწილეობაზე უარს ამბობდნენ და დედოფალს პატიების თხოვნით მოახსენეს: „დედოფალო, რომ ბრძანოთ, რომელიმე ჩვენთაგანმა თავი მოიკლას, არც ერთს ხელი არ აგვიტოროდებდა, მაგრამ თქვენი სისხლი რომ თუნდაც უნებლიეთ დაიღვაროს, ჩვენა და ჩვენ მომავალს წყევალ დაედება. ამიტომ დედოფალო, გვედრებით შენ, თვით შენი თავიცა და ჩვენც ამ დიდი საშიშროებისაგან, ამ სახიფათო ცდისაგან გვიხსნათ!“

თამარმა ღიმილით უპასუხა: „არაფერი სახიფათო და საშიში აქ არ არის. მოხერხებითა და სურვილით ამოცანას ადვილად გადასჭრით“.

ჩაინდები დედოფალს ისევ ემუდარებოდნენ, რომ მას ეს შეჯიბრება მოეხსნა. ამ დროს რუსთაველი წარდგა წინ და თამარს მიმართა:

— დედოფალო, აიღე ხელში ვაშლი, მე ვბედავ, მას ისარი შოვახვედრო! რუსთაველის გაბედულებამ ყველა გააკვირვა. მას ჩაინდებმაც სთხოვეს, რომ ამ სახიფათო ცდისათვის თავი მოერიდებინა, მაგრამ რუსთაველმა მათ ყური არ უგდო, ის დედოფლისა და ვაშლისაკენ იყურებოდა.

დედოფალმა ცერითა და სალოკი თითით ვაშლი აიღო და თავზემოდან გაიჩერა.

გაიფიქრეს, ნუთუ ეს ისეთი გიჟია. ამ ვაშლს ისარს ესვრისო? ისარი თუნდაც ვაშლს მოხვდეს, მას რომ გასცილდება, დედოფლის უკანა რომელიმე მანდილოსანს მოჰკლავსო.

რუსთაველმა ყველასათვის მოულოდნელად აიღო ისარი, მივიდა დედოფალთან, მარცხენა ხელით დედოფლის ვაშლიანი ხელი დაიჭირა, მარჯვენათი ვაშლში ისარი შეასო, დედოფალმა ვაშლს თბობები მოაშორა და ის რუსთაველმა მალლა ასწია.

უკვე ყველა მიხვდა, რომ დედოფლის მიერ გამოცანა იყო თქმული, რომელიც რუსთაველმა ჭკვიანად და სწრაფად ახსნა. — რუსთაველმა გაიმარჯვა, — დაიძახა დედოფალმა, — ოქროს გვირ-

გვინი მან დაიმსახურა. თვითონ მე გეუბნებოდით თქვენ, ჩემო კეთილო რაინდებო, რომ ამ შეჯიბრებაში სახიფათო არაფერი იყო. თქვენ მხედველობიდან გაუშვით, რომ მე წინადადებას გაძლევდით ვაშლისათვის ისარი მოგეხვედრებინათ, მაგრამ მანძილი, რომლიდანაც ეს უნდა შეგესრულებინათ, მე არ დამითქვამს.

აქ დედოფალმა რუსთაველს ოქროს გვირგვინი თვითონ დაადგა და ხელზე კოცნის ნება დართო.

რუსთაველისადმი მიძღვნილი დიდი ზეიმი დაიწყო. პოეტს მთელი ხალხი დიდებას უმღეროდა...

არსადა და არასდროს ტურნირში გამარჯვებულისათვის ისეთი ზეიმი არ გაუმართავთ, როგორც ამ დღეს საქართველომ დიდ რუსთაველს მოუწყო

80. შოთა რუსთაველის ვინაობა

შოთა რუსთაველი სოფელ რუსთავეში დაბადებულა. მამა მისი რომელიც კარგი ლექსების გამომთქმელი ყოფილა, გარდაიცვალა შოთას ბავშვობის დროს. ამის გამო პატარა შოთა აუზრდია თავის ბიძას—ბერს. ბიძამისიც პოლექსე ყოფილა. ბერი ლექსებს ამბობდა ქრისტეზე და ღმერთზე. შოთას მამა კი სოფლის ამბავებზე. მგონი შოთას მამა-ბიძას, არც ძმა და არც და არ ჰყოლიათ.

როგორც გადმოგვცემენ, შოთამ პირველად ისწავლა თავის ბიძასთან, მერე—ტბეთში თავის ძმასთან ერთად. შოთა პატარობიდან ლექსების გამომთქმელი ყოფილა. თურმე ჯერ ასობეცი არ ისწავლა, რომ რასაც შეხედავდა, იქვე შაირს გამოუთქვამდაო.

ბიძა მისს დაუნახია შოთას კარგი ჰკუა, და გულში ჩაუთქვამს, ყმაწვილისათვის კიდევ ისწავლებინა, მართლაც უსწავლებია, ჯერ საქართველოში და მერე სხვა ქვეყნებშიც, საბერძნეთში და სპარსეთში. ის უცხო ქვეყნებიდან დაბრუნებულა დიდი სწავლით, აქ წვრილ-წვრილი ლექსებით მალე სახელი გაუთქვამს. აქვე შოთას უთხოვნია, რომელიღაც ქალი. ეს ქალი ყოფილა ძალიან გამბედავი და უშიშარი.

თურმე შოთას ქება თამარსაც გაუგია. ამ დროს პოეტს დაუწერია „ვეფხისტყაოსანი“. ეს „ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთაველს დაუწერია თამარის პატარვისცემისათვის და მიურომეგია კიდევაც, აქამდე თურმე შოთას თამარი არ ენახა.

თამარ მეფეს „ვეფხისტყაოსანი“ ძალიან მოსწონებია, რისთვისაც შოთა კიდევ დაუსაჩუქრებია. იმის მერე, შოთა მუქდამ მოდიოდა თამართანაო. თამართან მოდიოდა აგრეთვე შოთას ძმაც. ეს ძმა თურმე მაშინ ჭარში ყოფილა ძალიან გულადი და მებრძოლი ვაჟკაცი.

შოთას ძმას თურმე თამარ დედოფალი ჰყვარებია და შოთასაც უყვარდაო თამარი... ძმებმა კი ერთმანეთისა არა იცოდნენ. დაბოლოს შოთას გაუგია, რომ თავის ძმას უყვარს თამარი და დარდები ძალიან გასდიდებია.

შოთა რუსთაველს თავის ძმის დიდი ხათრი ჰქონდა და ამიტომ თამართან არაფერის მოხერხება არ შეეძლო. მაგრამ ამავე დროს სიყვარულიც ძალიან აწუხებდა. შოთამ ვერც სიყვარულს უღალატა და ვერც ძმასა.

შეჯდა თურმე თავის ცხენზე, ძირიდან სამჯერ მიწა აიღო, აკოცა ამ მიწას და სთქვა ეს ლექსი:

თამარ, ლამაზო ყვავილო,
სურნელოვანო იაო,
სილამაზე და სიტურფე
მზისაგან გადგილიაო.
ნეტავი შენსა მკვრეტელსა, —
მე ბევრჯერ მინატრიაო,
ცხრა გზით ვეწამე მე შენთვის,
ღირსება დამითმიაო.

და გაიქცა სპარსეთში შოთა რუსთაველი. გაქცევის დროს შოთას ცოლი ძალიან შეხვეწნია, მაგრამ იმას ცოლისათვის არ დაუჯერებია რა. რამდენიმე ხნის მერე შოთას ცოლი კაცურ ტანსაცმელით ცხენზე მჯდომარე წასულა ჯმრის საძებრად. დიდი ძებნის შემდეგ უნახავს სპარსეთში. პირველ შეხვედრის დროსვე ბრძოლა დაუწყია შოთას და თავის ცოლს ერთმანეთისათვის, და ორივე ამ ბრძოლაში მომკვდარან.

81. შოთა რუსთაველი და თამარ დედოფალი

შოთა რუსთაველი და თამარ დედოფალი და-ძმანი იყვნენ. აღრე დაობლდნენ და ორთავენი ბიძამ გაზარდა სამადლოა. როცა გაიზარდნენ, სულ საყდრებს აშენებდნენ. სანამ ვარძიას გამოსჭრიდნენ,

წამოვიდნენ და ერთ ადგილს, ხერთვისის ახლო კლდეში დაიწყეს მუშაობა. სჭრიან, აკეთებენ დალამდა და ბინად იქვე დადგნენ. რომ გათენდა, ნახეს, რომ მათი იარაღი იქ აღარ არის. ადგნენ და დალო-
ნებულნი წამოვიდნენ. აპყვენენ წყალს და სადაც ახლა ვარძია არი, იქ იპოვნეს კლდის ძირში თავიანთი იარაღი. გაუკვირდათ და თქვეს, რომ ალბად ღმერთს ასე სწადიაო და აქ გავაკეთოთ საყდარიო, და იწყეს მუშაობა... კლდე ადვილი საქრელი გამოდგა. სულ ყველივით სთლიდნენ. ნახევარზე მეტი რომ გამოსჭრეს, ნახეს რომ იარაღს აკ-
ლია. აქეთ ეძებს, იქით ეძებს და ბოლოს იშოვნეს ვანი ქვაბთან. ვარძია რომ გამოსჭრეს, მორჩნენ. მერე ვანი ქვაბი გააკეთეს. ვარ-
ძია და არის და ვანი ქვაბი ძმაო.

ხერთვისის ახლო კლდეში ახლაც არის ნავარძიალი, რომელიც თამარ დედოფალმა და ზოთა რუსთაველმა გამოსჭრეს. შოთა რუსთა-
ველი მერე ძალიან ჭკვიანი კაცი იყო... იმან ბევრი წიგნები დასწერა და თქვენ რომ ამბობთ ის წიგნებიც „ვეფხისტყაოსანია“ თუ რაღაც, ისი იმ თამარ დედოფლის ძმას შოთა რუსთაველს დაუწერია. ასე გამიგონია საროში ჩემ-მამა-პაპიდან.

82. შოთა რუსთაველი და მისი ცოლი

I

პირად გადმონაცემის სიტყვით, რუსთაველი ყოფილა ფრიად მშვენიერი თვალ-ტანალი, გამოჩენილი მხედარი. ყოფილა ჩინებული ღოსაკრავე, შესანიშნავი მეომარი; გონებით დიდებული, ცოდნით მეცნიერი და აზრით ფილოსოფოსი. ამისთანა შესანიშნავს ყოვლის-
ფრით დიდებულს უკაცს, ჰყოლია ცოლად ერთი კარგი, გამოჩენილი ოჯახის ქალი და კარგი ძმის პატრონი, რომელიც. ესე იგი ძმა ამ ქა-
ლისა, ყოფილა სახელოვანი მხედარი და თანამეზრდილი რუსთა-
ველთან.

რუსთაველს ჰყოლია ერთი შინა მსლებელი, მონა არაბი. სახე-
ლად აბდულა.

აქედამ იწყება ეს რომანიული თქმულება რუსთაველსა და იმის ცოლზედ.

II

ერთს კვირა დღეს, მეფის სასახლეში იყო რუსთაველისათვის თამარ მეფისაგან გამართული ნადიმი. აქ იყვნენ მოწვეულნი მრ-

ვალნი მწერალნი და მწიგნობარნი. ჩინებული კარისა და სამეფოს
კაცი. რუსთაველს უნდა წაეკითხა დასასრული თავისი ახლად გათა-
ვებულის „ვეფხისტყაოსნისა“.

რუსთაველი იყო კარგს გუნებაზედ, და კითხულობდა თავის
ქმინლებას, მშვენივრად, გატაცებით, სიმღერის ხმაზე, რომელიც
ჩვენში იყო შემოღებული საბერძნეთიდან. თამარ, და ყოველნი იქ
მყოფნი მოდიოდნენ აღტაცებაში „ვეფხისტყაოსნის“ დიდებულის
სურათებით, და მაღალი აზრებით. გაათავა რუსთაველმა კითხვა. ამ
ჩინებული თხზულებით გატაცებულმა მოწვეულმა სტუმრებმა,
მხურვალე გულით გამოუცხადეს მადლობა, ყოველ-მხრივ ულოცავ-
დნენ ამგვარი ჩინებული ნაწერისათვის. თამარმა წაიძრო ხელიდამ
ძვირფასი ბეჭედი და უბოძა რუსთაველს ნიშნად წყალობისა. თამა-
რის მეუღლემ აიყარა ხმალი და თავის ხელით შემოართყა დიდე-
ბულს მწერალს. საზოგადოებამ მოართვა ბრილიანტებისა და სხვა
ძვირფას ქვეყნებში შეჭედლი კალამი, ნიშნად კალმის ხელოვნურად
ხმარებისა.

რუსთაველი მიეცემოდა შვებასა და სიხარულს. საოცარი მშვე-
ნიერება, რომელზედაც რუსთაველი ამბობდა რომ: „ანუ მომცეს გან-
კურნება ანუ მიწა მე სამარიო“ იყო აღტაცებაში მის ნაწერით, და
გულით უცხადებდა თავის სიამოვნებას და მადლობას, უძღვნიდა
მიუფერებელს ქებას. საკრავნი უკრავდნენ რუსთაველის შემკობარ
ხმებს. თამარმა პირველმა მიირთვა რუსთაველის სადღეგრძელო. ყვე-
ლამ სიხარულით მიიღო ეს სადღეგრძელო. ყველანი ქებით და დი-
ღებით სვამდნენ გამოჩენილი თხზულების დამწერის სადღეგრძე-
ლოს. ერთი სიტყვით რუსთაველი იყო იმ დიდებასა და ნეტარებაში,
რომლისგვარ სიტკბოებას ძვირად თუ კაცი მისწვდება ცხოვრებაში.
რუსთაველის ღვაწლი ფასდებოდა უკეთესთა მწიგნობართა და მა-
შინდელთ სწავლულთაგან, და მშვენიერება, რომლისთვისაც ისე
უიმედოთ უძგერდა გული, რომელიც იყო იმისთვის იმისივე სიტ-
ყვებით: „სიცოცხლე უწყალო ვითა ჯიჟია“, სიამოვნებით და წყა-
ლობის ფიალით შეჰყურებდა ამას.

სადილი გათავდა. საკრავები განავრცელებდნენ სასმენელად
მშვენიერ ხმებს. რუსთაველის ქება მეფებიდან დაწყებული, უკანას-
კნელ მესაკრავმდის გაისმოდა ყოველ მხრივ.

ამ დროს მოახსენეს რუსთაველს, რომ ვიღაც კითხულობს იმას,
და უნდა იმისი ნახვა. რუსთაველი გავიდა საჩქაროთ, და ნახა ერთი
უცნობი ყმაწვილი, ჩამჯდარი მშვენიერს იარაღში თუმცა ქცევა და
ნაზი მიმოხვრა უფრო ქალისა ჰქონდა, ვიდრე მამაკაცისა.

ის მიუახლოვდა რუსთაველს, და იღუმალებით რაღაც კითხვის ხმით წასჩურჩულა:

— შენ აქა ხარ ნეტარებაში და შენი ნეტარება კი უპყრია სხვას.

რუსთველი შეჰკრთა, და არ იცოდა რა უნდა ეფიქრა ამ სიტყვებზე. ამასთან ვერც იცნო ეს უცნაური ყმაწვილი, თუმცა-კი რაღაცა ნაცნობ სახეს აგონებდა.

— ვერ მივხვედრილვარ, ბატონო, რა გინდათ მიბრძანოთ მაგითი!... რად მირღვევთ იმ სიამოვნებას, რომელიც ჩემთვის ბედს მოუტია ამ ერთი წუთით?

— მომყევ და გაიგებ, რაც მინდა მოგახსენო და თუ არ ეხლა, შემდეგ ვერ ნახო, რაც უთუოთ საჭიროა შენი ნამუხისსათვის, რომ იცოდე.

რუსთველი აიტაცა იჰვენეულობამ და სურვილმა, რომ გაიგოს ეს უცნაური საიდუმლოება... ის საჩქაროთ შებრუნდა, გამოესალმა შეფეთა და დიდებულთა და მღუმარეთ გაჰყვა ამ საიდუმლო უცნობს, დაფარულს მშვენიერს უცნობს კაცს.

ყმაწვილმა რუსთველი ჩუმი ნაბიჯით შეიყვანა ფარულად თავისივე სასახლეში, რუსთველი უნებურად, ტყვესავით მისდევდა თავის წინამძღოლს.

ყმაწვილმა გაატარა ის ჩუმიდ რამდენსამე ოთახში, დააყენა თავის ცოლის საწოლის კარებთან და წასჩურჩულა:

— შეიხედე, იხილე, რაც ხდება და ისმინე, რაც ითქმება!

რუსთველი აიტანა თრთოლამ. იმან უნებურად შეიხედა საწოლში და დაუწყო ყურის გდება.

საწოლში აბდულა არაბი და ცოლი რუსთველისა, ეხვევოდნენ ერთმანეთს ტრფიალებით, და ეუბნებოდნენ ერთმანეთს სატრფიალო სიტყვებს.

რუსთველი განცვიფრდა. ის არ უჯეროდა თავის თვალსა და ყურსა. იმას აემღვრა საშიშრად სისხლი და მოიხედა თავის მომყვანი ყმაწვილი კაცისაკენ, მაგრამ ველარ ნახა. ის წასულიყო სასახლიდამ.

რუსთველი როგორც შეჰხამს ჰკვიან ფილოსოფოსს კაცსა, გაჩუმდა და გამობრუნდა უკან; მაგრამ ის გაიტაცა ათასნაირმა ფიქრმა და შემოაწვა საშინელი სევდა. ნუ თუ მე, რომელსაც მთელს სამეფოში, თვით უპირველესი მშვენიერი მეფე არავის მადრის, მჯობიან ეს საზიზღარი არაბი?!... ნუ თუ მე ვარ მაგისი შეტომის მიზეზი?!... არა! მე მიყვარდა ეგ... მიყვარდა მართალი გულით... იქვიანებდა ნუთუ!... არა, მაგან იცოდა, რომ მე ეგ მიყვარდა. ოო, ქალის მიუწოდებლო ზღვა გულო! მაგის გულისთვის დავთმე.

უმტყუენე ჩემთვის თავგანწირულს მშვენიერს ქალს, რომელიც დღემდისაც არ ნდომულა ჩემს გარდა სხვა ქმარს. მაგან-კი... მაგან-კი... გამიმეტა... გამ...კალა... ბერე ვიზედ? ღმერთო!! რად, მაჩვენა ეს ამბავი იმ ბოროტმა, ვილაც იყო! რა ენაღვლებოდა იმას?!.. იმას რომ ჩემთვის არ ეჩვენებინა, მე ესლა მოსვენებული ვიქნებოდი... ჩემს უცოდნელათ, რაც უნდა მომხდარიყო...

ამ საშინელი ფიქრებისაგან გატაცებული, რუსთველი უგზო-უკვლოდ მიდიოდა ქალაქ გარეთ, და წაადგა ერთ ხეეს. აქ უცებ მიეგება თავისი აღმაშფოთებელი ყმაწვილი, და მწარე დაცივნის ხმით უთხრა:

როგორ მოგწონს შოთავ შენი ცოლის ერთგულება?

რუსთველმა შეიმაგრა თავი თავის ცოლის ქცევის ნახვაზედ, მაგრამ ამ სანახაობით ისეთი აღელვებული შეიქმნა, რომ მოთმინება იმისი ეკიდა ბეწვზედ; სისხლი მჩქეფრად სცემდა თავში. გვამი ენთებოდა ცეცხლივით. ის არ მოელოდა ამ ყმაწვილის ხელმეორედ შეხვედრასა და ახლა, არამც თუ შეხვდა, და დასცინა კიდევ თავის გაუპატიურება. დასცინა მან, რომელმაც თვითვე უჩვენა ეს გაუპატიურება, რომელმაც მოუწამლა მოუნელებელი გესლით წამიერი ნეტარება. ამ სიტყვის გაგონებაზედ რუსთველი აინთო თონესავით და მან უნებურად მოუსაზრებლად იძრო უცებ ხანჯალი.

— შენ ხარ ყველას მიზეზი!— შეძახა რუსთაველმა. იელვა მალა ჰაერში ხანჯალმა და ტარამდის ჩაესო ყმაწვილი, გულში.

— ესეც შენი სამახარობლო!

— ჩემო საყვარელო შოთავ!— შესძახა მიკმედილის ხმით ყმაწვილმა,— მენატრებოდა შენთან სიკვდილი, და ღმერთმა შემისრულა ნატვრა, გკვდები შენი ხელით, მოდი სიკვდილი მაინც მაღირსე შენს ხელზედ... შენს კალთაში. აქ ყმაწვილს ჩაუვარდა ენა, დაეშვა ძირს და ხელები უძრავად მოხვია რუსთაველს მუხლებზედ.

რუსთაველს ელდასავით ეცა ეს უცნაური ხმა და სიტყვები. მან საჩქაროდ დასტაცა უცნობს ხელი და მიისვენა გულზედ. უცნობმა აქ ერთი ჩააშტერა მომაკვდავი თვალები თავის მკვლელს და ულონოდ მოხვია ხელი კისერზედ, რუსთაველმა ხელებისა და გულის თრთოლვით გაუხსნა მკვდარს ღილები, და იქ უცებ ნახა უცნაური სანახაური მოკლული იყო ქალი და ქალი ნაცნობი, მახარობელი. რუსთველმა სტაცა თითებში ხელი და იცნო თვისი ბეჭედი!... ქალი იყო რუსთველის პირველი საცოლე. დანიშნული, რომელსაც სხვა ქალის სიყვარულის გულისათვის უღალატა, გაცვალა სხვაზედ, რომელმაც თვით რუსთველი გასცვალა არაბზედ.

რუსთველმა გასტყობენა შირს სისხლიან, ზანჯალი. ჩაიკრა
ქულამომავალი ქალი გულში და უგონოდ ჩაეკონა მომაკვდავს, თით-
ქო სთხოვდა რომ: მეც შენთან წამიყვანე, ამცხ იქით ჩემთვის სიკვ-
დილი სიცოცხლეს სჯობიანო.

III

რაც რუსთველს ეს ამბავი შეემთხვა, იმის შუბლი აღარ გახს-
ნილა. საშინელი მწუხარება და მღელვარება იყო გამოხატული იმის
გამხდარს სახეზედ. დღე და ღამ ფხიზელს, თუ მძინარეს უდგა შეუ-
წყვეტლივ თვალწინ, თავისი უცნაური თავგადასავალი, თავისი უმან-
კო მსხვერპლი. იმას ხშირად ელანდებოდა თვალწინ უმანკო ქალი,
რომლის გულში მას ჩაესო ტარამდი ზანჯალი. ქალი დაჩოქილი ეხ-
ვეწებოდა:—შემიბრალე ჩემო შოთავ. მე შენი სიყვარულით მომი-
ვიდაო. და ნაცვლად შეპრალეებისა. რუსთველი მისძახოდა: „შენ და-
არღვიე ჩემი ბედნიერება და ეგეც შენი სამახარობლო!“ ან არა და
ელანდებოდა ქალი, რომელსაც გულიდამ ასდიოდა ჩუხჩუხით შად-
რევიანივით სისხლი. ის ზანჯალი, რომლითაც მოჰკლა ის რუსთველმა,
ეჭირა ხელში და შესაბრალისი სახით უცქეროდა თავის მკვლელს,
თითქო უსაყვედურებდა: „რად მომკალ, მე ხომ შენი სიყვარულის
მეტე არა ვიცოდი-რაო?“

ამგვარად ატარებდა რუსთველი თავის დღეებს დიდხანს, შემ-
დეგ ამ უბედური შემთხვევისა.

— როცა იყო და არა იყო, რუსთველი ცოტ-ცოტად გამოფრ-
კვია ამ მდგომარეობიდან.

ერთხელაც მოიწვია რუსთველმა თავისი მეგობრები და დაიწ-
ყო შექცევები.

მთელი კვირა ისმოდა რუსთველის სახლში ლხინი და მეჭლისი.
უკანასკნელ დღეს ამ წვეულების. და დროს გატარებისა, რუსთველ-
მა მიიწვია თამარ მეფე თავისი მეუღლით. და მრავალნი საქართვე-
ლოს დიდებულნი და კარის კაცნი. ამათში მიიწვია თავის ცოლის
ძმა().

სადილის უკან რუსთველმა გაიწვია ყველანი მფიდანზე, ჯირი-
თობის საყურებლად. ცოლს სთხოვა. რომ ჰსლებოდა თან თამარს.
არაბი იახლა ცხენების დასაჰკერად. თვითონ შეიმოსა მშვენიერის
ტანისამოსში. ჩაჭდა საგანგებოდ იარაღში. ცხენი შეჰკაზმა ჩინებუ-
ლი სამკაულით და გავიდა საჯირითოდ.

რუსთველი დიდათ ჰშვეწოდა ამ სამკაულში, და სხვათა დროთა
უკეთესად ჯირითობდა: იმან დაამარცხა ყველა თავისი მოწინააღმ-
დეგენი.

მეფეთა და ყველა კრებულთა მიულოცეს გამარჯვება.

რუსთველმა უცებ გაიხტუნა ცხენი, მოუჭირა ქუსლი და ერთს წამს, როგორც ელვა, გაჰქრა თვალთაგან. რამდენსამე ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა; ის იღგა ცხენზედ, ეჭირა იარაღი ხელში და გაჰენებულს ცხენზე ათამაშებდა. როდესაც მიუახლოვდა ხალხს, რუსთველმა უცებ მოსწია შვილდ-ბოძალს, გაუმიზნა შორიდან თავის არაბს და ისრით გადაუგდო ქული.

ხმა გაოცებისა და ყიჟინა ქებისა, ამოჰხდა ყველას პირიდან.

— ვარგივარ? — ჰკითხა უცებ რუსთველმა მეფეთა და კრებას. ყველასაგან ერთპირად მოესმა ქება.

მოხდენილობიდაც ხომ არავიზედ ნაკლები ვარ?

— შენზედ უქეთესი; არ მეგულებათ ჩემს სამეფოში, — უბახუხა თამარმა.

— ჰკუა და სწავლა ჩემი მოგეხსენებათ.

— შენი ჰკუა და სწავლა იქნება საოცარი, თვით შორეული ხალხებისა და შთამამავლობისთვისაც.

— არც ზნე, არც ხასიათი, არც ჩვეულებანი ჩემნი არ გიცვნიათ არავის ცუდათ.

— შენში ეგ ყოფილა საქებარი და სამაგალითო.

— მაშ ამისათნა კაცს, რომ ცოლმა უღალატოს და გასცვალოს — აქ რუსთველი ჩამოხტა ცხენიდან და მისცა ცხენი თავის აბღულა არაბს, — თავის უბრალო მონაზედ, რის ღირსია ცოლი?

ყველამ გაოცებით შეჰხედეს ერთმანეთს.

რუსთველის ცოლის ძმა აინთო თონესავით.

— მაგვვარი ცოლი ღირსი არ არის თავის ქმრისა, და ქმარს ნება აქვს განუტევოს იგი, და თვით დაექორწინოს მას, ვინც თითონ მიაჩნია თავის ღირსად, — უბრძანა თამარმა.

— თუ ქმარს მოეკლას ისა, ვინც უჩვენა თავის ცოლის ღალატი?

— მოკლული ღირსი ყოფილა სიკვდილისა, მაგრამ მომკვლელმა კი უნდა თავისი ცოდვა მოინანიოს უღაბნოში, — უბრძანა კვლავ: თამარმა.

მაშინ რუსთველმა მოჰკიდა ხელი თავის ცოლს და გამოიყვანა წინ.

— აი ბატონო, ამან გამცვალა ამაზედ, — რუსთველმა დაადო თავის აბღულა არაბს ხელი, ეს ღალატი მაჩვენა ჩემმა პირველმა საცოლემ, რომელსაც უმტყუნე მე. ამის სიყვარულით, და გულადღელებულმა, გატაცებულმა ამ სანახავით, მოუფიქრებლად მოვკალ ჩემი პირველი საცოლო, რომელსაც სიკვდილის წამამდისაც კი არ ამოჰფაროდა გულიდამ ჩემი სიყვარული.

გათავა თუ არა ეს სიტყვები რუსთველმა, სცა თაყვანი მეფეთა, გამოესალმა დიდებულთა და მეგობართ, მოაჯდა ისევ თავის ცხენს და გაჰქრა სამუდამოთ სამშობლოდამ.

იმან შეასრულა თავისი მეფის გადაწყვეტილება. ის შედგა იერუსალიმს ბერად, სადაც დაასრულა თავისი დღენი.

* * *

რუსთველის ცოლი იქნა განკიცხული ყველასაგან. იმისი ძმა ცდილობდა დარწმუნებულიყო ნამდვილად თავის დის ღალატზე და ყოველთვის ადევნებდა თვალ-ყურს.

ერთს ამგვარს თვალყურის დევნაში, მოასწრო ამან თავის დას სწორედ მაშინ, როდესაც მისი საყვარელი არაბი უნდა განედევნათ საქართველოდამ, და ეს გამოსაღმების დროს იყო მოსული თავის საყვარელთან. ის ეხვეოდა რუსთველის ცოლს და თვის ტუჩებით ჰკოცნიდა მშვენიერს თეთრ სპეტაკს სახეზე.

— უნდა საუკუნოთ დაგშორდე, — ეუბნებოდა მწუხარების ხმით არაბი ქალსა.

— შენს თავს 'მე კერავინ დამაშორებს. — ეუბნებოდა ქალი არაბს. — სადაც შენ იქნები, მე ყველგან წამოგყვები და გიპოვნი. თვით ჯოჯობეთის უფსკრულში ჩამოვალ, რომ შენს თავს არ დაეშორდე. ძმამ გაიგონა და ნახა ეს ყველაფერი. ის უცებ შეეპარდა დასთან, იძრო ხმალი და ერთი თვალის დახამხამებაზედ მოსჭრა თავი არაბს.

ჩადო პარკში. მოჰქრა პარკს თავი, დაჰკიდა დას გულზედ და უთხრა: არ გინდოდა მაგ თავის მოშორება. და, აჰა, გეკიდოს გულზედ დღე და ღამ. და ნულარ მოიშორებ. შენ ქვეყანა ანაცვალე მაგას და დეე მაგან გაცხონოს შენ.

ნვ. შოთა რუსთაველზე .

შოთა რუსთაველი წამოსულა რუსთავიდან და გზაზე უნახავს ერთი ქალი სოფელ ნიჯგორში. ქალსა და კაცს დაუდევიათ პირობა. ნიჯგორიდან შოთა გამოეგზავრებულა თმოგვეში, სადაც მას მეორე ქალი ყოლია აყვანილი და ნიჯგორელი ქალი მოუტყვილებია.

როდესაც თმოგველი ქალი წაუყვანია შოთას, ნიჯგორელს გაუგია, რომ ქალი მიჰყავს ქორწილითა და მაყრებით. ამ ნიჯგორელ ქალს ჰყოლია შვიდი ძმა. მტკვრის გაღმიდან ზურნისა და დაირის ხმა გაუგონიათ ნიჯგორში, და მაშინ ქალი მიხედენია, რომ შოთას მართლა მოყავს ცოლი, და თვითონ ის კი დააღალატა. მაშინ ეს ქა-

ლი გამოიყვანს სახლიდან ერთ კაი ცხენს, შეჯდება ზედ და წავა რუსთაველის წინ დასახვედრად შეიარაღებული. როდესაც ქალი მივა ტკვართან, შეატურებს ცხენს წყალში და გავა გაღმა გზაზე, რომელი გზითაც შოთას ქალი მიყავდა თმოგვიდან.

ამ დროს გაიგებენ ქალის ძმებიც და გემეეკიდება ორი ძმა დას უკან დასაბრუნებლად, მაგრამ ამათ. ქალი გაასწრებს გზაზე და თმოგვის ციხის პირდაპირ ხანადებში გადაუხტება წინ შოთას ხმალ ამოძრობილი. მალე მიასწრებენ ძმებიც. როცა ხმალამოღებულ ადამიანს დაინახავენ, მაყრები გადაუცვივიან და ჩხუბს დაუწყებენ. ეს ქალი ორს მოაცლის თავს უტბად. შოთამდე რომ მიუწევს, მაშინ ეტყვის შოთას, ერთი შემახედე, როგორი ქალი მოგყავსო. თუ ჩემზე კარგია. ცოცხალს გაგატან, თუ არა და ორთავეს თავს მოგკვეთო. ახადა შოთამ ქალს პირი და დააკვირდა ნიჭგორელი ქალი თმოგველს. ნახა, რომ ის იმაზე უფრო მშვენიერი იყო. თავისი სიტყვისამებრ გამობრუნდა და მარტო ცხენი მოუკლა დედოფალს. ძმებმაც აპატიეს შოთას და თავიანთი და მოაცილეს.

84. შოთა რუსთაველზე

როცა შოთა რუსთაველმა თამარს გააცნო თავისი დიდებული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, მან თამარზე დიდი გავლენა მოახდინა. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც თამარს ანდრეი ბოგოლიუბოვსკის შვილი საქმროთ ყავდა მოწვეული. ამ დროს თამარს მოეწონა შოთა. თამარმა გაუზიარა, ყველაფერი გაუმხილა პოეტს, მაგრამ შოთას თავისი საყვარელი ცოლი იშვიათ ადამიანად მიაჩნდა და მის ღალატს ბოროტებად სთვლიდა. ამის გამო შოთამ თამარს მის სიყვარულზე უარი უთხრა.

თამარს სურდა, რომ შოთას ხელი აეღო მის ცოლზე. შეუჩინა ზანგები. დაავალა იმათ, რომ შოთას ცოლს დაახლოვებოდნენ. მეფის ბრძანება მონებმა პირნათლად შეასრულეს. ერთხელ ამ გარემოებას წაასწრო თვით შოთამ და ორივე ზანგებს მოჰკვეთა თავი. ეს გაიგო თამარმა და სასტიკი შურისძიება განიზრახა. შოთამ ეს გაიგო. საბერძნეთში გაქცევით უშველა თავს. საბერძნეთში, რომ უცნობი შექმნილიყო მკებნელთათვის, შოთა აღიკვეცა ბერად. მაგრამ ამით თამარის შურისძიება მაინც ვერ აიციდინა თავიდან. გაგზავნილმა პირებმა შეიპყრეს იგი, მოჰკვეთეს თავი და მოიტანეს საქართველოში იმის დასამტკიცებლად, რომ მართლა შეასრულეს მე-

ფის დავალება. შოთას გვამი დარჩა საბერძნეთში. ისე რომ დიდებული პოეტის საფლავი საქართველოში არ არის. აქედან არის ხალხური სიმღერა:

სად არის შოთას საფლავი
წავიდეთ საძებნელათა.

85. შოთა რუსთაველის თვითმკვლელობა

თამარ მეფეს ძლიერ ყვარებია თევზი. ერთხელ მგზავრობის დროს ჭავჭავთისა და ქართლის საზღვარზე მდინარე ქცია უხილავს. ამ მდინარეში თამარ მეფეს შეუმჩნევია ბევრი კალმახი—თევზი, მაშინ უთქვამს დედოფალს: როგორც აქ, კალმახი—თევზი წითელ საყდრის წინ დაბლობ ადგილში, სადაც ტბაა, უნდა გავაკეთოთო.

სწორეთ ამ მგზავრობის დროს მომხდარა უცაბედი შემთხვევა: შოთა რუსთაველს გაუმჟღავნებია თამარ მეფისათვის სიყვარული და საქართველოში გამეფება უთხოვინა.

ეს ამბავი გაუგია დავით სოსლანს და შოთა რუსთაველის გაძევება გადაუწყვეტია. გაძევების მიზნით ის გამოუგზავნია წითელ საყდრის ანუ ტბის ყურის ტბის სათევზის ზედამხედველად. შოთა რუსთაველს ეს უთაქილია და თავი მოუკლავს.

თამარ დედოფალს რომ წითელი საყდრის წინ ქციის წყალი გადმოუშვია, ამას ამტკიცებს ის ორი რუ, რომლებიც აქამდეა იქ. ერთი რუ ახლა გზათაა დადებული, ხოლო მეორე—თავისუფალი.

შოთა რუსთაველს თავი კი მოუკლავს; მაგრამ სად დაასაფლავეს, ეს აღარ მახსოვსო.

86. შოთა რუსთაველზე

შოთა რუსთაველი, გადმოცემით ასე გამიგონია რომ, დაიბადა ზესხეთის რუსთავში. მამამის ერქვა ჩახრუხა და შეძლებული მებატონე ყოფილა. შოთას დედ-მამა ადრე დახოცია და მერე მისი აღზრდა უკისრია ბიძამისს, ბერსა აგარის მონასტრისას (ახალციხის რაიონი).

შოთა რუსთაველს პირველდაწყებითი სწავლა მიუღია ტბეთში (გარასთან ახლოსაა). ამის შემდეგ ის წასულა სწავლისათვის თბილისში. თბილისში რო დაუმთავრებია სწავლა, მერე როგორც უნიკიერესი კაცი სახელმწიფო ხარჯით გაუგზავნიათ საბერძნეთში. იქ კარგა ხანს დარჩენილა. საბერძნეთში სწავლის დამთავრების შემდეგ

შოთა მესხეთში დაბრუნებულა, თავის სამშობლოში. ამ სანში შოთას თავისი ნაწარმოები, ე. ი. ვეფხისტყაოსანი წაუკითხავს დიდებულთა კრებაზე. კრება ალტაცებაში მოსულა პოეტის შესანიშნავი ნიჭით. ამ კრებას თამარ მეფეც დასწრებია და ისიც ძლიერ აღუდგლებია ვეფხისტყაოსნის შინაარსსა და მომხიბლავ ენას. ამის შემდეგ შოთა დაახლოვებულა თამარ დედოფალთან. ცოტა ხნის შემდეგ რუსთაველისათვის უბოძებიათ მოლარეთ-უხუცესობა.

სიბერის დროს შოთა ბერად შემდგარა იერუსალიმში, სადაც აღსრულებულა კიდევც.

შოთას ძმას რქმევია ავთანდილი და მას ჰყვარებია თამარ დედოფალი. ავთანდილს საწადელისათვის ვერ მიუხწყევია—ბოლოს ამდგარა, აუყვანია ერთი ქალი და წასულა შორს—სამშობლოს გარეთ. გზაზე ორთავე დაღუპულან.

87. სტუმრად კახაბერთან

... თამარ მეფის დროს რაჭაში ცხოვრობდა კახაბერ ერისთავი, მას ჰყავდა ერთი ასული. მოსამსახურედ ედგა აზნაური პავლია გოცირიძე. აზნაურს და თავადის ქალს ერთმანეთი შეუყვარდათ. დედამ ეს ქალისაგან გაიგო, მაგრამ კახაბერს ვერ გაუმხილა და ამის შესახებ თამარ მეფეს მისწერა.

მაშინდელი მწერლების თანხლებით თამარ მეფე ესტუმრა კახაბერს რაჭაში. სტუმრებს პავლია გოცირიძე და კახაბერის ასული ემსახურებოდნენ. თამარ მეფემ უთხრა კახაბერს: ძალიან მომწონს შენი ქალისა და პავლია გოცირიძის სამსახური და ურიგო არ იქნება, რომ ესენი შეუღლდნენო.

კახაბერს ეს სიტყვები ეწყინა და კიდევ გული წაუვიდა. თამარ მეფემ კახაბერი დაამშვიდა. თავის მწერლებს უბრძანა, რომ ადამიანი და მისი ღირსება დაახასიათონ გვარიშვილობით.

შავთელმა თქვა: „როგორც მზე ამობრწყინდება და იმისი სხივით სულდგმულობს ყოველივე არსი. ისე გვარიშვილობით ფასდება კაცი. შეიძლება ვარდი ნეხზეც ამოვიდეს, მაგრამ სუნი ნეხვის ექნება“.

შემდეგ თამარმა სხვებს უბრძანა და თავიანთ სიტყვებში ყველამ შავთელის აზრი გაატარა.

თამარმა ბოლოს შოთას უბრძანა: ათინაში როგორ უყურებენ გვარიშვილობას და პირად ღირსებასო (შოთა ათინიდან ახალმოსული იყო).

შოთა ადგა და ღინჯად მოახსენა:

ფილოსოფოსნი შემოკრბნენ,
ამაზე ჰქონდათ ცილობა:
ბატონი ყმასა უსაქმებს,
და ჰკუთას—გამოცდილობა.
ათასად გვარი დაფასდა,
ათი ათასად ზრდილობა.
თუ კაცი თვითონ არ ვარგა,
რას არგებს გვარიშვილობა.

ამით მოიგო თამარ მეფის გული, მაგრამ მხარგრძელების სიძულელი დაიმსახურა. თამარმა მოიხმო მდივანი და უთხრა, დაწეროს: „მე, თამარ მეფე, მპყრობელი სრულიად საქართველოსა, ადერბაიჯანისა, ტრაპიზონისა და სხვათა მრავალთა ვბრძანებ:—პავლია გოცირიძეს მიცემული აქვს ღღეს ჩემგან თავადიშვილობა და ერთი მაზრის ყმა მამული“.

შემდეგ დედოფალი ისევ შეეკითხა კახაბერს: „პავლია გოცირიძეს ახლა მისცემ ქალს?“

კახაბერმა მოახსენა: „თუ პავლია გოცირიძე ჩემს ქალს შეირთავს და ასე ბედნიერს გამზდის, ეს ჩემთვის ღვთის წყალობა იქნება“.

მიათხოვეს პავლიას კახაბერის ასული და ტკბილად ცხოვრობდენ.

88: რატომ სთქვა შოთამ „ესე ამბავი სპარსული“

შოთა რუსთაველი იყო დიდი კაცი და სცხოვრობდა თამარ მეფის ღროს. ცოტას კიდევ ეხუმრებოდა თამარსაო. ამბობენ ამის შესახებ უთქვამს რუსთაველს:

მე რუსთველი ხელობითა
ვიქ საქმესა ამად არი,
ვის მორჩილობს ჯარი სპარსთა
მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი.
დაუძღურდი მიჯნურთათვის,
კვლავ წამალი არსად არი.
ანუ მომცა განკურნება,
ანუ მიწა მე სამარი.

ამ დროს სასახლის ხალხს ექვი დაებადა, თუ ვისთვის კვდებო-
და პოეტი. ამის გამო. რომ ექვი გაექრო, დაუმატა შემდეგი:

ესე ამბავი სპარსული,
ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი
ხელიხელთ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გამოვსთქვი,
საქმე ექენ საქოჴმანები.
ჩემმა ხელქმნილმა დამმართოს
ლალმან და ლამაზმანები.

ჩვენ ამ სიტყვებით ვიგებთ შოთას ძვირფასობას და ღრმა პოე-
ტობას. მანამდე მისი ლექსები არ ვიცოდით, ტარიელის ამბავი ზღაპ-
რად ვიცოდით მხოლოდ, სანამ „ვეფხისტყაოსანი“ დაიბეჭდებოდა,
მანამდე ზღაპარი ვიცოდით და წიგნი ბევრს არ წაგვეკითხა.

89. ქალის მეფობა შოთამ დააკანონ-

როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ ყველასათვის ცნობილი გახდა,
მაშინ ქალთა გამეფებასაც მიეცა დასაბამი, რადგან მისი ავტორის
ძიერ აღიარებული იყო:

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო“. აი სწორეთ-
ერთ ქალ მეფის დროს აშენდა აწყვერის ციხე. ციხის დამთავრების
შემდეგ სანახვად მიუწვევიათ დედოფალი, რომელსაც ძლიერ მოს-
წონებია ასეთი სიმაგრის აგება და უთქვამს განხარებულს:

აწი ხვანჭრის... ვერაფერს დამაკლებსაო. ამის შემდეგ ამ
ციხესაც დარქმევია „აწყვერი“.

90. რაზე სთქვა შოთამ „ლეკვი ლომისა სწორია“

როცა რომ თამარს ტახტი დაულოცეს, სთქვეს: ეს ქალია და ვინ
იცის, გამოდგება თუ არი მეფეთაო.

მაშინ შოთა რუსთაველმა უთხრა:

„ლეკვი ლომისა სწორია,
თუნდ ძუ იყვეს, თუნდ ხვადიო“.





რუსუდანი

91. რუსუდანი

ჩვენს იქით ერთი ველია,
ია და ვარდი ჰფენია,
შიგა დგას დევი, თათარი,
გარს ყმანი დაუყენია.
გასწყრა, გაჯავრდა რუსუდან
სულ დაიფანტა ყმანია:
ჩემსა შიკრიკს დამიძახეთ,
სუ მამიჩემის გვარია!
ვხოცოთ და ვხოცოთ თათარი,
როგორც შულულა ხალია,
გამექცა ერთი თათარი,
მეგონა ცხენის ნალია,
გამოვუდექი. შემოვკარ,
კბილებში მოვჭერ თავია.

92. როს იძრა ცა და ქვეყანა

ნეფემ ჩაიცვა აბჯარი, როს იძრა ცა და ქვეყანა,
წელს შემოირტყა ხმალიო, როს იძრა ცა და ქვეყანა,
მან რომ ხმალი შემოირტყა, როს იძრა ცა და ქვეყანა,
არ მოშორდება თვალიო " "
გიყობდა თარარ ყმანიო, " "

არ გადაგვარა მთანიო,	„	„
დასჯერებოდე გორ-ციხეს,	„	„
გეჭამოს შაჟი ფხალიო,	„	„
ქვე დასხდეს ბროლის ჰალაო,	„	„
ადგილი ჰპოვეს მყარიო,	„	„
დაჯდეს და წიგნი დასწერეს,	„	„
სიგრძე-სიფართე მხარიო,	„	„
მათ გამორჩევა შეექმნა,	„	„
დიდი ბუობაი არიო,	„	„
არჩიეს, გამოარჩიეს,	„	„
შირაქი გამოარჩიეს.	„	„
შენ ჩვენო ღმერთო, შიქრიქო,	„	„
იარე დღე და ღამეო;	„	„
გურჯთა მიართვი ნეფესა,	„	„
ესე პასუხი ჩვენიო,	„	„
ანი მოგვეცი რუსუდან	„	„
მორჩილისა ტანისაო,	„	„
ან მოგვიკრიფეთ ხარაჯა,	„	„
ცხენ ჯორი. თხა და ცხვარია,	„	„
დაიძრა დიდი სურთანი,	„	„
პატარა ტანოვანია,	„	„
სასუთროს დასცეს კარავი,	„	„
იძრა ქვეყანა მყარიო,	„	„
პირშელმი შემოდიოდა,	„	„
ხვარაშნეთისა ჯარიო.	„	„
ზედასა კარსა ჩამოდგა	„	„
შავი სევანისა ჯარიო.	„	„
ქვედა კარს გარე-გარ გადგა.	„	„
შავი სისხლისა ღვარიო,	„	„
ხელო და მხარო გასქერი,	„	„
გულო ნუ შეგვიშინდები,	„	„
სისხლისა ნატალახევსა	„	„
ფეხო ნუ მოგვიცურდები.	„	„





პრილა სუანი თაუადების წინააღმდეგ

93. გელოვანების მოციქულების მოკვლა

გელოვანების საცხოვრებელი ყოფილა თურმე ლალხორში, კოლას. იქ ახლაც არის ნანგრევი და გელოვანთა ნამოსახლარი ჰქვია. გელოვანებმა თურმე ერთი მოსახლე აიჩემეს კალაში. უმთავრესად გაწყვიტეს ყველანი და ბოლოს გადარჩათ მხოლოდ ერთი ორსული ქალი. ამ ქალს სანდუხვი რქმევი. ერთხელ თურმე გელოვანებმა მოციქულები გამოუგზავნეს სანდუხვს და შემოუთვალეს: „შენ თუ არ მოხვალ, ერთი შენი შვილი ცოცხალი გვყავსო და მოვკლავთო“. სანდუხვმა თან წაიღო კვერცხები და ერთი ბოთლი ნათავოდი არაყი და ნაჯახი. ლატვარზე რომ ავიდნენ, მაშინ მოციქულებს ნათავოდი არაყი დააღვეინა და კვერცხები მისცა დასაყოლებლად. მთვრალ მოციქულებს წამოცდათ რომ „შენ სასიკვდილოდ მიგვყავხარო“. ამაზე დაეძინათ მოციქულებს და სანდუხვმა ნაჯახით თავები გაუპო.

ამის გამო ლექსია დარჩენილი კალაში:

სანდუხვ გახლებული,
 ნაჯახი გაღესილი,
 კვერცხები დარიგებული:

შემდეგ სანდუხვი სახლში დაბრუნდა მშვიდობით.

94. უველგან თოვს

ყველგან თოვს, ყველგან წვიმს
 თეთრეცერს მზე ანათებს,

უშგულელებო იდიოტებო,
 უშგულელებო მხეცებო,
 რად ებრძოლებით (სცემთ)
 ბატონ ფუთას,
 ბანჯგვლიან ფუთას,
 ტყვიით მოფაღარათეს,
 ლობეზე ხტომიას?

ოთარაანთ ფუთას (დადიშქელიანს) უშგულელები ყმებად (გლეხებად) უნდოდა. ორჯერ დაანებეს ჯოგი: ემიძიებოდათ მკვლელობა. მესამედ რომ მოუბრუნდა თავის ჯარით, მაშინ თოფის ტყვია ყველამ დაჰკრა, ესროლეს ფუთას, მოახვედრეს (ეს) დარჩათ სასირცხოოდ დადიშქელიანებს: დაარქვეს ფუთა შეძლებული, ტყვიით მოფაღარათე.

უშგულელებო იდიოტებო,
 უშგულელებო მხეცებო,
 რას აქნევიანებთ ბატონ ფუთას?

95. ორი შმა კიბოღანი

(ვიციბილ—მაცბილი)
 (ეცერ—ცხუმარს)

დაულალატებიანთ დოლი და ჰებუდი
 დაულალატებიანთ, ამაღამ
 შეჰპარვიან მოსახლეებს,
 „გენაცვა, კარგო ძმებო!...“
 სახელად ერქვათ ვიციბილ—მაცბილი.
 ესენი გაექცნენ სოფლის ნაცვლად (ტყეში),
 სამ წელს ტყვია-წამალს იმზადებდნენ,
 მეოთხე წელს შეჰპარვიან.
 ციხეში ლადრერის ქვემოთ.
 მეორე ღამეს მოგვდგომიან.
 წინამძღოლობას ყველა უარობდა—
 წინამძღოლად ვინ ემჯობინება?
 — მართალ გაგულს არავინ ემჯობინება.
 (ძმებმა) შესძახეს ციხიდან
 (მართალ გაგულს): „შინ არ გერჩია კარგი
 ყოფნა,

ნახატწარბა ცოლის წოლა!
 ეგ ჩვენ კი ვიცოდით:
 გულუბრყვილობით თავში მოჰხვდი...
 წელს ზემოთ თოფს არ მოგარტყამთ,
 წელს ქვემოთ ვერ დაგზოგავთ!“
 ამ ღამეს (ლაშქარი) მოგვიგერებია,
 მეორე ღამეს კვლავ შემოგვბრუნებია.
 წინამძღოლობა არავის დაანება
 ... (ამპარტავანმა ავლაყმა).
 „შინ არ გერჩია კარგი ყოფნა,
 ნახატწარბა ცოლის წოლა!
 შენს ცოლს ეცერის ნაბიჭვრები (მოუწევებიან);
 თეთრად დასაპნულ შენს ტანსაცმელს
 წითლად შეგიღებავთ!“
 ერთმა მოარტყა გულის ფიცარს,
 მეორემ შეუბრუნა შუბლის გალავანს,
 ამპარტავანი ავლაყი გაუგორებიათ.
 ამაღამ კვლავ მოუგერებიათ.
 ფისიმც დასხმია მესამე ღამეს!
 ძირამოსაგდები სოლთმანი ჩვენი!
 ლაშქარი მიიმატა ქვემო ხევისა,
 ასულან ტყის თავამდე.
 (წვრილი) შეშის კონებს აკეთებდნენ,
 შიგნით ატანდნენ კაცებს,
 შეჰპარვიან ციხის ძირს,
 საძირკვლებს უთხრიდნენ ციხეს,
 ხის სვეტებს უყენებდნენ,
 შეშის საყადელს უდგამდნენ.
 ამას ქვემოდან წაუკიდეს,
 ალი სათოფურებს შესწვდომია.
 ძმებს რული მოგეკიდათ („გედვათ“) დალუპვისა,
 შუქი მიდის გვეშელარს ზემოთ.
 დიდთავიანი სოლთმანი ჩვენი
 დიდად ეყუდა აივანზე,
 თვალ-ყურს ადევნებს ქვემოდან;
 . . . სიცილის გრიალი
 ქვემოთ ისმის, გვეშლარს ქვემოთ.

თვითონ ძმებს გამოელვიათ,
დალუპვის ოფლი ერთყათ შუბლზე.
„ო, საბრალო ძმებო!...
თავი მაინც დაიტირეთ!“

(მოსთქვამენ): „თორმეტი წელი ციხეში დაგვაყოვნდა,
გადავეკიდეთ ეცერ-ცხუმარს-
თორმეტი წელი...“

უხნავ-უთესად დაგვიტოვებია.

თავი უსისხლებლად არა გვრჩება:

შვიდი ოჯახი რიჩქვიანები

ნაგავ-ნაცრიანად (ნახშირ-ნაცრიანად) ამოგვიწყვეტია.

უკანასკნელი ომი გვექნება:

ორ-ორი საწყაო წამალი დარჩენილი გვექონდა,

ორ-ორი ისარი დაგვრჩა.

ჩვენი გახურებული თოფები

ერთხელ დავტენოთ („ჩავაყაროთ“).

გამოვცადოთ გველშარისკენ (ზემოთ),

ისრების ხმებს გავაგონებთ

ჩვენს დიდთავიან სოლთმანს!

ძმებმა სათითაოდ რიგ-რიგად ესროლეს:

ერთმა მოარტყა შუბლის გალაგანს,

მეორემ შეუბრუნა გულის ფიცარს,

ჩვენი დიდთავიანი სოლთმანი

გააგორეს აივანზე.

სისხლი მისდის წითელ-ყვითელი,

სოლთმანს სული და ხორცი ეყრება,

ძმებს ციხე ერყევათ;

სოლთმანს სული და ხორცი გაეთიშა,

ძმებს კი ციხე დანგრევიათ.

ასემც ღმერთს დაულოციხართ

აქ მყოფი ხალხი!





ბასტრიონის ომი

96. თუნ-ფშავ სევესურნი ბასტრიონის ომში

იყრების თუშის ლაშქარი,
ნაქერალს გროვდებიანო;
აღარ ხყავ აშაჭანაი,
წინამძღვარს ღონდებიანო.
გაუძღველ, ბი 'ურიშვილო,
თუნ ლურჯას გიქებდიანო.
გაფრინდაული ამბობდა:
„ქევსურებ ნუ მოდიანო;
ჩადიან ალაბლობასა,
ჯარს ეგენ გვირევიანო“.
იწყინა ხოშურაულმა:
„დაბრუნვა არ მწადიანო,
გზანი მეც ვიცნი, ქევსურნო,
საც თუშებ ლაშქრობდიანო;
მუქარა იყვას, ზეზეაო,
საც კარავს იცემდაანო!“
ქვა-ქიდის ჭალას ჩაუდგეს,
გზანი მანდ ხანდებიანო.
მშავლებ ჯღან-ბელიანები
ქევსურთ მეგუდეთ ხყვანდიანო.
ბასტრიონ სულთქმის ციხე დგას,
ქევსურებ ეხვევიანო.
სად იყვა თუშიშვილები?

ქვესურებ კარავს ჭრიანო.
ნადირაის კმლის ნამტვრევი
კარავის კარში ხყრიანო.
გაქცა თათრის ელები,
თუშობ მემრ მოვიდიანო,
დიაც-ყმაწვილის კალოსა
ცხენებით ლეწვედიანო.

97. ბახტრიონის აღება თუშთაგან

ბახტრიონს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ახმეტას გავსჭრით ვენახსა,
შიგ დავასახლებთ ელსაო...
შეიტყეს თუშის შვილებმა,
მალღ შემოირტყმენ ხმლებსაო;
ჯერ შუალამე არ ქმნილა,
ნაქერალს გროვდებიანო.
შველაო შველაიძეო,
პანკისს გასტეხე წყალიო:
უკულმ დავკედოთ ცხენები,
დავამალვინოთ კვალნიო;
საგათენებლოთ დავეცნეთ
ბახტრიონს გალავანზედა.
— გარეთ გამოდი, სულთანო,
თუშნი გისხედან, კარზედა,
თუ ნებით შენ არ გამოხვალ,
გამოგიყვანენ ძალზედა.
მეტი ვარ საღირიშვილი,
ნუ მიმწერთ ტალავარზედა,
გადავალ, გადავფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა,
შვიდი არ მოვკალ ხმალ და ხმალ,
გამცვალეთ თათრის ქალზედა...
გოხ-გავლებული ფრანგული
კაბას რა კარგად ჭრისაო.
ჯიშით ზჯობნიხარ, ფრანგულო,

მკრელი ხარ. დავით ფერსულო!..
აღთეს და ჩაღთეს თათრები,
წითლად ჩადიოდ წყალიო;
აღვანში ციხეს აგებენ
ხოჯა თათრისა ძვლისაო.
ლიბოდ უგდებენ გალოსა
ნაწკრეტის ფრანგულისაო...
დაგაგდებინეს აღვანი,
თუშთ არის საკუთარიო;
ჯერ ღმერთი, მერე ბატონი,
სხვა არვინა ჰყავს მცილევი;
ვინც აღვანს უაღესობდეს.
ცოლმ შემოუხსნას ხმალიო!...

98. თათრების შემოსევა კახეთში და მათი ამოწვევა

ღამეა. ქარი მძვინვარებს,
მთებს ნისლი აკრავს თავზედა,
ჩამოუარეს ხევსურებს.
არაგვიც ჯავრობს ძალზედა.
ტალღასა სტყორცნის იქ მდგომ კლდეს;
კლდესაც ცრემლი სდის თვალებზედა,
მოჭფრინავს ლალად ლურჯაი,
მოჭხტის ბალახის ნამზედა
მას უკან მოსდევს ლაშქარი,
ხელაღებულნი თავზედა.
ყველანი ამას ამბობდნენ,
კახეთი გასაქირშია.
დახმარება უნდა იმას.
ცუცხლმოდებულსა ქირშია.
კახელნი. რას გაიხარვენ
ურჯულო თათართ ხელშია,
ისინიც ჩვენებრ არიან,
ჩვენ ძმებ არიან ცუცხლშია.
ჩამოისვენა ლაშქარმა,
და დასხდნენ ველის პირასა,
გადაეყარა მთას ნისლი.

ხევი სჩანს მთისა ძირასა.
კახეთი დიდ ჳირში არის,
ყველანი ამას ამბობდნენ,
ცხენებიც სძოვდნენ ბალახსა,
ცვრიან ველს არა ჳხამობდნენ.
წამოიყარა ლაშქარი
თუშების შესახვედრადა,
მიჳკრიან ნიავე-ქარივით,
ხელთ ხმლები უპყრავთ მედგრადა.
აჳა, თუშების ლაშქარი,
წინა შემოხვდა გზაზედა,
მათი სარდალი ზეზვაი
აბჯარი ჳშვენის ტანზედა.
ფშაველთ სარდალი წინ მიჳკრის,
ხელი უძს ხმალის ტარზედა.
გადაეხვივნენ ერთმანეთს,
დაჳკოცნეს ორსავე თვალზედა.
მე და შენ უნდა ვიომოთ,
უთხრა მათ სარდალ ზეზვამა
უნდ გააკვირვან ბარელნი
ურჯულო თათართ წეწვამა.
და რა ესა თქვა, იმ წამსვე
ჳკრა მათრაზი თვისსა ცხენსა.
ისა ადგილი დატოვეს,
იმას მიყვნენ დანარჩენიცა,
მიუახლოვდნენ კახეთსა
და რა მოავლეს თვალია,
საწყლად სანახავი არის,
მკვდარზე აწყვია მკვდარია.
რა ესა ნახა ზეზვამა,
თათარს მივარდა ცხენითა,
ხმალი ჳკრა, თავი მოჳკვეთა,
დღე დაუღამა ბნელითა.
იჳ ომი იყო თუშების,
თათართ, ფშავე-ხევსურებისა,
ომში ნარები ლურჯაი

კურციკივითა ხტებისა.
 კახელნიც აღდგნენ, ქალ-კაცი
 თავგანწირულად იბრძვიან,
 იმათ თავს რა ამბავია,
 ესენი აღარ იციან.
 ორივ სარდალნი იბრძვიან,
 თათრებს გაუტყდათ თვალია.
 წინ გაირეკეს, თათრებიც
 თავგანწირულნი არიან.
 ბატრიონს რომ მიაღწიეს,
 არვინ გაულო კარია,
 აქ დედა კედება, იქ—შვილი,
 ვის ხელთ არს სამართალია.
 რა საზარელი ომია,
 პრიალი გააქვთ ხმალებსა,
 მე თქვენ გიჩვენებთ სულძალდნო,
 დასჯილვა ზე ზვამ თათრებსა.
 ზე ზვა ვარ გაფრინდაული,
 კიდევ ვჯობივარ კახსაო,
 დაკრავ ფეხს, გადაფრინდები
 ბახტრიონ გალავანსაო.
 მარჯნივ დასჯივლეს ფშავ-ხევსურთ,
 ფარი ამტერიეს თავსაო.
 სისხლით მოირწყო კახეთი,
 სისხლისა დადგა ტბანია,
 შიგა ერია აქა იქ.
 მოკრილი თავი. ტანია.

99. კმალს აქებს გაფრინდაული

თუშთა იყრება ლაშქარი;
 „უნდა ჩავიდეთ ალისა“.
 კმალს აქებს გაფრინდაული:
 „თორმეტი მოვკალ ამითა;
 ავავსე დიდი მინდორი
 თაარის ხოჯაის ძვალითა:
 მგელს დავაცვითე კბილები,
 ტურას—ლოყები ჰამითა“.

ენასა — გაფრინდაული —
— თუშო, გაჯობნებ ენითა,
განა შახყარე ლაშქარი,
ბანტრიონს დაეც ლამითა.
გასტეხე დიდი ბანტარი
თეთრის რემაის ცხენითა;
სრულად ააესე ქალები
თათრის ხოჯაის ძვალითა.

100. გაფრინდაულის ამბავი.

ცხენს გაბანს გაფრინდაული,
გაზრდილსა თივა-ქერზედა,
ძუა-ფაფარსა დაეარცხნის,
ნალღებს დააკრავს ფეკზედა.
სალარს შეკაზმავს ზეზვადი,
აბჯარს აისსამს ტანზედა.
— საით მიდიხარ, ზეზვაო,
ცხენი დაგიბამს კარზედა? —
— ფშავ-ქვესურეთში საქმე მაქვს,
ჯავრი ვიყარო მტერზედა.
უნდა შევეყარო ჯარები
თათრების მუქარაზედა.
აბა, ვიაროთ, სალარო,
ფშავ-ქვესურეთის გზაზედა. —
ცხენზე შეჯდება ზეზვადი,
ჩაჩქანი ხურავს თავზედა.
გულუხიძენიც გამოჰყვინენ,
ნატარნი ფშავის თემზედა.
გადაივლიან ვაჟკაცნი
ბორბალოს მაღალ მთაზედა.
ლაშარს მივიდნენ თუშები,
ხალხი დგას ხატის კარზედა.
შემოეხვივნენ ფშავლები,
თუშებს დაკოცნეს პირზედა;
სუფრაზე მიიპატიჯეს,
შავი ლუღების სმაზედა.

გურგენმა ჭინჭარაულმა
 ზეზეას კელ დაჰკრა მქარზედა:
 — დაბერებულხარ, თან თეთრი
 გამოგრევი თმაზედა. —
 დასხდნენ და პური შექამეს,
 ლაშარ გიორგის კარზედა.
 გურგენი ჭინჭარაული
 ზეზემ გაიკმო განზედა.
 — ძმანი ხართ. უნდა მოგვემტრა
 ჯავრის საყრელად მტერზედა,
 თათრის ჯარი დგას კახეთში,
 ხალხი ვერ გადის ევლზედა.
 აქლემის ქარავნები ძოვს
 ჩენი ცხვრის საძოვრებზედა.
 ფიცი დაუდევს ფშავლებმა,
 კელი დაიკრეს კმალზედა.
 — ჩენაც კაცი ვართ. ზეზეაო,
 ქუდები გვხურავს თავზედა.
 ჩენც სისხლი გვმართებს და-ძმების,
 კმალნი ვალეწეთ თავზედა.
 თათრებს კახეთში რა უნდათ,
 ქართველთა მიწა-წყალზედა.
 კევსურნიც შეიყრებიან
 არდოტის ზევით მთაზედა;
 ჩენ მაცნე გამოგვიგზავნეთ,
 თქვენ რომ დადგებით გზაზედა.
 საით მივიდეთ, ზეზეაო.
 რას იტყვი, რომელ გზაზედა.
 — ფშაკ-ჭევსურნ ერთად წამოდით
 პანკისის კეობაზედა.
 თუშნი ნაქერალს გადმოვალთ,
 თქვენ გამოგყვებით კვალზედა.
 ჩენ შევიყრებით ნაქერალს,
 დარაჯი გვედგეს განზედა.
 იქ ლაპარაკი გვექნება
 თაორებთან ომობაზედა. —
 გამოესალმნენ ერთურთსა,
 ზეზეაიც შეჯდა ცხენზედა.

ლუხუნმა დროშას შემოჰკრა,
მდგომმა დარბაზის კარზედა.
— გწყალობდეთ ლაშარის ჯვარი,
ხელ მოგიმართოთ მტერზედა.

101. კახეთში ფუნჩაიშვილი

კახეთში ფუნჩაიშვილი
აკეთებს შუბის წვერსაო,
თბილის წყლით ფაფარს გადაჰბანს,
ლიტრა ქერს აჰმევეს ცხენსაო.
ოსმალში ერთი თათარი
ენას აუბნებს ძნელსაო:
— „ბახტრიონს გავჰკრი ვენაქსა,
ზედ დავასახლებ ერსაო,
არც თუშებს შავეპუები,
და არც ზეზვაის ცხენსაო“.
ეს რომ გაიგო ზეზვამა,
ცხენს მალმატებს ქერსაო.
— „ჩქარა გასუქდი ლურჯაო.
გავაზედ უსომს ხელსაო.
— „დავეწყემსები სულთანსა,
როგორც მიმინო მწყერსაო,
თოს დავკრავ. ხმალსაც შემოვკრავ,
დღეს დავაყენებ ცხელსაო,
თავსაც იქ დავდებ ქადარსა,
ადგილს არ მივცემ ჩვენსაო!...“

102. ჭირსაც მავხპარავ ზეზვასა

ჭირსაც მავხპარავ ზეზვასა,
გაფრინდაულის შვილსაო!
საც ომში დაეტანების,
მარცხენ-მარჯვენა ჭრისაო.
სადაც არ სტანავ ზეზვაი,
ლაშქარი ცუდად დისაო.

103. ზეზვას

მთებს იქით ილესებოდა
ომში ნაცადი მახვილი,
ბახტრიონს აზანზარებდა
შიშის დამცემი ძახილი.
შეაყრყოლებდა თათრებსა
შენი ელვარე ხმალია,
ალენის მინდორზე მფრინავი
შენი ლურჯაი მალია,
შორს რომ ისმოდა თქარუნი,
შუქს რომ მოჰფენდა ნალია;
ეგ შენი გული მედგარი —
ბუდედ რომ ჰქონდა რვალია.
შენ სისხლით მორწყულ მიწაზე
შენი შვილები ხარობენ,
არ ეშინიათ მტრებისა,
გულდამშვიდებით ბარობენ,
არ ეშინიათ მტრებისა,
აქვთ ბედნიერი ცხოვრება,
შენი ღვაწლი და ამაგი
სულ მუდამ ემახსოვრებათ.

104. ზეზვას დაჭერა

ზეზვაო გაფრინდაულო,
ცოტა მოკლეო ენითა,
საცა-კი შაიყრებიან,
ამოგირჩევენ კელითა.
კარზე მოსულსა მოძალეს
ირეკავ ნახირსავითა.
თათრებს ნუ ენდობი, ზეზვაო,
დაგაბალითებენ ენითა,
პურ-ღვინოს მაგათს ნუ ენდობი,
გილალატებენ მაგითა.
ზეზვაო, დაგიმორჩილეს,

თუშო. უნდ ჯაჰყვე ნებითა;
ცივ-გომბორს გადაგატარეს
თათრის ძუე-ღებელ ცხენითა...
ჩაგიყვანესა ქალაქში,
ბაგეს მოსკამდი კბილითა,
მოდინ თათრის აღლარნი:
ზე ზვა გვაჩვენეთ თვალითა.
ზე ზვასა ნახვა არ უნდა,
ლალათით დაქერილია:
ზე ზვასა მაშინ ნახავდით,
ბახტრიონს რომ ბრუნავდა ცხენითა,
მოგდევდათ, მოგაწუხებდათ,
გჩხვლევდათ შუბისა წვერითა,
აღვანის მინდორი აავსო
თქვენის თათრების ძვლებითა,
აღვანიც დაგაგდებინათ
თავის ფხიანი ხმალითა.

105. რა ლამაზი ხარ აღვანო

რა ლამაზი ხარ, აღვანო,
ნაწრთობო ცეცხლის ალითა,
მშვენიერად გასწორებულო,
გზებო, მზომავთა თვალითა,
მამა-პაპათა ნადავლო,
თათრებს წართმულო ძალითა,
სახსოვრად დატოვებულო
ზე ზვას სისხლიან ხმალითა.

106. ზე ზვას ცხენი

გაგიორგულდა, ზე ზვაო
გაფრინდაულო, ცხენია.
არმად მაგექცას, ლურჯაო,
პატრონის ნაქმევე ქერია! —
რად ჩამაავდი პატრონი,
რად გაულალე მტერია?

107. ბახტრიონის აღება და თათრებთან ბრძოლა

ალვანი, სადაც ეხლა თუშები სცხოვრობენ და რომელიც მდებარეობს კახეთში ალაზნის მარცხენა ნაპირას. ეკირათ თათრებს; ჰქონდათ გამაგრებული ორი ციხე: ბახტრიონისა—ალვანის თავში და ალავერდისა—ალვანის ბოლოში. კახეთის მეფეთ იყო ამ დროს ლევანი, რომელიც სცხოვრობდა სოფ. შილდაში¹. ალვანის თათრები სცხოვრობდნენ ხენა-თესვით და მოჰყავდათ ბევრი ბრინჯი². თუშებიდან ჩამოვიდა ერთი თუში ალვანში პურის საყიდლათ³. თათრებმა დაიპირეს ეს თუში და გააუპატიურეს. გაუპატირებული თუში დაბრუნდა თუშეთში. ჩაიკო ქალის ტანისამოსი და დაჭდა მანდილოსნებში. იმ სოფლის თუშებმა გამოკითხვით გაიგეს, თუ რასა ნიშნავდა ამნაირი მოძმის მოქმედება. იტყიკეს ხელი შუბლში. შეურაცხყოფა და შერცხვენა მათი მოძმისა იყო შეურაცხყოფა და შერცხვენა მთელი თემისა, მთელი თუშეთისა. თუშის ამაყი გული ამ შერცხვენას ვერ აიტანდა.

„ან შურისძიება, ან გმირული სიკვდილი!“.. შესძახეს თუშებმა. გაგზავნეს კაცები ფშავ-ხევსურეთში. იწყეს მზადება სალაშქროთ. დანიშნეს პაემანი და ადგილი, სადაც უნდა შეყრილიყო შეერთებული ლაშქარი. გაგზავნეს რამდენიმე კაცი მეფესთან შილდაში—იყო შუა ღამე, როდესაც თუშების დესპანები მივიდნენ მეფის სასახლესთან. სთხოვეს კარის დარაჯს. გაელვიძებინათ მეფე. მეფემ მიიღო დესპანები. თუშებმა აუხსნეს ლევანს თავიანთი გულის წადილი. მეფე ყოყმანობდა და ვაიძახოდა: „რა ექნა, მტერი დიდია, ვერ ვძლევთ: განრისნებული თათარი ამობუგავს კახეთს. ქვას ქვაზე აღარ დაანარჩუნებს. ხალხი ამოწყდება. მეფე ვარ და დიდ ცოდვაში ჩავდგები“... „არა, მეფევე,—უთხრეს თუშებმა,—ცოდვა ჩვენ კისერზე იყვეს და ჩვენ ხმალზე, თუ ვერ გავიმარჯვებთ. ჩვენ ვერ ავიტანთ ამ სირცხვილს; ან სულ ამოვწყდებით—შენი ერთგული ყმები, ან შევლდებათ ალვანის მიწოდორს უწმინდურის თათრის სისხლით... ჩვენ ისინი ვერ გვაჭობებენ, მხოლოდ შენ გაუსიე კახელები სხვა-

¹ უნდა იყოს გრემში. შენიშენა ივ. ბუქურაულის.

² ეხლაც ეტყობა სარწყავი არხები. შენიშენა ბუქურაულის.

³ სხვა ვარიანტით ორი მონადირე. შენიშენა ივ. ბუქურაულის.

დასხვა სოფლებში მდგარ თათრებზე, გააჟღერებინე და ჩვენ თუშ-ფშავ-ხევსურებმა ვიცით, როგორ მოკუდოთ ბოლო ალვანის თათრებს“. მეფე დათანხმდა. დანიშნეს პაემანი—დილის რიყრაჟი. მეფეს სოფლებში მდგარი თათრები უნდა ღამე გაეწყვიტა და თუშ-ფშავ-ხევსურებს კი—უნდა აეღოთ ბახტრიონის და ალავერდის ციხეები.

დანიშნულ დროზე ნაქერალის მთაზე შეიკრიბა თუშ-ფშავ-ხევსურების ლაშქარი. ცხენები უკუღმა დაქვედეს, რომ აერიათ თათრებისათვის კვალი. ლაშქარი გაიყო შუაზე. ერთი ნაწილი წამოვიდა პანკისზე ბახტრიონის ასაღებად და მეორე—ალავერდის ასაღებად. პანკისს იღვა თათრის დარაჯი. დარაჯებმა შენიშნეს მხედრების კვალი, რომელიც მთისაკენ ხევ-ხევ მიდიოდა. გაჰყვნენ კვალსა. ამ დროს ლაშქარი—კი ბახტრიონის ახლო-მახლო ტყეებში დამალული ელოდა დილის რიყრაჟს.

აჰა, დაჰკრა დანიშნულმა სანატრელმა ქაემმა, დილის სიომ დაჰბერა. დაიძრა ლაშქარი ციხისაკენ. გზა და გზა თუშის ბელადმა ზეზვა გაფრინდაულმა გააკეთა რამდენიმე პალო და ჩოხის კალთაში ჩაალაგა. მივიდნენ ციხესთან. თათრების დარაჯებს დასძინებოდათ. ზეზვა გაფრინდაულმა ჩაასო კედელში პალო. შედგა ფეხი, ჩაასო მეორე — შედგა მეორე ფეხი, ჩაასო მესამე, მეოთხე და ავიდა ციხის კედელზე. კედლიდან გადახტა შიგნით, ამოხოცა დარაჯები. გაალო კარები და ისე შევიდა ლაშქარი. გააფთრებულნი, შუოის ძიეზათ აღჭურვილნი — თუშ-ფშავ-ხევსურნი, ეკვეთნენ თათრებს. დადგა ნამდვილი ღვთის რისხვა თათრის თავს. მძინარე თათრები ისე აირივნენ, რომ ვეღარ არჩევდნენ, ვინ იყო მტერი და ვინ არა. გულგახეთქილნი აღარ ფიქრობდნენ ციხის დაცვაზე, მხოლოდ ცდილობდნენ, როგორმე დაეხწიათ თავი განრისხებულის ქართველის მთიულებისაგან. თათარმა იმ იმედით, რომ შევეფარები ალავერდის ციხეშიო. თავი დაანება ციხეს და გაიქცა ალავერდისაკენ. თუშ-ფშავ-ხევსურები მისდევდნენ უკან ხოცვით. ალავერდშიაც ეს ამბავი ზღებოდა ამავდროს. ის ციხეც აეღოთ, იქიდანაც გამოსულიყვნენ თათრები და წამოსულიყვნენ ბახტრიონისაკენ. ორივე ციხეებიდან გაქცეულნი თათრები შეიყარნენ ალვანის მინდორში. თათარი მოემწყვდია შუაში. აქ შეიქნა უღვთო, უწყალო ქლიტა თათრებისა.

იმოდენა ეხოცათ თათრები, სანამდის ერთი თათრის გვამი ყირამალა არ დამდგარიყო თათრების მკვდრების გროვაში. მაშინ ზეზვას შეეჩერებინა მტრის ხოცვა, რადგანაც გვამის ყირამალა დადგო-

მა ცოდოთ მიაჩნდათ. იმ ალაგას, სადაც თათრები ამოწყვიტეს, ეძახიან ეხლაც თუშები გაწყვეტილას.

...თათრები, რომელნიც სცხოვრობდნენ სოფელ ახტალაში, მაშინდელნი დარჩენილნი არიან. ...მეფე ლევანს მიუცია თუშებისათვის ალვანი ბახტრიონიდან ტახტის ბაგირამდინ და ფშავ-ხევსურეთისათვის კი--- მათივე თანხმობით—ნადავლი.

108. ზეზვაის ცხენის საფლავი

ბახტრიონის აღების შემდეგ, თუშებს და ფშავლებს მეფემ მიწებით დასაჩუქრება დაუპირა. ფშავლებს შირაქი ერგოთ, თუშებს კი ზეზვაის პირით გაწეცხადებინათ, რომ ჩვენი ის ადგილი იყვეს, რასაც ზეზვაის ცხენი ერთი შემორბენით შემოურბენსო. ცხენს დიდი განი აულია, დაღლილა და მომკვდარა. დიდი ამბით დაუსაფლაკებიათ და მას აქეთ ხალხი ამ ცხენის საფლავს პატივსაც სცემს. ვისაც უნდა რომ ცხენი შერჩეს და ცხენებში ბედი ჰქონდეს, ის ზეზვაის ცხენის საფლავზე სამღვთოს იხდის დღემდე. განსაკუთრებით თუშები, ფშავლები და ხევსურები ამ საფლავს ისე არ გაუვლიან, რომ არ ჩამოხდნენ და შესანდობარი არ დალიონ ცხენისა და იმის პატრონის გმირი ზეზვაისა.





ქიოლა და მთრეხელი

109. ქიოლა და მთრეხელი

აქნამდე. ლუღუშაურო,
სკამს იჯე ერისთვისასა,
აეხლა გამისხორიგდი,
წსახურს გაფერებ სხვისასა.
არ გაუტიე მთრეხელი,
ქევს მიმავალი დისასა.
ცხენი მასთხოვე, გიბოძა,
მშვილდს რადალ სთხოვდი რქისასა?
— „მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა,
ნაპირის ადგილისასა;
გზა ყველაისად სწორი ას,
რად არ გამიშობ, ღთის მადლსა?
მგონიხარ ნახალიზარი,
ყამს თუ არ იყავ მტრისასა“.
არ დაიშალა, გადასწვდა,
მკართ ნაღებს მშვილდსა რქისასა.
„გახლავარ ლუღუშაური,
არ დაგიფერებ სხვისასა“.
გულს დახკრა, სხვაკე გაღვარდა,
ფალავანს აჩხვატისასა.
„კარგა ხანს სჭამე აჩხვატი,
ეხლა მე გაკმევე მიწასა“.
გამაბრუნდების მთრეხელი,
დაელნებას ღვაგ ცისასა;

მოზღვევენ ლუღუშაურნი,
 განრისხებას ღგონ ხთვისასა.
 მიღმართა ყოვლაწმიდასა,
 დედას მშობელსა ხთვისასა;
 კარნ არ დაუხვდეს ღიანი
 ნაგებსა დედუფლისასა.
 მივა და შიხვეწების
 ძმისა მამკლავი ღისასა:
 „დაო, ვერ შემინახავდი?
 ცხონებას შენის ძმისასა!“
 — „წამოდი. შავო და ბნელო,
 თუ სულს ვაამებ მკვდრისასა.
 ნუ მახკლავთ, ჩემნო მამულნო,
 ნაჰაპნს ნუ მამჰრით თმისასა!“
 კარისას არ გაუტივნა,
 საკემით დაუკვრენ ისარსა.
 ამბობენ ჩამაქცევასა
 ახალციხურის კლდისასა,
 თან ჩაყოლასა ამბობენ
 ქერბელელის ძისასა, —
 ვერ შეინახა სტუმარი,
 ვაი ვა დედას მტრისასა!

110. შიოლა ღუღუშაური

ცხენს ხკაზმებს მიქელიშვილი:
 „ცხენ, დავდგათ ჯუთის გზაზედა;
 ზოგეფა მამუკაური
 ბერდია პირობაზედა;
 შიოლას ლუღუშაურსა
 დილას მიუღგათ კარზედა!
 სტუმართად კარგსა იტყვიან,
 მაგვეგებება გზაზედა“.
 კარი საკარგ-ყმოდ დადვიან,
 — ვინც ურეკებდა ფარზედა.
 კელზედ დაიკრავს სამკლავეთ,
 ჩაჩქანს იხურავს თავზედა.
 კელი გაიკრა ფრანგულსა:

„მადეგით შიოლანზედა!
 ორი გაწოვის დედამა,
 არა გაგწირა ერთზედა“.
 შიოლაისა ნაქნარსა
 ველარც ვინ იქმოდ თემზედა.
 შიოლას ღუღუშაურსა
 დაჯდომა უღირს ჯარზედა.

111. შიოლამ ღუღუშაურმა
 წამოგვაკეტის ძალიო;
 ჩარკუჩას მოგვაწირვინა
 საციხედ ნაზიდნ ქევანო.
 გემრე ცხენს უთხრა ბურდულმა:
 „აწ გადავლაქნათ მთანო.
 მაგვივა ბაბურაული,
 ჩავიდათ ქევის წყალზედა“.
 საკარგმყო დადგეს ქვესურთა:
 „შიოლას ვინ სცემს ფარზედა?“
 — შიოლას ბლოელ ბერდიამ
 შამუარ მარჯვენაზედა;
 მოკლიამ გააპრიალა,
 შუქნ გადიყარნეს მთაზედა;
 მოკლიამ ჩამააცვითა,
 სისხლი გაწითდა ტანზედა.
 შიოლა გაწითლებული
 გაწირა ქევის წყალზედა.
 ნუ უღალატებთ, ქვესურნო,
 ქალ აურჩიეთ თემზედა.

112. გადმოცემა შიოლა ღუღუშაურზე და მთრეხელზე

„შიოლას ბეგარ უზიდნავ გუდამაყარით, მთიულეთით, ოსეთით, მარტო გუდამაყარში ჯალაბაურს არ მიუცავ ბეგარი, ძალ შამაუთვლავ შიოლასაიდ. მისულ კაცისად უთქომ, რომ შიოლას ეგრე მითქვიდე: თვითონ გამობრძანდი და ჯალაბაური მოგცემს ბეგარს, როგორც შენ გინდაო“: გაჯავრებული შიოლა ამდგარა და წამოსულა ჯალაბაურის დასარბევად, მაგრამ გზაში შეხვედრია არხოტელ ხევსურს მთრეხელს, რომელიც ათენგენობის გამო გათხოვილ დასთან მიდიოდა სტუმრად სოფ. სიონს. შიოლას მოუნდომებია არა მარტო

ცხენის წართმევა, არამედ მშვილდ ისრისაც. მთრეხელს არ დაუნებებია და შემოპკედომია შიოლა. ამის შემდეგ მთრეხელი წასულა „წყეულს ციხესთანით არ შემოუძახნიაო: აბაო, სნოველებოო, შიოლა მოგიკალითო!“ გაცეცხლებული ლუღუშაურებისაგან თავის დასაცავად მთრეხელს სოფ. ახალ-ციხის ყოვლადწინდის ეკლესიაში მოუწოდებია თავის შეფარება, მაგრამ იგი დაკეტილი დაჭვედრაია. „კლიტე ვერ გაუტეხავ, მშვილდიც იმ კლიტის ისრის დაკვრის დროს გასტეხივ, გადამხტარ და პირდაპირ შიოლაის დის ბანზე მამკდარ. ქალს ჭერ ტირილ დაუწყავ, რომ ძმის მამკლავ უნახავ. მემრე იქავ დაღნანებოვ, შაუნახავ სახლში მთრეხელი. მოსულან ლუღუშაურნიც. ქალ კარზე დაზდგომივ: სტუმარიავ, ნუ მახკლავთავ. მდევართ არ დაუშლავ. მთრეხელს რო შაუტყოვ მკვლენავ, გარმახტომივას წინ ლაშქართ, უთქომ: აბა, თუ თქვენ ხალხი და ვაშკაცები ხართ, უიარალოს კი ნუ მკლავთ, ერთი მშვილდ-ისარი მამეციით ქელში და მემრ გაიგებთ, თუ ერთი გადამჩებით... რაიღ გავაგრძელა? დახკრეს ისარი მთრეხელს. ქალმა მამულნი მისწყვიენა: სახლში სტუმარი მახკალით, დაიცათ, წყეულნო! არ შეგარჩინთ! ერთხან ხო იქნების, მომივას ქმარიც შინ. ქალმ სოფელი შაყარ, აიღეს მთრეხელი, წამოიღეს არხვატს. შიოლას დამ, ქეერეთ ზალმა, დაუყენ წინ მკვდარს მთრეხელს ქორა თავის კარი, სამთრეხლოს მთამდი მახყვ, მთაზეით დაბრუნდ: უთხარ მთრეხელს: „ღმერთმა გაცხონას-მთრეხელო, სტუმარო, ჩემს სახლში დახარჯულო! მალე კი ამავიყრი ჩემ მამულთ ჯავრს“. ამ ქალის ქმარი, ქე რ ა, ამ დროს სანადიროდ ყოფილა. დაბრუნებულს მოკლული ვაცი მიუტანია. ცოლს ამბავი დაუხვედრებია და დაუფალებია თავისი ძმის მოკვლა—ცოლის ძმას აბა როგორ მოკვლავო? უპასუხნია ქმარს. — არ მოკვლავ და მე შენთან ცოცხალი ვერ ვიქნებო. ცოლის დაჟინებული მოთხოვნის თანახმად, ქმარი წასულა სნოს და დაბრუნებულს ცოლი მოუტყუებია: ვერ ვნახეო. ცოლი არ მოჰშვებია. ქმარს მეორედაც ისევ უქნია. მაშინ ცოლს მკაცრად განუცხადებია: „რჯულის დაკარგვას, ხალხში უქედოს სიარულს იქავ ძმის სიკვდილი მიჩჩევ, ქე რ ეთ გვარს ხალხში აღარ გაგევალისთ, ხალხ გეტყვისთ: სტუმარი სახლში მაგიკლესთ და ვერაი ხქენით. მაუკლავად არა გვეშველების“. დაღონებული ქე რ ა ადგა მესამედ და მოკლა ისრით ცოლის ძმა სნოში. ახლა ამან გამოიწვია ლუღუშაურთ მხრით სისხლის ძიება, რასაც შედეგად სამ-სამი მკვდარი მოჰყვა: სამი ქე რ ეთი და სამიც ლუღუშაურთი. „ეს ამთვენ კოცა სრუ სტუმრის მოკვლამ მაიყოლა... ეს ქალის ძმა, რომელიც ქე რ ამ მკლ, იყო მთრეხელის ისრის დამკრავი და მამკლავი, შიოლას ალალი ძმა“.



ზურაბ ერისთავის ციკლი.

113. ზურაბის ჯავრი

ზურაბს ჯავრი კლავს ორისა:
ქვესურეთისა, ფშავისა.
ქვესურეთ ჭორმეშავისა,
ჭორმეშავ კლდისა შავისა,
შიგ მდგომლის მარტიასა,
კმალ-სისხლიანის ვაჟისა.

114. ერისთობა ქვესურეთში

ქვესურეთშია, ზურაბო,
ვერ იქამ ერისთობასა.
გაგიწვრილდების კისერი,
ვერ შესძლებ ქვეითობასა.

115. ზურაბ ერისთავი

ზურაბისთანა ბატონი
ვინლა გამოვა ხმლიანი,
განჯა მირანა ამტკრივა,
დღესაც კი სახელი არი.
იმის ნანგრევებ სოფლები

ოხრათვე ყრია ტიალი.
 ზურაბ მობძანდა ქალაქში,
 სუერთიან მიეგებენ,
 თავადი და აზნაურნი,
 შეყრილი არაგვიანი,
 უბძანა,—ხმას ნულარ გამცემთ,
 გული მაქ ბოროტიანი,
 ერთი ურჯულო ბელადი
 დამიხვდა ყაწიმიანი:
 „ასლამ რათ მივცემ ზურაბსა,
 რა ჩემი ბატონი არი?“
 იმის ციხე დაამგროეს.
 სევი აამსეს ქვიანი.
 იკვებდა: „ციხე კარგი მაქ,
 კარი აზია კლდიანი“.
 მაგრამ ცოლიც კი წაართვეს,
 ზურაბ ბატონის ტყვე არი.

116. შენ ერისთავო დიდის მთისაო,
 წყალი ჩაგიდის არაგვისაო,
 არკი გეტყოდი ჩემო ბატონო,
 ყიდვა ნუ იცი შენის ყმისაო,
 ბევრი გაჰყიდე ქალი და რძალი
 გარდახატული თვალწარბ თმისაო.

117 ზურაბის გალაშქრება სევსურეოზე

დუქეთ იყრების ლაშქარი,
 არ ერგებიან გზანიო,
 სასმელად არ ეყოფიან
 ბაზალეთურნი ტბანიო.
 სადგომლად არ ეყოფიან
 თრიალეთურნი მთანიო.
 ქვეით ლულის თავ მოვიდა,
 ნაკარვებს .— ცხენოსანიო.
 ბაცეს სუმბატას მიუდგეს:
 „სუმბატავ. შინა ხარო?“

„შინა ორთ ბიძა-ძმისწულნი,
სამნი გეტანიან სხვანიო,
სკამზე გვიწყევლის ისარი,
გამოვა ჯოჯის ცალიო“.

ჯერე ფარ გამაიყოლა,
მემრე შიშველი კმალიო.
ბაცეს სასისკროდ ატირდა
აქეს ჩაბაკის ქალიო:

„მიშველეთ, ჩემნო მამულნო,
მტერმა მამტაცა კარიო,
მამიკლეს თათარ-ქართველთა
კევსურთ მემეტე ქმარიო“.
საკამატვილოს წამოდგეს
ცხრანი ძიბლანი ძმანიო:

„არ გამოგვისხნეთ დარნითა
შუქო, თამარო დანიო“.

კვათეს ჩაყარეს ისარი,
დილა რო ცამა ნამიო.
კიბეს ჩაწურეს ლაშქარი,
რო საკალმახე წყალიო.

ვინ იქუ ლორღლოვანასა?
გაგიწერ კარატის ჯვარიო!
დაჯუბებულსა ლაშქარსა
შენ ვასწავლენ გზანიო.
გუდელას დაჯდა ზურაბი,
ატირდა ეგრ რო ქალიო:

„დამაკლდა სთვალავშიგა
სამოცი კმალოსანიო“.

„გაიქეც, ერისთვისშვილო,
მოგდეგენ კევსურთ ყმანიო,
თორ კიდევ ჩაწითდებიან
კეოს გორ ქცეულანიო...“

აგერ ლულის თავს გახენე,
მძიმე გადმოდგა ჯარიო“.

რბოლით დაკრიფნა ზურაბმა
გძელნი არაგვის გზანიო,
ჩარგლის კართ დახვდა მშავლები,

აყოლეს სისხლის კვალიო.
ცოლი ეტყოდა ზურაბსა:
„რად არ მოგიღეს მკვდარიო?“.

118. წულიანი ლოკინი

ღულას თავ კელით ირჩევენ,
ვისაც ფუნჩია ხქვიანო.
კაცი მასტყუედი, აბაო, '
ჭინჭარაულო ჰქვიანო:
შენ დააბრუნენ ქევსურნი,
დართულნი, ფარ-აბჭრიანნი.
ახლის ხკიდავის ქუდ-ნისლა,
საძახებელა ტიალი.
ქმან ჩაგიყარნეს აქესა,
დადგ აქელების გრიალი.
ჩამაგეწივნეს, ზურაბო,
დღე დაგიღამეს მზიანი,
ჩაგიღეს აკუშოს ძირა,
ლოგიან ჩაგიდგნეს წულიანნი.

119. ომი აკუშოს

აკუშოს ლაშქარ მავიდა,
ქმა ლიქოკ ჩავარდებისა.
ქავის კარ ნასხდომთ ახალთა
მუკლებს ქარ შაუჯდებისა.
სომეხასა და მინდოდას
წინ ვერვინ დაუდგებისა.
აკუშოს ლელეს შამაკდეს,
ქართ უღელ დაედებისა.
კალოთ გორ ჩამამდინართა
ისართ დასცეითნეს ყიანი.
უქას აწითნეს წისქვილნი,
აკუშოს თავნი კლდიანნი.
ზურაბ ჩატირის ჩარგლის კართ,
როგორც რო ქალი თმიანი.

მსახურებ ეუბნებიან:
„ზურაბ, ვერ იყავ ჰკვიანი“.
აკუშოს რად მიხვილოდი?
ჯვარი ხყავ დობილიანი.
მოგდიეს ვან-ქევაძელია,
მშვილდნი მოქეხდეს რქიანნი,
მოგდევედესთ, მოგაწუხებდესთ,
კმალნი მოწკეპდეს ფხიანნი.

120. ზურაბი და სამხარაული

ბევრჯერ ეომა ზურაბი
მა ქუდნისლაის გორსაო,
ებძოდა, ვერას შჩებოდა
სამხარაულსა ლომსაო;
სამხარაულის ლაშქარი
გაჩვეულია ომსაო.

121. ადგომამც იყვა

ვიყვენით ცოტინიკანი,
ადგილ გვეჭირა კმლითაო.
წლით მოგვდიოდის ლაშქარი.
ძაღლისა ზურაბისაო;
ვკოცალვართ სიუჰკოვითა,
ისივ ადგომამც იყვაო!

122. მარტია მისურაული

კორმეშავ ქალებ ტიროდა:
„ქმოსტში წვიმს, აქაც მოგვივა.
გაზაფხულ რახან მოვიდას,
მარტია ველად გაგვივა;
სახელის მოყვარული ას,
შინ რაით აღარ მოგვივა;
მითხოს საჰიდელს ჩამახტსნის,
სანეს საკარგ-ყმოდ მოგვივა“.

123. მისურ აული

კაცი გამოვა სანესა,
წვერს გაძაივლის კლდიანსა.
ეფიქრებოდა ზურაბსა:
„ეგ რაით მიზამს ზიანსა?“
ნეტარ ქრთამს ვერ მივსცემდია
მისურაულსა კმლიანსა?
ალაველ ვაკეს ჩამუჭდა,
მშვილდსა დაზინა რქიანსა.

124. კაცი ბეგენგორ წამოდგა

კაცი ბეგენგორ წამოდგა,
— ზურაბ სანეში ჯდებო.
როშკას ატირდეს დედანი,
ხმა ხევსურეთში ტყდებო.
უთურგი მეწყინაის ძე
ხევსურთ გულისად კვდებო,
ამლას ესხლიან ცოლშვილნი,
მაგას რა წაუხდებო.
ლივასა გულდიაურსა
ტანს სისვი სკლატი ხდებო,
ხმლითა სცემს ჩდილელის შვილი,
— „აქ მოდევ“, ეუბნებო,
კაბას ხდის პაპიაური,
— „ახიელს მომინდებო“.
ყაწიმიანნი კვესურნი
გძელ კლდესა იმალებო.
ერჩიყო აზნანდ მალვასა
ხარხოს ეკირა მხარიო,
უთურგი არ მოეკვლია
მეწყინაის ძე ხარიო.
ღულის თავს მოგწვდა, ზურაბო,
ლომნიურის ძის ხმალიო.
მოკლედ მოხყეები ყმაწვილი,

ხადუველთ მეომარიო,
ლარაქიმთ აპარეკაო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო.
ღულის თავს კარგათ უჭირე
ლომნიურის ძეს მხარიო.
ხარხოს უნდ შევხოციყვენით,
გვაშაირებენ ქალნიო.
ამაგ სიმღერის მათქვამი
ბახლოს შვილი ვარიო,
ბანზე არ გამომეყარნან
ერისთვის შვილის ყმანიო,
სახლთ მიდგან ხუროთ ნაგებნი,
კუთხზე მიკრიან რქანიო.

125. წერონი

ფხიტუთ მოვიდეს წერონი
მაშვრალნი შორის გზისანი.
როშკის გორ ზურაბ ჩამოჯდა.
შუქნ ჩამუტიენა მზისანი.
როშკას აწიწდეს ციხენი,
ბლოს ბანნი ქვითყირისანი:
„გვეშინის. დაგვეცემიან
ნაზლობნი საძელისანი“.
—„დადეგ, დაგვექსენ, ზურაბო,
ნარჩომნ ორთ შენის კმლისანი
თორ ჩვენაც შამოგეცდებით,
მესხნი ჩვენაც გვყონ წყლისანი;
მაგვიკლენ პირ-იქითითა
ნაპირის ადგილისანი“.
თან მახყვეს ქალუნდაურსა
მამუქას შუქნი მზისანი,
ბეგენ-გორ ჩამოეწივა,
ყმან ჩაჭრნა ზურაბისანი,
ამანდით ამბარუნვილმა
სამანნ ჩახყუნდა ქვისანი,
რომენიც გარდააქცევდა
ცოდვან მახკიდნა კმლისანი.

126. უტი

როშკის გორ დაჯდა ზურაბა,
შუქნ მზისან ჩამოუტიენა.
ამაგით გითხარ, ზურაბო:
„ქვესური კაცი უტია“.
აგერ ბეგენ-გორს გახენე,
— ფუტკარს ღვაგ, გამოუტია.
ქალუნდაურმა ფრანგული.
ქარქაშით ამოუტინ,
კმლითა სცა ზურაბის ჯარსა,
სისხლმა სიმურში უწია.

127. ზურაბ ერისთავის გაქცევა

აკი გითხარა, ზურაბო,
ფშავლების კელი სენია,
ორწყალჩი დასდგი კარავი,
ორხაო გაგიფენია!
წამოგაფრინეს ფშავლებმა,
ღღე დაგაყენეს ცხელია.
კართანას გადასეესა,
მსახურთ გიკიდეს კელია,
ჯიჯეთის ყელში რო შაჰკე,
იქ შოგაგონდა ცხენია.

128. ზურაბის ლექსი

ზურაბ უბძანებს ლაშქარსა,
ამოთ ვიღინოთ წყნარადა,
ფხიტურის წვერზე შამოვხდეთ,
რაზმი დაეწყოთ ჯარათა.
მიქასა შარვანაულსა
ვერვინ ჩაუვლის კარადა,
ავნი ჰყავ ბიძა-ძმა-შინშნი,
ვერ გამოვრეკავთ ძალადა,
ბევრი აქვს ტყვია, წამალი,

ჯორი ვერ ზიდავს ცალადა. :
წვრილი უწება ისარი
მკვდარს ჩაგვიყრიან ჩალადა...
— ზურაბ, შე ერიძთვიშვილო,
რა თავი გედიდებისო,
გვიხოცავს აზნაურები —
— ყორნები ეზიდებისო!...
ბადუნავ თლოშიაურო,
პირიმზემც გრისხავს ჭვარია,
დაგვთხარე სამარიდანა,
ცოლშვილს დაგვიჰერ ყელია.
ნეტა-რა აღარვინ იქმნას
ყმა შურის მაძებარია,
გაჩნდეს და ნურც გაიზრდება,
თუ ვერ მოძებნოს შურია.

129. ჭრელა ნადირიშვილი

ერისთავ შახყრის ლაშქართა,
ტყეს ფათელად-გადასწვდებისა;
შამაუყენა არაგვსა,
ფხიტუს მთას გარმაქდებისა;
ოსაურ გადმიაარეს,
როშკის კორკ დაგროვდებისა.
ერისთავ ეტყვის ლაშქართა,
რაც ჰქვაში მაუქდებისა:
„როშკის გორ თეთრი ციხეი-
ჩვენ ძალზე შაგვიდგებისა;
ნადირიშვილი ჭრელაი
შიგ რაით შაგვიქდებისა.
ენა ვბკრათ საბალითები,
მთის კაცი ვერ მიხვდებისა“.
ჭრელამ შაუტყვა ლალატი,
ციხეში შაუქდებისა.
წელზე კმალი სრტყავ ფოლადი,
თოფს ტყვია მაუქდებისა;
ვაკისას არ გარმაუშენა:

„ჩემს როშკას არ მიკლებისა“.
ვაკის ძირ გარმაიარეს,
კარკოა წყალს გამაკლებისა.
ბეკენა-გორ ქალუნდაური
ყორნის გრილოვებს ხყევებისა.
კმლით უთხრით, კვესურთ შვილებო,
ადგილი ჩვენ დაგვჩებისა“.
კმლითა სცეს კვესურთ შვილებმა,
სისხლის გუბ-გუბი დგებისა!

130. მიგრის ტყავი

ქალმა თქვა: ვიტყვი სიტყვასა,
ძმათ თუნდა მამკრან თავიო,
გადმოდის საძელეზედა
თავ უჩინარი ჭარიო.
ელია-წმინდას დაქუჩდა
ქუჩუმიანი ფარიო.
დასცნიან გათენებისას
ქმოსტსა და როშკას ცანიო:
როშკის-გორელთა ციხეთა
ჩაიცვეს მიგრის ტყავიო.
შოგ ნადგომმ ახალ ვაეებმა
დააყრევიეს მკვდარიო.
არ გადმაუშვეს ვაკისას,
წვერისას დასხნეს გზანიო.
„ჭერე ჩვენ ვაქმევთ სადილსა,
მემრ მოკლედ კვესურთ ყმანიო
მოგვივლენ ჭერე ღულითა
კრელაის შვილნი, ძმანიო.
მოგვივლენ გუდანელები,
ხვადებმ მაილა ჩქამიო.
ომათა ნათელისძესა
მოხყვა გუდანის ჭვარიო.

131. ქერაულ-ქიზბარაული

გორ-შელმ წამაე, ზურაბო,
ნახენ ქერაულნ ყმანია
მაშინ მახვიდი, ზურაბო,
ერთყას უნცროუს კმალია.
უნცროსსა ქიზბარაულთას
არ აუტანავ ფარია.
ზენ-უბნით ჩამაემართნეს
ქიზბარაულნი ძმანია
კვათეს ჩაყარეს ლაშქარი,
კოცეს ზურაბის ჯარია.

132. არ კი ვითხარა, ზურაბო,
ფშავლების ხელი სენია-
აფხუშელთ გამოგაქციეს
დღე დაგაყენეს ცხელია.
სირბილით გამოგავლიეს
ჩარგლის კალაი გძელია.
კართანას გადმოსეესა
მსახურთ გიკიდეს ხელია.
თვალივის ველში ჩამოხველ,
იქ მოგაგონდა ცხენია.

133. ომი ორწყალში

ერისთავ შახყრის ლაშქარსა,
კანჭის ქედს დაგროვდებისა;
საკევეს-ურეთოდ ღგულავის,
არაგვზედ შამადგებისა,
აკუშოს წინ-წინ მავიდა,
კმა ლიქოკს გავარდებისა.
სომეხასა და მინდოდას
მუტლებს ქარ შაუჯდებისა.
აკუშოს დელეს შამოკდეს,
კართ უღელ დაედებისა.
კალოთ გორს ჩამოდიოდეს,
შუ ვაჩე ჩაუდგებისა.

— „წუნარად ვიდინათ, სომეხა,
თორე გ'ჩა ჩაგვიგძებისა;
ფშავის ორ წყალში ჩავიდათ,
მანდ ომი მაგვიკლებისა;
მანდ მავლენ ფშაველ-ქვესურნი,
ზურაბიცი მაშაედებისა.
იანვარ წოწკოლაური,
მშვილდ, ძალზე გეზიდებისა;
ელიზბარ ფოცხვერიშვილი
„კმალ, გაკერ!“ გეუბნებისა.
ერისთავის აზნაურებსა
ყორნებ პწკლით ეზიდებისა.
იოფას დაუბარებავ:
„ჩემი ნულარ აქვ ლოდინი,
მე-დ' სარუმს, მაგის ხუცესსა,
ორწყალში გვიდგას ლოგინი“.

134. აზნაურების კოცა

ბედიანაიმც დაჯდების
ლიქოკ ლიქოკელთ ჯარზედა!
სათავეს უსხენ უფროსნი,
აძრახლებიან ჰკვაზედა.
ბოლოში უნცროსებ უსხავ,
კელებ მიუდის კმალზედა.
უქოცავ აზნაურები
დაბლა აკუშოს წყალზედა.
უქიდოდ არ გაივალის
იმ სისხლის ალაზანზედა.
ცხენთა შამახკდა მკერდზედა,
მკედართა — უზანგაზედა.

135. ზურაბ, რა უევენ ლაშქარი

ზურაბ, რა უევენ ლაშქარი
ნაკრეფნი შვილის თვისანი!
ჩაუშვენ მათურაშია.
თვალნი გაგიწყრეს ხთისანი,

დაგიბედეს ფშავლიშვილები,
არწივნი მალლის მთისანი,
შამოგეწივნეს მთაზედა,
გაწითლებივნეს ქვიშანი!...

136. ზურაბის ცხენი ტიალი
ქერსა არა ჳამს მთისასა,
წავა და ბართ მაუტანს,
ჯავრსა არა ჳამს მტრისასა.
აგებ ჳავრს ამოვიყრიდი
ფშავში ლაშარის ჳვრისასა..
137. თიანეთს ქალებ ატირდეს,
ლიშოს თავს წყემსნი ცხვრისანი,
არაგვზედ ცოლი და შვილნი
არაგვის ერისთვისანი:
დილაზედ ჩამოგვეტივნეს
პირ-შავნი, ლომნი მთისანი,
თავი სჳრეს ვაცსა და ვერძსა,
აწითლებივნეს ქვიშანი,
ერისთავს ემართლებოდეს,
ვაჰ ბრალნი მაგის ყმისანი...
138. ახადს გოდერძის ციხეო,
სამუქარო ხარ მტრისაო,
მოგადგენ ერისთვიანნი,
ლიბოს გითხრიან ძირსაო,
შენგნით ქალს გადმაცივენენ,
ყელი ჩამოაქვს მძივისაო,
ჩამოჰყავ ახადეს ძირსა,
ცრემლით მოჰბანენ პირსაო.
გეტყობა. ქალო ბეჩავო,
სიყვარული გაქვს სხვისაო.
საქმარო ჩვენც გვეშუება,
მსახური ერისთვისაო.
ბერიკა ეუბნებოდა
ცოლსა, დედასა, დასაო:
— ეხლაც რომ ჳარი მოვიდეს,

აღარ ვიცოცხლებ თავსაო,
არავის წავაყვანიხებ
ჩვენის გოდერძის ქალსაო.

ბერიკა ხადუხიშვილი,
ხე ალვად ამოშვებული,
ერთ მუხლად ახადს გავარდა,
ყაისტოდ გამოშვებული,
შვიდ ლიტრა ჯაჭვი ტანთ ეცვა,
საყელო გადაშვებული,
ახადს გოდერძის ციხეო,

კი მოგადგენნა კარზედა!

თუ ეგრე მალე გაგტეხდეს,
ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა!
შენგნით ქალს გადმაიყვანდნენ,
ცრემლებს ადენდენ თვალზედა.
ნუ სტირი გოდერძის ქალო,
ანანურს დაგსმენ ჯარზედა!”

შემოხვდა თხის ტყავიანი,
ამბავსა ჰკითხავს გზაზედა:

— ეგ ქალი საით მოგყავისთ,
ცრემლი რომ მასდის თვალზედა?”

— ეს ქალი ახადით მოგვეყავს,
ანანურს დავსომთ ჯარზედა.

— ვაიმე, რა ონავრ გიქნავსთ
ლაშარის ჯვარის ყმაზედა.

თუ ეგ ქალ წავაყვანიხოთ,
წვეერიმც ნუ მსხმია ყბაზედა!

— ნუმც შამიშვებენ სამოთხეს,
სწორნიმც ნუ დამსმენ ჯარზედა!”

შვიდთ იმათ, მარტომ იმანა,
ხელებ გაიკრეს ხმაზედა;

ახტა და შემოუბრინა,
თავ გასჭრა საჩქაროზედა;

უცურდებოდა ფეხები

სისხლისა ნაგუბარზედა,
 იმათის სისხლის ნაწვეთი
 გადასდიოდა მკლავზედა.
 ჩამოდიოდენ ორბები,
 ყორნები მუქარაზედა.
 თავის ხმალ ქალსა შეარტყა:
 — მშვიდობით, დაო, გზაზედა.
 ნუ იტყვით ჩემსა სახელსა,
 ვიყვნოდეთ და-ძმობაზედა..
 თუ ვინა გკითხოს—უთხარი:
 მტერს ქალმ თავ-გავკერ გზაზედა.
 გაგზავნეთ მახარობელი
 არაგვზედა და ქსანზედა,
 ახარეთ ერისთვის შვილსა,
 შვილნ სოგრიდიან გზაზედა.
 შაბათ დღესა ქენ ქორწილი,
 ხალხი დასოდი ჯარზედა.
 თუ შვილთ დაღევა ვერ გასძლო,
 გულ დააბჯინე ქვაზედა.
 უწინ სად გაგიმარჯვებავ
 ლაშარის ჯვარის ყმაზედა!
 მე ჩემი უბედურება
 დმერთმ დამაწერა ხმალზედა:
 მე მოვკალ თავის ფშაველი,
 ხმალი ვინმარე ძმაზედა.
 დამღევენ მოსაკლავადა,
 საყუჩს მიღგამენ გზაზედა.
 ნუ გეგონებათ ბერიკა,
 რო გიმარჯვებავთ სხვაზედა!
 ბევრ მონადირე დავალის,
 კარგს-კი იცნობენ კვალზედა!
 მთაზედ მომასწრეს მძინარეს,
 ხანჯალი დამკრეს მძვალზედა...
 ზურაბო, ერისთვის შვილო,
 რა თავი გედიდებო?
 მაგ შენსა აზნაურებსა
 ყორნები ეზიდებო!

139. მშაველა

მშაველავი ორ, ნუ მახლო,
ზურაბე, არ მოგცემ ზავსაო.
მშვილდსა დავზინებ ახალ-გორ,
კიდის ყურ ვაქნევ ჩქამსაო.

140. ზურაბის წადილი საარხეატოდ გალაშქრებისა

ზურაბ როშკის გორ ჩამოჯდა,
თანა ხყავ თავის ჯარიო,
ახიელ ციხეს მოხქადის,
კუთხს არ მოღგლიჯნას ქვანიო!
არ გამორეკნას შიგითა
ჯურჯიაულნი ყმანიო!
ქავთარაულთა ვაჟებსა
დაცდილი ერთყა კმალიო.
ორდანათ ხომიზურასა
არ დაგვრტეხნას რქანიო!
ალიათ ბაბლეს უძახეთ:
„ბერმა გვიჭირას მქარიო“.
შარუმამ მათურიშვილმა
ვეფხვმა დაშალნა მწკალნიო.
ამაგ სიმღერის მოთქვამი
ხიზნის პატრონიც ვარიო,
მიჰერავ ბალახურისძეს
შიშნიას თოფის ტანიო,
თავ ხიზანს ვერ დაონებე,
თვალით მიჩინდეს გზანიო.

141. ღალატით დაჯოცა სვესურებინა

ზურაბმ ხოყანა აიფრა,
ბევრს ვაჟს უტირა დედაო,

ბევრს ქალს გაუქსნა ფარაგი,
 უკბინა ძუძუზედაო,
 მეჩქარე დააგვიანა,
 აუბნა ნებაზედაო
 უბარა ლუღუშაურსა,
 კაცს მისწევს ზედი-ზედაო:
 „ქვესურებ ჩამომივიდან,
 კინც ომში გამადგებო, —
 მშაველა ჯინჭარაული
 ნიადე ნუ დადგებო!
 სამნაიც გამაიყოლას,
 ომს გვერდით დაუდგებო“.
 — „ქვესურებ, სამნა ნუ წავას,
 — მჭედელი დაგვაკლდებო.
 კირიმებს თოფებს აკეთებს,
 ქურთემულ გაუსქდებო“.
 არ დაიჯერა სამნამა:
 „ნათვალ ორ, არ მიკლდებო“.
 ქვესურნ არაგვზედ ჩადიან,
 ყვარან ჩახყეფდა ზედაო.
 ლერენა ცაბალუკისძე
 ცხენთ ქვეითაი ხყვებო.
 პირ-შიშველაი ყოფილას,
 თავ რად არ შასწყალდებო?
 შამეგხვიგნეს ზურაბსა
 თრუსოში სადილზედაო.
 გახუა კეთეშაური
 ქვესურთ კას ეუბნებო:
 „ზურაბს მოგიკლავთ, ქვესურნო,
 თქვენ საქმე კარგად ხდებო“.
 ქვესურებმ არ დაიჯერეს,
 ზურაბის ეტლი ღრევედაო.
 „კმლებს ნუ დაიქსნით, ქვესურნო,
 ზურაბ არ დაინდობო“.
 დასხდეს, დარიგდეს ქვესურნი,
 ზურაბ მეღვინედ დგებო.
 ეუბნებოდა მსახურსა:
 „ჩოფინავ, რასა ღბედაო?“

„ამოდ შეექცე, ზურაბო:
 აქა გვეყვან, ვერა ხედაო?
 სამოცს თავს მოვსჭრი კვესურსა,
 თრუს.ოს ნაკვესურთა
 თრუსოს ნაკოცთა კვესურთა
 ზედ ავი დარი დეეცა,
 მშაველას ჯინჰარაულსა
 ტანს სისვი სკლატი ჩეეცვა;
 ბეჭებს აასხეს ისარი;
 ბრალია, ჯაჭვი არ ეცვა!
 აღუდი აღექსაური,
 ზურაბ, რა კერჯად მაგექცა?
 მაგიკლა პირის მეღვინე,
 თაოდ ცოცხალი გაგექცა.
 შენ მაგიქნია, ზურაბო,
 შენი მსახური შეეჭრა.
 ღმერთ.ამც ვინ გაღმარჯვებოყვა,
 კმალ-დაშნას წვერიმც მეეკრა!
 ხახონას ბერდიაულსა
 მკართ თეთრი მშვილდი გაღეცვა,
 ამაგის მოზინიბული
 ზურაბისადამც დეეკრა!...

142. კვესურებ ხინკლად ჩაყარა,
 ფშავლებ შაუნთა შეშადა,
 გაუტეხელი მოკევე
 გაიმეტ დასაჩეხადა. (ე. ი. ზურაბშაო).

143. შენმც დაგლეგს სისხლის წყალიო

შენმც დაგლეგს, ერისთვიშვილო
 ზურაბო, სისხლის წყალიო,
 თრუსოს ჩაპყარენ კვესურნი,
 ხელით არ ჩიენ ყმანიო.
 გაატეხიე დვალეთი,
 თეთრი მალლალე ცხვარიო
 თრუსოს მასხენ მაშერალნი,

დანდობით დასკერ თავიო,
რად არ სწორდი-სწორ გაუშვენ
ქვესურნ და შენნი ყმანიო,
დაუჭედ მეთვალიედა,
რომელთ უფრო სკრის ხმალიო,
ომს ქვესურნ განახვიებდეს,
ფარს ქვეშ ნაწურთნი ყმანიო.
მე დიგწყევ, ერისთვისშვილო,
რომ დაგწყევ ისრემ მოგივაო,
თვალი დაჰსთხარი ძმას გიორგისა,
გვიმც ყენში გაგივაო,
ურუნამც ბარძიმს მოგიკვლეს,
მეხმემც დათუნის მოგივაო
ზაალს წადლალავს რუსეთსა,
შინ მთელიც ნულა მოგივაო,
შენემც საფურცლეს დარჩები,
ქვესურთ გულისიმც, მოგივაო.

144. ზურაბის დაწვევლა

ზურაბო ერისთვის შვილო,
შვიდსამც წელსამც ხარ სნეული
მეშვიდეს წელსამც მახკვდები
სიმამრის კელ-მარეული!

145. ზურაბის მოკვლა

ზურაბ, თან გახლდეს მსახურნი,
ერთხან რო დაიბადეო;
ისპაანამდე გაითქვი,
ყიენთან გაიზარდეო.
ოეთი ასუქებულა,
ქარ-ცხენი ამადლალეო;
სოსლომის შვილის ლურჯაი
სიმამრსა გაულალეო;
ახლა გიბარებს სიმამრი:
„მოდი, საფურცლეს მნახეო!“

ადგა, წავიდა ზურაბი;

მორთული თავის ყმითაო;
 წამაეგებნეს ზურაბსა:
 „მოგე-ხვედ მშვიდობითაო!“
 ხილი მართვეს ზურაბსა:
 „ზურაბმ შეექე ხილსაო!“
 ჯერ სვა და ჭამა ზურაბმა,
 მემრ პირი წახყვა ლხინსაო.
 დაადგეს მოჩანგეები,
 დააძინებენ ძილსაო;
 მოუსხდეს მოლაღატენი
 ახლოსა, ყურის პირსაო;
 კმლითა სცა თუშთ მოურავმა:
 „დახკარით კახპის შვილსაო!“
 ხანჯარ ხკრა ყორჩიბაშისძემ
 ბეჟანმა გულის პირსაო.
 თუშთ მოურავსა უბოძეთ
 ზურაბს ცხენი სალარი!
 ტყავ-კაბა საგინაშვილსა,
 ქუდი ვათარის მალალი!
 ბარამ ბატონსა შახდება
 ზურაბის ქამარ-ხანჯარი.
 კაცი წავიდეს თუშეთში,
 ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი:
 „საფურცლეს მაკლეს ზურაბი,
 ძილ დააძინეს მაგარი“.
 ფშაველ-ქვესურთა უთხარი,
 წვლთით დაიქსნან აბჯარი.
 ფშაველ-ქვესურთა ქალ-ზალმა
 ძილ დააძინან მაგარი.

146. ერისთვის მცემელი

ქვესურნი ქვესურეთშია
 კმალს სატირალზე სდებენო,
 ეინაც ერისთავს კმლითა სცა,
 საბაბს იმასავ სდებენო

147. ზურაბის უსიამორო

თემურაზ ჩაეუბნების
 იმერელთ ნეფის შვილსაო:

„თუ ზურაბს მახკლავ, ქალს მაგცემ,
მონას არ დაგცემს ცხვირსაო“:

ზურაბმ ვერ იგრძნა ღალატი,
ქმალზეით ზურნას ხცნისაო.

„დახკარით, ნულარ გაუშობთ,
— იძახდეს, — კახპის შვილსაო“.

148. თემურაზი

აიმ ადგილის ჰირმე,
სადაც თემურაზ ბზანდება:
დაიცივს წითლის კარავსა,
ზედ ოქროს სვეტი დადგება.

149. შენ გენაცვალოს დედაო,
ზურაბ თავშეუდებარო,
დაჭრილო და დაკუწულო,
ზედ წამალდაუდებარო,
სიყმაწვილით სიბერემდინ
შენ დღეში დაუდგარო.

150. იმერეთს რად გამათხოვე
თემურაზ, ჩემო მამო,
ქამა მამწყინდა ლომისა,
ვაჰმე, კახურო ყანაო!...

151. დაგვლივა ზურაბის ხმალმა,
აფციურის ენამა,
წუწკურაულის ისართა
უწყალოდ ჩამოდენამა.

152. მამუკა ქალუნდაურის მოკვლა

შახფარავს გიორგ-წმინდასა
თუშთა ელვარე ფარია.
აიღეს საკვირაოდა
თეთრი მძოვარი ცხვარია.

მამუკამ ქალუნდაურმა
შორით მახკიდა თვალია,
გორდი-გორ ჩამოდიოდა,
მობუბუნებდა კარია.
აღერდის წყალშის გავარდა,
ირემმ გაილა რქანია.
შამაუბრუნდა,— ფარავდა
პირზე მზე, ბეჭებს ფარია.
შამოკდეს საფიხნოშია,
მეშველნ მაუნდეს ცხრანია
— „აქით გამიშვიტ, ქალებო
შორით მიჭირეთ თვალია!“
შამეეწია ლაშქარსა:
„თუშნო. დაყარეთ ცხვარია!“
— „ნუ მოგვდევე: ქალუნდაურო,
არ გვინდა შენი ცხვარია“.
არ დაიჭვრა მამუკამ:
„ატირდა ჩემი გვარია“.
დაბრუნდეს მექობაურნი:
შალვა, ივანე ძმანია.
ივანე თოფსა ჩაუჭდა,
გულზე დაჰხვია ალია.
წაიქცა ქალუნდაური,
ირემმა დასხნა რქანია.

ქელსა ნუ მამკრი, ივანე,
—სახელი მაინც შენია.
მკარზეით თოფსა ნუ მამკდი,
—ჭიუხში ჯიკეთა მტერია;
წელზეით კმალსა ნუ შამკსნი,
—ქვესურთად კაის მქნელია;
ტანზეით ჯაჰვსა ნუ წამყრი,
— ქერიგოს ქვიშათ ფერია“.
ნატრობდა ქალუნდაური:
„ნეტავენ ამაყენაო!
საც მექობაური სახლობს,
იქამც კი ჩამაჩინაო!
მშველელიმც დაგვიგვიანა,
ერთურთი გვაცდენინაო!

ვექობაურის ცოლ-დედას
თვალმც კი აჭერინაო!“

153. იამბე ციხის ნაშალო

იამბე ციხის ნაშალო,
რა დრო გაქ გამოვლილიო,
ვისირა აგებული ხარ,
ვისირა ჩამოშლილიო,
ერთი სთქვა ციხის ნაშალომა
ძალიან გასაკვირიო.
შალვაის აგებული ვარ,
სინისა მედგა ძირიო,
სისხლის ღერა, შვილდის ზუილი
ბევრი მაქვ გამოვლილიო,
ხევის ბერს უკურთხებივარ.
მაშინ არ იყო ღედელიო,
მოულოცია ჩემთვისა,
ნურც მოგერევა მტერიო,
ზურაბმა ერისთვის შვილმა
ვერ შემიცვალა ფერიო,
ჩემი მკერდი და კალთები
სულ სისხლით გადასვრილიო,
ალვის ხეც გვერძე მდგომია
ხევისაგან მოლოცვილიო,
ერთი ყოფილა ღუღელი
არშაურელი ბერიო,
იმან ასწავლა კატაი,
ზედ ხეზე დასაკვლელიო,
შიბი ცისაკე გაფრინდა,
წიოდან როგორც გველიო.

154. ზურაბ ერისთავი

ზურაბი თრუსოჩი მისულა. კევსურებ იქ დაუბარებავ, უვლავ
იმას ფშავჩიგა და კევსურეთი. ისე უღუბავ ფშავლები და კევსურ-
რები, როგორც კარები გაღლეწავენ კალოს. ცეცხლს თუ მაუკიდებ-

და და არაყს თუ გამაუშობდა, კაცებს მიუერთავდა შეშად, იმ მკვდრებს. მემრე თრუსოჩი თუ მავიდლოდა ოსებჩი, მონხევესად თუ უვალეზავ ლუდუშაურისად — კვესურები გადმამილაღე შენავ. წაიყვანა ასოცამდე კვესურები თრუსოჩი. მაუშადა კვესურებს სადინლი ზურაბმა. უთხრა რომა ეხლა ისხედითო და პური ჭამეთო, სადინლზე დასხა ხალხი.—კმლები სუ შაისხენითო. სულ აჰყარა, როგორც დედაკაცები უიარაღონი დასხა პურის ჭამაზე. იმან უთხრა, თავის მსახურები ხყვანდა, თავის ჯარი იქა.—ეგეები ეხლა კმლებს დაინსნიანო, თქვენ დადექით მზასაო. იმის ჯარისკაცს ექვივნა ჩოფინა. პირადად უთხრ ჩოფინას:—აბა, ჩოფინაო და აუქსნა ჯარს. დაუწყეს იქ კვესურებს კოცა იმის ჯარმა. გალუპა იქ კვესურები, რომენიც საუქეთესო ხალხი იყო, იქ ჩაკოცნა ისენი. ერთი იყო კაკმატელი კვესური ალუდი ექვივნა იმას სახელი. მამის შვილობა ხქონდა ალექსაური. იმან ზურაბს მაუქნია დანაჲ. ზურაბი კი გადარჩა და პირის პედვინე მაუქლა. სხვები დანარჩენები გალუპესა. მემრე ზურაბი მაუქლიათ საფურცლეჩი. სიმამრ ულაატა იმას, დაიპატიჯა. როცა შააწუს სალხი, და ქალი მიათხოა დაბალითებოა. დაიპატიჯა იქა, გაუშალა სუფრა, მაილო ტკბილი საქმელი, ყურძენი, ღვინო თუ რა საუქეთესო იქნებოდ. ხყვანის იმას თუშები იქ დაპატიჯებული იმის მსასკლავადა. აგაებ ეეხლა ზურაბი მოკვლას მიპირებსო და ჯარი არა ჰყვანდა იქა. ჯარი რომ უნდოდა ზურნალ თუ დაუქრავდა და ზურნალ თუ დაუძახებდა ჯარს ი ზურნალი კი კელთ რომ მიეც იმ დროს მას დახკრა თუშთ მაურავმ პირველჩი კმლით. ახლა მეოოემ კიდევ საგინაშელის ეძახდის იმას შუბლში დახკრა და მაკლეს ზურაბი. მემრე წამოვიდეს კაცნი თუშეთჩი და კვესურეთჩი—ზურაბ ნულარ გაშინებსო, მაკლესო—იმის შიშით ისე იყო ხალხი, რომ დაცებს აღარ ეძინათ.

155. გადმოცემა ზურაბ ერისთავის წინააღმდეგ მებრძოლ მიქა წიკლაურზე

სოფელ გამსის გლეხი მიქა წიკლაური ზურაბის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულა და ცოლშვილით ხევსურეთში გახიზნულა. აქ ორმო ამოულია, ზედ ქვა დაუფარებია და ამგვარად შიგ ჩაძალულა. მაგრამ ჯაშუშ თლოშიას ის გაუცია, ზურაბი მას დასდევნებია და მიქა ცოლშვილით ამოუხოცია.

156. ბადუნა თლოშიაური

ბადუნა თლოშიაური გაუძღვა ზურაბის ჯარს და მიასწავლა მიქა შარვანაულის დარანი. ბადუნა შეპირდა ზურაბის ჯარს — „მე ქვას გავისვრი და სადაც ის დაეცემა, იქ არის დარანი, თორემ მე რომ გამიგოს, სულ ამომწყვეტავსო“. მიქამ სთხოვა ზურაბს, სიკვდილის წინ მიეცა უფლება ჩონგურის დაკვრისა. მისცეს უფლება და სთქვა ლექსი „ბადუნავ თლოშიაურო პირმზემც გრისხავდეს ჯვარია“, რის შემდეგ მოჰკვეთეს თავი. ეს ხდებოდა ქონების და უფლების მიზნით ერთი პირისა მეორეზე.

157. წიკლაურები და ბექაურები

ზურაბმა რომ შეაწუხა ხევსურები თავისი ჯარით, მაშინ გადმოვარდა ორი ძმანი ამ ხეობაზე, ერთს ერქვა სახელად ბექა, ერთს — წიკვა. წიკვა უფრო ძლიერი იყო ბექაზე ღონით და ბექა — კი უღონო. ბექას ჯავრი მოსდიოდა თავის ძმაზე და ყოველთვის მტრობდა. ერთხელ ხატობაში ყოფნის დროს მოუვიდათ ჩხუბი და შემდეგ ასე გადასწყვიტეს: „გავკვეთოთ ძალლი შუაზე და გავშორდეთ ერთმანეთსო“. გაჰკვეთეს ძალლი და სთქვეს: „ერთმანეთს ქალიმც გვრგებია“.

ამ ორი კაცისაგან წარმოიშვა ეს ორივე გვარი.

158. ბურეკურები და ზურაბ ერისთავი

ცხრა ძმანი იყვნენ კეცესურები. ზურაბ ერისთავს ყავდა ჯარი. დაიპყრო ყველა ხალხი, მაგრამ ეს ცხრა ძმა ვერ ჩაიგდო ხელში. ციხე ქონდათ. შემდეგში თქო იმან: — მე ვინც ამ ხალხს კელში შამიყრეინებს, ფეხზე დავაყენებ და ოქროთი დავფარავ. მერე თქვა იმათმა მამიდამ:

— ეს ოქრო ბევრია... გავცემ ამ ძმისწულებს.

უთხრა ზურაბს:

— შენ ცხენებს ნალები უკუღმა დააკარიო.

მერე უთხრა თავის ძმისწულებს:

— წავიდა ძალლი ზურაბი, აღარ არი აქაო. გადით გაძნიავდითო.

გამოდრიოდნენ თითო-ოროლა. ნახეს, არავინ არის. ნალებით ნახა ყველამ რომ წასულა ძალლი ზურაბი. ჟღარატი ქნეს. ზოგი ბანაობს, ზოგი წევს, ზოგმა იარაღი აიყარა. მემრე თქვა ი ძალღმა ბებრმა:—ეხლა დააწყვეს გულიო.

გავა ზურაბთან:

—ეხლა ესენი გარეთ არიან, დაატანე კელიო.

დეეცნენ. რალა უნდა ექნათ? მემრე, ექვს მააქრეს თავი, სამი დაადდეს და მოხარშეს ძმის ხორცი და იმ სამ ძმათ მიუტანეს. უთხრეს ქვესურთ:

— ქვესურო, როგორია ძმიე ხორციო?

— ისე შენ დაჯბერდი, შენ როგორც ძმიე ხორცი გემრინელი-აო. უთხრა ზურაბმა:

— დააყრეინეთ თავებო.

მერე თქვა ზურაბმა — მოიცა, ესენი მაგარი ჯიშისა არიან, გამოგვადგებიანო. ერთი აქ დადგა გვიდაქეს, ერთი ახალციხეს, ერთი ტონჩას. მერე რა ნახა ზურაბმა:—აა, ეს ძალღები, ზურგი ზურგს მოუფარებიათო და ისევე ერთ-ურთის იმედს არიანო. ამ სამი ძმის მონაგარი არიან მთელი ბუჩუკურები.

159. ზურაბ ერისთვის დალატი კვესურებისადმი

თეიმურაზ ნეფეს კა ქალ ხყვანიყვ დარეჯანი. ის ქალი ნეფეს გაუთხოვებავ არაგვის ერისთავ ზურაბზედ. სანამ ზურაბი ნეფის ქალს ითხოვდ, მანამდე ფშავ-კვესურეთი თავისუფალ ყოფილიყვ, თავის ბატონ არ ხყვანიყვ. ნეფის ყმანი ყოფილიყვენ, ნეფეს მსახურობდა.

ზურაბს არ თუ ღმონებდეს კვესურნი, მემრ ერისთავს დალატი-ცოლისთვის) უთქომ: „მამას მზითვად ფშავ-კვესურეთი მასთხოვევ“. ცოლს შაუსრულებავ ქმრის თხოვნა; თემურაზ მეფეს ქალისად მზითვად გაუტანებავ ფშავ-კვესურეთი. კვესურთ სწყყენივ მეფის საქციელ-ნაქნარი, ზურაბი არ უბატონებავ ნებით. თავმოყვარე ზურაბს ძალით დაუმორჩილებავ მეჯანყენი.

ზურაბ ართუ ღმონებდეს კვესურნი, მემრ ერისთავს დალატი-სად მიუმართავ. ზურაბმმა კვესურნი დაიბარა ოსების დასაბეგრად. ლაშქრად სრუ თავკაცნ წასულან. სასტიკად დაულაშქრავ თრუსოს კეობის სოფლები, დაართვეს დიდ დავლა: რვალი, ცხენი, ცხვარსაქონ, ფარდავი და სხვა.

საბოლოოდ ჩამავიდეს თრუსოს, დასვენება აქვს, დაბკლავენ კარს, ცხვრებს და ქეიფს იწყებენ. ზურაბი ეტყვის კვესურთ: „თქვენ ქეიფის დროს იარაღი უნდა აიხსნათ, რადგან შარიანი ხალხი ხართ, არც ჭიბის დანა დაიტოვოთ, და უნდა იქეიფათ, როგორც მაშვრალ ხალხმ“.

მატყუოდენ კვესურნი, დანდობით დაიქსნეს იარაღ. მაქეიფე ჯალხს თაოდ დაადგა ფეხზე ზურაბი და თაოდ ასმევდ თავის კელით.

როცა იარაღს იყრიდენ კვესურნი, მაშინ ერთს კვესურს—გახუა კეთეშაურს უთქვამ კეკსურებისად, რომ კმლებს ნუ დავიქსნითავ, ზურაბი ღალატიან კაცი ასავ და რა გაიგების, რა ღგულავავ რჯულძაღლს.

გახუა კეთეშაური

კვესურთ კას ეუბნებისა:

„კმლებს ნუ დავიქსნით კვესურნო,

ზურაბ არ დაინდობისა.

თქვენ-თქვენი იცით კვესურნო,

მე—ჩემი გარდამკლებისა“.

გახუა კეთეშაურს თაოდ არ შაუხსნავავ იარაღი.

დაწყობილ ქეიფი, დაღლილ, ნაომარ კვესურთ ძილიც მაუნდა. ველზედ მიწოლილან სრუ მთლად უიარაღონი, სასმელ-ძილ მარეულნი.

ზურაბს მთიულეებიც თან ხყვანიყვ, მათ თუ უთხრის: „ნუ დაღლევთ, ფხიზლადაო“. ღალატიანად ამზადებდ ბატონი.

ნაწვალ ხალხს დახყვეს კელი და მემამბეც არ გაუშვა.

გავიდა რამდენიმე წელი და ზურაბ მეორეზედავ მაითხოვა კვესურთა შარიგება. დაიბარა კვესურები კანდოს კვეზე და შამაეთვალ: მეაც მანდ მავალო.

კვესურები მიუვიდნენ დალიშნულ ადგილს. ზურაბს ბინა წყაროსთან დაუდგამ კვეს გაღმ, კვესურებს კი—კვეს გამოღმ ხქონიყვ ბინა—ეხლ რო ბიბილაურები ცხოვრობენ აი, იქ.

ზურაბის ჯარჩი ერთს ერქვა შანშე, ის გამოვიდა კვესურებს-თან და უთხრა:—თქვენ ნუ დაენდობით ზურაბს, ბრიყვნი ხართო, აღარ თუ გაქსონთა თრუსოს ამბავი? გონთ მოდით, წილი ყარეთ, ნახევარი ეჩვენენით ზურაბს, ნახევარნი შინ წადითო. წილი ყარეს შინ წასვლა ვისაც ერგა, იმათ უთქვამ:—ეხლა ვინ დაგვენდობა, რომ წილი ვყარეთო, აქავ დავიმაღნეთ ტყეში, თუ შარიგდნენ, ჩვენ ჩუმად წავიდეთ. რო ზურაბმ არ შავგხედნას, თუ ისრივ ღალატი აქვს ბატონს, თვალი უჭირათ და დავეხმაროთო.

შანშესა და კევესურების ლაპარაკი მომხდარა საღამოზე.

შანშეს უთქვამს: მე მუხლთ მავებევეი ზურაბს, თქვენს თავს. შავაბრალე და შავახვეწებ, თუ დამეთანხმება, კარგ იქნების. მე დილაზე ჯარს წინ-წინ გამოუძღვები, ლაშანი ილიმნეთ—კელჩი თეთრი ჯოხი შექნება, თუ ჯოხი ბოგირზედ გამავიყვალე, მაშინ ზურაბი სამტროდ არ მასულ. ჯა თუ გარდაეგდე, მაშინ საომრად მზად იყავით. მე წინ გამავიქცევი, არ მამკლათ, თქვენს მხარეს გადმავალ, ზომ მიცნობთ, ზურგში შამიშვით, მეც ჯავრი მჭირს ზურაბისა და იმასთან ომი მწადიანო. მეორე დღეს იარევე ნაწილი კევესურებისა უყურებენ შანშეს ლიშანს. წამავიდ ზურაბის ჯარი, შანშემ ჯოხი ბოგირზე გარდააგდა და თაოდ კევესურთა ჯარში შეერივა, მაგრამ ერთმა კევესურმა ველარ იცნა და მაკლა შანშე. კევესურებმა ზურაბის ჯარი მაიქციეს შუაჩი და სრულ გაწყვიტნეს. ზურაბმ ორი კაცით შაასწრ ანანურის ციხეჩი. აი, იმ დროს ალუდი ალექსაური მახკლავს ზურაბის ტალავარჩი გადაცმულ ზურაბის პირის მეღვინეს,—ზურაბი ღგონებიყვ.

ალუდი ალექსაური —
ზურაბმ რა მალე მაგექცა,
მაგიკლა პირის მეღვინე,
თაოდ ცოცხალივ გაექცა (ე. ი. ზურაბ).
შენ მაგიქნია ზურაბო,
შენი მსახური შეექრა-
ღმერთსამც ვინ გაღმარჯვებიყვა,
კმალ-დაშნას წვევრიმც მიეკრა,
შენ მაგხვედრიყო ზურაბო,
რაც გინდოდ მემრე ის გექნა.

160. სისხლიანი მეკვლე

ერთხან ზურაბს ეთქვ რო „კევესურეთს არცად ვყოფილვარავ ახალწელს, და უნდა წავიდა და ახალწელ დამეს უნდა ავაწიოქნაო“. ეს კევესურებს ჰორად გაუგავის და ციხე-სიმაგრეებში შემავრებულან.

ზურაბ მასულ ფარულად თავისი ჯარით. ერისთავს მათუნდომებაე ხალხის შემოწმება, გარდაუწყვეტავის ერდოებიდან მათი დაყურადება. ერთს დედაკაცს დაუწყევავ ზურაბი:

„როგორც ამბობენ, არაოც მოვასო სულძალი ზურაბი, ეხლახალწელი ექნებაო მამაძალს“.

ზურაბმა სხვაგანაც მიაყურა და იქაც მაუსმინ სხვა დედაკაცს:

„როგორც ამბობენ, დალოცვილ ზურაბი ეხლ არაოც მოვასო“.

გათენდ დილა; შემაგრებულ ხალხს ბევრი ვერაი უყვ. ზოგებ კი დაუხოცავის საქონ კი ბევრა გაულალავ.

161. ზურაბის ლაშქრობა ჰევსურეთში

ზურაბ გადასაკადს ქუე არ აწერდ ჰევსურეთს, არამედ დალაშქრევდ მეშვიდ-მეშვიდე წელს და ნადავლს წაიღებდ, წაღლაღევდ ცხვარ-საქონს. ლაშქრობის დრო თაოდ ხქონიყვ მაფიქრებული, რჯულძალს: ომის დრ.ის კი ეძახდ ჰევსურეთ. როგორც თავის ყმაა.

162. თქმულება ზურაბ ერისთავზე

ბევრჯელ ეცემოდ ჰევსურეთს ლეკისა და ქისტის ლაშქარი, მაგრამ ის არაჲ იყვ, ჰევსურეთს ძალიან აშინებდ ზურაბი. რამდენ-ჯერ მიუტრებს (ე. ი. დაეცნენ) ზურაბს, თოფიც ესროლეს, ისარიც, მაგრამ რა დლით რა დამაღლებულ იყვ, იმას არა არ ხვდებოდ, არა არ კლევდ.

163. ბავშვის გასაუქრებელი

ზურაბ ძალიან საშინელ ვაჟკაც ყოფილ, სრუ ერთიან შიშის ზარ სცემდ დიდ-პატარას, პირგამეხებულმ სადამ იცოდის შუღლობა; კა სახელოვან ვაჟებსაც ელდას ახვედრებდ.

აგეთ წეს ყოფილ ჰევსურეთ, რო ატირებულ ბალღებს ვეღარ აყუჩებდიან. მაშინ თუ ზურაბის სახელ უქსენიან და მტირალ ბალიც გაჩუმდის.

დედამ თუ უთხრის მტირალ შვილს: „კმა გახკმიტდ, თორო ზურაბ ბატონ აქავ მასულ ყოფილ, ე, მანდ კართ უკენ ჰყუღავის, კვლაოდ თუ კმას გაიღებ,—შამავას და შაკვამსო“—ო.

164. ზურაბ ერისთავი აწიობის დღეობაზე

ერთხალ თურმე, ზურაბ ერისთავი ჰემსურეთში მისულა აწიობის დღეობაზე. იმ ხატობაზე ძრიალ ბევრს მლოცავს უვლია უწინა

ამბობენ რო იქ დადიოდესო:—თითონ მთელი კემსურეთი, მოკვევები მთიულ-გულდამაყრელები, თუშ-ფშავლები და ბარის ხალხიცაო:

ზურაბ ერისთავი იმ დროს მისულა ხატჩი, რო მთელი მილეთის ხალხი, მლოცავნი ჯარზე ყაფილან ჩარიგებულნი და გაკურებული სმა და ღრეობა ყოფილა. მისული ზურაბი რო დაუნახია ხალხსა, უფიქრია, რო ჯარიც თუ მარეკა და მთროლი ხალხის დალატით დაკოცა უფიქრიაო. მლოცავებს მთი წესის მიხედვით ზეზ (ე. ი. ფეხზე) ადგომით უცია პატივი და როცა დარწმუნებულან, რო მას დალატი არა აქუს გუნებაჩიო, მაშინვე სუფრაზე მიუწვევია და თავაკებთან, მახუცებულებთან დაუსომ.

სუყელას ის სდომნიყო რო ბატონისათვ პატივი ეცა. თავზე დაუყენებიათ (ე. ი. მწდედ), ზურაბის წინააღმდეგ ომებჩი სახელოანი ჯეელი კემსური, რომენიც ზურაბს თავს დასტრიალებდა და ლუდსა და პურს სთავაზობდა.

ზურაბს უკადრისად მიუღია ხალხის პატივისცემა. არც ლუდი დაუღეგია და არც პური უჭამია. სწყენია ხალხს, ზურაბს რო ეთქო ის სიტყო: „მე თქვენნი ქერის პურს როგორღა დევეწესები (ე. ი. შევკვამო), როცა ჩემი ცხენიც კი არა სკვამს მთის ქერსაო“. (თურმე, ზურაბის ცხენი მთის ქერს არ სკვამდა და ლაშქრობის დროს ბარიდან მიჰქონებოდა ცხენისათვის ქერი. ეს ამბავი ხალხურ ლექსსაც შემოუნახავს).

თავს რო ადგა ზურაბს, დიდი მეომარი კემსური, იმას ძრიად სწყენია ბატონის უზრდელობა და ხალხისა და ხატის მასხარად აგდება, რაისთვისაც ლექსად უთქმია ბატონისათვ:

კემსურეთია ბატონო,
აქ წმინდა არა გვარობსო.
მაართვით ქერის პურაჲ,
თუ უნდა ისა ჭამოსო,
თუ, არა, — დედა მ...ნ,
თავისი მაიტანოსო. —

შენ ვინღა ღგდინხარო, რო ქერის პურს არა სკვამო, როცა ხატსა და ღმერთს ემ პურით ვსცემთ პატივსაო.

იმის შამდეგ თუ რა მამკდარა იქა, ის არ ვიცო....

165. ზურაბის სიკვდილი

ზურაბმ რო მეორეზედაც არ დაინდგნ ქევსურნი, ამის გამო მოხკლ სიმამრ თემურაზმ.

ერთხანს რო დაუბარ სიმამრმ ზურაბს არ წავიდა, არც მეორე დაბარებაზე, მესამედ რო დაუბარ, მაშინ კი წავიდ საფურცლეს, — იმ ხანად იქ ცხოვრობდა მეფე თემურაზ.

ზურაბ თან გახლდეს მსახურნი,
ერთხან რაც დაიბადეო.
ისპაანამდე გაითქვი,
ყვენთან გაიზარდეო.
აქებდეს სოსლანიშვილსა,
წახვე და ისიც დნახეო.
სოსლანიშვილის ლურჯაი
სიმამრსა გამუგზავნეო.
საფურცლით სიმამრ გიბარებს;
„მოდო სიძეო, მნახეო“.
ბიჭტეხა წავიდა ზურაბი,
ცული სიზმარი ვნახეო.
ბიჭტეხთ წასული ზურაბი
საფურცლეს შამაქდებისა.
„რას მირჩევთ ჩემო მსახურნო,
რა უფრო გამიკდებისა?“
წამაეგება თემურაზ, —
„მოდო სიძეო დაჯეო“.
ღვინო მაულეს, ყურძენი,
„სიძევე შეექე ხილსაო“.
ჯერთ კი დაითვრა ზურაბი,
მემრ პირი წაჰყო ლხინსაო.
თემურაზ ეჩურჩულეების
იმერელთ ნეფის შვილსაო,
„ზურაბს თუ მახკლავ, ქალს მაგცემ,
მონას არ დაგცემს ცხვირსაო“.
მაუსხდეს მეღალატენი
ზურაბსა ყურის პირსაო.

ზურაბმე შაუტყვა ღალატი,
 ხანჯარზე ზონარს ხსნისაო
 კმლითა სცა ბარამ ბატონმა
 „დახკარით კახპის შვილსაო“.
 ხანჯარი თუშთ მაურავმა
 ზურაბს უწვდინა ცრუესაო.
 კაცი გააგდეს ქალაქში,
 ფშავ-ჭვესურეთში ჩათარი:
 „მა თქვენებ მეთოფეებმა
 ძილ დაიძინონ მაგარი.
 ზურაბ აღარა მაგივათ,
 აღარც ზურაბის ლაშქარი,
 ზურაბ საფურცლეს მიგკალით,
 ძილ დაეაძინეთ მაგარი.
 უბოძეთ ბარამ ბატონსა
 ცხენ ზურაბისა სალარი.
 შახტლების თუშთ მაურავსა
 ზურაბის ქამარ-ხანჯარი.
 ტყავ-კაბა საგინაშვილსა
 ზედ ოთალარი მაღალი“.

როცა ზურაბისად დაუკრავ, ზურაბი გარმამხტარ, ფექსაცმე-
 ლებში ჩამდგარ სისხლს ჭყაბანი გაულავ. ზურაბს თან ხყვანყვ თა-
 ვისი ყმა ბეკო. ამ ბეკოსად ერთხან თოფ დაუკრავ ზურაბს, მაგრამ
 არ მამკვდარ, ისივ გამამრჩალ. აი, იმ ბეკოს უთქვამ ზურაბისად: „აი,
 მამაძალო ზურაბო, ეხლ რაქელ დღე გაქვსა? შენ რომ თოფი და-
 მარტყი, მაშინ შენ დღე იყვ, ეხლ კი ჩემთვი ას კაი დღე.“-ო.

ერთხან ომში ყოფილან ზურაბი და ბეკო, ერთად იბრძოდენ.
 ბეკომ ხმალი იშიშვლა და ზურაბისად უნდოდა დაეკრა. ზურაბს შაუ-
 ნიშნავს და უკითხავის: „რას შერები ბეკოვ?

— გულმა ამცაო—უთქვამს ბეკოს.

— თუ გულმა აგცა, აგერ მტერი და ეომევივ.“

აულავის ზურაბს ორლულიან თოფ და უსრევავ ბეკოისად, მაგრამ
 ისივ გამამრჩალ. (ბეკოს სჯავრებიყვ ზურაბი).





ქენიძენები
ვაზიანებები



1. ვახტანგ მეფე ღმერთს უკვარდა

დაბეჭდილია იაკობ გოგებაშვილის მიერ. ბუნ. გვ. 342. იაკობ გოგებაშვილი ამ ლექსს უკავშირებს ვახტანგ გორგასლის ლაშქრობას ოსეთსა და პეჩენეგების ქვეყანაში. მოსე ჭანაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში მეორე სტრიქონში ვკითხულობთ „ციდან“; მესამეში „იალბუზზე“, „შედგა“, მეოთხეში „შეჰქნა“-ს ნაცვლად ვკითხულობთ „იწყეს“. („მშბ“, 1903, № 4, გვ. 62; ჭან., საქ. 1, გვ. 208).

ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში უკანასკნელ სტრიქონში ვკითხულობთ „ჩერქეზებში“ (კოტ., გვ. 236).

მოსე ჭანაშვილი ჩრდილოეთ კავკასიაში ვახტანგ გორგასლის გალაშქრებაზე და აღნიშნულ ლექსის შესახებ წერს: „რომ ვახტანგის გამარჯვება ოსეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ერთი რამ დიდი შემთხვევა ყოფილა, მტკიცდება მით: რომ დღესაც იქაურები (ჩერქეზები) ვახტანგს ქება-შესხმით იხსენიებენ და თვით ჩვენი მღაბიო ხალხიც ოსეთზე ლაშქრობას ასე გადმოგვცემს“ (ჭან., 1. გვ. 208). ვახტანგ მეფისადმი ჩერქეზების სიყვარულის გამომხატველია იური კაზიბეკის მიერ გამოქვეყნებული ლეგენდა. ამ ლეგენდის მიხედვით, სურამის აშენება დაკავშირებულია ვახტანგის მეფობისას სპარსელების შემოსევასთან. სურამის ციხის ლეგენდის გმირი ზურაბი გამოყვანილია როგორც გორგასლის საყვარელი მხლებელი (Черкесские предания, III, «За родины», «Московские Ведомости», 1896, № 40). ვახტანგ გორგასალზე შექმნილი სასიმღერო ლექსის ზოგი ვარიანტი მხოლოდ პირველ ოთხ სტრიქონს შეიცავს

(ჩაწერილი ქართლში, გორში, ალ. ლლონტის მიერ 1938 წ. და ჩაწერილი კახეთში ს. შრომაში 1937 წ. ი. ძამიაშვილის მიერ. ამ ვარიანტში მესამე სტრიქონში შედგას ნაცვლად იკითხება და დგა ფ. არქ. № 13222); იმერეთში ჩაწერილ ერთ ვარიანტში სულ არ იხსენიება იალბუზი და იგი წარმოადგენს ოთხჯერ განმეორებას სიტყვისა „რეკა“—(ჩაწერილი ს. კურსებში ჩვენს მიერ 1951 წელს. მთქმელი ნოე პორფილეს ძე კუპრაშვილი, წერაკითხვის მცირე მცოდნე, 70 წლის). მთქმელის ცნობით, დღესასწაულების დროს „მღეროდნენ ძველები. რაცხა ჯვარობას ვაკეთებდით (გულისხმობს ფერხულს, ქ. ს.). ხუთსართულიანი ცეკვა იყო. ტრუალობდენ და ტაშა უკრავდენ და მღეროდნენ“. მისივე ცნობით, ამ სიმღერას ფერხულის დროს იმიტომ ასრულებდნენ, „რომ ვახტანგ ნეფე სახელოვანი ნეფე ყოფილა“ (ფ. არქ. № 34467). განსაკუთრებულ თავისებურებას არ იჩენს აგრეთვე 1952 წელს დილომელი მოლექსის ა. სონდულაშვილისაგან ჩაწერილი ვარიანტი. მასალ., I, № 14, გვ. 9.

ბ

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან მოესმოდა რეკა;
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექნეს დრეკა;
იალბუზის ეშმაკები
ცხრა მთას იქით გადარეკა.

დაბეჭდილია—„ივ“, 1889, № 204. ჩაწერილია ახალქალაქში. მასწავლებელ ნ. ხუციშვილის მიერ. თავისებური ვარიანტია. უკანასკნელი სტრიქონები ჯადოსნური ზღაპრების გავლენითაა შექმნილი.

2. ვახტანგ ნეფე

ჩაწერილი გურიაში, საჯავახოში გ. ლომთათიძის მიერ. მთქმელი ბესარიონ ნიკოლეიშვილი. 75 წლის. წ-კ უცოდინარი. ფ. არქ. კოლექ., II, 30, გვ. 32.

საინტერესოა, რომ ამ ლექსშიც მსგავსად № 1-სა ვახტანგ გორგასალი ზებუნებრივად არის წარმოდგენილი, თუმცა შინაარსობრივად იგი თავისებურია და დამოუკიდებელი.

3. გორგასლამ

შან., გვ. 79, № 192. ჩაწერილია ხევსურეთში გოგია ჭინჭარაულის მიერ.

4. ვახტანგ მეფეო რომ კვდებოდა

ჩაწერილია 1958 წელს რაქაშა პროფ. გრიგოლ ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპედიციის მიერ როგორც ზრუნის (მოთქმის) ნიმუში. ასრულებდნენ ქალები სამი ხმით (იხ. გ. კანკავა, В горы за песнями, «Заря Востока», 1958, № 191). ლექსი თავისი ხასიათითა და შინაარსით ახლოს არის ხოგაის მინდიას შესახებ შექმნილ საგმირო პოეზიის შესანიშნავ ნიმუშთან. მსგავსდა ლექსების დასაწყისი.

ხოგაის მინდი

ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ჭებდა მიწა გრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა.
(კოტ. გვ. 125).

რაჭული ზრუნი

ვახტანგ მეფეო რომ კვდებოდა,
ცაი ღრუბლებით იმოსებოდა.

მსგავსია აგრეთვე ცალკე სტრიქონებიც

ხოგაის მინდი.

მალის ჭიუხის ნადირი

სატირლად ემზადებოდა

რაჭული ზრუნი

აზნაურიო, გლენობა

სატირლად ემზადებოდა.

(კოტ. გვ. 126).,

ამ შემთხვევაში შეიძლება დაისვას საკითხი „ხოგაის მინდის“ შესახებ შექმნილი საგმირო ლექსის საისტორიო ლექსზე გავლენისა.

5. უჯარმაში მოუკლავთ

ჩაწერილი 15. III ---1958 საგარეჯოს რ. ს. პატარძელში ვარლამ მაცაბერიძის მიერ. მოქმელი ივანე სოლომონის ძე ჭილაურა. შინაარსით ახლოს არის ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შესახებ შექმნილ გადმოცემებთან და თქმულებებთან. შდრ. № 8, 10.

6. ნარს სოფელს ნუსელ საუდარზუდ დაწერილნი ლექსნი

ლექსი წმინდა ფოლკლორული არ არის. იგი შექმნილია „ქართლის ცხოვრების“ ცნობებისა და ქართული და ჩრდილო-კავკასიური ხალხური ეპოსის საფუძველზე. ამდენად საინტერესოა ხალხური საისტორიო სიტყვიერების შედარებით ადრე ფიქსირებულმა ანგელებმა თვალსაზრისით. ცნობილია ვარიანტებად.

ეს ვარიანტი მინაწერია ვახუშტის ისტორიის ხელნაწერისა, რომელიც დაცულია ხელნაწ. ინსტ. (S—3668, გვ. 54). ხელნაწერი უნდა ეკუთვნოდეს დავით ჩუბინაშვილს, მის ყდაზე აწერია D⁴ ასეთივეა მინაწერი ვახუშტის ისტორიის ხელნაწერისა, რომელიც აგრეთვე ხელნაწ. ინსტ. დაცული (A—1111, გვ. 498). ხელნაწერი დათარიღებულია 1817 წლის 8 ივნისით. ეკუთვნის სფირიდან იაშვილს (ვახუშტის ისტორიის ორივე ხელნაწერის მინაწერებზე მიმითითა ისტორიკოსმა თამარ ლომოურმა). მინაწერთა შორის მცირე განსხვავებანი ორთოგრაფიული ხასიათისაა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში მე-10 სტრიქონში ჩუბინაშვილის ვარიანტში იკითხება: „მიმავალთა“. იაშვილის ვარიანტში-კი—„მიმავალთა-მომავალთა“. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩუბინაშვილის ვარიანტში მეორე სტრიქონში ვკითხულობთ „ქარხილანი“, იაშვილის ვარიანტში—„ქარხილონი“.

ლექსი ამავე სათაურით უპოვნია თედო ჟორდანიას არქიმ. ტარასი მესხიშვილის ნაწერებში და დ. მაყაშვილის ვახუშტის ისტორიის ხელნაწერში: თ. ჟორდანიას აზრით, ლექსი 1324 წლის ახლო ხანებს უნდა ეკუთვნოდეს (ქრ. II, გვ. 178). აღნიშნული ვა-

რიანტებისაგან არ განსხვავდება აგრეთვე პუფის წერილში მოყვანილი ტექსტი (*Pièces diverses relatives à la Géorgie*, „*Journal Asiatique*», 1830, გვ. 305 და სხვ.). მოსე ჭანაშვილმა მის მიერ დაბეჭდილი ვარიანტი ასე დაასათაურა „ვახტანგ გორგასალი და ოსეთის მეფენი“ (მშბ., 1903, № 4, გვ. 62; ჯან., 1, გვ. 208). მოსე ჭანაშვილის ვარიანტი თავისებურია. მასში არ არის მეშვიდე სტრიქონი „ჩვენი ძმანი სამნი ბერნი“. გ ი ო რ გ ი იხსენიება არა მეოთხე სტრიქონში ფილაროზ, ჯადაროზ და საყურის, არამედ—მეშვიდეში ისაკ და რომანოზთან. არ იხსენიება ბ ა ს ი ლ. მეთოთხმეტე სტრიქონში (ჩუბინაშვილის ტექსტის და სხვა ვარიანტების მიხედვით მეცამეტე) იკითხება „ხადის კარი“. ჩუბინაშვილის და სხვა ვარიანტების მიხედვით მე-20 სტრიქონი „ქართველს ბატონს“ იკითხება „ქართველს მეფეს“ (მ. ჭანაშვილის მიხედვით მე-19 სტრიქონი). უკანასკნელი სტრიქონი სხვა ვარიანტებისაგან განსხვავებით იკითხება „ჩვენი სვით შესანდობარი“ (მშბ. 1903, № 4, გვ. 64). შემდეგში ეს სტრიქონი მ. ჭანაშვილმა შეასწორა სხვა ვარიანტების მიხედვით „მცირედ ზრძანეთ შენდობანი“ (ჯან. 1., გვ. 209).

პეტრე უმიკაშვილის მიერ შეკრებილ მასალებში არის ამ ლექსის ყველაზე უფრო მოკლე—23 სტრიქონიანი ვარიანტი სათაურით „ცხრანი ძმანი“ (უმიკ., გვ. 95). ამ ლექსის მიმართ პეტრე უმიკაშვილის შენიშვნაში ვკითხულობთ: „ეს წარწერა ოსეთის ერთ საყდარშიაო. ქართველ ბატონს ფიცის ტეხისათვის სამი საყდარი აუშენებია: მეტეხი (მე ვსტეხი), წილკანი (წილ ვკარი) და სამთავისი. ბაღათარის ჩამომავლობა ტატიშვილები არიანო. ექვთიმე წერეთლისაგან გაგონილი“ (იქვე, გვ. 561). პ. უმიკაშვილის ვარიანტში დაბეჭდილია ჩ ა რ მ ო ნ ი ძ ე, ნაცვლად იმისა, რომ იყოს ჩ ა რ ძ ო ნ ი ძ ე. შეიძლება ეს კორექტურული შეცდომა იყოს. „და მოვსტაცე“ იკითხება „გამოვტაცეთ“. ამ შემთხვევაში-კი ზეპირსიტყვიერების სპეციფიკასთან გვაქვს საქმე, როდესაც მთქმელის მიერ ნაწარმოების შინაარსი დაქვემდებარებულია ფორმისადმი, ამ შემთხვევაში რიტმისა და მეტრისადმი.

ლექსი აშკარა ანაქრონიზმებს შეიცავს. ისტორიაში ცნობილია ოსთა მეფე ჯადაროსი—მამა დავით სოსლანისა. ლექსის მიხედვით კი— იგი დავით სოსლანის ძმაა. პოეტურად სუსტმა ლექსმა ადრე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. კ. კეკელიძის (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1924, გვ. 201), მ. ჭანაშვილის (მშბ. 1903, № 4, გვ. 62; ჯან. 1, გვ. 208--209). ა. გოლოვინის (Голловин-

ческие и статистические заметки от Осетии, Кавказский календарь, 1854, გვ. 34—35) მოსაზრებით ლექსი ვახტანგ გორგასლის სახელთან არის დაკავშირებული. თ. ჟორდანიას (ქრ. II, გვ. 178) და ვ. პფაფის (Материалы для истории Осетии, გვ. 34—35) მოსაზრებით. ლექსში მოხსენიებული „ქართველი ბატონი“ გიორგი ბრწყინვალეა, „ოს ბალათარი“ კი—„ქართლის ცხოვრებით“ ცნობილი ოსთა მთავარი ბაყათარი.

ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის გამოკვლევებზე დაყრდნობით, ჩვენ აღნიშნული გვაქვს „ლექსში მოხსენიებული ქართველი ბატონი“ ვახტანგ გორგასალია. რაც შეეხება „ოს ბალათარს“, შესაძლებელია, მასში შეერთებული იყოს ორი ბაყათარ ოსი— „ქართლის ცხოვრებით“ ცნობილი 5 საუკ. და 12—15 საუკ. გმიოები“. (სიხ. საგმ., გვ. 27).

ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდეა ცნობილი გადმოცემები და თქმულებანი გორგასლის მიერ ფიცის გატეხასა და მტრის დამარცხებაზე (№ 8, 10).

7. თბილისის აშენება ვახტანგ გორგასლის მიერ

გადმოცემა ამ სახით როგორც ისტორიული წყარო გამოყენებული აქვს იაკობ გოგებაშვილს (ბუნ., გვ. 349). ეს გადმოცემა გამოყენებული აქვს აგრეთვე მოსე ჯანაშვილს, ოლონდ მოსე ჯანაშვილის ვარიანტში მიმინოს ნაცვლად ქორია გამოყვანილი. ამას გარდა ისტორიკოსს აღნიშნული აქვს ისიც, რომ ეს არის გადმოცემა (ჯან. 1, გვ. 44; საქ. ჯან. 1, გვ. 222—223). გადმოცემას ვახტანგის მიერ თბილისის აშენებაზე რეალური საფუძველი აქვს. თბილისს საფუძველი ვახტანგ გორგასალმა ჩაუყარა (ქ. ცხ., გვ. 137), ქალაქის აშენება დაამთავრა გორგასლის შვილმა დაჩიმ (იქვე, გვ. 141).

ბ

თბილისი ვახტანგ ნეფეს გორგასლანს გუუხსნია დედაქალაქათ. ძლიერი ნეფე ყოფილა—ასე იტყოდნენ წინეთ. ვახტანგ ნეფე რომ წამოსულა სანადიროთ, მოუკლავს ხოხობი და ჩავარდნილა ცხელ წყალში. ეს ხოხობი იფუჟქება, იპუტება ცხელ წყალში. მისულა, უნახავს ცხელი წყალი ამოდის და დფურქმევია თფილისი. გამუუხს-

ნია სპარსეთიდან საქართველო ამ ვახტანგს. მეხუთე საუკუნეში ყოფილა, ეს იცოდენ ასე ძველებმა.

მთქმელი ნოე კუპრაშვილი. ჩაწერილი ტყიბულის რ. ს. კურსებში 1951 წ. ჩვენს მიერ. ფ. არქ. № 34469.

8. ხალხური გადმოცემა ვახტანგ გორგასალზე

ხალხური ტექსტი დამუშავებულია ფელეტონის სახით შაქრის (ზაქარია გულისაშვილის) მიერ. („დრ“, 1885, № 25). ფელეტონი დაწერილია ს. საგარეჯოში. თქმულება მოსმენილია ბაჭოჩვის მთაზე. მთქმელია 80 წლის გლეხი, შერქმეული სახელით „ჭამიად“ ცნობილი განთქმული მომღერალი. ჭიმიას მონაწილეობა მიუღია ერეკლე მეორის სიკვდილის შემდეგ ომში თათრებსა და რუსებს შორის. ჭიმიას საგარეჯოელი ყოფილა. ცაში ზარის რეკვასთან დაკავშირებით ფელეტონის ავტორი სქოლიოში შენიშნავს: „ჩვენი ხალხის რწმუნებით ცაში ყოველ ცისმარ დღეს სამჯერ ირეკებოდა ზარი: ცისკრისა, წირვისა და მწუხრისა. ვინც წმინდაა, იმას ესმის ხოლმე ეს რეკაო“. თქმულება გენეტიკურ კავშირშია მე-12—13 საუკუნეების წერილობით ძეგლებთან. წერილობითი ძეგლების მიხედვითაც ვახტანგ გორგასალი გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში შინაური ღალატით დაიღუპა. ამ ძეგლების მიხედვით, მოღალატემ მტერს აცნობა ვახტანგ გორგასლის ჯაჭვის პერანგის ილღის ქვეშ განახევის შესახებ. (სინ. საგმ., გვ. 12—18, 113—120, 207—210). კონტამინაციის წესით ლეგენდა ერეკლე მეორის სახელსაც დაკავშირებია (იხ. ფ. არქ. № 18322), რასაც არავითარი რეალური საფუძველი არ აქვს.

9. გორგასლანის ციხე

გაგონილია კახეთში. ტექსტი ჯამართული და სტილიზირებულია მისი ჩამწერის დ. ნახუცრიშვილის მიერ (მგზ., 1901, № 111). ეს თქმულებაც გენეტიკურ კავშირშია იმ წერილობით ძეგლებთან, რაზედაც მიუთითეთ № 8 დაკავშირებით.

8

„...უჯარმას გასწყობოდა და თვითანვე ქალაქათ აეგო და ზამთართით იქ დადგის ნადირობისათვის, რომ ყველგნით ახლო აქონდა

ყარგნი სანადირონი: ყარაიაზი, მტკვრის პირი, იორს გაღმართ გა-
მოღმართნი, მთა და ბარი. ზაფხულათ თრიალეთს ავიდის და მოყე-
რობით ერანის კემწიფეს ემსახურებოდის. ორჯელ ერანის
კემწიფეს ულაშქრა, ერთხელ ინდოეთს ზედან, მეორეთ მ(ი)სრეთს
ზედან. ერანელნი მამაცობისათვის გურგასლანს ეძახდენ. გურგ
მგელსა ჰქვიან და ასლან ლომსა. გულითა და მამაცობით როსტომი-
სათვის შეუდრიათ. ნაქმრათ და შეენებით ყოვლის მამაციისათვის
უჯობნებიათ. ამას უწინ თურქთ სასელი საქართველოში არ გაგო-
ნებულეყო. ამის დროში გაჩნდა დაშტი ყ(ი)ზალითა, დარუბანდის
გზით გამოვიდნენ დიდის ლაშქრითა და ულუსითა. უწინ იზამთრეს
თერგით შაბრანამდისინ ბაიქუ და მისნი გარეშემონი. მეორეს ზამ-
თარს მოვიდნეს მტკვარსა და იორსა და ალაზნის გაღმართ გამოღ-
ძართნი აივსნეს და იზამთრეს და არბევდენ და აობრებდენ შ(ი)რვა-
ნისა და არანის ქვეყანასა და მრავალჯერ შეება ვახტანგ გორგასა-
ლი თურქთა. ვისაც მისწვდა, ცოცხალი ველარ მოურჩა. თურქნი შე-
ჯერდენ ვახტანგის ომსა, თითონი და გინდა ორორნი ველარ შემო-
ებმოდენ. მაგრამ ბევრნი ბაჰადურებნი თურქთა ერთგან შეიყრე-
ბოდენ. რა იცინიან. რომ ვახტანგ მეფე (ე) არის, ერთ პირათ მოუხ-
დებოდენ. და ისარს დააყრიდენ ვითაც წვიმასა და ჭაჭვს ვერ გაუ-
ტეხდიან და ვიზედაც მიმართის. თუარ ცხენის სიფიცხითა ცოცხ-
ალი ვერ მოურჩებოდენ და ვახტანგის შიშით დავით გარეჯას ველარ
ასცილდებოდენ. ნადირობაში ვახტანგ მეფის მეაბჯრე უკან დავარ-
დნილიყო. მიფარულთ თურქთ დაეპირათ მოდარაჯეთა და მეფის
ასრე მამაცობა და უშიშრათ ომს მისულა შეუპოვართ გამოჰკითხეს,
რისგან არისო. იმას ასრე ეთქვა: თავად ნამეტნავად კელძრიელი
არისო და ფიცხელი და ჩაუქი ცქვიტი არისო და გუნება აქვს გა-
ბედულიო. მამაცობაში მეომართაგან გაუდრეკელი არისო. ქვე(ი)თათ
და გინდა ცხენს ზედ მოლაღევა არ იცისო. მერმე ჭაჭვის იმედიცა
აქვსო. ამით უფრო შეჰპედავსო. მერმე თურქთ გამოჰკითხეს: ამ-
დენს ისარს რომ დავ(ა)ყრით და ჭაჭვს ვერ გაუტეხთო. რისგან აქვს
ამრიგი სიმაგრეო. მან ასრე უპასუხ(ა): ქართველნიც გაკვირვებუ-
ლანო იმ ჭაჭვის სიმაგრესაო, მაგრა ვერა გაუგიათ რაო. გინდა ჭაჭვი
წყალში იღვას, გინდა ტალახშიგანო სამუდამოთ ეგდოსო, არც უან-
გი მოეკიდებისო და არცა ფერს იცვლისო და არცა სული აქვს რკი-
ნისაო. მაგრამეო მეფის მრავალჯერ ჩაცმისაგანო ორგნით ილღიან-
ბიო ოფლს წაუხდენიაო, მგფესაც იქიდამენ ერიდებისო. თურქთ
იამა მეაბჯრის თქმულნი სიტყვანი და გუნებაში დაიშხსოვნეს თურ-
ქის ბაჰადურებმან და შეჰკრეს ასრე პირობა: რა მეფე ვახტანგ ომს,

მოსრული ნახონ, ყველანი ერთგან მიუხდენ ქამანდარნი და მარჯვეთ-
მსროლელნი, ისარნი ილლიას დააყარონ. რა თურქთ ეს პირობა
ერთმანერთს აუთქვეს, გაბედულნი გულოვანნი შეიქნეს და მოდარა-
ჯენი დავით გარეჯას ასცილდნენ, მეფე ნახეს ცოტას კაცით იო-
რის პირს ნადირობს. ეს ანბავი სწრაფათ მოდარაჯეთ თურქთ ბაჰან-
დურთ შეატყობინეს, ამათაც ომშიგან ნაცადნი კაცნი გამოარჩივეს,
უქვეოს გზით მეფეს მიუხდნეს მსწრაფათ. ნახა მეფემ, მდგომარმან
ნახა თურქნი მაზედ მოტეველნი, წინ გარდევება მეფე უშიშრათ
და შეიქნა ძრიელი ომი და ძალიანად კმლის ცემა. მეფემან მარტო-
მან მრავალნი თურქნი ცხენისგან გარდმოჰყარა, ზოგნი დახოცა,
ზოგნი გაიქცნეს. მეფეს ეს აღარ ეგონა, თუ აქ სადმე კიდევ თურქ-
ნი დარჩომილა თუ არა. მეფე გამარჯვებული დაბრუნებაშიგან უკა-
ნიდამ კიდევ თურქნი წამოეწივნეს. მეფე დაუბრუნდა, შეიქნა ომი
და მეფემ სამნი თურქნი მოაკვდინა, მიწევაში მეფეს ილლიას ორი
ისარი ჰკრეს და ჭაჭვი გაუტეხეს, ძალსზედ დაჰკოდეს და ისრის
შეკრელნი თურქნი მეფას ყმებმან დახოცეს და მეფე დაჭრილი
უჯარმას მივიდა და მრავალს ეცადნეს და ისრის პირი ამოართვეს და
მრავალი წამალიც უყვეს, მაგრამ ურგები იყო წამალი და ამ დაკო-
დობით მიიცივალა და კემწიფურის წესითა ცხეთას თავის აგებულს.
მონასტერში საფლავს მიიღეს კარგის წესითა“. ამოწერილია ს. კა-
კაბაძის მიერ გამოცემულ ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორიიდან.

ძეგლი საინტერესოა ადრე ფიქსირებულ საგმირო-საისტორიო
ნაწარმოებთა თვალსაზრისით. იგი წარმოადგენს ზღაპრულ მოთ-
ხრობას ვახტანგ გორგასლის შესახებ. უნდა ეკუთვნოდეს მე-17
საუკუნის დასასრულსა და მე-18 საუკუნის დასაწყისს („საისტორიო
მოამბე“, II, გვ. 199). აკად. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ
ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორიაში მოთხრობა ვახტანგ გორგა-
სალზე ზეპირგადმოცემაზეა დამყარებული (ჯავახ., გვ. 241 —
242). ფარსადან გიორგიჯანიძის ზღაპრული მოთხრობაც გენეტიკურ
კავშირშია მე-12—13 საუკუნეების წერილობით ძეგლებთან და
№ 8 თქმულებასთან. ამგვარად მას მნიშვნელობა აქვს ხალხურ სა-
ისტორიო ნაწარმოებთა ისტორიისათვის.

10. როგორ შეიქმნა სახელწოდება „მეტეხი“

ლეგენდა მოყვანილია წერილში „სოფელი მეტეხი და მისი-
ნაშთი“ (მგზ., 1902, № № 9, 10, გვ. 683). წერილის ავტორი აღნიშ-

შნული არ არის. ჩვენთვის უცნობია ლეგენდის მთქმელი, ჩამწერი, ჩაწერის დრო და ადგილი. ლეგენდა დამუშავებულია მიუხედავად ამისა. შეიცავს ზღაპრის ტრადიციულ მოტივებსა და ფორმულებს.

წერილის ავტორს ლეგენდისათვის წაუძღვარებია ვახუშტის სიტყვები თემის აღწერილობასთან დაკავშირებით, სადაც მეტეხია ხახსენები (ვახ. გეოგრ., გვ. 56). ლეგენდის ანაქრონიზშია გორგასლის მიერ წილქნის ტაძრისა და თბილისის სიონისა და სამთავისის აშენება იხ. ვახ. გეოგრ., გვ. 53, 63, 72.

11. დავით აღმაშენებელი

დაბეჭდილია თ. ჟორდანიას მიერ (ქრონ., II, გვ. 52). თ. ჟორდანიას ელისაბედ ზაალის ას. თუმანოვის ხელნაწერებში უპოვნია მე-18 საუკ. იოილ მესხიევის მიერ გადაწერილი ქართველთ წმიდათა მამათა ცხოვრება (მარტირიკა). მარტირიკაში შეტანილი ყოფილა ეს ლექსიც. ი. მესხიევას განაწერში მესამე სტრიქონში რ უ ს ნ ი იხსენიება. თ. ჟორდანიას ამ სიტყვის გვერდით ფრჩხილებში ჩაუსვამს ს თ უ რ ქ ნ ი (ქრონ., II, გვ. 1—52). ლექსი ხალხურად იყო მიჩნეული. მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლის „ხელმწიფის კარის გარიგების“ აღმოჩენამ ცხადყო, რომ მისი ავტორი დავით აღმაშენებლის თანამედროვე ცნობილი მწერალი არსენ იყალთოელია. ამის გამო ექვთიმე თაყაიშვილს აღნიშნული აქვს: „კარის“ გარიგება გვამცნევს. რომ ლექსი ეკუთვნის არსენ იყალთოელს და ჩვენ ნება ვვაქვს და საბუთი ამის მიხედვით ვიფიქროთ, რომ მრავალი დაკარგული ავტორების ნაწარმოები უნდა ჰქონდეს ხალხურ პოეზიას ნაწევრებად შენახული“ (ექვთიმე თაყაიშვილი, კელმწიფის კარის გარიგება, თბილისი, 1920, გვ. 38). აღნიშნულ ძეგლში ლექსის მხოლოდ პირველი ორი სტრიქონია დაცული. ეს სტრიქონები საქმაოდ განსხვავდება სხვა ვარიანტებისაგან:

ვეინ ნაქარმაგვეს მეფენი

თორმეტი პურად ჩაესხნეს.

ჩვენთვის ცნობილ ყველა ვარიანტში ნაქარმაგვეს შვიდი მეფეა. ამ ძეგლში დაცული ვარიანტი—კი თორმეტი. გარდა ამისა. სხვა ვარიანტები იწყება სიტყვით როს, ძეგლში დაცული სტრიქონებით კი ვ ვ ი ნ. დამესხნეს—ნაცვლად აქ არის ჩ ა ე ს ხ ნ ე ს. ბოლო სიტყვა როგორც საძარფლიანად. აღნიშნავს ექ. თაყაიშვილი, შეიძლება შეცდომით იყოს ძეგლში, მაგრამ შვიდის ნაცვლად თორმეტი კი—საგულისხმო შესწორებაა ლექსის მეორე სტრი-

ქონისა „კელმწიფის კარის გარიგებაში“ ჩამოთვლილია მართლაც თორმეტი მეფე (გვ. 12). საფიქრებელია, რომ სხვა სტრიქონებიც ასევე შეცვლილი სახით იყოს ჩვენამდე მოღწეული. ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ ასეთი ცვლილება ხალხური ლექსის სისადავეს მოკლებულ ნაწარმოებისა, მოწმობს მისი ხელნაწერის სახით გარდა, ზეპირად გავრცელებასაც. ეს გარემოება არსენ იყალთოელის ლექსს: საინტერესოდ ხდის ფოლკლორისტიკისთვისაც (სიხ. საგმ., გვ. 123): ჭერ კიდევ მე-18 საუკუნეში ეს ლექსი ი. მესხიევს თამარის ეპიტაფიად მიუჩნევია, მარტირიკაში რგი შეტანილია სათაურით „თამარ მეფის საფლავსა ზედა ესრეთ წერილ არს“ (ქრონ. II, გვ. 52). თამარ მეფის შესახებ არსებულ ხალხური სიტყვიერების კრებულში შეიტანა ეს ლექსი ს. ცაიშვილმა შენიშვნით: „ამ თქმულებას დავით აღმაშენებელსაც მიაწერენო“ (ცაიშ. თამ., გვ. 76).

ბ.

ეპიტაფია საფლავსა ზა დავით აღმაშენებლისსა, კელათის მონასტერს შა

როს ნაჰარმაგევს მეფენი
 შვიდნივე პურად დამესხნეს,
 თურქნი, სპარსნი და არაბნი
 საზღუარ გარეთა გამესხნეს,
 თევზნი ამერთა წყალთაგან
 იმერთა წყალთა შთამესხნეს,
 აწ მე ამისსა მოქმედსა
 გულზედან ხელნი დამესხნეს.

(ხელნაწ. ინსტ. S—3668, გვ. 93). ლექსი მინაწერის სახით დართული აქვს ვახუშტის ისტორიის ხელნაწერს. უნდა ეკუთვნოდეს დავით ჩუბინაშვილს. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ხელნაწერის ყდაზე არის წარწერილი ასოებში D4. შემდეგ ეს ლექსი, როგორც ხალხური დავით ჩუბინაშვილმა შეიტანა ქრესტომათიაში.

ბ

როს ნაჰარმაგევს მეფენი
 შვიდნი მე პურად დამესხნეს,
 თურქნი, სპარსნი და არაბნი
 სამზღვართა გარე გამესხნეს,

თევზნი ამერთა წყალთაგან
იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამაისა მომქმედსა
გულზედან ხელნი დამესხნეს.

(დაბეჭდილია ექ. თაყაიშვილის მიერ „ქელმწიფის კარის გარე-
გების“ წინასიტყვაობაში, გვ. XXX VIII). ასეთივეა მ. ჯანაშვილის
ძიერ გამოქვეყნებული ვარიანტებიც. (ქართულთა მატიაწე, მმბ.,
1903, № 4, გვ. 63 — 64). ოლონდ: მეოთხე სტრიქონში „სამ-
ზღვართა“ ნაცვლად იკითხება „საზღვართა“. მოსე. ჯანაშვილს ლექ-
სი ხალხურხ პოეზიის ნიმუშად მიაჩნია და ურთავს შენიშვნებს. ამ
ვარიანტებისაგან არ განსხვავდება აგრეთვე „ცისკარში“ დაბეჭდილ
ტექსტი (1852 წ.).

12. ძველი ლექსი დაით აღმაშენებელზე

მგზ., 1902 წ., № 1. ჩაწერილია ი. ჯ. მიერ. გაგონილია ნა-
ლოზ ტარიელის ძის დადიანისაგან. დაბეჭდილ ტექსტს თან ახლავს
ზოგ სიტყვათა განმარტება: 1. სპარაზენტასა = მხედრობათა.

2. ხანაგა = საგლახაკო სახლი ნათეს. ბრუნვა ხანაგასა.

3. საყენი = უცხოთა შესაწყნარებელი სახლი.

4. განარკვი = გაკვეთილი, განაკვეთი.

5. კადოდის = იწოდლის.

6. მოწლედ = ლმობიერებით.

7. სულმნათები || პოეტი.

ცნობილია ამ ლექსის მესხური ვარიანტი ჩაწერილი ალ. მირა-
ქიშვილის მიერ. დატულია ხელნაწ. ინსტ. H—1926. გადმოწერილია
ტექტიშვილის მიერ ჭავჭავთაში, ს. საროში ჩაწერილი ვარიანტი (კოტ.
გვ. 238) იმ განსხვავებით, რომ ალ. მირაქიშვილის ხელნაწერში პირ-
ველ სტრიქონში სიფრიადესა ნაცვლად არის „სიფსიადესა“. აზრობ-
რივად ეს შეუსაბამოა: ამას გარდა პირველი სიტყვა იქ იკითხება
არა გ ი ა მ ბ ო ბ, არამედ—მ ი ა მ ბ ო ბ. მესხურ-ჭავჭავთური ვარიან-
ტები 14 სტრიქონიანია, მაშინ, როდესაც დადიანისეული ვარიან-
ტი 24 სტრიქონიანია. ამას გარდა, დადიანისეულ ვარიანტში ვკით-
ხულობთ: „ათონით მონავლენთასა. მესხურ-ჭავჭავთურში—„ათონით
მონავლენთასა“.

საინტერესოა ვახტანგ კოტეტიშვილის შენიშვნა ამ ლექსისად-
მი: „ძალიან საგულისხმოა ლექსი არის, როგორც წყობის თვალსაზ-“

რისით, ისე იმ გაქვავებული სიტყვების თვალსაზრისითაც, რომლებიც ამ ლექსს შეუწინააღმდეგა. ჩვენის აზრით, ეს ლექსი ხალხური წარმომადგენლისა არ არის. აქ არ სჩანს სასიმღერო რიტმი, რომელიც ხალხურ პოეზიას ახასიათებს და არც ის სიმარტივე, რომელიც ცოცხალ ხალხურ ლექსსა აქვს, იმის მიუხედავად, თუ როდის არის იგი წარმომადგენელი...

...ჩვენი ვარიანტი მცირედად განსხვავდება დადიანისეულ ვარიანტისაგან. ეს უკანასკნელი უფრო სწორი უნდა იყოს. რადგან იქ „წყობა“ არის, ჩვენსაში „წყალობა“, რაც არ შეეფერება ტექსტს. იქ არის „სწყალობდის“, ჩვენსაში—„წყალობდეს“, პირველი ფორმა „ის“—ზე დაბოლოვებით სწორია და ჩვენ თუ ჩვენი ვარიანტი დავბეჭდეთ, იმიტომ, რომ გვეჩვენებინა ხალხში დღემდე შენახული ამ ლექსის სახე“ (კოტ., გვ. 389—390).

ლექსში ეპოქის კარგი ცოდნით შესანიშნავადაა აღწერილი დავით აღმაშენებლის მრავალმხრივი ღვაწლი. წყობითა და სტილით იგი მსგავსია № 11-ისა, რომლის პირველი ავტორი არსენ იყალთოელია. ამ გარემოებამ გვაფიქრებინა, რომ მისი „ავტორიც დავით აღმაშენებლის თანამედროვე ცნობილი მწერალი არსენ იყალთოელი უნდა იყოს“ (სიხ. საგმ., გვ. 125).

13. დარუბანდის კარები დავით აღმაშენებლისაგან მოტანილი გელათში

(ჩაწერილი 1939 წ. ანუსია კარგარეთელის მიერ ფ. არქ. № 18689).

ანუსია კარგარეთელი ქართული ხალხური სიტყვიერების სისტემატურ შემკრებთა პლედარს ეკუთვნის. მის მიერ შეკრებილი მასალები გამოქვეყნებულია „ძველი საქართველოს“ ტომებში ვაქირელი ქალის ფსევდონიმით. ეს ლეგენდა ფოლკლორის სექციისაში მან 1939 წელს მოიტანა. ლეგენდის საფუძველია ისტორიული ცნობა. ვახუშტის აღწერილობით გელათის ეკლესიას „ჰკიდავს ზღუდის კარი ბჰესა მისსა, რკინისა, აღმაშენებლის მოტანილი დარუბანდიდამ“ (ვახ. გეოგ., გვ. 151). ამ კარებს ახლაც აჩვენებენ გელათში და იწოდება განჯის კარებად. ამ ლეგენდის მოტივი გვხვდება როსტომიანშიც. როსტომიანის მიხედვით როსტომმა ტომრებში ჩასვა თორმეტი ჰაბუკი, აკიდა ჯორებს და ისე შეიყვანა ნართის ქალაქში ბეჟანის დასახსნელად (იხ. ქართული ხალხური ეპოსი, სოლ. ყუბანეიშვილის რედ., თბ., 1940, გვ. 78). ეს მოტივი ცნობილია ბერძნული

ეპოსითაც. ჰომეროსის მიერ შემონახული გადმოცემით ქალაქ ტროას ალების შესახებ ენეიმ უზარმაზარ ხის ცხენში ჩასვა ოდიხევის და სხვა გულოვანი მეომარი. ბერძნების მიერ ბანაკში დატოვებული ცხენი ტროელებმა ქალაქში შეიყვანეს ღმერთების სამსხვერპლოდ. დამალული გმირები ღამით გამოვიდნენ ცხენიდან, მათ შეუერთდა მახლობლად ჩასაფრებული ჯარი და აიღეს ქალაქი.

ბ

დავით აღმაშენებელს უომია თათრებთან. თათრებს უთხრობია: — რას გვიზამო შენო, ერთბაშათო დარუბანდის კარები არ ჩამოგვიღოთო. მერე წასულა მაგი და ამუტტანია. გელათშია აყუდებული რკინის კარები. ზარბაზნის ნასროლები ეტყობა—ის არის სანახავი, რაც არის. მატარებელი არ ყოფილა მაშინ და რაფერაა მოტანილი, გასაკვირი ისაა.

(მთქმელი დომენტი მარკოზის ძე იამანიძე, 69 წლის წერა-კითხვის უცოდინარი, მეწისქვილე. ჩაწერილი ტყიბულის რ. ს. კურსებში, ფ. არქ. № 34446).

გ

დავით აღმაშენებლის და თამარის თქმულება

იყო დიდებული ადამიანი, თამარის მამა, მეფე დავით აღმაშენებელი, გელათის ამშენებელი. თამარს დეეჩემა თათრები:—არ ჩამოგვიღო მეჩითის კარებიო.

— ქალიც არ ვიქნები, თუ არ ჩამოგვიხსნითო კარებს. ეხლაც გელათშია ის კარები.

ყუთები გააკეთა, ჩასხა შიგ ჯარი და გაგზავნა, ვითომ ვაჭრის საქონელი იყო. ამოსხა მერმეთ ჯარი და დაამარცხა ოსმალები:

(მთქმელი სიმონ მათეს ძე იამანიძე. მოხუცი. წერა-კითხვის მცირე მცოდნე. ჩაწერილი ს. კურსებში 17. VIII—1951 წ. ელენე ვირსალაძის მიერ. ხელნაწერი ინახება ფ. არქ. № 34627).

14. დავით აღმაშენებლის მიერ ანის ალება

∴ გადმოცემულია იაკობ გოგებაშვილის მიერ (ბუნ., გვ. 368).

15. დავით აღმაშენებელი და მურვან ერუ

თქმულება ზეპირსიტყვიერების დამახასიათებელ ანაქრონიზმს შეიცავს. ძლევამოსილი ეროვნული გმირის სახელთან ხალხი ხშირად აკავშირებს ძლიერი აგრესორის სახელს.

(მთქმელი იასონ გიორგაძე, ჩაწერილი ს. კურსებში 1951 წ. ელენე ვირსალაძის მიერ. ჩანაწერი ინახება ფ. არქ. № 34656).

16. გელათის ტაძრის აგება

მთქმელი გიორგი ჯანგაძე. ჩაწერილი გელათში 1945 წ. დო-
ნენტი თომაშვილის მიერ.

17. ლეგენდა დავით აღმაშენებელზე

ლეგენდა ჯადოსნური ძალის დამორჩილებისა და მშენებლობა-
ში გამოყენების ტრადიციულ სიუჟეტზეა აგებული. მას მრავალი პარალელი და ანალოგია აქვს მსოფლიო ფოლკლორში.

(სიხ. საგმ., გვ. 210—216. მთქმელი სინო გ-ძე, ჩაწერილია საქარში ვიქ. ებანოიძის მიერ, აკ. კრბ., 1897, № 1).

ბ

დავით აღმაშენებელი და მისი ვიწრო

როდესაც დავით აღმაშენებელს გელათის აგება გადაუწყვე-
ტია, ჯერ კალატოზებისა და მუშებისათვის სადგომი ბინები მოუწყ-
ვია; ელისქედზე პატარა ეკლესიაც ოუშენებია მათთვის. სულ პირ-
ველად კი სასმელი წყალის ძებნასა და გამოყვანას შედგომია.
წყაროს სათავე მალე ამოუჩენიათ—გალავანს გადაღმა. სოხასტრის
ძირში. დოუწყიათ მის ამოთხრა და მიწის ქვეშ ქვიტკირის კედლები-
სა და თაღების ამოყვანა. რომ მერე მადაროში დაგროვილი წყალი
მიღებით მონასტრის ეზოში გაეყვანათ. მეფე თურმე ძალიან გახა-
რებული იყო. რომ კაი წყალი ამოჩთა და ისიც ახლოს. მარა ერთი
ფათარაკი თან დაყოლია ამ საქმეს: რამდენსაც ამოაშენებდენ მალა-
როს კედელს, ღამით ვინცხა ანგრევდა და წყალიც წაპილწული გა-

მოდოდა ნაშარდი. მეფე ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა, იფიქრა და სვითის ჩაგონებით მიხვთა, რომ ეს ეშმაკის მანქანება იყო. დოუ-დარაჯდა მავნეს და ნახა, რომ პირველ მამლის ყიულზე რაცხა შე-ლაჯუნდა მალაროში, მიანგრ-მოანგრია იმ დღის ნაშენი, წაბილწა წყალი და ის იყო, უნდა წასულიყო, როცა დავითმა სტაცა კუდში ხელი და დეითრია: ახლა ვერსად წამიხვალ, შე წყეულო! მეფეს ხელში ჭვარი ეჭირა. ამის დანახვაზე ის წყეული შეშინდა, სულ აკანკალდა, შეეხვეწა მეფეს: „ოლონდ შაპატიე, ჭვარის ხელში ნუ ჩამაგდებ და გემსახურებო. მართლაც, ეშმაკი ჯორათ გადაიქცა და ძალიან საქებარი ჯორიც იყო. მეფე შეჯდებოდა და ერთ დღეს თავის სამეფოს თლათ შემოივლიდა: დილას რომ აფხაზეთში იყო, შუადღისას ცხეთაში გაჩებოდა, საღამოს ისევ გელათს მევიდო-და. ჯორი კი არა, მფრინავი იყო, მფრინავი. მისი ნაკვლევი ახლაც აჩნია ელისქედზე, ქვისჭვართან.

ერთხელ მეფე შორი მგზავრობიდან დაბრუნდა, ჯორი მოსამსახურეს გადასცა: დაასვენე და წყალი დაალევინეო. ნაბრძანები ჰქონდა, ლაგამი არ ახადოო (აპყარო), და, მართლაც, ეს ჯორი სულ ლაგამამოდებული ყავდათ. მოსამსახურემ რომ ჯორი წყალზე მიიყვანა, ჯორმა უთხრა: აპა, შე უსამართლო, ასე ალაგმულმა წყალი როგორ დავლიო, ლაგამი ამხადეო. ბიჰს ბძანება დაავიწყდა და ლაგამი ახადა. ჯორი მაშინვე ეშმაკათ გადაიქცა და წყაროში ჩაძვრა. წყალი ისევ წეიბილწა. დავითს ძალიან ეწყინა ეს ამბავი, მარა წამალიც მალე მოუძებნა: წაროს თავზე ჭვარი დაასვენა, ეშმაკი შით ჩეიკეტა და ძალა დაკარქა, წყალიც დეიწმინდა. მერე იმ წყაროს თავზე პატარა სახტარი ააშენეს და ის ჭვარიც იქ დაასვენეს. მას აქით ჩქედს ჩვენ ყინვასავით ცივი გვირავი.

(მთქმელი 86 წლის გიორგი ჯახგავაძე. ჩაწერილი გელათში დომენტო თომაშვილის მიერ 1945 წელს).

8

დავით აღმაშენებლის ჯორი

დავით აღმაშენებელმა ერთად ჩაყარა სამი ეკლესიის ბალავერი: გელათში, მარტვილში და სუჯუნაში. მან დაიწყო ტაძრის შენება, მაგრამ ეშმაკი ყოველთვის უნგრევდა. ერთხელ დავით აღმაშენებელი თვითონ გაუდარაჯდა, აცალა ეშმაკს ტაძრის დანგრევა და, როდესაც ეშმაკი ჩავარდა წყალში დასაძირავათ, ესროლა ბადე

და დაიჭირა. გაუქვთა რკინის ლაგამი ეშმაკს. რომელიც ჯორათ იქცა მაშინვე. შეჯდებოდა ჯორზე დავითი, ერთ ქვას გელათის ტაძარს დაადებდა, მეორეს—მარტვილისას და მესამეს სუჯუნისას. ერთხელ გელათიდან მარტვილს მიმავალ დავითს ჩუნეშში გარება შეექნა. ერთ კლდეზე ჯორს გაუწყდა აბუანდი. დავითი ჩამოხტა, თავისი ხელით გაეკრა იგი და სამახსოვროთ ბრძანა იმ ადგილს ტაძრის აშენება. ეს ტაძარი დღეს დანგრეულია, მაგრამ იმ ადგილს კიდევ შერჩენია „აბუანდ-ნაკერის“ სახელი. როდესაც ყველა ტაძრები ააშენა დავითმა, უბრძანა დიაკონს: „წაიყვანე ჯორი, ლაგამი არ მოხსნა, ისე დაბანე, წყალი დაალევიე და მოიყვანეო“. დიაკონმა ბრძანებებისამებრ წაიყვანა წყაროზე ჯორი. ჯორმა წყალი დასუნა, მაგრამ არ დალია; დიაკონმა იფიქრა, ნამდვილათ ლაგამი უშლისო და მოაძრო. მაშინ ჯორმა დაიყურყუმალა და დაიკარგა.

(ავ. კრებ., 1898, VII, განყოფილება III, გვ. 44—45).

დ

თქმულება დავით აღმაშენებელზე

ერთხელ დავით აღმაშენებელთან მივიდა მეჭინბე და უთხრა: ბატონო, ჩვენს ჯოგში ისეთი საარაკო ცხოველია, რომელსაც ვერ ვეკარებთო. დავითი წავიდა, გადასახა ჭვარი, ამოსდო ლაგამი და დააწყნარა ცხოველი. შემდეგ შეჯდა და ისე ჩქარა წავიდა, რომ მარტვილში ისაუზმა. გელათს სადილი ქამა. მცხეთას ვახშამი. იქედან წავიდა საქართველოს სხვა კუთხეებში და ყველგან ეკლესიების შენება დაიწყო. ერთხელ. როდესაც ნათლიდედასთან მივიდა და საუზმეთ დაჯდა, გარეთ დამბულმა რაშმა დაიწყო ფეხების ფხაკუნნი. ნათლიდედამ იფიქრა, ნამდვილ წყალი უნდაო და წაიყვანა წყალზედ. რაშმა წყალში ჩავარდა და სადღაც გაქრა. როცა დავითმა გაიგო რაშის დაკარგვა, მივიდა იმ ადგილს, სადაც რაში დაიღუპა და უთხრა: „წასულხარ და გამიშვიხარ არ წამსვლილხარ უხედარიო“.

(ჩაწერილი, ქვ. რაჭაში 1914 წ. იოელ მაისურაძისაგან. ხელნაწ. ინსტიტ. II—2026).

მ

დავით აღმაშენებლის ჯორი

დავით მეფემ ერთად ჩაყარა სამი საყდრის თამალი (საძირკველი). დაიწყო საყდრის შენება, მაგრამ ეშმაკები გაუჩნდნენ და უნგ-

რევდენენ. ამას ყარაულებიც ვერ უგებდნენ. დავით მეფემ თქვა: „ახლა მე თითონ უნდა უყარაულოვო“. შუალამე რო გახდა, ერთიც ვნახოთ. ეშმაკი მოვიდა და საყდარს დაუწყო ნგრევა. დავით მეფემ ესროლა და თავზე ბადე გადაათარა და დაიჭირა, გაუკეთა მაგარი რკინის ლაგამი, უცებ ეშმაკი ჭორათ გადაიქცა. შეჭდა დავით მეფე და ხან ერთ საყდართან მიატანიებდა ქვას, ხან მეორესთან და ასე ამ რიგად ააშენა სამივე საყდარი.

(მთქმელი ბასილ გოგოლაძე, 70 წლის, წერა-კითხვის უცოდინარი. ჩაწერილი ჭავჭავთში ს. ბარალეთში 12. XII—1937 წ. გიორგი გოგოლაძის მიერ. ხელნაწერი ინახება ფ. არქ. № 13535).

8

ბალავერი რომ გუუწყვია დავითს, მივა რაცხა და ლამე წაახთენს დღის ნაშენებს. მერე ასწავლა ვინცხამ: —აქანა პურ-ღვინო დააწყვე შენო და რაცხა არის, მივა, დალევს, დათერება, იგი ეშმაკია და მიდი შენო და ლაგამი ამოდე პირშიო.

დუუდგამს მართლა პურ-ღვინო იქა და მისულა, დახთენია დაწოლილი ძირს. ეშმაკი ყოფილა, ამუღღვია ლაგამი დავითს და ჭორათ ქცეულა ლაგამით. დავით აღმაშენებელი აქედან დაქროდა იმით, რაცხა იყო, სამ ეკლესიაში მუშაობდა, ჩქარა დადიოდა აქაც მუშაობდა და მარტვილში (მეგრელიაში) და კიდევ არის მესამე მაგისანა ეკლესია. რამდენიმე ხანს იმუშავა მითი კარქათა და მერე ვინცხა ნათესავი ყოფილა. ჭორი დუუბამს გარეთ. ამას წყალს დავაღვევიფო. უთქვამს მოყვარეს და როგორც გამოართვა ლაგამი, გაფრინდა ჭორი, ვინ იცის, სათ წასულა ეშმაკი. მერე დაუგვიანდა ამ ეკლესიების აშენება. ველარ დაქროდა, ნელა-ნელა მიდიოდა. როცა ჭორი ყავდა, მაშინ ჩქარა მიდიოდა მშენებლობა.

(მთქმელი დომენტი მარკოზის ძე იამანიძე. ჩაწერილი ს. კურსებში 22. VII—1951 წ. ქს. სიხარულიძის მიერ. ფ. არქ. № 34447).

18. გელათის აშენება

მთქმელი იასონ კონსტანტინეს ძე გიორგაძე, წერა-კითხვის მცირე მცოდნე, კოლმეურნე, ყოფილი კალატოზი.

ჩაწერილი ს. კურსებში 1951 წ. ელენე ვირსალაძის მიერ. ფ.

არქ. № 34652. ლეგენდა სუეეტურად ახლოს არის № 17 ლეგენდასთან. ციდან რეკვის მოტივით იგი ანალოგიურია ვახტანგ გორგასალზე შექმნილი № 1 სიმღერისა. ლეგენდა იმიტაც არის საყურადღებო, რომ მისი ფაბულის განვითარებაში იგრძნობა მთქმელის პროფესია. ყოფილი კალატოზი ლეგენდას ამთავრებს ძველად მშენებლობის წესის აღწერით.

19. გელათის მშენებლობა

მთქმელი პეტრე ტარიელის ძე იამანიძე, 34 წლის, კოლმეურნე, მკვდელი.

ჩაწერილი 19. VII—1951 წ. ქს. სიხარულიძის მიერ. ფ. არქ. № 34443.

20. ოჯახის ციხე

მთქმელი იასონ კონსტანტინეს ძე გიორგაძე, 69 წლის, წ. კ. მცოდნე, კოლმეურნე, ყოფილი კალატოზი. ჩაწერილია ტყიბულის რ. ს. კურსებში 1951 წ. ელ. ვირსალაძის მიერ. ფ. არქ. № 34649.

21. აღმაშენებელი და ავმანდაძე

ამოწერილია ავმანდაძის სიგელის სახელით ცნობილი XV საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლიდან (საქ. სიძ., II, გვ. 42—43). სიტყვების ხაზგასმა და კვადრატული ფრჩხილები ძეგლის გამომცემელს ეკუთვნის. ტექსტის დასათაურება რედაქტორისაა.

22. სვეტიცხოვლის ოსტატი

ქრონ., 1, 1893, გვ. 175—176. ლექსი შექმნილია მცხეთის ტაძრის განმარტებელზე. მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძრის კედელზე არის გამოსახულება—მოკრილი ხელი გონიოთი.

ხალხური ლექსისა და სვეტიცხოვლის ტაძრის კედელზე მოკრილი ხელის გამოსახულების გამო თედო უორდანია შენიშნავს „აღბათ ამ მოკრილი ხელის ქანდაკმან დაჰბადა ხალხში თქმულება, ვითომ სამთავროს მაშენებლის ხუროთმოძღვრის მოწაფემ მცხეთა ააშენაო, ეს შეშურდაო მასწავლებელს, გავლენიანს და კადნიერს მოწაფეს ხელი მოსკრესო“ (ქრონ., 1, გვ. 175).

ლექსის ვარიანტების არსებობის გამო ალ. ლლონტს აღნიშნული აქვს: „ეს გალექსილი ლეგენდა რეალურ ცნობებზეა დამყარებული და თვით შაირი შეთხზული უნდა იყოს იმავე ეპოქაში, როცა მცხეთის ტაძარი შენდებოდა“ (ლლ. შ. გვ. 33). ლექსის დასათაურება ჩვენია,—ქ. ს.

ბ

ხეკორძულას წყალი მისვამს. .
მცხეთა ისე ამიგია,
არც არაგვი, არცა მტკვარი,
ნამი არსად მომივლია,
ქვაც იქიდან მიზიდნია.
აილო და ხელი მომქრა,
რატომ კარგი აგიგია.

(დაბეჭდილია. A. Натроев, Мухет и его сѡпор Светицховели, Тбилиси, 1900, стр 179.)

გ

ხეკორძულას წყალი მისვამ,
მცხეთა ისე ამიღია,
დამიჭირეს, ხელი მამჭრეს,
კარგათ რისთვის აგიგია

(ჩაწერილი ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ. თაყ., 1, გვ. 182).

დ

ხეკორძულას წყალი მისვამს,
ცხეთა ისე ამიგია,
არც მტკვარი და არც არაგვი
ცვარი არსად ჩამიშეოა.
დამიჭირეს, ხელი მამჭრეს,
კარგი რისთვის აგიგია?!

.. (ჩაწერილი ქართლში. თაყ., 1, გვ. 182).

მ

ასურეთის წყალი მისვამს,
ცხეთა ისე ამიშენებია,
ცხეთის ტკვარი და არაგვი
ცვარი არ გამირევია;
აილო და მკლავი მამჭრა,
—„რათ გააკეთე კარგია!“

ჩაწერილი 1863 წ. პეტრე უმიკაშვილის მიერ მცხეთელის
ტყმით (უმიკ., გვ. 434). ტექსტს დართული აქვს შენიშვნა: „მცხე-
თის ტაძრის აშენებაზეა ნათქვამიო. შეგირდს რომ ოსტატზე უკე-
თესი გაუკეთებია და ოსტატს ხელი მოუჭრია შეგირდისთვისო“
(უმიკ., გვ. 434).

23. იმ ადგილას

ჩაწერილი კახეთში 1954 წ. ნათელა ონაშვილის მიერ. იქვე
ნათელა ონაშვილის მიერ ჩაწერილია მეორე ვარიანტი. მისი ბოლო
სტრიქონი ასე იკითხება: „მეფე მირიანი“. სხვა მხრივ ვარიანტებს
შორის არ არის განსხვავება.

24. თამარს უამბო დედამა

(დაბეჭდილია ვაჟა-ფშაველა, ძველი და ახალი ფშაველების
პოეზია, ტ. VII, 1956, გვ. 102. გადაბეჭდილია ცაიშ. თამ., გვ. 47).

ამ ლექსის შესახებ ვაჟას აღნიშნული აქვს: „ამ მოკლე ლექსში
მკაფიოდ და მოკლედ არის ნათქვამი თვით სივრცე თამარის დროის
ივერიის სამეფოსი და აგრეთვე ისიც, რომ ამ სამეფოს ჰყავდა
ბრძენი, შეგნებული მეფე, მმართველი—თამარი“ (ვაჟა ფშაველა,
ტ. VII, გვ. 102). ამ ლექსის ვარიანტი შესავალი-საწყისის სახით
წამძღვარებული აქვს თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავეში ჩაწერილ
ლეგენდას, რომელიც ამ კრებულშიც არის შეტანილი № 38.

ბ

თამარმა ჰკითხა დედასა
— დედავ, ცუდ სიზმარ ვნახია,
სარკეჩი სადამ გავხენე,
კმელეთი დაჟინახია!

— თამარ, შენია კმელეთი,
შაგნებით შაინახია.
ჭკვივნობა, გონიერება
მთელი კმელეთის ფასია!

მთქმელი ბ. ლიქოკელი. ჩაწერილი 1943 წელს აკუშოში ივ-
ხორნაულის მიერ. ფშ. ხეცს., გვ. 61—62.

25. ბრძანებდა დამბადებელი

აკ. კრბ., 1900, № 2.

ჩაწერილი ფშავში გრ. აფშინაეალის მიერ. სტრიქ. 4 ზევ.
„შამქდარი“ განმარტებულია—„ლამაზად მოწყობილი“. ცოტაოდენი
ცვლილებებით გადაბეჭდილია ცაიშ. თამ., გვ. 49.

ბ

ფშაური საფერსულო

პირველად ღმერთი ვაქსენოთ,
ეგ უფრო დიდებულია,
მემრ თამარ ნეფე ვაქსენოთ,
ეგ ღმერთთან წილდებულია.
ლაშარის ჯვარიც ვაქსენოთ,
ეგ ყმაზე თაედებულია.
ბძანებდა დამბადებელი:
—მე დავდგი მიწა მყარია,
ზედ გადავხურე ზეცადა
სინა, ჰიქა და რვალია;
შიგ გავაჩინე მზე, მთვარე,
მავალი დღე და ღამეა;
მურგვალთ მოვარტყი სამი ზღვა:
თეთრი, წითელი, შავია,
შიგ გავაჩინე დუნია,
რჯულად ათასი გვარია.
ბძანებდა მამა უფალი:
— თამარ განეფდეს ქალია,

დაიგდოს მამის საკელო,
შაირტყას მამის კმალია.
სახელით გამარჯვებული
თამარი დედუფალია!
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,
გადააქანა ზღვანია;
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
სამანი რკინის სარია,
კმელეთი ჩვენე დაიგდო,
— ღმერთო, მიმრავლე ყმანია!
ქრისტიანთ სალოცაჲადა
თვითონ კმელგორზე ბრძანია.
პირდაპირ უდგა გორზედა
ლალი ლაშარის ჯვარია.
მიეშეელების საყმოთა,
არ იყოს მისვლის ხანია.
რახანის გაემართება,
კოტორ ვაჰყვება ნისლისა,
გაიგო ლაშარის ჯვარმა,
ქისტეთს გაბევრდა ცხვარია,
გადაიკიდა მათრახი.
წელზე შაირტყა კმალია,
შაჰკაზმა თავის ლურჯაი,
ზედ თითონ შაჯდა ჩქარია,
შამაუარა საყმოსა,
ცხენ მოდის როგორც ქარია.
დალალდნენ ფშავლი შვილები,
იყრება მძიმე ჯარია,
შამოკდენ ლაშარის გორზედა
ქვეითნი, ცხენოსანანია,
მრავალთ ეკიდნა მქარზედა
სამკლავე, საფუჰარია:
ყველას თან ედგა საგზაო,
საჩქაროდ ნადუღარია.
ხუცობდა ბერი ლუხუმი,
კმატკბილად მაუბარია.
ჯერ თამარ ნეფე აკსენა,
მემრე ლაშარისა ჯვარია,

მემრე მკვდრებს უთხრა შანდობა,
ვინც ველზე დარჩა მკვდარია
ჩამააყოლეს თასები
თამარის ნაჩუქარია.

მიდიან დაჩქარებითა,
საქმეა საწუთარია,
წვერჩევიან თარეშნი,
ღმერთო უასწერე ჯვარია.
ცის ქუხილ გეგონებოდათ
ცხენების ფეკის ჩქამია,
გამაუძღვება დროშია,
უჟრიალებდა ზარია,
ჩაგროვდნენ მაჰსტის ქალას,
არ სწვდება წვიმის ცვარია.
თოფი ძიუნას დაგვიკრეს,
ოთხზე დაბრუნდა ჯარია.

(ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში, ენიშკის მოამბე, XI, გვ. 131—133. საფერხულოს ფრაგმენტები გადაბეჭდილია ცაიშ. თამ., გვ. 69). ჩაწერილია ივრის ფშაველი ხატის მსახურების მიერ შესრულების პროცესში. ტექსტი მოვიყვანეთ მთლიანად, როგორც იახსარის საფერხულოს ნაწილის და ლაშარის ჯვარის ლექსის კონტამინაციის ნიმუში. ამგვარი კონტამინაცია მაჩვენებელია საქართველოში ბოლო დრომდე შერჩენილი თამარ მეფის კულტისა.

ზ

გვიბძანა ლაშარის ჯვარმა,
ცას ვები ოქროს შიბითა,
ქმელს გორზე ბერმუხა მედგა,
ზედ ავდიოდი კიბითა.
ჩემ ყმათი შამონაზღვენი
უფალთან შამაქე იქითა,
სულკრულმა აფციურმა
ამამიბრუნა ძირითა.
შამოკდა გალავანზედა
გაცინებულის პირითა,
უკულმ ჩაუდევ საყელე,
ვამყოფე ცოდვა-პირითა,

ჯერ შვილიშვილით დავლიე,
 მემრე ქალ-ქალის შვილითა.
 ხეთის კარზე შავიყარენით
 ხეთის ნაბადებნი დილითა.
 ბძანება გამოგვიჟიდა
 დამბადებელის პირითა.
 გვიბძანა დამბადებელმა:

— მე დავდგი მიწა მყარია,
 სუ თავის მორთულობითა
 შამხდარი მთა და ბარია.
 მურგელივ სამი ზღვა მუავლე:
 თეთრი, წითელი, შავია.
 ზედ კადავხურე ზეცაი
 სინა, კიქა და რვალია.
 ღუნია გამიჩენია
 რჯულად ათასი გვარია,
 შიგ. გავაჩინე მზე, მთვარე,
 მრავალი დღე და ღამეა.
 სამოც სამ წმინდა გიორგი
 ოთხსაე კუთხეზე ბძანია,
 ქრისტიანთ სალოცავადა
 გამოხატული ჯვარია.
 ხთის შვილთა ჰყავის წმინდაი
 თამარი დედუფალია.
 იქნა ხთისაგან ბძანება,
 წელზე შეერთყა კმალია,
 მამის სანეფო დაიგდო,
 თითონ ბრძანდება ქალია;
 შუა ზღვას ჩადგა სამანი,
 სამანი რკინის კარია,
 კმელეთ თავისაკ მაიგდო,
 იმთვენი ჰქონდა ძალია,
 სატახტო საბძანებელი
 თითონ კმელგორზე ბძანია.
 პირდაპირ უდგა გორზედა
 ლალი ლაშარის ჯვარია,
 გვერდს უდგა ნისლის ფერაი,
 ტრედის ფერნი ჰქონ მკარნია.

ზედ ოქროს უნაგირ უდგა
 ოქროს წყლით ლაგმის ტარია.
 შაძლებულ, გამზადებულა
 გაფანტულნი მყავ ყმანია.
 შამაჟარა საყმოსა.
 მძიმე შაყარა ჯარია,
 ვისაც ნათქომი ეწყინა,
 იმის დაკრული მწარია.
 ერთგულს კი მიეშველება,
 არ ჰქონდეს მისელის ხანია,
 ბატონის გამარჯვებითა
 ყველას გეწეროთ ჯვარია.

(მთქმელი დ. ვიანაშვილი, ჩაწერილი 1925 წ. სოფ. ტუშურებ-
 ში ივ. ხორნაშულის მიერ. ფშ. ხევს., გვ. 62—63). ამ ტექსტის ერ-
 თი თავისებურება სი არის, რომ დასაწყისი ვარიანტია ძველი
 თქმულებისა ბერძენის შესახებ. რაც ხშირად ზურაბ ერისთვის სა-
 ხელთან არის დაკავშირებული.

დ

შეიდის წლის ქალი თამარი
 მეფედ თქვეს, დედოფალია.
 ზღვის პირზე შევიყარენით,
 შაგვექნა საომარია.
 ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,
 გადააქანნა წყალნია,
 შუა ზღვას ჩადგა სამანი,
 არ გადმოსცილდეს ცვარია.
 შიგ აამენა სიონი,
 დაადგა ოქროს ჯვარია.
 სახელი თამარ მეფისა
 ზედ დააწერა, გვარია.
 ურჯულოთი და თათართი
 ყველას სარწმუნომც არია!

(ჩამწერი გრ. აფშინაშვილი. იაკსარის საფერხულოს ნაწილია,
 შან., გვ. 582). ამ ლექსის შესახებ ჩვენ აღნიშნული გვაქვს: „თამარ

მეფის ხსენება იაკსარის საფერხულოში დასახელებულ ღვთაებათა შორის უფრო ახალი მოვლენაა, ვიდრე თვით ფერხული და მისი სასიმღერო, მაგრამ იგი შემთხვევითი არ არის. ეს მოვლენა მეტად საინტერესოა როგორც საერთოდ საგმირო ეპოსის, ისე საკუთრივ საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა უძველესი ფუნქციის თვალსაზრისით. ქრისტიანული ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული დიდებული მეფე ქალი საქართველოს მთაში სალოცავად იქცა“ (სიხ. საგმ., გვ. 62—70).

6

შვიდი წლის ქალი თამარი
ნეფე თქვეს, დედუფალიო.
ზღვის პირზე შავიყარენით,
შაგვექნა საუბარიო.
ზღვასა გადაჰკრა ლეჩაქი,
გადააქანა ზღვანიო.
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
არ გადასცილდეს ცვარიო.
კლდეზე გამართა ქალაქი,
შააბა რკინის კარიო.
შიგ ააშენა სიონი,
დაადგა ოქროს ჯვარიო.
ურჯულოთი და თათრთი
ყველათ სარწმუნომც არიო.

(ამოწერილია იაკსარის საფერხულოდან. ჩაწერილია ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. თამარის შესახებ თ. რაზიკაშვილი შენიშნავს „ესეც ხთიშვილებში ურევიან“. შან., გვ. 585).

8

ლეკებსა ჰქონდა ყრილობა,
რაც დიდი შაედანია,
ეუბნებიან ერთმანეთს:
„ერთურთს უჭიროთ მხარია,
ხეთის შვილთ მოუკლათ კოპალე,
თავზე დაუცნეთ ქვანია“.
გაუგო დამბადებელმა,
ჩამოგზავნ იახსარია,

გამოერია ლეკებში,
 ცხვრებულად დასკრა ყელია.
 შუმავლად ჩამოვიდოდა,
 თამარ დედოფალ ქალია,
 ზღვასა გადაკრა ქიჩილა,
 გადააბრუნა ზღვანია.
 შუა ზღვას დაკრა სამანი,
 არ გადმოვიდეს ნამია.
 პირდაპირ ჩამოუჯდებოდ
 ღალი ლაშარის ჯვარია.

(დანარჩენ სტრიქონებში გადმოცემულია ლეკების თავდასხმა
 თუშეთსა და ფშავზე და თუშებისა და ფშავლების გამარჯვება.
 მთქმელი გამარჯვებას მიაწერს ლაშარის ჯვარს, რაც ლექსის მიხედ-
 ვით „თამარის ნაჩუქარია“. მაკ. თუშ).

ზ

შვიდის წლის ბალლი მავიდა,
 ეგ შავ-გვრემალა არია
 კელში უჭერავ მათრაცი
 შვიდ-კეცად შვიდი მქარია.
 მემრე შვიდის წლის გოგოი
 ეგ თამარ დედუფალია,
 ქიჩილა გადაიხურა,
 გადააყენნა ზღვანია.
 შუა ზღვას ჩადგა სამანი,
 არ გარმავარდას ცვარია.
 ლაშარის გორზე დაბძანდა
 ღალი ლაშარის ჯვარია.
 პირ-და-პირ ჩამოუჯდების
 ქალ თამარ დედუფალია.

ამოწერილია საფეხულო სიმღერიდან „იაცსარი“. საფერხულოს
 შინაარსია ხატების—კოპალესა და იაცსარის დევებთან ბრძოლა.
 თამარ დედუფალი იხსენიება „ხთიშვილთა“—კოპალეს, იაცსარისა
 და სხვ. შორის (შან., გვ. 224, № 542). წარმართულ ღვთაებათა შო-
 რის თამარ დედუფლის ხსენების ასახსნელად საგულისხმოა ვახტანგ

კოტეტიშვილის შენიშვნა იმის გამო, რომ ისტორიულმა თამარ მე-
ტემ დაპყარა და ინაცვლა წმ. გიორგის დობილი თამარ ქალი; რო-
მელიც წარმართული ღვთაება უნდა ყოფილიყო (კოტ., გვ. 351-
353). ამ ვარიანტში უფრო აშკარაა თამარ დედოფლის კავშირი წარ-
მართულ ღვთაებასთან, ვიდრე სხვა ვარიანტებში.

თ

ქალი მავიდა ცხრის წლისა,
ეგ თამარ დედუფალია.
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,
არ გადმუარდა ცვარია.
პირდაპირ ჩამაუჭდება
ლალი ლაშარის ჭვარია.
ქელში უჭერავ ლურჯაი,
ფექთ უკრავ ოქროს ნაღნია
მკარზე ჰკიდავის მათრაკი
შვიდ ადლი, შვიდი მკარია.

(ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. ესეც იაცსარის
საფერხულოს ნაწილია. შან., გვ. 586).

ი

პირდაპირ ჩამამდგომიყვა
თამარი დედუფალიო.
ქელშიგ ეჭირა მათრაკი
შვიდ-კეცი შვიდი მკარო.

ჩაწერილი გოგი ჰინჭარაულის მიერ, ესეც იაცსარის საფერ-
ხულოს ნაწილია (შან. გვ. 576) სარიტუალო საფერხულოს სხვა ვა-
რიანტებშიც ასეა მოხსენიებული თამარ მეფე (შან., გვ. 579, 581;
„კვ“, 1896, № 33).

შვიდი წლის ქალი მოვიდა,
ეგ თამარ დედოფალია,
პირდაპირ ჩამოუჭდება,
ლალი—ლაშარის ჭვარო.

დანარჩენი სტრიქონები მთლიანად ლაშარის ჯვარისადმია მიძღვნილი და გადმოცემულია თათრების თავდასხმა ფშავლებზე (იკვ“, 1896, № 33).

26. ქალო თამარო

კრბ., 1873 № 7.

ლექსი საინტერესოა როგორც შინაარსით, ისე ფორმით. სოლ. ცაიშვილმა ლექსი მართებულად მიიჩნია თამარ მეფისა და დავით სოსლანის ურთიერთობის ამსახველად (ცაიშ. თამ., გვ. 28). ლექსი საგულისხმოა უძველესი ამებეური ფორმით და მეტრითაც. იგი სარიტუალო საფერხულო უნდა ყოფილიყო. ვარიანტში თამარი არ იხსენიება.

ზ

ელი ელამდა, ზღვა ბიბინებდა,
ზღვისა კიდესა კარავი იდგა,
შიგ ქალი იჭდა, ზარი ეხურა.
აგხადე ზარსა, სამი ვაკოცე,
სამმა კოცნამა ფერი უცვალა,
ფერმა ნაცვალმა წიგნი დასწერა.

- ვის გაუგზავნა?
- დავით ნეფესა.
- რა მოუვიდა?
- ქამხა, ატლასი.
- რით მოუვიდა?
- ჯორ-აქლემითა.
- როგორ გამოსქრა?
- ბროლის თითითა!
- რითი შეკერა?
- ნემსის წვერითა.
- როგორ იცმევდა?
- სიხარულითა.
- როგორ იხდიდა?
- ხორცის გლეჯითა.
- რაში გარეცხა?
- სისხლის ზღვაშია.

- რაზე გააშრო?
- ალვის ხეზედა.
- რალამ გააშრო?
- ნიავემა—ქარმა.

(ჩაწერილი კახეთში, თაყ., 1, გვ. 372).

27. თამარ მეფის ლექსი

ჩაწერილი კახეთში. ფ. არქ. № 18293. მეტად გავრცელებული ლექსია. ცნობილია ამ ლექსის უფრო ვრცელი ექვსტაეპოვანი ვარიანტი, დაკავშირებული იოსებ დავითაშვილის სახელთან. ამ ვარიანტის ხელნაწერი, ი. დავითაშვილის ავტოგრაფი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში. იგი დართული აქვს ზეპირგადმოცემების მიხედვით დაწერილ ფელეტონს „დიდუბის ეკლესია“. ი. დავითაშვილი წერს: „იმის (დიდუბის ეკლესიის,—ქ. ს.) აშენებასაც ხველასაგან დაუვიწყარს თამარ დედოფალს მიაწერს ჩვენი ხალხი და ზოგიერთი ჩვენი მეისტორიენიც. ამბობენ, რომ თამარ დედოფლის მეორე ქმართან—დავით სოსლანთან ქორწილი ამ ეკლესიაში იყო, და ამისათვის მიართვეს ეს მცირე ლექსი“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი H—1994). რედაქციას, რომლისთვისაც ი. დავითაშვილს გადაუცია ფელეტონი ლექსით, ეკუთვნის შენიშვნა: „ეს ლექსი ბ-ნი ი. დავითაშვილისა (აწ განსვენებულის) ზოგიერთ ქართულ გამოცემებში იბეჭდება დღესაც როგორც ხალხური. აი რამდენათ შესწავლილია ჩვენში მწერლობა და საერო სიტყვიერება. რედ.“ (იქვე). ლექსი, როგორც ი. დავითაშვილის ნაწარმოები შეტანილია პოეტის თხზულებათა კრებულში:

ი. დავითაშვილი, ლექსები, 1927. გვ. 212; იოსებ დავითაშვილი, სრული კრებული სოლ. ყუბანეიშვილს რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1951, გვ. 2.

ავტოგრაფსა და დაბეჭდილ ტექსტს შორის არის მცირე სხვაობა. ავტოგრაფში მე-4 ტაეპის მეორე სტრ. იკითხება: „თითქმის იყო ასი მხარი“ (ხელნაწ. ინსტიტუტი, H—1994), დაბეჭდილი—„იქნებოდა ასი მხარი (სრული კრებული, გვ. 2). ავტოგრაფში—მე-5 ტაეპის 1 და 2 სტრ.:

— „დედა ქართლისა თამარი
ბევრიც ვიტყვით სად არი?“
დაბეჭდილი —

„სიმშვენიერით მოსილი“
დედა — ქართლისა თამარი (სრ. კრებ., გვ. 2).

ჩვენ ეს ლექსი ლიტერატურული გზით წარმოშობილად მივიჩნიეთ (სიხ. საგმ., გვ. 136), მაგრამ ი. დავითაშვილის ზემომოყვანილი შენიშვნა არ გულისხმობს ლექსის მაინცადამაინც ლიტერატურული გზით წარმოშობას. ლექსის ავტორად ეკვემიუტანელადაც რომ მივიჩნიოთ ი. დავითაშვილი, იგი ხალხური გადმოცემებიდან დამოუკიდებელი მაინც არ არის. ამაზე მიუთითებს ი. დავითაშვილის შენიშვნაც (ხელნაწ. ინსტიტ., H—1994) ასეა. თუ ისე, ლექსი საგულისხმოა ზეპირსიტყვიერი პოეტური ტრადიციის თვალსაზრისით.

ბ

საქართველოს დედოფალი

საქართველოს დედოფალი
 სიმშვენიერით ამოვსილი,
 ამომავალ მზის დარითა,
 დავით სისონის მეუღლე.
 რომელმაც უშვენა მხარი.

დიდ უბანში იქორწილა,
 სადაც რო ეკლესიებია;
 ნადიმობა გადიხანდა,
 თავის ჯარები შეიწვია.

ასი სული ცხვარი დაკლა
 და ორასი ნიშა ხარი,
 ლურჯი სუფრა გადუშალა,
 თითქმის იყო ასი მხარი;
 ქვრივ-ობლებსა უწყალობა
 ოქრო, ვერცხლი დიდი ძალი.

სიბრძნით, სიუხვით და-ქებული,
 დილის ცისკარის სადარი.
 მნათობებსა ქვეყნებსა
 მკვდარი ვერ პოვეს, სად არი.

..მე ვიყავ თამარ დედფალი,
 სახელი დიდი გავიგდე,
 ზღვაში ჩავეყარე სამნები,
 ხმელეთი შიგნი ჩავეგდე,
 ქაჯებს დავარქვი ნიჯარი,
 ისპანს ხარჯი ავიღე...

ამდენი ქველის მომქმედმა, რომ მოვკვდი,
ცხრა ადლი ტილო წავიღე“.

ჩაწერილი სევანეთში (სევან., გვ. 362). ტექსტი ახლოს არის დავითაშვილისეულ ვარიანტთან. არის განსხვავებაც. მთქმელისთვის უცნობია სოსლანი და ნათქვამია სისონი. უცნობია აგრეთვე დიდუბე, ნათქვამია დიდუბანი და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ ლექსის დასასრულად გამოყენებულია ეპიტაფიის ხასიათის ლექსი „თამარ დედოფალი ვიყავ“. ამგვარი კონტამინაციის ნიმუშებია სხვა (გ. დ.) ვარიანტებიც.

ბ

თამარ დედოფალი

მე ვარ მეფე დედოფალი,
საქართველოს დედა ქალი,
დავით სოსლანის მეუღლე;
დიდუბეში ვიქორწინე.
ასი სული ცხვარი დავკალ
და ორასი ნიშა ხარი.
იქვე მოუქნე ხმალი,
ქაჯეთის ციხე ვეიღე,
ზღვაში ჩავყარე სამნები,
ხმელადი ხელათ მოვიგდე,
ქაჯეთს დავადე იჯარა,
ისპაანს ხარჯი ავიღე.
ამდენი საქმის მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღეო.

(ჩაწერილი ქვ. რაკვაში 1914 წ. იოელ მაისურაძისაგან. ხელნაწ. ანსტიტუტი, H—2026).

დ

საქართველოს დედოფალი
დედა ქართლისა თამარი,
სიშვენიერით იშოვნა
ამომავალი მზის თვალი.
თამარ დედოფალი ვიყავ,
სახელი დიდი გავიგდე,
ზღვაში მიჯნები ჩავყარე.
ხმელეთ გვერდზე მოვიგდე.

ჩაწერილი ყვარლის რ. ს. აღმატში 1943 წ. ქეთევან ლორთქიფანიძის მიერ. ეს ვარიანტი საგულისხმოა იმით, რომ ტრადიციული მე-3—4 სტრიქონები „სიმშვენიერით მოსილი ამომავალი მზის დარი“ საგრძნობლად არის შეცვლილი შემდგომი სახით:

„სიმშვენიერით იშოვნა
ამომავალი მზის თვალი“.

დანარჩენი ვარიანტები („ივ“, 1890, № 119; ფ. არქ. №№—5717, 5957, 7905, 10372, 21656, 34466 და სხვ.) რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებას არ იჩენენ.

28. თამარ მეფე და ხონთქარი

ჩაწერილი ფშავში ვახტანგ რაზიკაშვილის მიერ. მთქმელი ივ. მოლოდინაშვილი. ფ. არქ. № 12888. ანაქრონიზმის შემცველი გავრცელებული საფერხულო სიმღერაა. ჩაწერილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ტექსტებს შორის არსებითი ხასიათის განსხვავება არ არის. ჩანაწერები დაბეჭდილია: მშბ, 1903, № 4; უმიკ., გვ. 88; ცაიშ. თამ., გვ. 72 და სხვ. ხელნაწერები დაცულია ფ. არქ. № 13224 და სხვ. ძირითად ტექსტს იმეორებს აგრეთვე არჩილ მილაშვილისაგან 1945 წ. რაჭაში, სოფ. წესში ეთერ არჩევანიძის მიერ ჩაწერილი ვარიანტი. განსხვავება არის მხოლოდ მეხუთე სტრიქ., სადაც შ ი გ ჩ ა ს ხ ა ს ნ ა ც ვ ლ ა დ არ ის ზ ე დ დ ა ს ხ ა .

29. თამარ დედოფალი

საფერხულოა, თარგმნილია სვანურიდან (სვან. გვ. 3, იქვე, გვ. 2 დაბეჭდილია სვანური ტექსტი):

თამარ დედფალ

ო, ხიადულ, თამარ დედფალ
ჩინ მაჩენე თამარ დედფალ!
ფშთვარ ჯაგანდა ყვარყვლაი,
თერულ ჯისგურდა გიშრიშე,
შეგქვარ ჯადდა მარგალიტიშე;
სგაშხან ჯაქუდა ატლასე,
ქმშხან ჯაქუდა აბჯარე,

ქეზხას ჯასდანდა, ო, ჩექმარე,
თხუმას ჯაგანდა ზურჩია,
ჩაეილდ ჯეყად ქვიშმაშ ფერიშ,
პნგრილ ჯიგანდა, ოჲ, ლეშქუდი,
პნლერი ჯისდანდა ლუნცროვე,
მადრპე ჯულენდა ოქერაში,
თამარ დედუშლ, თაამარალსი,
ჩიდ მაჩენე თაამარალსი!

ბ

თამარ დედოფლის ლექსი

თამარ დედოფალი მობრძანდა,
თავზე ზური ედგა,
ყურებზე ეკიდა საყურენი,
თვალეზი ჰქონდა იაგუნდის,
კბილები ჰქონდა მარგალიტის,
ფერი ედგა ოქროსი,
ყელსა ება შავი მძივი,
გარეთ ეცვა აბჯარი.
შიგნით ეცვა ატლასი,
მკლავებზე მოცმული ჰქონდა სამკლავეები,
პაიჭად ეცვა ჯაჭვები,
ფეხზე ეცვა ჩექმები,
ქვიშისფერ ცხენზედა იჯდა,
მოქედლილი უნაგირი ედგა,
უნაგირს მოფენილი ჰქონდა ოქროს ასალი,
საძუეზე ეკერა ოქროს ლილეზი,
საგულეზე ჰქონდა ოქროს ბუშტები,
აღვირად ედგა ოქროს რახტი.

ეს ვარიანტი ვიპოვნე ისტორიკოს მ. ჯანაშვილის ქალის ოჯახში.
მ. ჯანაშვილის ხელით დაწერილია. იქვეა სევანური ტექსტიც:

თამარ დედოფალ ანისგვეჯდა,
თხუმარ ხანგანდა ზურჩია,
შდიმარს ხოწიბდა ლეშდიში,
თერარ ხოშიდ იაგუნდიშ

შდიქარ ხოშიდ მარგალიტიშ.
პაბი დაგი ხაზდან ვოქვერეშ.
ყიას ხაზდა ჰეშმარე,
ქამენ ხაქულა აბჯარი,
ისგან ხაქულა ატლასი.
მეხრარს ხასდანდა „ხეშნავრე“,
ზითხარდ ხასდანდა ჯაქვარე,
ჩაფლარდ ხასდანდა ჩექმარე,
ჩააუს ხასგურდა ქვიშემფერი.
ჰენგირ ხოგანდა ლუშკადი
ჰენგირდ ხოთხაფ ვოქვერე ასალ,
საძუედ ხობუდ ვოქვერე კობარა,
საგუჰდ ხოგან ვოქვერე ბუშტარა,
ჰალვირდ ხოსდან ვოქვერე რახტი.

ქართული თარგმანი სვანურ ტექსტს შეადარა და ნაწილობრივ შეასწორა მერი გუჯეჯიანიმა.

გ

რა ვქნა სიო

რა ვქნა სიო...

თამარ დედოფალი მობრძანდება,
თავზე გეხურა ზურჩია,
თმები გქონდა ხუჭუჭი (ყალყმისა),
ყურებზე გეკიდა საყურეები,
კბილები გქონდა მარგალიტისა,
თვალეები გქონდა იაგუნდისა,
თქმობებზე გეკიდა მძივები (პაშიმარი),
შიგნით გეცვა ატლასი,
გარედან გეცვა აბჯარი.

(ჩაწერილი სვანეთში ბეს. ნიჟარაძის მიერ, 1875 წელს. უმიკ.,
გვ. 373).

საფერხულო

თამარი დედოფალო,
 ოიანეში¹ ბრძანდები,
 თავზე გადგია ზურჩი,
 ტანზე გეცვა ოი ატლასი,
 თავსაფარი გეფარა ორი ყადიფაში²,
 ფეხებზე გეცვა ოი ჩექმები,
 ნიფხავი გეცვა ოი საჭიმარის³,
 ცხენი გყავდა,
 რაშზე იჯექი,
 ყველგან განთქმულო
 თამარ დედოფალო.

ჩაწერილი სვანეთში, ჰადიშში ლამარიობას. ქს. სიხარულიძის შიერ 28. VIII—45. სიმღერით ქართულ ენაზე შეასრულა 65 წლის გიორგი ალმაისძე ავალიანმა.

ე

თამარ დედოფალო, თამარ,
 ულეჩაქოდ წასულო სამამამთილოში, თამარ,
 თამარ დედოფალო, " "
 უპერანგოდ წასულო სამამამთილოში, " "
 ქვედაკაბა არ (გაგყვა) სამამამთილოში, " "
 კაბა არ (გაგყვა) სამამამთილოში, " "
 ფეხსაცმელებიც („ქალამნებიც“) არ გაგყვა
 სამამამთილოში " "
 ცხენი არ (გაგყვა) სამამამთილოში " "
 უნაგირიც არ (გაგყვა) სამამამთილოში " "
 აღვირი არ (გაგყვა) სამამამთილოში " "

¹ ადგილია.

² მთქმელის განმარტებით სტამბულიდან მოტანილი ქსოვილია.

³ მთქმელის განმარტებით ქსოვილის სახელწოდება.

ლეჩაქი გეხურა ყველაზე კარგი,	„
პერანგი გეცვა ყველაზე კარგი,	„
ქვედაკაბა გეცვა ყველაზე კარგი,	„
კაბა გეცვა ყველაზე კარგი,	„
ფეხსაცმელები გეცვა ყველაზე კარგი,	„
ცხენი გყავდა ყველაზე კარგი,	„
უნაგირი გედგა, ოჲ, მოქედილი,	„
აღვირი გედვა, ოჲ, მოოქრული	„

საფერხულო თარგმნილია სვანურიდან. დაბეჭდილია „სვან.“, გვ. 5, იქვე გვ. 4 დაბეჭდილია სვანური ტექსტი:

თამარ დედფულ, თაჲმარაწლი,
 ლაჩქურ მეჩდე ლწმთილათე, თაჲმარაწლი,
 თამარ დედფული, თაჲმარაწლი,
 ფატნურ მეჩდე ლწმთილათე, თაჲმარაწლი.
 იკვა მადმა ლწმთილათე, თაჲმარაწლი,
 კაბულდ მადმა ლწმთილათე, თაჲმარაწლი,
 ჩაფლარო მადმა ლწმთილათე, თაჲმარაწლი,
 რაჲილდ მადმა ლწმთილათე, თაჲმარაწლი,
 ჰუნგრილი მადმა ლწმთილათე, თაჲმარაწლი,
 ჰწლეგრილ მადმა ლწმთილათე, თაჲმარაწლი,
 ლაჩქირ ჯეფრან ჩიაშდ ხოჩა, თაჲმარაწლი,
 ფატან ჯაქულ ჩიაშდ ხოჩა, თაჲმარაწლი,
 იუკოლ ჯაქულ ჩიაშდ ხოჩა, თაჲმარაწლი,
 კაბულდ ჯაქულ ჩიაშდ ხოჩა, თაჲმარაწლი,
 ჩაფლარ ჯანდან ჩიაშდ ხოჩა, თაჲმარაწლი,
 ჩაჲილდ ჯეყად ჩიაშდ ხოჩა, თაჲმარაწლი,
 ჰუნგირ ჯიგდა, ოჲ, ლეშეწდილ, თაჲმარაწლი,
 ჰწლეგირ ჯიხდან, ოჲ, ლუნქროვილ, თაჲმარაწლი.

გავრცელებული საფერხულო სიმღერის ამ ვარიანტში შესულია საყოფიერო სიმღერების მოტივები, რაც თამარ მეფეზე შექმნილ სიმღერაში შესულა კონტამინაციის წესით. ამის საფუძველს ხალხს მისცემდა ის გარემოება, რომ საყოფიერო სიმღერის ადრესატიც თამარია (სვან., გვ. 175 და 161, 174 და 176).

თამარ დედოფალო, თამარ,
ვინ გეომა თამარს?

დაუსრულებია თამარს.

— პერანგი რა უყავ თამარ?

ლეჩაქი რა უყავ, თამარ?

— ლეჩაქი დამრჩა აშარაში.

— ქოში რა უყავ, თამარ?

ვორი დელა, თამარ!

მურის ციხევე, შე ციხევე,
ქონგურს შევარდენი გარს გარტყია,
ძირში („საძირკველ“თან) ირმები წვანან.

კბილი გედგა მარგალიტისა,

თმა გედგა აბრეშუმისა.

ვორი დელა, თამარ,

თამარ დედოფალო, თამარ!

ცხენი არ (პყავდა) თამარს,

უნაგირი არ (ედგა) თამარს,

ფეხსაცმელი (?) დავდევი ეცერში.

თარგმნილია სვანურიდან. სვან., გვ. 3 და 5, იქვე გვ. 2 და 4
დაბეჭდილია სვანური ტექსტი.

თამარ დედოფალ, თამარე,

ჯარ აჯშალდა თამარეს?

ქა (ა) ხოსრულა თამარეს.

— ფატან მადე, თამარე?

ლაშქილ მადე, თამარე?

— ლაშქილ შმსაღ აშპრისგა.

— ქოშელ (დ)მადე, თამარე?

ვორი დელა, თამარე!

მური მურყვამ, სი მურყვამ,

შდურვას შაურდენ ჯაცხეპი,

ხუნს ლაჩვარე ჩუ აყურეხ.

შდქილ ჯაგან მარგალიტიშ,

ფანთულდ ჯაგან აბრეშუმშიშ.

ვორი დელა, თამარე,

თამარ დედფალ, თამარე!
ჩაქდილდ მადმა თამარეს,
ჰუნგოილდ მადმა თამარეს.
ჩაფრილ ესუდ ეცერისგა.

ლექსის მე-4—8 და ბოლო სამი სტრიქონი კონტამინაციის წესით უნდა იყოს შესული თამარისადმი მიძღვნილ საფერხულოში საყოფიერო სიმღერებიდან „თამარ“ (იხ. სვან., გვ. 175 და 161; ქართ. ტექსტი, გვ. 174 და 176 სვანური) და „დედისაე ვორმონოლა“ (იქვე, გვ. 161, ქართ. ტექსტი, გვ. 176—სვანური).

ზ

თამარ, დედოფალო, თამარაე!
თავსა გედგა ზურჩიო!
რაშუზედ იქვექ, თამარაე!
უნაგირი მოჭედილი (გედგა).
აღვირცა კოპეზიანი (გედო)
ქოშეზიცა ოქროსანი (გეცვა).

ტექსტის ნაწყვეტი მოყვანილია ი. მარგიანის წერილში „სვანეთი“, რომელიც დაბეჭდულა მგზ., 1902, №№ 7, 8. საგულისხმოა მისი შენიშვნა: „ხალხს კარგათ ახსოვს თამარ მეფე. ერთ ლექსში იგი იხსენიებს თამარ დედოფალს“. აქ მოყვანილია აღნიშნული ლექსი, რომელიც ალბათ მის მიერვეა თარგმნილი იქვე მოყვანილი სვანური ტექსტიდან:

თამარ დედოფალ, თამარე!
თხუმა, ჯაგან ზურჩიო!
რაშილდს ხასგურ, თამარე!
ჰუნგირ ჯიგან ლუშკადი,
ჰაღვირ ჯისდან ლუკევი;
ქოშარ ჯასდან ოქვრაში.

ი. მარგიანი იქვე შენიშნავს: „ეს ლექსი ძლიერ გავრცელებულია და ფერხულზედ იმღერება, უმეტეს ნაწილად ქალები მღერობენ“.

30. თამარ დედოფლის მოგზაურობა

ჩაწერა მ. გუჯეჯიანმა ლაშხეთში ჩიხარეშელ სოლომონ ჭანბო-ფელის თქმით (60 წლისა) 9. VIII, 1936 წ. დაბეჭდილია სვან., გვ. 363. სიმღერას დართული აქვს ტექსტი. როგორც ჩამწერმა მ. გუ-ჯეჯიანმა გადმოგვცა, ის მოქმელის მიერ მოცემული ერთგვარი კო-მენტარია აღნიშნული სიმღერისა. ტექსტი მოგვყავს მთლიანად: „თამარ დედოფალს იმდენი ჯარი ახლდა, რომ ერთ დადგმაზე თურ-მე ციხეს აშენებდნენო.

თამარი იმიტომ იმალებოდაო, რომ მას ლეკი დასდევდაო, და სვანეთში იმიტომ იმალებოდაო, რომ მაგარი იყოო სვანეთი და ას კაცს ერთი კაცი დააბრუნებსო,—ამიტომ თამარი იმალებოდაო უშ-გულში და იქ აგებულაო ეკლესიაო „ლამჯრია“. შემდეგ დაუბარაო თავის ხალხსო: „ისეთ ადგილას დამმარხეთო, რომ ვერაფერ მნახო-სო“. თუ არა, ლეკები ექადნებოდნენო, რომ „მკვდარი იქნება, თუ ცოცხალი, მოენახაეთო!“ და ამიტომ ვერაფერ გაიგო, თუ სად დაი-მარხაო.

როცა ლეკები და თათრები წავიდნენ (გადადენეს), მაშინ თა-მარს შეუძახესო: „ადექ, თამარ დედოფალო, ჩვენთვის დარჩა სა-ქართველოო!“

ამ გადმოცემაში ლეკების მტრობა თამარისადმი ისტორიული ანაქრონიზმია.

31. ფერხული

კონტამინაცია-ციკლიზაციის წესით ვახტანგ გორგასალზე შექმ-ნილი სიმღერა დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთან. აღსანიშ-ნავია, რომ ღმერთის მსგავსად სიმღერის ამ ვარიანტში ხალხი იხ-სენიება „თამარ მეფე ხალხს უყვარდა“.

საგულისხმოა ისიც, რომ საფერხულო იწყება ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშით. საფერხულოს მისამღერის საშუალებით იგი ორ-განულად არის დაკავშირებული საისტორიო ტექსტთან (ფ. არქ. № 10368). თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ოთხსტრიქონი-ანი ვარიანტი ამ სიმღერისა დაბეჭდა აკაკი წერეთელმა (აკ. კრბ., 1897, № 1). პოეტმა ეს ტექსტი გამოიყენა აგრეთვე თავის მოხსენე-ბაში „ხალხური ზეპირსიტყვიერება და მისი მნიშვნელობა“, („თე-მი“, 1913, № 118). ეს ტექსტი ბოლო დრომდე სრულდება რაჭა-ში, როგორც საფერხულო სიმღერა (სიხ. საგმ., გვ. 73).

32. თამარ ქალი

პირველი ორი სტრიქონის გამოკლებით ტექსტი ვარიანტია ლექსისა „მარიამ დედოფალი და მეფე სოლომონ“ (თაყ., 1, გვ. 178, № 4).

ხელნაწერი დაცულია ფ. არქ. № 1037.

ბ

თამარ ქალო, ქვეყნის თვალო,
რა ლამაზი რამა ხარო.
ნეტავ რა არის მისთანა,
საყდარ გელათისთანა.
ამომავალი მზისთანა,
მეფე თამარ ქალისთანა
საყდარი გელათისთანა.

ქართული ხალხური სიმღერა, რედაქტორ-შემდგენელი გრ. ჩხიკვაძე, 1960, გვ. 328.

33. თამარ მეფემ ამაშენა

მთქმელი მიხა კედელაძე, ფშ. ხევს., გვ. 61.

34. გარძია გნახე

ლექსი არ არის მაინცდამაინც გავრცელებული. იგი შექმნილია სხვადასხვა ხალხური ლექსებისა და გადმოცემების საფუძველზე, როგორცაა გადმოცემა თამარის მიერ ვარძიის აშენებაზე. ეპიტაფიის ხასიათის ლექსი და სხვ.

ფ. არქ., № 11440.

35. პონტოს ზღვით

მთქმელი ჭინჭარაშვილი. (უმიკ., გვ. 88). ტექსტს ფრჩხილებში აქვს სათაური „თამარ დედოფალზე სწერია“ (იქვე), მისი ფორმა არ არის დამახასიათებელი ცოცხალი სასიმღერო ხალხური პოეზიისათვის. იგი ვარიანტია არჩილის სტრიქონებისა:

პონტოს ზღვით გურგენის ზღვამდი,
სპეროდან დარუბანდამდის,
ყოვლი კავკასი — იმერნი,
ამერნი, — ხაზარეთამდი,
მთით გელაქუნით ჩრდილოთ კერძ
მპყრობელი სულ ყივჩაღამდი.

არჩილის სიტყვები „მთით გელაქუნით“ ჯინჰარაშვილს შეუცვლია „თვით გელაქუნით“. არჩილის სტრიქონების ხალხური ვარიანტების არსებობაზე მიუთითა სოლ. ცაიშვილმა (ცაიშ. თამ., გვ. 14).

36. თამარის უმობა

ჩაწერილი ბათუმში 1879 წელს. მთქმელი უსეინ ბეგ ბეჟანოლი. დაბეჭდილია უმიკ., გვ. 88. ზუსტად ასეთივე ტექსტი გაუგონია თედო სახოკიას ქობულეთელი აზნაურის, მამადიანი ქართველის, ყურუშუმ-ალა ჭყონიასაგან (სახ. მოგზ., გვ. 225). თ. სახოკიას მოცემული აქვს განმარტება—კაბა—1.000-ია (იქვე). ლექსის ვარიანტი ჩაუწერია აგრეთვე იონა მეუნარგიას. (ცაიშ. თამ., გვ. 119).

37. თამარ ქალი დიდებული

მთქმელი სიმონ გურგენიძე. ჩაწერილი 1935 წ. რაჭაში მიხეილ კაციტაძის მიერ, ლიტ. მუზ. 20024—6.

4—332, გვ. 86.

სტრიქ. 23, 26, 27 ზევიდ. ვარიანტია № 34 1, 3, 4 სტრიქონებისა (ზევიდან). სხვა მხრივ ტექსტი თავისებურია და დამოუკიდებელი თამარ მეფის ციკლში შესული სხვა ნაწარმოებებისაგან.

38. დაბნელებულა ქართლის მზე

სახ. მოგზ., გვ. 225.

39. თამარ დედოფალი კიუაჟ

დაბეჭდილია (კოტ., გვ. 128). მეტად გავრცელებული ლექსია. მისი მრავალი ვარიანტი ჩაწერილია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

ბ

ალ. ლლონტის მიერ 1938 წ. გორში ჩაწერილი ტექსტი ოთხ-სტრიქონიანია. იგი შეიცავს მეორე, მესამე, მეშვიდე და მერვე სტრიქონებს (ლლ. შ., გვ. 167. № 124).

ბ

თამარ დედოფალი ვიყავ,
სახელი დიდი დავიგდე,
ზღვაში ჩავყარე სამნები,
ხმელეთი ჩემკენ დავიგდე,
იახტარ დავდე იჯარა,
ლაშქარი ცოტა გავილე,
ამდენი საქმის მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავეილე.

(ჩაწერილი ქართლში ს. ნოსტეში 1939 წ. 69 წლის ილია სიდა-შონიძისაგან. ჩამწ. მორჩილაძე, გაბათაშვილი, მღებრიშვილი. ფ-არქ. № 20580).

დ

თამარ დედოფალი ვიყავ,
თავი ზეცამდის ავიდე;
სტამბოლს ხმალი ვკარ; დარუბანდს,
შამს საბალახე ავიდე.
ზღვაში სამნები ჩავყარე,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიდე;
უსიერი მთა გავკაფე,
დიდი შარა გზა გავიდე;
ლადა-ლუდა ტყე ვიარე,
ქედზედ საყდარი ავიგე.
ვადიდე ჩემი ქვეყანა,
სახელიც დიდი დავიგდე.

(ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ. ჯჯლ, 1892, № 6). სა-გულისხმო ვარიანტია. შესაძლებელია მისი მეორე სტრიქონი „თა-ვი ზეცამდის ავიდე“ და ბოლოდან მესამე—„ქედზედ საყდარი ავი-გე“ პოეტურად გამართული იყოს ჩამწერის თ. რაზიკაშვილის მიერ.

ვარიანტი საგულისხმოა იმითაც, რომ ბოლო სტრიქონებში გამოხატულია ეროვნული გრძნობის სიამაყე და არ არის ეპიტაფიის დამახასიათებელი პესიმიზმი, რაც სხვა ვარიანტებშია მოცემული. ამ შემთხვევაშიც შეიძლება ტექსტი გადაშუშავებული იყოს თ. რაზიკაშვილის მიერ, რაკი იგი განკუთვნილი იყო საბავშვო ჟურნალისათვის. ამას გვაფიქრებინებს ლექსის ე ვარიანტი, რომელიც აგრეთვე თედო რაზიკაშვილის ჩანაწერია.

0

ჩაწერილია ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ, თაყ., 1, გვ. 177. გ ვარიანტისაგან განსხვავებით მეორე სტრიქონი იკითხება:
„თავი ძირს აღარ დავიღე“;

დასასრული სტრიქონები კი —

„ქვაზედ საყდარი ავიგე
ამ საქმეების მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე“.

8

თამარ დედოფალი ვიყავ,
დიდი სახელი გავიგდე,
შემოვუარე ხმელეთსა,
წილი არავის დავუღე,
ჩავპყარე ზღვაში სამნები,
ხმელეთი ჩემკენ დავიგდე.
ვაი, შენ წუთისოფელო,
რა ტყუილათ გიამაგე,
სიბერე და სიყმაწვილე
ორივე შენზე გადავაგე.
სიკვდილის ჟამი მოსულა,
სამოთხევე კარი გააღე,
ორი ადლი ტილო გამყვა,
სხვა რაც მქონდა, აქ დავაგდე.

ჩაწერილი თელეთს (უმიკ., გვ. 87).

ქალმა თქვა თამარ ნეფემა:
 ხალხისა ვერა გავიგი,
 შუა ზღვას ჩავდგი სამანი,
 ქართველობა ჩემკენ მავიგდი,
 ჯაქმატს ავაგი საყდარი,
 ვერცხლის თასები შავილი,
 შიგ დავაყენე ბერ-მღვდელი,
 ცხენი ანატროს¹ დავიბი,
 ლელეს² დავლიშნე საფლაგი,
 კორციელის სულსა არ ვიყრი,
 თავითი მიკრავ სანთელი,
 ცხრა ადლი ტილო ჩავიცვი.

ჩაწერილი 1876 წ. ხევსურეთში პეტრე უმიკაშვილის მიერ, მთქმელი ხახმატელი ბერდია ყულაკის ძე გამლივარაული (უმიკ., გვ. 561). ტექსტს დართული აქვს პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილის შენიშვნა: „ლექს ბოლოში აქვს კიდევ ერთი სტრ. ემა ქართულის მათქომი ემის მეტს კი არ ვიტყვი. ამ გამლივარაულს წერა თვითონ უსწავლია (უმაწავლებლოდ). მისი ნაწერი ხშირად ძნელი გასარჩევია, ასოები ზოგჯერ აკლია, ზოგჯერ მეტია, რაც გადმოწერის დროს ძალიან აძნელებს საქმეს. არის ამ ლექსის მეორე ცალი, გამლივარაულის თქმით ჩაწ. პ. უმიკაშვილის მიერ 1874 წ. (როცა გამლივარაულმა წერა, ალბათ, ჯერ კიდევ არ იცოდა). აქ უკანასკნელი სტრ. ასეა: ამაგეთნის საქმის მომქმედმა ცხრა ადლი ტილო წავიღე“ (უმიკ., გვ. 561). ეს ლექსი ბოლოდრომდეა გავრცელებული ხევსურეთში.

მისი ვარიანტები 1944 წლის ივლისსა და აგვისტოში ჩავიწერეთ ს. ახიელაში მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე 80 წლის უსინათლო გიორგი ოჩიაურისაგან (შერქმეული სახელით—გერგეტელი). მისი ვარიანტი ოთხსტრიქონიანია და არ იჩენს რაიმე თავისებურებას. ს. ამლაში 81 წლის თოთია მახას ძე წიკლაურმა ჩაგვაწერინა აგრეთვე 4 სტრიქონიანი, ხოლო ხირჩლა ნისლაურის ძე წიკლაურმა 6 სტრიქონიანი ვარიანტები. არც ეს ვარიანტებია განსხვავებული.

¹ სალოცავი საყდარი შატლიში.

² სალოცავი ფშავში სოფ. ხოშარას. გადმოცემით იქ მარხია თამარი.

თ

ქალმა თქვა თამარ ნეფემა,
 ამ სოფლის ვერ გავიგე რა,
 ისპაანს დავსდუ ბეგარა,
 სტამბოლში ხარჭი ავილე,
 შავ ზღვაში ჩავდგი სამანი,
 ხმელეთი ჩემით დავიგდე,
 ამოდენ საქმის მომქმედმა
 ცხრა ადლი ტილო წავილე.

ჩაწერილი ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ თუშეთში. ს. ყვარელ-წითელაში 1888 წ. მთქმელი გიორგი მესაბლიშვილი. (უმიც., გვ. 561).

ი

ქალმა თქვა თამარ ნეფემა,
 — ქვეყნისა ვერა გავიგე,
 ბაქოშიგ წისქვილ გავღმართე,
 წყალი უწყლოჩი გავილე,
 ზღვას იქით ნემსად გაუედ,
 საბალახეებ ავილე.
 შუა ზღვას ჩავდგი სამახი,
 კმელეთი ჩემკე დავიგდე.
 ამაგის მანაქმედარმა
 ცხრა ადლი ტალო წავილე.

მთქმელი ჩ. ლიქოკელი, ჩაწერილი 1930 წ. ივ. ხორნაულის მიერ (ფშ. ხევს., გვ. 61).

კ

ურბნისს ავაგე საყდარი,
 უწყლოსა წყალი ვადინე.
 ისპაან დავდე ბეგარა.
 სტამბოლში ხარჭი ავილე.
 თეთრ ზღვაში მიჯნა ჩავაგდე,
 ხმელეთი ჩემკენ მოვიგდე,
 ამდენი საქმის მომქმედმა
 ცხრა ადლი ტილო წავილე.

ჩაწერილი კახეთში ან. ზარაფიშვილის მიერ. მთქმელი ი. ზარაფიშვილი (ფ. არქ. № 14154).

ლ

თამარ დედოფალი ვიყავ,
სახელი დიდი გავიგდე,
ზღვაში ჩავეყარე ხომალდი,
ხმელეთი შიგნით მოვიგდე,
უბისს ავაგე საყდარი,
უწყლოსა წყალი წავიღე...

ჩაწერილი ს. მარაბდას ნინო ბარათოვის მიერ (უმიკ., გვ. 562).
სრულქმნილი ვარიანტი არ არის. უაზროა სტროფები: „ზღვაში ჩავე-
ყარე ხომალდი“ და „უწყლოსა წყალი წავიღე“.

მ

დიდია წმინდა სამება,
ცის კიდურამდე ელავსო,
თავის ყმათ გამჯავრებელსა,
სულ წიხლის ქვეშა სთელავსო.
ზღვას აქეთ მამიდიოდა,
შუა ზღვას ჩავდგი სამანი,
ხმელეთი ჩემკენ დავაგდეო.

ჩაწერილი ხევში წმ. სამებას დღეობაზე 1875 წ. პ. უმიკაშვილის
მიერ, მთქმელი ფილო შუქაშვილი. ტექსტს დართული აქვს შენი-
შენა: „აქ, როგორც ეტყობა, ლექსის ნაწილი სადღეობო სიმღერა-
დაა გადაქცეული“. პ. უმიკაშვილს 1871 წ. ხევში ჩაუწერია მეო-
რე ამის მსგავსი ვარიანტიც (უმიკ., გვ. 562).

ნ

სივანს ციხე ამიგია,
ახალციხეს ყველაწმინდა,
ას ორასი მარლის ქვა,
პურ-უხედურზე¹ გადმიგია, —
სული ვერა მამიგია.

ჩაწერილი პ. უმიკაშვილის მიერ, 1888 წ. ხევში, ს. ხურთისში.
მთქმელი მიხ. ჩქარეული (უმიკ., გვ. 562).

¹ უხედური—ერბო და ყველი.

ო

თამარ დედუფალი ვიყავო,
სახელი დიდი გავიგდეო,
ზღვაში ჩავეყარეო სამნებო,
კმელეთი შიგათ დავიგდეო,
ქაჯეთ დავადევ ინჯარაო,
ისპაან ხარჯი ავიღეო,
ამდენა საქმის მოქმედმაო
ცხრა აღლი ტილო წავიღეო.

ჩაწერილი 24. VIII—1946 წ. მთიულეთში, სოფ. ზემო მღეთში
სარა ბედუქაძის მიერ, მთქმელი მოსე ზაქროს ძე ნაზლაიძე 75 წლის.

პ

როს გავიზარდე, გავივსე,
თავი ცათამდის გავიღეო,
მისრეთს ხმალი ვკარე დარუბანდს,
მუნ, საბალახე ავიღე,
დასავლეთს პალო მივწვადე,
რახსის წყალს გაღმა გავიღე,
ამდენი საქმის მომქმედმა
სული ვარძიას დავიღე.

(კოტ., გვ. 237).

რ

თამარ დედოფალი ვიყავ,
კაი სახელი დამეგო,
ათი წლის ქალი რომ გავხდი,
ცხენს შევეჯექ, ხმალი ამელო,
ზღვის პირი შემოვიარე.
ხმელეთი შიგნით მომეგო,
ზღვაში ჩავეყარე სამძღვრები,
თევზზე იჯარა ამელო.
წინ წინ ვაშენე მანგლისი,
კლდის კარი კარში გამელო,

უხითთ საყდარი ავაგე,
უწყალოჲ წყალი ვადინე,
სასულოთ გავხდი ავათა,
ვარძაჲს სული დავლიე,
მე ამ საქმისა მამქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავილე.
(მესხ.-ჯავ. გვ. 130).

ს

თამარ დედოფალ ვიყავი,
სახელი დიდი დავიგდეო,
ზღვაჩი ჩაყვარე სამნები,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდეო,
დარიალს ციხე ავაგე,
უვზოსა გზები გავილე,
თათრებსაც დავსდე ბეგარა,
სტამბოლსაც ხარკი ავილე.
როს გავიზარდე, გავივსე
და ტახტი ხელში ჩავიგდე.
სამშობლოს მტერსა ტყვია ვკარ
და ხარკიც მათგან ავილე.
ზღვაჩი ჩაუშვი ხომალდი,
შიგ აღმასები ავასხი,
შიგ ჩავსხი ქართველთ ლაშქარი,
მრავალ წყალობას შეაკპირდი.
დასავლეთს პალო მოვსწყვიტე,
რახსის წყალს გაღმა გავილე,
ამდენი საქმის მოქმედმა
სული მცხეთაში დავილე.

მთქმელი იოსებ გიორგის ძე ავსაჯანიშვილი 99 წლის. ჩაწერილი 1953 წელს სოფ. ვარდისუბანში (ყაზბეგის რ.) ეთერ ავსაჯანიშვილის მიერ. მოხეურ თქმულებათა ციკლის მიხედვითაც თამარ მეფეს მიეწერება დარიალის ციხის აგება. ამ ვარიანტის ერთი თავისებურება ისიც არის, რომ მასში კონტამინაციის წესით შესულია № 27-ის ვარიანტი (სტრიქ. 13—16 ზევიდან).

ცნობილია კიდევ მრავალი გამოუქვეყნებელი და გამოქვეყნებული ჩანაწერები ამ ლექსისა, ისინი განსაკუთრებულ თავისებურებას არ იჩენენ. ნაწილად ამ ჩანაწერებისა დაბეჭდილია (კოტ., გვ. 237; უმიკ., გვ. 561. ძვ. ააქ., II. განყ. IV, გვ. 49; მმბ, 1903, IV. გვ. 69, თამარ მეფის დღესასწაული, თბ., 1916; მესხ.-ჯავ., გვ. 130 და სხვ.) ნაწილი ჩანაწერებისა გამოუქვეყნებელია (მაგ. ფ. არქ. № №5957, 12751, 13988, 21657 და სხვ. ჩაწერილი 6. VIII—1944 წ. ხევისჭეთში, ამლაში ქს. სიხარულიძის მიერ, 81 წლის თოთა წიკლაური-საგან და სხვ.).

40. აქ ვარ მია

მთქმელი ქეთევან წინწკალაძე. 35 წლის. გაგონილი აქვს 80 წლის როსტომ წინწკალაძისაგან.

ჩაწერილი გ. გოგოლაძისაგან 1937 წელს მესხეთში (ფ. არქ. № 13530).

ბ

თამარი რომ ყოფილა პატარა ბოვში, ოსმალეთი რომ შემოსევია თამარის ოჯახს. უცებ. ბოვში იმისთანა გონიერი ყოფილა; ჩამხტარა ჭურში, ოსმალს გადაემალა. წასალეკათ იყო ოსმალს, წევიდა, რაც უნდოდა, წეილო, გამოსულა მერეთ ბიძა თამარის და იძახის:

— თამარ. თამარ, თამარ, თამარ!
ამუუძახნია ჭურიდან: — ვარ ძია.
დუუთქმევიათ ადგილიზა ვარძია.
იტყოდენ ასე ძველად.

მთქმელი ნოე კუპრაშვილი. ჩამწერი ქს. სიხარულიძე. ს. კურსები. 23. VIII — 1951 (ფ. არქ. № 34470).

41. ლეგენდა თამარზედ

ჩაწერილი ფშავში—რაზიკ. II., 1909, გვ. 84.

ეს ლეგენდა გალექსა ავ. წერეთელმა.

ამ ლეგენდის ვარიანტი ალ. მაკედონელის სახელთან არის დაკავშირებული, ოღონდ თამარ მეფის სახელთან დაკავშირებულ ვარიანტში კასპიის ზღვა იხსენიება. ალ. მაკედონელის სახელთან დაკავშირებულ ლეგენდაში კი-- შავი ზღვა.

თამარ დედოფალი (ხალხში დარჩენილი ლეგენდა).

თამარის მეტი შვილი იმის მშობლებს არა ჰყავდათ. თამარი ჯერ ისევ ათი-თორმეტი წლისა იყო, როცა იმისმა დედამ საკვირველი სიზმარი ნახა. მეორე დღეს დედამ შვილს უამბო: „წუხელ საყვარელო ჩემო შვილო, მეზმანა, რომ ვითომ შენ მამიშენის ტახტზედ იჯექი; მეფურად შემოსილი იყავ და ხელში სამეფო გვირგვინი და სფერია გეპყრო. მჯერა, რომ მალე გახელმწიფდებიო. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ უფალმა შენს გარდა სხვა შვილი არ მოგვცა. ღმერთმა მაჩვენოს შვილო შენი ბედნიერება და დიდება. იყავ ჩემო თვალის სინათლევ, მოწყალე, წყნარი, მართლ მოყვარე, ღარიბ-ღატაკთა ნუგეშის მცემელი“. სიზმარი გამართლდა. სიკვდილის წინანდ მამამ თავისი ქალი სამეფო ტახტზე დასვა და მეფობა დაულოცა. ამას შემდეგ ბევრი ხანი არ გავიდა, რომ თამარს დედ-მამა დაეხოცა, თამარი გახელმწიფდა და მთელი მსოფლიო დაიპყრო. თამარს, მარტო ისა სწყინდა, რომ კასპიის ზღვა, მის წინაშე ქედს არ იხრიდა. ამის გამო თამარი ძალიან განრისხდა და თავის ლაშქარს უბრძანა, რომ მთელი კასპიის ზღვა ნაძვით მოეფინათ, ზეთ ნავთი დაესხათ და ცეცხლი მოეკიდებინათ. აბა ლაშქარი როგორ არ გაუგონებდა თავის საყვარელ პატრონს. თამარის ბრძანება მალე სისრულეში მოიყვანეს შესწუხდა კასპიის ზღვა. გალაღებული ქედი თამარის წინ მოიხარა და ვცთარცა მონა ისე შეეხვევეწა, ურჩობა ებატებინა. თამარი მოწყალე იყო, დანაშაული შეუწდო, ზღვამ მადლობა გადაუხადა და დიდი ხარჯი თავს იღვა. კასპიის ზღვა თამარს ხარაჯად აძლევდა დიდ ძალ რქროსა, ვერცხლსა, გიშერსა, მარგალიტ-იაგუნდსა და ცხენ-კამბეჩს. ამის შემდეგ თამარი მოსვენებით იყო თავის ტახტზედ და განაგებდა მთელ ქვეყანას მაყრუბიდგან მამრუყამდის.

ჩამწერი ესომ (მოსე ჯანაშვილი), ფ. არქ. № 3354; ივ., 1890; № 119.

42. გორის ჯვარი

ხელნაწ. ინსტიტ. H—1994. ხელნაწერი ეკუთვნის იოსებ დავითაშვილს, დათარიღებულია 1877 წ. ტექსტი არ არის უშუალო ჩანაწერი, იგი გამართულია. ამას ადასტურებს შენიშვნა, რასაც ხელს აწერს ი. დავითაშვილი: „ეს ამბავი ძველი კაცებისაგან და ხალხ-

შიაც გამიგია და ქართლის გეოგრაფიული აღწერაც ამბობს, გორი ჯვარში წყარო რუსუდან დედოფალმა მოიყვანაო; მაშ შეიძლება ეს ამბავი მართალი იყოს, რადგანაც რუსუდანი თამარის ქალი ყოფილა. ეს სახელი შემდეგში გადაუკეთებიათ „გორის ჯვრათ“, როგორც მაგალითად „უფლოს ციხე“ „უფლის ციხეთ“ და „არმაზის წყალი“ „ალმასის წყლათ“ არის ხოლმე დროს განმავლობაში გადაკეთებული“ (ხელნაწ. ინსტიტ. II - 1994). ი. დავითაშვილი ნაწარმოებს მართებულად უწოდებს ლ ე გ ე ნ და ს.

ბ

გორის-ციხე

ერთხელ თამარ მეფე თავისი ამალით ნადირობდა ქ. გორზე გარშემორტყმულ ტყეში. თამარმა დაინახა შორს რაღაც ფრინველი და მიუშვა თავისი საყვარელი შვეარდენი. შვეარდენმა, იგრძნო რა თავისუფლება, სწრაფად გაფრინდა წინ, დაეწია ფრინველს, დაფლითა და შექამა. ამგვარად გამძლარი ის არც ფიქრობდა დაბრუნებას თავის მეფე-პატრონთან, გაფრინდა კიდევ იქით და არხეინად მოეწყო საუკუნოვან, გადაშლილ მუხის ტოტებზე, რომელიც ამოკულიყო თვით ქალაქ გორში არსებულ ფართო ტბის შუაგულში. თამარი მეტად დაღონებული იყო ამ შემთხვევით, რადგანაც ეშინოდა. არ დაკარგოდა საყვარელი შვეარდენი და მიმართა ამაღას, რომელიც გარს ერტყა, ვინც დაიჭერს შვეარდენს და მიგვრის მას ცოცხლად, იმას მისცემს ყველაფერს, რასაც ის მოითხოვს. მაგრამ მეფის ამ მოწოდებაზე არავინ არ დაიძრა ადგილიდან. ასე გავიდა რამდენიმე დრო. ბოლოს წარსდგა წინ ერთი ქაბუკი წარჩინებული წოდების, ლამაზი, განთქმული სიმამაცითა და თავგანწირვით. დიდი ხანია ეს ქაბუკი შეყვარებული იყო თამარ მეფეში, მაგრამ ვერ ბედავდა გაემხილა მისთვის თავისი გრძნობები, მხოლოდ ეძებდა შემთხვევას, სადაც მას შეეძლო თავი ესახვლებია ასე თუ ისე, და მიექცია ულამაზეს მეფის ყურადღება. შემთხვევაც მოვიდა და ქაბუკი, შთაგონებული სიყვარულით, მამაცურად გადაეშევა ტბის შლელვარე ტალღებში, მშვიდობიანად მისცურავს მუხამდის, იჭერს შვეარდენს და შვეარდენიანად გამოეშურება უკან.

ახლა მხოლოდ თამარი მიხვდა თავისი დაპირების უხერხულობას: ქაბუკს ხომ შეეძლო ეთხოვა მისთვის ხელი, და მას-კი არ შეეძლო მასზე გათხოვება. როგორც ქვეშევრდომზე, მაგრამ ამასთან ერთად არც ქაბუკის თხოვნის უარყოფა და მისი მეფური პირობის

დარღვევა შეეძლო. და აი, თამარ მეფემ აღშფოთებულმა საკუთარ თავზე, თავისი მოუფიქრებელი პირობისთვის, დაიწყო ღმერთთან ლოცვა, რომ ჰაბუკი ტბის ტალღებში დაღუპულიყო. შეიწყნარა ღმერთმა თამარის ლოცვა, თუ ასეთი იყო ბედი ჰაბუკის, ის მართლაც დაიხრჩო, ნაპირთან ვერ მისცურა. ამ ჰაბუკის ხსოვნისათვის თამარმა ბრძანა გორის ციხის აგება, რომლის ნანგრევები დღემდე არსებობენ.

ჩაწერილია იმერეთში (CMOK, ტ. 32, განყ. I.11, გვ. 13), არ არის აღნიშნული მთქმელი და ჩამწერი. ტექსტი რუსულიდან არის თარგმნილი.

8

დაიღუპოს თუ ცუდი განზრახვით მოდის

თამარის დროს გორის ბორცვი შეადგენდა კუნძულს. მტკვრის, ლიახვის და მეჭუდის წყლებს შორის. აქ იყო საშინელი მორევით. გარემო მხარე უღრან ტყეებით იყო შემოსილი. ჯერ ისევ გასათხოვარი თამარ მეფე მობრძანდა სანადიროდ. ბინად ამოირჩია მთა გორისა. მონადირეები მიიფანტ-მოიფანტნენ ტყეებში სანადიროდ და პაშტა ხნის შემდეგ დაბრუნდნენ დიდძალ ნანადირევით. მრავალი იყო მოკლული ღორი, ირემი, ხოხობი და სხ. მხოლოდ მონადირეებთან არ სჩანდა დედოფლის საყვარელი მიმინო. ათვალ-ჩაათვალიერეს და დაინახეს, რომ მიმინო იჯდა გორის ბორცვის კლდის გამოშვებულ ჭიუხზე. თამარმა ბრძანა: „ვინც მომიყვანს მიმინოს, აუსარულებ რასაც მთხოვსო“.

ტბა-მორევი კი დღევანდელია, ქშინავედა. დედოფლის დავალების აღმასრულებელი არ ჩანდა, მაგრამ უცბად გუნდიდამ გამოვიდა ეილაც შევნიერი ჰაბუკი. ფიცხლავ თავი დაუკრა თამარ მეფეს, დაეშვა გორისიდან და გადახტა მორევეში, მძლავრი მკლავები და ფეხები შეათამაშა და მარდად გასცურა. მიუახლოვდა ბორცვის ნაპირს, მიმინო ხელთ იგდო და მღელვარებასვე თავი მისცა. აგერ გმირულად მოხოპავს, მოდის, აგერ კიდევ მოაწია აქეთ ნაპირამდე—ცოტადა უკლია, ხმელს დაადგას ფეხი. თამარმა გაიფიქრა: „პირობა დაუდო. რასაც მთხოვ, აგისრულებო, ხელი რომ მთხოვოს!“ შეაქრეოლა. გულში შეევედრა ღმერთს: „თუ აგეთი განზრახვით მოჰყავს მიმინო, ღმერთო, დაღუპეო, და მორევს მიეციო“. ბრძანა და წყალმა ჩასძირა გმირი ჰაბუკი. ინანა თამარმა და ცოდვის მოსახდელად ეს კეთილი საქმე ჰქმნა: ტბა-მორევი, რომელიც ყოველწლივ რამ-

დენიმე კაცს ახრჩობდა, ჩაუშო მტკვრის კალაპოტში და დასწვრიტა, თვით ბორცვზედაც აავო მაგარი გორის-ციხე.

ტექსტი გამართული უნდა იყოს მოსე ჯანაშვილის მიერ (ჯან. თ.) გადაბეჭდილია ცაიშ. თამ. გვ. 112. პირველი ვარიანტისაგან განსხვავებით ლეგენდა დაკავშირებულია არა გორის ჯვართან, არამედ გორის ციხესთან. ამ ვარიანტს ისიც ასხვავებს პირველისაგან, რომ აქ უფრო აშკარად არის ნათქვამი ჭაბუკის სურვილის შესახებ. ამას გარდა თამარის საყვარელ ფრინველად აქ მიმინოა და არა ქორი.

ღ

თამარი და მიმინო

თამარს ოთხი თუ ექვსი ბიჭი ყავდა მხლებლად. მიმინოები ყოლიათ სანადირო. მკლავზე ან მხარზე დაისვამდნ ხოლმე. თამარის მიმინო ყველაზე საუკეთესო რამე ყოფილა.

სანადიროდ წასულან. დიდი წყალი დახვედრით გზაზე. აფრენილა თამარის მიმინო და წყალგაღმა გასულა. უძახეს, უძახეს, უძახეს არ გეიგონა—არაფერი არ მევიდა.

მერე უთქვამს ამ ბიჭებისთვის თამარს: — რომელიც მომიყვანს თქვენგანი ჩემს მიმინოს, რასაც მთხოვს, მიეცემ, ვაჩუქებო.

მერე წასულა ცურვით ერთი ბიჭი, გასულა, დაუქერია ეს მიმინო, დაუქენია მკლავზე. ცალი ხელით ცურავს. რომ მოაწია შუა წყალს, ამ ბიჭებმა, მისმა ტოლებმა შექნეს ლაპარაკი:

— აბა რას იტყვისო, რას ინდომებსო?

— რას იტყვის და ნეფობას იტყვის, თქმა რათ უნდა მაგასო?! თამარმა ყური ათხოვა ამ ლაპარაკს. შეხედა წყალში ამ ბიჭს და სთქვა: თუ მაგ გაქვს გულში, გაგწყვეტია მიწაო!

ის თქვა და წაიღო წყალმა ის ვაჟიცა და მიმინო.

მთქმელი იასონ გიორგაძე ჩამწერი ელენე ვირსალაძე. ჩაწერილია კურსებში 1951 წელს. (ფ. არქ. № 34653). ეს ახლადმოპოვებული ვარიანტი თავისებურებას იჩენს იმით, რომ თავგანწირული ჭაბუკი გამოყვანილია ტახტის მოსურნედ. ამას გარდა ვაჟთან ერთად წყალს მიაქვს თამარის საყვარელი მიმინოც.

43. ლეგენდა თამარზე

ჩაწერილია იმერეთში. კვ, 1893, № 37. მოეპოვება პარალელები და ანალოგიები როგორც ქართულ (სიხ. საგმ., გვ. 227) ისე მსოფ-

ლიო ფოლკლორში (კოტ., გვ. 338—339; სიხ. საგმ., გვ. 221—232). მითრებული ბავშვის მოტივს ვახუშტი უკავშირებს გუარამ მამფალს (საქართველოს ცხოვრება, გვ. 225). ჩვენ გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ ვახუშტი არ იცნობდა ლეგენდის იმ ვარიანტს, რომელთა მიხედვითაც ეს მოტივი დაკავშირებულია თამარ მეფესთან (სიხ. საგმ., გვ. და 227). მთლიანად ლეგენდა ცნობილია მრავალ ვარიანტად. მისი ვარიანტები ჩაწერილია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და კავკასიის სხვა ხალხშიც. ვარიანტების უმრავლესობას მნიშვნელოვანი თავისებურებანი ახასიათებს. ამიტომ მოგვეყავს მთლიანად მათი დიდი ნაწილი სათანადო კომენტარებით.

ბ

თამარს შვილი არ უნდოდა. მაგრამ მზის სხივი ეცა და დაორსულდა. თამარი შეწუხდა. სირცხვილის გამო ჩაიკეტა და საიდუმლოება მხოლოდ გამდელს გაანდო. ბავშვი რომ დაიბადა, თამარმა გამდელს უბრძანა, წაეყვანა და სადმე „უსიერ“ მთაში დაეტოვებინა. ასეც მოიქცა გამდელი. მაგრამ ბავშვს ირემი მოველინა პატრონად, რომელმაც დედობა გაუწია. გავიდა რამდენიმე წელიწადი. თამარი სანადიროდ წავიდა თავისი ამალის თანხლებით. დაწინაურებულმა მონადირეებმა დაინახეს ირემი, ის იყო უნდა ესროლათ, რომ შენიშნეს ირემს ამოკრული ბავშვი. ეს ამბავი შეატყობინეს თამარს. თამარმა ბრძანება გასცა, ბავშვი ცოცხალი მიეყვანათ. ბრძანება შესრულებულ იქმნა. წამოიყვანა თამარმა თავისი შვილი და ასე გაიზარდა გიორგი ლაშაო. თქმულება დასძენს, რომ მას აქეთ ბაგრატიონები ირმის ხორცს არა სჭამენო.

გადმოცემულია ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ (კოტ., გვ. 338) ალ. ხახანაშვილის წიგნის მიხედვით (Очерки по истории грузинской словесности, I, გვ. 285). ეს ვარიანტი საგულისხმოა მსოფლიო ფოლკლორში ცნობილი უძველესი მოტივის, მზისაგან შვილის შობის თვალსაზრისით. ანალოგიური მოტივის შემცველ თქმულებებზე მიუთითა ვ. კოტეტიშვილმა (კოტ., გვ. 339). ამ მოტივის თამარის პოეტურ სახეში შესვლა ალ. ვესელოვსკიმ არ მიიჩნია ბუნებრივად (ზღაპრები, 1898, № 6). ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ ამ მოტივის გამოყენების საბაბს მთქმელს სხვათა შორის თამარის შემკვიდრის სახელწოდებაც (ლაშა-ბრწყინვალე) აძლევდა (სიხ. საგმ. გვ. 223).

ერის სულით ჩაესახაო თამარს ნაყოფი

ამ წმინდა და ბრძენ ხელმწიფეს შვილი არ ჰყვანდაო, და რადგან თვითონაც გვარში ობლად ობოლი იყო, მის შემდეგ სამეფოსა უმეფოდ დარჩენა მოელოდა. ეს აწულებდაო ყველას, დიდსა და პატარას, შეიყარნენ სახელმწიფოს თავი კაცები. იბჰეს და გადასწყვიტეს:

—სახელმწიფო საკიროება მოითხოვს, მეფემ შეირთოს ქმარი.

გადასწყვიტეს, მაგრამ გადაწყვეტილების მოხსენება მეფისთვის ვერც ერთმა ვერ იკისრა. ეგ დავაუალოთ იმ სული წმინდით შემოსილ ბერს, რომელიც განდევნილად მოღვაწეობს სტეფანწმინდის გამოქვაბულებში და თამარივით, სიწმინდის გამო, პაერ-პაერად აღისო.

ერთ საღამოს ბერი ეწვია თამარს, დალოცა და ჭვარი გადასახა. მეფე ხელზე ეამბორა მთიდან ჩამოსულ ასწლოვან მოხუცს, თან მოწიწებით მოიკითხა და უჩვეულებრივი წვევის მიზეზი ჰკითხა. მან ხელმწიფეს მიართვა ეტრათი, რომელზედაც დაწერილი იყო ღიღებულთა გადაწყვეტილება. ამოიკითხა-რა მეფემ ფსალმუნის სიტყვები ნაყოფიერ და უნაყოფო ხის შესახებ, მყის იგრძნო დარღვევა. შეწუხდა ძალიან მეფე ქალი, ეს რა მომივიდა, როგორღა ეჩვენო ხალხს, როგორ ვიმართლო თავი წინაშე ღვთისა, რომელსაც ქალწულობის აღთქმა მივეციო. ჩაწვა ლოგინში და თავი მისცა მრავალგვარ ღუმელ-გონებას, და ბოლოს ტკბილად ჩაეძინა. ძილში გამოეცხადა ბრწყინვალე ფრთოსანი ვარსკვლავი და მოახსენა:

— მიდგომილ ხარ ერის შენის სულის მობერვით. ჰჰობ ძესა, რომელსაც აღზრდის ნუკრის დედა. ხმა ერისა ხმა ღვთისა არს და ამიტომ შვილის გაჩენით ქალწულობა არ მიგელბა.

ცხრა თვეზე ეყოლა ვაჟი, დაბადებითვე მსგავსი ბრწყინვალე ვარსკვლავისა, ერი ცოტა არ ახარა მის დაბადებამ, ეკლესიებმა ცოტა წირვები არ გადაიხადეს მის ასალორძინებლად. წლის განმავლობაში შვება, ლხენა არ დალეულა სასახლეში, არც მთელს სამეფოში.

ყრმას უკვე გამოევლო სიჩხოების ხანა, უკვე ფეხი აედგა, რომ გადიამ ჟინვნის სამეფო ბაღში წაიყვანა სასეირნოდ. ხეივნების ბოლოს ფართო ჭურღმული იყო და იქ ამოჩუხჩუხებდა ცივი ანკარა წყარო. გადიამ ყრმა ზევით დასტოვა და თვითონ ჩავიდა, რომ წყა-

როდამ დაელია. წუთიც არ გასულა, რომ წყურვილი მოიკლა და ანიორბინა, მაგრამ ელდა ეცა,—ალარსად იყო მეფე-ყმაწვილი.

გადიოდნენ დღეები და თვეები — დაჯარგულს ეძებდა ხალხი ტყეაა და ღრეში, მაგრამ სანუგეშო ამბავი არავის მოჰქონდა. თამარი კი მაინც ჰსასოებდა, რომ მისი საყვარელი შვილი დაღუპული არ იყო, და ამ სასოებას უორკეცებდა ის ხმა, რომელმაც საზმარში გაანდო — შენს ნაშობს ნუკრის დედა გაზრდისო.

წელიწადი მიწურულიყო, რომ თვით თამარი თავის დიდებულებით წაბრძანდა ყრმის საქებნელად, გზა-გზა ბევრ ნადირს ხოცავდნენ. თამარსაც თან ახლდა კარის მონადირე განთქმული ვაჟკაცობით. იარეს საქმაოდ ამ ტყეში — უცბად თამარის მხლებელმა მონადირემ ირემს თვალა მოჰკრა შორს და მყის მოიმარჯვა შვილდისარი. ის იყო უნდა ეტყორცნა, რომ თამარმა აუკრა, მისმა თვალმა კარგად გაარჩია, რომ დედა ირემს სწოვდა მოჩიტული ყმაწვილი — შორი-ახლო მავალებმა მიჰგვარეს შველიც და ყრმაც. სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დაბრუნდნენ შინ. ყრმის მაწოებელი ირემიც მოჰყვებოდათ სრულიად უშიშრად, როგორც ერთი რამ შინაური.

მეფემ შვილი გადასცა დიდებულებს აღსაზრდელად, ხოლო დედა-ირემი დააბინავა თავის წალკოტში და გასცა ბრძანება: „ჩემის მეფობის დასასრულამდე ჩემს სამეფოში არა კაცს არ შეეძლოს ირემზე ნადირობა და ირმის მოკვლაო“.

გადმოცემა იმასაც განმარტავს, როგორ მიიჩქმალა ჩივილი ყრმა სამეფო წალკოტიდამ: იგი იქიდან გაიტაცაო და ტყეში გადაადოვო ერთმა სასიძოთავანმა. რომელსაც გამეტებით სურდაო. თამარის ცოლად შერთვა, მაგრამ იმედი გაუტრუვედაო და ჯავრის ამოსაყრელად ამ უდიერ ზომას მიმართავს. ხოლო მერე თვითონვე შეინანა და თავი მოიკლაო.

მეტად საინტერესო ვარიანტია (ჯან. თამ., გვ. 103. გადაბეჭდილია ცაიშ. თამ., გვ. 94). ლეგენდის ეს ვარიანტი გამართული და დამუშავებულია.

ვარიანტი თავისებურებას იჩენს იმით, რომ მასში კონტამინაციის წესით შესულია ბეთლემის გამოქვაბულში მცხოვრები განდგეილის შესახებ არსებული ლეგენდის მოტივი. ამგვარი კონტამინაციის საბაბს ხალხს აწლევდა ის გარემოება, რომ თამარიც ბეთლემელ ბერივით წმინდანად ყავდა ხალხს მიჩნეული. ლეგენდების მიხედვით მზის სხივი იჭერდა ბერის ლოცვანსა და თამარის საძოსელს (ღ ვარიანტი).

კონტამინაციის წესით არის შესული ამ ვარიანტში აგრეთვე სასიძოს მოტივიც. ამგვარი კონტამინაციით მოტივირებულია ბავშვის

დაკარგვა. მოქმელს უთუოდ არ სურდა ჩრდილი მიეყენებინა თამა-
რის სათნოებისათვის და სხვა ვარიანტებში ცნობილი მოტივი ბავ-
შვის თავიდან მოშორებისა შეცვალა გაწბილებული სასიძოს შე-
რისხიებით.

დ

ლეგენდა თამარ მეფეზე

„თამარ მეფე, დედოფალი“ ძლიერ სახელოვანი მეფე იყო. სულ ცახცახი გაჰქონდათ თათრებს, სანამ ის ცოცხალი იყო. თამარი ხშირად მოგზაურობდა ხოლმე თავისს სამეფოში და ამ მგზავრობის დროს, საცა კი ადგილი მოეწონებოდა, ეკლესია-მონასტრებს აშენებდა. ეს მისთვის მეტად ადვილი იყო. მას თან ახლდა ურიცხვი ამაღა, თავად-აზნაურთა ქალთაგან შემდგარი: ამ ამაღის ქალებს თამარისაგან ნაბრძანები ჰქონდათ, რომ ყველას სათითაოდ თავსაფარის ყურში გამოეხვია ცოტაოდენი კირი და თან ეტარებინათ. აი ეს თავსაფარის ყურში გამოხვეული კირი ერთად საკმარისი იყო რამოდენიმე ეკლესიის ასაგებად.

თამარი გაივლიდა სოფელში, ჩამოხტებოდა, ოსტატებს (ისინი ცხუდამ თან ახლდნენ) დაუძახებდა და სულ მცირე ხანში ეკლესია მზად იყო. მისი მხლებელი ეპისკოპოსი აკურთხებდა აშენებულ ეკლესიას და მერე სხვაგან წავიდოდა. ასე მგზავრობდა ხოლმე თამარი, სანამ კირი არ შემოეღოდათ.

თამარი ამასთანავე მეტად გულ-მოწყალე იყო. ისე დღე არ წაუვიდოდა, რომ რამე მოწყალება არ გაეცა სამოწყალოდ. ის უფრო თავისს ხელით ნაკეთებს და ამ ნაკეთებში აღებულ ფულს არიგებდა.

ამისთანა საქმეებისათვის ის აამაღლა ღმერთმა ამ ქვეყნადვე. ვერ ერთი ის, რომ ხონთქარი და შაჰი მისი შიშით ძრწოდნენ: ისინი ვერ ბედავდნენ არამც თუ ომის ატეხას, უბრალო ფიქრსაც ამაზედ, გარდა ამისა. ღმერთმა ამ ქვეყნადვე დაანახვა ხალხს თამარის სიწმინდავე: ის ეკლესიაში ლოცვის დროს იატაკზე კი არ იდგა, არამედ ნახევარი ადლის სიმაღლეზე ჰაერში იყო გაჩერებული. ყველა გაოცებული იყო ამ სასწაულით. თამარიც, რასაკვირველია, ხედავდა თავის ბედნიერებას და სულ ამის ცდაში იყო. რომ ეს ბედნიერება არ დაეკარგა. ამისათვის დღე და ღამე სულ ლოცულობდა და კეთილ საქმეებს ამრავლებდა.

ღიდებულები და კარის კაცები კი არ ასვენებდნენ სახელქმედულ დედოფალს. ისინი სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ როგორმე დაეთანხმებინათ ქალწული თამარი ქმრის შერთვაზე. მაგრამ თამა-

რი ცივ უარზე იდგა და არაფრის გულისათვის არ ეთანხმებოდა. დიდებულებს არ უნდოდათ უმემკვიდროთ დარჩენა და ამისათვის სულ იმის ფიქრში იყვნენ, რომ ძალით, ნებით თუ მოტყუებით თამარისათვის ქმარი შეერთოთ. თამარს—კი უბრალო საუბარიც ქმარზე დიდ მომაკვდინებულ ცოდვათ მიაჩნდა.

როდესაც თხოვნით, მუდარებით თუ მუქართაც ვერაფერი გააწყვეს, დიდებულნი შეიკვივნენ და კათალიკოსის ნებართვით გარდასწყვიტეს, რამენაირად შეეპარებინათ ვინმე მამაკაცი მძინარე თამარისთვის. მაგრამ ვინ უნდა შეჰპაროდა წმინდა დედოფალს? ვერავინ ვერ ბედავდა ამ საქმის ჩადენას ღვთისა და მეფის შიშით. ბევრის რჩევის შემდეგ მიმართეს ერთს ვაჟკაცობით და თვალტანადობით სახელგანთქმულ ჰაბუკს. ჰაბუკი ვერ ბედავდა ამ საქმის ჩადენას, მაგრამ როგორც იყო, დაითანხმეს.

ერთ დღეს თამარს წვეულება ჰქონდა და ძლიერ მხიარულადაც იყო. დიდებულებმა განიზრახეს დაეთროთ თამარი და ამალაშვე შეესრულებინათ თავიანთი განზრახვა. მაგრამ თამარი ღვინოს არ სვამდა მომეტებულს, ღვინით რომ ვერაფერი გახდნენ, ძილის წამალი შეაპარეს ღვინოში და დაალევინეს მხიარულს დედოფალს. დედოფალს ძილი მოუვიდა. თავის ოთახში გაიყვანეს. იქვე შეიყვანეს ჰაბუკი და კარი გამოხურეს...

მეორე დღეს თამარი ჩვეულებრივ ადრე ადგა და წირვის მოსასმენად შევიდა კარის ეკლესიაში. თამარმა ჩვეულებრივ გულმოდგინეთ დაიწყო ლოცვა. ამ დროს მან შენიშნა, რომ იატაკზედ იდგა და ტანიც მეტად დაჰმძიმებოდა. თამარი ძლიერ შეაწუხა ამ გარემოებამ და ის მაშინვე შინ წავიდა. ბევრი ფიქრის შემდეგ მას მოაგონდა ვიღაც ადამიანის სხეულის ყოფნა მასთან და მეტი არაფერი. მან ერთბაშად მოიაზრა, რაშიაც უნდა ყოფილიყო საქმე და გულთწაუვიდა. როდესაც გონს მოვიდა, მოჰყვა ტირილს და გოდებას. დიდებულებს არ იკარებდა და სულ ძაღაშემოსილი იდგა ხატის წინ და ლოცულობდა.

თამარმა მუცლად-ილო და შვა ვაჟი. მას არ უნდოდა თვალთ დაენახა ეს „ცოდვის შვილი“ და ტირილით და გოდებით უბრძანა დიდებულებს, რომ ახლად შობილი წაეყვანათ და დიდ უსიერ მთაში დაეგდოთ ღვთის ანაბარად. დიდებულებმა ველარ გაბედეს თამარის ხელმეორედ მოტყუება, წაიყვანეს ყმაწვილი და ღვთის სახელით დასტოვეს უსიერ მთაზედ.

ბავშვი მოჰყვა წვილს. ამ დროს ღვთის განგებით გაჩნდა ფურ-

ჯრემი ამ ბავშვთან და ძეძუს წოვება დაუწყო. ამის მეოე ირემი თავთაკის ღროზე მოვიდოდა ყოველ დღე და ძეძუს აწოვებდა. ავღარში კი გვერდით უწვა—არ შესცივდესო. ასე იზრდებოდა ეს ღეთის ანაბრად დაგდებული ბავშვი.

გავიდა რამოდენიმე ხანი. თამარმა დიდი ლოცვა-მარხულობა მრწყალეებით მოიქარვა თავისი მწუხარება. ერთ დღეს, დიდებულებმა ურჩიეს სანადიროდ წასვლა და თავის გართობა. თამარი და თანხმდა და განგებით სწორედ იმ უსიერ მთაში შევიდნენ, სადაც დიდებულებმა ბავშვი დასტოვეს. აქ თამარმა შენიშნა, რომ ერთი ირემი პატარა, ორი თუ სამი წლის ბავშვს ძეძუს აწოვებდა. თამარის ახლოს მდგომმა ერთმა მონადირემ თოფი დაუმიზნა. თამარმა თოფს ხელი აუკრა და თოფი ჰაერში დაიცალა. ირემს უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ უმაწვილი ვერ დასტოვა. ყველა გააოცა ამ ამბავმა, ეგონათ მოჩვენებააო.

თამარს რაღაცამ ტუბილად უკბინა გულზე. მივიდნენ და ნახეს, რომ უმაწვილი—თამარის შვილი იყო. დიდად გაიხარეს და ღმერთს ქება-დიდება შეასნეს. თამარმაც ძლიერ გაიხარა და ღმერთს მადლობა შესწირა. როდესაც უმაწვილი წამოიყვანეს, ირემიც უკან დაედევნა.

ბავშვი მონათლეს. ის ძლიერ თვალ-ტანადი უმაწვილი იყო. როდესაც დავაუკაცდა. მას უთხრეს მისი თავგადასავალი და ირმისაგან გაზრდა. მან მას აქეთ აჰყვეთა ირმის ხორცის ჰამა და ირემზე ნადირობაც. „ამიტომაც არისო—დააბოლოვა საქარელმა მოამბემ.—რომ მისი ჩამომავლობა, ბაგრატიონები, ირმის ხორცს არა სჭამენო“.

ჩაწერილი ს. საქარაში მ. ებანოიძის მიერ, (მგზ., 1901 № 8). ამ ვარიანტში უკვე აღარ არის სასწაულებრივად განაყოფიერების საერთაშორისო მოტივი. ბავშვის გაჩენა რეალისტურად არის ახსნილი. მას წინ უძღვის დახასიათება თამარის პიროვნებისა და პოეტური მოღვაწეობისა, რაც ორგანულად არის დაკავშირებული ბავშვის დაბადების მოტივთან.

მ

თამარ მეფე

მთელ საქართველოს ხალხს თამარ დედოფალი წმინდანთა ჰყავს დასახული და ამიტომაც არა სჯერათ, რომ მას ქმარი ჰყვანდა. რომელიმე გლეხსა რომ უთხრათ, თამარ დედოფალს ქმარი ჰყვან-

დაო, ის მის დიდს გაკიცხვით მიიღებს და მაშინათვე გეტყვის ამ ამბავს:

თამარ დედოფლის მამა რომ გარდაიცვალა. სარდლებმა და თავადებმა თამარ მეფეს გათხოვება დაუპირეს. მაგრამ ის არ თანხმდებოდა. სარდლებმა, რომ ველარა გააწყეს-რა, თავი დაანებეს, შემდეგ თამარ დედოფალი, ხალხის ჰაზრით. უცნაურის ძალით დაორსულებულა და მისცემია ვაჟი, რომლისთვისაც უწოდებიათ ლაშა და გიორგი. ლაშა დაბადებულა თუ არა, მაშინათვე თამარ მეფეს შეუხვევია ჩერებში და გაუტანებია თავის ბანოვნებისათვის:

— წაიყვანეთ და აქავ ახლოს ტყეში ერთს ხის ძირას დასდევითო, და უთვალთვალეთ კიდევ. რომ ნადირმა არ შექამოსო. წაიყვანეს ბანოვნებმა, ხის ქვეშ დასდეს როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, და შორიდან ყარაულობდნენ. ერთი ირემი შემოჰჩვევია. ყმაწვილს, რომელიც ყოველ დილით და საღამოთი მივიდოდა თურმე და მოაწოვებდა ძუძუსა.

ამ გვარად ამ ირემმა გაზარდა თამარის ვაჟი. შემდეგ თამარ მეფემ შეაკერინა მისთვის ტანისამოსი, გაატანა ტყეში ქალებსა და უთხრა:—წაიღეთ ეს ტანისამოსი და შორიანლოდამ გადუყარეთ მას; თუ ჩაცმა მოახერხოს. მოვიყვანეთ აქა, თუ ვერა და მაინც მოიყვანეთ.... ბევრს წვალებულა ჩაცმაზე. მაგრამ ბოლოს მოუხერხებია. ქალებსაც, რა დაუნახავთ ეს, მაშინათვე მისულან და წამოუყვანიათ ყმაწვილი თამარ დედოფალთანა.

აი ამის გამო ბაგრატიონანთ გვარის ხალხნი, ანუ მეფენი, ირმის ხორცს ძველათ არა სჭამდნენ, რადგანაც ირემი ჩვენი გამზრდელიაო. ასე ამბობს ხალხი.

დრ., 1878, № 73: ხელნაწ. ინსტიტ. H—2002. ხელს აწერს ზ. მთაწმინდელი (კიკინაძე). ტექსტი დამუშავებულია ზ. კიკინაძის მიერ. მის მიერ არის გადმოცემული მოსმენილი ლეგენდების შინაარსი.

3

ლაშა გიორგის დაბადება

თამარ მეფეს ქმარი არ ჰყვანდა, ლაშა გიორგი მღვთის ბრძანებით დაეზადაო. მერე ეს ყმაწვილი ტყეში ერთს ხის ძირას დასტოვესო. იქ ამ ყმაწვილს ღმერთმა ერთი ირემი მიუჩინა, რომელიც ყმაწვილს ძუძუს აწოვებდა და ზრდიდაო. გავიდა რამდენიმე ხანი და ერთს ნადირობის დროს თამარი ამ ყმაწვილს თავის მაწოვარის ირმით ერთს ალაგას შეჰყარაო. ეს ყმაწვილი და ირემი თამარ მე-

ფემ თავის სახლში წააყენინაო. ეს ყმაწვილი იყო ლაშა გიორგო, ამაზედ არისო ნათქვამი:

„ბაგრატიონთ გვარის კაცსა,
ირმის ძუძუ უწოვნია,
ქალაში გადაგდებული
მონადირეს უპოვნიაო“.

ამიტომ თამარ მეფეს წესად დაუდგენია, რომ ბაგრატიონთ გვარის კაცებმა ირმის ხორცი არა სჭამონ და მიტომ ისინი არც სჭამენო.

ჩაწერილია ოსეთში. მთქმელი სიმ. თედეიშვილი. ზ. კ. დაბეჭდილია ცაიშ. თამ., გვ. 97. ვარიანტი გამართული და დამუშავებულია.



თამარ დედოფალზე

უძველეს დროში დედამიწა არ იყო არავის ხელში—არც მეფის, არც ბატონის; არამედ იყო მხოლოდ ღმერთის ხელში. როდესაც ხალხი მოემატა, ღმერთმა დატოვა ის. შემდეგ გამოჩნდა თამარ დედოფალი. ქრისტეს ქალიშვილი და მის ხელში დარჩა დედამიწა. მას შემდეგ რაც ღმერთი გადადგა. დიდხანს მეფობდა ის ბედნიერად... მაშინ ხალხში დაიწყეს ლაპარაკი: „ჩვენი მეფე—ქარგი მეფეა. რა უნდა ვქნათ ჩვენ თუ ის წავა ჩვენგან და ამაღლდება ცაში?!“ და აი მოიგონეს შემდეგი: დაათრონ ბანგით (ეს ისეთი წამალია, რომელიც აძინებს მთელი დღელამეობით) და ძილში მიუგზავნონ რომელიმე ჭაბუკი, ერთი საუკეთესოგანი, რომ მას შეეძინოს ბავშვი, რომელიც შემდეგ იქნება მათი მეფე. მათ დადვენ ფიცი, არ ამხილონ ეს ჭაბუკი. თუ მეფე იკითხავს, ვინ იყო ის. უპასუხონ. რომ მთელი ხალხი, რომელიც მას ემორჩილება: რადგანაც თუ მიუთითებენ ვინმეზე, ის მას აუცილებლად დასჯის. მოიფიქრეს და შეასრულეს. დილით მან იგრძნო, რომ რაღაც შეემთხვა და მოითხოვა პასუხისათვის თავისი ხალხი. მან იკითხა: „ვისი ონია ეს? ვინ ჩაიდინა ეს?“ ხალხმა უპასუხა: „ჩვენ ყველამ, ამიტომ ჩვენ ყველა ვაგებთ პასუხს. რაც გენებოთ ის გვიყავით“. რა უნდა ეპასუხა მას ამაზე? ყველა რომ დაესაჯა მაშინ ვისზე უნდა ემეფა? ამგვარად თამარმა ეს საქმე ეგრე დატოვა. წელიწადი არ გასულა, შეეძინა ვაჟი. მაშინ უთხრა მონადირეებს: „წაიყვანეთ ეს ბიჭი და გადაადგეთ შორს. სადაც

არ დადის არც ადამიანი, არც ერკემალი. ღმერთმა რომ გაიგოს, რომ
მე წმინდასა და უბრწოს დამებადა სხეულისაგან ადამიანი, მოვკვდე-
ბი მისი რისხვისაგან. მონადირეებმა აიყვანეს ბიჭი, წაიყვანეს და
დაავდეს შორს ტყეში. უაავდეს და თითონ დაბრუნდნენ უკან. გა-
ვიდა რაზმოდენიმე წელი... აი ვრთხელ მონადირეები ნადირობის
დროს წააწყდნენ სწორედ იმ ადგილს, სადაც დაავდეს ბიჭი. ბიჭი
გადარჩა ცოცხალი. მასთან მიდიოდა ფური ირემი და კვებავდა თა-
ვრსი რძით. და აი ახლა ირემი იწვა ბავშვთან ახლო და აწოვებდა.
მონადირეებმა არ იცოდნენ, რა იწვა ირემთან, მომართენ თოფები
და უნდა გაესროლათ, მაგრამ ირემი გაიქცა და ბიჭმა, როდესაც წა-
ართვეს ძუძუ, დაიწყო ტირილი. მონადირეებს გაუკვირდათ და იფი-
ქრენ რომ ტყეში ეშპაკია. მძვიდნენ ახლოს, დაინახეს მშვენიერი
ბავშვი, ბამბის ქულასავით თეთრი და მიხვდნენ მაშინ, რომ ირემი
აწოვებდა ბავშვს. თითონ ღმერთი მფარველობდა მას. მათ დატოვეს
ის იქ მწოლიარე და სახლში მოსულებმა უამბენ თამარს, თუ რა
სასწაული ნახეს ტყეში. რა თქმა უნდა ის მაშინვე მიხვდა, თუ რაზე
ლაპარაკობდნენ მონადირეები, ღმერთს პატიება სთხოვა და უთხრა
მათ: „გასწიეთ, მოიყვანეთ ის, მეტი რა დამჩენია, უნდა აღვზარდო
ის, რადგან ის ჩემი შვილია“

ამის შემდეგ ის დედის სახლში იზრდებოდა და თამარი არ
შორდებოდა მას, სანამ ისე არ წამოიზარდა, ვიდრე არ გაიგო, რომ
ეს იყო მისი ხალხი. როდესაც მან მიაღწია იმ ასაკს, რომ შეეძლო
მის დაუხმარებლად გზელმძღვანელა ხალხისთვის, თამარი გაემგზავ-
რა თავის სამფლობელოს დასათვალიერებლად და ვაჟი დატოვა შინ.
მაშინ თოვლი არ იყო. ცისკარი—დილის ვარსკვლავი თამარს ოთახ-
ში ყავდა დამწყვდეული. როდესაც დედა გაემგზავრა, შვილმა ოთა-
ხების დათვალიერებისას შემთხვევით გააღო ის ოთახი, სადაც ჩაკე-
ტილი იყო ცისკარი. ის გამოფრინდა და როდესაც ავიდა ცაზე, წა-
მოვიდა თოვლი. თამარი მაშინვე მიხვდა, რომ ვიღაცამ გაუშვა ცის-
კარი და დაუყოვნებლივ გადასწყვიტა ცხენით სახლში დაბრუნება.
განვლო ნახევარი გზა და თოვლი, რომელიც განუწყვეტლივ მოდო-
და, ისე ღრმა იყო, რომ ცხენს აღარ შეეძლო წინ წასვლა. მაშინ
თამარმა დაწყევლა ყველა თავისი შინაურები: „იქეციო ქვებად“.
სთქვა მან და ისინი მაშინვე ქვებად იქცნენ. თითონ ცაზე ავიდა. გა-
ნეტდა მისი ვაჟი. მას ექახდნენ ბაქარს.

CMOK, ტ. 27, განყ. III, გვ. 40 — 42. ჩაწერილია ს. ბოქორ-
გაში, თიანეთის ოლქში. თბრ ლისის გუბერნიაში, 1893 წელს.

გამოქვეყნებულია მასწავლებელ ს. შულგინის მიერ. მტკმელი ყოფილა მოხუცი ოსი, სახელი და გვარი არ არის აღნიშნული. როგორც ჩანს, მტკმელი ყვებოდა. ოსურად, რადგანაც ს. შულგინის თხოვნით ტექსტი ქართულად უთარგმნია განსწავლულ ქართველს, რომლის ვინაობა არ არის აღნიშნული. გადმოცემა დაბეჭდილია რუსულად. ვინაიდან ქართული ტექსტი ხელს არა გვაქვს, ჩვენ იძულებული ვიყავით რუსულიდან ისევ ქართულად გვეთარგმნა. ამგვარად ჩვენს კრებულში მოთავსებულ ტექსტს თარგმნის შემდეგი გზა აქვს გავლილი: ოსურიდან—ქართულად უცნობი ქართველის მიერ; ქართულიდან — რუსულად ალბად თვით შულგინის მიერ; რუსულიდან — ისევ ქართულად.

ს. შულგინს ტექსტისთვის დართული აქვს საინტერესო შენიშვნა. საგულისხმოა მის მიერ მოყვანილი პარალელი ამ ტკმულების მითითრი მოტივისა ირანულ და ქალდაურ მითოლოგიიდან. ეს არის ღვთაება ტისტარი. ვარსკვლავი, რომლიდანაც დამოკიდებულია ნაყოფიერება.

ამ საყურადღებო გადმოცემით ღმერთის შთაძოძავალი თამარი ოსეთის პირველი მეფეა. მისი ცაზე ასვლის შემდეგ ოსეთში მეფდება მისი ვაჟი. შულგინს ეს ანაქრონიზმად არ მიაჩნია. ამ გარემოების საფუძველს ის ზედავს ამ ორი ქვეყნის ახლო ურთიერთობასა და თვით თამარ მეფის ნათესაობაში ოსეთის სამეფო გვართან. შულგინი გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ოსეთისა და საქართველოს ტახტზე მეფობდა ერთი დინასტია—ბაგრატიდების. ეს მოსაზრება არ არის სწორი.

ამგვარად ოსეთის სამეფო გვარის დასაწყისის თამართან დაკავშირება სრული ანაქრონიზმია და ის შეიძლება აიხსნას თამარ მეფის გავლენით ოსეთზე.

ვარიანტში კონტამინაციის წესით შერწყმულია ორი ლეგენდა—თამარის პირშშოს გაჩენასა და ამინდის ვარსკვლავის შეპყრობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ვარიანტით თამარ მეფე ღვთის შთაძოძავალი (ქრისტეს ქალიშვილი) და ჯადოქარია (აქვევებს შინაუჩრებს).

თ

პირველი ქართველთა მეფე ირემამე ყოფილა

თამარ დედოფალმა თავისი კარის კაცისაგან ერთი ბაღანა (ვაჟი) გააკეთა. რო დაბადა, კარის კაცებს გადააგდებია წყალში. წყალში

ლი პატარა ყოფილა, ბალანა, არ დაუხჩვია და ერთ კლდეზე გაუგ-
ღია ნაპირას, დაუნახავს ირემს ჩვილი და ძუძუ უწოვებია. ასე მოს-
ჩოვია და აღარც მოუცილებია ირემს ჩვილი და გაუზღია, ერთხელ
ხუთი წლის რო შეიქნა ეს ბალანა და ირემს ტყეში დაჰსდევდა, და-
უნახავს თამარ დედოფლის მონადირეს, რომელიც საირმეზე იყო
წასული. ბალანას გამო ირმიზა აღარ უსრია ისარი. ეშინოდა, რო
ბალანა არ დაამარცხოს. წასულა და შეუტყობინებია ეს ამბავი დე-
დოფლისათვის. დედოფალსაც მაშინათვე გაუგზავნია მონადირეები,
რო ცოცხლათ დაეჭირათ ბალანა. ბალანა კი დეიჭირეს, მარა დედა-
მისი გამდელი ირემი კი შემოაკვდათ. მიუყვანეს დედოფალს. დედო-
ფალს გაახსენდა, რო უთოოდ ის თავისი გადაგდებული შვილი უნ-
და იყოსო. გამოზარდა და მეფეთ დააჯდინა. ხალხმაც ასე უწოდეს
პირველ ქართველ მეფეს ირემამე.

მთქმელი მღვდელი ერმალოზ კალანდარიშვილი. ამ ვარიანტში
ნოცემულია ქართველი გვარის ირემამე თავისებური ეტიმოლოგია.
ხალხს გამოუყენებია გავრცელებული ლეგენდა ირმის მიერ თამარ
მეფის პირმშოს გაზრდაზე და ყოველგვარი ისტორიული საფუძვლის
გარეშე დაუკავშირებია ირემამეთა გვართან (ხელნაწ. ინსტიტ. II—
2004).

0

ანდრეში ბაკრატიონთა, თამარ ნეფისა

თამარ ნეფე რო იყო, ქმარ არ უნდოდ, შვილ არ უნდოდ. ვე-
ზირთ თქვეს იმისად რომა. ეს მოკვდებისო, მემრე ვინ უნდა იყოს
ნეფეიო, თუავ ამის ნაშობ არავინ გვექნა ნეფედაო. ისი ჩვენ ჰელს
არ მოგვეცემსო. სხვის შვილი ჩვენა ჰელს არ მოგვეცემსო, მაგის მუც-
ლისა უნდა იყოსო. მემრაც კენჭი ჩაყარეს, რასაც ი ვეზირ იტყოდეს,
თუ უარს იტყოდის ი კაცი, ვისაც კენჭი მიერგებოდის, უნდა მა-
შინ მიეკლის. ერთ კაცს ერგა. რა ქნას, იმას მეტ ჯან არ აქვ, თან
კვლენ, თან კენჭ ერგო. იმ დროს თამარ ნეფე დაბანგეს. იმან არა-
ღერი აღარ გაიგა, ჰაქვანი. ეხლა რაც პირობაი აქვ, იმ კაცმა უნდა
აასრულოს საქმეი, უნდა დაწვეს თამარ ნეფესთანა. მავი გონსა, გაი-
გო თავის თავისა, ეს რა ამბავია ჩემს თავსაო. ვეზირთ უთხრეს
რომაო, სრუ რო დაგვეკოცნავ, ჩვენ ნაქნარი იყვავ ეგეო, თუ შვილ
გეყოლაო, ქალი იქნების, თუ ვაჟ იქნებისო, ნეფედა ჩვენ პატრონდ
ეკ იქნებისო. ჩვენ ვივეზირეთო. მემრ უთხრა—მაშო რომენ კაცია,
მანახვიეთო.

— მოხკლავო, რად გინდაო, არ შეიძლები.

— არ მახკლავო.

— ხეთის ფიცი მაგვეციო, მაშინ გაჩვენებთაო.

მოვიდნენ, კაცი ნახ თვალით, რომელიც იმათან ნამყოფია.

— წადითა უთხრა, ესი გველებს გადაუგდეთო. გველები ხევან-
კელად მაიტანეს, კელში დაადგა და გაუქვრიტა, უთხრა ნახე
გაუქვრეტავის გაქვრეტა რაქელ ყოფილაო.

მემრე ფეკმძიმედ გამავიდა ეს თამარ ნეფე. გაუჩინდა ვაჟი.

— წადითა უთხრა, ესი გველებს გადაუგდეთო. გველები ხევან-
იყვა. გადაუგდეს გველებს, რა მეტი ჯანი იყო. მივა გველები
სრუ ყველა ღლოკს ბაღს. არც შეკამეს, არც უქბინეს, მემ-
რე უთხრ, რო საჯინიბეჩი, თვალეების ფეხნია გაისრიეთო ეგი. მემრ
ბივიდეს, ნახეს ცხენები ქვად და ხედ გაკდეს. იქაო ბაღლიაო.

— წაიყვანეთაჲ უთხრ ეგიო, ერთ უდაბურ ტყეჩი გადააგდე-
თო, დათვი, მგელი, ღორი შიგ იყოსო. ყურს ნულარ უგდებთო, გა-
უშვითო იქაო.

წაიღეს ეს ბაღლი და იქ გადააგდეს ტყეჩი შორა. ფურ ირემმა
გაზარდა. გავი ერთ წელიწადი. მამკვდარი ეგონა ი ბაღლი. მემრე
მშაველს და კევსურს ენადირ. ნახეს ირემი ტყეჩიგ, თოფი მოამზა-
და მშაველმა, უნდა ესროლოს, ირემი მოკლას. კევსურმა თვალით
ნახ, რომა ფურს ბაღლი ხეავ აყუდებული, წოვს. სახელ ვერ იცის
ამხანიგის; ახალ მაყრილია ერთად.—ჰეე! დიიდო, დიიდო, თოფ არ
დაარტყაო.

— რაი ას, უთხრა,

— ხედავო, ბაღლი ირემს წოვსო. რა ამბავია ესი.

მივიდეს ახლოს. არც თოფ დაარტყეს, შახედავს ირემი და გა-
იქც ეს ირემი, რომ ახლოს მივიდეს. დარჩ ეს ბაღლი. ბაღლი, შახე-
დვენ, აირქოლეს, მახვიეს ზოგ რა. ზოგ რაი, შინ წამაიყვანეს. მშა-
ველმ და კევსურმა გაზარდეს ე ბაღლი.

— რა დავარქვათო —

— ბაგრატ იყვასაო.

ბაგრატ დაარქვეს სახელად. გატყდა კმა. რომა ირემს გაუზდავ
ბაღლი ტყეჩიგა და ის მაკელესო, გაიზარდაო, გაიგ დედამა, თამარ
ნეფემა კევსურეთს, ფშავს აააო. — აქამდე ჩვენ გაზარდეთა და
ახლა. კევსურებმ თქვეს, ნეფეთაო.

მავიდა ჯარები, დედამ ჯარები მაასხა. უნდა თავ მასქრან, მოკ-
ლან. კევსურის მთიბელჩი ას ეხლა ი ბაღლი. უთხრა—მა ბაღლ რომა,
ერთი ცხენი მამეციითო და ხავიწიანი ჯამი თავზე დამადგითაო,
ხეთის ძალიაო, თუ გადმავარდას, დედა მამკლავსო, თუ არა—არაო.

გააქცივ ცხენი და ჯამ არ გადმავარდა თავსებით ხავიწიანი. მემრ
ახლა ჩვენ გაზდილ ჭვესურთ უჭირეს მკარი. წამაიგდეს, უკოცეს
ჩარები. გეექცეს თამარ ნეფეი, გაიქცა.

— ესე გინდა ფრახსაო,
დედასა შვილის მტერსაო.

მემრ იმან ცოლ შაირთ, შვილს ერეკლე დაერქო. მემრ კიდე მე-
ორე შვილსაც კიდე ერეკლე, ისიც ნეფეი. მესამეც ერეკლე, ისინი
იყვიან ნეფედ ალექსანდრეს და გიორგის მამა. აი ხო ძოღან სიმლე-
რაი ვთქვი ამისა. ისიც გაიქცა, გიორგიც რუსთ მიეზარა, რუსმაც
საქართველო დაიჭირა¹. ეს არის ანდრეზი ბაგრატიონთა, თამარ ნე-
ფისა. ბაგრატიონი ირმის კორც არ ჰამს, დედის კორცს ხომ არ ვჰამ-
თო.

ჩაწერილი ხევისურეთში ს. ამლაში (არხოტის თემი) 1944 წელს
ქს. სიხარულიძის მიერ, მთქმელი 93 წლის მდიდარი რეპერტუარის
მქონე ხირჩლა ნისლაურის ძე წიკლაური (ნისლაურთ ხირჩლა). იგი
თითონ იხსენიება ხევისურულ პოეზიაში, როგორც ქისტების წინა-
აღმდეგ მებრძოლი. გარდაიცვალა 1947 წელს, საინტერესოა, რომ
ზალხს ერეკლე II თამარ მეფის შვილად მიაჩნია.

კ

ანდრეზი

ერეკლე იყო თამარ მეფის შვილი, რომელიც დაიბადა შემდეგ-
ნაირად: თამარ მეფე არცვის არ იკარებდა მაგრამ მძინარეს მიხზა-
რებია ერთი მდაბალთა წრიდან. თამარ მეფეს რომ ეს გაუგავის, ეს
კაცი მაუკლავ. მხოლოდ როცა შვილი გაშჩენივ, ის გადაუსრევავ-
გადაუსროლია და ეს ყმაწვილი გაუზდავ ირემს, რომლის შემდეგ
უპოვნია მონადირეს და დაბრუნებულ საქართველოს მოხქცევივ მე-
ფედ ერეკლე მეორის სახელით. ამიტომ იყვ რომ ბაგრატიონები არ
ჰამდიან ირმის კორცს.

ჩაწერილი ხევისურეთში—ბარისახოში 27. VII — 46 წ. მთქმე-
ლი ს. გველეთის მცხოვრები ბერდია თათარასძე არაბული 17 წლის,
ბარისახოს სოფლის მე-11 კლასის მოსწავლე. მთქმელი ზუსტად
აღარ იცავს ხევისურულ დიალექტს. აქვს ლიტერატურული ენის გავ-
ლენა. ჩამწერი ქს. სიხარულიძე.

¹ გულისხმობდა ერეკლე II-ს და მის შვილებს ალექსანდრესა და გიორგის,
რომელთა შესახებაც მითხრა ლექსი,—ქ. ს.

თამარ დედოფალი

ი თამარ დედოფალი ყოფილა უწინ ნეფე. რაც ეკლესიებია, სუ იმას აუშენებია. ეხლა უფიქრით ი მოსამსახურეებს, ეს ერთი ქალი-აო, ე რო გადაბრუნდეს და მოკვდესო, ჩვენი პატრონი ვილა იქნებოა. მიილაპარაკეს ამ ვაზირებმა, მერმე შააპარეა ბანგი, დააძინეს და ერთ ვაზირს უთხრეს, წადი და იმას დაუწექიო. თამარ დედოფალს გამა-ელღობა და გაწყრა, ვინ იყოო ესო. უთხრეს, ესე იყო, ესე იყოო, მენ რო მოკვდე, ჩვენი პატრონი ვინ უნდა იყოსო. დაორსულდა ი ქალი. გაუჩნდა ვაჟიშვილი თამარ დედოფალს. ადგა თამარი დედო-ფალი, გამოხვია ფარჩაში და უთხრა ყე (მსახურებს), რო ისეთ ალაგას გადაადგეთო, რო იქ ადამიანის სახლი არ იყოფოდესო. წა-იღეს და ერთ ულაგო ალაგას გადაადგდეს მთაში და ჩამოვიდნენ. ეს ბალლი ტირის. გაიარა ირემმა, ჩემო ბატონო. გადაებოტა ზედა და ბალლ ძუძუ მოაწოვა. იქილამ აწოვა ძუძუ, მინამ ი ბალლი ფეხზე დადგება. წავიდა ის ირემი და ბალლიც გაჰყვა. მაშინ ნახეს ი მენადი-რეებმა, რო ირემი დადის და ტიტველა ბალლი დაადევს. მოუტანეს ამბავი მენადირეებმა თამარ დედოფალს. ტიტველა ბალლი დაიდევ-სო (ირემს). ადგა ი თამარ დედოფალმა, შაყერა ტანისამოსი და უთ-ხრა-ყე. რონელ გზაზელაც დადის ი ბალლი. იმ გზაზე დააწყეთ ეს ტანისამოსიო. თუ ის ადამიანია, ტანისამოსს ყურ მიუგდებსო. გაიარა ირემმა და ბალლი უკან მოადევს, ბილიკზე ტანისამოსი აწყ-ვია. გადახტა ირემი, რა აწყვია აქაო. ბალლიც გადაჰყვა. მოვარ ბალლი, გადახტება, წავა და ისევ მოტრიალდებდა და მოუბრუნდებდა იმ ტანისამოსს. წავიდნენ და უთხრეს თამარ დედოფალს, ესე იყო. ესეო. გაგზავნა ჯარი და ი ტყეს შემოარტყეს (ალყა). ირემიც დაი-ჭირეს, ი ბალლიც დაიჭირეს. ი ბალლსა ტანისამოსი ჩააცვენს. ი ბალ-ლი ნეფე ვრეკლეა. თავის ხელმწიფობა იმას დაულოცა თამარ დე-დოფალმა და გამოვიდა ნეფე ვრეკლე.

ერთი თათარი გედევციდა (თამარ დედოფალს) შაბაშ ყეინი. ცოცხალ თუ ვერა გნახამო. კვდარ ხო გიპოვიო. ადგა, ჩემო ბატო-ნო და ისე დაიკარგა, რო არავინ იცოდა ცოცხალია თუ მკვდარი. შაბ, ი წუკლაკი თათარი დაიჭერდა იმამა?!

თამარ დედოფალი მიწაზე კი არ დადიოდა. მალა-მალა და-დიოდა, ესე როცა ეს უბეირობა შეხვდა (ვეზირისაგან რომ შვილი ეყოლა), მაშინ დაბლა მიწაზე დაეეშო. წმინდანი იყო. თათარი ურ-

ჯული როგორ იპოვიდა იმაჲ?! თათარ დედოფალი მოკვდა, დარჩა, არავინ იცოდა, ცაზე წავიდა.

ჩაწერილი ს. საბუეში ყვარლის რ. 9/VIII—43 წ. მთქმელი ალექსი მუსაშვილი, ჩამწ. ქეთ. ლორთქიფანიძე.

მ

თამარ დედფალ

თამარ დედფალ დადიოდა სვანეთსა და სამეგრელოს შორის. სამეგრელოში ყოფილა და შეუფროვებია ხალხი. იმ კრებაზე ხალხს მოუთხოვიათ და უთქვამთ — ადამიანი ყოველთვის არ არსებობს და რაიმე ამბავი გვანტერესებსო. სამეგრელოს ხალხს უთხოვია — ერთი კაცი საქმროთ გაიჩინეო. მაშინ თამარ მეფეს უპასუხნია: — აბა, მე სვანეთში ვერ წავალ ამის შესაკითხადო. ამოურჩევია სამეგრელოში ერთი კაცი, რომელსაც რქმევია კონსდანილი. ის უკეთესი კი არ ყოფილა, საშუალო კაცი ყოფილა. ორ თვეს კონსდანილი მომვლელად ჰყოლია. ორი თვის შემდეგ უკვე ქმრად გაუხდია, უწევბოდა და ყველაფერი. შემდეგ სვანეთსა და სამეგრელოს შორის დადიოდა თამარ მეფე. სამეგრელოდან რომ მიდიოდა, ხაიში¹ საუზმეს აიღებდა და სვანეთში სადილს, ისე ჩქარა დადიოდა. ამასა და ამას შორის დასჭირდა ორსულობა². დრო მოსვლია მშობიარობის ეცერში. იქ მოუშობიარებია და ბიჭი ეყოლა. თითონ ხელი არ უხლია, ისე ის ბავშვი, ამხანაგებისთვის უთქვამს, მთაზე აიყვანეთო მახში³. შეახვიეთ კარგად, იქ დატოვეთ და დაბრუნდითო. თუ დმერთს უნდოდეს, ეს ბავშვი ხვალ ცოცხალი დაგვხვდესო, თუ არა — მკვდარი დაგვახვედროსო. მეორე დღეს აუგზავნია, დაუბრუნებია კიდევ ისინი მთაზე და ცოცხალი დახვდა ბავშვი. ბავშვს ოფლი ჰქონია შუბლზე. დაუბრუნებიათ სახლში და ხელი მოუკიდებია დედას — თამარ მეფეს. გაუზრდია, იქ დაუტოვებია ეცერში და დადუშქელიანები იქიდან გაჩენილან. შემდეგ თამარ მეფე სამეგრელოსა და სვანეთის შორის დადიოდაო. შემდეგ ყოფილა იქ, ბევრ ხანს, სულ დადიოდა და ამის შემდეგ უფროსები⁴ ლაპარაკობენ,

¹ სოფელია ბაღს ქვემო სვანეთში.

² ამ სიტყვაზე მთქმელმა მოიბოდიშა „უკაცრავად ვარ“.

³ მახი — ეცერის მთა.

⁴ წინაპრები.

თითქოს უმგულში მოჰკვდარა—შავ ციხეში (კოშკში) ჰქონია ბინა. დრო მოსვლია სიკვდილის, უთქვამს—ისეთ ალაგას დამკიდეთ. ხალხმა არ გაიგოსო, თორემ ისინი სალოცავად ამილებენ და მე ის არ მინდაო. თამარ მეფეზე ეს ვიცი.

ჩაწერილი 12. VIII—45 წ. სვანეთში, მესტიაში, ს. ლანჩვალში. მთქმელი ანტონ გურმაჩის ძე ხერგიანი, 79 წლის. წ. კ. უცოდინარი. ქართული ენა სუსტად იცოდა. ყვებოდა სვანურად. განსაკუთრებული პატივისცემით ეკიდებოდა საისტორიო ნაწარმოებებს. ზღაპრების შესახებ აღნიშნა „ყურს არ ვუგდებო“. საისტორიო ნაწარმოებისადმი სერიოზული დამოკიდებულებით უნდა აიხსნას ის, რომ აქ ვარიანტში არ არის არც თუ მითოსის კვალი, ფანტასტიკური მოტივებიც—კი. მაშინ როდესაც სვანეთში ძლიერია მითების ტრადიცია. რეალისტურად არის გადმოცემული თამარის საფლავის აღგისამყოფის ამბავიც. რომელიც კონტამინაციის წესით დაკავშირებია თქმულებას თამარის პირშმოს გაჩენისა და აღზრდის შესახებ. ეს ვარიანტი თავისებურებას იჩენს იმიტაც, რომ დადგენილიანების გენეალოგია თამარის ვაჟთან ე. ი. ბაგრატიონთა გვართან არის დაკავშირებული.

ტექსტს თქმის პროცესში თარგმნიდა მასწავლებელი გალინა-ნიჟარაძე-შამფრიანი.

ჩაწერილი ქს. სიხარულიძის მიერ.

6

საქართველოს მეფეების ჩამომავლობის შესახებ მათივე რწმენათა მიხედვით

ქართველი მეფეები ჩემულობენ. რომ მათი გვარი ქექაუსამდე და მის შემდეგ დავით წინასწარმეტყველამდე.—კურთხევა მაღალი ალლაჰისა იყოს ჩვენს წინასწარმეტყველსა და მასზედაც,—აღწევს. და ამბობენ. რომ უწინდელ დროში იყო ერთი სახელოვანი მეფე, სრულიად საქართველოს მპყრობელი და ამ ქვეყანაში სამართლიანობისა და კემმარტების მიმდევარი. როდესაც (მეფე) უეცრად მოკვდა, მას არ დარჩა ვაჟიშვილი, რომ მის ადგილზე დამჯდარიყო. მას დარჩა მხოლოდ თამარ დედოფლად წოდებული ერთი ლამაზი ასული და ამ სახელმწიფოში გამეფდა იგი მამამისის მსგავსად. და გაუვარდა სახელი. რომ მას გათხოვება არ ეწადა და ამბობდა. რომ მე მამაკაცი არ მხამსო. შემდეგ, მასთან მირახორის სამსახურის შესა-

რულებასთან დაკავშირებით, მას დაუახლოვდა ერთი ლამაზი, მოხ-
დენილი ყმაწვილი. ღვინოს თუ დაღვედა მასთან ერთად დაღვედა,
იუ სასეირნოდ წავიღოდა, მასთან წავიღოდა და მას სრულებით არ
შორდებოდა. მას სახელად თავადს უწოდებდნენ. ერთხელ ზემოხსენ-
ებული ყმაწვილი მიუხტება. ტურფას მარტო დაიგულვებს და ნა-
ხავს მას ზედმეტად ღვინო დაღუულს, შეძრწუნებულად მწოლარეს.
მაშინვე ისარგებლებს მოხერხებული შემთხვევით, ტურფა ასულის
სარეცელში შევა და, თავისი სურვილის მიხედვით, პირად წადილს
დაიკმაყოფილებს. თუმცა ამ დროს ტურფა ასულიც გამოიღვიძებს,
მაგრამ უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე თავს მოიძინარებს. ამ სია-
ვისა და მუხანათობისათვის მეორე დღეს მოინდომებს მის მოკე-
ვლას, მაგრამ [ჯერ ერთა] ხმა გავარდებოდა და [მეორე] ასეთი მცირე
ღანაშაულისათვის კაცის მოკვლა სამართლიანობა არ იქნებოდა,
ამიტომ უშუალოდ არ ჰკლავს. მაგრამ მიზნად დაისახავს გააგზავ-
ნოს სადმე ისეთ ადგილას, სადაც ის დაიღუპება. ერთ დღეს ქორს
გაუშვებს გაყინულ წყალზე და იხვს დააქვრინებს. თავადს ეტყვის:
უსათუოდ წადი და ქორი და იხვი მომგვარეო და გააგზავნის. ყინუ-
ლი არ იყო ისეთი [სქელი], რომ კაცი დაემაგრებინა. თავადის ცდამ
ამაოდ ჩაიარა და დაიხრჩო. ტურფა ასული-კი დაორსულდება და.
სათანადო დროის გასვლის შემდეგ დაებადება ქალიშვილი. იმ

დროს ვან-ის სოფლებში **كولى لىلى**-ად წოდებული სოფელი ვეე-
ბერთელა ქალაქი ყოფილა და მეფის ჩამომავალი ბაგრატოვანად წო-
დებული უფლისწულის მამული ყოფილა. ამ ქალიშვილს ამ [უფლის-
წულზე] დააქორწინებს. მას დაებადა სამი ვაჟიშვილი. საქართველოს
სახელმწიფოს ამ სამ ვაჟიშვილს დაუნაწილებს: უფროს შვილს ქუ-
თაშის სამეფოს მისცემს, [ეს ქუთაში] ბაშიაჩიკის ქვეყანაა. და ბა-
შიაჩიკის [მეფეთა?] გენეალოგია აქედან იწყება. შუათანა ვაჟს ტფი-
ლისის მისცემს და სიმონის გვარი მანამდე აღწევს. ისინი ლუარსაბის
შვილებად არიან ცნობილნი. უმცროს შვილს კახეთის პროვინციას
მისცემს. [ეს პროვინცია] ლევან მეფის ქვეყანაა. მაგრამ ვინაიდან
უფროსი შვილის გვარი ბაშიაჩიკის მეფეებიდან იწყება, ჯველა მის
პატივისცემასა და დიდებაში ერთსულოვანნი არიან. მაგალითად,
მისგან დაწყევლას ერიდებიან, ხმალს მას შემოარტყმევიანებენ და
გაქირვების დროს რჩევა-დარიგებისათვის მას მიჰმართავენ. განსვე-
ნებული სულთანის სელიმ პირველი თავისი ბატონიშვილობის დროს,
მათ სატახტო ქალაქ ქუთაშში ჩავიდა. მათ მორჩილება გამოუცხა-
დეს და ბატონიშვილებმა ხარაჯები აპატია. ახლაც მათ ხარაჯა არ

მოეთხოვებათ. ვინაიდან სხვა ვითარებათა შესახებ მოთხრობა [ძლიერ] გაქიანურდებოდა, ამოდენათი ვკმაყოფილდები.

ლეგენდა თარგმნილია თურქულიდან სერგი ჯიქიას მიერ. იხ. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V—VI, თბ., 1940 გვ. 378—380.

ს. ჯიქიას ლეგენდა ამოულია თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის „ისტორიიდან“. როგორც გადმოცემის სათაური მიგვითითებს, ის ქართულია და კონტამინაციის წესით აფრთიანებს თაპარის შესახებ არსებულ რამდენიმე ლეგენდის არა მხოლოდ მოტივებს, სიუჟეტებსაც კი. მაგალითად: ლეგენდებით თამარს სურს მარადიულ ქალწულად დარჩეს (ვარიანტები — ბ, ბ, ბ, დ და სხვ.).

მას დაათრობენ ღვინით ან ბანგით და ამგვარად ნაყოფიერდება (ვარიანტები — დ, ზ, ლ და სხვ.).

თამარი სჯის მიზეზს მისი ქალწულობის დაკარგვისა (ვარიანტები — ი, ლ და სხვ.).

თამარზე გამიჯნურებული ქაბუჯი—რომელმაც უნდა მიგვაროს მას ქორი თუ მიმინო—წყალში იღუპება (იხ. ხელნაწ. ინსტიტ. H. 1994: СМОН. ტ. 32 და სხვ.).

სხვა ცნობილ ლეგენდებსა და ისტორიულ სინამდვილესაც ფეჩევისეული ლეგენდა შორდდება იმით, რომ თამარს პირველად ქალიშვილი შეეძინება (მართალია თამარს ქალიშვილიც ჰყავდა, მაგრამ პირველი შვილი ლაშა გიორგი იყო). თურქულ ენაზე ცნობილი ეს ლეგენდა საინტერესოა და თავისებური იმითაც, რომ მოგვითხრობს საქართველოს მეფეთა გენეალოგიაზე.

ტექსტში ნახსენებია ბაშიაჩიკის ქვეყანა. ს. ჯიქიას კომენტარით იმერეთი თურქულ წყაროებში ბაშიაჩიკადაა ცნობილი. მისივე კომენტარით ქალაქ ქუთაშიდ, ქუთაისი უნდა იხსენიებოდეს. ს. ჯიქიას ცნობით, მე-XVI საუკ. მეორე ცნობილ თურქ ისტორიკოსს „აღნი-ჩელეზინს მოეპოვება ასეთივე შინაარსის ლეგენდა საქართველოს მეფეთა შესახებ. ს. ჯიქიას აღნიშნული აქვს ფეჩევისა და „აღნი-ბიერ გამოყენებულ ლეგენდებს შორის არსებული განსხვავებანი (იხ. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ, აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტ. და მატ. კულტ. ინსტ. მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 378). სამწუხაროდ, თარგმანის უქონლობის გამო არა გვაქვს საშუალება აქვე მოვიტანოთ მთლიანად „აღნი-ჩელეზინს მიერ გამოყენებული ლეგენდა.

14. შუქურვარსკვლავის შეპერობა

დაბეჭდილია ძვ. საქ. II, განყ. IV, გვ. 47—6. დართული აქვს შენიშვნა: „ნამბობი ქართლის სოფ. ვანთიდან გადასახლებულის და ბორჩალოს მაზრაში, სოფ. წერქვაში დასახლებულის სამოცი წლის მართა ბიბილურის მიერ. ჩამწ. კ-დ. მაღალაშვილი, 1899 წ. „წკ.“ 21“.

ლეგენდა ამინდის გამგეობის მოტივზეა აგებული, რაც მატარებელია შითოსის კვალისა. აქვს ანალოგიები მსოფლიო ფოლკლორში (სიხ. საგმ., გვ. 232).

ბ

თამარ მეფე და შუქურვარსკვლავი.

შუქურვარსკვლავი ზამთარ-ზაფხულის გამჩენი თამარ დედოფალს ჰყოლია დატყვევებული და ჯაქვებით ჰყოლია დაბმული, ამიტომ იყო თურმე რომ საქართველოში ზამთარ-ზაფხული თურმე არა ყოფილა. თამარ დედოფალს როცა უნდოდა. შუქურვარსკვლავს ცხენათ გადააქევედა, ზედ შეჯდებოდა ხოლმე და ისე სეირნობდა. შუქურვარსკვლავს როცა, ცხენათ იყო გადაქცეული, პირიდან აღვირს არ წამოჰყრიდნენ ხოლმე, თორენ მაშინვე. გაქრებოდა სადმე შუქურვარსკვლავი. ერთხელ ცხენად ქცეულა შუქურვარსკვლავი თამარის გამდელმა წყალზე წაიყვანა. ცხენმა უთხრა, რომ აბა აღვირით წყალი როგორ უნდა დავლიოო, წამომყარე აღვირი, რომ წყალი დავლიოო. თამარის გამდელმა ცხენს აღვირი წამოჰყარა და შუქურვარსკვლავი იმ წუთსვე გაქრა. თამარ მეფემ დაადევნა თავისი ჯარები, მაგრამ შუქურვარსკვლავმა ატეხა ქარი, თოვლ-ბუქი და თამარ მეფის ჯარს გზა აურივა. წავიდა შუქურვარსკვლავი და დაჭდა იალბუზზე და იქიდან გვიგზავნის ხან ზამთარს და ხან ზაფხულს.

მთქმელი გაბო ქადაგიშვილი. ჩაწერილი ს. შრომაში 1937 წ. იულია ძამიაშვილის მიერ (ფ. არქ. № 13476).

ლეგენდაში შესულია მოტივი ეშმაკჯორისა, რაც დავით აღმაშენებლის სახელთანაც არის დაკავშირებული და პარალელები აქვს მსოფლიო ფოლკლორში. სიხ. საგმ., გვ. 210—219.

ბ

თამარ მეფის დროს, იალბუზის მთაზე. თოვლი არ მოდიოდა. იგი სანაქებოთ იყო ყველას წინაშე. თამარ მეფესაც თავის ერთი

მშვენიერი სასახლე ამ მთაზე ჰქონდა გაკეთებული. სასახლეში სხვა-თა შორის თამარ მეფისთვის საკუთრად აგებული იყო თორმეტი ოთახი. თორმეტივე სულ გარეულის ნადირთა ძელებით შემკობილი, ძვირფასის ხალებით და ფარჩეულობით მორთული. ამ სასახლეს გარშემო დიდი გალავანი ეკრა, გალავანში ერთი დიდი თორმეტ-ოთახიანი კოშკი იყო, ერთიც სხვა სასახლე, გალავანს შუა მშვენიერი ბალახი იზრდებოდა, თამარ მეფის გარეული თხა, კანჯარი და ირბის ჯოგიც შიგვე იყო გაშვებული და ბალახს სძოვდნენ.

უმეტეს ნაწილს, თამარ მეფე ამ მთაზე სცხოვრობდა. უყვარდა აქ მოსვლა და აქედგან მზერა ოთხ კუთხივ. ერთხელ თამარ მეფე სხვაგან მიბრძანდებოდა, საქართველოს ადგილების დასათვალიერებლად. მალე წაბრძანდა კარის კაცებით, და თავის თორმეტოთახიანი სასახლის მფარველად თავის გამდელი დასტოვა. გამდელს პატივს სცემდა, წაბრძანების დროს გასაღები გამდელს გადასცა და უბრძანა ასე დავალიებით:

— გამდელო, ეს გასაღები შენ გებარებოდეს, ჩემ მოსვლამდის შენ გააღე მხოლოდ თორმეტი ოთახი და სუფთა ჰაერისა და მზისთვის სანათურები ღია დატოვე. მხოლოდ გთხოვ, რომ მეთორმეტე ოთახის კარები კი არ გააღო, ეს არ დაივიწყო.

— პატიოსანი, მიუგო გამდელმა.

თამარ მეფე წაბრძანდა, მცირე ხნის შემდეგ დედაკაცს ცნობის მოყვარეობა აღეძრა მის, თუ ნეტა თამარ მეფემ მეთორმეტე კარის გაღება რათ ამიკრძალა, ნეტა იქ რა უნდა ჰქონდეს დამალულიო, სულმა ვეღარ გაუძლო, ვერ მოითმინა და პირველად მეთორმეტე ოთახის კარები გააღო. ამ ოთახში თამარ მეფეს თოვლის ვარსკვლავი ჰყოლია დამწყვდეული, კარების გაღების უმალ თოვლის ვარსკვლავი კარში გაფრენილა. დედაკაცი შეწუხებულა, მაგრამ ვეღარ უშველია რა.

ეს ამბავი თამარ მეფეს მალე შეუტყუვია. იგი საჩქაროდ დაბრუნებულა შინ, მაგრამ ვარსკვლავისათვის ვეღარა უშველია-რა. თამარ მეფეს დიდად სწყენია, ფიცის გატეხისათვის გამდელი დაუწყევლია.

ამ ამბის შემდეგ. მყინვარზე მუდამ წელს დიდი თოვლი მოდის ხოლმე, თოვლისაგან იკრიბება დიდრონი ზეავები, მემრე ეს ზეავი მოსარღვევათ ნელნელა ემზადება, გაზაფხულის პირზე დიდის ჰეჰა-ქუხილით ძირს ეშვება, ვარდება და მის მეოხებით გამვლელსა და გამომვლელს საშინლათ ღუპავს, ბევრი უბედურება მომხდარა მისგან, ჯერ ბევრიც მოხდება.

თამარ მეფისაგან დაწყევლილი გამდელი ტარტაროზად ქვე-
ულა, სახლიდგან გაქცეულა და კუდიანების დასში შერიცხულა,
ათში ჩარეულა საყოველთაოთ, თამარ მეფის ჯავრი კი მაინც
გულში ჩაყოლია, სამაგიეროს გადახდა მოუნდომებია.

განვლო დრო ჟამმან და თამარ მეფე გარდაიცვალა. რამდენიმე
ხნის შემდეგ დიდის გლოვით და გოდებით დაასაფლავეს ერთ ალა-
გას. თამარ მეფის გარდაცვალების ამბავი ტარტაროზ გამდელს მა-
ლე შეუტყვია.

ეს გაქცეულა დროზედ, გაუთხრია თამარ მეფის საფლავი, ამო-
ულა და იალბუზის მთაზე წაუღია თავის სადგომ ბინასთან და ერთ
ალაგას დაუსაფლავებია. ხალხის შინებია მას, რომ ვაი თუ გაიგოს
ეინმემ, მოვიდეს, მოსძებნოს, იპოვნოს თამარის სამარე, ამოიღოს
და წაიღოსო.

ამიტომ ამ ტარტაროზ დედაკაცს გაუკეთებინებია რამდენიმე
მარმარილოს ქვა, ერთ ქვაზე დაუწერია, რომ აქ მარხია თამარ მეფე,
მეორეზე დაუწერია, რომ აქ არ მარხია თამარ მეფე; და ასე და ამ
გვარად სხვა ქვებაც. მერე წაუღია ეს ქვები და ერთ ალაგას სადაც
თამარ მეფე არ ყოფილა დასაფლავებული, იქ მოუფენია და მით
დაუბნელებია თამარ მეფის საფლავის ცნობა.

ერთ დროს ხალხს თამარ მეფის საფლავის ძებნა დაუწყიათ,
მერე მიუგინათ იმ ადგილისათვის, სადაც მოსატყუებლად მარმარი-
ლოს ქვები ყოფილა მოფენილი, უთხრიათ მრავალი საფლავები, მაგ-
რამ ვერსად რა უპოვნიათ. ტარტაროზ დედაკაცს სულ უცხო ალა-
გას დაუკრძალავს თამარ მეფის გვამი.

(„საქართველო“, 1916, № 97) ეს ვარიანტი კონტამინაციის ნი-
შეუშია. მას უკავშირდება თამარის საფლავის ადგილსამყოფზე შექმ-
ნილი ლეგენდა.

დ

თქმულება თამარ დედოფალზე

თამარ დედოფალი იყო ერთი ძლიერი თათრის ხელმწიფის ქა-
ლი. ძალიან ლამაზი იყო, ბევრი მთხოვნელიცა ჰყავდა, მაგრამ არა-
ვის მისთხოვდა. ერთხელ მამამ უთხრა: — ერთი დიდი ხელმწიფის
შვილი გთხოულობს და იმას უნდა მისთხოვდეო. თამარმა თავი გა-
დაიკლა: გათხოვება არ მინდაო. მაშინ მამა გაუწყრა და ციხეში და-
ამწყვდია, მერე მოინდომა იმისი დატანჯვა. თამარი გულთმისანიც

იყო: გაიგო რაც მოელოდა, შეეხვეწა ღმერთსა, ოღონდ აქედან გა-
ბომიყვანე, აღთქმა დაუღო, მოვინათლებიო, ღმერთმაც გაუგონა
ლოცვა, გამოიყვანა და ის ძალაც მისცა, რომ რასაც ინატრებდა.
აუსრულდებოდა. გამოფრინდა თამარი ციხიდან, წამოვიდა და
ბრუტ-საბძელაზე¹ მოვიდა. ინატრა და სასახლე და საყდარი აშენ-
და. იქ დაიწყო ცხოვრება და ცისკარიც იმასა ჰყავდა დაქვრილი. ცა-
ზე აღარ იყო. იმასა ჰყავდა ერთი მოახლეც. გამოვიდა ხანი ბანი,
თამარმა მოინდომა შავი ზღვის პირას— იმერეთში წასვლა. აბა ვინ
დაუშლიდა? დაუძახა თავის მოახლეს, მისცა შეიდი ოთახის გასაღე-
ბები და უთხრა:

— ამ ექვსი ოთახის გაღება შეგეძლოს, მაგრამ ამ მეშვიდეს ხე-
ლი არ ახლო და არ გააღოვო. ადგა და გადაჰფრინდა იმერეთში და
იქ დადგა.

მოახლეს გულმა არ გაუძლო, მალე დააღო ეს ექვსი ოთახი და ნა-
ხა რაც რამ იყო, სიმდიდრე იყო, თუ რაცა. მეშვიდე ოთახის გაღება
ვერ გაბედა ჭერ და ფიქრი დაიწყო: მოდი, რაც მომივა, მომივა და
ამ მეშვიდე ოთახსაც გავაღებო, რა არის რათ დამიშალაო? ბევრი
აღარ იფიქრა, ადგა და გააღო. უცბათ დაიფრთხილა იმ ოთახში დამ-
წყვედეულმა ცისკარმა, გაფრინდა ცაში და გარშემო ღრუბელი შე-
მოირტყა. თამარმა გახედა ცასა, დაინახა რომ ღრუბელში ცისკარი
იმალებოდა. ბევრი ინანა და ინალვლა, მეშვიდე გასაღები რათ მივე-
ციო, მაგრამ რაღას მიეწეოდა! ადგა, საჩქაროთ შეაკმაზინა ცხენი
და გამოეშურა ბრუტ-საბძელასკენ: ეგება როგორმე საქმეს ვუშვე-
ლოვო. წამოვიდა იქიდან და გზაში თოვლა დაიწყო; ღარში რომ
ამოვიდა, ცხენმა ღარივით გაამკვლია მუხლზე მომდგარი თოვლი
და იმ ადგილზე გაშენებულს სოფელს იმიტომ დაერქვა: „ღარი“.
ზევით რომ ამოსცდა და გამოიღარა გზა, თოვლი ცხენს ბეჭამდის
მოადგა, იმ ადგილს დაერქვა „ონი“, სადაც ეხლა ონის ქალაქია.
გამოეშურა კიდევ, მაგრამ ცხენმა ვეღარ შესძლო და მოკვდა. იმ
ალაგს დაერქვა „კვდარო“, სადაც ეხლა სოფელი „კუდარო“ არის,
ე. ი. მოკვდაო. ფეხით წამოსვლა აღარ შეიძლებოდა. გამოხედა და-
ღონებულმა თამარმა ბრუტ-საბძელსა, დაინახა სულ თოვლით ჩა-
მოლესილიყო, ადგა და გაჯაფრებულმა დასწყევლა: „შენ თოვლს
თოვლმა მოასწროსო“. მას უკან ძველ თოვლს ახალი ასწრობს და
იმიტომ ოსებში ზამთარია, თორემ ოსებში ზამთარს რა უნდოდა.

¹ მთის მწვერვალია ოსეთში.

სულ ვენახები იყო გაშენებული. ეხლაც ბევრია ნავენახები და ქვევრები ოსებშიო.

ჩაწერილია ოსეთში. (დაბეჭდილია კრბ., 1898. №8). საგულისხმო ვარიანტია. დასაწყისი შთაგონებულია სარწმუნოებრივი იდეოლოგიით.

მ

ოსეთში ისე ერთ კაცს ვერ ნახავთ, რომ რამდენიმე ამბავი არ ჰქონდეს გაგონილი თამარ მეფეზე თავის მამაპაპისაგან. სხვათაშორის იქაურებისაგან გავიგონე შემდეგი: სანამ თამარ მეფე ცოცხალი იყო, იალბუზის მთაზე თოვლი არას დროს არ მოსულა და თამარ მეფესაც თავისი თორმეტკარიანი და თორმეტოთახიანი ციხე-კოშკი იქა ჰქონდა და მისი ჯოგებიც იქა ძოვდენ.

ერთხელ თამარ მეფე სხვაგან გაემგზავრა თავის საზღვრების დასათვალიერებლად, შინ გამდელი დასტოვა და მეთორმეტე კარის გასაღები მას მიაბარა და უთხრა, არამც-და-არამც იმ ოთახის კარები არ გააღოვო.

შემდეგ თამარ მეფის წასვლისა გამდელს ვეღარ მოუთმენია. იყო რა უნდა იყოს ისეთი, რომ გაღება არ შეიძლებოდესო, — მისულა და გაუღია კიდევ კარები. იქ ყოფილა მომწყვდეული „თოვლის ვარსკვლავი“, რომელიც კარების გაღებისთანავე გაფრენილა... თამარ დედოფალს რომ შეუტყვია ეს ამბავი, მაშინვე საჩქაროთ დაბრუნებულა თავის კოშკში, მაგრამ ვარსკვლავისათვის ვეღარა უშველია-რა და მის გამო შესულა დიდს კმუნვასა და მწუხარებაში (თამარ მეფეს ის გამდელი დაუწყევლია). აი ამ ამბავის შემდეგ იალბუზზე მუდამ წლობით საშიხელი ზეავი იკვრება ხოლმე და როცა ჩამოწვება, ზოგიერთ ხალხსაც აზარალებს. ის გამდელიც ტარტაროზათ ქცეულა და კუდიანების დასში შერიცხულა, რადგანაც თამარს იგი საშინლად დაუწყევლია (და ეხლაც არის იქ ერთი მთა, რომელსაც ტარტაროზის მთას უწოდებენ).

როცა თამარ დედოფალი მომკვდარა და დაუსაფლავებით, ის გამდელი წასულა. საფლავიდან ამოუღია იმისი გვამი, წაუღია და სადაც იმისი ადგილი ყოფილა, იქ დაუსაფლავებია. ამასთანვე გაუკეთებინებია რამდენიმე საფლავის ქვები, ზოგზოდ წაუწერია ზედ: „აქ მარხია თამარ მეფე“, სხვებზე — „აქ არა მარხია თამარ მეფე“ და მოუფენია იმ ქვებით რამდენიმე ტყე. ხალხი დაუწყებს ძებნას თამარ მეფის სასაფლაოს, იმ საფლავების ქვებს გადახთიან, შინჯვენ: მაგრამ ვერსად ვერ იპოვნიან.

ჩაწერილია ოსეთში. ტექსტი დამუშავებულია ზ. მთაწმინდელის
ჰიპოკინაძის) მიერ (ხელნაწ. ინსტიტ. H — 2002).

8

ლეგენდა თამარზე

თამარ დედოფალი უშვილო იყო. ცხოვრობდა ბურსაბძელის
მთაზე. ამ მთიდან იგი გაემგზავრა იმერეთში და თავის მსახურ ქალს
უთხრა: „არავის არ მისცე გასაღები“. როდესაც თამარი გაემგზავ-
რა, მისმა მსახურმა ვერ მოითმინა, გააღო გასაღებებით კარები და
იქიდან (ოთახიდან) გამოფრინდა დილის ვარსკვლავი (ცისკარი) და
ლაჭდა ცაზე. ამის შემდეგ ცა მოიღრუბლა და დაიწყო ძლიერი თოვ-
ნა. დაინახა რა ეს თამარმა. დაბრუნდა უკან და როცა მოაღწია ონამ-
დის, თოვლი მის ცხენს მოწვდა ბეჭამდის. ამიტომაც ეწოდება ქა-
ლაქს ონი. აქედან გაემგზავრა კუდაროს და იქ მისი ცხენი მოკვდა.
ამიტომაც ეწოდება ამ ადგილს კ უ და რ. აქედან გამოემგზავრა. მი-
ვიდა თავის ალაგას—ბურსაბძელს და დაუწყო მსახურს ლანძღვა,
იმისთვის, რომ მან კარები გააღო. ერთხელ თამარს ეცა ჭუჭრუ-
ტანიდან მზის სხივი და ის დაორსულდა. ერთ წელში მას ვაჟი დაე-
ბადა. თამარმა წაიყვანა ეს ბავშვი ტყეში და იქ დატოვა. რადგანაც
ერიდებოდა სირცხვილს. ბიჭთან მოვიდა ფური ირემი და აწოვებ-
და. ერთხელ ამ ალაგას გაიარა მონადირემ და დაინახა ირემი. დაუ-
ჩინა თოფი. მაგრამ მასთან დაინახა ბავშვი და არ ესროლა. გაუ-
შვა. ირემი გაიქცა. მონადირემ მოიყვანა ბავშვი თავის საცხოვრე-
ბელში და როდესაც ის (ბიჭი) გაიზარდა. დაიწყო ბატკნების მწყე-
სვა. ერთხელ როდესაც ის შინ ბრუნდებოდა, დაინახა კაქკაჭი. რო-
მელმაც უთხრა: „დღეს შენთან მოვა თორმეტი მხედარი“. ბიჭმა ეს
სიტყვები (კაქკაჭის) გადასცა მონადირეს და მან მისცა საჭურველი.
როდესაც მხედრები მოვიდნენ. წაიყვანენ ბიჭი თავისთან თფილის-
ში და შერთეს ცოლად მელიქის ქალიშვილი.

ჩაწერილია სამხრეთ ოსეთში. გამოაქვეყნა ვსევოლოდ მილერ-
მა 1887 წელს (Всевогод Миллер, Осетинские этюды, ч. III,
Москва, 1887) ტექსტი რუსულიდან არის თარგმნილი. ლეგენდა
კონტამინაციის ნიმუშია. წარმოადგენს თამარის შესახებ არსე-
ბული ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი ლეგენდების (თა-
მარისაგან რატყვევებულ ცისკარის გაშვება და ქალწული თამარის
უცნაური ძალით განაყოფიერება) შერწყმას. ასეთი შერწყმა და-
შახასიათებელია ოსური ვარიანტების (იხ. „გადმოცემა თამარ დედო-
ფალზე“. СМOK. ტ. 27). ამ ვარიანტში არ ჩანს. თუ ვისი განკარ-

ჯულებით მიყავთ თორმეტ მხედარს თამარის ვაჟი, მაგრამ თუ სხვა ვარიანტებს მოვიშველებთ, ისინი თამარის მოგზავნილებად უნდა მივიჩნიოთ. ამ ფანტასტიკურ ლეგენდაში რეალისტური ხასიათის ამბების გადმოცემისასაც გვხვდება ისტორიული სინამდვილიდან დაცილება. მაგალითად: როგორც სხვა ოსურ ვარიანტებში, თამარის მუდმივი სამყოფელი უსეთია. ისტორიული სინამდვილიდან ასეთი დაცილება ამ შესანიშნავი მეფისადმი დიდი სიყვარულით აიხსნება. საგულისხმოა ის, რომ მისი ვაჟი, მომავალი მეფე საქართველოსი, მხედრებს საქართველოს დედაქალაქში—ტფილისში მიყავთ. და მელიქის ქალიშვილზე აქორწინებენ. აქაც ისტორიული სინამდვილიდან დაშორებასთან გვაქვს საქმე, ისტორიული წყაროებით, რომელიც სხვადასხვაგვარად აშუქებენ ლაშა გიორგის პირად ცხოვრებას (იხ. კ. კეკელიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა-გიორგის ისტორიისა, თბილისის სახელმწიფო უნ-ტის შრომები, ტ. XVI, 1940) მას ხასად თუ ცოლად ყოლია კახელი, ველისციხელი ქალი.

ზ

გადმოცემა თამარ მეფეზე

ამბობენ, რომ კავკასიის ქედის ერთ-ერთ მწვერვალზე, ბრუტსაბძელზე, არის თამარ მეფის. სასახლე, სადაც ის ხშირად ცხოვრობდა. ბევრი ცდილობდა მიღწევას სასახლემდის, მაგრამ ვერავინ ვერ შეძლო, რადგანაც წათ უშლიდნენ უწმინდური სულები, რომელნიც იქ ასვლის მოწადინეთ ესროდნენ ქვებს, აი, ბოლოს ერთი მღვდელი ჯვრითა და ლოცვით მიაღწევს მწვერვალს. სასახლის ახლოს აგებული იყო ეკლესია. სასახლის დათვალიერების შემდეგ მღვდელი შედის ეკლესიაში და ღმერთს სწირავს სამადლობლო ლოცვას. ღეთისაგან მინიჭებული თამარის ძლევა მოსილებით გაცხებული გამოდის ეკლესიიდან და უცბად კარებთან მოესმის შემამჩრწუნებელი, მკვნესარე ხმა. მიდის ახლოს და ხედავს კარებთან ჩამოკიდებულ ვერცხლის ბირთვს და ესმის იქიდან გამოსული ხმა, რომელიც ამბობს შემდეგს:—„მე ვიყავი თამარის აღმზრდელი. ერთხელ მან დაიჭირა ცისკარი და დაამწყვდია ერთი მეორეში ჩადებულ ცხრა ყუთში; ამ ვარსკვლავისაგან იყო დამოკიდებული თოვლი და კარგი ამინდი. ამის შემდეგ ამინდის შეცვლა უკვე თამარისაგან იყო დამოკიდებული. ამგვარად თამარმა ააშორა თავის ქვეყანას ძლიერი ყინვები, რაც მოჰქონდა ცისკარს, ის ამ ვარსკვლავს მე არ მაჩვენებდა. ერთხელ, თავის სამეფოს დასა-

თვალთვალად გამგზავრებისას, თამარ მეფემ ჩამაბარა ყუთი, რომელშიაც ცისკარი იყო და მითხრა. რომ თუ მე ყუთს გავხსნი, ის მკაცრად დამსჯის. ვერ მოვერიე ცნობისმოყვარეობას, გავხსენი ყუთი და ვნახე მასში მეორე ყუთი, მეორეში—მესამე და ა. შ., ასე მივედი მეცხრე ყუთამდე; გავხსენი და უცბად იქიდან გამოფრინდა ვარსკვლავი. მაშინვე ცისკარი მიწაზე გზავნის არნახულ თოვლს. ამის დანახვისას ჩავარდი სასოწარკვეთილებაში, რადგანაც ვიცოდი, მელიოდა მკაცრი სასჯელი, მაგრამ უბედურებისათვის არ შემეძლო მეშველა.

თოვლის დანახვაზე თამარი გაბრაზდა, შეწუხდა, იცოდა ეს ცისკრისაგან იყო. მიხვდა, რომ ვარსკვლავი მე გაუშვი და სასწრაფოდ გამოეშურა შინ. ბევრი ტანჯვა გადაიტანა თავის სასახლემდის რომ მოეღწია, რადგანაც უშლიდა ღრმა თოვლი. დამინახა და გაბრაზებულმა მკითხა: „რატომ არ შეასრულე ჩემი ბრძანება?“ მე დავიწყე ატიების თხოვნა, მაგრამ თამარმა დამწყევლა: „იყავ ღვთისაგან წყვეული! იქვე სულად. მარადულ ტანჯვისათვის!“ ამ სიტყვების წარმოთქმისას, მაშინვე ვიქვე სულად და აი, ვიმყოფები ამ ბირთვში მარადიულ ტანჯვაში“.

ჩაწერილია ს. ცხინვალში. გორის შაზრაში (ახლანდელ სტალინირში) ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელ დ. ხახანაშვილის მიერ, დაბეჭდილია 1892 წელს (С.М.ОК. ტ. XIII, გვ. 44—45). არ არის აღნიშნული მთქმელი. არც ის არის აღნიშნული. რა ენაზეა ნათქვამი გადმოცემა. ტექსტი თარგმნილია რუსულიდან ქართულად.

თ

ლეგენდის ერთი ვარიანტი ფიქსირებულია ალ. ხახანაშვილის მიერ, რომლის მიხედვითაც თამარ მეფის ტყვე იყო ამინდისა და წელიწადის დროთა გამგე სულგუმი (А. Хаканашвили, Очерки по истории грузинской словесности, I, 1895, გვ. 284). ლეგენდა თამარ მეფის მიერ ზამთრის მგზავნელი „მხრიანი“ სულგუმისა და ვარსკვლავი ცისკრის კოლოფში ერთად დამწყვდევის შესახებ ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით გამოიყენა ვაჟა ფშაველამ პუბლიცისტურ წერილში „რამე-რუმე მთისა“.

ვაჟა ფშაველა, ტ. VII, გვ. 211—212.

45. თამარ დედოფლის პირის მეღვინე .

ჩაწერილი ხევი, ს. ხუროთისში 1888 წ. პ. უმიკაშვილის მიერ
მთქმელი მის. ჩქარეული. უმიკ., გვ. 562.

46. ბოლოსტიკეს ომში ქართველების გამარჯვება ნუქარდინ სულთანზე

მოყვანილია ზ. კიკინაძის წიგნში „თამარ მეფე ქართველ მაჰმა-
დიანთა ზე ზირის ცნობებით“ (მეოთხე გამოცემა, თბილისი, 1911 წ.,
გვ. 38). ტექსტი გამართულია ზ. კიკინაძის მიერ, დასათაურება
ტექსტისა ჩვენია, — ქ. ს.

ბ

კვალად ესეცა თქმულ არს: მოყვანებული დიდებული სულტნი-
სა წინაშე თამარისა დაეცა და იღვლარქნოდა, ვითარცა გველი
უტყუქმნილი; ამისთვის განიყვანეს გარე. რა იქმნა მართლგონიერ,
ჰკითხვიდნენ, რასთვის ჰყოფდა, ეგრეთ; ხოლო იგი იტყოდა, „რო-
ნელი არს თავსა ზედა თამარისასა, მან ჰყო ძლევა ესე ჩვენ ზედა
და აწცა შავშინდი მის მიერ“. ხოლო დროსა მას იყო მთავარ ანგე-
ლოსის მიხაილის სახე თავსა ზედა თამარისასა მკიდარე; ამით იუ-
წყეს მისმიერობა და შესწირეს უმეტეს მადლობა ღმერთსა.

ეს ლეგენდა ვახუშტი ბაგრატიონს მოყვანილი აქვს ბოლოსტი-
კეს ომში ნუქარდინ სულთანზე ქართველების გამარჯვების ამბებ-
თან დაკავშირებით. (იხ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, 1, დ. ბაქ-
რაძის გამოცემა. გვ. 212). ამ ვარიანტში მკვეთრად ჩანს ქრისტიანუ-
ლი იდეოლოგია. პირველ ვარიანტში კი—მაჰმადიანი ქართველი
მთქმელის მიერ შერბილებულია სარწმუნოებრივი ბრძოლის იდეა.

47. თამარ დედოფალი და მურვან ერუ

ფ. არქ. № 9008.

48. თამარ მეფე და ქისტები

ჩაწერილი ხევსურეთში, ს. ამლაში 5. VIII—1944 წ. ქს. სი-
ხარულიძის მიერ. მთქმელი ხირჩლა ნისლაურისძე წიკლაური, 93
წლის.

ბ

ერთ დროს ქართველების დედოფალი თამარი თათრებმა გაა-
ჯავრესო და ამ გაჯავრებაზე თამარს უთქვამს: მაშ მე ქართველი ქა-
262

ლი არ ვიყო, თუ ქალივით არ დაგამუხლოთ თქვენაო, როგორც ქალის ისე კაცის. შემდეგ ისეთი შიში უკმევიათ ქართველებს თათრებისათვის, რომ ფიცი დაუდვიათ და თავიანთ რჯულ-კანონში შეუტანიათ. რომ დღეის შემდეგ ჩვენ ყველა მაჰმადიანებმა შარდზე. გასვლის დროს უნდა დავიმუხლოთო.

ზაქ. კიკინაძეს (მთაწმინდელს) გაუგონია სომხებისაგან (ხელნაწ. ინსტიტ. II—№ 2002).

49. თამარ დედოფლის მიერ ეიზილბაშების დამარცხება

მთქმელი ი. ნებაძე. ჩაწერილი მესხეთში ს. ღრელში 1936 წ. ვახტანგ სულაძის მიერ (ფ. არქ. № 9036).

50. თამარ მეფის ბრძოლა თათრებთან

ჩაწერილი სვანეთში, ჰადიშში 28. VIII—45. ლამარიობის დღესასწაულის დროს.

მთქმელი გიორგი ალმაის ძე ავალიანი 70 წლის წ. კ. უცოდინარი. ყვებოდა ქართულად. ჰქონდა მრავალფეროვანი რეპერტუარი. ჩამწერი ქს. სიხარულიძე.

51. თამარის ბრძოლა თათრებთან

ჩაწერილი 1951 წ. სოფ. კურსებში ელ. ვირსალაძის მიერ მთქმელი იასონ გიორგაძე (ფ. არქ. 34657).

52. თამარი და სტამბოლის ფაშა

ჩაწერილი 1951 წ. სოფ. კურსებში ელ. ვირსალაძის მიერ, მთქმელი იასონ გიორგაძე (ფ. არქ. № 34658).

53. ლეგენდა თამარ მეფესე

ჩაწერილი მესხეთში, ს. საქარაში („მგზ“ № 7, 8, 1902).

ბ

თამარის მისეგლა სტამბოლში

თამარ დედოფალს ყავდა შვიდიათასი თუ შვიდმეტილიონიანი ჯარი და სტამბოლამდე წავიდა. ეს სიმღერაშიც არის. იქ რომ მიდიო-

და სტამბოლში, ერთი ამხანაგი ასლდა სტამბოლში. სტამბოლში რომ მივიდენ, მაშინ თამარჲა უთხრა იმ თათარს. რას მთხოვ, რომ მოგცეო?

თათარჲა უთხრა:—სტამბოლი მომეციო. თამარ მეფე როცა ქალაქს ან სოფელს აიღებდა სტამბოლისკენ მიმავალი, ერთი დღის განმავლობაში ციხეს აშენებდა. ეს მე იქიდან ვიცი, რომ იქ რომ ვიყავი. ფოთიდან სამი კილომეტრი იქნება. ვნახეთ ორი კოშკი ერთად. ცოტა რომ გავიარეთ, კიდევ ვნახე ორი კოშკი და გვითხრეს, თამარ მეფის აშენებულაო.

• მუყალში¹, ქამიშვიში² და ლახირში³ ეკლესიები მისი აშენებულა.

ჩაწერილია სვანეთში. მულახში, ს. ლახირში 19—VIII—45 წ. ქს. სიხარულიძის მიერ, მთქმელი დიმიტრი აზნავისის ძე იოსელიანი, 84 წლის, წ. კ. და ქართული ენის უცოდინარი. ტექსტს თქვა პროცესში ქართულად თარგმნიდა მასწავლებელი ფაცია გუჭეჭიანი.

54. თამარ დედოფალი

ჩაწერილი მესხეთში (ხელნაწ. ინსტიტ. II—2004).

55. ფერია დედოფალი საქართველოსი

საქართველოს კალენდარი, 1890. გვ. 414—417.

ბ

თამარ დედოფალი და შაჰ-აბაზი

ყოფილა ერთი შაჰ-აბაზი. რომელიც თამარ დედოფალს თხოულობდა, მაგრამ არ მისცეს. თამარ დედოფალი ცხოვრობდა ალთუმ-ყალაში, აბასთუმანში. იქიდან ჰქონია ტუნელი გათხრილი ზარზმაში. აქ ეკლესიაშიც ჰქონია გვირაბი, პატარა შესასვლელი გვირაბი, რომ ვერავინ მიხვდეს, თუ რა არის. ის ავიდოდა თურმე მარტო ამ გვირაბში. როცა დაუწყებდა ჩხუბს აბაზთუმანის მინდვრებში შაჰ-აბაზი, თვითონ გაიპარებოდა ღამით ზარზმაში და აქ კი ჰქონდა სხვა კარები.

¹ 2, 3 სოფლებია მულახში (ხემო სვანეთში).

შაკ-აბაზი რომ თხოულობდა და ვერაფრით ვერ დაიყოლია თავის დედოფალი, ჩხუბი გამოუცხადა. დედოფალი წავიდა ზარზმაში, ტუნელით გაიპარა. ზარზმაში ჰქონია წითელი პალატკები (კარვები) უნაოზისა (აბრეშუმისა) და იქ დადგებოდა თავისი ორმოცი გოგოთი—მოახლეებით.

იქ ისინი ომობდენ რამდენიმე დღით. ამ ქალს ვერაფერი გაუგეს. თუ სიდან მიდის, რომ დედოფალი დაიჭიროს. შემდეგში იშოვნა შეიმ ერთი ხნიერი ქალი. იმ ქალმა უთხრა:—რას მომცემთ, რომ ის ქალი დაგაქერიოთო. შაისაც უთქვამს, სასწორში შეგავდებთ ქალს თვალში ოქროს შეგიწონებთო, შენს წონა ოქროს მოგცემთო. რა თქმა უნდა. შეთანხმებია. მერე უთქვამს ქალს, თქვენ იომეთ, და ის გაიპარება ზარზმაში. თქვენ წადით, იქ მიასწარიო, დაიმაღენით შიგნიდან, ამა და ამ ადგილას აქვს კარები, და იმ კარების შიგნით პატარა შკაფია და იმ შკაფიდან ამოდისო. დედოფალი კარს რომ გააღებს, წაველეთ მაჯაში ხელი და დაიჭირეთო. ეგრეც იზამენ. ისინი დაიწყებენ იქ ჩხუბს. თამარი წამოიყვანს თავის ორმოც მხლებელს—გოგოებს. იქ რომ გაიმართება ჩხუბი, ეს აქ არის, და არას უკრავს და თამაშობს გოგოებში. იმას რომ დაირა უჭირავს, შეხედავს, რო თამაშობს. გამწარებული შაი წამოვა მაშინ. ვიდრე იქ იმან დაიჭირა, ამან კიდევ გაიპარა თავის აღმუწყყანისაკენ (ოქროს ციხე). მერე იქ შეხედეს ერთმანეთს და ქალმა მოატყვილა შაი, მე დრო უნდა მომცეო. ბევრ ვადას არ აძლევდა შაი, იმან ხუთი დღის ვადა მისცა. ამ ხუთ დღეშიდგან თამარ დედოფალმა გამოსცა ბრძანება, ზარზმაში. სადაც თვითონ იმალებოდა, გააქრევიან კანავა (არხი, თხრილი) საყენის სიღრმით, იმაშიგან ჩაარკობინა მუხის ხეები, საყენი სიგრძისა და ნახევარ საყენი სიგანე (მესერი). მოლები (მინდორი) მოაქრევიან, ზედ ფიჩხი დააყარა: რომ არ გამოჩნდეს. დაფარა, მერე შეუთვალა. აბა, შაი, მობრძანდით. მზათა ვართ. იქით შაიც მომზადებულა. მოვიდა ორი ცხენოსანი, უკან აღარ დაბრუნდა: მოვიდა კიდევ სამი, და ასე რამდენჯერმე, ყველა ორმოში ჩაცვივდნენ.

მერე შაის გული მოუვიდა, ეს რა არისო, მატყუილებს, თუ რა არისო. ვისაც ვგზავნი, უკან აღარ მოდისო. გაგულისებულმა ჯარს უბრძანა, შეესიეთო. რაც ჯარი წავიდა, აღარ ბრუნდებიან, ორმოში იყრებოდნენ. ბოლოს თვითონაც წავიდა შაი, დარჩა სულ ორი კაცი—შაი და მისი გამყოლები. მივიდა სიახლოვეს, დახედა. ეს რა ამბავიაო. ერთი გამყოლიც მაშინ გამოექცა, ის რომ წავიდა, შაი დაბრუნდა, გაიქცა. მაშინ გამოვიდა თამარ დედოფალი და თქვა: ნახე სატყუებლათ. ამოიყვანეს ორმოდან, ჯარის კაცებს თავები დააპრევიან და მათი თავებით გააკეთა პატარა გორა.

გამოვიდა შუაში ორი წელიწადი და ის შაი კიდევ მოვიდა. ნა-
ბა ის ბებერი ქალი და წაიყვანა, აჩვენა ადგილი ზარზმის საყდრის-
დან გამოსასვლელი ნამდვილი კარები და თვითონ დაიქირა თამა-
რი. მაშინ ფიცი მისცა ნამდვილი, თამარი, რომ სამი დღის ვადა მო-
მეცი, რომ მოვემზადო, როგორც ჩვენი წესწყობილება არის ქორ-
წილისაო, შეჰფიცა, შაიც მიენდო.

თამარ დედოფალმა უბრძანა თავის ვეზირებს, რომ თავის ნაშ-
რომი მეფობისა იმ სამ დღეში ყველა შეესრულებინა, ნაწარმოებო
შეფობისა. მერე ჩამოასხმევირა ოქროს კუბო, მორთო თვალმარგა-
ლიტით, შეიმოსა ძვირფასად, როგორც ეკუთვნებოდა მეფეს საქორ-
წილოდ. მოამზადა საწამლავი, შეიმოსა და ჩაწვა კუბოში. მოიწვია
გარეშე თავისი გოგოები—თმა დაწეწილი.

მეოთხე დღეს, როცა შაის მოელოდა, მოვიდა კიდენაც. მოვი-
და შაი. მოვიდა, ნახა, რომ უბედურება იდგა.

კუბოშიდგან იწვა თამარ დედოფალი. ირგვლივ სანთლებო
ჰქონდა. მუხლზე ხელი დაიკრა—უიმე, ეს რა მომსვლია.

(ფ. არქ. № 13044).

8

თამარი და უსჯულოთა მეფე

უსჯულოთა მეფეს დიდი ქება გაეგონა თამარისა: მისი სილა-
ძაზის წინაშე მზის ბრწყინვალე სხივნი კრთებიაწო, არც ერთ დე-
დის მუცელს მაგის მსგავსი ასული არ უშვია ქვეყნის გაჩენიდანო.
იმანაც გადასწყვიტა ცოლად შეერთო. გაუგზავნა მოციქულები და
თავისი სურვილი შეუთვალა; თანაც დარწმუნებული იყო, რომ თა-
მარი დიდი სიხარულით მოისმენს ჩემს წინადადებასო, ექვიც კი არ
ჰქონდა, რომ თამარს უარის თქმა აზრად მოუვიდოდა, მაგრამ თა-
მარს გადაწყვეტილი ჰქონდა, უბიწოდ დარჩენილიყო და, ეგეც არ
ყოფილიყო, უსჯულო მეფეს მაინც არ გაჰყვებოდა, თუმცა ამ მე-
ფეზე ძლიერი და მდიდარი ცის ქვეშეთზე არავინ იყო. ამიტომ. თა-
ვის თაყვანისმცემელს უარი შემოუთვალა,—იმედი ნუ გაქვს, რო-
დესმე ცოლად შემირთავო.

უსჯულოთა მეფე დაჩვეული იყო, რომ ყველანი და განსაკუთ-
რებით დედათა სქესიანი, მისი სურვილის ყურმოჰკრილი მორჩილნი
ყოფილიყვნენ, ამიტომ თავმოყვარეობა მეფისა მწარედ შეუტრაც-
ხყო ამ სუსტი ქმილების უარმა. გადაწყვიტა, ძალით მოეხრევინე-

ზინა ქედი თამარის ჯიუტობისათვის. შემოიკრიბა აურაცხელი ჯარი და ჯერ საქართველოს მუსრი გაავლო. მისგან დევნილი თამარ მეფე აპარაში ივლტო და იქ თვალის დახამხამებაზე ხირხათის მიუღვამელი მთაზე მაგარი ციხე ააშენა. შიგ შეიყვანა თავისი-ჯარი. შეიტანა რამდენიმე წლის საყოფი სარჩო და დაუწყო ლოდინი მტერს. მტერიც მალე მოვიდა უთვალავი ჯარით და ხირხათის ციხის პირდაპირ მთაზე დაბანაკდა, ბევრი უტრიალა, მაგრამ ციხეში ვერასგზით ვერ შევიდა. გაიარა რამდენიმე თვემ. მეფე იმედს არ ჰკარგავდა,—საქმელი რომ შემოელევა, დამნებდება, მაშ რას იზამსო. მაგრამ თამარი წარბსაც არ იხრიდა. გული არხეინად ჰქონდა. მოთმინებიდან გამოსულმა უსჯულო მეფემ ბრძანა. ის ხრამი, ხირხათის ციხესა და იმის ბანაკს შუა რომ იყო, ბამბით ამოევისოთ და ამით ერთი მხრით—თამარისათვის ეჩვენებინა სიმდიდრე და მეორე მხრით—ხიდი გაეკეთებინა ციხეში შესასვლელად. რაც მის სამეფოში ბამბა იყო, სულ აქ მოზიდეს და მოკლე ხანში ხრამი ციხის პირამდე ამოავსეს. ამ დროს თამარმა ბრძანა, ამ ბამბის ხიდისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ. ასე რომ შრომამ და ხარჯმა ფუჰად ჩაუარა მისს მოტრფიანლეს.

ხირხათის ციხიდან ერთი დღის სავალზე ზარზმის მონასტერია, სადაც თამარს, ჩვეულებრივ. დეთის ლოცვა-ვედრება უყვარდა. ხირხათის ციხეში ამდენი ხნის ყოფნის შემდეგ ძლიერ მოუნდა ზარზმაში წასვლა. მაგრამ როგორ? უსჯულოთა მეფეს ყველგან დარაჯები ეყენა, რომ თამარი არსად გაპარულიყო. რათა ეს დაბრკოლება თავიდან აეცილებინა. თამარმა ბრძანა, ზარზმამდე გვირაბი გაეყვანათ მიწის ქვეშ. მისი სურვილი დაუყოვნებლივ აღასრულეს მისმა ერთგულმა ქვეშევრდომებმა. და აჰა. თამარმა იწყო ზარზმაში სიარული და ვედრება—ღმერთო. იხსენ შენი მშოსავი ხალხი ამ განსაცდელისაგანო. რაჟი ამ მონასტერში სიარული და მის წმინდა კედლებს შორის ვედრება შესძლო, თამარმა ყოველი დარდი გულიდან გადაიყარა: იმედი ჰქონდა. რომ ღმერთი ამ წმინდა ადგილას ვედრებას უსმენდა და მისს სამეფოს ხელს არ აალებდა. მაგრამ ციხე შიგნიდან გატყდა.

თამარ მეფეს ზარზმაში ერთი დედაბერი ემსახურებოდა და იმის ზეტმა არავინ იცოდა საიდუმლო გზის არსებობა. უსჯულოთა მეფემ გამოაცხადა. ვინც თამარს დამაჰკერინებს. თავისს წონა ოქროს მიესცემო. ყოვლად ძლიერმა ოქრომ თავტანი დაუკარგა დედაბერს და გადააწყვეტინა თავის მეფისათვის ელაატნა. მტერს შეუთვლია: თუ დაპირებულ ოქროს მომცემ. დაგაჰკერინებ თამარსაო. მეფემაც

სიხარულით მიუწონა ოქრო. დედაბერმა მიიყვანა ერთ ადგილას, მიწა ჩაათხრევინა და უთხრა, აქ ჩაესაფრე და როცა გამოივლის, შენ იცი და იმანაო. დანიშნულ დროს ღეთის მოშიში თამარი მართლა მივიდა ზარზმაში. მაგრამ მისი აქ მოსვლა უკანასკნელი იყო. რაკი დანახა, რომ გამხეცებულ მტერს ხელიდან ველარსად წაუფიქროდა. გადასწყვიტა თავისი თავი თუ არ მკვდარი, ცოცხალი არ დაენებებინა, და შეევედრა: „ვხედავ ჩემს ღღესა, შენი ხელისაგან განთავისუფლების ცდა ჩემი მხრით ამაო იქნება. ერთსლა გთხოვ: ერთი ღღე თავისუფლება მომეცი, რომ ოთახში მართო დავრჩე და უკანასკნელად ვილოცო ღმერთი. მერე რაც გენებოს, ის მიყავიო“. მეღემაც ნება მისცა, ჩავეტა ერთს ოთახში და გასაღები ჭიბეში ჩაიდო.

მეორე ღღეს გულის ფანცქალით გააღო მეფემ ოთახი, სადაც დამწყვდეული ჰყავდა თავისი ძვირფასი ტყვე. მაგრამ დახე მის სასოწარკვეთას. მზის დარი თამარის გაცივებული გვამი-ლა ესვენა,— იმავ ღამესვე დაელივნა საწამლავე, რომელსაც სულ თან ატარებდა. რაკი შიში ჰქონდა, რომ შეიძლება მტერმა ერთ ღღეს ხელში ჩამიგდოსო.

ნაამბობი აქარლის მიერ, ტექსტი არ არის უშუალო ჩანაწერი თედო სახოკიასი. რომელმაც მოისმინა ეს თქმულება, გადმოცემული აქვს მისი შინაარსი (სახ. ოგზ. გვ. 223—224). ამ თქმულებას თედო სახოკია უწოდებს ლეგენდას (იქვე) და გადმოცემული აქვს შინაარსი მისი ორი ვარიანტისა: ვარიანტები. მართლაც ლეგენდებია: 1) „უსჯულთა მეფე, მართალია დიდხანს სდევდა თამარს. მაგრამ ხელში ვერ ჩაიგდო ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალიო. თამარმა იცოდა, რომ მეფე დაფიცებული იყო: თუ ცოცხალს არა, მკვდარს მაინც ჩავიგდებ ხელშიო ამიტომ მოხუცებულობამდე ემაღებოდა მტერს. რომ იგრძნო, სიკვდილი მომიახლოვდაო. იახლა თორმეტი ერთგული ქაცი და უდაბნოში დაიმალა, ეს უდაბნო, ღღესაც არავინ იცის სად არის. როცა თამარი გარდაიცვალა. მისმა თორმეტმავე ერთგულთა საწამლავე დალიეს, რომ იქიდან არავინ გამოსულიყო და როგორმე არ წამოსცდენოდა, სადაც განისვენა საუკუნოდ ქართველთა წმინდა მეფემა. რათა უსჯულოთა მეფეს არ მიეგნო მის ცხედრისათვის. აქ, ამ უდაბნოში დიდებული გვირგვინოსანი ოქროს აკვანში განისვენებს და შვიდი სამეფოს განძი გარშემო შემოქუჩებული აქვსო“. 2) „თამარ მეფე არ მომკვდარა. ცოცხალია და ერთ ღღეს ისევ გაპოჩნდება და მეთაურად დაუდგება თავის საყვარელ ხალხს, რომელც ერთ დროს ესდენ ბედნიერი და სახელგანთქმული იყოო“ (იქვე).

56. თამარ მეფე და ევფრატის ტამარი

მთქმელი ევფრატელი ცეცხლაძე (ივ., № 146, 1895).

57. თამარ მეფე და მისი მმა

ჩაწერილი რუისში 27. VII—1958 წ. ელ. ვირსალაძის მიერ, მთქმელი მისიელ გიორგის ძე ლომაძე, 89 წლის. ჩამწერის სწორი განმარტებით დოღეთი უნდა იყოს დვალეთი. ტექსტში მოხსენებული ღვთაება ჩამწერის განმარტებით არის ეკლესია რუისში XIII—XIV ს.

58. თამარ მეფის ამბავი წრომის ეკლესიის აგების შესახებ

მთქმელი სოფ. წრომის მცხოვრები მოხუცი მინდორა მურჯიანელი. ჩაწერილი 1943 წ. ლენა მურჯიანელის მიერ. (ელ. ვირსალაძის კოლექციიდან).

59. თამარ მეფის მიერ აგებული ეკლესია ქისტეთში

მთქმელი 81 წლის თოთია წიკლაური. ჩაწერილი 1944 წ. ხევსურეთში ს. ამლაში ქს. სიხარულიძის მიერ.

60. თამარ დედოფლის მიერ ეკლესიების აშენება

ჩაწერილი სვანეთში, ლენჯერში 16. VII—1945 წ. ქს. სიხარულიძის მიერ, მთქმელი გიგო მინას ძე შუკვანი, 90 წლის, წ. კ. უცოდინარი. ყვებოდა სვანურად. ქართული ენა არ იცის. ყვებოდა მხოლოდ ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებს. მამამისი კარგი მთქმელი ყოფილა და რეპერტუარის ძირითადი ნაწილი მისგან აქვს ათვისებული.

ტექსტს თქმის პროცესშივე თარგმნიდა ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტი, ლენჯერის საშ. სკოლის ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი აკაკი გულედანი. ფუსცაგერი სვანეთის მთის ერთ-ერთი მწვერვალია, ჩანს ლენჯერიდან. ფუშკვერი მდინარეა ლენჯერში. გახაში ადგილია ლენჯერში.

61. „მაფა-წყარი“ („მეფის წყარო“)

ჩაწერილი პროფ. ი. ყიფშიძის მიერ, 21. VIII — 1917, მემედ-ალი ჩეფ-ოღლისაგან, ჰანეთში, ხოფაში, სოფ. ბუჯალში.

ჰანურიდან (ხოფური კილოკავიდან) ქართულად ტექსტი თარგმნილია აკად. არნ. ჩიქობავას მიერ (იხ. არნ. ჩიქობავა. პროფ. ი. ყიფშიძე და ჰანურის მეცნიერული შესწავლა; პროფ. იოსებ ყიფშიძე, ჰანური ტექსტები, ტფ., 1939, გვ. XXXII—XXXIII). აკად. არნ. ჩიქობავას მოცემული აქვს ტექსტის მეტად საგულისხმო ანალიზი (იქვე, გვ. XXXI და XXXII). მასვე ეკუთვნის სქოლიო, „სულტან-სელიმი 1512—1520 წწ. მეფობდა. „სამას ორმოცი წლის წინათ კი 1577 წ. გამოდის. საუკუნე კია იგივე, მეთექვსმეტე“.

62. აზღაღელების გაქცევა სამეგრელოში

ჩაწერილია პროფ. ი. ყიფშიძის მიერ, ჰანეთში, ხოფაში. სოფ. აზღაღაში, 58 წლის მემედ ეთ თურუნჯი-ოღლისაგან.

ჰანურიდან ქართულად ტექსტი თარგმნილია აკად. არნ. ჩიქობავას მიერ (იხ. არნ. ჩიქობავა, პროფ. ი. ყიფშიძე და ჰანურის მეცნიერული შესწავლა; პროფ. იოსებ ყიფშიძე, ჰანური ტექსტები, ტფ., 1939, გვ. XXXIII). ტექსტი დასათაურებულია რედაქტორის მიერ. დედანში მას სათაური არ აქვს (იხ. პროფ. იოსებ ყიფშიძე, ჰანური ტექსტები, გვ. 7). ამ გადმოცემის ანაქრონიზმი—მე-16 საუკუნის ძლიერი თურქი დამპყრობელისა და თამარ მეფის სახელის დაკავშირება—ახსნილი აქვს აკად. არნ. ჩიქობავას (იხ. არნ. ჩიქობავა, პროფ. ი. ყიფშიძე და ჰანურის მეცნიერული შესწავლა; პროფ. იოსებ ყიფშიძე, ჰანური ტექსტები, გვ. XXXI—XXXIII).

63. დედოფლის ქვა

ამოწერილია სახ. მოგზ., გვ. 201 დასათაურება ჩვენია,—ქ. ს.

64. თამარ მეფის მიერ ციხეების აშენება

აქართული გადმოცემა. გადმოცემული აქვს თედო სახოკიას (სახ. მოგზ., 1950, გვ. 200). ტექსტის დასათაურება ჩვენია,—ქ. ს. თ. სახოკია ამ გადმოცემას უწოდებს ლეგენდას და შენიშნავს: „ამ ლეგენდას ისმენთ და თანაც ჰკვირობთ, რად უნდა დას-

ჭირებოდა მეფეს ხირხათის ციხიდან ქვის მოტანა იმ დროს, როცა ამ ხიდებთან ყველგან თავსაყრელია ყოველგვარი ჯიშის ქვაო!..“ (რქვე. გვ. 200—201).

65. ვარძია

ფ. არქ., 13007

66. თამარ დედუფლის არხი

მთქმელი ისაკო რუსიაშვილი. ჩაწერილი ყვარელში 2. VII—1947 წ. ელ. ვირსალაძისა და ქს. სიხარულიძის მიერ (ფ. არქ. 36 30177).

67. ხეთაგი

მთქმელი იოსებ ავსაჯანიშვილი. ჩაწერილი 1950 წ. ხევში ეთერ ავსაჯანიშვილის მიერ. მთქმელსა თუ ჩამწერს გადმოცემა დაუსათაურებია: „მთქმულება თამარ მეფეზე“. სათაური „ხეთაგი“ ეკუთვნის შემდგენელს.

ბ

ქალაუ.. აბა რაილა გითხრა ლექების შემოსევის შესახებ. განა საქვეყნოდ არ არის ცნობილი იმ ურჯულოების თარეში? განა ქალაუ შენ კი არ გექნება გაგონილი, როგორ უკბილოდ გექამდენ. როგორ უცეცხლოდ გვწვავდენ ის ურჯულოები. განა რაი შურდათ ჩვენი იმათა, არცრად არა წმინდის გივარჯის მზემა, არც რაი არა. შარტო ეგ იყო, რომ აქ მთაჩი ვერ მასწვდა დასავლეთის პოლიტიკა. ისაც გეცოდინება, თუ როგორ აწვალეზდენ ლექები დასავლეთ საქართველოს. როგორ აწვალეზდენ ქართლს, მაგრამ აბა განა ჩვენი მთის ხალხი ეგრე რიგად რასმე დავეჩაგვრინებოდით? რაისთვი ქალაუ. განა ჩვენ რასმე ვსტაცებდით მათა, პირიქით ისენი გვეცემოდენ ჩვენ და მიჰქონდათ ჩვენგნითა ზოგი საქონელი და ზოგიც კი რაიც კელს მახვდებოდა. აი, სწორედ ამის გამოდ იყო. რომ ჩვენს მამა-პაპათ ეეგოთ ის ციხეები, რომელთაც დღეს ხედავ. მაგრამ ეს ციხეები ეგრე ეეგათ, რომ ისინი თურქე სულ ურთიერთს უყურებდენ, იმისათვი, რომ მეციხოვნეებს ურთიმეორისათვი შეეტყობინათ მტრის მოახლოვების ამბოვი.

აი ქალაუ, სწორედ ეგეთი ლექთა შემოსევა მამქდარა თამარ მეფის დროს. მოკვეეებს დარიალის ხეობა ყოველთვის კარგად ჰქონოდათ გამაგრებული, ისრე რომ ზოგჯერ მტერი პირისპირ მოსვლას დარიალს ვერც კი თურმე ბედავდისკე. ჰოდა ქალაუ, იმას გიამბობდნი. წამასულან ის კაცის სისხლის მსმელები კევის ასალებადა, მაგ-

რამ დარიალის გზით კი ვერ გაუბედია მასვლა, რადგანაც სკოდნიყო, რომ დარიალი კარგა იყო მოქვევებისაგან გამაგრებული, გზა ექცია და პირდაპირ კლდეზე გადმასულიყვნენ. მოხვევები, რომლებიც თურმე დარიალას დარაჯობდნენ, გამაჰპარვიყვნენ ლეკები ეგრე რომ მათ ვერა გეეგოთ რა. ამ დროს თურმე ცხენით მიდიოდა მკედარი გზაზე, დენნახა ლეკების ჯარი, გაქცეულიყო და დარიალას მყოფ მცინხოვნეებისათვის შეეტყობინა მათი შამასვლა. აბა რაილა თქმა უნდა, მაშინ მოქვევები აირივნეს. დარეკეს საგანგაშო ზარი და კაცები დაჰგზავნეს სოფლებში, რომ გამასულიყვნენ ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად. აბა მაში 'ვინლა დაზოგავდა ძალას, ეგეთი აბბოვი დამდგარიყო, რომ აღარა გაიგებოდა რა. ზოგს ოჯახჩიგათა თუ დიდი კაცი არა, ბალლიც კიდავ გამასულან ლეკების წინააღმდეგ სჯომრდა. აბა მაში შენკ კარგა იცი ჩემო ქალაუ, როგორი სასროლო დარალიც იყო, განა ეგეთები კი არ იყო მაში, ეხლა რომ არის. მაგას ვინლა იფიქრებდა, რომ ესეთ დროს ეღირსებოდნენ, ან-ესეთ ცხოვრებასა. ბეჩვებსა ხელი თურმე მარტუთ უქდებოდა ბრძოლა მტრების წინააღმდეგ. ჰოდა ჩემო ქალაუ, ამ ჯარს თურმე კელმძღვანელობდა ვინმე ხეთაგი. ეს კაცი უწინითვე განთქმული ყოფილა მთელს ქვესა ვაჟკაცობითა და იმ ცხოვნებულსა არც თუ მაში შეერცხვინა თაჟი. ჩაუდგა თურმე სათაჟჩი კეჟის ჯარს და სულ თურმე მუსრი გაავლა ლეკების ჯარსა. ლეკების ჯარის უფროსი მეეკლათ და თერგჩი ჩეგვდა და ჯარი კი ტყვედ წმებეყვანა. ხეთაგს ბევრი კაცები თურმე უგზავნეს, რომ ჯარი მაინც მიეცა ლეკებისთვის, მაგრამ აბა ეგრე როგორლა მისცემდა ლეკებს ჯარს, რომლებიც თავად აყვდა უყვედ ჩავდებულა. რამ იმათაგან გამასასყიდს არ აიღებდა. ისრი გეეწვალა ხეთაგს ლეკების მიერ მაგზავნილი კაცები, რომ სანამ დიდძალი ოქრო, ვერცხლი, საქონელი და ეგრე ცხო და ცხო რაიღე არ მიილა, არ მიეცა მათთვის ჯარი. ლეკებსაც რაილა მეტი ღონე. ჰქონდათ, ამდგარიყვნენ და მიეცათ ის, რასაც თურმე ხეთაგი მითხოვდა. მართალია ხეთაგმა ლეკთა მეფისაგა მიილა გამასასყიდი, მაგრამ განა ის სიმდიდრე თვითონ კი არ აილა, არამედ მისცა იმ ოჯახებს, რომლებიც გაჭირვებულები იყვნენ, ანდა რომლებთაც იმ ომჩი დეეკოცა ვინმე. აბა ქალაუ ვაჟკაციც ეგა ყოფილა, აბა იმას ქონია კიდევ დასაკვენებტი მარჯვენაი, თორო ცხოს კი არა. აბა ეგეთს კაცს როგორ არ შაიყორებდნენ მოქვევები. მთელი ხევი პატივისაცემად სახელს კი აღარ ეძახოდნენ. თურმე, არამედ—მამასა.

თამარ მეფეს რომ გეეგა ხეთაგის ესეთი გმირობა, ის კურთხეული დედა თამარი თვითონ ჩამასულიყო კვესა და ენახა ხეთაგი. თამარი თურმე ხეთაგს ეგეთი გმირობისათვი აძლევდა საბატონოდ სო-

ფელ გარბანს და თოთს, რომ შეეწერა მათთვის გადასაცემი და იმიანობის დროს აეკრიფა მხოლოდ. ხეთაგმა უუკადრისა თურმე ჩვენსავე ხალხზე ბატონობა და თამარს ამაზე უარი განუცხადა. ხეთაგმა თამარს მოსთხოვა, რომ ყოველ ახალწელს წმინდა სამების ტაძრიდან გემეებრძანათ ხატები და იმათ კარზე ელოცა ხალხს. ამჟამადაც ეს ნიში. ე. ი. სამლოცველო აშენებულია ხეთაგების საგორეულობაში. როგორც ამას მოხუცი აბრამ გრიგორისძე ჯოჯიაშვილი მოგვითხრობს, დღესაც აქვს ძალა შერჩენილი. ე. ი. ეს რიტუალი ახლაც სრულდება ყოველ ახალწელიწადს ყაზბეგში. ე. ი. ხატები მლოცველებს ჩამოაქვთ სამების ტაძრიდან და ლოცულობენ სოფელ ყაზბეგში ხეთაგების საგვარეულოში ხალხი ქალაუ; ამ დროს თურმე იხსენიებდენ ხეთაგს და ქება-დიდებას ასხამდენ მის ჩამოშვლობას, მის გორს. თამარის მიერ მიცემული დოკუმენტი ინახებოდა ნიკოლოზ ხეთაგურის ოჯახში. ეს კაცი ჩემო ქალაუ განა მკვდარია, ისრივ ცოცხალია, იმას მაინც ჰკითხე, თუ არ გჯერა, იმას აქვს შენახული. ის კაცი ეგრე 80 წ. მეტისა მაინც იქნება. ამ კაცამდე სანამ მოვიდოდა ეს ქალაღი, ვინ იცის რამდენი კაცის ქელი გაიარა, ხეთაგის შემდეგ რამდენს გადაეცა. თავად მე ვიცი, რომ ეს ქალაღი ჯერ კიდევ ნიკოლოზამდე ჰქონიყო გახუტა ხეთაგურს. კარგი ვაჟი ყოფილიყო ქალაუ გახუტაი, კარგი. იმ დალოცვილს თურმე 5 თოფი ჰქონიყო დამარხული. მართლაც კარგი წესი იყო, აბა რაით იყო გონჯი: კაცი, რომელიც თურმე 100 ნადირს მაჰკლავდა, ის თურმე ერთ თოფს დამარხავდა, როცა 200 ნადირს მაჰკლავდა, მეორეს თოფს დამარხავდა და მისდევდა ეგრე. აბა ჩემო ქალაუ განა მართლა არ ყოფილა ვაჟკაცი 500 ნადირი ჰქონიყო მაჰლული და იმისათვის დეემარხა ის 5 თოფიცა. ღმერთია აჟა, ხატია, მაგათი მაგონილია სუყველაი, მაგათი დადგენილია სუყველაი.

(მთქმელი აბრ.ამ გრიგოლის ძე ჯოჯიაშვილი 78 წლის. ჩაწერილი 1951 წ. ხევში, სოფ. სნოში ეთერ ავსაჯანიშვილის მიერ. მთქმელსა თუ ჩამწერს ტექსტი ასე დაუსათაურებია—„ლეკების შემოსევა ხევში“. ჩამწერის განმარტებით ქ დ ე ეწოდება მთას).

68. თქმულება თამარ დედოფალზე

ჩაწერილი იმერეთში, სოფ. დიმში, 9. VIII—1940 წ. ქეთევან ბურჯანაძის მიერ.

69. თამარ მეფის საფლავი გელათში

ჩაწერილი ს. კურსებში (ტყიბულის რ.), 23. VII—1951 წ. მთქმელი ნოე კუპრაშვილი. ტექსტს ყვებოდა როგორც ნამდვილ ამბავს. საერთოდ საისტორიო ნაწარმოებთა შესახებ გვითხრა: „უკვლავ სინამდვილედ გვწამდაო“ (ფ. არქ. № 34471).

ლეგენდა შეიცავს საერთაშორისო მოტივს ხარის ტყავის ოღენა ადგილის დათმობისა. ეს მოტივი დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სახელებთანაც არის დაკავშირებული. მსგავსი ლეგენდა აქვთ იაკუტებსაც (ფოლკლორისტ ერგისის მოხსენება ქ. ლენინგრადში 1956 წ. ეთნოგრაფთა საკავშირო თათბირზე).

მთქმელს არეული აქვს ვინაობაც სტამბოლის მფლობელისა და შაჰ-აბაზს იხსენიებს. ამგვარი ანაქრონიზმი—თამარ მეფისათვის შაჰ-აბაზის დაპირისპირება—არა იშვიათი მოვლენაა ამ ციკლის ნაწარმოებებში (სიხ. საგმ., გვ. 130).

საგულისხმოა, რომ თამარ მეფის საფლავს სხვადასხვა კუთხის მთქმელები თავიანთ მშობლიურ მხარეში უჩვენებენ (№ 66, 67, 68).

ეს გარემოება ეროვნული გმირისადმი ხალხის განსაკუთრებული სიყვარულის მაჩვენებელია. თამარის თანამედროვე ისტორიკოსის ცნობით, მისი ნეშტი „წარიყვანეს სამკვდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხსა პატიოსანსა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., გვ. 140). 1919 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა და ივანე ჭავჭავაძემ გელათში გათხრა აწარმოეს, მაგრამ თამარის საფლავი ვერ აღმოაჩინეს. ამის გამო ჩვენ აღნიშნული გვაქვს: „შესაძლებელია, ისტორიკოსის ცნობა არ იყოს სწორი, ან კიდევ—გარკვეული მოსაზრებით თამარის ნეშტი შემდეგ არის სხვა ადგილას გადატანილი“ (სიხ. საგმ., გვ. 204). სწორი უნდა იყოს მეორე ვარაუდი. ზ. ავალიშვილის მიერ გამოქვეყნებული ერთი ფრანგი რაინდის წერილის მიხედვით 16 წლის ლაშა გიორგის დედის ცხედარი იერუსალიმში წაუღია (აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, რას მეტყველებს რუსთაველის პორტრეტი? „კომუნისტი“, № 5, 1961, 7 იანვარი). საინტერესოა გადმოცემა იმის შესახებ, რომ გელათის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკლესიაში ყოველწლიურად თამარ მეფის გარდაცვალების დღეს 18 იანვარს თავისუფალ აკლდამას ახდი-

დნენ ფიქალს და პანაშვიდს იხდიდნენ. ეს ჩვეულება შეწყვეტილა მას შემდეგ, რაც იმერეთის მეფეს—ალექსანდრე მეხუთეს (გარდაიცვალა 1752 წ.) თავისუფალ აკლდამაში დაუსაფლავებია თავისი მეუღლე მარიამი. გათხრების დროს აკლდამაში აღმოჩენილა ორი ჩონჩხი—ერთი ქალისა და მეორე მამაკაცის თვით ალექსანდრე მე-
ზუთის (იქვე).

ბ

თამარის დასაფლავება

თამარი და დავითი გელათს ასაფლავიან. ამ მამა და შვილს ისეთი სიყვარული ჰქონდათ, რომ გელათს არ დაშორდებოდნენ. თამარი რომ მომკვდარა, ოსმალების შიში ჰქონია ხალხს და მისი დასაფლავება ერთ წმინდან ბერს მიანდევს. რომ დაუსაფლავებია თამარი, თავი მოუკლავს ამ ბერს. რომ მოვბრუნდები შინ, მაინც მათქმევიანებენ ამასო და ისევ საკუთარი ხელით თავი მოვიკლა, ჯობია დროზხო.

მთქმელი იასონ კონსტანტინეს ძე გიორგაძე. ჩაწერილი ელენე ვირსალაძის მიერ. აგვისტო. 1951 წ. (ფ. არქ. № 34651).

ბ

თამარის საფლავი

თათრები ემუქრებოდნენ თამარს თურმე:

— ცოცხალი ვერ ჩაგიგდეთ ხელში, მკვდარს მაინც გაწამებთო. ამიტომ არ ვიცით თამარის საფლავი. რამოდენიმე სასახლე გაუყეთებიათ და ერთი იქეთ წაუღიათ. მეორე—აქეთ. ერთ-ერთში ყოფილა თამარი თურმე.

მთქმელი სიმონ იამანიძე. ჩამწერი ელ. ვირსალაძე 17. VIII—1951 (ფ. არქ. № 34628).

70. თამარ მეფის საფლავი ვარძიაში

ჩაწერილი ბორჩალოში, ს. წერქვეში კ. მაღალაშვილის მიერ. მთქმელი მართა ბიბილური. (ძვ. საქ. II, განუ. IV, გვ. 48—49).

ჩემ შენიშვნაზე რომ, როგორც ზოგიერთი წყაროებიდანა სჩანს, თამარ მეფე გელათის მონასტერშია დასაფლავებული მეტეჟი, მართა ბიბლიურმა მიპასუხა:

— იმისთანა დიდებულის საფლავი, როგორც თამარ მეფე იყო, ვისაც ემორჩილებოდნენ წეროები, მერცხლები და სხვა ფრინველნი და მისის ბძანებით მოჰქონდათ: მერცხალს ქვიშა და წეროს ქვა და იმისთანა მიუვალ მთა-კლდეზედ აშენებდა ეკლესიებს, მონასტრებს და ციხეებს; ვისაც წყეული რაშადა ჰყვანდა პირში ღვთისგან ნაკურთხ ლაგამ ამოდებული, და ზედ მჯდომი დაჰქროდა, — ამ წამს რომ აქა ყოფილიყო, მეორე წამს ბაღდადს გაჩნდებოდა, — და ვისაც რამდენიც მთელ საქართველოში მონასტრები, ეკლესიები და ციხეები აუშენებია, იმის საფასური ვარძიის მონასტერზედ დაუხარჯავს, და რამდენიც წელიწადში დღეა, იმდენი სენაკი აუშენებია. ვარძიის მონასტრის გარშემო, ის დაკარგული უნდა გვეყვანდეს?! სწორეთ არ უნდა იცოდნენ სად ასაფლავია? მე დარწმუნებული ვარ მაიჩემისაგან და მწამს კიდევ, განაგრძო მართამ, რომ თამარ მეფე ვარძიის მონასტერში ასაფლავია. თამარმა ამის ნიშნად, რომ აქ, ვარძიის მონასტერში ვარ დასაფლავებულიო, ტაძარში დაახატვინა თავისი სურათი.

ჩაწერილი ბორჩალოში, ს. წერქეში კ. მაღალაშვილის მიერ. მთქმელი მ. ბიბლიური (სვ. საქ., II, განყ. IV, გვ. 49—50). ამ ვარიანტში გამოყენებულია სხვა ლეგენდების მოტივები ამსახველი თამარ მეფის სააღმშენებლო მოღვაწეობისა.

71. თამარ მეფის საფლავი სვანეთში

მთქმელი ღრმად მოხუცებული სოზარ თადეოზის ძე გულბანი, ეთნოგრაფიული ყოფის კარგი მცოდნე, ყვებოდა ქართულად, იზერული დიალექტით. ზეპირსიტყვიერებიდან ბევრი რამ დავიწყებულნი აქვს. ეს გარემოება თავის კვალს ამჩნევს ამ ტექსტსაც.

ჩაწერილი სვანეთში, იფარში (ნაკიფარი), 25. VIII—1945 წ. ქს. სიხარულიძის მიერ. სვანეთში თამარ მეფის საფლავის ადგილსამყოფელის შესახებ არსებული თქმულების შინაარსი გადმოცემული აქვს ალ. ხახანაშვილს. ამ ვარიანტის მიხედვით სვანი ხალხი განსაკუთრებით უფრთხილდება თამარის ნეშტს, რადგანაც მას უკავშირებენ სვანეთის დოვლათიანობას (Очерки, 1). საგულლისხმოა ერთი მომენტი სვანეთში ჩატარებული საველე მუშა-

ობისა. უშგულში 100 წელზე გადასულ ქალდარ ნიქარაძეს ვთხოვეთ, ეამბა ჩვენთვის ეს თქმულება. იგი მეტად განრისხდა ჩვენს წინადადებაზე. ამით მან დაადასტურა ალ. ხახანაშვილის ფიქსირებული თქმულების ტრადიცია უშგულში. იმის შიშით, რომ ექსპედიციის წევრებს არ მოეპარათ თამარის ნეშტი და ამგვარად არ წაერთმიათ დოვლათიანობა სვანეთისათვის, უარი თქვა თქმულების შინაარსის მოყოლაზე (ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, 1).

72. თამარ მეფე სვანეთში

მთქმელი მოხუცი იოსებ პირველი, ნახევრად ბრმა.

ჩაწერილი სვანეთში 25. VIII—1945 წ. ქს. სიხარულიძის მიერ, თამარ მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საგულისხმოა ლეგენდა, რომლის მიხედვითაც თამარ დედოფალი კი არ მომკვდარა, არამედ ანგელოზებთან სძინავს, როდესაც ხალხი შეწუხდება, მძინარე თამარი გაიღვიძებს. ეს ლეგენდა ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით გამოიყენა ვაჟა ფშაველამ წერილში „რამე რუმე მთისა“ (ტ. VII, გვ. 213). იგივე ლეგენდა ფიქსირებულია თ. რაზიკაშვილის მიერ. შან.

73. თამარ მეფის თმები

მთქმელი ფოტინე გძელიძე. ჩაწერილი იმერეთში, სოფ. ობჩაში, 21. VII—1944 წ. ქეთ. ბურჯანაძის მიერ. ჩამწერის შენიშვნით: „ეს თქმულება ფოტინე გძელიძეს გაუგონია იქვე, სოფ. ობჩაში, შხოლოდ აღარ ახსოვს ვისგან“.

74. დემურ ყაენი

ჩაწერილი კახეთში თ. რაზიკაშვილის მიერ. (თაყ. 1, გვ. 373—374). დასათაურება ეკუთვნის ჩამწერს ან რედაქტორს. ლექსი. როგორც გ. ლეონიძემ აღნიშნა, შალვა და ივანე ახალციხელებზეა შექმნილი (იხ. „კომუნისტი“, 1941, № 260). დემურ ყაენის ხსენება ანაქრონიზმია.

75. შალვასი ანუ შავლეგოსი

ჩაწერილი ზ. ბილანიშვილის მიერ ს. პატარძელში (კახეთი), (თაყ., 1. გვ. 113—114). საგულისხმოა ჩამწერის შენიშვნა ამ სიმღე-

რისადმი: „შალვა შალვეგო, ანუ შავლეგო. ამ ლექსს 70—80 წლებში ხშირად მღეროდნენ გარე-კახეთში. იმღერება ორპირად ფერხულის ხმაზე ყოველ მუხლის (რვა მარცვლის) შემდეგ დასძახიან: შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო შავლეგო.

ასე მღერიან: შალვას და ცხენი წამოექცა, შავლეგო, შავ-შავ-ლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო.

ხალხმა შალვაზე მხოლოდ ის იცის, რომ უწინ გმირი ყოფილა სახელად შალვა და ერთს გმირ თურქს ებრძოდაო“ (იქვე, გვ. 113).

ტექსტს დართული აქვს აგრეთვე შენიშვნები: სტრიქ. 10 ქვევ. „ზოგი იტყვის: თუ არ იყო ღვინით მთვრალი“; სტრიქ. 9 ქვევ. „ე. ი. თურქისტანა“; სტრიქ. 3 ქვევ. „გულხადარა— დაღესტნის ლეკი“.

ეს სიმღერა მიხ. ჩიქოვანმა შეიტანა ხალხური ვეფხისტყაოსნის კრებულში (მიხეილ ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, ტფ., 1936, გვ. 225). ამ სიმღერის შეტანას ტარიელიანის ციკლში მ. ჩიქოვანი ასე ხსნის: „ჩვენ ეს ლექსი ხალხურ „ვეფხისტყაოსანს“ მოგვაგონებს და მისთვის შეგვაქვს ამ გამოცემაში“ (იქვე. გვ. 264). სიმღერა შეტანილია საგმირო ლექსებში.

ბ

შავლეგო

შავლეგო და შე შავლეგო,
შავლეგო!

შავლეგ იყო კარგი ბიჭი,
შავლეგო,

კარგი, გორათ აგებული,
შავლეგო,

ჰყავ ბატონი მადრიელი,
შავლეგო,

ამხანაგი მოგებული,
შავლეგო,

შავლეგ ცხენსა მოაფრენდა
ვიწროსა და ავსა გზასა,

შავლეგს ცხენი წამოექცა
ნაკვალევსა გუთნისასა.

თავსა თურქი წამოადგა
დაღესილი აღმასითა.

„დამქარ, თურქო, ნუ გებრალი,
 თუ გული გაქვს მამაცისა!“
 დაჰკრა თურქმა, თავი მოსჭრა,
 დაიკიდა უნაგირსა.
 შავლეგ დედა მათიროდა,
 მოიშლიდა გიშრის თმებსა:
 „ჩემი შავლეგის მომკვლელი
 ჩქარა მიჩვენეთ წამზედა,
 თუ იმას თავი არ მოვჭრა,
 გამცვალებთ კახის ქალზედა“.

ჩაწერილი კახეთში (უმიკ., გვ. 368). იგივე ტექსტი ჩაუწერია
 ლ. ჩერქეზიშვილს, 1871 წ. იქვე. გვ. 600. ტექსტი შეტანილია სასიმ-
 ლერო ლექსების განყოფილებაში.

ბ

შავლეგ იყო კაჲ კაცი,
 კაჲ და გვართ აგებული,
 გარბიჲ-გამორბიჲ შავლეგი,
 როგორც რო ნიავეჩარია;
 შავლეგ ცხენსა მოაფრინდა,
 როგორც რო ნიავე-ქარიო,
 კაფა და კაფა ლეკები,
 როგორც რო ტოტი ხისაო;
 შავლეგ ცხენი წამოეჭკა
 დიდი „კანაოს“ პირსაო,
 დაჯდა, დადწერა წერილი,
 დედასაც გაუგზავნაო,
 შენი შავლეგო მოკლესო;
 — ჩემსა შავლეგს ვინ მოაკლამდა,
 თუ ღვინით არ დაათერესო.

ჩაწერილი შიგნით კახეთში 1939 წელს 22 წლის ფირუზა ილიას
 ძე დურიშვილისაგან (ფ. არქ. № 22042).

ჩამწერს ტექსტი შეუტანია თოხნურ სიმღერებში, როგორც
 ჩანს ეს ძველი საფერხულო სიმღერა დღეს შიგნით კახეთში შრო-
 მის სიმღერადაც ქცეულა. თუმცა იქვე მთქმელებს ახსოვთ, რომ ის
 საფერხულო იყო (მთქმელის შენიშვნა, ფ. არქ. № 22099).

76. შავლეგო

ჩაწერილი კახეთში (უმიკ., გვ. 369).

ბ

შავლეგ ჩამოხდა
შავსა გრილოსა,
ომი მოუხდა,
ომი და რა ომი,
შუბის ნამტვრევი
ცასა ახვრეტამდა,
სისხლი ღვარები
ზღვასა აფერამდა

ჩაწერილი შიგნით კახეთში 1939 წელს (ფ. არქ. № 22059). ეს ფრაგმენტული ლექსი შალვა ახალციხელზე შექმნილ საფერხულო სიმღერის ნაწილია. ტექსტში ადგილი „სისხლი ღვარები ზღვასა აფერამდა“ ფოლკლორისა და კერძოდ საგმირო პოეზიის დამახასიათებელი ჰიპერბოლაა. იმ ადგილს, სადაც შალვას მოუხდა საბედისწერო ომი, ზღვა ახლო არ იყო. ეს იყო გარნისის კლდეში.

77. შალვა შურისა მძებნელი

გიორგი ლეონიძე, შალვა-შავლეგო. „კომუნისტი“, 1941, № 262.

ბ

შალვა შურისა მძებნელი
მთას ქორებულად კიოდა.
მე მონადირე მეგონა,
შალვას თუ გული სტკიოდა.
წაიგდო ვიწროს ქვეშია,
მთა-ბარი სულ ზედ დაჰხვიოდა.
გულ-ერჰვეა თეთრი ისარი,
კილოზე სისხლი სდიოდა.
თავის თავს არა ჯავრობდა,
თავის სწორებსა ჩიოდა

მთქმელი პეტრე ჟამიაშვილი. ჩაწერილი ფშავში თ. რაზიკაშვილის მიერ (შან., გვ. 491).

ზ

შალვა მტრის გადმობხეწილი
გუზელ ქორივით კიოდა.
თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი,
გულს სისხლი ჩამოსდიოდა.
ზედა და ზედა აყრიდა
გულ-დალეული ვადასა.
„სისხლში მოსვრილი პერანგი
ვერ გაგირეცხე, ვაჰ დასა!“

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ (თაყ., 1, გვ. 361; შან., გვ. 491). აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს: „თ. რაზიკაშვილს ეს ლექსი ხალხური ვეფხვის ტყაოსნის ნაწყვეტად მიაჩნია“ (შან., გვ. 491).

დ

შალვა

შურის საძებნად შალვაი
მთაზე ქორივით კიოდა;
გულს ეშქვა თბე-თეთრ ისარი,
ყიათა სისხლი სდიოდა.
ვაი თქვენს შალვას, სწორებო!
ვეცდებოდ, არ გადიოდა.

ჩაწერილი ხევსურეთში ალ. ოჩიაურის მიერ. შან., № 260, გვ. 117.

ე

შალვა შურისა მძებნელი
მთას ქორებულა კიოდა.
მე მონადირე მეგონა
იმას თუ გული სტკიოდა.

ჩაწერილი ხოშარაში, (ივ., № 148, 1890) გადაბეჭდილია (შან., გვ. 491).

8

ორასი თურქის მომკვლელი
 უომრობასა ჩიოდა,
 თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი,
 გულს სისხლი ჩამოსდიოდა.

ჩაწერილი ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ, (შან., გვ. 492).

9

ასი ოსმალის მომკვლელი
 უომრობასა ჩიოდა.
 თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი,
 გულს სისხლი ჩამოსდიოდა.

ჩაწერილი მესხეთში, სოფ. კარალეთში ვ. ბიბილაშვილის მიერ
 (ივ., № 200, 1891; გადაბეჭდილია, შან., გვ. 492).

10

მთიდან მოსული ვაჟკაცი
 გეზელ ქორივით კიოდა.
 თავი ხმლით ჰქონდა დაჭრილი,
 გულს სისხლი გადმოსდიოდა.

ჩაწერილი ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ (შან., გვ. 491).

11

მთით კაცი გადმოხვეწილი,
 გეზელ ქორულეზი კიოდა,
 თავს ხმალი ჰქონდა ნაკრავი,
 გულს სისხლი ჩამოსდიოდა.

ჩაწერილი პეტრე უმიკაშვილის მიერ (ივ., № 252, 1901 წ. გა-
 დაბეჭდილია შან., გვ. 491).

12

მთაში ვაჟკაცი გაჰკივის,
 დაჭრილს წყლულები სტკიოდა.
 მოეკლა სამოცი ლეკი,
 უვაჟკაცობას ჩიოდა.

ჩაწერილი ია კარგარეთელის მიერ (შან., გვ. 492).

ლ

თუში ორასის მომკვლელი
უომრობასა ჩიოდა.
თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი,
გულს სისხლი ჩამოსდიოდა.
მე მონადირე მეგონა,
თურმე დაჭრილი სტკიოდა.

ჩაწერილი ახალქალაქის მიდამოებში ნ. ხუციშვილის მიერ.
(ივ., № 204, 1889 წ. გადაბეჭდილია, შან., გვ. 492).

მ

თარეშიდან მოსული შვილები

—მოხეღითა, შვილნო, მოხვეღით?
ბევრა ამბები დიოდა.
—ჩვენ კი მოვეღით, მამაო,
ბევრი სტეა ვერ მოდიოდა,
ზოგს სქრიდეს, ზოგსა იქერდეს,
სისხლია წყაროებ დიოდა.
თბე-წვრილს ისროდეს ისარსა,
მშვილდის გოზები ჰყიოდა.
შაწუხებული მკედრები
ცხენზეით ჩამოდიოდა;
კირიმე დავითაისი!
ემაგას არა სტკიოდა.
ყმა შზირდად გადმოხვეწილი
მთას ქორებულად კიოდა;
გულ ეშქო თბე-შავ ისარი,
სისხლი ყიათა სდიოდა,
ყიათას ჩამონადენი
ჩაჰკვის კალთეებს ზდიოდა;
ჩაჰკვის კალთათა ნადენი
თმა-წვერთა გარდასდიოდა;
ხუთი მაეკლა მარტუას,
„ვერა ვქენ“, იმას ჩიოდა.
თავი არ მალგონდებოდა,
ამხანაგებსა ჩიოდა (შან., № 144, გვ. 56).

საინტერესო ვარიანტია. თედო რაზიკაშვილს იგი მიაჩნია კონტამინაციის ნიმუშად. კერძოდ თილისმის ლაშქრობაზე შექმნილი ლექსისა და სხვა დამოუკიდებელი ნაწარმოების შერწყმის ნიმუშად. ამ ლექსის შესახებ თედო რაზიკაშვილს აღნიშნული აქვს: „ეს ლექსი ფშაურად სრული ვარიანტი მაქვს. თილისმის უფროსობით თუშებმა გაილაშქრეს ფშავის ხევში, მაგრამ ისე დამარცხდნენ, რომ თითქმის აღარავინ დაბრუნებულა თუშეთში ცოცხალი—1 დიოდა („მოდოდო, ისმოდა“ 7 ყმა მზირთად გადმოხვეწილი) „მე მგონია, აქედან სრულებით სხვა ლექსია მობმული, ამიტომ რომ ამ ქვემოთ ლექსის ვარიანტი ბევრია ქართლშიაც და კახეთშიაც, მაგრამ რაკი რითმა ერთნაირი აქვს, ამიტომ მთქმელს ეს ორი სხვადასხვა ლექსი ერთი ჰგონებია. ეს ტაეპი მომაგონებს „ვეფხისტყაოსნიდან“ ფრიდონის დაჭრის ამბავს“ (შან., გვ. 421). ის გარემოება, რომ ლექსი ხალხური სიტყვიერების შემკრებ-მკვლევარებს „ვეფხისტყაოსანს“ მოაგონებს, ჩვენ საგულისხმო გარემოებად მიგვაჩნია. ამის გამო, ჩვენ სადოქტორო დისერტაციაში საისტორიო ნაწარმოებთა შექმნის დროსთან დაკავშირებით აღნიშნული გვაქვს: „ხალხური ტექსტის შექმნის თარიღის დასადგენად ენობრივ მონაცემებს ვერ დავეყრდნობით, რადგანაც ცოცხალი მეტყველება ვაქვავებული ფორმებით არ ხასიათდება.“ ზოგ შემთხვევაში, ლექსის მეტრს, კილოსა და რიტმსაც აქვს მნიშვნელობა მისი წარმოშობის დროის დასადგენად. ამ მხრივ საინტერესოა შალვა-შაველგოს საფერხულო სიმღერები. ისინი შალვა ახალციხელის თანამედროვეთაგან უნდა იყოს შექმნილი. მათი რიტმი და მეტრიც უდავოდ ძველია. საგულისხმოა, რომ ქართული ფოლკლორის შემკრებ-მკვლევართა მიერ საფერხულოს ზოგი ვარიანტი ხალხურ „ვეფხისტყაოსანთან“ არის დაკავშირებული. ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემული „ხალხურ სიტყვიერებაში“, ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტებშია შეტანილი ამ საფერხულოს ქართლური ტექსტი, ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ (თაყ., 1, 361). მართალია, თედო რაზიკაშვილს ამ ლექსის ხევსურული ვარიანტის მიმართ აღნიშნული აქვს: „ეს ტაეპი მომაგონებს „ვეფხისტყაოსნიდან“ ფრიდონის დაჭრის ამბავს“, მაგრამ დასახელებულ კრებულში ჩამწერისა თუ რედაქტორის მიერ მისი შეტანა ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტებში, სიმღერის მეტრის, კილოსა და რიტმის მიხედვით უნდა იყოს გამოწვეული. ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ კრებულში შეიტანა ამ სიმღერის ვრცელი, კა-

ხური ვარიანტი მიხ. ჩიქოვანმაყ. ტარიელიანის კრებულში მისი შეტანა მან ასე დაასაბუთა: „ჩვენ ეს ლექსი ახლხურ „ვეფხისტყაოსანს“ მოგვაგონებს და მისთვის შეგვაქვს ამ გამოცემაში“ (მიხ. ჩიქოვანი, ხალხური „ვეფხის ტყაოსანი“, 1936, გვ. 225). ჩვენამდე ლექსად მოღწეული ტარიელიანის ფრაგმენტები რიტმით, მეტრიკითა და კილოთი უდავოდ ენათესავენ შოთა რუსთაველის პოემას, — უკუდავ ქმნილებას იმ ეპოქისა, როდესაც შალვა და ივანე ახალციხელები სხვა ქართველ მებრძოლებთან ერთად უზრუნველყოფდნენ საქართველოს ძლიერამოსილებას. შალვა შავლეგოს სიმღერების მეტრი და კილო დამახასიათებელია იმ ეპოქისათვის, როდესაც ცხოვრობდნენ მისი ადრესატები. ეს გარემოება სამშობლოსათვის თავდადებული გმირების შესახებ საფერხულო სიმღერების თანამედროვეთაგან შექმნის მაჩვენებელი უნდა იყოს“ (ქსენია სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1947, მანქანაზე ნაბეჭდი, გვ. 202—205). ამგვარად თუ თედო რაზიკაშვილს ვერწმუნებით, ამ შემთხვევაში თავისებური კონტამინაციის ნიმუშთან გვაქვს საქმე. სამშობლოსათვის თავგანწირვაზე, შალვა ახალციხელის გმირობაზე შექმნილი ლექსი ხალხს შემდეგ გამოუყენებია კუთხური შუღლის—თუშებისა და ფშავლების ურთიერთ დალაშქვრის ამსახველად, რადგანაც იგი დაკავშირებია თილისმის მეთაურობით თუშების ფშავის ხეეში გალაშქრების ამსახველ ლექსს.

5

დილას რო გარეთ გამოველ,
ქალ ქორებულად კიოდა,
მე მონადირე მეგონა,
იმას კი წყლული სტკიოდა.
გულს ესეა თეთრი ისარი,
სისხლი ყიადამ სდიოდა.
სისხლი ყიადამ ნადენი
კაბის ბოლოზედ სდიოდა.
კაბის ბოლოზედ ნადენი
ბორტვს გველებურ(ა) ძვრებოდა.
ბორტვს გველებურად ნაძრომი
ქალას ლიხადა დგებოდა.

ჩაწერილი ივანე გომელაურის მიერ (შან., გვ. 491—492).
ლექსში დაპირილად ქალია წამოდგენილი. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ქალი გაჩნდა კივილთან დაკავშირებით. მთქმელი, როგორც ჩანს, კივილს აღიქვამს მხოლოდ გამომხატველად განწირულებისა და არა—ვაჟკაცური ხმის გამომხატველად. ამდენად ამ ვარიანტს დაქარგული აქვს საგმირო ხასიათი.

ო

მტრისაგან დაღონებული
მთაც ქარებულას ჰყიოდა.
მე მონადირე მეგონა,
თურმე მას გული სტკიოდა.

ივ., 1885, № 2, დართული აქვს შენიშვნა „მთაში შეკრებილთაგანიაო (შან., გვ. 492). ეს ლექსი ტრანსფორმაციის კარგი მაგალითია გ მ ი რ ს მ თ ა შენაცვლებია: ქ ო რ ს—ქ ა რ ი და ქ ე ე უ ლ ა საერთოდ წარსულში მთის მცხოვრებთა მძიმე ყოფის ამსახველად.

პ

მთაში ვაჟკაცი გაჰკივის,
დაპირილს წყლულები სტკიოდა.
მოეკლა სამოცი ლეკი,
უვაჟკაცობას ჩიოდა.

ჩაწერილი ია კარგარეთელის მიერ (შან., გვ. 492).

78. შავლეგ, შენი შავი ჩოხა

მთქმელი მინ. ნიორაძე. ჩაწერილია იმერეთში, სოფ. ზემო აჭარაში, 3. VII—36 წ. გიორგი კალანდაძის მიერ (ფ. არქ. № 9140).

ჟ

შავლეგ, შენი შავი ჩოხა,
შავათ შავიფერებია,
შენ მოგიკლამ ჩემი გული,
სხვისა გაგიხარებია.
ვაჟ-შავლეგო... შავლეგო...

ჩაწერილი შიგნით კახეთში 1939 წელს (ფ. არქ. № 22099). ჩამწერს ტექსტის ბოლო სიტყვაზე ვარსკვლავი დაუსვამს და მით სქოლიოში აღუნიშნავს შენიშვნა, რომელიც მთქმელს უნდა ეკუთვნოდეს: „ფერხულში იტყოდნენ ხოლმე“. როგორც ჩანს, შიგნით კახეთში დღემდე ფრაგმენტულად მოღწეული ძველი საფერხულო სიმღერა შერწყმია ახალ სატრფიალო ლექსს: „ჩემი გული შენ მოგიკლავს, სხვისი გაგიხარებია“. ასეთი კონტამინაცია ჩვეულებრივია ფოლკლორულ შემოქმედებაში. როგორც შენიშვნიდან ჩანს, მთქმელს მაინც სცოდნია, რომ ეს სიმღერა, რომელიც დღეს იქვე, შიგნით კახეთში შრომის სიმღერადაც ყოფილა გამოყენებული (ფ. არქ. № 22042), ძველად საფერხულო იყო.

79. რუსთაველისადმი მიძღვნილი ტურნირი

მეგრ., გვ. 38—40.

80. შოთა რუსთაველის გინაობა

მთქმელი სოსო ბალახაძე, 24 წლის. წითელ არმიაში ნამყოფი. ჩაწერილი მესხეთში სოფ. ქილადაში 1937 წ. ნიკო ტატიშვილის მიერ (ფ. არქ. № 13001).

81. შოთა რუსთაველი და თამარ დედოფალი

მთქმელი პარასკევა მურჯიკნელი. ჩაწერილი მესხეთში სოფ. ბარალეთში 1938 წ. გიორგი გოგოლაძის მიერ (ფ. არქ. № 13528).

82. შოთა რუსთაველი და მისი ცოლი

პირველად დაბეჭდა ანტონ ფურცელაძემ 1886 წ. ტექსტი დაშუშავებულია, ამავე სახით იგი დაიბეჭდა 1899 წ. არაბი აბდულას შესახებ ანტ. ფურცელაძე შენიშნავს: „შეიძლება ეს არაბი მონაც არ იყო. მხოლოდ ხალხის პირში გადაკეთებულა მონად. ეს უფრო მით არის საფიქრებელი, რომ მაშინ არაბნი იყვნენ ძლიერნი და გონებითაც განვითარებულნი. ამის გამო მათი მონად ყოფნა ქრისტიანებში უფრო საფიქრებელი არ არის“. ეს თქმულება შეტანილია მხ. ჩიქოვანის წიგნში „ხალხური ვეფხისტყაოსანი“ და მეგრ. გვ. 42—48. თქმულების მოტივი მოღალატე ცოლისთვის საყვარლის თა-

ვის ყელზე ჩამოკიდების შესახებ ცნობილია ქართულ საზღაპრო ეპოსში (ელ. ვირსალაძე, რჩეული ხალხური ზღაპრები, 1, 1949, გვ. 431—433 და სხვ.) ეს მოტივი გამოყენებული აქვს სულხან-საბა-ორბელიანს (იხ. „სიბრძნე სიცრუისა“, სოლ. იორდანიშვილის რედ., 1938, გვ. 109, არაკი „ჯიზი გურგენ“).

საგულისხმოა გადმოცემის ადგილი, რომლის მიხედვითაც შოთა რუსთაველმა იერუსალიმს „დაასრულა თავისი დღენი“. სხვა გადმოცემის მიხედვითაც დიდმა პოეტმა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სამშობლოს გარეთ გაატარა „შოთა რუსთაველის ვინაობა“, „შოთა რუსთაველზე“ (ფ. არქ. № 13046 და სხვ.). ზეპირსიტყვიერების ცნობა რუსთაველას იერუსალიმში ყოფნისა და გარდაცვალების შესახებ დღეს უკვე უდავოდ უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებით საგულისხმოა ის შედეგები, რომელიც მიღებულია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1960 წლის ოქტომბერში შოთა რუსთაველის საფლავისა და სურათის შესასწავლად მივლინებული სამეცნიერო ექსპედიციის მიერ. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ აკადემიკოსები აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი, ხელმძღვანელი იყო პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე (შოთა რუსთაველი ჯვარის მონასტერში, „კომუნისტი“, № 272, 1960, 22 ნოემბერი).

ბ

შოთა რუსთაველი

შოთა რუსთაველი იყო გვარად მესხი და რუსთაველი იმიტომ არის, რომე სადაც ცხოვრობდა, იქანა სახლის ახლოს რუ ჩამოდიოდა. შოთას ცოლს ნაყვარება თავის მოახლე არაბი. შოთამ იმ დროს მიუსტრო ცოლს, როცა ფეციცებოდა არაბს, რომე შენ თავს ვერვინ მომაცილებსო.

მივიდა შოთა, მოკლა არაბი, მოკრა თავი და ცოლს ჩამოკიდა გულზე ტყავში გამოხოული, რომე არ მოგცილდეს სიკტილამდო. მერე მივიდა თამარ მეფესთან და უთხრა: ამისანა საქმეს რომ კაცი ჩაიდნეს, რა ეკუთვნის მასო.

თამარმა უთხრა:—ამისანა კაცი უდაბნოში უნდა წავიდეს და შეინანიოს ცოდვაო.

ადგა შოთა და წევიდა უდაბნოში. იყო იქ რამდღე არ მოკტა.

მთქმელი ფოტინე გძელიძე. ჩაწერილი იმერეთში, ს. ობჩაში, 21. VII—44. ქეთ. ბურჯანაძის მიერ.

შოთა რუსთაველი.

შოთა რუსთაველი, ძალიან ნაქები მელექსე ყოფილა, გლეხის შვილი. პატარაობისას რუსთავის ტყიან მთებში ცხვარს აძოვებდა. ათი წლისაც არ ყოფილა, რომ დაობლებულა: მამა მოკვდომია. მალე დედაც მოკვდომია და დარჩენილა სულ ობლად.

შოთა რუსთაველს დედა ძალიან უყვარდაო და რომ გაიგო დედის სიკვდილი (მამინ ის ცხვარში ყოფილა), ჯავრისაგან ლამის გაგიჟებულა, თურმე, გაქცეულა და მტკვარში (მტკვარი რუსთავის ახლოს ჩადის) უნდა დახრობილიყო, მაგრამ თურმე იმის ბედზე ვარძიიდან ბრუნდებოდა თამარ დედოფლის მამა, შესცოდებია საწყალი ბავშვი და დახრობას გადაურჩენია. წაუყვანია და თითონ გაუზრდია თავის ერთადერთ შვილთან თამარ დედოფალთან.

თამარ დედოფალს და შოთა რუსთაველს პატარაობისასვე ერთმანეთი ძალიან ჰყვარებიათ და ცოლქმრობის პირობაც გამოუტყხადებიათ ერთმანეთისათვის. მერე როცა თამარ დედოფლის მამა მამკვლარა, ტახტი იმისათვის მიუცია. ქალი რომ იყო, დიდუკებმა კრება გამართეს და სთხოვეს: მოდი ქმარი შეირთე, აგრე როგორ იქნებაო.

იმნაც უთხრა, რომ არა, მე უქმროდ უნდა დავრჩეო. ხალხმა არა ქნა, როგორ იქნება ეგაო. მაშინ თამარ დედოფალმა შინაურებს ჩუმად გააგებინა, რომ აგრე იმიტომა ვთქვი, რომ მე საქმრო მყამსო, რომელიც მთელ საქართველოს გაუძღვებაო და შოთა რუსთაველი დაუსახელა.

ეს რომ გაიგეს, ძალიან გაუწყრნენ: როგორ გაბედე ვილაც ობოლი გლეხის შვილის ქმრად არჩევაო. ეგ აღარ გაბედო, თორემ ტახტიდან შენც ჩამოგაგდებთო. რალას იზამდა: ბევრი იდარდა, მაგრამ ამით რას უშველიდა თავს.

შოთასაც ძალიან რომ უყვარდა თამარ დედოფალი, ეს ამბავი იმასაც ძალიან ეწყინა. მაშინ თამარ დედოფალმა თავისი ლამაზი მოახლე (ხალაილი) შერთო ცოლათ. შოთა რუსთაველი ამაზე ძალიან შეწუხდა, დაჰქნა, გახდა და სიკვდილის ფერი დაედო.

თამარ დედოფალი იმის ცოლზე ძალიან ლამაზი იყო და როცა დაინახამდა, იტყოდა: რა დავკარგე და რა ვიშოვნეო.

შოთა იყო თამარ დედოფლის კარის კაცი. რაკი თავის თავს დაატყო, რომ უთამაროთ ვერ გასძლებდა, ნება სთხოვა, გამიშვი, არაბეთში წავალ, აქ მამბეზრდაო. თამარ დედოფალმა იწყინა ესა და უთხრა: მერე შენ მაგიერობას ვინ გაგვიწევსო. ვიღამა გვითხრას „ქებანიო“. მაგრამ შოთამ მაინც არ დაიშალა და წავიდა არაბეთში. ცოლი უნდოდა აქ გაეშვა. თამარმა გაუგო ესა და უთხრა: თუ ჩემი ხათრი გაქვს, ეგ ქალიც წაიყვანეო. რაღას იზამდა. იმის ხათრისთვის ცეცხლშიც ჩავარდებოდა. წაიყვანა ცოლიც და წავიდა არაბეთში.

იქ სულ ნადირობაში ატარებდა დროს. და გულს იმით იყოლიებდა. ლექსებსაც წერდა, ერთი დიდი წიგნი დაწერა „ვეფხისტყაოსანი“. ცოლი სულ შეიძულა და აღარც კი აგონდებოდა.

ერთხელ შოთა რომ სანადიროდ იყო წასული, იმის ცოლს ერთი ეარგი ვაჟკაცი არაბი შეუყვარდა და ღამეს იმასთან ატარებდა. როცა შოთა ნადირობიდან დაბრუნდა, არაბს ცოლზე მოუხსწრო. თუმც არ უყვარდა ცოლი, მაგრამ მაინც იწყინა ესა: არაბმა როგორ უნდა გადამქელოსო. იძრო ხმალი და ეს ლექსი სთქვა:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
ვიწრო გზა, ვერცა კლდოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა.
სიკვდილი სახელოვანი“.

ეს თქვა თუ არა, ცოლიც და არაბიც იქვე აჩეხა. ადგა იმ ღამესვე გამოიპარა საქართველოში. თამარ დედოფალიც აღარ ნახა. გულმოსული იყო. ბერათ შევიდა ერთ საყდარში. მერე ბევრი აღარ უცოცხლია. მოკვდა და ბერებმა იმავე საყდარში დაასაფლავეს.

მთქმელი ბასილ გოგოლაძე, 72 წლის, შ. კ. უცოდინარი. ჩაწერილი მესხეთში სოფ. ბარაღეთში 1937 წ. გ. გოგოლაძის მიერ (ფ. არქ. № 12997).

დ

შოთა და თამარი

გიორგი მეფის სასახლეში რომ თამარი და შოთა ერთად იზრდებოდნენ, ერთმანეთი შეჰყვარებიან და ბავშობაშივე შეთანხმებულან, რომ ცოლ-ქმარი გახდებოდნენ.

თამარის მამა გარდაიცვალა. ტახტი მეფის ასულს ჩააბარეს. დიდებულებმა დედოფლის გათხოვება გადაწყვიტეს. თამარმა გლე-

ხე შოთას სიყვარული კერ გაამხილა და დიდებულებს უბასუხა, არ ვთხოვდებით.

დედოფალს რომ ისევ და ისევ გათხოვება დაუპირეს. თამარმა განაცხადა, რომ საქმროდ მას შოთა ჰყავს არჩეული და საქართველოს ის წარმართავს.

შესწყრნენ დედოფალს: ობოლი გლეხის შვილის ქმრად არჩევა როგორ გაბედო. დაემუქრნენ კიდევ, ტახტს დაგაკარგვინებთო.

დედოფალმა ბევრი იდარდა და შოთაც მისი სიყვარულით იტანჯებოდა, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს...

თამარმა შოთას თავისი ლამაზი (მსახური) შერთო, შოთა რუსთაველი ძლიერ შეწუხდა. დაჰკნა, გახდა და მკვდრის ფერი დაედო. თამარი შოთას ცოლზე ლამაზიც იყო. შოთა თამარის დანახვაზე ამბობდა, ვინ დავკარვე და ვინ ვიშოვნეო!

შოთა თამარის კარსკაცობას განაგრძობდა. დარწმუნდა, რომ თამარის ხილვას ვეღარ უძლებდა და დედოფალს სთხოვა, გამიშვი, არაბეთში წავალო.

დედოფალმა ეს იწყინა და ისიც უთხრა, შენ მაგივრად ვინღა გვითხრას ქებანიო.

შოთამ მისი არ დაიშალა, ცოლის თამართან მიტოვებას აპირებდა. თამარმა ესეც გაიგო და უთხრა, რომ არ გიშვებო, მაგრამ თუ მაინც წახვალ და ჩემი ოდნავ ხატრი გაქვს, ცოლი თან წაიყვანეო.

ასეც მოხდა, არაბეთში შოთა ნადირობდა. ან—„ვეფხისტყაოსანს“ წერდა, ცოლს ყურადღებას აღარ აქცევდა.

ცოლმა ერთი ვაჟკაცი არაბი შეიყვარა. ერთხელ შოთა ნადირობიდან მოულოდნელად დაბრუნდა და ღამით ცოლთან არაბს შეასწრო.

შოთამ ხმალი იძრო და ეს ლექსი თქვა:

„ვერ დაიჭირავეს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი“.

ცოლი და არაბი იქვე განგმირა და იმ ღამესვე საქართველოსაკენ გამოსწია.

თამარ დედოფალი აღარ ნახა, შედგა ბერად და მალე გარდაიცვალა კიდევ. ბერებმა ის იმავე საყდარში დაასაფლავეს. სადაც შოთა ბერად იყო შემდგარი.

(შეგრ., გვ. 51—52).

83. შოთა რუსთაველზე

მთქმელი იაკობ მექოშვილი, 37 წლ. დაბადებული ხიზაბავრა-ში. ჩაწერილი ს. ტოლოშვი მიხ. ჩიქოვანის მიერ. 1937 წ. (ფ. არქ. № 13003).

ბ

სარგის თმოგველი და შოთა რუსთაველი

სარგის თმოგველი, რომელთანაც ხშირად მიემგზავრებოდა შოთა რუსთაველი სოფელ ნიჭგორში, ყოფილა მთავარი ნიჭგორისა და მას ყოლია ერთი ქალი. როცა შოთა რუსთაველი თმოგველისაკენ მინავალა, უნახავს ეს ქალი და მოსწონებით ამათ ერთმანეთი, მოსწონებით და პირობაც დაუდევიათ. ეს ამბავი როცა თამარმა გაიგო, ძალიან ეწყინა, რატომ შენ ეგრეთი საქმე დაიჭირეო.

ამის გამო შოთამ ვარი უთხრა ნიჭგორელ ქალს ცოლად თხოვნაზედ.

ერთხელ შოთა რუსთაველი როცა თმოგვიდან მოემგზავრებოდა, ამ დროს გადმოუდგა გზაზე ეს ქალი და უნდა მოეკლა შოთა. მაშინ შოთამ არ გამოიმეტა და არ მოკლა, არ შემეტები, სასიკვდილოთაო. მერე გასწია შოთამ თამართან და თამარს უთხრა, აგრეთი საქმე რათ ჩამაღწინეო.

მთქმელი მ. ანანიაშვილი 78 წ. კოლმეურნე, ჩაწერილი ახალქალაქის რ. ს. კოთელიაში, 1936 წ. მიხ. ჩიქოვანის მიერ (ფ. არქ. № 13050).

ბ

შოთა რუსთაველის საცოლო

შოთა თურმე დანიშნული ყოფილა მუსთან ახლო მდებარე სოფელ ქალზე (ამ სოფლის ახლა ნანგრევებია). „ვეფხისტყაოსანი“ რომ უწერია შოთას, დიდი ხანი დასჭირებია.

შოთა სადაც იჯდა, იქიდან ჯაპყურებდა საცოლოს სოფელს და იმ მხრიდან სინათლე შემოდებოდა.

საცოლო ფიქრობდა, რაშია საქმე, რატომ იმ ოთახში მუდამ სინათლე არისო. ეს ქალი ერთ ღამეს ჩაიცვამს კაცურ ტანისამოსს და

შივა კარგებზედ ჩუმათ. ქალს ეკვი ჰქონდა შოთაზე. ოთახში დაინახავს, რომ შოთა მაგიდას უზის და გართული სწერს. ამ დროს ქალი დაუჟაკუნებს—კარგებს მიადგება.

შოთა კარზე ხმაურს გაიგონებს, იფიქრებს, ქურდი მოვიდაო და დაედევნება. ეზოში წამოეწევა და იარაღით მოჰკლავს. როცა ახლოს ნახავს, იცნობს, რომ მას თავისი საცოლო შეყვარებული მოუკლავს. მაშინ შოთა რუსთაველი ფიცს სდებს, რადგან მე ეს შემემთხვა, არასოდეს არ ვიქორწინებო და არც უქორწინებია.

მთქმელი მიხ. ინსარაძე. ჩაწერილი სოფ. ანდროწმინდაში 1937 წ. მიხ. ჩიქოვანის მიერ (ფ. არქ., № 13729).

84. შოთა რუსთაველზე

მთქმელი არტემ მელიქიძე. ჩაწერილი 1937 წ. ახალციხის რ. ს. ტოლოშში მიხ. ჩიქოვანის მიერ (ფ. არქ. № 13046).

ბ

85. შოთა რუსთაველის თვითმკვლელობა

მთქმელი თეკლე ლაზარაშვილი—62 წლის. ჩაწერილი 1937 წ. ახალციხის რ. ს. კოთელიაში მიხ. ჩიქოვანის მიერ (ფ. არქ. № 13057).

86. შოთა რუსთაველზე

მთქმელი მიხ. ინსარაძე, 36 წლის. გაუგონია ნიკოლოზ ინსარაძისაგან, რომელიც ჩაწერის დროს უკვე გარდაცვლილი ყოფილა. ჩაწერილი მესხეთში, სოფ. ადროწმინდაში 1936 წ. მიხ. ჩიქოვანის მიერ (ფ. არქ. № 13040).

ბ

ბიძაჩემის ნაამბობი

დედაჩემი არის სოფელ ხიზაბავრიდან. პირველად გათხოვილა სოფელ ბნელას, როცა პირველი ქმარი მოკვდომია, მეორეთ გათხოვილა უდღეში მამაჩემზე პავლეზე. სწორედ დედაჩემის ძმისაგან აღექსი ტატურიშვილისაგან აქ, უდღეში მე გამოიგონია შოთა რუსთაველზე შემდეგი:

თითონ შოთა რუსთაველი დაბადებულია სოფელ რუსთავეში. შვიდი წლისას დედ-მამა მოკვდომია. შვიდი წლის ყმაწვილი აღსა-

ზრდელად წამოუყვანიათ ვარძიის მონასტერში. ბერებს იქ მისთვის უსწავლებიათ. როცა შოთას საქართველოში გაუთავებია სასწავლებელი და მეტი აღარ ყოფილა სკოლა, მერე გაუგზავნიათ ათინაში. ათინაში შოთას გაუთავებია იქაური სასწავლებელი, რის შემდეგ იქიდანვე წასულა სპარსეთში. სპარსეთშიც გაუთავებია სპარსულად უმაღლესი სასწავლებელი. ამის შემდეგ შოთა დაბრუნებულა საქართველოში. ამ დროს თოთხმეტი წლის გამეფებული ყოფილა თამარ მეფე. თამარ დედოფალს თვითონ მიუწვევია შოთა რუსთაველი და მიუღია ვეზირათ. ამის შემდეგ შოთას დაუწერია ვეფხისტყაოსანი. ასე მოგვითხრობდა ბიძაჩემი შოთა რუსთაველის ცხოვრებას. ბიძაჩემი კიდევ უმატებდა, რომ შოთას უყვარდა თამარიო, მაგრამ რადგან ვაზირს დედოფლის შერთვა არ შეეძლო, ამისათვის სხვა ქალი შეიყვარა და ის ითხოვა ცოლადაო. მაგრამ ამ ქალმა შოთას უღალატაო. ამის გამო შოთა რუსთაველი გადადგა ვაზირობიდანაო და წავიდა იერუსალიმში ბერადაო.

მთქმელი გიგო თუმანიშვილი. ჩაწერილი ს. უღეში 1936 წ. მის. ჩიქოვანის მიერ (ფ. არქ. № 13049).

87. სტუმრად კახაბერთან

(მეგრ. გვ. 40—42).

ბ

თამარ დედოფალი და შოთა რუსთაველი

თამარ მეფე წამევიდა რაჭაში და ესტუმრა მაჩაბელს (ისიც ნეფე იყო). თამარმა უთხრა, რომეო ამ შენ ქალიშვილს და ამ მსახურს უყვართ ერთმანეთი და მოდი, შევრთოთ ერთმანეთს ცოლქმრადო. იწყინა მაჩაბელმა მაგი გლეხი კაცია და რავე მივცემ მაგასო ჩემ ქალსო, რავე მკადრე მაგიო?!

—ვარდი რომ გამევიდეს ნაკელ ადგილში, არ მოწყვიტავო? იგი მაინც ვარდი იქნება და დეიკავებ ხელშიო! უთხრა თამარმა.

—კიო, მარა ნაკელის სუნი ედინება მაინცო, უთხრა მაჩაბელმა.

ამ დროს შოთა რუსთაველი არის მოსული ისპანიდან. — რას შობაო თავად-აზნაურობა იქო? კითხა თამარმა შოთას.

— რას იზამსო, უთხრა შოთამ—ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობაო.

თუ კაცი თითონ არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობაო.

ჩაწერილი იმერეთში, ს. ობჩაში, ქეთ. ბურჯანაძის მიერ 1940 წ.

8

შოთა რუსთაველისა და თამარ დედოფლის შესვენრა ჩორჩინში

სოფელ ჩორჩინში თამარი და შოთა მჭდარან ერთად სადილო-
ბაზე. საუბარში თამარს უთხრობია შოთასათვის: კაცი ზრდილობით
დაფასდება, თუ გვარიშვილობითო?

ამაზე შოთას უპასუხებია:

ათასად კაცი დაფასდა,
ათიათასად ზრდილობა.
თუ კაცი კაცად არ არის,
ცუდია გვარიშვილობა.

მთქმელი პავლე ბაბოშვილი 59 წ. ჩაწერილი მესხეთში 1937 წ.
ილია მაისურაძის მიერ (ფ. არქ. № 13041. დაბეჭდილია, ს. მაკალა-
თია, მესხ.-ჯავ., გვ. 130-131)..

88. რატომ სთქვა შოთამ ესე ამბავი სპარსული

მთქმელი მეზარბიშვილი. ჩაწერილი ს. უდეში, 1937 წ. მიხ. ჩი-
ქოვანის მიერ (ფ. არქ. № 13048).

89. ქალის მეფობა შოთამ დააკანონა

მთქმელი არტემ მელიქიძე. ჩაწერილი 1937 წ. ახალციხის რ. ს.
ტოლოშში მიხ. ჩიქოვანის მიერ (ფ. არქ. № 13045).

90. რაზე სთქვა შოთამ ლეკვი ლომისა სწორია

მთქმელი ექვთ. თოთაძე, 75 წ. ჩაწერილი მესხეთში, სოფ. ჩუნ-
ჩხაში 1937 წ. ნიკო ტატიშვილის მიერ (ფ. არქ. № 13010).

91. რუსუდანნი

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ (თაყ., 1. გვ-
177). ლექსი შექმნილი უნდა იყოს თამარ მეფის ქალის რუსუდანის

შესახებ და უნდა ასახავდეს ქალაქდონის შემოსევას საქართველოში.

92. როს იმრა ცა და ქვეყანა

საფერხულო სიმღერაა. ჩაწერილია რაქაში, ს. გლოლაში 1953 წ. ელენე ვირსალაძის მიერ. მთქმელი 92 წლის მოხუცი გაბრიელ ბაკურაძე დაბეკდილია კრებულში „სახალხო მთქმელები“, 1956, გვ. 78. ელ. ვირსალაძის ცნობით, „გაბრიელ (გაბო) ბაკურაძე განთქმულია მთის რაქაში, როგორც ძველი ამბების კარგი მცოდნე. იგი წარსულში კარგი მომღერალი და მოცეკვავე ყოფილა“ (იქვე, გვ. 67). ლექსში ასახული უნდა იყოს რუსუდანის მეფობისას თათართაგან ძლეული ხვარაზმის შაჰის ქალაქდონის მრავალრიცხოვანი ჯარის შემოსევა საქართველოში („ქართლის ცხოვრება“, ბროსეს გამოცემა, გვ. 350--351), სტრიქ. 16 ზევ. შ ი რ ა ქ ი ნათქვამია შ ი კ რ ი კ ი ს მნიშვნელობით. ლექსში მოხსენიებული „ხვარაზმეთისა ჯარი“ უნდა ნიშნავდეს „ხვარაზმის ჯარს“. აღსანიშნავია, რომ 1875 წ. რაქაში ჩაწერილი ამ ლექსის ვარიანტი იწყება ხვარამ მეფის ლაშქრის შემოსევით (უმიკ., გვ. 568).

93. გელოვანების მოციქულების მოკვლა

ჩაწერილი ლენჯერში 15. 111--1924 წ. სები გულედანის მიერ. გაგონილი კალელებისაგან (სვან., გვ. 24—25). ტექსტი სვანურიდან ქართულად თარგმნა შერმადინ ონიანმა. თუ გადმოცემას დაუჯერებთ, ნაწარმოები უნდა ასახავდეს 14—15 საუკ. ამბავს, როდესაც გელოვანი ბატონობდა სვანეთში (ძვ. ახ. სვ., გვ. 60).

ბ

თაჰი და გელოვანი

გელოვანი სახლობდა აქ, ლალხორში, მეორე მოსახლე—ფროლში. მათ დედას, ცხრა შვილისას ერქვა თაჰი. გადაემტერენ ერთმანეთს გელოვანი და ეს ცხრა ძმა. ყველანი ამოხოცა გელოვანმა და შემდეგ თითონ გადასახლდა ლაშხეთში. შერიგდნენ. მაშინ ექედან (ლაშხეთიდან,—შ. ო.) გელოვანმა თამის გამოუგზავნა მოციქული. მას ერქვა თვე: „მოდით და საჩუქარს მოგცემო“.

მოემზადა თამი და გაყვა. გზაზე ერთგან ტყის თავში დაისვენეს. ისეთი სასმელი დააღვინა თამიმ თვეს, რომ იმავე წუთში დაიძინა და ვერაფერი გაიგო. თამის თურმე ჩუმად ნაჯახი ჰქონია შენახული, აიღო და თავი გაუხეთქა. თვე დატოვა იქვე მკვდარი, თითონ დაბრუნდა კალაში: „ერთი შვილის სამაგიერო ეს იქნება“.

ამაზე ლექსი გამოთქვეს: „გელოვანი გახელებული, თამი გადაკრული და თვე დაბეგვილი“.

მთქმელი ვიჩნაშელი გიორგი ხარაზიანი, 46 წლის. ჩაწერილი კალაში 19. VII—1927 წ. ვ. თოფურის მიერ (სვან. პრ., გვ. 24). პირველი ვარიანტისაგან განსხვავებით ამ ვარიანტში გელოვანის მოციქულად ერთი კაცია გამოყვანილი და ქალს ეწოდება არა ს ა ნ დ უ ზ ე ი, არამედ თ ა მ ი. ეს ვარიანტიც სვანურიდან ქართულად თარგმნა შერმაღინ ონიანმა.

8

გელოვანს არ ემორჩილებოდა სოფ. იფარში მცხოვრები ვიდაც ავი ქალი დულმაზი, რომელსაც ცხრა ვაჟიშვილი ჰყოლებია, რისთვისაც ყველა მისი შვილები გელოვანს დაუხოცია. ბოლოს გელოვანს მოუხდომებია დულმაზის მოსპობაც, გაუგზავნია მისთვის ლაშხეთიდან მოციქულად თავისი კარისკაცი თვეი, და დაუბარებია შესარიგებლად ლაშხეთში. ეს დულმაზი თვეისთან ერთად გაემგზავრა ლაშხეთში გელოვანთან. ლატფარის მთაზე რომ გადადიოდენ, შეისვენეს სადილის საქმელათ. ამ სადილობის დროს გელოვანის მოციქულს თურმე ისეთი სიტყვა წამოსცდა, რომ დულმაზი დაექვიანდა გელოვანის მისდამი გულწრფელობაში, ამიტომ მან გელოვანის კაცი ისე დაათრო თავის არაყით, რომ მას უგრძნობლად იქვე მიეძინა. დულმაზმა მძინარ კაცს ნაჯახი დაჰკრა და ტვინი დაანთხევინა...

(ძვ. ახ. სვ., გვ. 61). ტექსტს თან ახლავს შენიშვნა: „ეს ამბავი დაწერილი აღმოჩნდა ერთ პატარა ფიცარზე, რომელიც ინახებოდა კალის წმ. კვირიკეს მონასტერში. ეს წარწერა წაუკითხავს მღვ. ფარიშვილს აზნაირად „დულმაზ ლუფეთეუ კადა ლშერე. თვეი ლუთოლე ლუგრალ ლუსკორე“. ქართულად რომ გადავთარგმნოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ავს დულმაზს გაღესილი ნაჯახით თვეისთვის თავი გაუჰქეპია და სხვ.“ იქვე. ამ ვარიანტში წინა ვარიანტებისაგან განსხვავებით აღნიშნულია გელოვანის მოციქულის სახელი თ ვ ე ი და ქალს ეწოდება დ უ ლ მ ა ზ ი.

გადმოცემის ვარიანტები განსაკუთრებით, იმით არის საინტერესო, რომ ასახავენ ფეოდალების ბრძოლას თავიანთ სამფლობელოს გასაფართოებლად, რასაც ადგილი ჰქონდა ზემო სვანეთშიც.

94. ყველგან თოვს

ჩაწერილი ზემო სვანეთში, მულახში ა. შანიძის დავალებით, ხოლო მეორე ნაწილი—უშგულში ვ. თოფურიას მიერ მურუმედელ პართენ ჩარქსელანის თქმით, 16. VII—1927 წ. (სვან., გვ. 115, 117). როგორც შენიშვნიდან (გვ. 417) ჩანს, ტექსტი შედგენილია ორი ჩანაწერის მიხედვით.

ლექსის რეალური საფუძვლის დასადგენად საინტერესოა გადმოცემის უფრო სრული ტექსტი, რაც სამწუხაროდ უშუალო ჩანაწერს არ წარმოადგენს:

„დადეშქელიანებმა მოინდომეს თავისუფალ სვანეთზე გაბატონება, მაგრამ თავისუფლებას შეჩვეულ სვანებს ქედი ვერ მოახრევიანეს; უშგულელებმა მოჰკლეს ჯერ ყვარყვარე და მერმე ფუთა დადეშქელიანი. ხალხს უნდოდა, რომ ფუთას მოკვლა ერთ ვისმეს არ დაბრალებოდა, მასიური ხასიათი მიეცათ და ამიტომ მოაგროვეს თურმე თითო მარცვლი თოფის წამალი. ყველამ თავიანთ თოფების ტყვიას ჩამოთალა და მისგან გააკეთა ფუთა, მოსაკლავად ერთი ტყვია. ამ ტყვია-წამლით გატენილი თოფი შეიტანეს უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში და ტუჩი იქითკენ უქნეს, საიდანაც მოელოდნენ ფუთას მოსვლას. თოფის გასროლაშიც რომ ყველას მიეღო მონაწილეობა, თოფს ჩახმანზე გამოაბეს გრძელი ბაწარი და ამის შემდეგ უშგულელებმა გაუგზავნეს კაცები ფუთას მოსაპატიებლად.

ფუთა არ ენდო მოციქულებს და არ დაყაბულდა წამოსვლას მანამ, სანამ არ გაუგზავნეს უშგულის უფროსის შვილი და ოცი კაცი მძევლებად. ამის შემდეგ ის თავის ამალით ესტუმრა უშგულელებს.

სადილზე ფუთას მარჯვნივ მოუსვეს უშგულის უფროსი ნასყიდა ნაგვაშერებისა, ხოლო მის მხლებლებს ორ-ორი უშგულელი, როცა წინასწარ მოლაპარაკების თანახმად ნასყიდამ სთქვა: „ბიჭებო, ეხლა წითელი ღვინო დაგვალევინეთო“, მაშინათვე ეკლესიის გალავნიდან გავარდა თოფი, რომლის ტყვიამ ფუთა გამოასალმა წუთისოფელს. დანარჩენი უშგულელები ფუთას მხლებლებს დაესივნენ და სულერთიანად ამოხოცეს ისინი. გადარჩა მხოლოდ ერთადერთი

კაცი, მაგრამ სოფ. ქიბრიანში მას კოკიჩაშერების ქალები დაესივნ და ისიც მოჰკლეს. გაშლილი სუფრა, სადაც ბლომად ეწყო ხორცი, პური, ხაჭაპურები, სისხლით შეიღება. უშგულის ღვთისმშობელს ეწყინა ეს ამბავიო, ამბობს ერთი გადმოცემა და დასაჯა უშგულელები იმითი, რომ სამი წლის განმავლობაში არც ერთი ძროხა არ დამაკებულა და ერთი წვეთი რძე არ გამოუწველიაო.

შეწუხებულმა უშგულელებმა ღვთისმშობლის წინ მუხლი მოიღრიკეს, მსხვერპლი შესწირეს და აღუთქვეს, რომ ახალწლიდან მოკიდებული პეტრე-პავლობამდე ყველს გარეთ არ გამოვიტანთო, რასაც დაარქვეს მ ა ხ ო რ ვ ა და ამ აღთქმას ისინი დღემდეც გაუტეხელად ასრულებენ.

ფუთას ცოლმა, ასე ვერაგულად მისი ქმრის მოკვლის ამბავი რომ გაიგო, სთხოვა უშგულელებს, მოკლულის გვამი მაინც დაენებებინათ, მაგრამ სანამ მძევლად დატოვებული უშგულეს უფროსის შვილი და მისი ამხანაგები არ გაანთავისუფლებინეს, მანამდე ფუთას გვამის და მისი მხლებლების გასვენების ნება უშგულელებმა არ მისცეს. ფუთას ტანისამოსი და იმ ბაწრის ნაჭერი, რომელიც თოფის ჩახმახს გამოაბეს მის მოკვლის დროს, დღემდის შენახული აქვთ უშგულელებს უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიაში ვითარცა ისტორიული ნაშთი.

ფუთას მოკვლას დღემდე იხსენიებენ სვანები სიმღერაში:

ყველგანა სწვიმს, ყველგანა სთოვს,

თეთრს ეცერს მზე ანათებს,

უშგულელებო მხეცებო, უშგულელებო დეკებო,

რატომა სცემთ ბატონ ფუთას,

ფუთას-თმა გაშლილსა და ტყვიით გაფლარათებულს.

(ძვ. ახ. სვ. გვ. 65—66).

95. ორწი მშა კიბოლანი

(ვიციბილ-მაცბილი)

ჩაწერილი ბეჩოში 3. V—1923 წ. აკ. შანიძის მიერ (სვან., გვ. 75—79).

ამ საფერხულო სიმღერასთან დაკავშირებულია გადმოცემაც, რომლის მიხედვითაც „დადუშქელიანებმა მოისყიდეს რიჩგვიანების კარისკაცი, ვილაც კ ი ქ ვ ლ ი დ ი, რომელმაც ისე მოხერხებულად მოაწყო საქმე, რომ ყველა რიჩგვიანები ერთ დღეს შეაწყდა ერთ-

მანეთს, გადარჩა მხოლოდ ორი კაცი—ახლავი და ხაუთი. ისლამს ახარეს ეს ამბავი და მან სინარულისაგან საფლაგში სამჯერ იმისთანა ამოიხვნეშა, რომ ქურაშის საყდრის კედლები შეინძრა და ერთი მათგანი კიდეც გასკდაო“ (გვ. ახ. სვ., გვ. 62—63). შემდეგ გადმოცემულია სიმღერის ვიციბილ და მაცბილის მოკლე შინაარსი. ქვემოთ ვკითხულობთ: „ის ორი კაცი, ახლავი და ხაუთი, რომლებიც შემთხვევით გადარჩნენ უბედურებას, გაიქცნენ ს. მესტიაში და წმ. გიორგის ეკლესიას შეახვეწეს და შეაბეს ერთი ხარი. მესტიელებმა ისინი მიიღეს და თავის მფარველობის ქვეშ ს. ლაღამში დაასახელეს, მაგრამ მალე აქ კაცი შემოაკვდათ და ამიტომ ყაბარდოში გადინხვეწნენ, სადაც დღემდე განაგრძობს არსებობას მათი შთამომავლობა“ (იქვე, გვ. 63). ვარაუდით სორთმან დადგეშქელიანი. რომელზედაც ლაპარაკია სიმღერაში, მე-XVI საუკუნეში უნდა ყოფილიყო (იქვე, გვ. 133). ამასთან დაკავშირებით ჩვენ აღნიშნული გვაქვს: „სვანების გადმოცემით, სორთმან დადგეშქელიანი თითქოს XVI საუკუნეში განაგებდა ბეჩოს ხევს თუ ეს მართალია, მაშინ ამ საფერხულო ბალადაში მე-16 საუკუნისათვის დამახასიათებელი ბატონყმობის ერთი მწკავე მემენტია ასახული. რა თქმა უნდა, ეს საკითხი გადაჭრილად არ მიგვაჩნია. ჯერ კიდევ საძიებელი და დასადგენია, როგორც ამ საფერხულო ბალადის, ისე ფუთა დადგეშქელიანისა და იფარელი ქალის დულმაზის შესახებ არსებული თქმულებების რეალური საფუძველი და შექმნის თარიღი“ (ნარკვ., გვ. 143).

ბ

ვიციბილ-მაცბილი

ვსახლობთ ლატალელების ბოლოს,
 სახლობას არაეინ გვაცლიდა.
 გადავსახლდებით ლატალელებისაგან,
 (ჩვენს) კვალს დაეტოვებთ.
 თორმეტი წელი გაგვხდომია („გაგვსვლია“),
 თბილი პური არ გვიჭამია.

თორმეტი წელი გაგვხდომია,
 სახლ-კარისთვის არ მოგვივლია;
 თორმეტი წელი გაგვხდომია,
 ტკბილი ცხოვრება არ გვქონია.
 ცოდვა ჩვენი არ გამოლოდეთ,

რად ენანებოდათ ცოლები ჩვენთვის?
ქალი სხვაგანაც ბევრი ეშოვებოდათ,
რად უნდოდათ ჩვენი ცოლები?

სამი წელი გაგვხდომია,
ტყვია-წამალს ვემზადებოდით;
სამი წელი გაგვხდომია,
ეცერ-ცხუმარი უხნავ-უთესად დაგვიტოვებია.

თავი მოჰბეზრებიათ ეცერ-ცხუმარს,
იმ ნაბიჰვრებს, უსინდისოებს,
რად სპირდებოდათ ასე ყრუდ („მალულად“)
ოთარაანთ (დადიშქელიანების) ლაქუცი?!

ისინი არ უკადრისობენ, ნეტავი მათ,
მეტად რბილი გულის პატრონს:
თავიანთი ცოლები იქით მიჰყავთ;
მათ არ ჰრცხვენიათ, ნეტავი მათ,
თავიანთ საცემს ხელთ აძლევენ;
მათ არ ჰრცხვენიათ, ნეტავი მათ,
ოთარაანთ (დადიშქელიანების) შინაყმობა.

ჩვენ ქულები თავზე გვეხურება,
შუბლზე ჩვენ სინდისი გვაქვს,
ცოლები ჩვენი ჩვენთვის გვინდა!
ჩვენ დავიხოცებით სირცხვილისათვის!

მოგვდგომიან აღმოსავალ დასავლეთით
ბეჩო-ცხუმარა ყველა შერეული;
ქვემოური ჯარის მეთაური იქნება
ამაყი ღაღული, თეთრჩოხიანი.

დაბინავდნენ ჩვენ ქვემოთ,
გაველაპარაკე ციხიდან:

—ან გერჩიოს, ამაყო ღაღულს,
მშვიდობით წასვლა შენს სახლში,
თუ არა და ამაყ ღაღულს.

თეთრ ჩოხას წითელ-წითლად შეგიღებავთ,
შავწარბა შენს ცოლს

ეცერის ნაბიჰვრები მიუწვებიან!

ღაღული აქ შეეჯიბრა:

თოფი გაუსროლია რვა-ცხრა (ჯერ).

თოფი მოარტყა მკერდში,

თეთრი ჩოხა წითლად შეუღებეს.

ლაშქარს გული დასწყვეტია,
დამარცხებულნი უკან დაბრუნებულან.

ბეჩოს ლაშქარი მოგვედგომიან.
ჯარის მეთაური დიდი სორთმანი
დაბინავდა ზემო მხარეს.

ო, ომი დაგიწყიათ,
ვიციბილ-მაცბილს ფრჩხილს ვერ აძრობთ!

—(ვაი) დედა შენს, დიდო სორთმან,
რას გვაქნევ საბრალო ძმებს?

გასულა დრო და ხანი,
ძილი მოგივიდათ, ოჲ, დაღუპვისა:
შეგპარვიათ ექვსი ნაბიჭვარი,
ცეცხლი („საწვავი“) ქვეშ შეუღვიათ.
გააღვიძა ცეცხლის აღმა.

თოფები ჰქონდათ გახურებული („ცხელ-ცხელი“).

ო, საბრალო ვიციბილ-მაცბილ,
დღე გექნებათ უკანასკნელი!
„ის კი არა და საბრალო ძმებმა
თოფები ჩვენი გამოვცადოთ!“

გამოუხედავთ ციხის სათოფურიდან:

დიდი სორთმანი აივანზე ზის;
იქ მისი სიცილი
თორმეტ მთას იქით ისმოდა.

„ცოდვა ჩვენი ნუმც დაგლვევიათ!
რას გვაქნევდით საბრალო ძმებს?
თოფი მოურტყამთ საბრალო ძმებს?
თოფი მოურტყამთ შუბლში,
დიდი სორთმანი გაუგორებიათ.

სორთმანს სული ჰხდება,
ძმებს ციხე ენგრევათ;
სორთმანს სული ამოხდომია,
ძმებს ციხე დანგრევიათ.

ჩაწერილი ეცერში სოფ. ისკარში 8. VIII—1927 წ. ვ. თოფუ-
რიას მიერ. მთქმელი მულახელი (ქოლაშელი) სონია შერვაშიძე.
(სევან., გვ. 79—83).

ვიცბილ-მაცბილ

საბრალო დოლელებო, საცოდავო დოლელებო!,
 პურის ქერქი ეცერლები,
 ასე ეცერლებს ვერ გავუძლებთ,
 ბავშვებს აკენებით გვართმევენ,
 ჩვენ ცოლებთან ისინი წვებიან,
 ფისი დაესხათ სორთმანშერლებს (დადეშქელიანებს):
 მათ ბატონობა გლახა იციან.
 ასე ჩვენ მათ ვერ გავუძლებთ.
 შევიკრიბებით ბეჩოს ხევი,
 თავი შევიყარეთ დოლასუფას¹
 ორი კაცი ავირჩიეთ,
 სახელათ ერქვათ ვიცბილ და მაცბილ.
 სამ წელიწადს ტყვია-წამალს იმზადებდნენ,
 სამი წლის შემდეგ წინ აღუდექით
 ჩვენს ბატონებს სორთმანშერლებს².
 ლადრელის ძირში ციხე იდგა-
 შიგ შევედით ამ ციხეში.
 სოფლის სამუქაფოთ ვიყოთ ჩვენა-
 სამი წელი ციხეში დავრჩით.
 ეცერ-ცხუმარლები შევაწუხეთ (ავიკელით),
 ყანაში გუთანი არ გამოვატაინეთ,
 ხენა-თესვა არ დავანებეთ.
 თავს იყრიან ეცერლები...
 ეცერის ლაშქარი მოგვადგა.
 ლაშქრის უფროსი მედიდური ავლაყი.
 ამ ღამეს ჯარი მოგვადგა.

¹ აქ ლაპარაკია ბეჩოს სახ. სოფ. დოლში მცხოვრებ სკანებზე, რომლებიც იყვნენ თ-დ დადეშქელიანების ყმები. ეს სიმღერა აგვიწერს იმ გარემოებას, თუ როგორი შევიწროებული ჰყოლიათ ისინი თავადებსა და როგორ მოუკლავთ თავისი ბატონი სორთმანი. ეს სორთმანი უნდა ყოფილიყო მე-VI საუკუნეში. შენიშვნა ჩამწერს ეკუთვნის.

² სოფ. დოლში მდებარე მინდორი. შენიშვნა ჩამწერს ეკუთვნის.

³ აქ არის ლაპარაკი სორთმან დადეშქელიანის შტოს დადეშქელიანებზე, რომლებიც იყვნენ ეცერის მფლობელები. შენიშვნა ჩამწერისაა.

თავხედი ავლაცი წინ უძლოდა,
 ტანზედ ეცვა თეთრი ჩოხა,
 ბნელს ღამეში ანათებდა.
 ავლაც, შენ გერჩია
 წარბშედებულ ცოლთან წოლა.
 მას დაიტაცებენ ეცერელი ბუშები...
 ესროლეს ციხიდან თოფები.
 ერთმა გულში მოარტყა;
 მეორემ მოახვედრა მარჯვენა ბეჭში,
 თეთრი ტანისამოსი წითლად შეუღებეს,
 წითლად შეუღებეს მედიდურ ავლაცს.
 ამ ღამეს ჭარი უკან გაბრუნდა,
 მეორე ღამეს ისევ მოგვადვა,
 ისევ მოგვადვა ცხუმარის ჭარი,
 მართალი გაგული ჭარისთავი,
 გაგულს, სიმართლით მოგივა, რაც მოგივა,
 წელს ზევით არ მოგარტყამთ,
 ერთს თედოში ტყვიას მოგცემთ,
 მეორე თედოს საწოლათ მოგცემთ.
 ესროლეს ციხიდან თოფები.
 მარცხენა თედოში ტყვია მოარტყეს.
 მარჯვენა თედოზე წამოაწვინეს.
 ამ ღამეს ლაშქარი კიდევ გაბრუნდა,
 მესამე ღამეს ისევ მოგვადვა.
 ძირამოსაგდები რიჩგვიანები,
 შვიდი კერა (კომლი) რიჩგვიანები,
 არ ილევა გვარი მათი.
 ტყვიის საფრად კევრები (კავრალ) დაიკავეს,
 ციხის ძირამდე ისე მოგვეპარენ,
 ამ ციხეს დაუწყეს ძირის გამოთხრა,
 კვარის ჯირკებს ქვეშ უწყობდენ.
 საბრალო ძმებო, საცოდავო ძმებო,
 ჩვენი თავი დავიტიროთ.
 სამ წელს წამალს ვიმზადებდით,
 სამი წელი ციხეში ვიყავით,
 ოჯახის და ცხოვრების არაფერი ვიცით,
 ცოლი და შვილი არ გვინახავს,

ეცერი და ცხუმარი ავიკელით,
 მათი წინამძღოლები ჩვენ მოვკალით.
 ოხ, საბრალო ვაცბილ და მაცბილ,
 საქმელ-სასმელი ცოტა დაგვრჩა,
 ოთხი საზომი წამალი და ორ-ორი ტყვია,
 საბრალო ძმებო, საცოდავო ძმებო,
 ძირიდგან (ციხის საძირკველიდან) ალი ზევით გვწვდება.
 დიდთავიანი ბატონი სორთმანი აივანზე ზის,
 ძალიან უხარია ჩვენი დაღუპვა,
 სიცილის გრგვინვას ჩვენ გვაგონებს.
 საბრალო ძმებო, საცოდავო ძმებო,
 მოდი ჩვენი თოფები გამოვცადოთ.
 გახურებული იყვნენ ნაომარი, ვით ნაკვერცხალი,
 ხელის მოკიდება ძალიან გვიჭირდა.
 ვისროლეთ ციხიდან თოფები,
 ერთმა მოვარტყით სორთმანსა წარბში,
 მეორემ შიგ გულში მოვახვედრეთ,
 წითელი სისხლი იქ დავინახეთ.
 ოჰ, ნეტავი ჩვენ, სისხლალღებელი აღარ ჯაგრჩით,
 თავი ჩვენი კი ვისისხლეთ,
 დიდი სორთმანი მოგვიკლავს.
 ჩვენ ცხოვრება აღარ გვექნება,
 სორთმანს კი ბატონობა არ ექნება.
 საბრალო ძმებო, საცოდავო ძმებო,
 ძმებს ციხე ენგრევათ,
 სორთმანიც ამ დროს სულს ლაფავს...
 ძმებს ციხე წაეჭყათ.
 სორთმანს სული ამოძვრა.

(ძვ. ან. სვ., გვ. 199—201).

96. თუმ-ფშაგ-ხევსურები ბასტრიონის ომში

შან., გვ. 9, № 24. მთქმელი ღულელი მინდია ქისტაური. ჩაწე-
 რილი აკაკი შანიძის მიერ 1913 წ. ხევსურეთში თვალზე. აკაკი შან-
 ნიძეს განმარტებული აქვს ზოგიერთი გამოთქმა. 1. მე-15 სტრი-
 ქონში „მუქარა იყვას... ე. ბ. აბა ვნახოთ, ვინ აჯობებსო“ 2. 19—20
 სტრიქ.—„მშავლებ . . . მეგუდელ ხყვანდიანო ე. ი. ფშავლე-
 ბი ქევსურებს გუდით საგძალს უზიდავენო“ (შან., გვ. 323). ლექსის

დასაწყისი სტრიქონების შესახებ აკაკი შანიძეს აღნიშნული აქვს, რომ იგი მსგავსია № 243 (შან., 110) დასაწყისისა (შან., გვ. 323, 479). აკ. შანიძეს ლექსი ასე აქვს დასათაურებელი: ქვესურები ბახტრიონის ომში (შან., გვ. 24), ლექსში გადმოცემულია ქართველ მთიელთა აჯანყება ბახტრიონის ციხეში გამაგრებული შაჰ-აბასის მიერ საქართველოში ჩამოსახლებული ელგების წინააღმდეგ.

აკ. შანიძეს თავის წიგნში შეტანილი აქვს ლექსის შვიდი ვარიანტი (შან., გვ. 323—326).

ბ

ახლა სადა ხართ, თუშებო.
ქვესურნ რო კარავთ სპრიანო?
ნადირაის კმლის ნატეხნი
კარავეის ბოძსთან ხყრიანო.
კმალ ხოშურაულს გაუტყდა,
ქვესურნ სხვას გამუცვლიანო.

შან, გვ. 323. ბესარიონ გაბურის რეპერტუარიდან. აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს, რომ ეს ნაწყვეტი ბეს. გაბურს ერეკლე მეორის ციკლის ნაწარმოებებში შეუტანია კრწანისის ომთან დაკავშირებით (შან., გვ. 323).

გ

გავიდა თუშის ლაშქარი.
ნაქერალ გროვდებისაო,
ამბობდა გაფრინდაული:
— ქვესურებ ნუ მადისაო.
როსც გავირიენ ქვესურნი,
ლაშქარნი მერევისაო.
ზოგებმ თქვეს:—გამავირივნათ,
გაქირდას, გამადგისაო,
იწყინა ხოშურაულმა:
— დაბრუნვა არ მწადისაო,
რად მინდან თუშის შვილები,
ვიცი გზა საც მიდიხაო!
მუქარა იყვას, ზეზვაო,
საც კარავს იცევდიანა,
გაუძველ ხოშურაულო,

ლურჯა გყავ, გიქებდიანა!
გავიდის თუშნი, კევსურნი,
ფშავლებ ნელ-ნელა დიანა,
კაუძღვა ხოშურაული,
ჭალანი ხანდებიანა.
ხუთშაბათ თენებაზედა
ბახტრიონ გადადიანა,
სად იყო თუშის შვილები,
კევსურებ კარავს სკრიანა!
ომშია კევსურთ შვილები,
ფრანგულებს სისხლი შიანა,
მკედარი გალეწეს კალოდა,
ზედ კევსურთ შვილებ დიანა,
ნადირაის კმლის ნამტვრევენი
კარვის კარზე ჰყრიანა.

მთქმელი წიქა თოთიას ძე ლიქოკელი. ჩაწერილი სოფ. აკუშოს
ფ. ხორნაულის მიერ (ფშ. ხევს., გვ. 69—70).

ღ

თუშებო, მშაველ-კევსურნო,
ლაშქრობა გავაზიარათ,
ერთმანეთს ნუ უღალატებთ.
მტერი სხვა დავაზიანათ-
წინ თუშნი, უკვენ კევსურნი,
მშაველებ ნელ-ნელად დიანო,
მაგათ გონება არა ჯობ.
ბინაებს უდგებიანო.

„ტყუილად იკლავ ზეზვაო.
სახელზედ, თუშო, თავსაო:
კევსურმ ნადირამ გაჯობნა,
ნეიფზე ამტვრევს კმალსაო“.
„თუში ორ, მაგრამ კარგი ორ,
კიდევ ვჯობიორ სხეასაო.
კელთ დავსცემ, გადავფრინდები
ბახტრიუნის გალავანსაო.
ცხრას მოვხკლავ
ერთი ვერ დამკრავს კმალსაო“.

ჩაწერილი უცნობი ხევესური. მიერ (შან., გვ. 323). აკ. შანიძემ ამ ვარიანტს დაურთო ტექსტოლოგიური შენიშვნები. აკ. შანიძეს უკანასკნელი სტრიქონის წინა სტრიქონის მიმართ მართებულად აქვს აღნიშნული: „აქ არეულია რაღაც სიტყვა (ან სიტყვები) ხუთი მარცვლისაგან შემდგარი“ (იქვე, გვ. 324). ტექსტის დასასრული, როგორც ეს აკ. შანიძის შენიშვნიდან ჩანს, დიალოგია ქალსა და ზეზვა გაფრინდაულს შორის. სტრიქონისათვის „ტყუილად იკლავ, ზეზვაო“ როგორც ეს აღნიშნული აქვს აკ. შანიძეს, ჩამწერისაგან მიწერილი ყოფილა „ქალის გაკირცხვა“. აკ. შანიძის მართებულ შენიშვნით, ქალის სიტყვებს, მისდევს ზეზვას პასუხი.

აკ. შანიძეს მითითებული აქვს ისიც, რომ ვაჟა ფშაველას მოყვანილი აქვს ამ ვარიანტის პირველი სტრიქონები აღნიშნული აქვს აგრეთვე განსხვავება ვაჟა ფშაველას ტექსტსა და ამ ვარიანტს შორის (შან., გვ. 324). ვაჟა ფშაველას მიერ მოყვანილი ტექსტი ასეთია:

თუშნო, ფშაველნო, ხევესურნო,
ლაშქარი გავაზიაროთ;
ერთმანეთს მხარი უჭიროთ,
მტერი კი დავაზიანოთ.

(ვაჟა ფშაველა. თხზულებანი. III, გვ. 455).

მ

თუშთა გავიდა ლაშქარი,
ნაქერალ გროვდებიანო.
ქვესურეთს კაცი გაგზავნეს,
ქვესურნი მოიწიანო,
ბელადი ხოშურაული,
თანაგმან გაქდებიანო.
უარს ეტყოდენ ფშაველები:
„ჩვენ რა გვაქვ თქვენთან ზიარი?“
წინ თუშნი, უკან ქვესურნი,
ფშაველებ ნელ-ნელა დიანო.
სიტყობდის გაფრინდაული:
„ქვესურნი ნუ შოდიანო“.
იტყოდა ხოშურაული:
„თუშთად რა გვიქნავ, რიალი?
როგორც რო ამბობს ზეზვაი,
ეგრე ჩვენ არ გვწადიანო.
თუშნ თუ არ გაგვიყოლებენ,

ჩვენც ვიცით, საც მიდიანო:
 არ ქმნილა შუალამეი.
 ქვესურებ დაპარულანო.
 არ ქმნილა თენების ხანი,
 პანკისის ქალანი ხანდებიანო.
 დილას ამოსვლას მზისასა
 ქვესურებ ბახტრიონს გროვდებიანო.
 ბახტრიონს კარავის ბოძებს
 ქვესურებ კმლითა სკრიანო.
 მოვიდოდ თუში ზეზვად,
 ჯოგი მოხყეება მგლისაო:
 „ან თქვენ გადადით გალავანს.
 ან გადამიშვით მიაო.
 თუ შვიდ ვერ მოვკლა კმალ-და კმალ,
 გამცვალეთ თათრის ქალზედა“.
 გადავა, გადაფრინდება
 ბახტრიონს გალავანზედა.

ალვანს მინდორი აავსო
 ლოჯაის თათრის ლეშითა.
 მგელსა დასცვითა კბილები,
 ტურას ლოყვადი ქამითა.

მთქმელი პ. აზიკურიძე. ჩაწერა აკ. შანიძის მიერ თუშეთში 4/IX—1913 (შან, გვ. 324). აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს, რომ უკანასკნელი სტრიქონები ვარიანტია მის წიგნში № 27 ლექსისა (შან. გვ., 324).

უკანასკნელი სტრიქონები მართლაც ბახტრიონის ციკლისაგან დამოუკიდებელი ლექსის ვარიანტია, რომელიც კონტამინაციის წესით დაკავშირებია მეორე ლექსს.

8

ბახტრიონს ერთსა თათარსა
 ენას უბნობენ ძნელსაო:
 „ახმეტას გავსკრი ვენაკსა,
 შიგ დავასახლებ ელსაო“.
 არცა კკითხავდა თუშებსა,
 არცა ზეზვადის ცხენსაო.
 თუშთ ნაქერლები ცხენები

ალაზანს გროვდებიანო.

„არ მოგვივიდა ზეზვაი“,

წინამძღოლს ღონდებიანო.

ზეზვამ თქვა გაფრინდაულმა:

„ქვესურნი ნუ მოვლიახო“.

ზოგთა თქვეს: „თან გავიყოლოთ,

გაპირდეს, გამოდგებიანო“.

დათხოვნილ იყვნენ ფშავლები:

„პურ-ჰამას ვერ რჩებიანო“.

ჩაწერილი თუშეთში ივანე ბუქურაულის მიერ (თაყ., 1, გვ. 63, 531. გადაბეჭდილია, შან., გვ. 324). ამ ვარიანტისადმი მართებულია აკ. შანიძის შენიშვნა: „აქ ორი სხვადასხვა ლექსია შეერთებული—პირველი სამი სტრიქონის ვარიანტი და გაგრძელებაც დაბეჭდილია დროებაში 1884, № 34 (ფშავში შეკრებილთაგანით). მაგრამ მას უშუალო კავშირი ჩვენს ვარიანტთან არა აქვს“ (შან., გვ. 324-325). მართლაც ლექსის დასაწყისი ვარიანტია იმავე ივ. ბუქურაულის მიერ ჩაწერილი ბახტრიონის ადების (ბახტრიონის ადება თუშთაგან) ამსახველი ლექსის დასაწყისისა (თაყ., 1, გვ. 60).

ზ

იყრება თათრის ლაშქარი,

ალაზანს გროვდებიანო,

არავინა ჰყავ ბელადი,

ბელადსა ღონდებიანო.

—„შენ წადი, ბათურიშვილო,

ლურჯას შენ გიქებდიანო“.

წინ თუშნი, უკვენ ქვესურნი,

ფშაველნ ნელ-ნელა დიანო.

ჯავრობენ თუშიშვილები:

„ქვესურნი არ გვინდიანო“.

—„რას ამბობთ, თუშიშვილებო?

წასვლა ჩვენც ქვე გვაწდიანო“.

ფშაველნი, უკვენ ქვესურნი,

ბახტრიონს გადადიანო,

დალიეს თათრის ლაშქარი,

თავებს უკვენა ჰყრიანო.

მეორე დილა გათენდა,

თუშებიც ჩამოდიანო.

— „სად ეყარენით თუშებო,
სადიაცენო, თმიანნო?

ჩაწერილია დ. ხიზანაშვილის მიერ (ივ., 1887, № 144. ფშ. ლექს., გვ. 53. გადაბეჭდილია შან., გვ. 325). აკ. შანიძეს ეს ვარიანტი მიაჩნია იგივედ, როგორცაა თ, ვარიანტი, ჩაწერილი ვაჟა ფშაველას მიერ.

♣

იყრება თათრის ლაშქარი
ალაზანს გროვდებიანო,
არავინა ჰყავთ უფროსად,
ბელადსა ღონდებიანო.
შენ ჩადი მათურის შვილო,
ლურჯასა გიქებდიანო.
წინ თუშნი, უკან ქვესურნი,
ფშაველნი ორად დიანო.
გაჭაგრდეს თუშის შვილები:
„ქვესურნი რად გვინდიანო?“
— „რას ამბობთ, თუშის შვილებო?
წასვლა ქვე ჩვენც გვწადიანო“.
წინ ფშაველ, უკან ქვესურნი
ბახტრიონს გადადიანო.
დაწყვიტეს თათრის ლაშქარი,
თავებს უკულმა ჰყრიანო.
მეორე დილა გათენდა,
თუშები შემოდინო.
„სად ეყარენით თუშებო?
სადიაცენო, თმიანნო?“

ჩაწერილი ხევში შალვა დოლაქიძის მიერ (შან., გვ. 325). აკ. შანიძეს ამ ვარიანტის წყაროდ მიაჩნია ვ ვარიანტი. ამის საბუთს მას აძლევს ვარიანტების სიახლოვე. წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების გავლენა ზეპირსიტყვიერებაზე ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ზ ვარიანტის სიახლოვე ვ ვარიანტთან შესაძლებელია ამგვარი გავლენის გარეშეც.

სად არი გაფრინდაული?
 ქვესურნ კარავსა ჭრიანო!..
 ლეგ-ლუგა ფშავლიშვილები
 გალავანს გადადიანო;
 თუშთ ნაქერლები ცხენები
 ალაზნის თავსა გროვდება;
 ხანია შულამისა,
 პანკისის ჭალა ხანდება;
 თუშები .თექიანები
 გადიან ალაზანზედა;
 ორშაბათს, თენების ხანსა,
 ბახტრიონს ციხე შავდება;
 კარზე გამოდი, სულთანო,
 შენს სახლ-კარს ცეცხლი ეღება!..

(ფშ. ლექს., გვ. 56. გადაბეჭდილია შან., გვ. 325—326). აკ. შანძეს ფშ. ლექს. პირველ სტრიქონში დაბეჭდილი **ს ა დ ა რ ი მ ა რ-** თებულად დაუყვია **ს ა დ ა რ ი.** ასევე არის დაყოფილი სიტყვები ფშავში ჩაწერილ ვ. კოტეტიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ვარიანტში. ჰ. ვარიანტისაგან ბ. კოტეტიშვილის გამოქვეყნებულ ტექსტს ასხვავებს მეექვსე სტრიქონი „წყლისა თავს გროვდებიანო“ (კოტ., გვ. 123).

პანკისს იყრება ლაშქარი,
 ბელადსა ღონდებიანო,
 ზეზეო გაფრინდაულო,
 ლუჩკას შენ გიქებდიანო.
 ჯავრობენ თუშიშვილები,
 ხევსურნი არ გვინდიანო.
 —მაგას რად იტყვიოთ, თუშებო,
 ომი ჩვენც ქვე გვწადიანო.
 წინ თუშნი, უკვენ ხევსურნი,
 ფშაველნ ნელ-ნელა დიანო..
 ფშაველნი, უკვენ ხევსურნი,

ბახტრიონს გადადიანო:
დალიეს თათრის ლაშქარი,
თავებს უკვენა ჰყრიანო.
მეორე დილა გათენდა,
თუშებიც ჩამოდიანო,
სად ეყარენით, თუშებო,
სადიაცენო თმიანო?!“

(ვაჟა ფშაველა, თხზულებანი, III, გვ. 454—455).

97. ბახტრიონის აღება თუშთაგან

ჩაწერილი თუშეთში ევ. ბუქურაულის მიერ (თაყ. 1, გვ. 60—
61). ამ ლექსის ვარიანტების მიხედვით ბახტრიონის ციხეში პირვე-
ლად შესვლა მიეწერება როგორც თუშ, ისე ფშაველ გმირებს.

ბ

ბახტრიონს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო,
ახმეტას ჩაეკრათ ვენახი,
შიგ ჩავასახლებთ ელსაო.
შეიტყვეს თუშისშვილებმა,
მალღ შემოირტყეს ხმალიო,
ჯერ შუაღამე არ ქნილა,
ნაქერალს გროვდებიანო.
შველაო შველაიძეო
პანკისს გატეხე წყალიო.
ჟკულმ დაეკედოთ ცხენები,
დავამალვინოთ კვალიო.
საგათენებლოდ დავეცნეთ
ბახტრიონს გალავეანსაო.
გარედ გამოდი სულთანო,
თუშნი გისხედან კარზედა,
თუ ნებით შენ არ გამოხვალ,
ჩვენ გამოგიყვანთ ძალზედა.
მეტი ვარ საღირაშვილი,
ნუ მიშხერთ ტალავარზედა
გადავალ, გადავფრინდები
ბახტრიონს გალავეანზედა.

შვიდიც ვერ მოვკლა ხმალ და ხმალ,
 გამცვალეთ თათრის ქალზედა-
 გოხ გავლებული ფრანგული
 კაბას რა ძლიერ სჭრისაო.
 სისხლისა ნაგუბარშია
 ფეხი რა ძლიერ ცურავსო.
 თელეს და თელეს თათრები,
 წითელ ჩადიოდ წყალიო.
 ალვანში ციხეს აგებენ
 ხოჯა თათრისა ქვლისაო,
 ლიბოდ უგდებენ გალოსა
 საწვრეთი ფრანგულისაო.
 დაადებინეს ალვანი,
 თუშთ არის საკუთარია,
 ჯერ ღმერთი, მერე ბატონი
 მცილავი არვინ არისო
 ვინც ალვანს უარესობდეს,
 ცოლმ შემოუხსნას ხმალიო.

(ჩაწერილია ქართლში 1887 წ., ფ. არქ., № 3172).

8

კახეთ ზის ერთი თათარი,
 ენას აუბნებს ძნელსაო:
 „—გავსჭრი ბახტრიოს ვენაცსა,
 შიგ დავასახლებ ელსაო,
 არც ვპკითხავ თუშის შვილებსა,
 არც ზეზეასა და სხვებსაო“.
 ეგ რო გაიგა ზეზეამა,
 ლურჯავ დაგიყრის ქერსაო,
 —გასუქდი, ჩაფრისეულო,
 გავას გადუსომს კელსაო.
 —რახა გაზაფხულ მავიდას,
 მინდორს გაგავლეე გძელსაო,
 წინ წამავიყრი თათრებსა,
 როგორც მიმინო მწყერსაო.

მთქმელი წიქა თოთიას ძე ლიქოკელი ჩაწერილი სოფ. აკუშოს
 ივ. ხორნაულის მიერ (ფშ. ხეცს., გვ. 68—69).

დ

ციხისჯვარ ტახტის გორამდის
საკუთარ თუშებისა,
ჯერ ღმერთი, მერე ბატონი
მცილავი არეინ არისო.
ბახტრიონს ხედვენ თათრის აღებულს
სიტყვას ამბობენ ძნელიო.
ახმეტას ჩავკრათ ვენახი,
შიგ დავასახლოთ ელიო.
შიიტყვეს თუშის შვილებმა,
მაღალ შემაიკრეს ხმალიო.
უკულმ დაქედეს ცხენები,
ბნელად აიღეს გზანიო.
შველამა შველაიძემა
პანკის გატეხა წყალიო.
საგათენებლოდ დაეცა
ბახტრიონ გალავეანზეო,
თუ შვიდ არ მოვკლა ხმალ და ხმალ,
გამცვალეთ თათრის ქალზეო.
მეტი ვარ საღირიშვილი,
მომხედეთ ტალავერზეო,
ფეხ დავკრავ, გადაფრინდები
ბახტრიონ გალავეანზეო.

(ფ. არქ. № 3174). კატალოგის მიხედვით ტექსტი ჩაწერილია.
ქართლ-კახეთში 1887 წ.-.

მ

მეტნი ხართ საღირისშვილნო,
გიჰკრეტენთ ტალავარზედა,
წინ-წინ თქვენ გადახტრინდებით
ბახტრიონ გალავეანზედა,
კმლითა სცემთ ხანის კარავსა,
ზედ მიხოლთ ფალავანზედა.

ნ

მეტნი ხართ საღირიშვილნო,
გიჰკრეტენთ ტალავარზედა.

ბახტრიონს სულთქმის ციხესა
გადახვალთ გალავანზედა.
კმლითა სცემთ ხანის კარავსა,
ზედ მიხვალთ ფალავანზედა.

ხევსურული ლექსები, ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ.
(ხელნაწ. ინსტიტ. № 2025, გვ. III. დაბეჭდილია—შინ., გვ. 326).
მესამე სტრიქონში სულთქმის ნაცვლად არის სულთქმის
ამგვარი შეცვლა სიტყვასა. ზეპირსიტყვიერების დამახასიათებელი
მოვლენაა.

ზ

მეტი ვარ საღირიშვილი,
ნუ მიმზერთ ტალავარზედა.
გადავალ, გადავფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა.
შვიდი არ მოვკლა კმალ-და-კმალ,
გამცვალეთ თათრის ქალზედა.

კონტამინაციის წესით ამ ნაწყვეტის დაკავშირება ბახტრიონის
ციკლის სხვა ლექსთან („ბახტრიონს სხედან თათრები“) აღნიშნა
აკაკი შანიძემ (შან., გვ. 326).

ჰ

ბიჭი ვარ გოგოლაური,
რას მყურობ ტალავარზედა.
წინ-წინ მე გადავფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა.
კმლითა ვსცემ თათრის ბელსსა
ზედ მივალ ფალავანზედა.

(ვაჟა ფშაველა, თხზ., III. გვ. 454). იგივე ვარიანტი ჩაწერა
და გამოაქვეყნა დ. ხიზანაშვილმა, ფშ. ლექს., გვ. 5. გადაბეჭდა აკ.
შანიძემ. შან., გვ. 346. ვაჟა ფშაველას ვარიანტისაგან ხიზანაშვილის
მიერ ჩაწერილი ტექსტი განსხვავდება მეორე და მეხუთე სტრიქო-
ნებით. ხიზანაშვილის ტექსტის მეორე სტრიქონია: „ნუ მშინჯავთ
ტალავარზედა“. მეხუთე: „აოფსა ვკრავ ჭიმშელ ბატონსა“. განსხვა-
ვება ვარიანტებს შორის აღნიშნა აკ. შანიძემ (შან., გვ. 326).

თ

ფშავში ხარ, ბიქად ვარგიხარ,
 არაუნ გიციქერს ტანზედა.
 ფეხს ჯაჰკრავ და გადახტები
 ტრანტიტონ გალავანზედა

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ (თაყ., 1, გვ-190, № 63. გადაბეჭდილია—შან., გვ. 327). აკ. შანიძემ ამ ვარიანტის შესახებ მართებულად შენიშნა: „ეს ერთი ნიმუშია იმისი, თუ რაოდენად შეიძლება გადაკეთდეს და გადასხვაფერდეს ხალხური ლექსი, განსაკუთრებით უცხო მხარეში“ (შან., გვ. 327).

ი

ბიჭი ვარ გოგოლაური,
 რას მიციქერ ტარავალშია?
 მოძალეს ძალას მივყერი,
 მას ჩაეუდგები კვალშია.
 ფექს დავჰკრავ, გადავფრინდები
 ბახტრიონ გალავანშია.
 მივიტან ჩემსა ალამსა
 დავურკობ ციხის კარშია.

ჩაწერილი ალექსანდრე ყაზბეგის მიერ (ივ., 1885, № 8. გადაბეჭდილია — შან., გვ. 327).

კ

თუში ვარ, მაგრამ კაცი ვარ,
 კიდეც ვჯობივარ ფშაველსა.
 ფეხს დავკრავ, გადავერევი
 ბახტრიონს გალავანზედა
 ასი მომიკლავს ბელადი,
 ზედ მიწერია ხმალზედა.
 თუ მომკვლენ, არას ვინადვლი,
 სისხლს დაღვრაან, განა რძესა,
 მაგრამ კიდე იმედი მაქვს
 ჩემი სიათა თოფისა;
 შიგ მიძევს ტყვია იმედად
 მტრის გულზედ დასასობელად.

ჩაწერილი მარტყოფის მიდამოებში იქაური მასწავლებლის მიერ (ივ. 1889, № 236. გადაბეჭდილია — შან., გვ. 327).

ლ

თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ,
კიდევ ვაჯობებ კახსაო.
დავხკრავ ფეკს, გადავერევი
ბახტრიონს გალავანსაო.
ასი ვერ მოვკლა კმალ-და-კმალ,
გამცვალე კახის ქალსაო.

ჩაწერილი თუშეთში აკ. შანიძის მიერ (შან., გვ. 327).

მ

დავკრამ ფეხს, გადავერევი
ბახტრიონს გალავანზედა-
თუ ათი ლეკი ვერ მოვკლა,
გამცვალე კახის ქალზედა.

ჩაწერილი შაქროს (ზაქარია გულისაშვილი) მიერ (ივ., 1887. № 21. გადაბეჭდილია—შან., გვ. 327).

98. თათრების შემოსევა კახეთში და მათი ამოწვევტა

(ფ. არქ. № 18174), მთქმელი ელ. მრევლიშვილი, 12 აპრილი 1938 წ. ლექსს ეტყობა ვაჟა ფშაველას „ბახტრიონის“ ერთგვარი გავლენა. მთქმელი უდავოდ უნდა იყოს შთაგონებული „ბახტრიონით“. ზეზვასა და ფშაველი სარდლის შეხვედრა ისევეა გადმოცემული, როგორც ვაჟასთან ლუხუმისა და ზეზვას შეხვედრა (იხ. ვაჟა, ტ. III, გვ. 197).

99. კმალს აქებს გაფრინდაული

ხევსურული ლექსები, ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ. ხელნაწერი ინახება (ხელნაწ. ინსტ., № 2025, გვ. 91. დაბეჭდილია შან., გვ. 10, № 27). დასათაურება ჩვენია. ლექსი ცნობილია ვარიანტებად.

კმალს ზეყრავს გაფრინდაული,
 თორმეტი მოვკალ ამითა;
 დიდი ალვანის მინდორი
 ავავსე თათრის ძვალითა;
 მგელსა დავცვითე კბილები,
 ტურას—ლოყები კამითა...

(ფშ. ლექს., გვ. 54). ამას ემთხვევა აკ. შანიძის დავალებით 1908 წ. ს. ხორხში კაციელა სუარიშვილის მიერ ჩაწერილი ტექსტი (შან. გვ. 328). ერთი ვარიანტი ჩაწერილია ვაჟა ფშაველას მიერ, რომელსაც მეორე სტრიქონი იკითხება, „თათრები ვხოცე ამითა“ (ვაჟა ფშაველა, თხზ., III, გვ. 454).

100. გაფრინდაულის ამბავი

ჩაწერილი მთა-თუშეთში სოფელ შტროლათში 1949 წელს, სალომე ბაკურიძის მიერ. მთქმელი გიო წვერაიძე (სახ. გვ. 40—42). სტრიქ. 19 ქვევ. არღოტი—სოფელია. ზეესურეთში დუშეთის საზღვარზე.

101. კახეთში ფუნჩაიშვილი

ლექსი შექმნილია ბახტრიონის ბრძოლის ბელად ზეზვა გაფრინდაულზე (ფშ. ლექს., გვ. 4). მერვე სტრიქონში იკითხება „ერსაო“ უნდა იყოს „ელსაო“.

ჩაწერილი ფშავეში (კოტ., გვ. 122—123). ტექსტი ემთხვევა პირველ ვარიანტს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მეორე სტრიქონში აკვთებს ნაცვლად არის აფხავებს.

102. ჭირსაც მოვხპარავ ზეზვასა

ჩაწერილი ბესარიონ გაბურის მიერ (შან., გვ. 327).

ჭირსაც მოვხპარავ ზეზვასა,
 გაფრინდაულის შვილსაო!
 სადც ომში შეეტანება,
 მარჯვენა მარჯვედ ჭრისაო.

ხევსურული ლექსები ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ (ხელნაწ. ინსტ., № 2025, გვ. 93. გადაბეჭდილია—შან., გვ. 10, № 26).

103. ზეზვას

ჩაწერილი მთა-თუშეთში 1949 წელს სალომე ბაკურიძის მიერ მთქმელი მარტილო ხუტურძე (სახ. გმ., გვ. 39). ლექსი შექმნილია ასალგაზრდა მოლექსის მიერ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სახალხო ჯმირები დიდხანს ცოცხლობენ ხალხის წარმოდგენაში.

104. ზეზვას დაჭერა

ჩაწერილი თუშეთში ივანე ბუქურაულის მიერ (თაყ., 1, გვ. 63—64, № 32). ტექსტს ღართული აქვს ჩამწერის, ივ. ბუქურაულის შენიშვნა: „როგორც ამ ლექსიდანა სჩანს, თუშების გმირი, ლაშქრის წინამძღოლი—ზეზვა გაფრინდაული მოტყუებით დაუქერიათ სპარსელებს და ჩამოუყვანიათ ძუფ-ღებულ ცხენით ტფილისში. ექვს გარეშეა, რომ ამასაც ის ბედი ეწეოდა, რა ბედიც ეწია ქსნის ერისთავებს შალვას, ელიზბარს და ბიძინა ჩოლოყაშვილს, ე. ი. წამება. თუმცა ქართული მატთანე არას მოგვითხრობს ამაზე, მაგრამ ეს გასაკვირველი არ არის, რადგანაც ქართველი მემატთანენი, როგორც საზოგადოთ სხვა ხალხისა, მხოლოდ მეფეებზე და თავადაზნაურებზე სწერდნენ, დანარჩენებს ყურადღებას იშვიათად აქცევდნენ“ (იქვე). ხალხური გადმოცემები და ლექსები ადასტურებენ თუშთა გმირის ზეზვა გაფრინდაული-ფუნჩაიშვილის ხელმძღვანელ როლს მტრების მიერ გამაგრებული ბახტრიონისა და ალავერდის აღებისათვის ბრძოლაში.

ბ

თორღვაშია მის ზეზვაი,
ამაგრებს ქვიტკირსავითე,
თორღვაში ქართვლის ხიზანსა
დაურბენს გოგოსავითე.

ზეზვაო გაფრინდაულო,
ცოტა მოკლეო ენითა,
გაჭირვება რო შეიქნეს,
ამოსარჩევო კელითა.
კარად არ გამოგიყვანონ,

დაგაბალითონ ენითა.
გამოიყვანეს ზეზვაი,
დააბალითეს ენითა.
ცივ-გომბორ გადაავლიან
ძუა-შელებილ ცხენითა,
ქალაქში ჩაიყვანინან
დაფა-ზურნითა, ლხინითა.
„ამოსვენ ქარვასლაშია,
ბაგეთ ილეკავს კბილითა.
მოდინ თათრის აღლარნი:
„ზეზვა გვაჩვენეთ თვალითა“.
„ზეზვა რად გინდათ, ძალღებო?
მკედარია თქვენის კელითა-
უნდა გენახათ ბახტრიონს,
ბრუნავდა ლურჯის ცხენითა.
უკენ მოგდევდათ ზეზვაი,
გჩხვერევდათ შუბის წვერითა“.

მთქმელი პავლე აზიკურიძე. ჩაწერილი თუშეთში 4/IX —
1913 წ. აკაკი შანიძის მიერ (შან., გვ. 328—329). ამავე მთქმელისა-
გან აკ. შანიძეს ჩაუწერია ოდნავ განსხვავებული ვარიანტები (იქვე)-

8

თორღვაი გაფრინდაული
ამაგრებს ქვიტიკირისავეითა,
კარზედ მოსულსა მოძალეს.
აბრუნებს ნახირსავეითა,
გულსა უმაგრებს ხიზანსა:
„დაგირბევ გოგოსავეითა“.
არ მოგატყუონ, ზეზვაო,
დაგიბალითონ ენითა!
ზეზვაი მოატყუესა,
დაიბალითეს ენითა,
გძელ-ყანა ჩამოატარეს
დაფა-ზურნითა, შტვირითა,
ცივ-გომბორს გადაგავლიეს
ძუა-შელებილ ცხენითა,
ქალაქს ჩამოგსვეს შუ-უბან,

ბაგებსა მოსკამ კბილითა,
 უწყლობით შეწუხებული
 ნამსა მოლოკავ დილითა.
 მოდიან თათრის ქალები:
 „ზეზვაი ვნახოთ თვალითა“.
 — თქვენ ჩახვა ძაღლო, რად მინდა?
 მოკლულ ვარ თქვენის კელითა.
 მაშინ გენახათ ზეზვაი,
 ბახტრიონს რო ტრიალებდა,
 უკან მოგდევდათ ზეზვაი,
 მოგჩხვლეტდათ კმლისა წვერიტა.
 ალვანში ციხეს აგებენ
 ქვიტირის, აგურისაო,
 შუაში გალოს ატანენ
 ნაპერი ფრანგულისაო.
 ალვანი თუშებს დარჩება,
 ღმერთმაც მისცა და შეფემაცაო.

შთქმელი ბაბო (გიორგი) თურქადე. ჩაწერილი ალ. ხანანაშვი-
 ლის მიერ (№ 220. ივ. 1888, გადაბეჭდილია—შან., გვ. 329) აკ. შანი-
 ძეს ტექსტისათვის დართული აქვს შენიშვნა: „ხანანაშვილი ყველ-
 გან თორღას წერს თორღვას ნაცვლად. ამას გარდა პირველ სტრი-
 ქონში მოსალოდნელია: თორღვასა“ (იქვე).

8

ზეზვას დაჭერა

ზეზვაის ცხენო. ამ ზამთარ
 ბაგა გამახარ კბილითა,
 ქალაქ დაგიბეს პატრონი,
 ღამეთ გითენებს გმინითა;
 გომბორი გადაავლიეს
 ძუა-ნალები ცხენითა;
 ბახარი შამაავლიეს
 დაფ-ნალარაით, სტვირითა;
 ზედი-ზედ შადგა თათრები:
 „ზეზვა უნდ ვნახოთ თვალითა“.

ზეზვა რა სანახავია,
მაკლული თქვენი კელითა?
მაშ რად არ ღნახეთ ზეზვაი,
ბახტრონ იდგა ცხენითა,
მაგდევდათ, მაგაწუხებდათ,
მაგხედავთ შუბის წვერითა?!

მთქმელი გიორგი არაბული. ჩაწერილი ხევისურეთში ნიკო ხი-
ზანაშვილის (ურბნელის) მიერ (რვ., 1888. № 79; № 228; გაღაბეჯ-
დილია — შან., № 28, გვ. 10).

ღ

კახეთში ზეზვაის ცხენმა
ბაგა გამოხრა კბილითა;
ვაიმე ჩემო პატრონო,
ღამეს ათენებ ქირითა;
გომბორზე ჩამოგავლიეს
სანთლითა და მამხალითა,
მოგდევენ თათრის შვილები, —
ზეზვა გვაჩვენეთ თვალითა.
— ზეზვა რა სანახავია,
მაკლული თქვენის კმალითა!
ზეზვა მაშინის გენახათ, —
როცა მოგდედისთ ცხენითა,
მოგდედისთ, მოგაწუხებდისთ.
მოგჩხვლეკდისთ შუბის წვერითა!...

(ფშ. ლექს.. გვ. 190. დაბეჭდილია — შან., გვ. 330).

მ

ამ ხამთარს ზეზვაის ცხენმა
ბაგა გამახრა კბილითა.
თოფ დაჰკრეს გაფრინდაულსა,
თორღე დარჩა ოქერივითა.
თორღუს წვეს გაფრინდაული.
გამაგრდა ქვიტკირსავითა.

წამაიყვანეს ზეზვი,
 ბაგეს მაიხრავს კბილითა.
 გადმაავლიეს გომბორი
 ნალარითა, სტვირითა,
 ქალაქში შამაიყვანეს
 თამაშობითა, ლხინითა.
 ზედი-ზედ შადგა თათრები:
 „ზეზვა გვაჩვენეთ“—იმითა.
 ზეზვას ნუ სცინით, თათრებო,
 კიდევ აგავსებსთ ჰირითა,
 მაგდევედესთ, მაგაწუხებდესთ,
 მაგჩხვლეკდესთ შუბის წვერითა.

ჩაწერილი ხევესურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ (შან.,
 გვ. 328).

8

შენ, ზეზვაე გაფრინდაულო,
 მოკლე ხარ, თუშო, ენითა,
 თუშებს რო გაუჭირდებათ,
 შენ დაგარჩევენ კელითა.
 ციე-გომბორს გადაგიყვანენ
 ძუა-შადებულ ცხენითა.
 დაგსვეს ქალაქის მოედანს,
 ბაგეს იღერლამ კბილითა.
 მოდიან თათრის ქალები:
 „ზეზვა გვაჩვენეთ თვალითა“,
 ზეზვასა ნახვა რად უნდა?
 მოკლული თქვენის კელითა.
 რატო არ ღნახეთ მაშინა,
 ბახტრიონს რომ ბრუნავდ ლიურჯა ცხენითა,
 გალავანს გურგვლივ ურბენდა
 გამაღლებული შუბითა?
 აღვანის მინდორ აავსო
 ღოჯაი თათრის ძვალითა.
 მოგდევედათ, მოგაწუხებდათ,
 მოგჩხვლეტდათ შუბის წვერითა.
 მელსა დაცვითა კბილები,
 ტურას ლოყნ კორცის ჰამითა.

ზ

ზეზვა რა სანახაეია,
თათრებო, თქვენის ქელითა?!
ზეზვა გენახათ მაშინა,
როცა მოგდევდათ ცხენითა,
მოგდევდათ, მოგაწუხებდათ
მოგჩხვლეკდათ შუბის წვერითა.

(ვაჟა ფშაველა, თხზ., III, გვ. 454. გადაბეჭდილია—შან., გვ. 330).

105. რა ლამაზი ხარ აღვანო

ჩაწერილი მთა-თუშეთში 1949 წ. სალომე ბაკურიძის მიერ. მთქმელი მარტილო ხუტურაძე. დაბეჭდილია (სახ. გმ., გვ. 9). ეს ლექსი განსაკუთრებით იმით არის საყურადღებო, რომ გვაცნობს სოციალისტური ქვეყნის შვილთა დამოკიდებულებას სინამდვილისა და წარსულისადმი. თანამედროვე მოლექსე სიყვარულით ადიდებს სოციალისტურ სოფელს და კრძალვითა და სიწყაყით იგონებს გმირი წინაპრის — ზეზვა გაფრინდაულის ამავს მშობლიური კუთხისადმი.

106. ზეზვას ცხენი

მთქმელი ლეკო ტურას-ძე მინდიკაური 84 წლის. ჩაწერილი ხევისურეთში სოფ. ხახაბოში (კინ., № 75, გვ. 369). ლექსს დართული აქვს მთქმელის განმარტება: „წაქცეულ მაშინ ის ცხენი და მკედარიც გარმამკდარ. ალენისადა უნდა შამაეველა—და ის უნდა დასჩღმიყვ თუშებს. ველარ გაუძლავა და დამჩალ...“

ეგ წოვან ღილღოთ მასხმულნი ზეზვაისგან. იმის შემდეგ დამრავლდეს. „ზეზვაის ტყვიის შვილებ ვართავ“—ეეზლადაც იმის საუბარ იციან“ (იქვე).

ბ

გაფრინდაულო ზეზვაო,
გაგიორგულდა ცხენია,
არამიმც არი შენზედა,

პატრონის ნაკმევ ქერია.
რად ჩამაგდე პატრონი,
რად გაულაღე მტერია?

მთქმელი ალექსი კოლიკაშვილი. ჩაწერილი 1943 წ. სოფ. საკობიანოში ივ. ხორნაულის მიერ (ფშ. ხევს., გვ. 70). ტექსტს ახლავს შენიშვნა: „თქმულების მიხედვით როდესაც თათრებს ალვანი წაართვეს თუშ-ფშავ-ხევსურებმა. დასაჩუქრება განუზრახავს მეფეს იმ ადგილით, რასაც ზეზვან ცხები ერთი შემოვლით შემოუტრბენდა. ზეზვან ცხენს დიდი მანძილი აუღია და მომკვდარა“ (იქვე).



ჩახვივ-ჩახვივის ლურჯაი,
მთიბელავ შენი ცხენია.
რად ჩამაგდე პატრონი,
რად გაუხარე მტერია?
არამიმც არი შენზედა,
ზეზვაის ნაკმევე ქერია.

მთქმელი პ. გონჯილაშვილი. ჩაწერილი 1940 წ. სოფ. ჯიჯეთში ივ. ხორნაულის მიერ (ფშ. ხევს., გვ. 70).

107. ბახტრიონის აღება და თათრებთან ბრძოლა

გადმოცემა შენიშვნის სახით დართული აქვს ივანე ბუქურაულის მიერ ჩაწერილ ლექსს „ბახტრიონის აღება თუშთაგან“. შენიშვნიდან ჩანს, რომ ტექსტი ერთ მთქმელს არ ეკუთვნის. გადმოცემის შინაარსი მოთხრობილი აქვს ივანე ბუქურაულს თუშების ზეპირსიტყვიერების მიხედვით. ტექსტის მიმართ ივ. ბუქურაულმა წერს: „ბახტრიონის აღების და თათრებთან ბრძოლის შესახებ თუშების ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს“ (თაყ., 1, გვ. 61--63).

აღსანიშნავია, რომ თუშური გადმოცემა აჯანყების მიზეზად მხოლოდ ერთ მომენტს—თათრების მიერ თუშის შეურაცხყოფას მიიჩნევს. ამგვარი შეურაცხყოფა თუშისა, მართლაც მოსალოდნელი იყო შაჰ-აბასის მიერ კახეთში ჩასახლებული თურქმენ-თათრების მიერ. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მომენტია. თურქმენ-თათრები მრავალგზის ავიწროებდნენ კახეთისა და მთის მცხოვრებთ. ივ.

ზექურაული მის მიერ მოთხოვნილი გადმოცემის შამართ მართე-
ბულად შენიშნავს: „ექვეს გარეშეა, რომ ეს ამბავი შეცდომით არის
ბიწერილი მეფე ლევანის დროს. არც ერთ კახეთის მეფე ლევანის
დროს ამნაირი ამბავი არა მომხდარა რა. ეს უნდა ყოფილიყო
1658 წ. კახეთის მართველის სელიმ ხანის დროს, როდესაც ქსნის
ერისთავმა შალვამ, მისმა ბიძამ ელიზბარმა და ბიძინა ჩოლოყაშ-
ვილმა შეკრიბა ერთგულნი, მოიმხრო თუშ-ფშავ-ხევსურნი და გან-
დევნა კახეთიდან სპარსელები“ (თაყ., 1, გვ. 63).

108. ზეზვანის ცხენის საფლავი

ტექსტი უშუალო ჩანაწერი არ არის. ცხენის კულტის საკითხ-
თან დაკავშირებით იგი გადმოცემული აქვს ვახტანგ კოტეტიშვილს.
ვახტანგ კოტეტიშვილს მითითებული აქვს ზეზვანის ცხენის საფლა-
ვი „კახეთში, ალვანისა და ალავერდის შორის“ (კოტ., გვ. 347).

109. შიოლა და მთრეხელი

მთქმელი ბიჭა ლუღუშაური 94 წლის. ჩაწერილი 8. VII—
1925 წ. ბეს. გაბურის მიერ (შან. 14—15). მთქმელის ცნობით, შიო-
ლა ლუღუშაური „არ იღებდა ბეგრად დაკლულ ქარის მარცხენა
მკარს, თუ მარჯვენას არ მიუტანდა ქარის პატრონი“. იგი იმდენად
ზნე-დაცემული ყოფილა, რომ ძველი ხალხური ლექსი ასე მიმართ-
ავსო:

არც ქალს უშობდი არც რძალსა,
არც ბაღსა შვიდის წლისასა.

(შან., 337). როგორც ერთგვარი კომენტარი ლექსისა მოგვყავს
შინაარსი გადმოცემისა ს. მაკალათიას სიტყვებით:

„ხალხური გადმოცემით, როდესაც არაგვის ერისთავები ძალით
ვერას გახდენ და ხევი ვერ დაიმორჩილეს, მაშინ ისინი მშვიდო-
ბიანი გზით და დიპლომატიური ხერხებით ცდილობდნენ თემის მო-
თავებების გადმობრუნება-მოსყიდვას და ამით პირის გატეხას.

ამ მიზნით ერისთავები ხევის ხატებს ძვირფას ნივთებს სწი-
რავდენ. მათთვის ღვინის კულუხის გაღება თვითონვე იკისრეს
იურმე. ამ გზით ერისთავებმა დაიხლოვეს ხევის ზოგიერთი გავლენიანი
გვარის მეთაურები, რომლებსაც სალაშქროდ იწვევდნენ და
დიდი საჩუქრებით უკანვე ისტუმრებდნენ. მათ შორის ერისთავებ-
მა დააწინაურეს გავლენიანი გვარის მეთაური შიოლა ლუღუშა-
ური, რომელსაც აზნაურობა უბოძეს თურმე.

სნოს ხეობაში ლუღუშაური ძლიერი გვარი იყო, რომელსაც თავისი მაგარი ციხეც ჰქონდა და ასეთი გვარის მეთაურის გადმობირებით შესაძლებელი იყო-სნოს ხეობის ხელში ჩაგდება და აქედან კი შემდეგ მთელი ხევის დამორჩილება. ახლად გააზნაურებულმა შიოლამ ერისთავების წაქეზებით დაიწყო ხალხზე ბატონობა და საბეგარო ხარჯებით მოხევეებს ძლიერ აწუხებდა. ამაზე თემი ლელავდა. სათემო საბჭოში გვარის უხუცესებმა პირი შეკრეს, რომ თემის მოღალატე შიოლა სასტიკად დაესაჯათ; მაგრამ ამის სისრულეში მოყვანას ვერ ბედავდენ, რადგანაც სნოში შიოლას მაგარი ციხე ჰქონდა. მას აგრეთვე მისი საგვარეულოც ემხრობოდა, რომელსაც შიოლა მთლად გააზნაურებდას პირდებოდა. თემი მოითხოვდა ხალხის მოღალატე შიოლას დასჯას და ბოლოს მან გადაწყვიტა ამ მიზნით მოესყიდა შიოლასთან დაახლოებული ერთი ხევსური—მთრეხელი, რომელიც შიოლას დის ძმადნაფიცო იყო.

თემისაგან მოსყიდულმა მთრეხელმა აბჯარი აიხსნა, ცხენს ძღვენი გადაჰკიდა და შიოლასაკენ გზას გაუდგა. მაგრამ ჯაშუშმა მთრეხელის ეს განზრახვა უკვე შიოლას აცნობა და აჩხოტთან სანადიროთ მიმავალი შიოლა გზაზე შეეყარა ძღვენით ხევსურს. მისალმების უმაღლეს შიოლამ უბრძანა თავის ამაღლას მთრეხელისათვის ცხენი ჩამოერთვათ. შემდეგ შიოლამ შეილდის წართმევა ბრძანა. ხევსურმა ამაზე უარი განაცხადა, უცბად შიოლას მივიარდა; ისარი შიგ გულში ჰკრა და შიოლას სული იქვე გააფრთხობინა.

მთრეხელი გაქცეულა და ლუღუშაურები მას მოსაკლავად დასდევნიდნენ. მთრეხელმა თურმე მოასწრო სოფ. ახალციხეში შესვლა და შიოლას დის სახლში დამალვა. მთრეხელმა თავის დათნაფიცს სთხოვა მფარველობა. ამ საშინელი ამბის გამგონე შიოლას და ტირილით ემუდარებოდა თურმე მდეგერებს: „ნაწნავს ნუ მომჭრით თმისასა, ამ შემოხვეწილ სტუმარს სახლში ნუ მომიკლავთ“. მაგრამ გახელბულმა ლუღუშაურებმა ეს თემური ადათიც გადალახეს, ჩაკეტილი სახლის საკომიდან მთრეხელს ისრები დაუშინეს და შიგ მოჰკლეს“. (მაქ. ხევ., გვ. 42—43).

ლუღუშაურთა დაწინაურება ერისთავების მიერ ნუგზარ ერისთავის დროიდან უნდა ყოფილიყო. ამის გამო ჩვენ აღნიშნული გვაქვს: „XVI—XVII საუკუნეებში საქართველოს მთაში არაგვის ერისთავების მიერ მშრომელთა შევიწროების ამსახველია ხევსა და ხევსურეთში გავრცელებული ლექსებისა და გადმოცემების ციკლი შიოლა ლუღუშაურისა და მთრეხელის შესახებ“ (ნარკვ. 149).

აქამდე, ლუღუშაურო,
 სკამს იჭე ერისთვისასა,
 ეხლა რა დაგმართვებია?
 მსახურსა ღვეიხარ სხვისასა.
 არ გაუტივ მთრეხელი
 ქევს მიმავალი დისასა
 ცხენი მასთხოვე, შენ მაგცა,
 მშვილდს რადა-ღ სთხოვდი რქისასა?
 მშვილდ თავად უნდა მთრეხელსა,
 ნაპირის ადგილისასა.
 დაიკრიფა და გულს დაგკრა
 ბატონსა აჩხვატისასა:
 „აქამდე სკამე აჩხვატი,
 ეხლა მე გაკმევ ქვიშასა“.
 ამანდით გამობრუნვილი
 დაელნებას ღგავ ცისასა.
 მასდევენ ლუღუშაურნი,
 გარისხებას ღგვან ღთისასა.
 მიღმართა ყოლოწმინდასა.
 დედას, მშობელსა ღვთისასა.
 კარნ არ დაუხვდეს ღიანი
 ნაგებსა თლილის ქვისასა.
 გაუშვი, შაიხვეწების
 ძმისა მამკლავი დისასა.
 „ნუ მახკლავთ, ჩემნო მამულნო,
 ნაკაპანს ნუ მამპკრით თმისასა!“
 კარისას არ შაუტივნა,
 საკმით დაუკვრენ ისარსა.
 ამბობენ ჩამოქცევასა
 ახალციხურის კლდისასა,
 შიგ ჩაჭერასა ამბობენ
 ქერ-ბელელაისძისასა.

ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი (შან., 339—340).

შიოლა ღუღუშაურო,
 სკამს იჯე ერისთვისასა.
 არ გაგიშვია მორეხელი
 ჭევს მიმავალი დისასა.
 ერთი გადაჰკრა მორეხელმა
 ბატონსა აჩხოტისასა.
 „აქამდის სქამე აჩხოტი,
 ეხლა მე გაკმევე ჭვიშასა“.
 დაბრუნდა, უკენ გაიქცა
 ქერ-ბეღელისძისასა.
 „ნეტარ, არ შეიხვეწება
 ძმისა მომკვლელი დისასა?“
 „შამოდი, შაიხვეწება
 ძმისა მომკვლელი დისასა.“
 მისდევენ ღუღუშაურნი,
 რისხეასა ჰგვანან ღვთისასა“.
 წინ დაი გერდეღობა:
 „ნაწნავთ ნუ მამჭრით თმისასა“.
 კარით მან აღარ გაუშო,
 საკომლოთ უკვრენ ისარსა.

მოქმელი გახუტა ხეთაგური. ჩამწერი შალვა დოლაქიძე (შან.,
 გვ. 339).

ღ

შიოლავ ღუღუშაურო!
 სკამს იჯექ ერისთვისასა.
 ანლა რა ღმერთი გაგიწყრა?
 მონასა გგებარ ღვთისასა?
 არ გაგიშვია მორეხელი,
 ჭევს მიმავალი დისასა.
 ცხენი სთხოვე და დაგითმა,
 შვილდს რაღას ართმევე რქისასა?
 შვილდი არ დაეთმიება,
 ადვილს დგას ნაპირისასა.
 დაკიჟირა და გულსა გკრა

ბატონსა აჩხოტისასა.
 „აქამდე სკამე აჩხოტო,
 ახლა მე გაქმევე ქვიშასა“.
 ტანზედით აბჯარს ვინ ამყრის?
 ვაჲ დედას შავის ყმისასა!
 ტანზედით ვინ ჩამოშაკდენს
 შავ ბიჭსა მორეხელისასა?
 მივმართავ ყოვლად წმიდასა,
 შეწევას ვითხოვ მისასა“,
 კარები ღია არ დაჰხვდა,
 კარები მღეთის მშობლისაცა.
 „ნეტავ, არ შეიხვეწიებს
 ძმისა მომკვლელი დისასა?“
 — „როგორ არ შეიხვეწიებს?
 ვაჲ დასა შავის ძმისასა!“
 მოსდევდენ ღუღუშაურნი,
 რისხვასა გვანდენ ღეთისასა.
 „ნუ მახვალთ, ჩემო მამულნო,
 ნაწნავს ნუ მომპკრით თმისასა!“
 კარებით არვის გაუშვებს,
 საკომით უკრვენ ისარსა.
 უბნობენ წამოქცევასა
 იმ ახალ-ციხის კლდისასა,
 შიგ მომწყვდევასაც ამბობენ
 ბებერის ჩაბაძისასა.

ჩაწერილი კალმის წვერას (ა. კობაიძის) მიერ (ივ., № 124, 1902 წ. გადაბეჭდილია—შან., 338).

იგივე ტექსტი ოდნავი განსხვავებით 31. VII—1931 წ. ა. კობაიძეს სიონში ჩაუწერია აკ. შანიძისათვის, შან., გვ. 339.

მ

შიოლავე ღუღუშაურო,
 სკამს ზიხარ ერისთვისასა,
 აღარც ქალს ინდობ, აღარც კაცს,
 არცა ბაღს ერის თვისასა,
 პირიდან ცეცხლსა მეხად ჰყრი,
 კლდეს აღნობ ბასრი ქვისასა,

არ გაგიშვია მთრეხელი,
 ჰევს მომავალი დისასა.
 ცხენი სთხოვე და დაგიტმო,
 შეილდს რაღას ართმევ რქისასა?
 შეილდი არ დაეთმიება,
 ადგილს სდგას ნაპირისასა.
 დაგიჰირა და გულსა გკრა,
 ბატონსა აჩხოტისასა.
 „აქამდე სკამე აჩხოტი,
 ახლა მე გაქმევ ჰვიშასა“.
 ტანზედით აბჯარს ვინ ამყრის?
 ვაჲ დედას შავის ყმისასა.
 ცხენზედით ვინ ჩამომაკდენს
 შავ ბიჰსა მთრეხელისასა?
 მივმართავ ყოვლად წმინდასა,
 შეწვევას ვითხოვ მისასა.
 კარები ღია არ დაჰხვდა,
 კარები ღვთის მშობლისასა.
 „ნეტავ, არ შეიხვეწიებს
 ძმისა მომკვლელი დისასა?“
 — „როგორ არ შეიხვეწივეს?
 ვაჲ დასა შავის ძმისასა!“
 მოსდევენ ღუღუშაურნი,
 რისხვასა გვანდენ ღვთისასა,
 „ნუ მახვალთ ჩემო მამულნო,
 ნაწნავს ნუ მამჰკრით თმისასა!“
 კარებით არვის გაუშვებს,
 საკომით უკრვენ ისარსა.

ჩაწერილი ხევში (მაკ. ხევ., გვ. 16—17)

3

შიოლაჲ ღუღუშაურო
 შკამს ზიხარ ერისთვისასა;
 აღარც კაცს ინდობ, აღარც ქალს,
 აღარც ბაღლს ერთის თვისასა.
 პირიდან ცეცხლსა მეხად ხყრი,
 კლდეს აღნობ ბასრი ჰქვისასა.
 გზა შენად დაგიჰერია,

ეგ როდის ვარგა ღთის მადლსა.
არ გაგიშვია მთრეხელი
ხევეს მიმავალი დისასა.
ჯეროთ რო ჯორს გემეეკიდე
საბეგროს გუდანისასა,
ჯორი დაგითმა შიოლამ,
ეხლა შვილდს სთხოვდი რქისასა.
შვილდ როგორ გვეღებოდა
ნაპირის ადგილისასა.
გადმაიბრუნა, გულს დაგკრა
ბატონსა აჩხოტისასა,
აქამდე შქამე აჩხოტი,
ახლა მე გაქმევე ქვიშასა.
რა მეხი იყო შიოლა,
პირქვე ღეეცი მიწასა.
მარდად გაიქცა მთრეხელი,
ელვას ეგვანა ცისასა.
მიზღვეენ ლუღუშაურნი,
რისხვასა გვანდა ღთისასა.
მიღმართა ყოლა წმინდასა,
ტაძარსა სამებისასა;
კარნი არ დახვდენ ღიანი,
ვაჰ, ღედას მთრეხელისასა.
დაო, არ შამიფარებდი,
მამკლავსა შენი ძმისასა.
—შამოდი, შავო და ბნელო,
თუ სულს ვაამებ მკვდრისასა,
ნუ მაჰკლავთ, ჩემო მამულნო,
ნაწნავს ნუ მომპრით თმისასა;
კარით შაასწრობს მთრეხელი,
სარკმლიდან სცემენ ისარსა.
ვაი, თუ დახკრეს ბეჩავსა,
დაატყერებენ მიწასა.
ჩამაშლასაც არდ უბნობენ
ამ ახალციხის კლდისასა,

შიგ ჩატანასაც ამბობენ
ქორ-ბეღელის ძმისასა.
(მობ., გვ. 89—91).

ზ

შიოლავ ლუღუშაჟრო,
შკამს ზიხარ ერისთვისასა,
ალარც ქალს ინდობს, ალარც კაცს,
ალარც ბაღს ერთისთვისასა.
აქამდე სკამე აჩხოტი,
ეხლა მე გაკმევე მიწასა.
ერთი იმანაც მისართა,
განზე გაუხტი ისარსა.
გავიქე, შევეფარები
ძმისა მომკვლელი დისასა,
კარნი არ დამხვდა ღონი,
ვაპ, დედას მთრეხელისასა.
ნეტავ არ შეეფარების
ძმისა მომკლავი დისასა?
მომდევენ ლუღუშაჟრნი,
რისხვას რომ გვანან ღეთისასა.
მიდევით ჩემნო მამულნო,
ნაწნავს ნუ მომპრით თმისასა.
არ დაიშალვს. ესტოლვს,
საკომლით დაჰკვრენ ისარსა.

მთქმელი პელაგია ელიაძე. 80 წლის. იგი თავის სოფელ სნოში ცნობილია როგორც კარგი მოტირალი-მომთქმელი. ჩაწერილი 1958 წელს ხევში სოფ. სნოში ეთერ ავსაჯანიშვილის მიერ. ეს ტექსტი მთქმელს გადაუბამს „შემომეყარა ყივჩაღის“ 14 სტრიქონიანი ვარიანტისათვის. ეს არ უნდა იყოს მექანიკურად მიყოლება ერთი ტექსტისა მეორისადმი, რადგანაც ამ ვარიანტის 7-8 სტრიქონები წარმოშობით „შემომეყარა ყივჩაღის“ საკუთრებაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცნობილი ბალადის ვარიანტში, რითაც პელაგია ელიაძე იწყებს ტექსტს, არ იხსენიება ყივჩაღი. მთლიანად მოგვეყავს ტექსტის დასაწყისი:

საზღვარსა შევიყარენით,
 საზღვარსა მუხრანისასა,
 პური მთხოვა და მივართვი,
 ვურჩევდი თავთუხისასა.
 ხორცი მთხოვა და მივართვი,
 ვურჩევდი ხოხობისასა;
 ღვინო მთხოვა და მივართვი,
 ვურჩევდი ბადაგისასა;
 ცოლი მთხოვა და ვერ მივე,
 მიმყვანდა ცოლის ძმისასა.
 არ დაიშალა, აკოცა
 ნაწნავსა გიშრის თმისასა.
 ხმალი ვუქნიე, შემოვქაჯარ,
 წვერმა უწია ქვიშასა.

როგორც ჩანს, პელაგია ელიაძეს მოთარეშე ყიფჩაღი გაუიგივე-
 ზია შიოლა ღუღუშაურთან. ცოლის მოსარჩლე ქართველი კი—
 მთრეხელად უნდა იყოს წარმოდგენილი. ამგვარად ამ შემთხვევაში
 საქმე გვაქვს კონტამინაციის ნიმუშთან.

- 5 -

ნეტამც შენ. ღუღუშაურო!
 შკამს ზიხარ ერისთვისასა.
 არ გაგიშვია მთრეხელი
 კევეს მიმაჯალი დისასა.

— „მოვხელავ და მოვხელავ ბატონსა
 ბატონსა აჩხოტისასა,
 აქამდე ჰამა აჩხოტი,
 ეხლა მე ვაქმევ ქვიშასა“.
 მაცვივდეს ღუღუშაურნი,
 რისხვასა ღგვანდეს ხთისასა.
 იარალს კელი გაიკრეს,
 ელვა დადგება ცისაცა.

- ჩაწერილი აკ. შანიძის მიერ 14. VII—1913 წ. ხევეში ს. სტუფან-
 წმინდაში. მთქმელი იაგორ ღუღუშაური (შან., 339).

შიოლა ლუღუშაურო,
 ბატონო აჩხოტისაო,
 ჯორი წაართვი მორეხელსა,
 მშვილდს რადა სთხოვდა რქისასა?
 მშვილდს არ გაიღებს მორეხელი:
 ნაპირს დგას ალაგისასა.
 დაიბრუნა და გულს დაჰკრა
 ბატონსა აჩხოტისასა:
 „აქამდე სჰამე აჩხოტი,
 ახლა მე გაჰმევე ქეიშასა“.
 მაადევენ ლუღუშაურნი,
 რისხვასა გვანან ხეთისასა.
 მიმართა ეკლესიასა,
 ნაგებსა ბასრის ქვისასა.
 კარნი არ დახვდენ ღიანი,
 „ვაჲ დედას მორეხელისასა!
 ნეტარ, არ შაიხვეწებსა
 ძმისა მამკლავი დისასა?“
 „შამოდი, შამოგიხვეწებ
 შენის მოკლულის ძმის მზემა!
 დაბრუნდიო, ჩემო მამულნო,
 ნაწნავს ნუ მამჰკრით თმისასა“.
 კარიდან აღარ შაუშო,
 სკამიდან დაჰკრვენ ისარსა.

ჩაწერილი გუდამაყარში სოფ. ლუმაცხოში 16. VI—1913 წ.
 აკ. შანიძის მიერ. ჩამწერის შენიშვნით, მთქმელს ტექსტისათვის და-
 უძენია: „როცა მოსულა შინ ქმარი (შიოლას სიძე): რადმომიკლეს
 სტუმარი და რად მომჰრეს თავიო, უთქომ და მოუკლავს ერთი ცო-
 ლეურთი“ (შან., 340).

კ

აქამდე, ლუღუშაურო
 სკამს იჯე ერისთვისასა.
 ახლა კი დარუყებულხარ,
 მსახურს გაფერე სხვისასა.

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. (შან., 340).

ლ

შიოლა ღუღუშაურო,
 სკამს დასჯე ერისთვისასა,
 აზნაურობას ხფიქრობდი
 ბატნობას მოკეებისასა,
 მოძმეთ მონობას ხფიქრობდი;
 გარაყვეს ნამუსისასა.
 შენ არ იცოდი, მოკენი
 ყმობას არ იზმენ ცხვისასა:
 სისხლის მწოველსა ბატონსა
 მსწავლებს ჩვენ უზღენით ქკვისასა,
 აზნაურობის ძებნაჩი
 გზას მავცემთ სამარისასა.
 კარკუჩით მოღის მთრეხელი
 ღუღუშაურის ძისასა,
 ცხენსა ზის, როგორც ფრიწველი,
 არწივს შეღგვანდა კისასა,
 მილოლაეს, როგორც ნაგრილი,
 მინდორსა აჩხოტისასა.
 მალ ღიახლოვდა აჩხოტსა,
 სადგურსა დევ-გმირისასა.
 ბანიტ დახკივლა შიოლამ:
 „შენ შურს იძებ ვისასა?
 აქ მოღი, მომე პასუხი,
 გულს მე ჩაგიღებ თხისასა“.
 — „მოვალ და კიდაც მოგისპობ
 ბატნობას წუთის ხნისასა“.
 მალ მიაბრუნა მერანი
 მტერთან პირდაპირ ცდისასა.
 ბანიტ ასროლა შიოლამ,
 ცხენს მოჰხელდა თოლის ქისასა,
 წვერა ტვინამღი შევიდა.
 — ძალა აქვს ორბის ისარსა.
 ცხენთ გამაქდა ჰაბუკი.
 სწრაფად მიაძრობს ისარსა.
 ვაჟმაც მალედვე შასტყორცნა,
 უაო არ იყო მისასა.

გულ-ჰეკრდი გააჰკრეტინა,
 კისერს უწია ყმისასა.
 ბანიდან გადმიაიარა:
 „ბატონს ეგ უნდა მთისასა“.
 უკენ მამბრუნდა მთრეხელი,
 სისხლს აღარ ნდომობს ცხვისასა.
 მივიდა ახალ-ციხეჩი
 ახლან შევიდეს ვისასა?
 მიღმართა ყველა-წმინდასა,
 დედა მშობლისა ხთისასა.
 კარნი არ დახვდა ღიანი
 ნაკებსა თლილის ქვისასა.
 მიღმართა ქელ-ბეღელეთა
 თავის მაკლულის დისასა.
 ნეტარ, არ შაიხვეწება
 ძმისა მამკლავი დისასა?
 — „შემოდი, შეიხვეწება,
 სულს გეფიცები მისასა“.
 ისე უშიშრად შევიდა.
 როგორც რო თავის დისასა.
 დიაცმა კარი მიჯარა,
 კედას მიუგდებს ხისასა.
 მასცი(ვ)დეს ღუღუშაურნი.
 კარებს ქვებს სცემენ კლდისასა.
 „გააღე, თორო შენც მაგკლავთ,
 დღეს დაგიბნელებთ მზისასა“.
 ეხვეწებოდა მამის ძმათ:
 „ნაწნავთ ნუ მამკრით თმისასა.
 შაფარებული სტუმარი
 უნდა იფიქრათ ვისას-ა.
 თუ არად აგდებთ სირცხვილსა,
 რას ხფიქრობთ ჩემის ქმრისასა?
 ის არ შეგარჩენთ სტუმრის თავს,
 წესს არ დაარღვევს მთისასა.“
 საკომლით უკრეს ისარი,
 სისხლის პატრონი ავია.
 თორმეტი მოხვდა მთრეხელსა,
 თაჰკრითეს როგორც ცხავია.

მეტად შესწუხდა დარეჯან,
კედელს აგალა თავია,
სდიოდა ცრემლის ნაკადი,
სიტყვა გულთ გამამხრავია.
თმებს იგლეჯს გამწარებული,
მოსწყდა დარალის კავია.
მივიდა, კენესით გაალა
კარა ოჯახის მცავია,
გამაუარდა ცულ-აფთრით
ქალი ეფხივით ავია.

მოვიდა ქელ-ბედელი,
ის მონადირე მთისაო.
ზურგთა ხკიღია ნადირი,
ჯიქვია ათის წლისაო.
ხოლს უთხრა: „ქალო, რას შერები,
ვის ემუქრები, ვისაო?“
— „სნოვლებსა გასაწყვეტლებსა
მადლი გაუწყრეს ხთისაო!
სტუმარი მაკლეს ჩემს სახლჩი,
ას-კეცი ჰირი მჰირსაო.
წადა და ერთი მაუკალ,
ჯიქვი დააგდე ძირსაო.
გადააგდა და წავიდა
ირეშევით მარდად ხტისაო
მალ პიეწია სნოვლებსა.
იქვე სნოს ციხის ძირსაო.

შორათ დახკივლა: „დადევით.
თავზე ნუ იხვევთ ჰირსაო.
რად ხკლავდით სტუმარს ჩემ სახლჩი?
მოდით, მითხარით ჰირსაო.“
სნოვლები ციხეს მიდიან!
ერიდებიან გმირსაო.
შორათ ასროლა ისარი,
ერთი დაგორდა ძირსაო.
წავიდა. მილამ შინ მივა,
გულჩივა ისრივ ხკვირსაო;
„ნეტარ, რად მაკლეს სტუმარი?
ვის სახლჩი ხკლავდეს ვისაო?“

სახლჩი მივიდა. დიაცსა
 წყაროსვით ცრემლი სდისაო.
 მაში შეხკითხა: „რად მაკლეს,
 თავს რად იღებდეს ჭირსაო?
 დიაცმა ვერ თქო პასუხი,
 გულ-კენესით ამასტირსაო.
 მეზობელთ უთხრეს აზბავი,
 მაში დამშვიდდა ისაო.
 —რად არ იცოდეს უბედურთ
 ვის შეეფარა, ვისაო?
 ჩემს სახლჩი შურის ძიება
 არ დაუღვევდა ჭირსაო.
 უთხარით: შური ვიძიე,
 დადუმდეს, ნულარ სტირსაო“.
 რა დააყუჩებს უბედურს,
 ჭირი ესართვის ჭირსაო.

მთქმელი ივანე ფიცხელაური. ჩამწერი შალვა დოლაქიძე (შან. გვ. 340—342). ტექსტს დართული აქვს აკ. შანიძის საგულისხმო შენიშვნა: „როგორც ჩანს, ეს ლექსი ახლად გაკეთებულია ძველი თქმულების ნიადაგზე. მოლექსეს ნაწილობრივ გამოუყენებია ნაწყვეტები ძველი ლექსიდან, რომელიც ამავე საგანს შეეხება და რომელიც რამოდენიმე ვარაუდითაა მოყვანილი. შეიძლება ითქვას, რომ ამისი ავტორი ლიტერატურულ ძეგლებს იცნობს და მათი გავლენის ქვეშ იმყოფებაო („მერანი“ 14/28), „ჭაბუკი“ (17/34)“ იქვე გვ. 342.

110. შიოლა ღუდუშაური

მთქმელი ბადია ბალიაური. ჩამწერი ნ. ურბნელი (ხიზანიშვილი) (ივ., № 84, 1888. გადაბეჭდილია — შან., 14).

111. შიოლამ ღუდუშაურმა

ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ, (შან., 14).

112. გადმოცემა შიოლა ღუდუშაურსა და მთრეხელზე

მთქმელი ბიჭა ღუდუშაური. ჩამწერი ბეს. გაბური (შან., 337—338).

113. ზურაბის ჯავრი

მთქმელი გიგია გოგოკუური სოფ. კორმეშიდან, ჩაწერილი აკ. შანიძის მიერ სოფ. ხახმატში 1913 წ. (შან., გვ. 5).

ბ

ურაბს ჯავრი კლავს ორისა:
ზენ მთისა, ქვემოთ ბარისა,
ქვესურეთს—კორმეშა(ე)ისა,
ფშავეში—ლაშარის ჯვარისა,
თიანეთს ქავკავადისა,
გაუმადლარის ღორისა.

ჩაწერილი დავით ხიზანაშვილის მიერ (ივ.. № 140, 1887; ფშ. ლექს., 14, შან., 314). ამ ვარიანტის პირველ ოთხ სტრიქონს უცვლელად იმეორებს ვ. ბალიაურისაგან ივ. ხორნაულის მიერ 1937 წ. ხევსურეთში, არხოტში ჩაწერილი ტექსტი (ფშ., ხევს., გვ. 75).

114. ერისთობა ჯვესურეთში

პირველად დაბეჭდა ნ. ურბნელმა (ივ., № 238, 1888. გადაბეჭდილია—შან., გვ. 1). აკ. შანიძე მართებულად შენიშნავს: „არის ორი ვერსია ვარიანტებისა: ხევსურულ-ფშაური და მოხეურ-მთიულურ-გუდამაყრული. ძირითადი განსხვავება მათ შორის ის არის, თუ როგორი მიმდევრობით იკითხება ერისთობა და ქვეითობა მეორე—მეორე ნახევარში. ჯერ ერისთობა და მერმე ქვეითობა, თუ პირუტყუ“ (შან., გვ. 298). ლექსი გაერცვლებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. არსებითი განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ზოგ ვარიანტში ხევსურეთის მაგივრად მთიულეთია. ვარიანტების ლიდ ნაწილში არ იხსენიება ზურაბი. აკ. შანიძის მოსაზრებით, ძნელი არის ლექსი წარმოშობით ზურაბ ერისთავის სახელს დაუკავშირდეს. ამ შემთხვევაში მკვლევარი მთქმელთა და ჩამწერთა ცნობებსაც ემყარება. ბ. ჩოხელის განმარტებით, ლექსი მთიულეთის მოხელეზეა ნათქვამი. ა. კობაიძის და ს. მაკალათიას ცნობით, ლექსი შექმნილია ჭიმშერ ერისთავზე, რომელიც მთიულეთთან და მოხევეებთან ბრძოლაში დამარცხებულა (შან., გვ. 298; მაკ., მთ., გვ. 29—30).

თავდაპირველად ლექსი ვიზედაც არ უნდა იყოს შექმნილი, რაკი იგი დაკავშირებია ზურაბ ერისთავის სახელს (ეს კი კანონზომიერი მოვლენაა ზეპირსიტყვიერებაში), სრული უფლებით შევა ამ ციკლში. იგი სწორად ახასიათებს ზურაბ ერისთავისა და მთის მშრომელთა ურთიერთობას.

ბ

კევსურეთია, ბატონო,
ვერ იქამ ერისთობასა,
დაგიწვრილდების კისერი,
ვერ შგსძლებ ქვეითობასა.

უმჯ. 88. ტექსტი უპასპორტოა. იგი ხევსურული უნდა იყოს.

გ

მთიულეთია, ბატონო,
ვერ გაძლებ ქვეითობასო;
გაგრწვრილდება კისერი,
ვერ იქამ ერისთობასო.

ჩაწერილი 1913 წელს გუდამაყარში აკ. შანიძის მიერ. მთქმელის ბტუკია ჩოხელი (შან., გვ. 298. გადაბეჭდილია. ვირსალ., 152).

115. ზურაბ ერისთავი

ჩაწერილი 1878 წ. ხევში პ. უმიკაშვილის მიერ. მთქმელი ბრმა ალექსა გოძიაშვილი (უმიკ., 88).

116. შენ ერისთავო დიდი მთისაო

ჩაწერილია ვინმე მესხის (კონსტანტინე გვარამიძის მიერ) ხელნ.წ. ინსტ., HI—1999 № 121), 152, № 110, იგივე ტექსტი, როგორც სასიმღერო, გამოქვეყნებულია (უმიკ., 349, № 1037).

117. ზურაბის გალაშქრება კევსურეთზე

ჩაწერილი თვალისწინა 1913 წ. აკ. შანიძის მიერ (შან., გვ. 1—2). მთქმელი მინდია ქისტაური, ტექსტის დასათაურება აკ. შანიძეს ეკუთვნის. ტექსტთან დაკავშირებით აკ. შანიძეს ლექსის კომენტა-

რისთვის მოყავს ბაბო ლიქოკელის მიერ ჩაწერილი ხევისურული გადმოცემა: „ზურაბს რატიშვილს სამჯერ დაულაშქრავ ჰევისურეთი შევიდ-მეშვიდგ, წელს და ვერ გაუტეხავ ჰევისურეთი“ (შან., გვ. 298). აკ. შანიძე შენიშნავს: „რა წლებში ხდებოდა ეს ლაშქრობანი, არ ვიცი, არც ის ვიცი, თუ რამდენად მართალია, რომ ინტერვალი ომებს შორის შვიდ-შვიდი წელი იყო. ცხადი კია, რომ ხევისურების აწიოკება ზურაბის მიერ რამდენიმეჯერ მომხდარა 1620 წლის ახლო“ (შან., გვ. 298—299). ამავე მთქმელისაგან ჩაწერილია ვარიანტი მცირე განსხვავებით (შან., გვ. 299).

ლექსი ცნობილია ვარიანტებად:

ბ

დუქეთ იყრების ლაშქარი,
 არ სწვდების წვიმის ცვარია.
 არ ეყვნეს შესასმელადა
 ბაზალერთული ტბანიო,
 ცხენთა საძოვრად არ ეყვნეს
 თრიალეთურნი მთანიო.
 არაგვზე შამადიოდა,
 არ ერგებიან გზანიო,
 ჰევისურეთისკე ლამინობს
 სრუ არგნიანი ჭარიო.
 ქვეითნი დადგეს ლულის თავ,
 ნაკარვეს ცხენიანიო.
 ჩვენ ლელეს მოვიმალენით
 სამოცნი ფარიანიო.
 სამოცსა ფარიანიო
 სამთა ძლიე შაგვეყვა კმალიო.
 ზენ-უბნით ჩამეგმართნეს
 ქიჩბარაულნი ძმანიო.
 ბაცეს მიუვლენ სუმბატას:
 „სუმბატავ, შინა ხარიო?“
 — „შინა ორთ ბიძა-ძმისწულნი,
 ორნი გეტანიან სხვანიო,
 ბევრი გოქვ ტყვია-წამალი,
 კოდებით გვიდგას წყალიო,
 ბევრაი გვაქვის ისარი,

თითოი ჯორის ცალიო.
ვადაქვილოს გორ ციხესა
არ დამიგლიჯნავ ქვანიო.
ქალნი დარანჩი ჩაყარენ:
შუქო, თამარო დანიო.“
წამადგეს კამატულოსა
ძიბლას ძენი რვანიო,
კვათეს ჩაყარეს ისარნი,
დილას რო ცამა ნამიო,
კიდეს ჩაწურეს ლაშქარი,
რო საკალმახე წყალიო.
ვინ იჯე ლორლოვანჩია?
მამა წაგიწყმდა, გვარიო!
ჩაგუბებულთა ლაშქართა
ვინ გაგვისწავლენ გზანიო?
გუდელას დაჯდა ბატონი,
შამახვივა ჯარიო.
დააკლდეს სათვალავჩია
სამოცნი მეომარიო.
კიდევ სა ჩანათდებიან
ქევსურთ შიშველა კმალნიო.
კიდევ სა ჩანათდებიან
კეოს ძირ ქცეულანიო.

ჩაწერილი ხევისურეთში 1911 წ. აკ. შანიძის მიერ. მოქმელი ბა-
ბუა მგელიკას ძე ქეთელაური (შან., გვ. 299—300).

8

დუყეთ იყრების ლაშქარი
არ სწვდების წვიმის ცვარია,
არ ეყვნან შესასმელადა
ბაზალეთურნი ტბანია,
ცხენთა საძოვრად არ ეყვნან
თრიალეთურნი მთანია.
არაგვზე შამადროდეს,
არ ერგებიან გზანია.
ლულის თავ დადგა ქვეითი,
ნაკარევ ცხენოსანია.

ლიქოკის ღელეს გადადის
 თა-უჩინარი ჯარია,
 ბაცეს სუმბატას მიუდგეს:
 „სუმბატავ, შინა ხარია?
 — „შინა ვართ ბიძა-ძმისწულნო,
 ორნი გეტანიან სხვანია,
 ბევრა დავხვეწეთ ისარი,
 კოდებით გვიდგას წყალია,
 ქალნი დარანში ჩავეყარენ;
 შუქო, თამარა დანია.
 ლაშქარო ზურაბისაო,
 არ მათუკელა კარია!“
 წამადგეს კამატულოსა
 კიბლაისძენი რვანია,
 კვათეს ჩაყარეს ისარი,
 დილა რო ცაშა ნამია,
 კიბეს დაწურეს ლაშქარი,
 რო საკალმახე წყალია.
 ჩაბაკის იონეური
 ბანზე გაბრუნდა კარია:
 „ახლოს მადეთ, მიგრულნო,
 ბებერმ გავლესე კმალია.
 ერთ მიაც მამაქნევიეთ!
 მკლავთ აღარ მაქვეა ჯანია?“ ~
 ვინ იჯედ ლორღლოვანასა?
 მამა წაგიწყმდას მკვდარია!
 ჩაგუბებულსა ლაშქარსა
 შენ ჩაასწავლენ გზანია,
 თორ კიდევ ჩაწითლებოდეს
 კეოს-ძირულნი წყალნია,
 გუდელას დაჯდა ზურაბი.
 ატირდა როგორც ქალია:
 „რად ვიყავ აგეთ უკლოი,
 რო მიზარალდეს ყმანია?
 მსახურთა სათვალავშია
 სამოცს შახსნისოს კმალია.“

მთქმელი ბესარიონ გაბური სოფ. კიმლადან. წელიწდელი,
 გვ- 234. გადაბეჭდილია შან., გვ. 300.

დღუეთ იყრების ლაშქარი,
 არ სწუდებინს წვიმის ცვარიო,
 არ ეყვნან შასასმელადა
 ბაზალეთური ტბანიო,
 ცხენთა არ ეყვნან საძოვრად
 თრიალეთური მთანიო,
 საქვესურეთოდ წამოვა,
 რო ნაგუბარი წყალიო.

არაგვზე შამოდიოდა,
 არ ერგებიან გზანიო.
 დულის თავ დადგა ქვეითი.
 ნაკარვევ ცხენიანიო.

ჩვენ დელეს მოვიმალენით
 სამოცი ფარიანიო.

სამოცსა ფარიანშია

სამსა ძლივ გვერტყა კმალიო.

ბაცას სუმბატას მიუდგეს:

„სუმბატავ, შინა ხარიო?“

— „შინა ორთ ბიძა-ძმისწულნი,

ორნი გეტანიან სხვანიო.

ბევრი დავხვეწეთ ისარი,

იქნების ჯორის ცალიო,

ბევრი გვაქვ ტყვია-წამალი,

კოდებში გვიდგას წყალიო.

ჩაბაკის ივანეური

ბანზე გაბრუნდა კარიო:

„ახლოს მოდევით, მიგრულნო,

მუტლებს აღარ მაქვ ჯანიო.

შიაცა-ლ მამაქნევიეთ,

ბებერმ გავლესე კმალიო

მადაქვილოს გორ ციხესა

კუთხს არ დადგლიჯნათ ქვანიო.

ქალნი დარანში ჩავყარენ:

შუქო, თამარ(ო) დანიო.

არ გამამისხნათ შიგითა,

არ მაუკელათ კარიო!“

ქალა(ს). ატირდეს დედანი,

აჴეს ჩაბაკის ქალნიო:

„ჩაბაკის ივანეურო,
 ღმერთმა გაცხონას მკვდარიო!“
 კამატუროს გორ წამოდგეს
 ძიმაისძენი ცხრანო,
 კვათეს ჩაყარეს ისარი,
 დილა რო ცამა ნამიო,
 კიბეს ჩაწურეს ლაშქარი,
 რო საკალმახე წყალიო.
 ვინ იჯე ღორღლოვანასა?
 მამა წაგიწყმ(დ)ას მკვდარიო!
 ჩაგუბებულსა ლაშქარსა
 შენ ჩაგვისწავლენ გზანიო.
 თორ კიდევ ჩაწითდებოდეს
 კეოს ქცეულნი გზანიო.
 გუდგლას დაჯდა ზურაბი,
 შამაიხვივინა ყმანიო,
 დააკლდა სათვალავშია
 სამოცი მეომარიო.

ჩაწერილი ხევსურეთში ბაბო ლიქოკელის მიერ, (შან., გვ. 301). ტექსტის მიმართ აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს: აქ მოხსენებული ჩაბაკის ივანეურის შესახებ ბაბო ლიქოკელი შენიშნავს: „მადაქვილოს ციხეს რო ზურაბის ჯარი მისდგომია, ივანეურს ციხის დარანში ქალნი ჩაუყრია, თაო გამოსულა“ (შან., იქვე).

მ

დუუფოს იყრების ლაშქარი,
 არ სწედების წვიმის ცვარიო,
 არ ეყვნან ასახვრეტლადა
 ბაზალეთურნი ტბანიო,
 შიგ დადგას, ვერ დაეტევის
 თრიალეთს დიდი მთანიო,
 არაგვზედ შამადიოდა.
 თავშალმ დაბრუნდა წყალიო
 ღულის ოავს დადგა ქვეითი,
 ნაკარვებს ცხენოსანიო.
 ჩვენ ღელეს მოვიმაღენით
 სამოცი ფაროსანიო,
 სამოცსა ფარიანიჩია

სამსაც ძლივ გვერტყა ხმალიო.
 ბაცეს მიუდგეს სუმბატას:
 „სუმბატავ, შინა ხარო?“
 — შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი,
 ორნი გვეტანნეს სხვანიო,
 ბევრა დავხვეწეთ ისარი,
 თითო გვაქვ ჯორის ცალიო,
 პურიც არ გვაკლავ საკმელად,
 კოდებჩი გვიდგას წყალიო,
 ქალნი ჩავეარენ დარანჯჩი
 შუქო, თამარო დანიო,
 ზურაბ, მათევენ არ შაიძლო,
 არ მათუკელო კვალიო.
 სუმბატავ, კარჩი გამაედ,
 ზურაბმ მასხნა ყმანიო,
 ჯერ ჯვარი გამოიმძღვარა,
 მემრ შიშველაი კმალიო“.
 სახელს იღებდა ბრმობითა
 ფიცხგლური გვარიო,
 ეგი ბრმა არ ყოფილიყო,
 არჩივა კაბიანიო,
 კამატულოს რო ციხე დგას,
 არ გაუნაყა კარიო.
 გამოტულოს გორს ჩამადგეს
 ბიძაის ძენი რვანიო,
 კვათეს ჩაყარეს ისარი.
 როგორც დილის ცამ ნამიო,
 კიბეს ჩაწურეს ლაშქარი,
 რომ საკალმახეს წყალიო.
 ვინ იჯედ ლორლოანასა,
 მამა წაგიწყმდეს მკედარიო.
 ჩაგუბებულსა ლაშქარსა
 ვინ ჩაგვისწავლენ გზანიო.
 თორ კიდევ ჩაწითდებოდეს,
 კიბეს რომ ქცეულანიო.

ჩაწერილი 1871 წ. ხევსურეთში ილია ჭავჭავაძის მიერ (უმიკ., გვ. 91—97). განმარტებულია სიტყვები—სტრიქ. 23. დარანჯჩი—სამალავში, სტრიქ. 42—რომ—ვით, სტრიქ. 47—თორ—თორემ.

ზურაბმ შეყარა ლაშქარი,
 ერისთვის შეიღმა ჯარიო,
 შემოუყენა არაგვსა,
 არ გადასწვდება თვალიო.
 სასმელად წყალი არ ეყო
 ალაზნანი და მტკვარიო,
 საძოვარადა ბალახი,
 თრიალეთისა მთანიო.
 ღულში დააყენ ქვეითი,
 ნაყარობს ცხენიანიო.
 აქეს მივიდა სოფლის კარს:
 „სუმბატავ, შინა ხარო?“
 „შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი,
 ორნ კარგნი გვტანავ სხვანიო,
 ტყვია-წამალი ბევრი გვაქვ,
 თოფის გვიკიდავ ჯარიო.
 ისარნიც ბევრი დავხვეწეთ,
 ჯორის გამოგვივ ცალიო;
 ციხე გვაქვ ხუროთ ნაგები,
 კუთხს არ გვიწადათ ქვანიო;
 ქავს გვიდგას ყოჩნი და ვაცნი,
 არ შეგვიფთხენოთ თხანიო;
 დარბაზს ჩავგზავნეთ ქალები:
 თამარ, შუქია დანიო.
 კარი არ დაურახუნოთ,
 არ შეგვიშინოთ ქალნიო!
 თვარ გაქმევთ მწარე სადილსა,
 მალ მოვლენ ქევსურთ ყმანიო“.
 ბობჩვილოს ქედზედ გადმოდგეს
 ტიბაის ძენი ცხრანიო,
 კვათეს ჩაყარეს ისარნი,
 როგორც ნაგვალმ ცამ ცვარნიო;
 კიბეს ჩაწურნეს ლაშქარნი,
 გაწითლებიან წყალნიო.
 ვინ ზიხარ ღორღუანასა?
 მამამც წაგიწყმდეს მკვდარო!

რად შაასწაღლე ლაშქარსა
სააქვანონი გზანიო?
თორ კიდევ ჩაწითლებოდენ
ქვევით წამდინარ წყალნიო.

გამოაქვეყნა ივანე როსტომაშვილმა (მმბ, № 2, 1895, გადაბეჭდილია შან., გვ. 301—302). ავ. შანიძე მე-10 სტრიქონში სიტყვას „ნაყარობს“ ასწორებს „ნაკარვებს“ იქვე მოყავს ივ. როსტომაშვილის განმარტებანი ზოგიერთი გამოთქმისა, (შან., გვ. 302).

ზ

ნაკვეთამ უთხრა აბეზრულს,
ქვესურეთს დავსცნათ ცანიო,
ღუშეთს იყრებრს ლაშქარი,
არ სწვდების წვიმის ცვარიო.
არ ეყვნან მოსახვრეტადა
ბაზალეთური ტბანიო,
მოსაძოვებლად ცხენთადა
თრიალეთური მთანიო.
საქვესურეთოდ წამუა,
გამოსქდა ნაგუბარიო,
ჟინვან ერისთავ კითხულობს,
— სად ძეს კემწიფის სკამიო?
ქვესურეთ საით დავლაშქრათ.
რომენზე მოსცემს წყალიო,
არაგვზე შამაიარეს,
მონაყეს ნალურსმარიო,
კეოს გორ ამასაესა,
მუხლა ჩაყარნეს გზანიო.
ღულის თავ დადგეს ქვეითნი,
ნაკარვეეს—ცხენოსანნიო.
ჩვენ ღელეს მოვიმალენით
სამოცი ფაროსანიო,
სამოცსა ფარიანშია
სამსა მძლივ გვერტყა კმალიო.
ლიქოკისაკე გარმოდის
რო მარილისკე ცხვარიო.

ბაცას სუმბატას მიუდგეს.
 — „სუმბატავ, შინა ხარო?“
 — შინა ორთ ბიძა, ძმისწულნი,
 ორნი გეტანიან სხვანიო,
 საომრად ნამზადებნი ორთ,
 კოდებით გვიდგა წყალიო,
 ბევრი დავხვეწეთ ისარი,
 იქნების ჯორის ცალიო,
 სახლ მიდგას კირით ნაგები,
 კუთხს არ დახგლიჯნათ ქვანიო.
 ციხეს მა ბაქჩვილოსასა
 არ შამოგვიკსნათ კარიო.
 ქალნი ჩავყარენ დარანში,
 შუქო, თამარა დანიო.
 არ გამავვისხნათ ხთის მადლსა,
 არ მაუტელათ კვალიო,
 ეხლა ჩვენ გაკმევთ სადილსა,
 მემრ ქვესურნ მავლენ სხვანიო.
 ბაცა სისკრადა ატირდა.
 აკით ჩაბაკის ქალიო.
 მამოკლეს კელგამუტანი
 სწორთაზე მეტი ქმარიო,
 ჩაბაკის ივანეური
 ბანზე გაბრუნდა კარიო.
 ახლოს მოდევით მიგრულნო,
 მუკლებს აღარ მაქვს ჯანიო.
 ერთ მიაც მამაქნევიეთ,
 ბებერმ გავლესე კმალიო.
 შამოქდა ბაცის კედურა,
 წაანახევრა ჯარიო,
 ბრმობით იღებდა სახელსა,
 აღარ მიჰკრიდა თვალიო,
 ბრმა თუა რაით ხედავდა,
 არჩივნა ფალავანნიო.
 გავარდის ბირნელის კლდესა,
 ვეფხეს გახყვა ნაკანქარიო,
 წამოდგეს კამატულოსა
 ძამაის ძენი რვანიო.

კვითეს ჩაყარნეს ისარნი,
დილა რო ცამა ნამიო,
კიბეს ჩაწურეს ლაშქარი,
რო საკალმახე წყალიო;
ვინ იჯედ ღორღლოვანაში
მამა წაგიწყმდეს გვარიო,
შინამც ნუ მიხოლ მშვიდობით,
გაგიწყრა ჩვენი ჳვარიო,
გზაარეულსა ლაშქარსა
შენ გაგვისწავლენ გზანიო,
თორ კიდევ ჩაწითლებოდეს
კეოს ძირულნი წყალნიო.
გუდელას დაჯდა ზურაბი,
დათვალნა თავის ყმანიო,
დააკლდეს სათვალავშია
სამოცნი მეომარნიო.

მთქმელი მამუკა თათარას ძე ლიქოკელი. ჩაწერილი 1934 წ.
სოფ. ქობულოში ივ. ხორნაულის მურ (ფშ. ხევს., გვ. 71—73).

ც

დუჟეთ იყრება ლაშქარი,
არ სწედების წვიმის ცვარია,
ცხენთა არ ეყვის საძოვრად
თრიალეთურნი მთანია,
მკედართ არ ეყვის სასმელად
ბაზალეთურნი ტბანია.
საკვესურეთოდ დაიძრა,
არ ერგებიან გზანია.
გაიგა კეესურთ შვილებმა,
მაშინ გალესეს კმალნია,
გადაწყეს ტყვია-წამალნი,
თოფს გამუცვალეს ტალია,
შაუკრეს ჟინვანის კიდი,
არ დაანებეს გზანია.
ლამით თუ გასქრეს რუსებმა,
გამოდის სისხლის წყალია.

დილას ასტეხეს სროლაი,
 თოფებს გადასდის ალიო.
 გამაგრდით, კევესურთ შვილებო,
 მოგივათ ფშავლის ჯარიო,
 მესამე დილას მოვიდა
 ფშავით არწივის ჯარიო.
 წინ უდგას ბეკურაული,
 შაჰყვირნებს, როგორც კარიო:
 „ჩვენ ვერ გავიგით ხანზედა,
 კევესურნო, თქვენი ბრალიო!“
 „ეხლა თქვენ იცით ფშავლებო!“
 ბრძანებს ლაშაჩის ჯვარიო.

ჩაწერილი ვ. ტუქისიშვილის მიერ. დაბეჭდილია (შან., გვ. 302).
 სწორია აკ. შანიძის დაკვირვება, რომ ზურაბ ერისთვის ციკლის
 ლექსის ვარიანტი არის პირველი 8 სტრიქონი. ლექსის მეორე ნა-
 წილი შეიძლება არც იყოს ზურაბის ლაშქრობაზე ნათქვამი. ამავე
 დროს იგი ფშავში უნდა იყოს შექმნილი (შან., გვ. 302). სხვა ამბის
 ამსახველი ლექსის მეორე ნაწილი მართლაც კონტამინაციის წესით
 დაკავშირებია ზურაბის ლაშქრობაზე შექმნილ ლექსს.

თ

ზურაბმან ჯარი შეყარა,
 ერისთვიანი ყმანიო.
 სადგომლად მაგათ არ ეყოფოდათ
 შირაქის მოედანიო,
 სასმელად მაგათ არ ეყოფოდათ
 მტკვარ-იორ-ალაზანიო,
 საძოვრად მაგათ არ ეყოფოდათ
 ლალ თრიალეთის მთანიო.
 ახლ მიჰმართეს არაგვისაკენ,
 აღმ შეაბრუნეს წყალნიო.
 აჰასა მივიდენ ციხისა ძირსა:
 შინამ ხარ, ივანეუროო?“
 შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი,
 ერთი სხვაც გვტანავ კარგიო.
 ჯერა ჩვენ გაქმევთ მწარე სადილსა,

მერე მოგვივლენ კევსურთ ყმანიო.
 ისარიც ბევრი დაეხოწეთ,
 — ჯორის გამოგვივ ცალიო.
 ტყვია-წამალიც ბევრი გვაქვს,
 თოფიც გვიყიდავს ჯარიო.
 ასეთი საქმე არ გვიყოთ,
 ბაშტიც არ დაგვიფთხინოთ თხანიო.
 ისეთი საქმეც არ გვიყოთ,
 ციხით არ გამოგვისხათ დანიო.
 ციხე გვედგ ხუროთ ნაგები,
 კუთხით არ მოგვიწადოთ ქვანიო“.
 ქალო, ვინამ ზიხარ ლორლოანასა?
 მამა წაგიწყმდებ მკედარიო!
 ლაშქართა რად ჩაასწავლე
 საახაონი გზანიო?
 ლაშქარი საახოს ვერას ჩავიდლოდ,
 გზა ჰქონდ სახვეერიანიო.
 კიდენა ქალო ჩაწითლდებოდა
 თავქვე ჩამდინარ წყალნიო.

ჩაწერილია თუშეთში დ. ალბანელის მიერ (კვ., 1897, № 20. გა-
 დაბეჭდილია შან., გვ. 322—323). ავ. შანიძის, მართებული შენიშვ-
 ნით. ხევისურეთში შექმნილი ლექსი თუშეთში დაზიანებულია. სტრ. 28
 ს ა ა ხ ა ო ნ ი ავ. შანიძეს მიაჩნია დ. ალბანელის კორექტურულ
 შეცდომად. უნდა იყოს სააკვაონი—სთახაოსი. შან., გვ. 303.

0

დუშეთში დგება ლაშქარი,
 არ სწვდება წვიმის ცვარია.
 ცხენთა სასმელად არ ეყენეს
 ბაზალეთისა ტბანია,
 საძოვნელადა ბალახი,
 თრიალეთისა მთანია.
 არაგვზე შამოდოლოდენ,
 არ ჰნებდებიან გზანია.
 ქვეითნი ლელის თავს დადგენენ,
 ჩაკარვებ ცხენოსანია.

ჩვენ ღელეს მოვიმალენით
სამოცი ფაროსანია.
სამოცსა ფაროსანშია
სამს კიდევ გვიჭრის კმალია.
ნაკვეთამ უთხრა ლაშქარსა:
„ამბეზრულს მივსცათ მკარია,
აქეს გადვიდეთ ჩქარადა,
ეხლა მანდ ვნახეთ ყმანია“.
ბაცას სუმბატას მიუხდენ:
„სუმბატავ, შინა ხარია?
შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი,
სამნიცა სხვანი გვტანია.
ბევრი მოვხვეტეთ ისარი,
გვექნება ჭორის ცალია.
პური საქმელად არ გვაკლავ,
კოდებში გვიდგა წყალია.
ეწ ჩვენ გაქმევთ სადილსა,
მემრ მოვლენ ქვესურთ ყმანია.
სახლნი მიდგან ხუროს ნაგები,
კუთხს არ დაგლიჯნათ ქქანია!
ქვეთა თვალს დარან ჩავყარენ
შუქო, თამარა დანია,
არ ამამისხნათ ხეთის მადლმა
ლამაზნი ჩემნი დანია!
აქეს ატირდენ დედანი
ივანეურის ქალია.
ჩაბაკის ივანეური
ბანზე დაბრუნდა კარია:
„ახლოს მოდექით, ძალღებო,
მუკლში არა მაქვ ძალია,
ერთი მეც მამაქნევიეთ,
ბებერმ გავლესე კმალია.
ამოდგეს კამატულოსა
ლიბოს თავს ცხრანი ძმანია.
კვეთეს ჩავყარეს ლაშქარი,
დილამ რო დადვა ნამია.
კიბეს ჩაწურეს ლაშქარი,
რო საკალმახე წყალია.

ვინ იჯე ლორლოვანშია?
 მამა წაგიწყმდეს მკედარია?
 გასალუპავსა ლაშქარსა
 რად გაასწავლე გზანია?
 თორო კი ჩაწითდებოდენ
 კეოს ქცეულნი გზანია.
 გუდელას დაჯდა ზურაბი,
 შამაიხვიენა ყმანია,
 კითხულობს დაკოცილებსა,
 ატირდა როგორც ქალია:
 „დამაკლდენ სათვალავშია
 სამოცინი მშვილდოსანნია.
 დანდობილობა წავიდა,
 ისარს მასცხიან შხამია“.

ჩაწერილი ლევან რაზიყაშვილის მიერ (შან., გვ. 303—304).

კ

აჰეს ატირდეს დედანი,
 აჰეს ჩაბაკის ქალიო.
 ჩაბაკის ივანეური
 ბანზე გაბრუნდა ჯარიო:
 „ახლოს მადეით, მისრულნო,
 შორს არ მაქვ ყოლის ჯანიო.
 ერთი მეც მამაქნევიეთ,
 ბებერმ გავლესე კმალიო“.

შამოჯდა ბაცის კიდურ,
 გაანახვერა ჯარიო.
 ბირნელის ღელეს გავარდა,
 ეფხს გახყო ნაკანქარიო.

ჩაწერილი 1930 წ. აკ. შანიძის მიერ ლიქოკელი ხევსურისაგან (შან., გვ. 299).

118. წელიანი ლოგინი

ჩაწერილი ხევსურეთში ბაბო არაბულის მიერ (შან., გვ. 2).

ბ

აბაო ჭინჭარაულო,
 კაცი მოსტყუვედი ჭკვიანი:

ქვესურებ არ გამაუშვენ,
დართულებ, ცხენ-აბჯრიანნი.
საშოვარ არ თუ გინდოდა,
ცხენ-ჯორ დგას საკიდვრიანი.
ჩვენ ვან—ქვევამდის მივსდიეთ,
მშვილდი ვაჭეხეთ რქიანი.
ჩარგლის კართ ზაალ ჩატირის,
როგორცა ქალი თმიანი.
ჩაეუბნება მსახური:
ზაალ, ვერ იყავ ჰქვიანი.
აკუშოს რად მიხვიდოდი?
ხატი ჰყავ დობილიანი.
ახლოს „ქუდ-ნისლა“ მოჰკიდავ
საძახებელი ტიალი.
წინ-წინ ლიქოკით მოუვლენ
ქორ-შავარდენნი მკრიანნი.
ვაჟები ლიქოკელები
კლდის ვეფხვებია ბწყლიანნი.
მშვილდს ზიდვენ იანვარშია,
ისართ დასცვითნეს ყიანი“.

ღულის თავს კელად იპერენ,
ვისაც ფუნჩიან ჰქვიანო.
„გამიშვით, უნდა წავიდე,
სადაც აკუშო ჰქვიანო.
მე მაინც არ დავიჯერებ.
ფრანგულსა სისხლი ჰშიანო“.

ჩაწერილი შ. ბეწუკლიშვილის მიერ (შან. გვ. 304—305).

8

ზურაბ ჩატირის ჩარგლის კართ,
როგორც გოგოი თმიანი.
მსახურებ ჩაეუბნების:
„ზურაბ, ვერ იყავ ჰქვიანი.
აკუშოს რად მიხვიდოდი?
ჯვარი ჰყავ ლალატიანი.“

ახლოს მაჰკიდავ ქუდ-ნისლა,
 შაკდეს, შასძახნებს ტიალი. -
 ჩალხურან, ნებიერელნი
 კლდის ვეფხენი ჰყევანან პწკლიანნი
 მოკდიეს ვან-ჰევამდინა,
 მოგყეფდეს მშვილდნი რქიანნი.
 მოგაწუნებდეს, მოგყეფდეს
 ფრანგულნი კმალნი ფხიანნი“.

ჩაწერილი ვ. ტუქსიშვილის მიერ (შან., გვ. 305).

119. ომი აკუშოს

ჩაწერილი ბაბო ლიქოკელის მიერ (შან., გვ. 2—3). აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს, რომ ეს ლექსი, ისევე, როგორც „წულიანი ლოგინი ნათქვამია აკუშოს ომზე. საინტერესოა ჩამწერის შენიშვნა: „ზურაბს რომ ვერ გაუტეხავ კევსურეთი, იმის შემდეგ გაუნებებავ თავი. მას იქი აღარ მოსულა ჯარი. მემრე თრუსოს დაუბარებთან. მემრე საფურცლეს თუში მათრავს მათკლავის, ჯარდოლას და ყვარჩი-ბარჩისძეს“ (შან., გვ. 305).

ბ

ღულის თავს კელად იპერგნ,
 ვისაც ფუნჩია ხქვიანო,
 წავალ, თქვა, არ დავიჯერებ
 აკუშოს ომსა ღბიანო,
 ჩავხპოცი აზნაურებსა,
 ფრანგულსა სისხლი შიანო
 კაცი მასტყუედი, აბაო
 ჭინქარაულო ჰკვიანი,
 რად დააბრუნენ კევსურნი,
 მართულნი ცხენ-აბჯრიანნი.
 არვის უნდოდა სახელი,
 ცხენ-ჯორი საკიდვრიანი,
 ან კმალი არვის უნდოდა.
 ვადამდის სისხლის ცვრიანი?
 ჩვენ ვან-ჰევამდინ მივზდიეთ,
 მშვილდ ვაყეფენით რქიანნი,

ჩარგლის გორ ზაალ ვატირეთ,
 ვითამ ქალ იყვა თმიანი.
 მოახსენებენ მსახურნი:
 ზაალ, მასტყუედი ჰევიანი,
 აქუშოს რად მიხვიდოდი,
 ჯვარი ხყავს დავლათიანი,
 ქუდ ნისლა ახლოს ხქონია,
 საძახნებელი ტიალი;
 ჩალხურნი, ნებიერულნი,
 ბასრის კმალნია ფხიანნი.
 მშვილდს ზიდვენ იანვარშია,
 ისარი ხქონდა თბიანი;
 აქუშოს ქალას ჩაგვეყარნეს,
 კლდიანი, კიბორჭიანი,
 წამოგვეყარნეს ისარი
 ფოცხვიან-მაკრატლიანი,
 გვიტოცეს აზნაურები,
 ყორნებ ჩამოდის თბიანი.

ჩაწერილი 1876 წ., ხახმატელი ბერდია გამლივარაულის მიერ (უმიკ., გვ. 92). მე-17 სტრიქონში მოხსენებული ზაალი, ჩამწერის შენიშვნით, არის ზურაბ ერისთვის ძმა. მე-20 სტრიქონში ჩამწერისათვის გაუგებარი ყოფილა „ქუდნისა ალა“. რისთვისაც კითხვის ნიშანი მიუწერია. იქვე. დავით გოგოჭურის განმარტებით, „ქუდ ნისლა მთაა ბარისახოს აღმოსავლეთით. იგი შტრის შემოსასვლელ ჭებობას (ორწყალის მიდამოს) დასცქერის. გადმოცემის მიხედვით, შტრის შემოსევის მაცნე განგაში ქუდ ნისლიდან იწყებოდა იქვე მცხოვრებ აქუშლების მიერ“.

ამ ვარიანტში ზურაბის ნაცვლად მისი ძმა ზაალია მოხსენიებული.

120. ზურაბი და სამხარაული

ჩაწერილი ხევსურეთში სოფ. ბარისახოში. (ქინ., № 32, გვ. 345).

121. ადკომამც იყვა

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ (შან., გვ. 9).

122. მარტია მისურაული

მთქმელი გიგია გოგოჭურო. ჩაწერილი ხახმატში 1913 წ. აკ. შანიძის მიერ. შან., გვ. 10—11. 7—8 სტრიქონებთან დაკავშირებით აკ. შანიძე შენიშნავს: „სანე. ადგილია, სადაც გუდანის ჯვარია. იქ სალუდესი მოიპოვება საკიდელი, რომელსაც მარტიას მოტანილს ამბობენ“ (შან., გვ. 330).

ბ

ჰორმეშავს ტირის ქალები:
ქმოსტსა წვიმს, აქაც მოგვევა
ეხლა მოგვევა ზაფხული,
მარტია ველად გაგვევა.
სახელის მოყვარულია,
ქისტუთს სალაშქროდ წაგვევა.
ჰერთით საკიდელს მოიტანს,
სანეს ხატშიაც მოგვევა“.

ჩამწერი ბაბო ლიქოკელი. დაბეჭდილია (შან., გვ. 330). ტექსტს დართული აქვს შენიშვნა: „საკიდლის ჩამოხსნას“ ერისთვიანების ზოცასაც უკავშირებენ:

გ

მარტიას გამაუვლიან
გარე-კახეთის მთანია,
ერისთვიანებ უკოცავ,
ცეცხლზედ დაუსხამ-წყალია,
საკიდელ ჩამაუგლეჯავ,
სახლის უმტვრევევ კარია.

ჩაწერილი უცნობი ხევსურის მიერ (შან., გვ. 330).

123. მისურაული

ჩაწერილი ხევსურეთში ბაბო ლიქოკელის მიერ, დაბეჭდილია (შან., გვ. 6).

ჯარებ კევსურეთს მოვიდა,
 ბილაკებს მოსდევს წყლიანსა.
 მარტია მისურაული
 სერებს გაპყვება კლდიანსა.
 გულში დარდი აქვ ზურაბსა:
 „ეგ რაით გვიქამს ზიანსა.
 ოქროს ვერ შავაპარებთა
 ვაქჟაცსა ამლათიანსა?“

ჩაწერილი შ. ბეწუკლიშვილის მიერ (შან., გვ. 314).

124. კაცი ბეგენგრ წამოდგა

1.

ჩაწერილი ბერდია გამლივარულის მიერ 1876 წ. (უმიკ., 93).
 ტექსტს დართული აქვს შენიშვნები: სტრიქ. 10—ს ი ს ვ ი—მ წ ვ ა
 ნ ე; იქვე ს კ ლ ა ტ ი—მ ა უ დ ი; სტრიქ. 15—„ყაწიმი—ხმლის, თო-
 ფის მასრების ჩამოსაგდები ჯვარედინად, რომელსაც წერილი ასხმუ-
 ლი მეტალისა აქვს“; სტრიქ. 17—ე რ ჩ ი ყ ო—უ ჯ ო ბ დ ა; სტრიქ.
 24—ხადუველთ—ს ო ფ ე ლ ი (ე. ი. სოფელ ხადუდან).

ომი ღულის თავს

კარკოს უნ შაკოციყვენით,
 გვაშაირებენ ქალნიო.
 ბევრი დაბრუნდა უკულმა
 დინინის ქალის ქმარიო;
 ბევრამაც ტყეში ჩაილა
 ქუჩუმიანი ფარიო;
 ბევრმაც კი სისხლით დაფერა
 ვადა-ცვრიანი კმალიო.
 ღულის თავ მოგდევს, ბატონო,
 ლომნაურისძის ფარიო.
 მარჯვნივ მოხყვების ყმაწვილი
 კადუთ ას მეომარიო.
 ღარაქიშთ ნანაისძეო,

ღმერთმა გაცხონას მკვდარიო
ღულის თავ კარგად უკირე
ლომნაურისძეს მკარიო.
უთურგი არ მოგეკვლივა
მეწყინაისძე კარიო.

ჩაწერილი თვალღვში 1913 წელს აკ. შანიძის მიერ ღუღლო მინდია ქისტაურის თქმით. დაბეჭდილია (შან., გვ. 2).

აკ. შანიძეს ტექსტის შენიშვნებში მოყავს ბაჩანას მიერ ჩაწერილი ლექსი:

ღარაქიმთ ნანაისძეი
გალავნის პირას ზისაო.
„საომრად არის მოსული?“
ერეკლე იცინისაო

(ივ. 1898, № 216). აკ. შანიძე სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ ლექსში ან ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე, ან კიდევ ერეკლე პირველის ან მეორის დროინდელი ღარაქიში ნანაისძე სხვა არის და არა ზურაბის თანამებრძოლი პირი (შან., გვ. 304). ჩვენის აზრით, უფრო მისაღებია მეორე მოსაზრება. ეს ვარიანტი არ უნდა იყოს ზურაბ ერისთვის ციკლის ნაწარმოები. ამ ვარიანტში ღარაქიმთ ნანაისძე, როგორც ეს აღნიშნული აქვს ბაჩანას „ბებერა, ბეჩავა კაცი ყოფილა“. ზურაბის წინააღმდეგ მებრძოლი ღარაქიში ნანაისძე კი კარგ მებრძოლად არის დახასიათებული.

125. წერონი

მთქმელი გაგა თეთრიაული (ხვესურულ ლექსებში მოხსენიებული ნისლაურთ მაისტელი). ჩაწერილი 1913 წ. აკ. შანიძის მიერ. (შან., გვ. 3—4).

ბ

ფხრტუთ მავიდეს წერონი,
მაშვრალნი შორის გზისანი.
როშკას აწიწდეს ციხენი,
ბლოს ბანნი ქვიტკირისანი.
ეშინის: „დაგვეცემიან
ნაზლობნი საქელისანი.“
ზურაბ როშკის გორ ჩამაჯდა.

შუქნ ჩამუტივნა მზისანი.
 სანეს შაგროვდეს კევესურნი:
 „ვართ პატრონ ადგილისანი“.
 მაუვლენ მთას იქითითა
 ნაპირის ადგილისანი.
 მამუკას ქალუნდაურსა
 თან მახყვეს შუქნი მზისანი.
 ბეკენთ-გორ ჩამაეწია,
 კრნა ლაშქარ ზურაბისანი.
 ამანდით ამბარუნვილმა
 სამან ჩახყუდნა ქვისანი:
 „ვაყამ ქნას ყველამ აესრა,
 ვინც ლაქნას აეს ქვიშანი!
 ვინც ამას გადასცილდების,
 ცოდვან ეკიდნან კმლისანი!“

ჩაწერილი ბეს. გაბურის მიერ. წელიწდუელი, გვ. 158—160.
 გადაბეჭდილია (შან., გვ. 307).

8

წერონ მავიდეს ფხიტუთა
 მაშვრალნი შორის გზისანი.
 როშკას ატირდეს ციხენი,
 ბლოს სახნი ქვითკირისანი:
 „ზედ რაით დაგვეცემიან
 ნაძლობნი საქელისანი“.
 როშკის კორკს ზურაბ ჩამაჯდა,
 შუქნ ჩამაუშვნა მზისანი.
 სანეს დაგროვდეს კევესურნი:
 „პატრონ ორთ ადგილისანი.
 ზურაბო, დაჯე, დაგვექსენ,
 ნარჩომნ ორთ შენის კმლისანი,
 თორ ჩვენაც შამოგეცდებით,
 ხოჯეგნ კარ გვიდვან ლთისანი.
 მაგვივლენ მთას-იქითელნი,
 ნაპირის ადგილისანი“.
 თან მოხყვეს ქალუნდაურსა
 მამუკას შუქნი მზისანი.
 ბეგენ-გორს ჩამაეწია,

ჯარნი კრნა ზურაბისანი.
 ამანდით ამობრუნდების,
 სამან ჩახყუნა ქვისანი:
 „ამას ვინც გადამცილას,
 ცოდვან ახკიდა კმლისანი;
 ვაუ ვინაც იყოს, ესრე ქნას,
 გუდანს ვინც ლაქნას ქვიშანი!“
 ღულის ძირ წისქვილნ დაბრუნდეს
 ზურაბის სისხლის წყლისანი.
 ორ-წყალში ფშავლები დახედეს,
 წკეპან ამოდის კმლისანი.

მთქმელი გიორგი არაბული. დაბეჭდა ნ. ურბნელმა (ივ. 1891
 № 90. გადაბეჭდილია შან., გვ. 308). აკ. შანიძეს შენიშვნებში მო-
 ყავს ნ. ურბნელის ცნობა (ივ., 1888, № 238). მამუკა ქალუნდაურის
 საფლავის შესახებ: „მამუკა გზის პირად მარხია, .ს. გუდანის ახლო.
 დიდი ლოდი აძევს და იმის საფლავს ხევესურები ლოცულობენ, თა-
 ყვანს სცემენ. იმ ადგილს, სადაც მარხია, ბეგენ-გორი ჰქვია“.

დ

როშკას ჩამაჯდა ზურაბი,
 შუქნი ჩამუშენა მზისანი, *
 დაჯე, დაგვეხსენ ზურაბო,
 ნარჩომ ორთ შენის კმლისანი,
 თორ ვიც რო აოკრდებიან,
 ხოჯეგნი გვიდგან ხთისანი,
 მაგვივლენ პირიქითელხი
 ნაპირის ადგილისანი,
 თან მახყვეს ქალუნდაურსა
 მამუკას შუქნი მზისანი.
 ბეგენგორს ჩამეეხვივნეს,
 ჩამააწითლნეს ქვიშანი.
 ბეგენგორს ქალუნდაური
 ყვარნის გრილოსა ყვებოდა:
 „კმლითა ვჰსცათ, ჩემნო კევესურნო,
 ადგილი ჩვენ დაგეჩებოდა“.

შანდობა ქალუნდაურსა
ცუდებიც შაიცდებოდა,
ამანდით ამბარუნვილმა
სამანნი ჩადგნა ქვისანი,
ვინც ამას გადამიცილდას,
ცოდონ მახკიდნა კმლისანი,
ვაჟმა კი ყველამ ესე ჰქნას,
ვინც აქ აწითლნას ქვიშანი.

ჩაწერილი ხევესურეთში პ. უმიკაშვილის მიერ 1874 წ. მთქმელი
ბერძნია გამლივარაული (უმიკ., გვ. 91).

მ

სანეს დაგროვდეს ქვესურანი:
„პატრონნ ორთ ადგილისანი.
დაჯე, დაგვექსენ, ზურაბო,
ნარჩომნ ორთ შენის კმლისანი,
თორ ჩვენაც კელს შემოგიქცევდით,
ხოჯეგნ კარს გვიდგან ღთისანი.
მოგვივლენ მთას იქითითა
ნაპირის ადგილისანი.
თან მოხყვეს ქალუნდაურსა
მამუკას შუქნი მზისანი.
ბეგენ-გორ ჩამოეწია
ჯარნ ჩაქრა ზურაბისანი.
ამანდით ამბარუნვილმა
სამანნ ჩახყუნდა ქვისანი:
„ვინც ესენ გადმომიყარნას,
ცოდვან მოხკიდნა კმლისანი.
ვაჟმა ესრე ქნას ყველამა,
ვინაცა ლაქნას ქვიშანი“.

ბეგენ-გორ ქალუნდაური
ყორნის გრილოთა ხყვებოდა.
შანდობა ქალუნდაურსა,
ცუდაიც შაეცდებოდა.
მამუკა ქალუნდაური
ქვესურთ გულისად კვდებოდა.

ამლას უსხენან ცოლ-შვილნი.
მაგას რა წაუქდებოდა?

მთქმელი გოგოთურ კინჰარაული. ჩაწერილი გიორგი წერეთლის მიერ ბარისახოს 1925 წ. (შან., გვ. 309).

8

ფხიტურს მოიდგნ წერონი
მაშვრალნი დიდის გზისანი.
როშკას ატირდენ დედანი,
ბლოს სახნი ქვიტკირისანი.
„ჩვენ რაით დაგვეცემიან
ნამზეღევნი საძელისანი“.
როშკის თავს დაჯდა ზურაბი,
შუქნი ჩამუშენა მზისანი.
„დადეგ, დაგვექსენ ზურაბო,
ნარჩომნ ორთ შენის კმლისანი
თორ ჩვენაც შამოგემბებით,
ხოჯეგ თან გვექონან კმლისანი
მაგვივლენ მთას-იქითელნი,
ნაპირის ადგილისანი“.
მამუკამ ქალუნდაურმა
ჯაერნი არ ჰამის მტრისანი.
ქარკოს გორს ჩამეეწია,
ჯარნ ჩაქრნა ზურაბისანი.
ამანდით ამაბრუნველმა
სამან ჩადგ ხოხის ქვისანი.
„ვინც ამას გადმომიცილდას,
ცოდვან ახკიდნა კმლისანი“.

ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ (შან., გვ. 309—310).

9

ფხიტუთ მაფრინდეს წერონი
მაშვრალნი შორის გზისანი,
ატირდეს როშკას დედანი,
ბლოს—სახლნი ქვიტკირისანი.

—დაჭე, დაგვექსენ ზურაბო,
 ნარჩომნ ორთ შენის კმლისანი,
 კელს ჩვენაც შამოგიბრუნებთ,
 გვისხენ ხოჭეგნი კლდისანი.
 სანეს შაგროვდეს ქვესურნი,
 ნაწვენევი ზურაბისანი,
 თქვეს: ჩვენაც ომი გეწადიან,
 პატრონ ორთ მამულისანი,
 მოგვივლენ სხვანი ძმანიცა
 ნაპირის ადგილისანი.
 გუროთ მამუჯა მოვიდა,
 შუქნი თან მოხყვეს მზისანი,
 უნდა დაზარდოს დედამა
 ეგეთა მკლავნი ყმისანი.
 ბეგენგორს ჩამაეწია,
 აწითლებივნა ქვიშანი.
 ღულის ძირს წისქვილ დაბრუნდა
 ზურაბის სისხლის წყლისანი,
 ორწყალში დაჰხვდა ფშავლები,
 წკეპან ამოდის კმლისანი.
 უკვენ დაბრუნვილმ მამუკამ
 სამან ჩააგო ქვისანი,
 ვინც დამიშალოს მე ესი,
 ცოდვან მაჰკიდა კმლისანი.

(ფ. არქ. № 3188), ჩაწერილი შ. ბეწუკლიშვილის მიერ.
 სტრიქ. 19 ხელნაწერში ვკითხულობთ „ბეკენ გორს“,—ქ. ს.
 სტრიქ. 26 ხელნაწერში არის ს ა ნ ა მ.

თ

ფხიტუთ მოვიდეს წერილნი
 მაშვრალნი შორის გზისანი.
 როშკას შასწუხდენ ციხენი,
 ბლოს სახლნი ქვიტკირისანი.
 ზედ რაით დაგეცემიან
 ნაზლობნი საქელისანი.
 დაჭე, დაგვექსენ ზურაბო,
 ნარჩომნ ვართ შენის კმლისანი.
 თორემ ჩვენც გავჯავრდებოდით,
 ხოჭეგნ გარს გვიდგან მთისანი.

მაგივლენ პირიქითითა
 იაპირის ადგილისანი.
 თან მაჰყვენენ ჭალუნდაურსა
 მამუკას შუქნი მზისანი.
 ბეგენ-გორს გამეეწია,
 ჩამააწითლნა ქვიშანი:
 ჩადგნა მამუკამ სამანნი
 ბეგენ-გორს ხოხის ქვისანი:
 „ვინც ამას გადმამიცილდას,
 ცოდვან მოგვიდნენ კმლისანი“.

ჩაწერილი ვ. ტუქსიშვილის მიერ. დაბეჭდილია (შან., გვ. 310)-
 ეტყობა მთქმელისათვის გაუგებარი იყო პირველ სტრიქონში წე-
 რონი და შეცვალა სიტყვით წერილი.

ი

როშკას ატირდენ დედანი,
 ბლოს სახლნი ქვიტკირისანი:
 ზურაბ, ნუ დაგვლევ ღვთის მადლსა
 ნარჩომ ვართ შენის კმლისანი.
 კელს კი ჩვენც შემოგიქცევდით,
 ვალნ კარს არ გვედგენ ხთისანი.
 მოგვივლენ პირიქითითა
 არწინი მალღის მთისანი.
 ამღით მამუკა მოვიდა,
 შუქნი თან მაჰყვენენ მზისანი.
 ჩამოგეწივნეს ბეკენ-გორს,
 გაწითებინეს ქვიშანი.
 მობრუნდეს, ჩადგეს სამანი
 ბეკენ-გორს ხოხის ქვისანი.
 ყველამ ესრე ქნის ვაჟკაცმა,
 ვინც ლაჭნეს ესე ქვიშანი.
 ღულის ძირს წისქვილნ დაბრუნდეს
 ზურაბის სისხლის წყლისანი.
 ორ-წყალში ფშავლებ დაგვხვდება,
 წკეპან ამოდის კმლისანი.

ჩაწერილი ალექსანდრე ყაზბეგის მიერ (შან., გვ. 310).

წერონ მოვიდეს ფხითყუსა
 მაშერალნი შორის გზისანი.
 დაჯე, დაგვექსენ, ზურაბო
 ნატემნ ვართ შენის კმლისანი.
 კელს კი ჩვენ შამოგოქცევდით, -
 გვისხენ ხოჯეგნი კლდისანი.
 როშკას ატირდეს ციხენი,
 ბლოში სახლნ ქვითკირისანი.
 სანეს შაგროვდეს კვესურნი,
 პატრონნ ვართ ადგილისანი.
 მოგველენ მთაღ-ჩქითელნი
 ნაპირის ადგილისანი.
 თან შოპყენეს ქალუნდაურსა
 მამუკას შუქნი მზისანი.
 ბეგენ-გორს ჩამოეწია,
 ჩამოაწითნა ქვიშანი.
 ლულის ძირს წისქვილ დაბრუნდ-
 ზურაბის სისხლის წყლისანი. .
 ამანდით შამობრუნვილმა
 სამან ჩაყარნა ქვისანი.
 ვინც ესენ ამომიყარნეს,
 ცოდვან მოჰკიდნა კმლისანი.
 ორ წყალში დაჰხვდენ ფშავლები,
 წკეპან ამოდის კმლისანი.

ჩაწერილი შ. ბეწუკლ-შვილის მიერ (შან. გვ., 310).

ლ

ამანდით ამობრუნვილმა
 სამან ჩადგ ხოხის ქვისანი.
 რომენიც გადალრიაქდეს,
 ცოდვან ახკიდნა კმლისანი.

მთქმელი მინდია ქისტაური. ჩაწერილი ავ. შანიძის მიერ 1913 წ.
 (შან., გვ. 311). ავ. შანიძე ტექსტის შენიშვნაში წერს: „ეს ორი
 სტრიქონი მინდია მიაყოლა მე-9 ნომერს (ე. ი. ლექსს „უტი“,—

ქ. ს.) „გადალრიაკდეს“, მისი ახსნით, ამას ნიშნავს: „გადასცილდეს“.
აზრი ეს არისო: ნუ გასცდებით ისე, რომ შენდობა არ მითხრათო“
(შან., გვ. 311).

126. უტი

მთქმელი მინდია ქისტაური ჩაწერილი თვალთვით 1913 წ. აკა-
კი შანიძის მიერ (შან., გვ. 311).

ბ

ავარდა ბატონიშვილი,
ქვეყანა არ გაუტივა,
ჯარი შაყარა მძიმეი,
ქვესურეთს შამაუტივა,
ქიეს დაიცა კარავი,
გუდანში თარეშ უტივა.
აკი გითხარი, ზურაბო:
„ქვესური კაცი უტია!“
ახლა გაჰხედენ ბეკენ-გორს:
ფუტკარს ღგავ, გამოუტივა.
ქალუნდაურის ფრანგულმა
ქარქაშით ამიწივა.
კმლითა სცეს კორმეშიენებმა,
სისხლმა სიმუნსა უწია.
ემანდიო გამოგაქციეს,
საფურცლეს ვერ ჩაუწივა.
ლულს დაგრჩეს ქამარ-ხანჯარი.
მალე სულ ამაუტივა.

ჩაწერილი ხევესურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ (შან., გვ.
311).

ბ

ზურაბმა ცხენი რემაი
იალახზედა უტია,
გადაჯდა გახელგებულსა,
ქვესურეთს შამაუტია.
წინავე გითხარ, ზურაბო:
„ქვესური კაცი უტია“.

ეხლა ბეკენ-გორს გაჰხედენ:
 ფუტკარს ღგავ, გამაუტია.
 ქალუნდაურის ფრანგულმა
 ქარქაშით ამაუტივა.
 მანდით გაიქცა ზურაბი,
 შინამდე ვერ მიუწივა.
 საფურცლეს მოკლეს ზურაბი.
 სულ ნელა ამაუტია.

ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ (შან., გვ. 311).

დ

მე წინავ გითხარ ზურაბო,
 ქვესური კაცი უტია,
 აგერ ბეგენ გორ განენე,
 ფუტკარმ რო გამაუტია,
 ქალანდაურის ფრანგულმა
 ქარქაშითით ამაუწია
 კმლითა სცა ზურაბის ჯარსა,
 სისხლი. ვადამდე უწია.

.
 ბოლოდან ამბარუნვილმა
 სამან ჩახყუდნა ქვისანი,
 ვინც ამას გადასცილდების,
 ცოდონ ხქონ ჩემის კმლისანი.

ჩაწერილი ხევსურეთში, ბარისახოში 1946 წ. 27 აგვისტოს ქს. სიხარულიძის მიერ. მოქმელი სოფ. გველეთის მცხოვრები ბერდია არაბული. რვა სტრიქონის შემდეგ აკლია. მოქმელმა აღნიშნა, რომ არ ახსოვდა და გადააბა ბოლო სტრიქონები. ტექსტის დამთავრებისას სამანის გადაცილებასთან დაკავშირებით მოქმელმა თქვა: „ამას ისიც ადასტურებს, რომ რაც ეს სამანი ხყუდია, გამველ-გამომგ-ლეელი ქვესურები, როსაც არაყი მიაქვს, ისვენებენ, ასხამენ არაყს კანწებჩი და შანდობას ეუბნებიან ქალუნდაურისათვის“.

ზურაბო, ერისთვის შეილო,
 სისხლის დაგლევედამც წყალ
 წინა გითხარი ზურაბო,
 ქვესური კაცი უტიაო,
 ბეკენ გორ არ გახენია,
 ფუტკრის ღვარამ გამაუტია,
 ბაბურაული ფრანგულმა
 ქარქაშით ამაიწივია.

მთქმელი თოთა მახანისძე წიკლაური 81 წლის უსინათლო. ჩა-
 წერილი ხევსურეთში, ამაში 6, VIII-1944 წ. ქს. სიხარულიძის
 მიერ.

8

გადმოდგა სადღვებელაზე
 ქუჩუმინი ფარია,
 კითხულობს ქალუნდაური:
 — სად ომობს ჩემი გვარია?
 — ბეგენგორს, ქალუნდაურო,
 ომს ება შენი გვარია...
 ჩახყვა მარტუა ლაშქართა,
 კოცა ზურაბის ჯარია.
 მეთორმეტეს რო შემოხკრა,
 დადგა, ჩააგა კმალია.
 ომიდან მობრუნებულმა
 სამნად ჩახყუდნა ქვახია,
 ცოდო ეკიდას კმლისაი,
 ვინც არ დალოცას სამია.

ჩაწერილი სოფ. კორმეშავეში ნიკო გოგოჭურის მიერ. 1951 წ.
 მთქმელი ვაჟია გოგოჭური (სახ. გმ., გვ. 45). სტრიქ. 1. სადღვებე-
 ლა—ადგილია ხევსურეთში—შატილთან ახლოს. სტრიქ. 2. ქუჩუ-
 მინი ფარი ჭინჭილებითა და მძივებით მორთული ფარი. ხევსურუ-
 ლი თქმულებით, ამგვარად მორთულ ფარს ატარებდა ზურაბ ერის-
 თვის ლაშქარი.

რას ამბობს ქალუნდაური,
ბეგენ გორ მეომარიო,
მარტუა ჩახყვა ლაშქართა,
კოცა ზურაბის ჯარიო,
მეთორმეტეს რო შამახკრა,
დადგა, ჩაიგა კმალიო.

ჩაწერილი ხევსურეთში სოფ. უკანახადუში 1946 წ. 5 აგვისტოს
ქს. სიხარულიძის მიერ. მთქმელი ლაგაზა ზაიელი.

ქართული საგმირო ტრადიციით მტრის რაზმიდან ერთი კაცის
მიერ თორმეტზე მეტის მოკვლა ცოდვად ითვლებოდა.

ჰ

მავიდა ქალუნდაური,
ქმა მალლა ამოუტია.
ქალუნდაურის ფრანგულმა
შუქი პთას გადაუტია.

ჩაწერილი ბაბო ლიქოკელის მიერ. (შან., გვ. 311).

თ

მე ბევერჯელ გითხარ, ზურაბო:
„ქვესური კაცი უტია“.
აგერ ბეგენ-გორს გახენე:
ფუტკარმ რო გამაუტია.
ქალუნდაურის ფრანგულმა
ქარქაშით ამაუტია.

ჩაწერილი გიორგი წერეთლის მიერ. (შან., გვ. 312).

127. ზურაბ ერისთავის გაქცევა

მთქმელი ხთ. ქისტაური. ჩაწერილი 1940 წ. სოფ. კუდოში ივ.
ზორნაულის მიერ (ფშ. ხევს., გვ 73).

128. ზურაბის ლექსი

ჩაწერილი მთიულეთში. გუდამაყრის თემში, ს. ჩოხში, 12.
VIII—1934 წ. ელ. ვირსალაძის მიერ. მთქმელი მიხა ჩოხელი (ვირ-
სალ., გვ. 152).

ტექსტუალური შენიშვნები ეკუთვნის ჩამწერს მთქმელის მი-
თითებით. სტრიქ. 2. ზევ. ამოთ—ჰკვიანად; სტრიქ. 3. ზევ. ფხი-
ტური—მთა გადასავალი გუდა მაყრიდან ხევსურეთში; სტრიქ. 7 ზევ.
შინში—დეიდაშვილი; სტრიქ. 8 ქვევ. ბადუნა თლოშიაური—სახე-
ლი და გვარი.

ბ

შამოვკდეთ ზიდურის წვერზე,
რაზმი დავაწყოთ ჯარადა,
მიქასა შარვანეულსა
ვერვინ ჩაუვლის კარადა.
ლამაზი ყვანან ძმა-შინში,
ვერც გამარჯვენ ძალადა,
ბევრი აქეთ ტყვია, წამალი,
ჯორი ვერ ზიდავს ცალადა.
წვრილი უწებავ ისარი
მკვდარს ჩაგვიყრიან ჩალადა,
ზურაბ შე ერისთვიშვილო,
რა თავი გედიდებისო,
გვიოცავს აზნაურები,
ყორნები ეზიდებისო.
თლიოშიავ ბადუნაურო,
პირიმხეს დაგლევს ჯორიო,
დაგვთხარე სამარიდანა,
ცოლშვილს დაგვიჰერ ყელიო.
ნეტა აღარვინ დარჩესა
ყმა შურის მაძევარიო,
დარჩეს და ნურც გაიზღება,
თუ არ იძევა შურიო.

ს. მაკალათია ლექსს უკავშირებს თქმულებას მიქა წიკლაურზე
(მაკ., მთ. 28—29).

129. ჭრელა ნადირიშვილი

ჩაწერილი ბეს. გაბურის მიერ (შან., გვ. 4—5).

ბ

ავარდა ბატონიშვილი
ერეკლე ნათათრალია,

შემოიარა არაგვი,
ფხიტუს დალაქნა მთანია.
ოსაურ ჩაგროვდებოდა
თეთრი ურჯულოს ჯარია.

ოსაურ გადმომდინარსა
საუბრად გაუქლებისა:
„როშკის გორს თეთრი ციხე დგას
ძალზედა შეგვიდგებისა,
შაგვიდგას, შაგვიდგებოდა,
მაგით რა წაგვიკლებისა?
ენა ეხკრათ საბალითები,
მთის კაცი ვერ მიხვდებისა“.
მიუზღდა ნადირიშვილი,
ციხეში შეუღებებისა.
როშკისას არ გამოუშენა,
— „ჩემს როშკას არ შეხვდებისა“.
წელთა კმალია გამჭრელი,
თოფს ტყვია მოუქლებისა.
კმლითა სცა კვესურთ შვილებმა,
სისწლი სიმურსა წედებისა.

პირველად დაიბეჭდა მშმ, 1896, № 10. გადაბეჭდილია შან., გვ. 313. კონტამინაციის წესით ლექსის პირველ სტრიქონად გამოყენებულია ერეკლე მეორის ციკლის ლექსის დასაწყისი. ამაზე მიუთითა აკ. შანიძემ (შან., გვ. 313).

130. მიგრის ტყავი

ჩაწერილი ხეცსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ (შან., გვ. 5).

ბ

ქალი მეც ვიტყვი სიტყვასა,
თუნდ ძმათა მამჭრან თავია.
საძელეს გარმამდინარი
მთას უჩდილდება ჯარია.
როშკის გორ თეთრთა ციხეთა
დაიცვეს მიგრის ტყავია.
შიგ შადგან კვესურთ შვილები,
შაიღან საომარია.

ხთის მადლს, გამაგრდი ცხეო!
 კუთხს არ დაგგლიჯნან ქვანია!
 შიგით არ გამაგვისხნან
 ხახიკაურნი ძმანია!
 ქვეთას თვალს დარანჩი ჩავყარენ,
 მორჩეს შუქია, თამარი დანია.
 ამაგათ ცოდო-ბრალითა
 მიწა იწვების მყარია.
 როშკის გორ დაჯდა ზურაბი,
 კევესურთა შასდვა. ზარია.
 „რაად ილევით, კევესურნო?
 კვამლად მამეციო ცხვარია!“
 ღარაქიშო ნანაისძესა
 ბერს გაულესავ კმალთა:
 „ვერ მავრიგდებით, ზურაბო,
 ერთუცსთან გვიდგას სისხლის წყალია
 შვილნი ნუ მამჩან მზეზე და,
 თუ შენნი იქმნან ყმანია!
 ურჩევავ ბატონ-ყმობასა,
 ზურგთ აიკიდნან ქვანია.

ჩაწერილი უცნობი ხევისურის მიერ (შან., გვ. 313—314). აკ. შანიძე მართებულად აღნიშნავს, რომ ლექსი თავისი შინაარსით მეტად საყურადღებოა. ტექსტის ტექნიკურად გაუმართაობას იგი ჩამწერს მიაწერს (შან., გვ. 314).

131. ქერაულ-ქიჩბარაული

ჩაწერილი ბეს. გაბურის მიერ (წელიწადუელი, გვ. 238. გადაბეჭდილია— შან., გვ. 314).

132. არ კი გითხარა, ზურაბო

ჩაწერილია ვაჟა ფშაველას მიერ გლახა ბურნასაშვილისაგან (ლიტ. მუზ., S—5318). „ფშაური ლექსები“ შეკრებილი ვაჟა ფშაველასაგან. ფრ. 3—17.

ხელნაწერს ერთვის შენიშვნა: „ზურაბ ერისთვისშვილი, სააკაძის თანამედროვე“. შენიშვნა ვაჟას უნდა ეკუთვნოდეს.

133. ომი ორწყალში

მთქმელი გიორგი თათარას ძე არაბული. ჩაწერილი ხევისურეთ-ში სოფ. წინ-ხადუში. დაბეჭდა ნ. ურბნელმა (ივ., 1891, № 90, გადაბეჭდილია შან., გვ. 3).

ბ

ჯარსა ჰყრის ერისთვისშვილი,
კეპის გორს წამოდგებისა.
„აკუშოს მოვალ“, მოჰქადდა,
არაგვზედ შამოდგებისა:
ერისთვისშვილის ქადილისა
კმა ლიქოკს ჩაეარდებისა.
ახალთ, ციხის კართ ნასხდომებს,
ქარი მუქლებს ჩაუდგებისა.
სომეხასა და მინდოდას
წინ ვერვინ დაუდგებისა. .
ქვაბულოს ამოდიოდენ.
ფარი შუა არ ედებისა.
აკუშოს ლელეს შამოკდეს,
ქართ უღვლი დეედებისა.
კალოთ გორს ჩამოდიოდენ,
ვაჩე შუა დაუდგებისა.
„ამოდ ვიართ,—ვაჩემ თქვა,
—დღე დიდია, არ ღამდებისა.
ჩავიდეთ ფშავის ორ-წყალში,
ომი აიქ დაგვეკირდებისა.
მანდ მოვლენ ფშაველ-ქვესურნი,
ზაალიც იქ მოშავდებისა.“
ელიზბარ გოდერძაული,
მშვილდო. ძალზედ გეზიდებისა.
იანვარ წოწყურაული.
კმალო, „გაჰერ“, გუუბნებისა.

ჩაწერილი შ. ბეწუკლიშვილის მიერ (შან., გვ. 307).

134. აზნაურების ჯოცა

ჩაწერილი ერასტი ბალიაურის მიერ (შან., გვ. 3).

ბ

ბედნიანიმც დაჯდება
 ლიქოკს ლიქოკელთ ჯარზედა!
 თავში უსხედან უფროსნი,
 აძრახდებიან ჰკევაზედა,
 ქვემოთით ახალ-უხლები,
 კელი მიუდის კმალზედა.
 ერთმანეთს ვუბნებიან:
 „გავიდეთ დასწრობაზედა,
 ჩაგვოცოთ აზნაურები
 ქვემო აკუშოს წყალზედა!“
 უტიდოდ არ გაივალის
 სისხლისა ალაზანზედა:
 ცხენმა დახია მკერდითა
 მჭედარს სწვდა ავჯანტაზედა.

ჩაწერილი გრიგოლ აფშინაშვილის მიერ, (კრბ., 1900, № 3—4. გადამგუქდილია შან., გვ. 306). აფშინაშვილის სამართლიანი შენიშვნით აზნაურებად იგულისხმებიან ზურაბ ერისთავი და მისი მხლებლები.

ბ

ბედნიერამც დაჯდება
 ლიქოკ ლიქოკის ჯარზედა!
 სათავესა სხმენ უფროსთა,
 აძრახდებიან ჰკევაზედა,
 ბოლოს სხავ ახალ ვაჟები,
 გული მიუდით ცდაზედა.
 უტოცავ აზნაურები
 დაბლა აკუშოს წყალზედა.
 დაუქანდების ფეკები
 იმ სისხლის ალაზანზედა.

ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ ხევსურეთში, (შან., გვ. 306).

ღ

დაჯდება ბედნიანი
 ნიქოკლ ნიქოკლის ჯარზედა!

ზემო მკრით უფროს-უფროსნი
აკვევდებიან კვეზედა,
ქვემო მკრით უმცროს-უმცროსებს
ქელი მიუდის კმალზედა.

ქელო, გაუქვრ, კმლოცა!
გულო, ნუ შეუშინდები!
სისხლისა ალაზნაშია,
ფეკო, ნუ მოუცურდები!

ჩაწერილი აკ. შანიძას მიერ 1913 წ. თუშეთში, სოფ. ომალო-
ში. მთქმელი ესტატე ბაბოს ძე თავბერიძე (შან., გვ. 306). აკ. შანიძის
სამართლიანი შენიშვნით, „ლექსი ძალიან დაზიანებულია“. ლექსის
ბოლო ნაწილის მიმართ მკვლევარი აღნიშნავს „რადაც სხვა ლექსის
ნაშთი უნდა იყოს“ (იქვე). ლექსის ბოლო ნაწილი ვარიანტია ცნო-
ბილი ოთხსტრიქონიანი ლექსისა:

გასქერი, ხმალო და მკლავო,
გულო ნუ შემიშინდები,
სისხლისა ნაგუბარზედა
ფენო, ნუ დამიცურდები

(თაყ., 1, გვ. 190). საეუკატო კოდექსის გამომხატველი ეს ლექსი
კონტამინაციის წესით დაკავშირებია ზურაბ ერისთავის ციკლის,
აკუშოს ომის ამსახველ ლექსს.

135. ზურაბ რა უკვენ ლაშქარი

(ფშ. ლექს., გვ. 25). ლექსი გვაცნობს ფშაელების მიერ მათუ-
რაში (სოფ. ფშაეში) შექრილ ზურაბ ერისთავის ლაშქრის დამარცხე-
ბას.

136. ზურაბის ცხენი

(ფშ. ლექს., გვ. 15). ზურაბის ცხენის დახასიათებით ლექსში
გადმოცემულია ზურაბ ერისთავის განზრახვა ფშაეის დახარკვისა.

137. თიანეთს ქალებ ატირდა

(ფშ. ლექს., გვ. 16). ლექსი უნდა ასახავდეს მთის მშრომელთა
შურისძიებას არაგვის ერისთავისადმი.

138. ასადს გოდერძის ცისეო

(ფშ. ლექს., გვ. 6---9). ლექსი წარმოადგენს საინტერესო კონტამინაციის ნიმუშს. ზურაბ ერისთვის მიერ მთის, კერძოდ ფშავის მცხოვრებთა აწიოებებისა და მტარვალ ერისთვის წინააღმდეგ ფშაველთა ბრძოლის ამბავი დაკავშირებულია თემთა თუ ტომთა ურთიერთ დალაშქვრაზე შექმნილ პრაქტულ ვარიანტად ცნობილ ლექსებს („შატილს გადიდდა ხოხობი“, „ფშაველი გიგლია“).

139. მშაველა

ჩაწერილი ხევესურეთში ბაბო ლიქოკელის მიერ (შან., გვ. 6).

140. ზურაბის წადილი საარსვატოდ გალაშქრებისა

მთქმელი იონეურ ოჩიაური. ჩაწერილი აკ. შანიძის მიერ 1913 წ. სოფ. ახიელაში.

ლექსის ავტორი, როგორც ბოლო სტრიქონშია აღნიშნული, ყოფილა შიშნია ბალახურისძე. შიშნია ბალახურისძე, როგორც ეს აკ. შანიძისთვის უცნობებია ლექსის მთქმელს იონეურ ოჩიაურს, ყოფილა სოფ. კიშლის მცხოვრები. აკ. შანიძეს ტექსტის შენიშვნებში აღნიშნული აქვს: „ზურაბს მოუხდომებია არხოტს გადასვლა, მაგრამ სურვილი ვერ შეუსრულებია. აქ ჩამოთვლილი პირები ყველა ახიელელნი ყოფილან“ (შან., გვ. 315).

ბ

ზურაბ ჩამაჯდა როშკის გორს,
თანახყონ თავის ყმანიო.
ახიელციხეს მოხჭადნის,
კუთხს არ შედგლიჯნას ქვანიო
ამ ქავთარაულთ ვაჟებსა
ერთყა ნაცადი კმალიო.
ალიეთ ბაბლის უთხარით,
ბერო, გვიქირე მკარიო,
ყარდანთა ხომიზურასა
არ დაგვიმტკრივნა რქანიო.
შარუმამ მართულისშვილმა
ვეფხვმა გაშალა მწკალნიო.

ამაგის ლექსის მათქვამი
ხიზნის პატრონი ვარო,
მიჰერავ ბალახურისძეს
შიშნინას თოფის ტანიო.

ჩაწერილი ხევისურეთში პ. უმიკაშვილის მიერ მთქმელი იგ-
ოჩიაური (უმიკ., გვ. 90).

141. ღალატით დაჯოცა ხევისურებისა

მთქმელი მინდია ქისტაური სოფ. ღულის მცხოვრები. ჩაწერი-
ლი ს. თვალღვი აკ. შანაძის მიერ 1913 წ. (შან., გვ. 6—7).

ბ

აღუდი აღექსაური,
ზურაბ. რა მონად მაგექცა?
პირის მეღვინე მაგეკლა,
თაოდ ცოცხალივ გაგექცა.
ღმერთსამც კი გაღმარჯვებიყო,
ერთი შენდამც ვის დაეკრა.
აღუდის გაღმაქნეულსა
კმალ-დაშნას წვერიმც მეეკრა.
გულ-და-გულ გაღმოგიქნია;
გზაჩი მსახური შეეკრა.

მთქმელი გოგოთურ ქინჯარაული. ჩაწერილი გიორგი წერეთლის
მიერ 1925 წ. (შან., გვ. 315).

გ

ზურაბმ აიფრო ქვეყანა,
ბევრს ვაჟს უტირა დედაო.
ბევრს ქალს გაუქსნა საკინძი,
უქვიპა ძუძუზედაო.

ჩაწერილი დავით ხიზანაშვილის მიერ (ივ., № 40, 1887, ფშ.
ლექს. 10).

დ

ზურაბმ აოკრა ქვეყანა,
ბევრს აუტირა დედაო,
ბევრს ქალს გაუქსნა საკინძი,
უჩქმიტა ძუძუზედაო.

მთქმელი ვ. ბალიაური. ჩაწერილი 1937 წ. ხევსურეთში, არხოტ-ში ივ. ხორნაულის მიერ (ფშ. ხევს., გვ. 73).

ე

წალუდი კურდღელაისძე,
ზურაბო, რაქელ მაგექა?
მაგიკლა პირის მელვინე,
თაოდ ცოცხალივ გაგექა.

ჩაწერილი ბეს. გაბუჩის მიერ (წელიწდელი, გვ. 235. გადაბეჭ-დილია, შან., გვ. 315).

ვ

ზურაბ შახყრიდა ლაშქარსა,
თრუსოს სადილზე ჯდებისა.
„ბევრ-ბევრ გაეტეხე ხოყანა,
ქვესურო კი არა ხკდებისა“,
ხკითხევდა ნეზირ-ოზირთა:
„რა კარგა მოგვიკდებისა?“
„ლალატით გვირჩევე, ზურაბო,
ქვესურ თუ დაგვენდობისა“.
ხკითხევდა ლუღუშაურსა:
„სიტყვაი შენი ჯდებისა“.
„კაცი წავლალათ ქვესურეთ,
ქვესური ვერ ჩახკდებისა.
ქვესურებ ჩამაგვივიდენ,
ვინც ომში გამოდგებისა:
მშაველა ჭინჭარაული
ნიაღე ნუ დადგებისა,
სამნაიც გამაიყოლას,
უმისოდ არ იქნებისა“.
„სამნა ნუ წავას,—ქვესურთ თქვეს,

—მქედელ ას, დაგვაკლდებისა.“
არ დაიჭერა სამნამა,
„ნავთვალ ორ, არ მიკლდებისა“.

გახუა კეთეშაური,
ქევსურნო, კას გეუბნებისთა:
„კმლებს ნუ დავიკსნით; ქევსურნო,
ძალდი არ დაინდობისა“.

აღუდა აღექსაური,
ზურაბო, როგორ მოგექცა?
მოგიკლა პირის მელვინე,
თაოდ ცოცხალივ გაგექცა.

ჩაწერილი ბაბო ლიქოკელის მიერ (შან., გვ. 316). აქ შანიძეს მოყავს შენიშვნა ლექსში გადმოცემულ ამბებთან დაკავშირებით. ა) „ზურაბს რატიშვილს სამჯერ დაულაშქრავ ქევსურეთი მეშვიდმეშვიდეს წელს და ვერ გაუტეხავ ქევსურეთი. და მეგრე თრუსოს დაუბარებინან ქევსურნი, სამოცი კაცი. უთქვამ, რო ზავი ვქნათავ. მაუტანავ ღვინო. უსმეგავ ზურაბს ქევსურთად, დაუთვრია. აუყოავ იარალი. უთქვამ გახუას კეთეშაურს. რო კმლებს ნუ დავიკსნითავ, არამც გვილაატასავ. ხევსურთ არ დაუჭერებავის, დაუქსნავის კმლები. აღუდს არ შაუქსნავ დაშნაი, დაუმაღავის. ვერ გაუგავის, რომ დამთვრალან ქევსურნი, დაუვლავ კმლებისად ქელები ზურაბის მსახურთ და გაუქრავის თავები ქევსურთად სრუ. აღუდს დაშნაისად დაუქრავის ქელი, შასტანებთას ზურაბს კარავში, მოუქნევევის ზურაბისად. იმ დროს მსახური გადასდგომიას და მსახური მოუკლავის. თაო კი გამოქცეულ, მოსულ შინ. სხვებისად სრუ თავ გაუქრავის.“ ბ) „მაშინ ზურაბს მოკევე ხყვანია ყმა ლუღუშაური. თან ხყვანია და გაუთავადებავის, ზურაბს თავადობა მიუტავის. როგორც ერეკლეს ქევსურნი ხყვანიან, ეგრ ზურაბს: ოსი და მოკევე ზურაბის ყმა ყოფილა“.

ზ

ზურაბმ აიკლა ქვეყანა.
ბევრს ვაჟს უტირა დედაო.
უბარებს ლუღუშაურსა,
კაცს მოსწევს ზედი-ზედაო:
„ქევსურნი გამამიგზავნე,

ვინც ომში გამადგებაო;
 ქედეშაური გახუა
 ნიადაგ ნუ დადგებაო;
 სამნაი გამააყვალე,
 ომში გვერდს დაუდგებაო.“
 „ქევსურნო, სამნა ნუ წავა,
 მქედელი დაგოკლდებაო“.
 დასხდეს, დარიგდეს ქევსურნი,
 თავს ზურაბ დაადგებაო.
 —„ქევსურნო, კმალს ნუ დაიკსნით
 ზურაბ არ დაინდობაო“.
 ქევსურთ უარი გარდათქვეს:
 „პურ-მარილს უნდა ნდობაო.“
 ერთბაშად დასჭრა თავები,
 მარტო გახუაჲ გარდარჩა.
 ქედეშაური გახუაჲ,
 ზურაბ, რა ავად მოგექცა!
 მოგიკლა პირის მელვინე
 თითონ უპირველი გეგექცა.

მთქმელი იასე ხულელი. ჩაწერილი აკ. შანიძის მიერ სოფ. თო-
 თში 1913 წ. (შან., გვ. 316—317).

6

ზურაბმა თქვა: „ჩამამივიდენ,
 ვინც ომში გამადგებისა.
 მშაველა ჯინჯარაული
 ნიაღე ნუ დადგებისა;
 სამნაი ჩამაიყოლას,
 მქედელი—გამადგებისა“.
 —„სამნა ნუ წავა, ქევსურნო,
 „მქედელი დაგვაკლდებისა;
 თოფებს სქედს ჯირიმებს სამნაი,
 ქურთემულ დაუსქდებისა“.
 გახუა ქეთეშაური
 ქევსურთ კას ეუბნებისა:
 —„ქევსურნ, მოგიკლავთ ზურაბსა,
 თქვენდაც კაად კი ხკდებისა“.
 არ დაუჯერეს ქევსურთა,

ზურაბის დავლათ ღრვედისა.
დასხდეს, დარიგდეს კვესურნი,
თავს ზურაბ დაადგებისა.

ფოფინეს დასკებს ზურაბი:
„ფოფინე, რასა ღბედაო“?
ფოფინეს კელი კმალზედა,
კვესურთ სისხლს თრუაოს რწყევდაო.

ქვემც დაგლევს, ერისთვისშვილო
ზურაბო, სისხლის წყალიო!
დაიბალითენ კვესურნი,
დანლობით გასკერ თავიო.
რად არ სწორ-სწორად გაუშვენ
კვესურნ და შენნი ყმანიო?
ქელთ რად არ შიეც ფარ-კმლები,
დააცდევინე თავიო?
ომს კვესურნ განახვიებდენ-
ფარს ქვეთ ნაწურთნი ყმანიო!

თრუსოს ნაკოცთა კვესურთა,
შშაველა სჯობ ჭინჭარაული,
ამადით დახვეწილებსა
ალულ სჯობ ალექსაური.

ალულა ქეთელაური,
ზურაბ, რა შონედ შოგექცა!
პირის მელვინე მოგიკლა,
თავად ცოცხალი გაგექცა.
ღმერთსამც ვინ გაღმარჯვებიყო,
შენდ კმალ-დაშნის წვერ მაეკრა.

ჩაწერილი ბაჩანას მიერ. შეტანილია თედო რაზიკაშვილის მა-
სალებში (შან., გვ. 317). აღსანიშნავია მე-13 სტრიქ. „კვესურნ, მო-
გიკლავთ ზურაბსა“ თედო რაზიკაშვილის განმარტება: „ზურაბს
კლდიან გზებზედ და საცალფეხო ხიდებზე ვერ უვლია და ამ გახუას
ზურგით უტარებია. გახუას უთქვამ კვესურებისათვის: თუ გინდათ
კლდეზე, სადმე გადავაგდებო, მაგრამ კვესურებს არ უქნიათ“ (შან.,
გვ. 317).

ზურაბმ, ქვეყანა აიფრო,
 კვესურებს ვერა ხვლებისა.
 „ჩამამივიდან კვესურნი
 ვინც ომჩი გამადგებისა:
 მარტია მისურაული
 ნიაღე ნუ დადგებისა.“

თრუსოს ჩაეიდენ კვესურნი,
 თავს ავი დარე დაეცა.
 სადილზე დასხდენ კვესურნი,
 ზურაბ მეღვინედ ღგებ
 გახუა ქეთეშაური
 კვესურთ კარგს ეუბნებისა:
 „კმლებს ნუ დაივსნით კვესურნო,
 ზურაბ არ დაინდობისა.“

ზურაბი ეტყვის მსახურებს:
 —„მსახურნო, რასა ღბედავთა?“
 ომთანემ შამაუქცია:
 „ომსა ძრიელსა ვბედაო,
 თავს მოვსკრი თორმეტს კვესურსა,
 სისხლბ რო თრუსოს რწყევდესო“.
 ფშაველას ჭინჭარაულსა
 ტანს სისვი სკლატი ჩაეცვა,
 ბეჭებს აასხეს ისარი,
 ბრალია ჯაჭვი არ ეცვა!
 ალუდა ალექსაური,
 ზურაბო, როგორ მოგექცა?
 პირიან მეღვინე მაგიკლა,
 თავად ცოცხალივ გაგექცა.
 ზურაბ, შენდ იყო მაქნეულ,
 შენი მსახური შეეჭრა.
 ღმერთსამც კი გაღმარჯვებიყო,
 კმალ-დანას წვერი შეეჭრა!

აქ ვინც მოიდენ კვესურნი,
 ალუდ სჯობ ალექსაური.
 და ვინაც მარჩეს აიქა,
 ფშაილ სჯობ ჭინჭარაული.

0

კევისურეთ კაცი მავიდა,
ეგ ხო არ გამადგებო:
„ნარჩევ-ნარჩევი ბიჭები
ერთი: ნუ ვინ დადგებო,
ქირჩლი ბაბურაული-დ'
მარტია ნუ დადგებო!“
„არავ“ — თქვეს კევისურთ შვილებმა
„მჭედელი, დაგვკირდებო.“
„ნათვალ ორ, — მანგიამა თქვა,
— მე ჩემი გადამკლებო.“
თრუსოს ჩავიდეს კევისურნი,
ზურაბ სადილზე ჯდებო.
კევისურთ მისვლითა ზურაბსა:
მზე ცხრაქნივ ამუკლებო.
მანგია მისურაული
კევისურებს ეუბნებო:
— „კმლებს ნუ დაიკსნით, კევისურნო,
„ზურაბი გაჯავრდებო.“
არ დაიჯერეს კევისურთა:
„ზურაბი გაჯავრდებო.“
— თქვენის თქვენ იცით, კევისურნო,
მე ჩემი გადამკლებო.“
დაასხამს წითელს ღვინოსა.
ზურაბ. მეღვინედ დგებო.
დაასხამ წითელს ღვინოსა.
ვერცხლის თასებშიგ დგებო.
„ადეგით, აიშალენით!“
ზურაბ თავს დაადგებო.
ნასხდომ კევისურებს კმლებით სცეს,
სისხლი გუბ-გუბად დგებო.
მარტია მისურაული
ზურაბო, როგორ მაგექცა?
ორი მაგიკლა, ზურაბო,
კოცხალი შინაჲ გაგექცა.

ერთი შენც გადმაგიქნივა,
მსახური შენი შეეპრა.
ღმერთსამც კი გალმარჯვებიყო,
კმალ დაშნას პირა მადეკრა!

ჩაწერილი 1889 წ. თედო რაზიკაშვილის მიერ (შან., გვ. 318).
საინტერესოა თედო რაზიკაშვილის შენიშვნები ტექსტისათვის:
მ მკედელი „ხევსურს იუუნდა გამოსთქვას „მკედელიაო“, შემოკ-
ლებით იტყვის „მკედელი“, ბოლოს ხმოვანზე ხმას უწევს და ამაგ-
რებს“. 14 მზე ცხრაკნივ ამუკდებაო „ისე გაუხარდაო“.

კ

ზურაბმ აიფრო ქვეყანა,
ბევრს ვაჟს უტირნა დედანი;
ბევრისა კარი დაჯარა,
ბევრისა ისუვ მღე არი.
ბევრისა დედა ატირა,
ბევრისა ცოლი თმიანი,

მთქმელი ათია წოწკურაული. ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის
მიერ ფშავში (ხალხ. სიტყვ., III, 1933, გვ. 16. უფრო ადრე დაიბეჭ-
და შან., გვ. 319).

ლ

ზურაბმ მოიფრო ქვეყანა,
ბევრს ვაჟს უტირა დედაო,
ბევრს ქალს გაუხსნა საკინძი,
უკბინა ძუძუზედაო.
„სხვა კი სულ ყველა გავტეხე,
ქვესურთ არაფერ კდებაო“.
კაკ უგზავნი ღუღუშაურსა:
„სიტყვა შენი უფრო ჯდებაო.
ქვესურებ გამამიწვიე,
ომში ვინც გამოდგებაო.
ფშაველა ჭინჭარაული
ნიადგ ნუ დადგებაო.“

სამნა თან გამაიყოლოს,
ეგეც მაგას შაუკლებათ.
თრუსოს კევსურებ ჩავიდენ,
ზურაბი სადილზე ჯდებათ.
კევსურთ ჩამოსვლით ზურაბსა
ცხრაკნი მზე ამუკლებათ.
დაისხა ლეინის სმაზედა,
ზურაბ მეღვინედ დგებათ.
დაასხამს წითელ ლვინოსა,
ვერცხლის კათხები დგებათ.
გახუა კეთეშაური
კევსურთ კარგს ეუბნებათ.
„კმლებს ნუ დაიკნით, კევსურნო,
— ზურაბ არ დაინდობათ.
თქვენ თქვენი იცით, კევსურნო,
მე ჩემი გამამკლებათ.“
არ დაიჯერეს, შაიქსნეს,
ეტლი ზურაბის რევდაო.
ზურაბი თავის მსახურსა
ჩუმ-ჩუმად ეუბნებათ:
„ეხლა დაიფრენს კევსურნი,
ნეტარ შენ რაღას კბედაო?“
— გალესილი მაქვს ფრანგული,
მზასა ვარ, ვერა მხედაო?
სუ თავებს გავსჭრი კევსურთა,
კოცხალ ვერვინ გამამჩებათ.

თრუსოს ნამყოფებს კევსურებს
რა მონა დარი დაეცა!
ფშაველას კინჭარაულსა
ტანთ სისვი სკლატი ჩაეცვა.
გვერდზედ აასხეს ისრები.
ბრაღია, ჯაჭვი არ ეცვა!
ხახონას ბერდიაულსა
მკართ თეთრი მშვილდი გარდეცვა.
ნასროლი ფოცხ-მაკრატელი,
ზურაბო. შენდამც დეეკრა!
აღუდა აღექსაური.
ზურაბ, რა კერქად მოგექცა:

მოგიკლა პირის ფარეში,
თვითონ ცოცხალივ გაგექცა.
ღმერთსამც კი გაჰმარჯვებო, 1
კმალ-დაშნას წვერი მეექრა!

ჩაწერილი ლევან რაზიკაშვილის მიერ (შან., გვ. 319).

8

ზურაბ აიკლა ქვეყანა

ზურაბ აიკლა ქვეყანა
ბევრს ვაჟს უტირა დედაო,
ისპანამდი გაითქვა,
ყვენთან გაიზარდაო.
უბარა ლუღუშაურსა,
კაცს მისწევს ზედიზედაო:
გამომიგზავნენ ქვესურნი,
ვინც ომში გამოდგებაო,
ქინპარაული შალვაი,
ნიაღე ნუ დადგებაო,
სამნაიც გამოაყოლე,
ომში გვერდთ დაუდგებაო.
„ქვესურნო, სამნაჲ ნუ წავა,
მკედელი დაგვაკლდებაო“.
დასხდეს. დარიგდეს ქვესურნი,
თავს ზურაბ დაადგებაო.
ქეთეშაურთ გახუაი
ქვესურთ კას ეუბნებაო:
„ქვესურნო, კმლებს ნუ დაიკსნით,
ზურაბ არ დაინდობაო.
თუ აბჯარი აიყარეთ,
კარგად ვერ მოგიკლდებაო“.
ქედეშაურთ გახუაი
ზურაბზე, რა ავად მოგექცა.
მოგიკლა პირის მეღვინე,
თითონ უჭირველ გაგვექცა.
დაშნა ჩამოგიქნია და
შენი მსახური შეექრა.
ღმერთსამც ნუ ექნა, ზურაბო,
დაშნას რომ პირი მოექრა.

ირემავ, რად გიხაროდა
 ქვესურთა თრუსოს ზიანი,
 კიდევაც დავრჩით ქვესურეთს.
 სამოცდასამი კლმიანიო,
 ღმერთმა დრო მისცას ქვესურთა,
 ქვევისკენა ქნან დგრიალი,
 სნო-ახალციხე გატეხან,
 ზენა ქვეს მისცან ზიანი.
 ირემას კარზედ მიუდგეს,
 მშვილდნი შეჰყეფენ რქიანი,
 ირემას ცოლი წაჰკივის
 ქალ ლურჯის პერანგიანი,
 უკან ირემა მისდევდა:
 — „ქალი რად მიგყავთ თმიანი?
 „დაბრუნდ, ირემავ, ნუ მოგვდევ,
 ქვესურებთან გყავ ზიარი.
 თორომ დაბრუნდა იმედა,
 უჰკვოს არ დაგხვდა ჰქვიანი“.
 უწინ ირემამ ესროლა,
 ვაღამ გაილა ჟღრიალიო,
 მემრე იმეღამ ესროლა,
 ქუღმა გაღილა ბრიალი:
 „დაგცდა, ნუ დამხალისდები,
 წამალ დასქარბდა ტიალი.

ჩაწერილი ხევეში. დაბეჭდილია (უმიკ. 89—90). ტექსტის მო-
 მართ ფ. გოგიჩაიშვილის შენიშვნებში ვკითხულობთ „ხევი, (არ
 ჩანს, ვისი ჩაწერილია). ლექსს მიწერილი აქვს: „გადაწერა ვერ მო-
 ვასწარიო“. როგორც ხელზე ეტყობა, პავლე ლუღუშაურის ნაწერი
 უნდა იყოს. დრო: დაახლ. 1880 წ. ვარიანტი: ხევესურ., ბერდია გამ-
 ლივარულის თქმით ჩაწ. 1871 წ. ეს შეიცავს ლექსის მეორე ნახევარს
 მხოლოდ: ირემა, რად გიხაროდა თრუსოს ქვესურთა ზიანიო და სხვ“. (უმიკ., 562).

6

დუშეთით ქორი აფრინდა

დუშეთით ქორი აფრინდა
 არაგვი შაინადირა,

ქვესურეთ ქათამს დაეცა,
იქ ნაბუარი აღინა.
დასხდეს, დარიგდეს ქვესურნი,
თავს ზურაბი დაადგება,
დაუსხამს წითელ ღვინოსა
შვევერცხლილსა თასებზედა,
სამოცი თავი ჰგორავდა
სამოცისა ქვესურისა.

ჩაწერილი ხევში, სოფ. სტეფანწმინდაში პ. უმიკაშვილის მიერ 1881 წ. მოქმელი გიგოლა არჩინაშვილი (უმიკ., 89).

142. ხევსურებ სინკლად ჩაურა

მოქმელი გ. ქავთარაძე. ჩაწერილი 1950 წ. ზაფხულში გუდამაყარში ანდრო ყამარაულის მიერ. ლექსის დასასრულს მოქმელს აღუნიშნავს, ზურაბმაო. ე. ი. ლექსში გადმოცემულია ზურაბ ერისთვის სისხლიანი ლაშქრობანი ფშავ-ხევსურეთსა და ხევში.

143. შენმც დატლევს სისხლის წყალიო

ილია ქავკავაძის ჩაწერილი 1871 წელს (უმიკ., გვ. 89). მეოთხე სტრიქონში თ ხ უ ს ო ს ნაცვლად უნდა იყოს თ რ უ ს ო ს.

საკუთარი სახელები ეკუთვნის ზურაბ ერისთავის ნათესავეებს. გვხვდება საისტორიო წყაროებშიც: „თვალი დაჰსთხარი ძმას გიორგისა“ (ვახუშტი. საქართველოს ცხოვრება, თბილისი, 1913, გვ. 67); „მეხმემც დათუნის მოგივაო“ (იქვე, გვ. 71); ზაალის სიკვდილი (იქვე, 77). ბ ა რ ძ ი მ ი. დათუნი, ზაალი გვხვდება აგრეთვე სხვა წყაროში (იხ. П. Поселнани. Описание города Душети, 1860, გვ. 37, 39, 41).

ბ

სევდამც მავხვდების, ზურაბო.
დაგლევდამც სისხლის წყალია!
თრუსოს აწიენ ქვესურნი,
ქელით არჩიენ ყმანია;
გაატეხინე დოლეთი:

„ფარა მალაღეთ, ცხვარია“.
თრუსოს მასხენ მაშვრალნი,
დანდობით გასკერ თავია.
რად არ სწორ-და-სწორ გააწყვენ
ქვესურნი-დ' შენნი ყმანია?
თითოს კი დაგიკანკვედეს
ფარს ქვეშ ნაწურთნი ყმანია!

თრუსოს დაკოცილ ჰვესურთა
მშაველ სჯობ ჯინკარაული.
ცოცხალთა შინ წამასულთა
აღუდა აღექსაური.

აღუდა აღექსაურო,
დიდხან ცოცხალიმც ხარია!
წელითამც არ შაგეკსნების
თრუსოს რაც გერტყა კმალია!

ჩაწერილი ხევსურეთში ვ. ტუქსიაშვილის მიერ (შან., გვ. 7—8).

ბ

ზურაბო გრისთვის შეილო,
სისხლისმც დაგლევს წყალია!
შენ დაგვიკოცენ ლალათით
ნარჩევ ქვესურთა ყმანია.
რად არ გაუშვენ ველადა
ქვესურნი-დ' შენნი ყმანია?
ამაშინ გამოჩნდებოდა,
ვისიცა სკრიდა კმალია!

ჩაწერილია თედო რაზიკაშვილის მიერ ხევსურეთში (შან., გვ. 7).

დ

სევდამც გეცემის ზურაბო!
დაგლევდამცა სისხლის წყალია!
დაიბალითენ ქვესურნი,
დანდობით გასკერ თავია.

დაგწყევდი, ერისთვისშვილო,
ზურაბო, ეგრემც მოგივა:
ძმასამც დათუნას თვალთ დასთხრი,
ზაალის მოხმემც მოგივა!
თვითონ სარუსოდამც გაჰქდები,
ცოლიმც ურუმთას წაგივა!

კევსურნი ჩაჰყარენ თრუსოსა,
ლალატით დასჰერ თავიო.
რად არ გაუშვენ სწორადა
კევსურნი და შენნი ყმანიო?
შენ შორად რად არ დაუდეგ,
იქით უჰირე თვალიო?
მაშინის გამოჩნდებოდა,
რომენთი სჰრიდა კმალიო!

ჩაწერილი შ. ბეწუკლიშვილის მიერ (შან., გვ. 320).

ე

დაგწყევდი ერისთვისშვილო,
ზურაბო, ეგრამც მაგივა:
ძმასამც დათურას თვალთ დასთხრი,
ზაალის მოხმემც მოგივა,
შენამც კევსურებ დაგხანჯვრენ,
ცოლიმც ურუმში წაგივა!
ბევრაის ცოდვის მაქმედო,
ქვეყნის გულისიმც მოგივა!

ჩაწერილი უცნობი ხევსურის მიერ (შან., გვ. 320).

144. ზურაბის დაწვევა

ჩაწერილი ბეს. გაბურის მიერ. წელიწდეული, გვ. 235, გადა-
ბეჭდილია (შან., გვ. 9).

ბ

ზურაბო ერისთვის შვილო,
შვიდსამც წელსა ხარ სნეული
გულსამც მოგხედების ისარი,
ფშაილების გამოსრეული

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყვ. II, მიხ. ჩიქოვანის რედ., გვ. 12. უფრო ადრე დაბეჭდილია—შან., გვ. 323.

145. ზურაბის მოკვლა

მთქმელი გ. არაბული. პირველად დაბეჭდა ნ. ურბნელმა. გადაბეჭდილია—შან., გვ. 8.

ბ

საფურცლეს ზურაბ მოვიდა,
ლერწამი ზღვის პირისაო.
გაუშალეს ხალიჩები,
ზურაბ ზედ დაბძანდისაო.
აუყვავებენ სუფრასა:
„ზურაბ, შეეჭე ხილსაო!“
გიღალატებენ, ზურაბო,
ელიან შენსა ძილსაო.
ქმლითა სცემს ბარამ ბატონი:
„დაჰკარით კ-ის შეილსაო!“
ხანჯარი თუშთ მაურავმა
მარცხენა ძუძუს ძირსაო.
მუხრანით მოდის ტირილი
ს-ის ერისთვისაო:“
—ვინ მოგკლა, შვილო ზურაბო?
ვინ შეგსხნა კვლნი გმირსაო?
ვინ ჩამოგყარა თაობა
ქართლსა. არაგვისაო?
აღარვინ მეგულეობდა
მამრევი ზურაბისაო.“
ზურაბის ცოლი ტიროდა:
„ვაჟმე უდროოდ ქვრივისაო!“
ზურაბის ცოლი დედას სწყევს:
„ჩემიმც დღე დაგადგებო!
ამ ჩემის ღალატისადა
თემურაზ მოგიკვდებო!“
ელუმო თოღუმშიშვილო.
ვეფხვი ხარ. ველის კანჯარი!
შენ მაჰკალ ერისთვის შვილი,
ზურაბს შენ დაეც ხანჯარი.

გაგზავნეთ მახარობელი,
 ფშავ-ქვესურეთში ჩაფარი:
 ფშავ-ქვესურეთის ქალ-რძალმა
 ძილ დაიძინოს მაგარი.
 ზურაბის სიკვდილს ამბობენ,
 — აღარ მოგვივა ლაშქარი.
 მიგრი მოხეიეთ ბატონსა,
 ზურაბის წამოსასხამი.
 შეარტყით ჩოლოყაშვილსა
 ზურაბის ქამარ-ხანჯარი.
 ზურაბმ კირთ გაცოფებულმა
 კმალსა დაპგლიჭნა ვადანი.
 ვაი თქვენს ზურაბს, ფშავლებო!
 ძაფ დაუტყვევავ მაგარი.

ჩაწერილი დავით ხიზანაშვილის მიერ. ივ., 1887, № 140, გადა-
 ბეჭდილია შან., გვ. 320—321: ამ ლექსის პირველი 26 სტრ. დ. ხი-
 ზანაშვილმა შეიტანა კრებულში (ფშ. ლექს., გვ. 11—12). თან და-
 ურთო შენიშვნა: „ამ ლექსში მოხსენებული ზურაბი იყო არაგვის
 ერისთავი თანამედროვე გიორგი სააკაძისა. მას უნდოდა დამემორჩი-
 ლებინა მთიულნი და მათ შორის ფშაველები“. იქვე. ლექსის ბოლო
 18 სტრიქონი, როგორც დამოუკიდებელი ლექსი, ცალკე დაბეჭდა.
 იქვე, გვ. 5.

გ

ზურაბო. თან გახლდეს ლაშქარნი,
 რაც ხან კი დაიბადეო.
 ისპაანამდე გაითქვი,
 ყვენთან გაიზარდეო.
 სადაც კი წახვედ საომრად,
 სუყველგან გაიმარჯვეო.
 აქებენ სოსლანის შვილსა,
 წახვედ, ისიცა ჰნახეო,
 სოსლანის შვილის ლურჯაი
 შინ სიმარს გაუგზავნეო.
 გიბარებს თავის სიმამრი:
 „მოდო, საფურცლეს მნახეო,
 მიმწეი ჩემის შვილისა
 თვალითა დამანახვეო“.

ღალატი გიყვარდა ზურაბო,
ღალატი ჩემიცა ნახეო!

საფურცლესა ზურაბი მოვიდა,
ლერწამი ზღვის პირისაო.
შამაეხვიენეს კახები:
„გმირო მობრძანდი ემისაო!“
დაუდგეს ოქროს ტახტები,
ზედაც ზურაბ დაბძანდისაო.
აუყვავებენ სუფრასა,
წითელ-ყვითელად ხილსაო,
დაუდგმენ სურას ღვინიანს,
დათაფლულსა და ტკბილსაო.
ჯერ ხილი ჭამა ზურაბმა
მემრ პირი მიჰყო ლხინსაო.
გალალატებენ, ზურაბო,
ელიან შენსა ძილსაო,
გვერდს გიდგან მოლალატენი,
მარჯვენა ყურის პირსაო.
ფალარატი ქნა ზურაბმა,
მალევ დეენდო ძილსაო.
კმალი ჰკრა ბარამ ბატონმა:
„დაჰკარით კახპის შვილსაო!“
ხანჯარი თუშთ მოურავმა
მარჯვენა ძუძუს ძირსაო.

ზურაბის მოკვლას ამბობენ,
მაგრამ დამწონ კაც სად არი?
კმალი ჰკრა ბარამ ბატონმა,
თუშთ მოურავმა ხანჯარი.
ზურაბმ, ჰირთ გაცოფებულმა,
კმალსა დაჰგლიჯნა ვადანი:
„ვაი ღედას თქვენს, კახებო!
ძაფი დაგიხვევათ მაგარი“.
შახვდება ბარამ ბატონსა
ზურაბის ცხენი სალარი,
თუშთ მოურავსაც კიდევა
ზურაბის ჭამარ-ხანჯარი.
ტყავ-კაბა საგინისძესა,

ზედ ოთადანი მაღალი.
გაგზავნეს ტყე-ქვესურეთსა
სამახარობლოდ ჩაფარი.
ფშავ-ქვესურეთში ქალ-ზალმა
ძილ დაიძინან მაგარი:
საფურცლეს მოკლეს ზურაბი,
ალარ მოგივათ ლაშქარი.
სიტყვა უთხარით ქალ-ზალსა,
ძილ დაიძინან მაგარი.

ბაბო ლიქოკელი, აკაკი შანიძის მოსაზრებით, ამ ტექსტის ჩამ-
წერი კი არა, გადამწერი უნდა იყოს (შან., გვ. 321—322).

დ

ზურაბ, თან გახლდეს მსახურნი,
ერთ ხან რაც დაიბადეო,
ისპანამდი გაითქვი,
ყაენთან გაიზარდეო,
აშენებული ოსეთი,
ქარ-ცხენი ჩამაღლაღეო,
სოსლომიშვილსაც აქებდეს,
აღზდეგ და ეგეც ღნახეო,
სოსლომიშვილის ლურჯაი
სიმამრსა გაულაღეო.
შამაგითვალა სიმამრმა,
სიძევე, საფურცლეს მნახეო,
საფურცლეს ზურაბ ჩავიდა,
ღალატით მკოცელ მტრისაო.
კახელთ მაართევეს ყურძენი.
სიძევე, შეექეც ხილსაო.
დაუსხეს მეჩანგეები,
— დაწვევ, დაენდევ ძილსაო.
დაითვრა ღვინით ზურაბი,
მემრ პირი წახყვა ლხინსაო.
თემურაზ ჩეუბნების
იმერელთ ნეფის შვილსაო:
ზურაბს თუ მოხ,ლამ. ქალს მაგცემ.
მონას არ დაგცემს ცხვირსაო.

კლმით სცემდა ბარამ ბატონი,
 — „დაჰკარით კახპის შვილსაო!“
 თუშთ მოურავემ ხკრა ხანჯრები,
 ზურაბ გიწვდინა ცრუსაო.
 ბარამს უბოძა ბატონმა
 ზურაბის ცხენი სალარი,
 ტყავაკაბა საგინაშვილსა,
 ზედ ოთალანი მალალი,
 შახდების თუშთ მაურავსა
 ზურაბის ქამარ-ხანჯარი.
 არაგვზედ კაცი დალალეს
 ფშავ-ქვესურეთის ჩაფარი:
 უთხრიდით მაგათ ქალ ზალსაო,
 ძილ დაიძინან მაგარი,
 ზურაბ საფურცლეს მოვკალით,
 აღარ შამოვას ლაშქარი.

ჩაწერილი 1876 წ. ხევსურეთში ილია ჭავჭავაძის მიერ. უმიკ.,
 93—94. ტექსტს დართული აქვს ზოგი სიტყვის განმარტება. სტრიქ.
 21—თემურაზ—ზურაბის სიმამრი, „ერეკლეს პაპაო“, სტრიქ. 24—
 ცუდად არ დაგცდის—ცხვირის დაცემინებაო; სტრიქ. 30—სალარი—
 ნიშა; სტრიქ. 32—ოთალანი—ქული.

მ

თან გახლდეს ზურაბ მსახურნი
 ერთხან რო დაიბადია,
 სადაც წაასხი ლაშქარი,
 სადაგანდ გაიმარჯვია.
 ოსეთი გაშენებული (გასტეხე),
 კარ-ცხენი ამოლლალაია.
 სოსლანის შვილის ლურჯაჲ.
 სიმამრსაც გაულალაია.
 სიმამრი დაგიბარებდა:
 სიძევე, ჩამეღ მნახია.
 მართვეჲ ჩემის ქალისა
 თვალითა დამანახია.
 ადგა, წავიდა ზურაბი
 მორთული თავის ყმითაო,

ზურაბ საფურცლეს ჩავიდ
 მორთული თავის ყმითაო.
 ხილი მაართევს საკმელად,
 ზურაბ შეექეც ხილსაო.
 ჯერ ხილი ჭამა ზურაბმა,
 მემრ პირი წახყვა ლხინსაო.
 თავს ედგეს მოლალატენი,
 ახლუას, ყური პირსაო,
 ღალატ გაიგა ზურაბმა,
 გაჯავრდა, კმლის ზუნას კსნისაო.
 კმლითა სცა ბარამ ბატონმა,
 დახკართ კახპის შეილსაო.
 ხანჯრებ დასც თუშთ მოურავმა
 ზურაბს ვერ უწვდინ ცრუესაო.
 ბარამს უბოძე ბატონო
 ზურაბის ცხენი საღარი,
 ტყავ-კაბა საგინაშვილსა
 ვათარის ქული მაღალი.
 კაცი გაგზავნე თუშეთში,
 ფშავ-ქევესურეთში ჩაფარი,
 ნულარ გეშინისთ ქალ-ზალსა
 ძილ დაიძინეთ მაგარი,
 ზურაბ საფურცლეს ჩაკაფეს,
 აღარ მოე მაგის ლაქშარი.

ჩაწერილი ხევესურეთში სოფ. აკუმოს 1943 წ. ლაშუბა ბოჭორი-
 შვილის მიერ. მთქმელი 100 წლის ბეწია მანგიას ძე ლიქოკელი.

8

საფურცლეს ზურაბ მავიდა
 ლელწამი ზღვის პირისაო.
 გაუშალეს ხალიჩები,
 ზედ ზურაბ დაბძანდისაო,
 აუყვავებენ სუფრასა,
 — ზურაბ შეექეც ხილსაო.
 გილალატებენ, ზურაბო,

ელიან შენსა ძილსაო!
 ხმლითა სცემს ბარამ ბატონი:
 „დახკარით კახპის შვილსაო!“
 საფურცლით მოდის ტირილი
 სულძაღლი ერისთვისაო:
 „ვინ მოგკლა, შვილო ზურაბო,
 ვინ შეგქსნა კელნი გმირსაო,
 ვინ ჩამოგყარა თაობა
 ქართლისა არაგვისაო,
 აღარვინ მეგულეზობდა
 მომრევი ზურაბისაო“.
 ზურაბის ცოლი ტირიდა:
 „ვაი უდროვოდ ქვრივისაო!“
 თამარ სწყევლიდა დედასა.
 ჩემიმც დღე დაგადგებო,
 მაგ ჩემი ღალატისთვისა
 თემურაზ მოგიკვდებო!“

ჩაწერილი 1884 წ. დ. ხიზანაშვილის მიერ ფშავში ს. არტანუბი.
 (უმიკ., გვ. 94). განმარტებულია სტრიქ. 26—თამარ—ზურაბის ცოლი.



საფურცლეს ზურაბ მოვიდა,
 ლერწამი ზღვის პირისაო.
 ხალიჩები გაუშალეს,
 ზურაბ ზედ დაბძანდისაო.
 აუყვავებენ სუფრასა,
 —ზურაბ, შეაქეც ხილსაო,
 —გიღალატებენ ზურაბო,
 ელიან შენსა ძილსაო.
 ხმლითა სცემს ბარამ ბატონი
 —დაჰკარით კახპის შვილსაო,
 ხანჯარი თუშთ მოურავმა
 უელვა ძუძუს ძირსაო.
 —მუხრანით მოდის ტირილი
 სულ-ძაღლის ერისთვისაო:

—ვინ მოგვლა შვილო ზურაბო,
კინ შეგქსნა კელნი გმირსაო?
ვინ ჩამოგყარა თაობა
ქართლისა არაგვისაო?
აღარვინ მეგულებოდა,
მამრევი ზურაბისაო.
ზურაბის ცოლი ტიროდა
ვაჰმე უღროოდ ქვრივსაო.

ჩაწერილი თუშეთში, ალაზნის თავში. მთქმელი ს. ცისკარაშვილი
(კოტ., 212).

0

ზურაბს მაართევს ყურძენი:
სიძევე, შეექვე ხილსაო!“
ზურაბს უშლოან ლოგინსა,
ტკბილს აძინებენ ძილსაო!“
ბარამ ბატონმა კმალი ხკრა:
„დახკარით კახპის შვილსაო.
თუშთ მოუროვმა ხანჯალი,
—კაცს ყველებურად სკრისაო.
მუხრანით მოდის ტირილით
რძალი ზურაბის დისაო:
„ვაჰმე, თუ მოკლეს ზურაბი,
თუ კელი ხკადრეს გმირსაო.
ვინდა დარჩება ობოლი
გამჯავრებელი ძირსაო?“

ელუმო. ლუხუმიშვილო,
ვეფხი ხარ, ველის კანჯარი!
შენ მოჰკალ ერისთვისშვილი,
ზურაბს შენ დაეც ხანჯალი.
მახარობელი გავგზავნათ,
ფშავ-ქევსურეთში ჩაფარი,
ფშავ-ქევსურეთში ქალ-რძალმა
ძილ დაიძინას მაგარი:
ზურაბის სიყვდილს ამბობენ,
აღარ მოგივათ ლაშქარი.

შევარტყათ ჩოლოყას შვილსა
ზურაბის ქამარ-ხანჯალი.
მაგრა მოეხვივათ ბატონსა
ზურაბის წამოსასხამი.

მთქმელი ივანე გელიაძე. ჩაწერილი შალვა დოლაქიძის მიერ
(შან., გვ. 322).

თ

მუხრანით მადის ტირილი
იმ ერისთვისა ზლისაო,
არცვინ მეგონა მამრევი
ჩემის ქმრის ზურაბისაო.
ვეუბენ, არ დაშიგერა,
ქალაქ კაქარბე ჰქვეითაო.
ის მითხრა, არ მიღალატებს,
არ გაგაქვრივებს შვილსაო.
კაცი გაგზავნეს სუყველგან,
ფშავ-ქევესურეთში ჩაფარი,
დედათა ქევესურეთელთა
ძილ დაიძინათ მაგარი.

ჩაწერილი ხევესურეთში სოფ. როშკას 1944 წ. ქს. სიხარულიძის
ძიერ. მთქმელი თოთია წიკლაური 60 წლის. ტექსტის დაწყებისას
მთქმელმა აღნიშნა: „ზურაბი იყო მუხრანელი“.

ი

ელუძო თულუმიშვილი,
ვეფხვი ხარ, ველის კანჯარი,
მარჯვენა ხელომც შეგარჩება,
ზურაბს მენ დაეც ხანჯარი.
გაგზავნეთ მახარობელი,
ფშავ-ხევესურეთში ჩაფარი,
ზურაბის მოკვლა ახარეთ.
— აღარ მოვალის ლაშქარი,
ფშავ-ხევესურეთის ქალ-რძალმა

ძილ დაიძინოს მაგარი,
მიგრი მოხვიეთ ბატონსა
ზურაბის წამოსასხამი,
შეარტყით ჩოლოყაშვილსა
ზურაბის ქამარ-ხანჯარი!

ჩაწერილი 1884 წ. დ. ხიზანაშვილის მიერ ფშავში ს. არტანუბი
(უმიკ., გვ. 95). სტრიქ. 11—განმარტებულია მიგრი—ტანსაცმელი—

კ

მტრისა მიწვევსა-მისვლასა
დაწონა უნდა, გან ძალი?
ღედამც იმისი ცხონდება,
ვინც ზურაბს დაჰკრა ხანჯარი!
—„ვაჰ დედას თქვენსა, ფშავლებ
ალყა გიხვევათ მაგარი“.
გაჟინიანდა ზურაბი,
ქმალს დააგლიჯნა ვადანი.

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ (ხალხ. სიტყვ.,
III, 1953. მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 13. უფრო ადრე დაბეჭდილია
შან., გვ. 322).

ლ

მუხრანით მადის ტირილი
ქალისა ერისთვისაო:
„არვინ მეგონა მამრევი
ჩემის ძმის ზურაბისაო.
ზურაბ საფურცლეს მამიკლეს,
წვერ დამირეკეს კმლისაო...
არ მეგონ, გვიღალატებდა,
გააქვრივებდა შვილსაო.

მთქმელი ხთისო გიორგის ძე გიგაური 65 წლის. ჩაწერილი ხევ-
სურეთში სოფ. ბლოში (ჟინ., № 31, გვ. 345).

146. ერისთავის მცემელი

მთქმელი სალირა ნადირიშვილი. ჩაწერილი 1939 წ. სოფ. საკო-ბიანოში ივ. ხორნაულის მიერ (ფშ. ხევს., გვ. 75).

147. ზურაბის სიმამრი

ჩაწერილი ბეს. გაბურის მიერ (წლწდ., 235. გადაბეჭდილია შან., 9). ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ სიმამრმა—ქართლ-კახეთის მეფემ თეიმურაზმა მოაკვლევინა სიძე—არაგვის ერისთავი ზურაბი. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა: „განდიდებულ არაგვის ერისთავს ზურაბს თეიმურაზის ყმობა ემძიმებოდა და თვითონ ააირებდა ხელმწიფობას“ (საქ. ისტ., 1, 364 შდრ. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, 69). ლექსში ასახულია სიმამრის მიერ მოტყუებით ზურაბის მოკვლა. ასახულია აგრეთვე თეიმურაზის განზრახვა იმერეთის მეფის ალექსანდრესთვის ქალიშვილის—ზურაბის ქვრივის მითხოვებისა, რაც შემდეგ მართალაც განხორციელდა.

148. თეიმურაზი

მთქმელი ლეკო ნიას ძე. კინჰარაული 61 წლის. ჩაწერილი ხევსურეთში სოფ. შატილში (კინ., № 34, გვ. 346).

149. შენ გენაცვალოს დედაო

ჩაწ. ს. ხუმელაგას, კავკ. 1887 წ. მღ. ნ. ბაკურაძის მიერ (უმიკ., გვ. 88).

150. იმერეთს რად გაშათხოვე

(ფშ. ლექს. 130). ლექსში გადმოცემულია ქართლ-კახეთის მეფის ქალიშვილის დარეჯანის — ზურაბ ერისთავის ქვრივის ჩივილი მამისადმი იმერეთში გათხოვების გამო. როგორც ცნობილია, ზურაბის ქვრივი დარეჯანი მამამ იმერეთის მეფეს ალექსანდრეს მიათხოვა.

იგივე ტექსტი, ფშავში ს. არტანში ჩაწერილი 1884 წ. დ. ხიზანაშვილის მიერ დაბეჭდა პეტრე უმიკაშვილმა (უმიკ., 432). ეს ტექსტი გამოყენებული აქვს ნ. ხიზანაშვილს (ურბნელს), რის გამოც შენიშნავს: „დარეჯანს არ მოსწონს იმერეთში გათხოვება, დაცინვა და უკმაყოფილება ისმის შემდეგს ლექსში:

იმერეთს რად გამათხოვე,
თემურაზ. ჩემო მამაო;
ქამა მომწყინდა ღომისა,
ვაძმე კახურო ყანაო!

იმერული ღომი და გემრიელი კახური პური აქ არაფერს შუა-
შია; კახურს პურს იმერეთშიც აკეპაოდ უშოენიდნენ მეფის რძალს,
მაგრამ პირველი ქმრის „ქართლის თაობა“—კი ძნელად საშოვნელი
იყო... ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზურაბი სახელოვანი ვაჟკა-
ცი იყო და ქალის გულს ხომ ასე ძლიერ იზიდავს ვაჟკაცობა...“
(ურბნ., გვ. 140).

151. დაგვლივა ზურაბის სმაღმა

ჩაწერილი 12. VIII—34 მთიულეთში, გუდამაყარის თ. ს. ჩოხ-
ში ელ. ვირსალაძის მიერ. მოქმელი მიხა ჩოხელი (ვირსალ., გვ-
152). ტექსტს ახლავს შემდეგი შენიშვნა:

„ზურაბი, როგორც ძალოვანი, აფციურები, როგორც ფარი-
სეველნი და ქლესა ხალხი, წუწკურაული (ხევსური), რომელიც მარ-
ჯედ ისროდა ისარს ბრძოლის დროს“.

152. მამუკა ქალუნდაურის მოკვლა

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ (შან., გვ-
11). 1—2 სტრიქონებს თედო რაზიკაშვილი ასე განმარტავს: „გი-
ორგ-წმინდაში გადმოვიდა თუშთ ლაშქარი“, 16 სტრიქ. „მეშველად
მომეტებულად დედაკაცი დგება, არ უშვებენ საომრად“.

ბ

დაგციან გიორწმიდაო,
თუშებმა ბელანქარია:
საკვირაოთით თუშებმა
მძოკარ დალაღეს ცხვარია.
მახკიდა ქალუნდაურმა
მგელმ სანადიროთ თვალია.
სამღევროდ გამამართულსა
მუკლებს შაუჯდა ქარია.

ჩამავა თათლის გორასა,
ჩამაბუბუნებს ქარია,
წყალს ალერდაჩი გავარდა,
ირემ გვილნა რქანია,
ქევის გზას ამეემართა, —
პირს ძევი, ბეჭთა ფარია,
შამაქდა საფეხენოჩია.
მეშველნ მაუნდეს რვანია.

„აქით გამიშვით. ქალებო,
შორით დამიგით თვალთ!“
ბეღელჩი შამეეწია:

„თუშნო, დაყარეთ ცხვარია!“

„ნუ მაგედევ, ქალუნდაურო,
არ შადის შენი ცხვარია!“

მამუკამ არ დაიჭერა:

„არ ბრუნავს ჩემი გვარია!“
დაბრუნდეს მექობაურნი —
შალვა, ივანე ძმანია.

ივანემ მექობაურმა
პირზე დახვია ალია.

წაიქცა ქალუნდაური,
ირემმა დასხნა რქანია...

„ივანე, კელსა ნუ მამჭრი,
—სახელი მაინც შენია,
მკარხეით თოფსა ნუ ამკდი,
—კიუხჩი ნადირთ მტერია,
წელზეით კმალსა ნუ შამცსნი,
—ქევსურთად კაის მქნელია,
ტანზეით ჯაქვსა ნუ წამყრი,
—ქერიგოს ქვიშათ ფერია,
ნუ ამყრი სამკლავეებსა.
—მკლავის ფიცრების მჭერია“.

ინატრა ქალუნდაურმა:
„სამ დღესამც გამამთელაო,
მასწავლა თუშეთის გზაი,
ბორბალსამც შამიყენაო,
ივანე მექობაური
გზაჩიამც შამამყარაო,

მეშველიმც დაგვიგვიანა,
ერთ-ურთიმც დაგვაცდიაო,
მექობაურის ცოლ-დედათ
შორითამც ახედვნიაო“...

მთქმელი წატილელი ნისლაურ ლევანის ძე კინჭარაული (ჯალა-
ბაური).

ჩაწერილი ხევისურეთში სოფ. ხახაბოში (კინ., № 144, გვ. 415—
416). ჩამწერილ^ს შენიშვნით, ტექსტისათვის სანდუა გოგოჭურს დაუ-
ბატებია: „ქალუნდაურის კმალ თუშებს წაუღავ, მექობაურთ. ესლა-
დაც იქ აქვავ. ბოძჩი აქვავ შანახული“,—ამბობდიან.

ერთ შვილ დაშრომივ მამუკას; ისიც ღილღოს რაადა-მ წასულა
ღილღველთ მაუკლავ. აიშის საძებრა(დ) სხვა ვინა-მ წასულ, სახელ
აღარ მგონდების, ბაჩაყურთ აპარეკა გაუყოლებავ. აიმაზედაც სიმ-
ღერენი ნათქვამნი^ა აღარ მგონდებისა-ღ.

ქალუნდაურთ ნასახლარ ამაგაჩი-ა, ამა(გ) ზეთკე, ბეწიკუათ სახ-
ლის გვერდ, ნაკოლარა რაი-მ რო ას, თუ სა(დ) გულა(დ) გახვე(დ)
გადასაე-გადმასაეს. მამუკაის სახლისკაცთ ქალ იყვ აი(ს) ნათელა,
თქვენ თოთიას რომ ხყვანდ. აი(მ) ნათელასთან ორნ ქალნ ხყვანდეს
თქვენ თოთიას ლელუჩი ხოშექაწ“ (იქვე, გვ. 416).

ზ

კმლით არ მიგიშვეს, მამუკავ.
შორით მაგკიდეს თვალია.
თოფის ჭერემის ტყვიამა
შორით დაგიძრა ტანია.

კელსა ნუ მამკრით მარჯვენას:
მარცხენა კელ ხო თქვენია.
ჯაქვსა ნუ წამყრით ტანზეით:
ქვა-ქვიშათ-მიწათ ფერია.
თოფსა ნუ ამკლით მკარზეით:
კაუხში ნადირთ მტერია.
კმალსა ნუ შამკსნით წელზეით:
ქვესურთად კაის მქნელია.

ჩაწერილ^ს ბეს. გაბურის მიერ (წელიწდეული, გვ 161. გადა-
ბეჭდილი—შან., გვ. 331).

დ

ტერელოს კმაი გავარდა:
 „თუშთა აიღეს ცხვარია.
 წერილოვანასა ჩაჰფინეს
 ბათირის ცხვარი თეთრია“.
 ეგა შეიტყო ბათირმა,
 მალლა მიჰქონდა ცხენსა თავია.
 შუა გზიდანა დაბრუნდებოდა,
 ლურჯამ დაჰკარგა ნალია.
 წინ ცოლი მიეგებება,
 თვალად ლამაზი ქალია:
 „ბათირ, რა უყავ ცოლისი ძმაი,
 ან სამ ფარად რომ გედგა ცხვარია?“
 „არცა მინახავს ცოლისი ძმაი,
 ვერც თუშებს მოვკარ თვალა“.
 — „ოკრად დაგირჩეს ლურჯაი!
 მუჟლად ვერ გყოლი ჩქარია“.
 ასლა შაიტყო ქალუნდაურმა,
 წელს შამაირტყა კმალია.
 ცხენი შაკმაზა ქალუნდაურმა,
 ქალთ დაულოცეს გზანია.
 წამოსწედებოდა წყაროვანასა,
 შორით შესძახა კმანია.
 — „ნუ მოგვდევე, ქალუნდაურო!
 ნოტოს დაგისხლევთ ყოჩ-ვაიცისასა“.

ჩაწერილი დ. ალბანელის მიერ. კვ., 1897, № 14, გადაბეჭდი-
 ლია შან., გვ. 331.

დ. ალბანელის შენიშვნით „ამ სიმღერას დაბოლოება აკლია.
 შთქმელმა ასე გადმოძკა: ერთხელაც კიდენ გამაცოცხლა, მექობა-
 ჟრო! თუ მაშინაც მომკლავდი, მოვკედდ და ნულა გამაცოცხლაო“.

ე

ცოლის ძმა ნაწიდარს გავწირე
 დაჰრილი, როგორც მხალია,
 თავთა დაუბი საღარი ცხენი,
 ლაგამთ დასდიოდა ცრემლია.

- „ნოტო-ნუტოსი არა ვიცი რა.
 - თუშნო, დაყარეთ ცხვარია!
 ან ცხვარსა თავი ანებეთ,
 ან მოპრუნდით მეთოფარნია!“
 დაბრუნდებოდა მექობაური:
 „თუშნო, გეჭიროთ თვალთა!“
 დაბრუნებულმა მექობაურმა
 შექხვია თოფის ალშია.
 — „იარალს ნუ ამყრი, მექობაურო,
 — სახელი მაინც შენია. ,
 მჭრითა კირიმსა ნუ ამყრი,
 კრიბსში შუნ-ჯიკვის მტერია.
 წელთა ფრანგულსა ნუ ამყრი,
 კევსურეთს კაის მქნელია.
 ტანიდან ჯაქვსა ნუ გამკდრი,
 — ჭალაში ქეიშის ფერია“.

ჩაწერილი დ. ალბანელის მიერ. კვ. 1897, № 14 გადაბეჭდილია შან., გვ. 331.

153. იამბე ციხის ნაშალო

ჩაწერილი ხევსურეთში თამარ მაჭავარიანის მიერ (კოტ., გვ. 83). საინტერესოა ვ. კოტეტიშვილის შენიშვნა ამ ლექსისადმი: „გადმოცემით ეს ციხე ყოფილა ხევსურეთში, სოფელ ბარისახოში. ციხის გვერდზე მდგარა მუხა თუ ალვის ხე, რომლის წვერზედაც მიბმული ყოფილა ზეციდან ჩამოსული ოქროს შიბი, რის გამოც ამ ხეს ცული არ უდგებოდა... ერთხელ, ზურაბ ერისთავს მეწადინებინა ამ ხის მოჭრა, მაგრამ ცული ვერ მიეყენებინა. ერთ ღულელ ბერს ესწავლებინა, რომ კატა უნდა შემოაკლა ხეს და მასინ მიიჭრებო. ზურაბი ასეც მაქცეულა. შიბმა დაიწივლა და ცაში წავიდა, მუხა კი მოსჭრესო.. მეორე ვერსიით მუხა აფციანურს მოუჭრია, და მას აქეთ ეს გვარი არა მრავლდებო“. ამგვარ თქმულებათა აგებული ზურაბ ერისთავის სახელთან დაკავშირებული ვარიანტებად ცნობილი ლექსი.

ვახტანგ კოტეტიშვილი მართებულად შენიშნავს, „ზურაბ ერისთავი აქ გამოყვანილია, როგორც ღეთის მგმობი და ეს თქმულება (აზიოტომ მიაწერეს, თორემ ეს თქმულება უძველესი ეპოქის ნაშთს

წარმოადგენს. მკვლევარს მოყავს შედარებითი მასალები (კოტ., გვ. 336—337).

ბ

ამბობდა ლაშარელაო:
ცასა ვკიდევარ შიბითა,
ხმელ-გორზე ბერ-მუხა, მიდგას,
ზედ ასასვლელი კიბითა.
ზურაბმა ერისთვის შეიღმა
გარმომითხარა ძირითა,
ქელი ჩაუსვა, ჩახოტრა,
ძინდორში ჩაიჭირითა.
გაღუედ გალავანზედა.
გაცინებულის პირითა.
ჭერ ჯალაფობით დავლიენ,
ძერე ქალ-ქალიშვილითა.

ჩაწერილი ხევესურეთში. სოფ. დათვისში 1943 წ. ლაშუბა ბო-
ქორიშვილის მიერ. მთქმელი გიორგი გიგიას ძე არაბული.

გ

ბებერსა ლაშარის ჯვარსა
ხმელ გორზედ ედგა ბერ-მუხა,
წვევს ება შიბი ოქროსი,
ზეცას წავეიდის კიბითა.
ს-მა ერისთვის შეიღმა
ამოაბრუნა ძირითა...
ბინამდე იმის ძე არის,
ის ამოაგებს ქირითა...
(ფშ. ლექს., გვ. 13.)

დ

გამოთქვი ციხის ნაშალო,
დრო რა გაქვს გამოვლილია,
ვისაგან ანაგები ხარ,
ან ვისგნივ ჩამოშლილია.
ციხემ თქვა ერთი სიტყვაი,
რელიან გასაკვირია:.

— შალვაის ანაგები ვარ,
 რკინის ჩამიდვა ძირია,
 კმლის ქნევა, ფართო ფარება,
 მე ბევრი გამომივლია,
 ჩემი კალთა და გვერდები
 სრუ სისხლით ჩამოსვრილია,
 მტერი მყავ დაუთვალავი,
 სხვა რამოდენი მზირია,
 მებძოდა, ვერას მჩებოდა
 ზურაბ ერისთვის შვილია.
 შიგით დამიტყდეს ვეშაგნი,
 ჭერაც იმაზე ვსტირია,
 ცოტინან იყვნენ ქევსურნი,
 მაგრე არ იყვნეს ცოტანი,
 ჩამოზდიოდეს ციხესა
 ნაგლეჯნი მაკრატლისანი.
 ვეფხო, შენ ნუ დაღბერდები,
 ამბავნ გვიამბენ ცდისანი.
 აის დრო როსად მოგვივა,
 გლაჯნ იქნან შენი ბწყლისანი.
 სამხთომა გუდანის ჭვარმა
 ყმან შაიცვალნა ვითანი,
 იქავ შაჯდება ლურჯასა.
 შხაპნ იქნას მათრაჯისანი,
 კოპალამ კარატის ჭვარმა
 ქოთან რა უყნა ქვისანი,
 ან კირჩლა შაბურაული
 ლაშქართა წინამძღვარია,
 სად ეტყვით აგონის ქევსა
 თორღეაის ნაციხვარია.
 ქევსურ ყოფილას თორღეაი,
 ქემწიფის ნაბიჭვარია.
 ფშაველთად ბეგარ უღვავის
 თითო ნაცრიან. ცალა.
 აის უშლევავ მათათა და.
 მალედ გადავლენ გზანია,
 მალე გადაოლ მითხოსა,
 იქით მოვლალა ცხვარია.

მთქმელი გ. ქეთეღაური ჩაწერილი 1931 წ. სოფ. ბისოში ივ-
ხორნაულის მიერ (ფშ. ხეც., გვ. 74—75). კონტამინაციის საინტე-
რესო ნიმუშია. მთქმელს ერთმეორისათვის დაუკავშირებია სხვა-
დასხვა ამბებთან დაკავშირებული თქმულებანი (ზურაბ ერისთავზე,
კოპალასა. ხირჩლა ბაბურაულსა, თორღვაზე და სხვ.).

0

მიაშბე, ციხის ნაშალო,
შენ რა დრო გამოგივლია.
აგებული ხარ ვისგანა,
ან ვისგან ჩამოშლილი?
შენი კალთა და გვერდები,
რომ სისხლით გადასვრილია,
ქვესურეთს ვინ ინახევდეს,
შენთან ვის ედგა ჰირია?
ერთ სიტყვად თქვა ციხემა
მეტადაც გასაკვირია:
„ნაგებ ვარ შალვაისაგან,
მედგა რკინისა ძირია,
სისხლის ღერა, შვილდის ჰეხანი,
მე ბევრი გამოგივლია.
მტერ მყავდა მე უთვალავი:
მახმად, ვილაცა გმირია.
მებრძოდა, ვერას მაკლებდა
ზურაბ ერისთავის შვილია.
გამტეხა შიგნით ლალატმა,
ეხლაც ამისთვის ვსტირია.
ქვესურეთს მაგრა იცავდეს,
შვილდს აჩქამებდეს გმირნია,
დღე-ღამე მყარაულობდეს,
გმირთა იბრძოდეს გალონი,
წინაპართ სისხლის დენისა
წითლად დიოდან წყარონი.
მრავალ დრო გამოიარეს,
დაწნეს თავის წილ კალონი.
მტერ მყავდა დაუთვალავი,
როგორც ვარსკვლავი ცისანი.

ქვესურ ყოფილან ცოტანი,
გვარად არ იყვნენ ცუდანი.
მაშინ არ იყო თოფები,
ჰყიოდნენ შვილდნი რქისანი,
იცავდეს თავის ქვეყანას,
მკლავნი იბრძოდეს გმირთანი,
სისხლი მინდორზედ დიოდა,
რუნ ივაებოდნენ წყლისანი,
იბერტყებოდეს კალთანი, !
ჯაჰვისა-ჯავშანისანი.
შშვილდს არ უძლებდა ისარი,
ვადან ცვდებოდნენ კმლისანი.
თითო ოროლა ნაკრეცი
ფურცხვისა მაკრატლისანი,
ჩამოდიოდეს ნამტვრევნი
ციხისა ჩარდახისანი.
ჩაჩქან ხედებოდეს თავზედა,
გულ მაგრა იდგეს ქვისანი. .
ომის კარს წარბ შეუხვრელის
ვაჟისა ქაბუკისანი,
კმამალა სჰეჰედეს დროშანი,
თავ-თავის ხეთის შვილისანი.
იმ შურის ციხის ქვაზედა
ვითაჟერ წითლის ქვიშანი,
გაივისის აკლამისანი,
მკვდარს არ გასწვდიან მიწანი,
ხან შეაც გავიმარჯვიდი,
ველიტე ლაშქარნი მტრისანი.
აღარსად მოდის ძგერანი
ჯიკო, კიოხით რქისანი,
ვეფხვო, შენ ნუმც დაბერდები,
იქნეს გლარჯანი ბწყლისანი.
დაბერდა გუდანის ჯვარი,
კმან შეეცვალნეს ვითარი,
კოპალამ კარატიონმა
ქოთან რა უყო ქვისანი.
კელთ ლახტი აღარ აქვისა,
ან კოკობ ნავთის წყლისანი.

რად მაირიედ იღბალი
იმ რუსის კელმწიფისანი.
მარიგის კარზედ შეხვედით,
თვალნ იხალევით ხეთისანი.
მასთხოვეთ მაჩიგეს ღმერთსა,
სისხლ ახეწინეთ გმირთანი.
აგებ დაგეძრათ ბაგენი,
კელნ რო აგესხათ ყმისანი.
ჯარებ მიუდის რუსებსა
თქვენის ნარჩევის ყმისანი.
მიდიან ზღვას იქითია,
სრულნი ოც-ოცის წლისანი.
თქვენ მოძმე ბაგრატიონი
ერეკლე სამეფარია.
სამზეოს აღარ გამოვა,
საყმოს მოავლოს თვალია.
შასწუხდეს რუსის კელშია
მაგის ერთგულნი ყმანია.
აღარ იბარებს კევსურთა,
აივსას მეფის კარია.
აღარ დავ ქალინდაური,
ბეგენგორს მეომარია,
არც კირჩლა ბაბურაული
მაგის მოკლეა კმალია.
მარტიამ მისურაულმა
დაყარა საომარია,
თორღვა, რომელი ყოფილა
ეგ ლაშქართ წინამძღვარია,
ბევრჯელ ჩაუძღვა კევსურთა:
ვით ჯარებს აფიცარია,
ა ეხლანდელსა ვაჟებსა
ისინი სჯობან მკვდარია,
დაიცვეს თავის ძალითა
ეს კევსურთ მთა და ბარია.
ვითაჯერ ჰარი გატეხეს.
ვითაჯერ ბელაქანია.
ვითაჯერ შითხოს ჩავიდნენ,
არ სწვდების წვიმის ცვარია,

კვესურეთს გადმოლალიან
 მითხაველთ ქარაგანი
 ჩვენ, ნამყოფთ რუსის კელადა,
 რად გვინდა კმალი, ფარია,
 არც დიდი გვინდა თოფები,
 ომის დროს მოსახმარია.
 თავის ვაეობა ვაუკაცმა
 ვერსად დაცადოს, ბრალია!
 ლმერთო, აგვიხსენ კვლები,
 რომ ვცადოთ ჩვენი ძალია.
 ბატარა კვესურიშვილი
 არს ამის მალექსარია,
 მიყვარს წინაპართ ანდერძი,
 მემრ იმათ ნაომარია.

ჩაწერილი გ. ნათაძის მიერ (ნათ., გვ. 1—4). ტექსტის დასას-
 რულიდან ჩანს, რომ ეს ვარიანტი ხევსურულია. ამ ვარიანტში ერ-
 თიმეორეშია არეული ძველი და შედარებით უფრო გვიანი ამბები.
 ვრცელე მეორის შემდეგ არიან მოხსენებული ზურაბ ერისთავის წი-
 წადმდეგ მებრძოლი გმირები—მამუკა ქალუნდაური და სხვ. მთლი-
 ანად ტექსტი კონტამინაციის საინტერესო ნიმუშია.

154. ზურაბ ერისთავი

ჩაწერილი ხევსურეთში სოფ. როშკას 1944 წ. 13 აგვისტოს ქს.
 სიხარულიძის მიერ. მთქმელი თოთია წიკლაური. გადმოცემის ში-
 ნაარსი შესატყვისია ლექსებისა „ღალატით დახოცა ხევსურებისა“
 და „ზურაბის მოკვლა“.

155. გადმოცემა ზურაბ ერისთავის წინამდებე მებრძოლ მიქა წიკლაურზე

(მაკ. მთიულ., 28.). ტექსტს ახლავს შენიშვნა: „ყმობას უჩვეუ-
 ლო მთიული ურჩობდა მრისხანე ერისთავის მძიმე ბატონყმურ
 უღელს და როდესაც მას ძალით ვერ უმკლავდებოდა, ის კავკასი-
 ონის მწვერვალებში იხიზნებოდა. ამის შესახებ არა ერთი ეპიზო-
 დური ხასიათის თქმულებაა გალექსილი და ხალხში ღღემდე დაცუ-
 ლი“ იქვე. იმავე შენიშვნით ასეთია ლექსი „შამოვხდეთ ხიღურის
 წვერზე“. იქვე.

156. ბადუნა თლოშიაური

ჩაწერილი მთიულეთში, გუდამაყრის თემში, სოფ. ჩოხში ელ. ვირსალაძის მიერ. მთქმელი მიხა ჩოხელი.

(ვირსალ., გვ. 408). გადმოცემა შენიშვნის სახით დართული აქვს ლექსს „ზურაბის ლექსი“. დ ა რ ა ნ ი განმარტებულია—ს ა ფ ა რ ი.

157. წიკლაურები და ბექაურები

ჩაწერილი 12. VIII—34, მთიულეთში, გუდამაყრის თემში, ს. ჩოხში ელ. ვირსალაძის მიერ. მთქმელი—შიო ჩოხელი (ვირსალ., გვ. 296).

158. ბუჩუკურები და ზურაბ ერისთავი

ჩაწერილი მთიულეთში სოფ. გვიდაქეში 1946 წ. ელ. ვირსალაძის მიერ. მთქმელი გლახა ივანეს ძე ბუჩუკური 90 წლის (ფ. არქ. № 32166, ვირსალ., გვ. 297—298, № 511).

159. ზურაბ ერისთავის ღალატი ხევსურებისადმი

მთქმელი ბეწინა არაბული 80 წლის. ჩაწერილი 1950 წლის ზაფხულში ს. ჭუთაში ანდრო ყამარაულის მიერ. გადმოცემაში ჩართული ლექსი ვარიანტია № 141-სა. ანდრო ყამარაულმა, როდესაც იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი იყო და ამუშავებდა სადიპლომო თემას ზურაბ ერისთავის ციკლის ხალხურ ნაწარმოებთა მიხედვით, ჩაწერა საინტერესო მასალები. მან გადმოგვცა რვეული მის მიერ ჩაწერილი მასალებით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ანდრო ყამარაული მასწავლებლობდა ხევში.

მას განზრახული ჰქონდა გაეგრძელებინა მუშაობა ფოლკლორულ მასალათა შეკრება-შესწავლის მიმართულებით. სამწუხაროდ 1954 წლის ზამთარში ეს ენთუზიასტი მშობლიური ხალხური სიტყვიერებისა დაიტანა ზეავმა და დაიღუპა. დავით გოგოჭურის შენიშვნით „ამ ქეტეტის დიალექტი რაღაც ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მთის თითქმის ყველა დიალექტის ფორმებია არეულად ნახმარი“.

160. სისსლიანი მეკვლე

მთქმელი ბეწინა არაბული. ჩაწერილი 1950 წელს სოფ. ჭუთა-

161. ზურაბის ლაშქრობა ხევსურეთში

მთქმელი ბეწინა არაბული. ჩაწერილი 1950 წ. ს. ჭუთაში ანდ-
რო ყამარაულის მიერ.

162. თქმულება ზურაბ ერისთავზე

მთქმელი ბეწინა არაბული. ჩაწერილი 1950 წ. ს. ჭუთაში ან-
დრო ყამარაულის მიერ.

163. ბავშვის გასაუჩხებელი

მთქმელი ბეწინა არაბული. ჩაწერილი 1950 წ. ს. ჭუთაში ა. ყა-
მარაულის მიერ.

164. ზურაბ ერისთავი აჭობის დღეობაზე

მთქმელი სანდრო ალექსის ძე ყამარაული. ჩაწერილი 1950
წელს ანდრო ყამარაულის მიერ.

165. ზურაბის სიკვდილი

მთქმელი ბეწინა არაბული. ჩაწერილი 1950 წელს ს. ჭუთაში
ანდრო ყამარაულის მიერ.

შემოკლებანი

- აკ. კ რ ბ. — ჟურნალი „აკაკის კრებული“.
- ალავ.—მის. ალაგიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, 1950.
- ან. ქ. ცხ.—ანასეული ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით.
- ბ რ ძ. ს ა მ შ.—ქსენია სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის წარეკლე მეორის ხელმძღვანელობით (ფოლკლორულ მასალათა მიხედვით), 1942.
- ბ უ ნ.—იაკობ გოგებაშვილი, ბუნების კარი, V გამოცემა, 1885.
- გოგებ.—იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 5, 1957.
- გოგებ. დ ე დ.—იაკობ გოგებაშვილი, დედა ენა.
- დ რ.—გაზეთი „დროება“.
- ვ ა ხ. გ ე ო გ რ.—ვანუშტი, აღწერა სამეფოსი საქართველოსი. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941.
- ვ ი რ ს ა ლ.—ქართველ პოეღტა ზეპირსიტყვიერება, მთიულეთ-გუღამაყარი, ტექსტების მომზადება, რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ეღუნე ვირსალაძისა, 1958.
- თ ა ყ. 1—ხალხური სიტყვიერება, ნაწილი პირველი, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით.
- თ მ.— გაზეთი „თემი“.
- ი ვ.—გაზეთი „ივერია“.
- ქ ვ.—„კვაღი“.
- კ ო ტ.—ვანტანგ კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934.
- მ ა კ. თ უ შ.—სერგი მაკალათია, თუშური ლექსები, 1933.
- მ ა კ. მ თ.—სერგი მაკალათია, მთიულეთი, 1930.
- მ ა კ. ხ ე ვ.—სერგი მაკალათია, ხევი.
- მ ა კ. რ ა ქ.—სერგი მაკალათია. მთის რაქა.
- მ ა კ. ხ ე ვ ს.—სერგი მაკალათია, ხევსურეთი.
- ნ ა ს ა ლ.—ხალხური სიტყვიერების მასაღები შეკრებიღი ჯღანშერ სონღღულაშვიღის მიერ, ეღ. ვირსალაძის რედაქციით, ნაწ. 1, 1955, ნაწ. II, 1957.

- ა გ ზ.—ეურნალი „მოგზაური“.
 ე ს ხ. ჯ ა ვ.—სერგი მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი.
 ე ე გ რ.—იოსებ მეგრელიძე, გადმოცემები რუსთაველის შესახებ.
 1954.
 მ ე ს ტ ვ.—აპოლონ ცანავა, მესტიურული პოეზია, 1953.
 მ მ ბ.—ეურნალი „მომამბე“.
 პ ო ხ.—მოხვეუტი ლექსები ალ. გომიაშვილის რედაქციით, 1939.
 ნ ა თ.—ხალხური ლექსები და ზღაპრები შეკრებილი გიორგი ნათაძის მიერ, ს. ხუციშვილის რედაქციით, 1950.
 ნ ა რ კ ვ.—ქსენია სიხარულიძე. ნარკვევები, I, 1958.
 რ ა ზ ი კ.—თედო რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები, I—II, 1909.
 I, 1951., II. 1952.
 რ ე ვ. ს ა ქ.—საიუბილეო კრებული—1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955.
 ს ა ი ს ტ. მ მ ბ.—საისტორიო მოამბე, II, 1925.
 ს ა ქ. ი ს ტ.—ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, 1946.
 ს ა ქ. ი ს ტ. I—საქართველოს ისტორია, I; ნ. ბერძენიშვილის რედაქც., 1958.
 ს ა ქ. ს ი ძ.—საქართველოს სიძველენი.
 ს ა ხ. გ მ.—ქართველი სახალხო გმირები ქს. სიხარულიძის რედაქციით, 1952.
 ს ვ ა ნ.—სვანური პოეზია, აკ. შანიძის, ვ. თოფურიას, მ. გუჯეჯიანის შედგენილი, 1939.
 ს ვ ა ნ. პ რ.—სვანური პროზაული ტექსტები, I, შეკრებილი ა. შანიძის და ვ. თოფურიას მიერ., 1939.
 ს ა ხ. მ ო გ ზ.—თედო სახოკია, მოგზაურობა. I
 ს ი ხ. ს ა გ მ.—ქსენია სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949.
 ს ნ ჯ.—საუნჯე ხალხური შემოქმედებისა—I—II—III, 1935.
 ჯ მ ი კ.—პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, 1937.
 ჯ რ ბ ნ.—ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიულ წერები, 1940.
 ძ ვ. ა ხ. ს ვ.—ძველი და ახალი სვანეთი, 1925.
 ძ ვ. ს ა ქ.—ძველი საქართველო, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით, I, II, 1909.
 ძ ი ძ ი გ.—შოთა ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1956.

- ფ. ა რ ქ.—საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი.
- ვ. შ. ლ ე ქ ს.—დავით ხიზანაშვილი, ფშაური ლექსები, 1887.
- ვ. შ. ს ე ვ ს.—ფშავ-ხევსურული პოეზია ივ. ხორნაულის შეკრებილი, ქს. სიხარულიძის რედაქციით, 1949.
- ქ ი ხ. ქიზიყის პოეტური, ფოლკლორი, ს. ებრალიძისა და შ. ლლონტის რედაქციით, 1940.
- ქ რ ი ნ.—თედო ჟორდანაა, ქრონიკები, I, II, 1893.
- ქ. ც ხ.—ქართლის ცხოვრება.
- ს ი ქ. ფ ი რ.—მიხ. ჩიქოვანი, ფირალის ეპოსი გურიაში, მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის, სახ. უნივერსიტეტის გამოც., 1934.
- ლ ლ. შ.—ალ. ლლონტი, შაირები, 1941.
- შ ა ნ.—აკაკი შანიძე, ხალხური პოეზია, I, ხევსურული I, 1933.
- ხ ა ლ ხ. ს ი ტ ყ ვ.—ხალხური სიტყვიერება მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამოცემა, ტ. I—V.
- ხ ე ლ ნ ა წ. ი ნ ს ტ.—საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერების ინსტიტუტი.
- ხ ი ნ თ.—ანტონ ხინთიბაძე, გურული ფირალები.
- ც ა ი შ. ე რ.—სოლომონ ცაიშვილი, ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში, 1942.
- ც ა ი შ. თ ა მ:—სოლომონ ცაიშვილი, თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში, 1943.
- ც ა ნ. მ უ შ.—აპოლონ ცანავა, ქართული მუშათა რევოლუციური პოეზია 1905—1907 წლებში.
- ც. ა რ ქ.—საქართველოს ცენტრალური არქივი.
- ჯ ა ვ ა ხ.—ივანე ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916.
- ჯ ა ნ. I.—მოსე ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, I, 1906.
- ჯ ა ნ. ს ა ქ.—მოსე ჯანაშვილი, საქართველოს მოკლე ისტორია, 1884.
- ჯ ჯ ლ.—ეურნალი „ჯეჯილი“.
- ჭ ი ნ.—ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960.
- СМОК—Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

შინაარსი

1. წინასიტყვაობა	5
2. შესავალი	7
3. ვახტანგ გორგასალი	53
4. დავით აღმაშენებელი	62
5. სვეტიცხოვლის ოსტატი	69
6. თამარ შეფე	71
7. შალვა ახალციხელი	103
8. შოთა რუსთველი	107
9. რუსუდანი	123
10. ბრძოლა სვანი თავადების წინააღმდეგ	125
11. ბახტრიონის ომი	129
12. შიოლა და მთრეხელი	142
13. ზურაბ ერისთავის ციკლი	146
14. შენიშვნები და ვარიანტები	179
15. შემოკლებანი	419

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ც. შალამბერიძე

ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე

კორექტორი ნ. ებრაელიძე

მხატვარი გ. ნადირაძე

გადაეცა წარმოებას 5.9.1961; ანაწყოების ზომა 8×10 ;
ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.12.1961; ქალაქის ზომა $60 \times 92^{1/16}$;
ქალაქის ფურცელი 13,25; საბეჭდი ფურცელი 26,5; საავტორო
ფურცელი 20,10; საალრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 20,44;
შეკვეთა 1239; უე 02953; ტირაჟი 1000
ფასი 1 მან. 50 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5